

ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 10

წიგნი

აწაფურსი

◆

სამი პრინცესა და სოფლელი გოგო

◆

კონფორმისტული და მეამბოხური

თბილისი 2008
გამომცემლობა „საარი“

ნიგნი არაფერზე

„ნიგნი არაფერზე“ 2007 წ. გამოქვეყნდა ჟურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ (2–3,5). ამავე ჟურნალში 2008 წ. გამოქვეყნდა „სამი პრინცესა და სოფლელი ვოვო“ (5–6).

პუბლიცისტური ნაწარმოებებისა და წერილების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში და მათში ასახულია ავტორის შედეგები გასული საუკუნის ლიტერატურულ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე.

© ჯემალ ქორია - ნიგნი არაფერზე
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

თავს ვუყრი ამ ჩემს აბნეულ ჩანანერებს და არ ვიცი გარეკანზე რა დავანერო. ახალგაზრდა მწერლისთვის უცხო ქვეყანაში ცხოვრება იქნებ ახალი სისხლის გადასხმაა, ასაკოვანისთვის, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, ტყუილუბრალოდ დაკარგული წლებია. შემეძლო, რა თქმა უნდა, სათაურში ამეტანა რაიმე ტრადიციული, ბანალური სიტყვები, ვთქვათ, ასე: „ოთხი წელი ამერიკაში“, „ამერიკული ჩანანერები“, „მოგზაურობა ამერიკაში“ და მისთანანი. ეს ყველაფერი და სხვა ამგვარი სახელწოდებები ქუდში ჩავყარე, ხელი მოვაფათურე და ამოვიღე ჩემი გუნება-განწყობილების შესაფერი — „წიგნი არაფერზე“. რატომ? არ ვიცი, მიჭირს ამისი მოაზრება. ეს სიტყვები საკუთრივ ობიექტს, ე. ი. ამერიკას არც ეხება, ეს უბრალოდ სევდაა უნაყოფოდ დაკარგული წლების გამო, ერთგვარი ანგარიშია საკუთარი თავის წინაშე, პასუხი კითხვებზე: რა დავხარჯე და რა შევიძინე, რა დავთესე და რა მოსავალი მოვიინე... ცხადია, შემეძლია ვთქვა, რომ „ცცხოვრობდი“, „არ მშობდა და არ მწყუროდა“, მაგრამ განა ესაა მთავარი, რომ უბრალოდ იცხოვრო, ფიზიკურად გადარჩე, თუ გშია, სუფრასთან მიგიწვიონ, თუ ავად ხარ, წამალი მოგაშველონ... სხვა ნიადაგზე გადარგული ხე ან გაიხარებს, ან არა... თუ ის ნორჩია და წყალიც უსხი, ის, ალბათ, ახალ ვითარებას შეეგუება, მაგრამ ბებერი მუხის გადარგვა შეუძლებელია... რას ნიშნავს ახალი ცხოვრების დაწყება, როცა ფინალის კარს უკაკუნებ? არაფერს! მოსავალი რომ მოიწიო, თესვა გაზაფხულზე ჯობია, შემოდგომაზე კი მისი დაბინავების დროა. ერთმა ჩემმა კოლეგამ მითხრა: შენს ადგილას რომ ვიყო, ვერ გავბედავდი, ასე შორს გამგზავრებას! მხედველობაში ჩემი ჯანმრთელობა ჰქონდა, რადგან იმ პერიოდში მაღალი წნევა ამიჩემდა და დარეტიანებული დავდიოდი. მეც ვფიქრობდი, რომ ამ გზას შეიძლებოდა ვემსხვერპლე, მაგრამ მაინც წავედი, მოვლენათა ლოგიკამ წამიყვანა. ის კი არ ვიცი, რა მოსავალს მოვიმკიდი, თუ აქ დავრჩებოდი, უსახსრობისა და შიმ-

შილისათვის განწირული, მაგრამ მალევე ვიგრძენი, რომ უცხო ნი-
ადაგზე ჩემმა ფესვებმა ვერ იხარა, სიხარულის განცდა არა მქო-
ნია... იქ მე ხანგრძლივ ექსკურსიაზე აღმოვჩნდი, რომლის ზედა-
პირულმა ერთფეროვნებამ დამლალა...

„ნიგნი არაფერზე“ — იქნებ ეს უბრალოდ პიარია, მკითხვე-
ლის მოსაზიდად შემოგდებული. იქნებ თავსაც ვიტყუებ და მკითხ-
ველს მოლოდინს გავუცრუებ... მაპატიეთ, თუ დრო „არაფერზე“
დაგაკარგვინეთ!

2

სახლის წინ, ავენიუ ჯეიზე, ქვის კიბეზე ვზივარ. მუხლზე ცხრა
თვის მარიამი მიზის და გაფაციცებით დაჰყურებს ასფალტს. ზედ
თავგზაბნეული ჭიანჭველა გარბი-გამორბის. ეს ამერიკული ჭიან-
ჭველაა — დიდრონი და მაძლარი. ძარღვები, ალბათ, ქოლესტერ-
ინითა აქვს გამოტენილი. მთელი ამერიკა ამ ქოლესტერინზეა
გაფრენილი. სულ ერთმანეთს ანამუსებენ, არიქა, თავი შეიკავეთ,
ეს „ჯანკი“ სასუსნავეები არ მიირთვათო... ჭიანჭველას რა ესმის,
ტელევიზორს არ უყურებს და გაზეთს არ კითხულობს. ქუჩაში იმ-
დენი ნაგავი ყრია და შიგ იმდენი „ჯანკია“, მიდი, მოვდივარ!..
ამიტომ აქაური ჭიანჭველები ქართველ თანამოძმეებს როდი გვან-
ან... აი, მე ვითომ ჭიანჭველა ვარ! ასფალტზე გზა ამებნა, სირ-
ბილი კი მიჭირს, რადგან მუცელი ჩიპსებითა მაქვს გატიკნული.
არადა, ზევიდან ჩრდილი მეცემა. ვილაც დევკაცი არხეინად ზის
კიბეზე და მაკვირდება. ამ დევკაცს მუხლზე უზის მავანი ვინმე,
პირით ბადრი და მწყაზარი, ისიც მიყურებს და ჩემკენ თითს იშ-
ვერს — „დუ-დუ-დუ!“ რა უნდათ, რას მიპირებენ? დევკაცმა ფეხი
რომ გამოსწიოს, ასფალტს მიმასრისავს, ნკიპურტი რომ გამკრას,
ექიმი ვერ მიშველის... პოლიცია!.. ჰელპ!.. ალო, 911!.. ეს ამერიკაა
და ჭიანჭველის უფლებებიც ვინმემ უნდა დაიცვას... ცხრათვის
მარიამი თითით მემუქრება — „დუ-დუ-დუ!“ არ ვიცი, რას ნიშ-
ნავს ეს მუქარა! გადავრჩები თუ არა?.. ამერიკის კონსტიტუცია,
ვიცი, ჩემი სიცოცხლის სადარაჯოზეც დგას, მაგრამ სანამ კონ-
სტიტუციის ფურცელი გადამეფარება, ნკიპურტიც კი მომიღებს
ბოლოს... ვაშა!.. ასფალტი მთავრდება, წინ სწორად გადაპარსუ-

ლი კოინდარია, მწვანე ბალახში ვიმალები და უკან ვიხედები... გა-
დავრჩი!.. დევკაცი არ მიყურებს, პატარა მარიამი კი ქუჩისაკენ
იშვერს თითს, იქ უწყვეტ ნაკადად მოძრაობენ მანქანები და მარი-
ამი ახლა იმათ ემუქრება — „დუ-დუ-დუ!“

3

დეა-ბელა ორი კვირით უფროსია მარიამზე. მარიამი ჯერ კი-
დევ არ დაბადებულა, ის კი უკვე პატარა მორგვივით ეგდო და მო-
ნდომებით ინუნებოდა. ახლა დეა დიდი გოგოა, ამას მისი წონაც
მეტყველებს. დიდხანს თუ დაიჭირე, მკლავები ჩამოგანწყდება. აგერ
მუხლებზე დავიყენე, ფეხები ღონივრები აქვს. თუ ბუქნა დაინყო,
დიდხანს ვერ ვუძლებ... ჯერჯერობით საბუქნაოდ არა სცალია,
თვლებში მომჩერებია, დაკვირვებით მსწავლობს, ეს ვინაა, თვა-
ლებზე შუშები რომ ჩამოუფარებიაო. სახე გაუღიმარი და სერიო-
ზული აქვს. ეჭვებში მაგდებს, იქნებ ამან უკვე იმდენი იცის, შე-
უძლია ჩემი ფოფინა ფიქრები გაშიფროს... ხომ ცხადია, პატარე-
ბსაც თავიანთი ბიოგრაფიები აქვთ, მათს მეხსიერებაში ბევრი
რამ საინტერესო ინახება. სამწუხაროდ, ახალი და ახალი ცოდნა
ძველს წაგვიშლის და მოგვიანებით აღარ გვახსოვს, ცხრა და ათი
თვისა რას ვფიქრობდით... დეა კი მომჩერებია და უცებ, სწრაფად
წამოიღო თავისი ბუნჩულა ხელი და სათვალეს სტაცა... აი, თურმე
რა ყოფილა! მომავალი ფიზიკოსია, შუშაზე სხივთა ანარეკლმა გა-
იტაცა და იმის გარკვევას შეეცადა, ეს რა მიბრჭყვიალებს თვალნი-
ნო... იქნებ ნიუტონი და აინშტაინიც ასე იწყებდნენ აზროვნებას...

4

ცამეტი-თოთხმეტისა თუ ვიქნებოდი, როცა ხელში თხელი წი-
გნი ჩამივარდა. ყდაზე ინგლისურად ეწერა „ნიუ-იორკი“. ახლა ასე-
თი წიგნები და ბროშურები, თანაც უკეთესი ხარისხისა, ფასიანიცა
და უფასოც, ყველგან იშოვება (იქ, იმ ქალაქში!), მაგრამ იმ დროს,
აბა, პროვინციულ ზუგდიდიში, როცა ორლობის იქით ბევრი არავინ
იხედებოდა, ვის უნდა ჩამოეტანა შორეული ამერიკიდან ეს ტურ-
ისტული ბუკლეტი. შიგ იყო ინგლისური ტექსტი, რისიც ცოტა რამ

თუ გამეგებოდა, იყო ილუსტრაციები — ცათამბჯენები, ვინრო ქუჩები, შავკანიანები... იყო ემპაიერ სტიეიტ ბილდინგი (რაკი ნიგ-ნის გვერდის სიმაღლე ეცოტავათ, იგი განოლილი გახლდათ ორ გაშლილ გვერდზე). ეს იყო გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლები და ამაზე მაღალი შენობა მაშინ არ არსებობდა. ორი გაშლილი გვერდი ეკავა აგრეთვე რუკას, რომელზეც აქა-იქ გამორჩეული შენობების პანია ფოტოებიც ჩაებეჭდათ... ოჰ, როგორი ინტერესით ვერთობოდი ამ რუკით! აგერ მანჰეტენი, რომელსაც ირიბად ჭრის ცნობილი ბროდვეი, ქვევით ბრუკლინი და სტიეიტ-აილენდი, ზევით ბრონქსი, მარჯვნივ, ისტ-რივერს მიღმა ქვინსი, მარცხნივ — ჰუდონის მეორე ნაპირზე ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქები — ნიუ-არკი, ჯერსი-სიტი... (რა თქმა უნდა, ქალაქს თუ ოკეანიდან შევხედავთ!).

დღეს, როცა მანჰეტენის დაუნთაუნში ტყუპები აღარ არის, ემპაიერ სტიეიტ ბილდინგი კვლავ ყველაზე მაღალ კომპადაა აწვართული, თუ მსოფლიოსა და ამერიკაში არა, ნიუ-იორკში მაინც. იგი ქალაქის თითქმის ყველა ბოლოდან ჩანს, იქიდან კი ფართოდ იშლება თავბრუდამხვევი ხედი მეგაპოლისისა, მსოფლიო ბაბილონისა, რომელსაც მზერას ბოლომდე ვერ გადააწვდენ. მისი უთვალავი კომპი ტყესავითა დგას, ძირითადად, ცხადია, მანჰეტენზე, თუმცა აქა-იქ სხვაგანაც შეგვგუფებულან... დანარჩენი უპყრია დაბალსართულიან ამერიკას, მწვანე პარკებსა და წყლის სივრცეებს... ამ ქალაქის სახე — მრავალფეროვნების ერთფეროვნებაა. მანჰეტენის ცათამბჯენები ქუჩებს ავინროებს — მანქანებითაა გადაჭედილი, ხმაურიანია, ზაფხულობით სიცხიანი ნესტისაგან იხუთები, ზამთრობით ცივი სისველით გაჯერებული ნიავი დაუქროლებს... დანარჩენი უბნები ჭრელი და ერთფეროვანია, გეგონება, იქ მოვედი, ამა და ამ უბანშიო, მაგრამ იქნებ ქალაქის სულ სხვა ბოლოში ხარ. თუ გინდა არ დაიკარგო, ქუჩების არითმეტიკას უნდა მიადევნო თვალი...

ვერ შევიყვარე ნიუ-იორკი!.. რა თქმა უნდა, აქ უამრავი რამაა, რაც მოგხიბლავს — მუზეუმები, თეატრები, პარკები... წყლის სივრცე — ვრცელი მდინარეები და უკიდევანო ოკეანე... აქ გოლფსტრიმი მოედინება და ამიტომაც ოკეანიდან უწყვეტად მოემართება ღრუბელთა ქარავანი... დიახაც, ამ ქალაქში უამრავი რამაა თვალის სასიერო, მაგრამ მიჭირს, ერთი მხრივ, ტექნოკრატული

საოცრებების აღქმა, მეორე მხრივ, ორ-სამსართულიანი ქალაქის სიჭრელე... ხეებით დაჩრდილული ქუჩები, დავარცხნილი გაზონები სახლების წინ და იქვე, ტროტუარის კიდეზე დახვავებული, ხშირად აქოთებული ნაგვის ცელოფნის „ბეგები“... ვერ შევიყვარეთქი, რადგან ეს არის ბაბილონი, სადაც უამრავ ენაზე მეტყველებენ, უმრავლესობამ კი კარგი ინგლისური არ იცის და ძნელია ადამიანებთან დაახლოება. აქ რომ ვინმეს მკლავზე ხელი გამოსდო, იფიქრებენ გეიაო, ბავშვს თუ მოეფერე, არიქა, პედოფილი ხომ არ არისო. ესენი თავისუფალი ადამიანები არიან, მაგრამ კომპლექსების ტყვეობაში ნებაყოფლობით გაყვეს თავი.

ამბობენ, ნიუ-იორკი ამერიკა არ არისო! იქნებ ასეცაა. რაც არ მიყვარს, სწორედ ეს კოსმოპოლიტური გარემოა. ამერიკულ დროშებს აფრიალებენ, მაგრამ მათი გულები ხშირად სულ სხვაგან სცემს. დედამინის ყველა კუთხიდან გუშინ და გუშინწინ ჩამოსულები გულზე ხელს იბრაგუნებენ, ამერიკელები ვართო, თუმცა ფესვები სხვაგანა აქვთ და იმათ ვერ მოსწყვეტიან.

თუმცა იქნებ ნიუ-იორკი არაფერ შუაშია! მე არ მიყვარს ეს უწყვეტი, შაკიკისმომგვრელი ხმაური, დღე და ღამ რომ ყურში ზრიალი გააქვს და ვერსად ვემალები. ნაგავი და ხმაური, ეს ხომ ყოველი მეგაპოლისის სატკივარია. შეიძლება, გავცილდე ქალაქს, სადმე მთიან აპდეიტში, იქ არის ნამდვილი ამერიკა, ტყიან-გორაკიანი, გამჭვირვალე, სუფთა ჰაერით და სიმშვიდით პირთამდე გალიცლიცებული...

მიყვარს-არმიყვარს საბოლოოდ ერთ ნიშნულამდე დადის: იქ, საქართველოში ყოველი გოჯი მინა ჩემია, აქ — არაფერია ჩემი!

ჩემი ცხოვრება ჩემი ზღაპრეთია. მუდამ ჩაკეტილ საზღვრებს ვეხლებოდი შუბლით. ეს ამბები აღწერილი მაქვს ავტობიოგრაფიულ წიგნში „მე როსინანტი!..“ არ მეგონა სამოცი წლის ასაკშიც თუ მომიწევდა ახალგაზრდული ავანტიურის აგორება. ის კი მოვახერხე, კანადის ახალგაზრდა კონსულს ტკბილი ენით თავგზა ავუბნიე და მეუღლესთან ერთად მონრეალს მივაშურე. თბილისიდან რომ გავფრინდით, ეტყობა, წნევამ ამინია და თავი მისკდებოდა. მთელი

გზათეორი ნისლის გარდა არაფერი მინახავს. მხოლოდ ამსტერდამის თავზე გამოანათა და ზევიდან დავხედე კრამიტის სახურავებს, შუა საუკუნეების სტილის სახლებსა და სწორ ქუჩებს. ექვსი საათი უნდა გვეყურყუტა აეროპორტში, რომელიც უფრო სავაჭრო კომპლექსსა ჰგავდა. ფული ცოტა მქონდა და არაფრის ყიდვას მე აქ არ ვაპირებდი, მაგრამ წიგნის მალაზიაში რომ შევეხებტე, თავი უფრო ამტკივდა. მძიმე წონის წიგნებმა გამაოცა, სულ ოქროთი და ვერცხლით მოთხიპნილებმა. მაპატიონ იმ საპატივცემლო წიგნებმა და ქუჩის ქალებს მივამსგავსე, კლიენტის ყურადღების მისაპყრობად კაბის კალთას რომ აიქაჩავენ და მუხლისთავეებს გამოაჩენენ. ეს წიგნებიც თითქოს მეძალებოდნენ, ფულს ნუ დაინანებ, კარადას გაგილამაზებთო.

ოკეანის თავზე მზე კუდში მოგვდევდა, ქვევით კი ნისლი ეფინა და ვერც წყლის სივრცე ვნახე, ვერც გრენლანდიის ყინულოვანი ზედაპირი, მხოლოდ ლაბრადორის ნახევარკუნძულის ღორღიანი და უკაცრიელი ადგილები თუ გაკრთებოდა ღრუბელთა ნარღვევებიდან.

ბოლოს მზე გაგვექცა და გაჩახჩახებულ მონრეალში აღმოვჩნდით.

ლამაზი, ფრანგულენოვანი, მაგრამ მაინც ამერიკულ-კანადური ქალაქი... ტრადიციული დაუნთაუნი, თავისი ცათამბჯენებით... ზამთრის პირზე ცათამბჯენების სახურავებზე ორთქლი იბოლქვებოდა, ქარხნის მილებს მაგონებდა... გორაკის თავზე წამომართული დიდებული ტაძრიდან ქალაქის ფართო პანორამა იშლება, შორს, სამხრეთისაკენ წმინდა ლავრენტის მდინარე ვერცხლისფრად ბრწყინავს, ზედ გადატყორცნილი ხიდებით ხელის განვდენაზეა მეზობელი სახელმწიფო, საითკენაც ყველა არაღეგალი მისწრაფვის. ერთი ქართველი ყმანვილი გადაიპარა ლამებნელში და ქაობში გაეჩხირა. კიდევ კარგი, პოლიციელებმა მიუსწრეს და გადაარჩინეს.

მე კი ვქირაობ მავან რუსს, ვოვას. ვსხდებით მისი სატვირთო თრაკის კაბინაში და მივექანებით შოლტივით გაჭიმულ გზატკეცილზე (ჰაივეიზე), მონრეალიდან დასავლეთისაკენ. კაი ათასობით მაილი გავირობინეთ. ირგვლივ წინვოვანი ტყეები და ვრცელი ნახნავებია. რუსეთს მაგონებს, მაგრამ რუსეთში სადაა ასეთი გზე-

ბი, ასეთი ფერმები, პატარა, ლამაზად მოწყობილი ქალაქები. ლამით გადავკვეთე კანადის უდიდესი ქალაქი ტორონტო. ისეა ყველაფერი გაჩახჩახებული, თვალეში ვერ ვიხედები და უმჯობესია არცა ვთქვა, რომ ტორონტოში ვყოფილვარ.

სულ ცოტაც და წინ საზღვარია. კაბინის სიღრმეში საძინებელი კუბეა და ჩვენ მის სიღრმეში ვიმალებით. ჩვენი თრაკი ნელი თუხთუხით ჩერდება. ვოვა გადადის, რათა მესაზღვრეებს საბუთები უჩვენოს. ათიოდე წუთი გასუსულები ვიცდით. აგერ ფეხის ხმა მოისმა. ახლა რომ მავანმა შემოიჭყიტოს და ალერსით მომიხმოს — „ჭიტა-ა, ჯ.ქ., აქა ხარ?!“ — ხომ გამისკდა გული. მაგრამ ამერიკელი მესაზღვრეები მიმნდობნი არიან, ვოვასი სჯერათ, პაციოსანი ქართველი მწერლისა კიდევ უფრო და გზა იხსნება, ნახევარი საათიც და დეტროიტში ვართ...

დეტროიტში კი გამითენდა, მაგრამ ჩემი ცოდნა ამ ქალაქზე იმაზე მეტი არ გამხდარა, ვიდრე ეს თბილისში მქონდა და ნებისმიერ ენციკლოპედიაში ამოიკითხებოდა. უპირველესად, ვნახე სუპერმარკეტი, რომლის მსგავსნი ამერიკის ყველა კუთხე-კუთხულში ბლომდაა და რომლის ავტომატიდან ყავა ვერაფრით ჩამოვისხნი. ვნახე პოლიციელის მანქანა და გული ამიკანკალდა, ახლა ხელს მტაცებენ-მეთქი. მოგვიანებით გავიგე, რომ ტყუილუბრალოდ ამერიკელი პოლიციელი ქუჩაში არ გაგაჩერებს. ვოვამ მობილურით ტაქსი გამოიძახა და ვიარეთ გარეუბნების მიხვეულ-მოხვეული გზებით. შორიდან დავლანდე ქარხნის კორპუსები, რაც მიდასტურებდა, რომ ინდუსტრიულ ქალაქში შემოვხებტე. ეს იყო და ეს!.. მომცრო ავტოსადგურში ბილეთები ავიღეთ და მთელი დღე ვიმგზავრეთ რამდენიმე შტატის გავლით ნიუ-იორკამდე... პროვინციული ამერიკის პეიზაჟები... შორი-შორ მიმოფანტული ფერმები, პატარა ქალაქები, რომელთაც ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებ... მხოლოდ კლივლენდი დამამახსოვრდა, რაკი ქალაქის ისეთი უბნები გადავკვეთეთ, რომელთაც ევროპული არქიტექტურული სახე შეინარჩუნეს...

მეგაპოლისის სიახლოვე ადრევე ვიგრძენი, უამრავი გზები ერთიერთმანეთს კვეთდა... მერე ტყიანი გორაკები აღარ გათავდა. უცბად სინათლის ნიაღვარში შევევარდით. უგრძელეს გვირაბში ჩავყავით თავი. ვერც გავიგე, რამდენი კილომეტრი გავიარეთ მინისქვეშ და ვხედავ, დიდი შენობის სარდაფის ბაქანს მივადექით... მოგვიანებით გავიგე, რომ ეს უზარმაზარი შენობა ბასსტიეშინია, ე. ი. ავტობუსების სადგური 42-ე სტრიტზე, რომლის უამრავ სართულზე ავტობუსები სარტყელივით გზებით ადიან მგზავრთა მისაღებად...

გავიხედე, ჩემი ვაჟიშვილი მორბის. წინ გაიგდო ჩვენი ბარგი და გასასვლელისკენ გაგვიძღვა. ქუჩისპირას მანქანაში გველოდებოდნენ ჩვენი მეგობრები — ალექსი და რიმა დუნაისკები. ცოტა ადრე ამათ პატარა ბრიანას ზრდიდა ჩემი მეუღლე და შინ, თბილისში რომ დაბრუნდა, რიმა ტელეფონით ხშირად გვიკავშირდებოდა და ყურმილში ტირილს იწყებდა.

უკვე ღამის ორი საათი იყო, გზები კი მაინც გადატვირთული ჩანდა. სარკმლიდან, ერთი მხრივ, ბუმბერაზი შენობების ქვედა სართულებს ვხედავდი, მეორე მხრივ, ისტ-რივერის ვრცელი ზედაპირი ვერცხლისფრად ციმციმებდა.

ბრუკლინის ხიდზე გადავედით და მასპინძლებმა მცირე ხნით მანქანა გააჩერეს. აქედან გადაიშალა მანჰეტენი, მირიადი ნათურით აკამკაშებული ცათამბჯენების მთელი ჯარი, რომლის ანარეკლი ჰუძონისა და ისტ-რივერის ზღვასავით ფართო შესართავში ირეკლებოდა.

ცათამბჯენებს თავზე წამოსდგომოდა ორი ბუმბერაზი ნაგებობა — ტყუპისცალი, რომელთაც ყველაზე მაღალი თანამომძიებელი შუა სართულებამდე ძლივსა სწვდებოდნენ.

ვიცოდი, ოდესმე ერთ-ერთის სათვალთვალო ბაქანზე ავიდოდი და იქიდან გავხედავდი მეგაპოლისს აპსტიეტიდან ვიდრე ოკეანამდე. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი გამიცუდდა...

ასეთი სურვილი, ცხადია, ყველას გაუჩნდებოდა, ვინც კი ნიუ-იორკში ჩავიდოდა. არც მე ვიყავი გამონაკლისი. ექსკურსია გამიჭიანურდა, დღეს-ხვალემ დრო წაილო, და ამასობაში 11 სექტემბერიც დადგა.

ბრუკლინში ვიყავი, 73-ე სტრიტზე, ჩემს მომცრო „სტუდიოში“ და მანჰეტენიდან ცაზე გრძლად გაჭიმული კვამლისა და მტვრის ღრუბელი ვიხილე... მეტი არაფერი!.. დანარჩენი, ისევე როგორც ყველამ, ტელეეკრანმა მიჩვენა და შავ სიზმრად ჩამყვა.

ეტყობა, არ მწირავს ცით უფალი. ვიღაცას ჯერ კიდევ სჭირდება ჩემი უმაქნისი სიცოცხლე, რაკი იმ დღეს და იმ საათს არ დაემთხვა სურვილის აღსრულება და იქ არ აღმოჩნდი. აკი მინდოდა ერთ-ერთის სათვალთვალო ბაქნიდან თავი მეგრძნო უკიდევანო ავიამზიდის ცხვირზე, თუ წარმოვიდგენდი, რომ მთელი მანჰეტენი ავიამზიდა და მისი დაუნთაუნი ჰუძონისა და ისტ-რივერის შეერთებით წარმოქმნილ ყურეს მიაპობს ოკეანისაკენ... ტყუპების წვერიდან მოყურადე ადამიანი მართლაც დარწმუნდებოდა, რომ დედამინა მრგვალია და თუ არსებობა გვწადია, მას უნდა მოვუფროთხილდე.

წარმოსახვითაც მიჭირს წარმოვიდგინო ჩემი თავი ერთ-ერთი კომპის თავზე. აი, ხელები გავშალე და ოკეანიდან მონაბერი ნიავი ტანზე პერანგს მიფარფატებს. ვგრძნობ, რომ კომპი მიცურავს და მასთან ერთად მთელი მანჰეტენიც. ოკეანიდან წამოსული თეთრი, ფუმფულა ღრუბლები თითქოს უძრავად ჰკიდია, ჩვენ კი, მეც და მეგაპოლისიც ოკეანისკენ ვმოძრაობთ...

ძირს დახედვისაც მეშინია, რადგან მეთქვას სართულს ავცდი და აქედან ადამიანები ქიანჭველებად ჩანან, მანქანები — ხოჭოებად. მიდლთაუნის ბუმბერაზი ცათამბჯენები დაჩიავებულან, რომ არაფერი ვთქვით დაუნთაუნის სამოცსართულიან კომპებზე ანდა ჩაინათაუნის ხლართებზე, აღმოსავლური ქალაქების ჯუნგლებს რომ მოგავგონებენ... ნიუ-ჯერსის სანაპიროსთან აქედან სანთელივით ჩანს თავისუფლების მონუმენტი, ხოლო მარცხნივ ჯერ ბრუკლინის, მერე — სტეიტენ-აილენდის მწვანე ნაპირები... შორს, ოკეანის

სივრცეში მშვიდად მიცურავენ დიდი-დიდი გემები, ისე ჩანან, ადგილზე გაყინულანო... ცაში ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან მოფრინავენ ავილაინერები... აგერ ერთიც და აგერ მეორეც!.. რატომ მოგუგუნებენ ასე დაბლა, აქ ხომ დიდი ქალაქია და ავილაინერების ხმაური გვანუხებს... ერთი აქეთ მოფრინავს! ალბათ თავზევით გადამივლის და მისი გრიალი ყურთასმენას წაიღებს!.. არა, შიშს არ ვგრძნობ, რადგან ადამიანი ეჩვევა დიდი ქალაქის ხმაურს... როცა გადამიფრენს, ხელს დავუქნევ... პილოტის კაბინის შუშები სხივებს ირეკლავენ და შიგნით მყოფთა სახეები ვერ გამირჩევია... ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება? ავილაინერი პირდაპირ კოშკისაკენ მოფრინავს... უკვე გვიანია, გეზს ვეღარ შეცვლის... ისმის ხმა ჯოჯოხეთური აფეთქებისა. უზარმაზარი ტარანი კორპუსის ტანში შედის, ირგვლივ ყველაფერი ზრიალებს, იატაკი ისე ქანაობს, სახელურებს ვებლაუჭები, რათა მოაჯირს მიღმა არ გადავფრინდე... სადღაც ქვემოთ ცეცხლი და კვამლი ტრიალებს... გზა დაკეტილია... ლიფტები გაიჭედა... იმედი მაინც ბოლოს კვდება!.. იქნებ ვერგმფრენი მოფრინდეს და ვინც სახურავზე ვართ, ისინი მაინც აგვიყვანონ... მეორე თვითმფრინავიც მოფრინავს, მეზობელ კოშკში შეგრიალდება... ისევე აფეთქება, ზრიალი... მე ვხედავ ფანჯრებზე გადმოკიდებულ ადამიანებს, სართულებიდან გადმოცვენულ ადამიანებს... ჩემს თვალწინ სამყარო ილუპება, თუმცა ჯერაც ვერ გამიგია, რომ მეც ვილუპები... და უცებ, ფეხებიდან იატაკი მეცლება... ყველაფერი ვარდება და მეც სხვებთან ერთად... „ააა!“ — უსიტყვო კივილი ყელიდან ამოდის... სულ რაღაც წამები მიფრინავ მტვრისა და ნამსხვრევების ღრუბლებში... არაფერი ჩანს, გარდა მირიადი ნამცეცისა, ყოველი ნამცეცი ჩემკენ გასროლილი ტყვიანა... მერე არაფერი ვიცი!.. იქნებ შიშისაგან გული გამიჩერდა და ვეღარ მივხვდი, როდის დაიფლითა ჩემი სხეული, როგორ გადაიქცა იგი მტვრად და ღრუბლად... ჩემი სული კი გაფრინდა ცის ლაჟვარდისაკენ!

იმ დღეს მე იმდენჯერ მოვკვდი, რამდენჯერაც თვალი დავხუჭე!

ამ ხმაურს ვერსად გაექცევი. თავდაპირველად ერთიციცქნა სტუდიო მეჭირა ბერგენ-ბიჩში, 73-ე სტრიტზე. მანქანების უწყვეტი გუგუნე აქ შორიდან თუ აღწევდა, უფრო ამ უბნის მანქანებისა. ამიტომაც შედარებით მყუდრო უბანი იყო. ოლონდაც, დილაუთენია მოვიდოდა ნაგვის უზარმაზარი მანქანა. ატყდებოდა ძრავის ღმუილი და ძარაზე ნაგვით გატენილი ცელოფნის „ბეგების“ რახარუხი, დასაპრესი დანადგარის ღრჭიალი... ცხადია, ძილი გამექცეოდა! მოგვიანებით ბერიჯზე გადავსახლდით. მესამე სართულზე სამი მომცრო ოთახი გვეჭირა. აქაც ვებრძოდით ხმაურსა და ტარაკნებს... რამდენიმე თვის შემდეგ ახალი ბინა გავიჩინეთ, ჯვისა და ოუშენ-ავენიუს გადაკვეთაზე. თავიდან არც გვიფიქრია, სად შემოვდიოდით, რაკი შედარებით ხალვათად ვენყობოდით. მთელი თვე ვხეხეთ და ვღებეთ, ადამიანის საცხოვრისს დავამსგავსეთ და ღამე რომ ბალიშზე თავი მივდე, მეგონა, მანქანები ზედ ყურებზე გრიალით გადამდიოდა. ხმაურიცაა და ხმაურიც! მეგაპოლისის მთელი ღირსება და ნაკლი აგერაა: მსუბუქი მანქანების ნაკადი არასოდეს კლებულობს, ისმის განუწყვეტელი თუხთუხი და პიპინი... ავტოებიდან დღემუდამ გრიალებს რეპი გინდა, ესპანური მელოდიები, ინდური და ჩინური ფოლკლორი, არაბული ბაიათები... ამას როგორმე გავუძლებ, მაგრამ ჯეიზე ორი საავტობუსო მარშრუტი გადის, ოუშენ ავენუზე მესამე. გაჩერებები პირდაპირ ფანჯრებქვეშაა. ოცდაოთხი საათი მოძრაობენ კომფორტული, დიდგაბარიტიანი ავტობუსები და მათი ძრავები აფრიკული დოლების ხმას გამოსცემენ. ბარე რამდენჯერმე აუტანელი რახრახითა და ჯანჯლარით ჩაივლიან სატვირთოები. ზოგი იმსიგრძეა, მოხვევა უჭირს, ზოგზე ერთბაშად ორი ათეული მსუბუქი ავტო დევს და მიაქანებს... პოლიციის, სასწრაფო, სახანძრო, უშიშროების მანქანები მთელი ღამე ისე გაჰკვივან, იფიქრებ, ომი იწყებო.

მიკვირს, ჩემს პატარა შვილიშვილებს — მარიამსა და დეა-ბელას როგორღა სძინავთ ამ აურზაურში. მე კი ღამე ორმოცდაათჯერ მეღვიძება და დილით იმას ვფიქრობ, ნუხელ მეძინა თუ მომეჩვენა, რომ მეძინა... ყურში რომ ჩამკიოდა, ეს ნამდვილი ხმები იყო თუ სიზმარი შემახსენებდა იმ დროის ხმებს, წინა ცხოვრებიდან, როცა ჯოჯოხეთში გამოვიარე.

ჩემი სტუდიო მტკავველა ეზოში იყო, ორსართულიანი სახლის მიწისპირა სართულზე. პატრონმა, წარმოშობით პოლონელმა ემიგრანტმა, ეტყობა გარაჟისაგან გამოაცალკევა და სამას ორმოცდაათ დოლარად მოგვაქირავა. ამაზე იაფ ქერს ამ ქალაქში ვერავინ იმოვიდა. ერთი წაგრძელებული ოთახი იყო. ძლივს ეტეოდა ჩემი საწოლი, გასაშლელი ტახტი, მაგიდა, ტელევიზორი კარადაზე, მუსიკალური ცენტრი... კარის ხელმარჯვნივ გამოყოფილი იყო ადგილი სამზარეულოსათვის, იდგა მაცივარი, ელექტროლუმელი, პურის მოსახუხი, კერძის გასაცხელებელი... ხელმარცხნივ, ოთახს გამოეყოფოდა ვიწრო დერეფანი, რომლის ბოლოს ტუალეტი და შხაპი თავსდებოდა. მოკლედ, ღარიბულად, მაგრამ სრული კომფორტით მოვეწყვე.

ცხოვრობდი განმარტოებით, სახლის პატრონს ორიოდ სიტყვით თუ ვესალმებოდი. მეზობლად, ჩემი კარის პირდაპირ, მეორე სახლის სტუდიოს კარი მომჩერებოდა. იქ ორი ქალბატონი იდგა, იქნებ დედა-შვილი, იქნებ დები, ერთი უფრო ასაკოვანი, მეორე არცთუ ახალგაზრდა. მთელი კვირა გასუსულნი ცხოვრობდნენ, მათს ხმას ვერ გაიგონებდი. სამაგიეროდ, შაბათობით ჰქონდათ გაბმული ქეიფი. ჩართავდნენ მუსიკას, უფრო ქანთრის, აყოლებდნენ ხმებს და ვილაც ყრუჩუნა ბიძები ბანს აძლევდნენ. რაც მეტს სვამდნენ, მით მეტს გაჰკიოდნენ, ყურთასმენა არ იყო, მაგრამ ზუსტად თორმეტ საათზე ისეთი მდუმარება ჩამონვებოდა, თითქოს თვითონაც ელექტროჩამრთველზე იყვნენ ჩართულნი და გამორთესო. მეორე დილით უმცროსი თავჩაღუნული მიტუსტუსებდა „ვალბაუმისაკენ“ და მე ვესალმებოდი: „ჰელოუ, ჰაუ არ იუ!“ „თენკ იუ!“ — მპასუხობდა და გარბოდა.

რამდენიმე სახლის მიღმა დუნაისკები ცხოვრობდნენ, ალექსი და რიმა. ჩემი მეუღლე ამათი პატარების აღმზრდელი იყო, ჯერ ბრიანასი, მწყაზარი, გამჭვირვალე, სერიოზული გოგონასი, ჩემი ჩასვლის შემდეგ კი დაიბადა აბიგელი, ღონიერი, დაუდეგარი, ჩხუბისთავი... რა თქმა უნდა, დას რომ წამოენია.

მოგვიანებით, როცა სხვაგან გადავსახლდით, ყოველ შაბათს აბიგელი იწყებდა ღნავილს:

— ნატელუ ხოჩუ-უ!

რიმა-დედიკო აწყნარებდა, სად უნდა წაგიყვანო, ნათელა ხომ სამსახურშიაო.

— ა დჟემალი ვედ დომა-ა! — მოთქვამდა აბიგელი.

ნათელას სიყვარულის თბილი ტალღები ჩემზეც გადმოჰქონდა...

ალექსი ერთი კარგად მოსული ვაჟკაცი იყო, ბეტონშიდზე მუშაობდა. სანამ დარი იდგა, სამუშაოც თავზესაყრელი ჰქონდა, მაგრამ ზამთრობით მშენებლობები წყდებოდა და უმუშევრობის 600 დოლარს იღებდა კვირაში. შინ იმით ერთობოდა, ჩავიდოდა ბეისმენდში, კომპიუტერზე მიერთებულ ელექტროპიანინოს მიუჯდებოდა და განწყობისდა მიხედვით მელოდიებს „თხზავდა“.

სალამობით ცოლ-ქმარი კიბის თავზე ისხდნენ, მაღალი ჭიქებით ცივ ჩაის წრუპავდნენ და სიგარეტს აბოლებდნენ.

მერე ალექსის ძმაც გამოჩნდებოდა, ედიკა. თავის მომხიბლავ გელფრენდს — ნენსის მოასეირნებდა. დიდი სიყვარულობანა ჰქონდათ, მაგრამ ედიკას გული სხვა გელფრენდებისაკენ იწვედა და ნენსიმ არ აპატიო, ახალ ბუდეში გადაფრინდა... ედიკამ არ დააყოვნა, ვილაც გავასქელი და დაჭორფლილი გოგონა სუფრაზე გვერდით მოისვა და გაიცანით, ჩემი გელფრენდიაო.

ამ დროს ზუსტად ამათ ოჯახს ვსტუმრობდი, გემრიელ ებრაულ პურმარაღს ვაგემოვნებდი. მე ეს გელფრენდი საშინლად არ მომეწონა, მაგრამ ვინ მკითხავდა, როცა ედიკას დედიკოს, კაბალისტიკაში ღრმად განაფულ ქალბატონს ეს ცვალებადობა შვილის ამურული გატაცებებისა არც გაჰკვირვებია და არც არაფრად ჩაუგდია. ასევე აუღელვებელი იყო ედიკას მამიკო, სიმპატიური, ზომიერი აღნაგობის ებრაელი, პროფესიით ოქრომჭედელი. ამან ერთხელ თავის სახელოსნოში წამიყვანა მე-60 სტრიტზე. არ მახსოვს რომელ სართულზე ავედი. მე მეგონა ამ ცათამბჯენებში ხალხი ცხოვრობს-მეთქი, თურმე ათასობით მომცროსი საკუჭნაოში სხედან ასეთი ოქრომჭედლები და უკაკუნებენ. განმანათლეს, ეს უბანი მსოფლიოს ოქროს ბიზნესის ცენტრიაო...

ჩვენი უბანი კი, ისტ-73-ე, არაფრის ცენტრი არ იყო. აქა-იქ მოწყენილი მოხუცები თუ იდგნენ. ჩემი მწირი ინგლისურით დაველაპარაკებოდი, ოღონდ სიღრმეებში, ცხადია, ვერ ჩავეძიებოდი.

თანდათან ვითვისებდი აქაურობას, მეზობელ სტრიტებსა და ავენიუებზე დავსაყრდენობდი. ძირითადად ერთნაირი სტილის ორი და სამსართულიანი სახლები იდგა, ყველა მათგანი თითქოს განსხვავებული იყო, მაგრამ ჯამში ერთფეროვანი. შორიდან კიბეების ერთნაირი მწკრივი ჩანდა, ერთნაირი გაზონები, ბუჩქები, ხეები...

ერთხელ მძლოლს ვუთხარი, 73-ეზე წამიყვანე-მეთქი, ის კი დამავინყდა, დამეზუსტებინა, „ისტი“, ე. ი. აღმოსავლეთი მინდა-მეთქი, რადგან „ვესტიც“, ე. ი. დასავლეთიც არსებობდა და უბრალოდ 73-იც. ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ ბრუკლინის სულ სხვა ბოლოს აღმოვჩნდი, ზუსტად ისეთი უბანი იყო, ისეთივე სახლები, კიბეები, გაზონები, ოღონდ საკუთარი სახლი ვერ ვიპოვე... ასეა, აქ რომ მოძრაობ, ქუჩების არითმეტიკას უნდა მიადევნო თვალი.

თავდაპირველად ჩვენს სტრიტს რომ ავენიუ ჭრიდა, იმას მივადექი და რას ვხედავ: მსხლის რიგი აყვავებულა, თეთრად დაპენტილა. ზუსტად თანაბარი ზომის მსხლები ავენიუს შუაში გასდევს და შორიდან მომავალ ავტოს რომ გახედავ, იფიქრებ, თოვლის ფანტელებში მოძრაობსო.

„აუჰ, წელს რამდენი მსხალი გვექნება!“ — გუნებაში გავივლე. მალე ყვავილების თეთრი ფოთლები ძირს დაეფინა და ფრჩხილისოდენა ნაყოფი გამოიღო. ველოდე და ველოდე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ბოლომდე ასეთები შერჩნენ — ფრჩხილისოდენანი და შხამივით მწარენი. არც დამნიფებულა, ისე ჩამოცვივდა.

მივხვდი, გენეტიკურად სახეცვლილი ჯიში იყო, დეკორატიული მსხალი, მსხალი-დეგენერატი...

თუ ჭკვიანი ხარ, ფული რატომ არა გაქვს? — ასე ფიქრობენ ამერიკელები. ყველაზე უარესი, რაც შეიძლება ამერიკაში დაგე-მართოს, სამუშაოდან დათხოვნაა, თუმცა უმუშევარს ისეთი შემწეობა ეძლევა, ნახევარი წელიწადი უპრობლემოდ იცხოვრებს. ჩემი მეგობრის უჯუმის ქალიშვილი სვეტლანა პროგრამისტად მუშაობდა და ოცნებობდა, ნეტავ გაზაფხულზე სამსახურიდან დამითხო-

ვონ, ექვსი თვე ვიმოგზაურებ და კარგადაც გავერთობიო. აუხდა კიდეც ეს ოცნება!

რა თქმა უნდა, ამგვარი კანონები არალეგალისათვის არ დანერჩილა. ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის კაცი არც არავის სჭირდება. დგანან ეგერ ბირჟაზე, ჩამოივლის ვინმე ლიპიანი ბიძა და შეარჩევს ახალგაზრდას და ჯანიანს... გაჩნდა ჩვენს მეზობელ სინაგოგაში დამლაგებლის ადგილი, კვირაში სამას დოლარად, ეს წელში განყდებაო და აღარ ამიყვანეს. ერთი თვის ჩასული ვიყავი, ორმოცი დოლარი თოვლის ახვევით ვიშოვე. ოჰ, თოვლიანობა აქ მთელი პრობლემაა! რადიო და ტელეარხები ისეთ ამბავში არიან, თითქოს წარღვნა გველოდებოდეს. არიქა, შტორმი გვიახლოვდება და მზად იყავითო. ამერიკელები პანიკაში არიან, დარბიან სუპერმარკეტებში, იმარაგებენ სურსათს (მერე, ცხადია, ნაგავში გადაუძახებენ!), ცდილობენ ნაკლებ იარონ საკუთარი მანქანებით... მოყინულ გზებზე ისედაც უჭირთ სიარული, დიდი პროფესიონალები ესენი არ არიან, რადგან მანქანას ყველა ატარებს, ღრმა მოხუცებულიც და უწლოვანიც...

და აი შტორმიც მობრძანდა. ფაფუკი თოვლი ლამაზად ბარდნის, მსუბუქად ეფინება ქუჩებს, ხეებს, სახურავებს, გზისპირას დაპარკინებულ მანქანებს და ნაგვის „ბეგებს“ ... მოულოდნელი, ყრუ სინყნარე სადგურდება...

თოვა შეწყდება და ეს თეთრი მშვენიერება წუთში შეილახება. უნდა გაინმინდოს ტროტუარები, კიბეები, გზის სავალი ნაწილი...

მეზობლის ქალი მეუბნება, ეგერ, კუთხის სახლში პოლონელი ვექილის ოფისია, გარაჟიდან მანქანა ვერ გამოჰყავსო. გარაჟის წინ, სულ რაღაც ათიოდე კვადრატულ მეტრზე მტკაველნახევარი თოვლი დევს.

ვექილმა ამხედ-დამხედა, გული ხომ არ განუხებსო, მკითხა. ორმოცი დოლარი გამოიმინოდა და თან მთხოვა, ნუ აჩქარდები, თავს ძალა არ დაატანო, არ გადაიღალოო...

ერთ საათში მოვასუფთავე იქაურობა...

კვირაში ხუთ, მოსაწყენ დღეს ჩემს სტუდიოში ვატარებდი. ხანდახან დუნაისკებთან თუ გადავიდოდი ანდა მეუღლე შემოირბენდა კერძის გასაკეთებლად. ახლოს ბიბლიოთეკაც იყო (ყველგან, სადაც არ გადავედით, ბიბლიოთეკა აუცილებლად არსებობდა). ჯერ ჩემი შვილის მაგნიტური ბარათით ვსარგებლობდი, მერე მეც გამიკეთეს და ეს საბუთი ქალაქის ყველა ბიბლიოთეკაში ჭრიდა...

დილითვე სავაჭრო ცენტრში გავრბოდი. მრავალთაგან ერთი უზარმაზარი „ვალბაუმი“ იყო, სადაც შეიძლებოდა ყოველნაირი სურსათის შეძენა, რაც კი ადამიანის ფანტაზიას მოაგონებოდა.

ერთხელ ინგას, ჩემი ოჯახის მეგობარს, რომელიც სადღაც დასაკარგავში, სტიეიტენ-აილენდის ბოლოს ცხოვრობდა, ვკითხვე: ასე შორს როგორ ძლებ-მეთქი... საიდანო, — კითხვა შემობრუნა. იგულისხმა, რომ აქ ყველა უბანი ერთნაირია და დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სად ცხოვრობ, ეს სავაჭრო ცენტრები ყველგან ერთნაირად მოგემსახურება. ცხადია, თუ მაინცდამაინც მეტროპოლიტენ ოპერის გვერდით არ მოგესურვა ცხოვრება.

„ვალბაუმი“ სურსათთან ერთად ვყიდულობდი გაზეთებს. უამრავი რუსულენოვანი გაზეთი გამოდის. მე უფრო „ნოვოე რუსსკოე სლოვოს“ ვეჭანებოდი. „ნიუ-იორკ თაიმსი“ სამი დოლარი ღირდა და თავს ვიკავებდი, თუმცა ხშირად ვპოულობდი ხან ავტობუსში, ხან მეტროს ვაგონში... ყოველდღიურ „დეილი ნიუსს“ კი ისედაც კართან მიგდებდნენ. ამასთან, ტელეეკრანზე ასამდე პროგრამა მქონდა, უმთავრესად, ერთფეროვანი და უინტერესო... ერთი ისეთი პორნო-პროგრამაც იყო, ყურებად არ ღირდა... მოკლედ, თავს ვიტენიდი ათასნაირი პოლიტიკურ-კულტურულ-ერზაც სისულელებით...

შაბათ-კვირას დიდი სტუმრიანობა მქონდა. ჩემი შვილების მეგობარი გოგო-ბიჭები ქალაქისა და მეზობელი შტატებიდან გვეწვეოდნენ. როგორც წესი, გოგონები ბებისიტორებად მუშაობდნენ, ვაჟები, უმთავრესად, სამშენებლო კომპანიებში ანდა ტაქსისტებად. გოგონები, შაბათ-კვირაობით ისვენებდნენ და, აბა, სად უნდა წასულიყვნენ. მარტოსულის ეს პატარა ბუდე უმალ დიდი ოჯახად გადაიქცეოდა.

ყველაზე უნინ ანი მ. მობაკუნდებოდა ცენტრალ-პარკის მიდამოებიდან, იქ ერთ წვნიკა, მონითურო პანანას უფლიდა, და მსოფლი-

ოში ყველაზე ლამაზ ბავშვად ერეცნებოდა. ტანკენარი, ლამაზი და ფიცხი, მუდამ ცელოფნებით დატვირთული გამომეცხადებოდა. ვუნყრებოდი, თვითონ ამ ხილსა და წვეწებს არ მიირთმევ და რას მოათრევ-მეთქი. სხვები ხომ მიირთმევენო, ღიმილით მიპასუხებდა.

მერე იამზე მოგვადგებოდა ნიუ-ჯერსის რომელიღაც პატარა დასახლებიდან. — ქართული სტილის გოგონა, ერთგული და ფაქიზი.

გოგონებში ყველაზე უმცროსი, სახიერი, თბილი და ზრდილი შორენა მოვიდოდა, ხანდახან იაც მოჰყვებოდა, მისი დეიდაშვილი.

ბოლოს, ჩემი თეკუნა და ნაირა, ცხვირპაჭუა, ქერა, ცქრიალა, დედა რუსი ჰყავდა და ეტყობოდა კიდეც. ესენი სადღაც ოკეანის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, თანაც მეზობლობდნენ. თეა სამ ბავშვს უფლიდა, ნაირა — ორს. ისეთი ანგელოზები ჰყავდათ, მათ ფოტოებს თვალს ვერ ვაშორებდი. სამწუხაროდ, თეას სამეუღლს მკურნალობა სჭირდებოდა, ყველაზე პატარა ბიჭუნას ყოველდღიურად ინსულინს უკეთებდნენ. ირგვლივ კი უღრანი ტყეები იყო და ირმები ფანჯრებთან ძოვდნენ.

ჩემი სტუდიო გამოცოცხლდებოდა... ვაჟიშვილი და მისი ძმაკაცობაც მოვიდოდნენ ავენიუ ემიდან. იქ ჩვენი ბიჭები ერთად იკრიბებოდნენ ხოლმე — ორი დათო რუსთავიდან, ვასიკო, ვანო, თენგოც ამათ ემატებოდა. ბოლო წლებში გრძელი გიორგი და კიდეც სხვებიც... მოგვიანებით, როცა ავენიუ ჯეზე გადავბარგდით, სულ სამი ბლოკი გვაშორებდა ემთან და ხან ჩვენთან ვიყრიდით თავს, ხან ბიჭებთან. იმათ თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ და თავიანთი კურორტებიც.

ტოპრაკაშვილმა დათომ სამსახურიდან სპორტული შტანგა მოათრია. არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რამდენი შრომა დასჭირდა ავტობუსის გაჩერებამდე მის მითრატყვას, მის ატანას, ჩატანას, ბინის კარამდე მითრევას. იატაკზე რომ დააგდო, ეგონა, სახლი მიწისძვრამ შეატორტმანაო.

ცოტათი რომ შეისვენა, ვარჯიშს შეუდგა. ხუთი-ექვსჯერ ასნია და ზურა ნინუას სთხოვა: მესხაძე რომ მოვა (ისიც დათო!), უთხარი, რომ ეს შტანგა ათჯერ ავნიე.

დაბრუნდა მესხაძე სამსახურიდან, ნახა შტანგა. ზურამ მოახსენა, ეს შტანგა ტოპრაკამ ათჯერ ასწიაო. მიადგა მესხაძე, შტანგა თერთმეტჯერ ასწია და თავი მიანება.

მეორე დღეს, დასვენებაზე, ტოპრაკაშვილმა შტანგა ათჯერ კი ასწია, მაგრამ ნინუას სთხოვა, მესხაძეს უთხარი, რომ ეს შტანგა ამჯერად თხუთმეტჯერ ასწია-თქო.

მოვიდა მესხაძე, გაიგო, რომ ტოპრაკამ შტანგა თხუთმეტჯერ ასწია. მიადგა, თექვსმეტჯერ ასწია და თავი მიანება.

მესამე დღეს კვლავაც იგივე გამეორდა. ტოპრაკაშვილმა თხუთმეტჯერ კი ასწია, მაგრამ მესხაძეს უთხრეს ოცჯერ ასწიაო.

მიდგა მესხაძე და ოცდაერთჯერ ასწია.

გაცხარდა ტოპრაკაშვილი.

— შე მართლა ვირო, ერთით მეტს რომ ამატებ, ბარემ ბოლომდე დაიხარჯე და გვიჩვენე, რამდენიც შეგიძლია!

— მეტი საჭირო არ არის! — მშვიდად უპასუხა მესხაძემ.

მოკლედ, ჩემს სტუდიოში მოგვიანებით მეუღლეს შემოგვემატებოდა, იშვიათად — დუნაისკებიც. თემური, აჩიკო და ძმანი მისნი მოგვადგებოდნენ ნიუ-ჯერსიდან. გვიან ღამემდე გრძელდებოდა პურის ჭამა, სიმღერა, ჭორი, კამათი... ასე გრძელდებოდა მთელი შაბათი და მთელი კვირა... ღამე მე ჩემს სანოლში მეძინა... გოგონებს, ყველას ერთად, გაშლილ ტახტზე... კვირას დაიფანტებოდნენ მომავალ პარასკევამდე... საქართველოდან კი წამოვედით, მაგრამ ერთი დღეც არ დავრჩენილვართ უსაქართველოდ...

12

ჩემთვის არავის სცალია, თვითონ უნდა მოვიცალო საკუთარი თავისათვის და ქალაქის შესწავლას უნდა შევუდგე. 73-დან მეტრომდე არცთუ ახლოა, „ქიუ“ მარშრუტს ვგულისხმობ („იუ“ უფრო ახლოსაცაა, მაგრამ მე იმთავითვე ქიუს შევეწყვე). მოვთავსდები ვაგონის ფანჯარასთან და მივექანები მანჰეტენისაკენ. ადრე ეს ლიანდაგი თურმე ბრუკლინის რკინიგზის კომპანიას ეკუთვნოდა, მერე ქალაქმა გამოისყიდა და ზედ მეტროს მატარებლები გაუშვა. გზა ძირითადად აკვედუკზე მიდის, მეორე ან მესამე სართულის სიმაღლეზე და ფანჯრიდან მხოლოდ კოტიჯების სახურავებს და წითელი აგურის ბილდინგებს ვხედავ. გზის გასწვრივ, სახლების კედლები, ბეტონის მოაჯირები და, როცა გვირაბში შევგრიადდებით, მისი კედლებიც მოხატულია (უფრო სწორად, მოთხიპნილია) ე.წ. შავკანიანთა ფოლკლორით. სულ ერთნაირი ფიგურებია, ვერ ვხვდები მუშტებსა ჰგავს თუ მამაკაცის გენიტალიებს... ჩემი ნება რომ იყოს, ამის ავტორებს ყურებს ავახვედი. არადა, ზოგან ისეთ

მიუწვდომელ ადგილებზე ასულან, გაკვირვებისაგან პირს დაალებ... ბრუკლინის მიდლთაუნიც მალღივი შენობებითაა სავსე, თუმცა, ცხადია, მანჰეტენს ვერ შეედრება... თუ მატარებელი გვირაბით წავიდა, განსაკუთრებულს ვერაფერს ნახავ, მაგრამ თუ ბრუკლინის მრავალსართულიან ხიდზე გადის, მაშინ რკინის კონსტრუქციებს მიღმა წყლის ლიცლიცა სივრცეა და მანჰეტენის ცათამბჯენების დიდებული ხედი გაირბენს...

მინისქვეშა სადგურები და გადასასვლელები დიდი მომხიბლაობით არ გამოირჩევა. ხანდახან ისე ცხელა, ლამისაა გული წაგივიდეს... 42-ე სტრიტის სადგურებზე და გადასასვლელებზე მოხალისე არტისტები ნაირ-ნაირ წარმოდგენებს მართავენ. ერთი ტიპი მუდამ ვერცხლისფრად შელებილ კიბერმანქანას განასახიერებს. სხვები მღერიან, უმთავრესად რეპს ან ქანთრის, ბრეიკდანსს ცეკვავენ... ვინ რისი გიჟიცაა, იმას ასახიერებს!

კოლუმბის მოედანზე ამოვდივარ, რადგან ამ ადგილას ცენტრალური პარკის კუთხეა, მე კი გადაწყვეტილი მაქვს თავდაპირველად „Sentral-park-ი“ მოვინახულო. გავხედე მაღალ სვეტზე შემდგარ კოლუმბს და პარკის გასწვრივ წავედი ვესტიდან ისტისაკენ. ეს ყველაზე ფეშენებელური კვარტლებია ქალაქისა. პარკს უზარმაზარი ტერიტორია უპყრია და ირგვლივ კედლად ჩამწკრივებულან ცათამბჯენები. აქ ბინის ფასი... ოჰოჰო... თქმაც მიჭირს, მაგრამ მზერას თუ ააყოლებ, ცათამბჯენების თავზე სემირამიდის ბალებს აღმოაჩენ.

დავსეირნობ პარკში, უამრავი ხალხი მიდი-მოდის, თამაშობენ, ერთობიან, მდელიზე განოლილან მზის აბაზანის მისაღებად, ირგვლივ ტბები და ტალღოვანი გორაკებია... ტურისტები ცხენის ეტლებით მოგზაურობენ... იქ, სადაც მთავარი კარიბჭე მეგულება, სამი ცხენოსანი ფიგურაა კონტინენტის ლიბერტადორებისა — ბოლივარის, სან-მარტინისა და ხოსე მარტისა. პოეტი-განმათავისუფლებელი გაჭენებული ცხენიდან გადმოხრილა და მიწისპირიდან შლაპას იტაცებს...

ასე ჩავისეირნე მე-5 ავენიუმდე და სამხრეთისაკენ დავუყევი. ეს ავენიუ განთქმულია თავისი მდიდარი მაღაზიებით, ხანდახან კი ირლანდიელთა მსვლელობებით. ვიტრინებს ვათვალიერებდი, მაგ-

რამ ჩემი ჯიბის პატრონისათვის შიგ შესვლას აზრი არა ჰქონდა და სიფათზე „საშაპინგო“ განწყობილება ნამდვილად არ მეხატა.

სანამ 42-ემდე ჩამოვალწვედი, ფეხები დამანყდა. აგერ საჯარო ბიბლიოთეკაც, მაღალი კიბე და ზედ, კუთხეებში დაღრენილი ლომები... ნიგნის ქურდებისაგან თუ იცავენ.

დაფუყევი 42-ს, ყველაზე სახელგანთქმულსა და ჭრელს. ძლივს მივლასლასდი თაიმს-სკვერამდე, ე. ი. 42-ისა და ბროდვეის გადაკვეთამდე. ეს მუდამ აკამკაშებული სარეკლამო სივრცე ხშირად გვინახავს ტელეეკრანზეც და კინოშიც, იგი ნიუ-იორკის სახეა. საღამოობით მართლაც შთამბეჭდავია ზღვა ფერების კასკადით, მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ სისადავე უფრო მხიბლავს. ეს ცადატყორცნილი მინის მონსტრები, რა თქმა უნდა, მაოცებს, მაგრამ ერთი სული მაქვს, როდის ჩავაღწევ მეტროს ვაგონამდე, რომ ფანჯარასთან მივჯდე და შინისაკენ გავქანდე, იქ კი ჩემს ტახტზე ნამოვგორდე და ფეხები ზევით შევანყო...

არც ისე იოლია ამოდენა ქალაქის ფეხით შემოვლა...

თავდაპირველად მგ ზავრობა მეტროთი და ავტობუსით დოლარნახევარი ღირდა, მერე ორი დოლარი გახდა. მე-3 მარშრუტის ბოლო გაჩერება ჩემი სტუდიოდან რაღაც სამას მეტრში იყო. აქედან ბრაიტონამდე ავტობუსით მგ ზავრობას ორმოცი წუთი მაინც ვუნდებოდი. ბრუკლინი მთლიანად უნდა გადამეკვეთა. ვიჯექი ფანჯარასთან და გავყურებდი უკვე ჩვეულ ხედებს, არცთუ ორიგინალურ სახლებს, ბაღებს, წყლის ყურეებს... ზაფხულობით ამ ავტობუსებში ისე ციოდა, თან ჟაკეტი დამქონდა, ზამთრობით კი ისე ცხელოდა, ყველა ღილს შევიხსნიდი... იქ, სადაც მე-3 მარშრუტი ბრაიტონისაკენ გადაუხვევდა, ოუშენ ავენიუდან მომავალ 49-ზე უნდა გადავმჯდარიყავი და ის რამდენიმე წუთში მიმიყვანდა ვრცელი ყურის პირას ხალვათად გადამლილ კინგსბოროუ კოლეჯამდე, რომელიც ნიუ-იორკის უნივერსიტეტს ეკუთვნოდა. დიახ, ასაკი შევიბრუნე, სტუდენტებში ჩავენერე და, მართალია, ჩემს კლასში ჭაღარა თავი მხოლოდ მე მქონდა, ჩემი ამხანაგები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ და შინაურულად „ჯიშს“ მეძახდნენ,

ანდა „ჯიშალს“, რადგან ჩემი სახელის მეორე ასო ინგლისურად „ი“-დ იკითხება.

მე რომ საამისო ნიჭი მქონდეს, ინგლისურთან ჩემს ურთიერთობაზე ცალკე იუმორისტულ წიგნს დავწერდი. სიყმანვილის დროს რამდენჯერმე ვცადე ერთი-ერთზე შეებრძოლებოდი ამ უცნაურ ენას, მაგრამ სიზარმაცე ანდა ჩემი ფანტაზიის სხვა საოცნებო მხარეებისაკენ გაჭენება ხელს მიშლიდა. იმ დროს, როცა მე ინგლისურს მასწავლიდნენ, თვითონ ესპანურს ჩავეჭიდე და მწვერვალები არა, მაგრამ გორაკიანი მხარეები კი დავიპყარი, თუმცა ამერიკაში ჩასულმა აღმოვაჩინე, ერთი ამოხვეტილიყო მეხსიერებიდან და მეორეც. ამიტომაც კანადელ მესაზღვრესთან სასაუბროდ ჩემმა ტვინმა სამად სამი სიტყვა გაიმეტა: „აი დოუნთ ანდესთენდ!“ იმანაც გამომაჯავრა, თუ არც ინგლისური გესმის, არც ფრანგული, აქ შენი რუსული ვის რა ჭირად უნდაო.

ჰოდა, სამოცი წლის ყმანვილის შემართებით შევუდექი მეცადინეობას. ელემენტარული რამეები კი გამახსენდა და პირდაპირ მეორე „ლეველზე“, ე. ი. მეორე საფეხურზე დამსვეს. თითო „ლეველი“ კვარტალს მოიცავს და დავიტრაბახებ, რომ ხუთი ლეველი დავძლიე, ტვინში იმდენი ინგლისური ჩალაგდა, სქელტანიანი ბეტსელერების კითხვასაც შევუდექი, თუმცა ვერ დავიფიცებ, რომ ყველაფერი გამეგებოდა, რასაც ვკითხულობდი. სატლიკინო ინგლისური კი ვერა და ვერ ავითვისე, ამ მხრივ ჩემმა შვილებმა და მათმა მეგობრებმა, რომელთაც ბეტსელერებისაკენ არც მიუხედავთ, შორს გამასწრეს და ერთმანეთში ჭორაობას რომ გააბამდნენ, არც მესმოდა, რაზე საუბრობდნენ (ჩემი მომავალი რძალი, კახელი გოგონა ზრდილობიანად მთხოვდა, თუ შეიძლება, „ფეიფერთაუერი“ მომანოდეთო. მადლობა ღმერთს, უკვე ვიცოდი, რომ მაგიდის გადასანმენდი ქალაღი იგულისხმებოდა).

რაკი სამსახური არაფერი მქონდა, კვირაში ორი დღით გასტუდენტება მეხალისებოდა კიდეც. საქმეში ვიყავი, რა! ისე გავთავხედდი, რომ „ჰარი პოტერის“ პირველი წიგნები და „ბექდის მბრძანებლის“ შესავალი წიგნი (ეს ის ნაწილია, სადაც სობიტი ბილბოს მოგზაურობა და ბექდის პოვნა აღწერილი, ძირითადი ტრილოგია ფროდოზე მერე იწყება) ისე წავიკითხე, თითქოს ეკალბარდებში გზას მივიკვლევდი და ეკლებზე საკუთარ ხორცის ნაგლეჯებს ვტოვებდი, ცხადია, ნახევარი ძლივს მესმოდა...

ჩემს სტუდენტურ ამხანაგებში, ყველანაირი რასისა და ფერის 20-იოდე წლის გოგო-ბიჭებში თეთრი ყვავივით კი ვჩანდი, მაგრამ იმით ვერთობოდი, რომ რომელიმე ლათინურამერიკელ ყმანვილ გოგონას გაბრიელა მისტრალის საბავშვო ლექსის სტრიქონს ნავუმღერებდი — „ტენგო უნა ვაკა ლეჩერა...“ (მყავდა მენველი ძროხა...), ანდა გარსია ლორკას „სი მუერო...“ (როცა მოვკვდები...), ანდა ინტერნაციონალური ბრიგადების — „ლა მუხერ დე მუსოლინი, უმპარა-უმპარა...“ (მუსოლინის ცოლი და ა.შ.)...

ეს მაინც ნაძალადევი მხიარულება იყო, საკუთარი ასაკი სევდას მგვრიდა და სანაპიროზე, ქვაზე ჩამოვჯდებოდი, წყლის ლიცილიცა ზედაპირს და გაღმა კუნძულებს გავყურებდი. აქედან ჩანდა ვაშინგტონის ხიდი ქვინსისაკენ... სანაპირო სავსე იყო ზღვის თეთრი ფრინველებით, ზომით რომ ბატებს აღემატებოდნენ, ისმოდნა მათი ყაშყაში, ყრანტალი, კივილი...

ასეა თუ ისე, იმდენი ვისწავლე, გაქცეულს მოვაბრუნებდი და ამ უზარმაზარ ქალაქში არ დავიკარგებოდი...

ჩამოსვლის შემდეგ უპირველესად ბრაიტონზე გავისეირნე. ჯიბეში ავტობუსებისა და მეტროს მარშრუტების რუკები მედო და გზა არ ამებნეოდა. ერთი ჩვეულებრივი ქუჩაა, შუაში, მეორე სართულის სიმაღლეზე მეტროს მატარებელი დაგრიალებს, ქუჩის თავსა და ბოლოს მეტროს სადგურებია, ამათ შორის, ტროტუარების გასწვრივ მაღაზიები და რესტორნები ჩამწკრივებულია. ასეთი სავაჭრო ქუჩები ბრუკლინში უამრავია, მაგრამ ბრაიტონი იმითაა გამორჩეული, რომ აქ შეიძლება ასი წელი იცხოვრო და ინგლისურად სიტყვაც არ იცოდე. ეს პატარა რუსეთია ნიუ-იორკში, აქ მაღაზიებში უმთავრესად რუსული წარმოების პროდუქტები იყიდება, კიოსკებში ადგილობრივი და რუსეთიდან ჩამოტანილი რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთები. აქვეა წიგნის უზარმაზარი მაღაზია „სანკტ-პეტერბურგი“ და კიდევ ორი სხვაც, სადაც მხოლოდ რუსული წიგნები და კასეტები იყიდება, ძირითადად ჩამოტანილი, მაგრამ ადგილობრივი გამოცემებიც.

ერთხელ, უკვე მოგვიანებით, ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში შევეხეტე და ერთი დაბალი, ქერა, ჩეხოვური წვერ-ულვა-

შით დამშვენებული რუსი გავიცანი. მითხრა, გამომცემლობა „ლიბერთის“ მფლობელი ვარო და ქუჩის გაღმა, თავის ოფისში გადამიპატიჟა. ორიოდე ოთახი, ძირითადად, საკუთარი რუსულენოვანი გამოცემებით ჰქონდა სავსე. თავდაპირველად, სანამ მოსკოვიდან წიგნის ნაკადი დაიძვრებოდა, ემიგრანტების ხარჯზე ბლომად ფული აკეთა, ახლა კი კონკურენციას ვერ უწევდა უფრო იაფ და ხარისხიან მოსკოვურ წიგნებს და მივხვდი, იმიტომაც გადამიპატიჟა, იქნებ ორიოდე წიგნი შეიძინოს...

წიგნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თვლა არ იყო ადგილობრივი რუსული გაზეთებისა. ერთხელ „რუსკი ბაზარში“ შევაბიჯე. გამოცქირილდა ერთი თვალ-ტანადი ქალბატონი, მობრძანდით, დაბრძანდითო, ყავა მომართვა, მე მდივანი მეგონა, ის კი მფლობელი და რედაქტორი აღმოჩნდა — ნატაშა ნახალკოვა... აქვე მაგიდას უჯდა ერთი ზორბა ქართველი ვაჟკაცი, გვარის დასახელებისაგან თავს შევიკავებ, შინ, თბილისში, საკმაოდ ცნობილი სპორტული ტელეჟურნალისტი იყო და ეკრანიდან არ ჩამოდიოდა, აქ კი იძულებული გახდა ტვინი ეჭყლიტა ნახალკოვას ბიზნესის სასარგებლოდ. ერთი-ორი წერილი და სტატია მეც დავწერე, ცხადია, რუსულად, მაგრამ ჰონორარი იმდენი ავიღე, მეტროს ხარჯად ძლივს მეყო და თავი დავანებე — სულაც არ მაინტერესებდა, ჩემი სახელი გამოჩნდება თუ არა აქაური გაზეთის ფურცელზე, ეს ხომ იგივე სასაფლაოა, დღეს არის, ხვალ არაა...

ბრაიტონი ძირითადად რუსი ებრაელების ხელშია, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქართულიც მესმოდა. ნიუ-იორკის არალეგლობა ძირითადად აქ იყრიდა თავს, ზოგს იაფფასიანი თავშესაფერი მოეწყო, ზოგს სამსახურის საძებნი სააგენტო, აქედან ფულის გაგზავნაშიც დაგეხმარებინა... ოღონდაც, აქა-იქ გზასაცდენილი ახალგაზრდების გამოციებულ სიფათებსაც წაანყდები...

ბრაიტონის პარალელურად, ასიოდე მეტრზე გაჭიმულია ბრაიტონ-ბიჩი, ე. ი. პლაჟი, სანაპირო. ფართო ფიცარნაგიდან იწყებოდა თეთრი და ცხელი, მზით გაბრწყინებული ქვიშნარი. აქ, ყოველ საღამოს სპეციალური მანქანებით სუფთავდებოდა პლაჟის ქვიშა. ტალღიანობისას პოლიცია ხალხს საბანაოდ არ უშვებდა, სხვა დროს კი მობანავეებით სავსე იყო აქაურობა და, ბუნებრივია, უფრო რუსული ჟივილ-ხივილი ისმოდა, ვიდრე ინგლისური...

ამ პლაჟზე დავდიოდით მე და უჯუში, ზუგდიდელი კაცი და ამერიკის მოქალაქე...

უჯუში ზუგდიდელია, 19 წლისა ოდესაში გადაბარგდა (რაკი „უჯუშის“ რუსული ენა ვერ ხარშავს, სახელად რუსებისთვის „ოლეგი“ შეირჩია) და შეუდგა ცხოვრების მონყობას. ახლაც, სამოცდაათის მიჯნაზე, ყველაფერზე უფრო ზუგდიდი და ოდესა უყვარს. პირველიდან მეგრული სურნელება, ხასიათი და დაუვინყარი ძმაკაცები შერჩა, მეორეგან — „ბიზნესი“, ქალები, რუსულ-უკრაინულ-ებრაული მეგობრები... ოდესა ხომ ისედაც გამორჩეული ქალაქია, აქ მშვენივრად შეიძლება თუნდაც წიგნის ბიზნესის, იმ დროს „სპეკულაციის“ აწყობა. ცოლად ლამაზი ებრაელი ქალი შეირთო და ერთი გოგონა — სვეტლანა გაუჩნდა. არ ვიცი, ბავშვს რა პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ქალი რომ გაინევს, ორი უღელი კამეჩი ვერ გააჩერებს. არ უნდოდა უჯუშის ოდესის დატოვება, ცოლი კი იძახდა, ბავშვს მკურნალობა სჭირდებაო. დაყიდეს ყველაფერი ჩალის ფასად და ებრაელთა იმ პირველ ნაკადს გაჰყვნენ, ბრეჟნევის დროს საბჭოეთიდან რომ მოუსვა. ოღონდ, აღთქმულ მიწას შორეული ამერიკა არჩიეს, „დიდი ვაშლის ქალაქში“ დასახლდნენ (ასე აპიარებენ ამერიკელები ნიუ-იორკს). აქ ნულიდან უნდა დაეწყო ყველაფერი! მართალია, ბავშვს არანაირი დაავადება არ აღმოაჩნდა, მაგრამ უჯუშის გაუჭირდა ახალ ცხოვრებასთან შეგუება და ცხელ გულზე ცოლს გაშორდა.

ცხოვრობს ახლა სახელმწიფო ბინაში, მოხუცებულობის მცირე პენსიით, არ შია, არ წყურია, დადის ჯიპის ტიპის კომფორტული მანქანით, მაგრამ დღესაც მისტირის თავის ზუგდიდსა და ოდესას, ხოლო მისი სალანძღავი თემაა ამერიკა და რუსეთი... სხვათა შორის, საოცარია ადამიანური უმადურობა, მაგრამ ამერიკა სავსეა რუსეთიდან გადმობეჭნილი კომუნისტური ნომენკლატურით, რომელთაც ამერიკა ისე ინახავს, ცივ ნიავს არ აკარებს, აჭმევს, ასმევს, უფასო მედიცინას და მომვლელს ახმარს, მაგრამ ესენი როგორც მოსკოვიდან ლანძღავდნენ მათს კეთილისმყოფელ ბურჟუებს, აქაც შხამსა და ბალღამს ანთხევენ, დავინყებულები აქვთ, რომ

სამშობლოში აქამდე შიმშილისა და უნამლობისაგან ფეხებს გაჭიმავდნენ. ეს უჯუშის, ცხადია, არანაირად არ ეხება, ამას თუ ამერიკა შემოელანძღება, მხოლოდ იმიტომ, რომ აქაური წეს-ჩვეულებები და ბიუროკრატია გულზე არ ეხატება და ყოფილი ცოლის გადამკიდეს მცირე დოზით ანტისემიტური წიაღვლები ანუხებს, თუმცა იმ ქალთან, შვილის დედასთან, დღესაც კარგი ურთიერთობა აქვს და ეხმარება კიდევ. მეორე ცოლი კი რუსია, ესეც სვეტლანა, თბილი და მეგობრული არსება, მაგრამ როცა უჯუშის რუსული იმპერიული პოლიტიკა არ მოეწონება, პუტინს ველარა სწვდება და სვეტლანას გაიგდებს სალანძღავად, სანამ ქალიც არ დაინყებს რუსების დაცვას, რუსია და რა ქნას...

რაკი სერიოზული ბიზნესი არა აქვს, ბენზინის ფულს იმით შოულობს, თავისი მანქანით პატარები მიჰყავს სკოლაში ან ბაღში. ერთ ხანს ბრიანა და აბიგელი დაჰყავდა და ჩემი ცოლი ჩააგებებდა ხოლმე. აქ გაიცნეს ერთმანეთი და, როცა გაიგო, ამ სახლში მავანი ზუგდიდელი ცხოვრობსო, გამოიხმო, მანქანაში ჩამისვა და მთელი დღე აღმა-დაღმა მატარა, თან აშკარად ტკბებოდა მეგრულითა და ზუგდიდელი ნათესავ-მეგობრების მოგონებით... კაცმა ცხრაშვიტისამ დატოვა მშობლიური მხარე, სახელიც კი შეიცვალა, იცხოვრა რუსულ-ებრაულ გარემოში, მერე ინგლისურიც ისწავლა (რუსის კვალობაზე, ისინი ხომ „ჰელოუს“ ნაცვლად „ხელოუს“ ამბობენ), ბუნებრივია, რომ ქართულიც იცოდა, უყვარდა პოეზია, უფრო რუსული, ქართველთაგან აკაკის ლექსები უფრო მოსწონდა, ალბათ სისადავის გამო, მაგრამ ყველაფერ ამასთან, იგი დარჩა მეგრულ ენობრივ სამყაროში, თავის ბავშვობაში, რომელსაც, რაც არ უნდა გაექცე, ვერ მოწყდები...

ოთხი წელიწადი ვიმეგობრეთ. შევეცადეთ პატარა მეგრული გარემო შეგვექმნა, ღომსა და ქათმის ბაყეს ვაგემოვნებდით... სულუგუნი ნაკლებად გვექონდა, აქაური არ მოგვწონდა და სამშობლოდან ძღვნად გამოგზავნილს ვიზოგავდით... ნარდის კამათელს ვაგორებდით, ოღონდ ზომიერად, ხუთჯერ მოგებამდე... ბრუკლინის პლაჟზე ვეყარებით, ის კარგად ცურავდა, მე არცთუ კარგად... მე მისთვის სამშობლოს ნაწილი ვიყავი და როცა დაბრუნება გადავწყვიტე, თვალზე ცრემლი მოერია, მზერა ამარიდა და მითხრა: „ჩემთვის შენი წასვლა ცუდია, მაგრამ შენთვის აუცილებელია შინ

დაბრუნება. ვიცი, აქედან თავის დაღწევა ძნელია, ვინც უცბად არ გადაწყვეტს, შეიძლება აქ ჩაძაღვდეს!”

შორია ამერიკამდე, მაგრამ უფუში ახლაც შემომეხმინება ხოლმე, ისევ სამშობლოს სანუხარი ანუხებს, ისევ ზუგდიდი და ოდესა ენატრება, თუმცა არაფერი იმ ამერიკაში არ აკლია, თავს მაინც გაციმბირებულად გრძნობს...

16

თემური, აჩიკო და მათი სანათესაო ნიუ-ჯერსის შტატში დაბინავდნენ, იქირავეს ბინები, შეიძინეს მანქანები და დაგრიალდნენ ნიუ-ჯერსის ლამაზ-ლამაზ გზატკეცილებზე.

ჩვენი პიკნიკები თემურის მოგონილია. პირველად მან დაგვპატიჟა ნიუ-იორკელებიც. პენსტივინიდან მატარებლები გადის სამხრეთის მიმართულებით, ნიუ-ჯერსის შტატის პატარა ქალაქებში. ეს დასახლებები, კოლონიური პერიოდის სახლებიც რომ შენარჩუნებული აქვთ, წყნარი და კარგად მოვლილნი, ძალიან მომწონდა, რადგან ნამდვილი ამერიკა სწორედ ესაა. სადგურზე თემური და მისი რაზმი მანქანებით გვხვდებოდნენ და მივყავდით საპიკნიკე ადგილზე. ჩვეულებრივ ეს იყო მომცრო მდინარის გასწვრივ გაშლილი ველი, ირგვლივ ტყიანი გორაკებით შემოსაზღვრული. აქ ჩვენაირებისათვის წინასწარაა მომზადებული მაგიდები, გრძელი სკამები, ტუალეტი, სანაგვეც და, ცხადია, ყალმებიც. ტყეში ფიჩხის მოგროვება იკრძალება და სამწვადედ ხის ნახშირი მარკეტებში უნდა გვეყიდა. თემური არავის ანებებდა მწვადის შეწვის რიტუალს. ამასობაში გოგო-ბიჭები სუფრას შლიდნენ, ჩიტის რძეც რომ არ გვაკლდა, ისეთი. ღვინო, უმთავრესად, კალიფორნიული გვექონდა, ხუთლიტრიან ბოცებში, წითელი გინდა თუ თეთრი, ტექნოლოგია უმაღლესი, თავს რომ არანაირად არ აგატკიებს.

ისმოდა ახალგაზრდული ჟივილ-ხივილი, ზოგი ტყეში დაძვრებოდა, ზოგნი ერთმანეთს წუნავდნენ, ფეხბურთს თამაშობდნენ... უფრო „სერიოზული“ ხალხი სუფრას ვუსხედით. თამადად, რაკი ერთადერთი ჭალარა ვიყავი, მე მირჩევდნენ. სმით ველარ ვსვამდი, მაგრამ ენას საკმარისად ვასარსალებდი. ჩემი ბიჭი ორი ჭიქის

შემდეგ დგებოდა და გვემსახურებოდა, ხან მწვადი მოჰქონდა, ხან წყალში ჩაციებული ღვინო... ღვინის სმა პიკნიკებზეც იკრძალება და ერთხელ პოლიციელი წამოგვადგა, კარგადაც მიირთვა ჩვენებური კერძები და ისე გამობრუნდა, მანქანამდე ძლივს მივათრით. ჩვენთვის მთავარი იყო ლამაზი სადღეგრძელო და სიმღერა. ქართული სუფრის უპირველესი ღირსება ხომ ესაა! სადღაც შორს, დედამინის მეორე მხარეს საშუალება გეძლევა გული გაუხსნა შენს ახლობლებს, შენი სიხარული და ტკივილები გაანდო, სამშობლოს მოეფერო, ნოსტალგიის გრძნობა ქართული ღიღინით დაიამო... ყელის ჩახლეჩამდე ვმღეროდით... ჩემი მომავალი სიძე-ბატონი კახა არ ეშვებოდა თავის სოლოს — „მახინჯი ვარ, მახინჯი...“

ბოლო პიკნიკი აჩიკოს დაბადების დღეს დაემთხვა. არტრიტი მანუხებდა და წესით არ უნდა გამეხედა, მაგრამ მანქანით მომაკითხეს და წავედი.

ძალიან შორს გავემგზავრეთ. ვრცელი ველის ბოლოს ბუნგალო იდგა. მინდორს ირგვლივ ტყის კედელი ერტყა. ტყის გასწვრივ ირმის ჯოგი ძოვდა. უფრო შორს, ველის კიდეზე თეთრი ყანჩების ლეგიონი იდგა.

მანქანიდან ბუნგალომდე ხელჯოხით მივალწიე.

ვიჯექი ერთ ადგილას და პატარა დეა-ბელას ვეთამაშებოდი. ის ისევე ყურადღებით მათვალეირებდა და ცდილობდა პირველი სიტყვა „ბა-ბუ“ წარმოეთქვა.

უკან, მანქანისკენ ღამე-ბნელში ვბრუნდებოდი და ბალახში ფეხები დამისველდა. ამიტომაც ორი კვირა უყავარჯნოდ ბინაშიც ვერ ვმოძრაობდი.

ეს ჩვენი პიკნიკები ჩვენი პატარა საქართველოა!

და თუ საქართველოა, ყველაფერი ისე უნდა მოეწყოს, როგორც საქართველოში.

ნიუ-ჯერსელმა ძმობამ ცალკე კოტეჯი იქირავა, ვერ გაიგებ, სოფელია, ქალაქია... მშვენიერი ეზო-კარი კი ჰქონდათ. შემოდგომაზე მარკეტებში ბლომად ყურძენი შეიძინეს და ღვინო დააყენეს, თითქმის ტონა-ნახევარი. ბეისმენდში ჩამომწკრივდა ოცდაათლიტრიანი ბოცები, რომლებშიც თეთრი და წითელი ღვინო კამკამებდა. ჭაჭისაგან არაფერი გამოხადეს, სამოც ლიტრამდე იქნებოდა და ანი ქეიფს არ უჩანდა ბოლო...

იკვრება ქართველთა წრე, მაგრამ მემამბოხეც გვირეცია.

აგერ, ტყის ბილიკზე ხელიხელჩაკიდებულნი მივსეირნობთ მე და რვა წლის ანი. ისეთი ტლიკინაა, ენას არ აჩერებს. ინგლისურად მიყვება, თუ როგორ დაარბია თავისი თანაკლასელები. ისე ჩქარა რატრატებს, ნახევარი არ მესმის, ოღონდ ვხვდები, რომ ანი მაგარი. ცხადია, კმაყოფილი ვარ, რომ ქართველი გოგონა კლასში ყველას „ურხევს“ და „აჩმორებს“, მაგრამ მე და ანის პრობლემა გვაქვს.

ტყისპირა პიკნიკზე ვართ. უფროსი ბიძიები ყალამზე მწვადებს აშიშხინებენ. ღვინის ბოცები, საზამთრო, ნესვი, ხილი და ნვენები ღელეშია ჩაცეხილი. გოგო-ბიჭები მხიარულად ტკარცალებენ. მე კი ანი ამკიდებია და მერამდენედ მიყვება, თუ როგორ ჩააგდებინა თანაკლასელ გოგონებს ენა, რომლებმაც მისი დაბრეყება სცადეს, თავზე როგორ დაახურა თანაკლასელ ბიჭებს, რომლებიც იმის ღირსნი ნამდვილად არიან, რომ თავმოყვარე გოგონებმა ყურები აახიონ. ყველაფერ ამას ისეთი გატაცებით ყვება, სმენად ღირს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაქართულად. ქართული, ცხადია, მშვენივრად იცის, მაგრამ ქართველობა აღარ უნდა და ახლა იმის არჩევანშია, რომელ ეროვნებას მიეკედლოს. ამ ეტაპზე, ვიცი, იტალიელები მოსწონს (აღბათ, კლასში სიმპატიური იტალიელი ბიჭის გვერდით ზის). რომ გავიზრდები, იტალიელი ვიქნებიო, მიმტკიცებს. ჯერ შენ პატარა ხარ, ქართველობის ფასი არ იცი, გაიზრდები და შემეხვევები, ქართველი ვიქნები, ტილიანი იტალიელობა არ მინდაო, ვუმტკიცებ. ნიძლავსა ვდებთ, თუ იმან წააგო, მე ისედაც მოგებულნი დავრჩები, რაკი ასეთი ენერგიული გოგო შემოგვემატება. თუ მე წავაგე, იძულებული გავხდები, ვაჩუქო სპორტული მანქანა (არ ვიცი, ნამდვილი თუ სათამაშო!), ვარდების დიდი თაიგული და სამი კილო მწვანე ვაშლი...

ოჯახურმა პარლამენტმა გადაწყვიტა, გვეყოფა ვინრო სტუდიოში ხარშვა, მოვძებნოთ უფრო კომფორტული ბინაო. აგერ ბერიჯზე ჩვენი ახლობლები ცხოვრობენ, ისინი აქირავებენ. რა თქმა უნდა, სამასორმოცდაათიდან ცხრაასამდე საკმაო სხვაობა, მაგრამ კაი ცხოვრება კაი ფული ღირს, ამერიკაში იაფი სიკვდილიც არაა.

ლელა, ჩიტვით პატარა, კოხტა, დაუზარელი და, რაც მთავარია, გონებაგხსნილი გოგონა სკოლის შემდეგ პირდაპირ ორ უმაღლესში ჩაირიცხა, უცხო ენებში და უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტზე. მერე მოუწია არჩევანის გაკეთება ერთ-ერთის სასარგებლოდ. ცხადია, დედამ რომ ამერიკაში წაიყვანა, ინგლისური ოდნავადაც არ უჭირდა და სამსახურიც ეგრევე იშოვა.

რა თვალთ შეხედა ამ იტალიელმა პატარა ქართველ გოგონას, ეს არ ვიცი. ასაკით, ცხადია, დიდი იყო, მაგრამ არა იმდენად, ვინმეს რომ გაჰკვირვებოდა. მანამდე ცოლი დაელუბა ავარიაში და დარჩა ორი ობოლი ბიჭუნა, იმდენად პატარები, რომ ერთს, სათვალისანს, თეთრგვრემანს, ბუნჩულა ჯუნორს თავისი დედა მხოლოდ ზღაპრად ახსოვდა, მეორეს — ვერცხლისწყალივით პირას (ჩვენებურად — პეტრეს) არც ეს ზღაპარი ახსოვდა და ორივემ შორეული საქართველოდან ჩამოფრენილი ცქრიალა, იტალიელივით შავგვრემანი არსება დედად მიიჩნიეს და ტკიპასავით მიეკრნენ. საკმარისი იყო, ახალი ბებისიტორი სახლიდან გასულიყო, პატარები ფანჯარას არ შორდებოდნენ, იმის შიშით, დედიკო არ დაგვიბრუნდებო და, როგორც კი დაინახავდნენ, სიხარულის ყყვირით სახლს აავსებდნენ. გულჩვილ იტალიელს თვალზე ცრემლი იმის დარდით ადგებოდა, ვაითუ ყმანვილი ბებისიტორი გაგვექცეს და პატარები მეორეჯერაც დამიობლდნენო... ეს ზღაპარი ისევე დამთავრდა, როგორც ყველა მსგავსი ზღაპარი, ქართულ-იტალიურ ოჯახში კიდევ ერთი ბიჭუნა გაჩნდა და ახლა უკვე გაამერიკანებულ-გაიტალიელებული დედიკო სამ ვაჟს უზრდის ჩვენს მეგობარ ამერიკასა და იტალიას...

ასე აღმოვჩნდით ბეი-19-ეს მყუდრო ქუჩის მესამე სართულზე, სადაც ვინრო კიბით ავდიოდით. აქ გვეჭირა სამი ოთახი, ერთი ძალზე პატარა, უფანჯრო და ცხელი, ორი საკმაოდ მოზრდილი — ქუჩისაკენ და ეზოსაკენ. მე, ცხადია, ისევე „ზალაში“ მეძინა, ტელევიზორის პირისპირ — ტელევიზორი ხომ ოჯახის უპირველესი წევრია.

უმალ ავითვისე ახალი უბანი. ქუჩის ბოლო ყურისპირა პარკში გადიოდა და შორიდან გავყურებდი ქალაქის ერთ ყველაზე შთამბეჭდავ და ლამაზ ნაგებობას, ვერაზანოს დიდ ხიდს, გადატყორცნილს ბრუკლინიდან სტიეტენ-აილენდისაკენ. ეს სახელი იმ პირველ იტალიელს ერქვა, ვინც ამ ველურ ნაპირზე ფეხი დადგა...

ამ ახალ ბინაშიც შაბათ-კვირას ტრადიციულად სტუმრიანობა და ხმაური გვექონდა... მე კი ხანდახან უკანა ეზოში ჩავდიოდი, იქ კედლის გასწვრივ უეკლო მაყვალი ხარობდა და სეზონზე მსხვილ-მსხვილ ნაყოფს ისხამდა...

გოგო-ბიჭების ამ ორომტრიალში ბუნებრივად გაიჩითა ჩემი მომავალი სარძლოც და სასიძოც... ლურჯ ჰორიზონტზე მომავალი ქორწილები მირაჟებივით ალივლივდა.

ამერიკიდან წამოსვლის წინ ლელამ და ონოფრემ თენკვივინგის დღესასწაულზე დამპატიჟეს. უფროსმა, უკვე წამოზრდილმა, ბუთხუზა ჯუნიორმა მომლოშნა, უმცროსი პირა გამოქანდა და ჩამეხუტა, ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბიჭუნაა, უმცროსი, მამის სეხნია ონოფრიო, პატარა მორგეს რომ ჰგავდა, უცხოდ მითვალთვალედა.

სუფრაზე იდო უზარმაზარი ინდაური, რომელიც საგანგებოდ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში, საკუთარ წვენი იბრანებოდა და დატენილი იყო რაგინდარა არომატული ხილით...

ზურაბ წინუა, ოპერის მომღერალი, არაჩვეულებრივი ბარიტონი და შესანიშნავი ადამიანი თავდაპირველად ემზე ცხოვრობდა, სხვა ბიჭებთან ერთად. მოგვიანებით ოჯახი ჩამოუვიდა, ულამაზე-სი ქალბატონი მანანა და გოგო-ბიჭი, თამთა და ჩემი სეხნია ჯემიკო (ნათლობით გიორგი). მესამე — ნუციკო, ორი წლისა ჩამოიყვანეს ამერიკაში, ახლა, ამერიკულ სკოლაში დადის და ამ ეტაპზე ქართულს ინგლისურით ამდიდრებს, ინგლისურს კი — ქართულით.

ზურა, რა თქმა უნდა, პროფესიონალია, ადრე „რუსთავში“ მღეროდა, მერე ჩვენი ოპერის სოლისტი იყო. აქაც, ამერიკაში, კლასიკური რეპერტუარით გამოდის კონცერტებზე და, სავარაუდოდ, წარმატებასაც მიაღწევს. მამიკოსთან ერთად ოჯახის ყველა წევრი მღერის. ზურასა და მანანასთვის მე ბიძია ვიყავი, პატარებისათვის — ბაბუ და მოწყენილობის ჟამს ხშირად მივრბოდი მათთან, მეტროს სადგურ P-ის მიდამოებში, მე-4 სტრიტზე, მესამე სართულზე. აქ მუდამ ჰქონდათ გემრიელი ქართული კერძები, პიანინო, ზურას

ბარიტონი, მშვენიერი ფონოტეკა... მანანაც და თამთაც არაჩვეულებრივად მღეროდნენ, მაგრამ ჯემიკოს ხმა ისე წკრიალებდა, ოჯახური კონცერტის მოსმენას ამქვეყანაზე არაფერი ჯობდა...

თამთა უკვე გაიზარდა, მალალი, აშოლტილი გოგო დადგა, ჰა და ჰა, სკოლას ამთავრებდა. ის და მისი თანაკლასელი გოგონა, ისიც ქართველი, ჩემი ხუმრობის პასუხად, აქაოდა ჯუღიეტას ასაკი მოგივიდათ-მეთქი, შემომჩიოდნენ, ჩვენ ქართველები ვართ, არა-ქართველი ბიჭები არ მოგვწონს, ქართველი ბიჭები კი რუს და უკრაინელ გოგონებს კუდში დასდევნო.

ჯემიკოს ტალანტებს კი ვინ ჩამოთვლის. კარგადაც სწავლობდა, ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა, მათი გუნდი შტატის პირველობაზე იქაჩებოდა, სიმღერაზე რომ არაფერი ვთქვათ. მანჰეტენის მე-4 სტრიტზე სერბული ეკლესიის მრევლად ვითვლებოდი, მთელი ქართველობა აქ იკრიბებოდა, და წინუების ოჯახი ქართულად გალობას რომ იწყებდა, ტაძარი ჭეშმარიტი ქართული სულით ივსებოდა. არაქართველი მაგალობლებიც გაინაფნენ, ქართულ გალობას ხმას აყოლებდნენ. ეკლესიის სერბი თუ რუმინელი მოძღვრები ინგლისურთან ერთად ამ დროს ლოცვას ქართულადაც ალა-ვლენდნენ.

ერთხელ ზურამ კონცერტზე დამპატიჟა. სადღაც ლონგ-აილენდის ბოლოს, ექვსი საათის გზაზე, იახტ-კლუბში ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია ტარდებოდა და ფიზიკის მსოფლიო ელიტისათვის უნდა ემღერა. გზაზე სულ ქართველთა ნიჭიერებაზე ვტრიალებდით, აიო, ზურა მეუბნებოდა, იქნებ იქ დვალის მოვიდეს, გაგაცნობო. ამ ახალგაზრდა ფიზიკოსზე ემიგრანტები ბევრს ლაპარაკობდნენ და მეც მაინტერესებდა. გადმოვედი მანქანიდან, მე წინ გავვარდი და კონფერენცდარბაზის შესასვლელთან ახალგაზრდას გადავეყარე. იგი ქართულად მეკითხება: „უკვე ჩამობრძანდით?“ მე დვალი მეგონა, მაგრამ უცებ გაირკვა, რომ ეს ზუგდიდელი ახალგაზრდაა, ალექო შენგელაია და შვეიცარიიდან ჩამოფრინდა. იქ ციურისის ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც ადრე აინ-შტაინი მოღვაწეობდა და ახლაც ორი ნობელიანტი ჰყავთ. უფრო მეტიცო, გაიცინა, ერთი ნობელიანტი ჩემს ქორწილში მყავდა ზუგდიდში ჩაყვანილიო...

ლამაზი კონცერტი მოვისმინეთ, ზურა არაჩვეულებრივად მღეროდა. მერე სუფრასთან ვისხედით ერთი მწერალი, ერთი ფიზიკოსი და ერთი ოპერის მომღერალი. თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, იმ წუთებში, ამ უზარმაზარ ქვეყანაში ჩვენ სიმბოლურად წარმოვადგენდით საქართველოს ჭეშმარიტ სახეს — ინტელექტუალურ ტრიადას — ლიტერატურას, მეცნიერებას, კულტურას...

ისევ ბინის პრობლემა გვაქვს, ვმრავლდებით და მეტი სიხალვათე გვჭირდება. ზურას და მანანას სურთ თავის კარის მეზობლად გვაქციონ, იდეაში ისიც კი გვაქვს, თუ აქ ჩავსახლდით, დღისით ნუციკოს და რამდენიმე ქართველ პატარას მე დამიტოვებენ, მაგრამ იდეა იდეად დარჩა, მეპატრონე უარზეა... მაშინ ჯეიზე მოვინახეთ, ოთხსართულიანი წითელი აგურის ბილდინგის მესამე სართულზე, ორბედრუმის ბინა, ე. ი. ორი საძინებელი და ერთი სასტუმრო ოთახი. ვინც ჩვენამდე აქ იდგა, ყელამდე სანაგვეში ცხოვრობდა. ჩვენ კი მთელი თვე მის ხეხვა-წმენდას და რემონტს მოვახმარეთ, საკმარისი ავეჯიც მოვიძიეთ, ზოგი ნაჩუქარი, ზოგი, უფრო იაფი, ნაყიდიც... ტოპრაკაშვილმა საკუთარი ხელით კარადა შეგვიჭედა და სამზარეულოსა და სასტუმროს შორის კარიც დაგვიკიდა. მოკლედ, ისე დავლაგდით, როგორც სერიოზულ ოჯახს ეკადრება... კარგი ტელევიზორი შევიძინეთ, კომპიუტერი. მეტი მე რაღა მინდოდა, მთელ დღეს კომპიუტერით თვალებს ვიფუჭებდი, ხან „კურიერი“, ხან „თავისუფლებათ“, ოციოდე ქართული ჟურნალ-გაზეთი, პოლიტიკური და ლიტერატურული სიახლეები... კითხვისთვის ბევრი დრო მქონდა, კალმისთვის ვერ ვიცლიდი...

ბინაში მარტო ვინ გაცხოვრებს, მით უფრო ძველებურ ბილდინგებში. აქ პატარა წრუნუნები დასუნსულებენ და უნდა ეომო, თუ არ გინდა, წვნიანის ქვაბში ჩაგიხტენ. ტარაკნებს კი, მოქალაქეობა, სამასი წელია გარანტირებული აქვთ. კვირაში ერთხელ შემწამლველი მოგვაკითხავს, თავის შხამიან სითხეს კუთხე-კუნჭულში მიასხურებს, მაგრამ, ეტყობა, მაგ უპატრონოს ჩვენი ამოჟუჟვა უფრო უნდა, რადგან წრუნუნებს სულაც ფეხებზე ვკიდი-

ვართ, ძირძველი ტარაკნები მასხრად გვიგდებენ და პანანა ტარაკუნებს ბლომად ამრავლებენ.

ზამთრობით ჩართავენ გათბობას. ბატარეები, ლამისაა, ჩემი სიმაღლის ჯართი, ორასი წლის მაინც იქნება, ქშინავენ, ორთქლს უშვებენ, ბურს აყენებენ. სუნთქვა თუ გინდა, ფანჯრები უნდა დაალო, ოღონდაც ქუჩიდან ისეთი ხმაური შემოდის, ძილის გარანტიას ვერავინ იძლევა. ზაფხულობით ცხელა, კონდიციონერის გარეშე ვერ გაძლებ. სამ ოთახს სამი კონდიციონერი სჭირდება. მე სასტუმრო ოთახში მძინავს. სასწრაფოდ შევიძინე კონდიციონერი და ეგრევე ფანჯარაში შევტენე, ის კი დამავინცდა, რომ სიმძიმის ცენტრი გარეთ იყო და, როცა ვაზომებდი, ეს მძიმე კონდიციონერი ხელიდან გამისხლტა და მესამე სართულის სიმაღლიდან პირდაპირ ბეტონის ფილაქანზე მოადინა ბრაგვანი. შიშისაგან კინალამ სული გამძვრა. კონდიციონერი ვისლა ედარდებოდა, ჩვენი ნერვებისდამწყვეტი, პუერტორიკოელი სუპერვაიზერი (ჩვენებურად, ალბათ, სახლის კომენდანტი), დღეში რომ ხუთჯერ იყო საცემი (ერთმა ქართველმა ყმანვილმა რამდენჯერმე უბრაგუნა კიდეც), იმ დროს რომ საპარადო კარიდან გამოცუნცულეულიყო და თავზე ჩამომხოვოდა, მე დღესაც ფედერალური ციხის პატიმარი ვიქნებოდი და ამ წიგნსაც იქ დავენერდი მონანიების სტილში. უფალმა დამიფარა ამ ხვედრისაგან და ფანჯარაში თავი რომ გავყავი, დავინახე, — რკინის ეს ყუთი უვნებლად გდია. სასწრაფოდ ჩავაგდეთ მანქანაში და უკან, მალაზიაში დავაბრუნეთ, ჩვენი ბინისათვის სუსტი აღმოჩნდა და უფრო ძვირში გადამიცვალეთ-მეთქი. გადამიცვალეს! კარგა ხანს რახრახებდა ჩემს ფანჯარაში. მერე თბილისში წამოვიღე. ვიცოდი, აქ დენის გადასართველი დამჭირდებოდა, მაგრამ ისეთი ძვირი აღმოჩნდა, მის ყიდვას აზრი არა აქვს და მიგდია კუთხეში, ვერც მომიხმარია და ნაგავშიც ვერ მომიხვრია...

ახალ ბინას ბევრი სიახლეც მოაქვს. სამი ავტობუსის მარშრუტით ბრუკლინის ნებისმიერ კუთხეში შემეძლო გამგზავრება. აქვე იყო მეტროს სადგური ჯეი-სტიეშინი. ნაირ-ნაირი მალაზიების რიგი, მოხერხებული ლანდრომატი (ე. ი. სამრეცხაო) და ტრადიციული ბიბლიოთეკა, დიდებისათვის პირველ სართულზე და პატარებისათვის — მეორეზე, რომლის დანახვაზე ბავშვობის მწირი წლები მენანებოდა.

აქედან შორს არ იყო ავენიუ ემი, ჩვენი ბიჭების თავშეყრის ადგილი, იოლი წასასვლელი იყო ზურასა და მანანასთან, უჯუშისთან, მოგვიანებით ინგასთან... და რაც მთავარია, ჩვენს ბილდინგში ქართველებიც ვმრავლდებოდით...

ახალ ბინაში გადასვლა ძლივს მოვასწარით და კარზე ტყემა-ლაძებმა მოგვიკაკუნეს. ჩვენ თუ ბინა მესამე სართულზე დავიქირავეთ, ესენი თურმე მეორეზე, ზუსტად ჩვენ ქვემოთ და ზუსტად ჩვენაირ ბინაში შესახლდნენ. ბატონი მერაბი და ქალბატონი ირინე, ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკოსები, ამათი გოგო-ბიჭი, გვანცა და ბაჩა, სულ მალე ამათ დაემატათ სიძე და სარძლოც... ასე რომ, ჩვენი დიდი ოჯახის მეზობლად ასევე დიდი ქართული ოჯახი გაჩნდა და, ბუნებრივია, სწრაფად აენყო ქართული მეზობლურ-მეგობრული ურთიერთობანი, როცა უერთმანეთოდ პურის ქამა კი არა, ბოთლი ლუდის დაღევაც არ ეგების, პოლიტიკურ-მეცნიერულ-საყველპურიო საუბრები და ჭორები კი შუალამემდე არ მთავრდება... როცა გასაღების პრობლემა გაიჩითება, ალპინისტური გადასვლები გვინევს ფანჯრიდან ფანჯარაში სართულებს შორის...

თბილნი, მეგობრულნი, საინტერესონი... ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა არასოდეს მოგწყინდება... წიგნი და კომპიუტერი... ინტერესთა მრავალფეროვნება...

მე და მერაბი, შელამებულზე, სამზარეულოს ფანჯარასთან მივჯდებოდით, თითო ბოთლი ლუდის სანრუჰად და სასაუბროდ. თემა, რა თქმა უნდა, შორს დარჩენილი სამშობლოა. ის გეოგრაფიულადაა შორს, დედამიწის მეორე მხარეზე, მაგრამ ისეთ ნიუანსებს ჩავუღრმავდებით ხოლმე, რომ თითქოს აქვეა, ჩვენს გვერდით და ყოველ წვრილმანს მიკროსკოპით ვათვალიერებთ... უღევია საუბრები უნივერსიტეტზე, მეგობრებზე, წარსულ ცხოვრებაზე, ჩვენი შვილების მომავალზე...

ირინე — დაუღლეი, მრავალწახნაგოვანი ინტერესებით და-მუხტული, ახალ ქვეყანაში თავიდან რომ იწყებდა იმის შტუდირებას, რაც მის პროფესიას კვებავდა. გვიანი საუბრების შემდეგ, იგი ჯდებოდა თავის ნოუთ-ბუკთან და გათენებამდე იყო ჩაღრმავე-

ბული მათემატიკურ ჯუნგლებში. დილასდა იძინებდა, თუ, ცხადია, სამსახურში არ მიეჩქარებოდა. და მაინც, მუდამ ფხიზელი, მხიარული, ენერგიული... მუდამ მზადმყოფი სამსახურისათვის, მეგობრობისათვის... კიდევ მიაღწია სანადელს და დაუმტკიცა თავმომწონე ამერიკელებს, რომ ნიჭიერი ქართველი ორმაგად ნიჭიერია...

ბაჩა, ზომიერი, მოქნილი, მიზანმიმართული... ლათინური ცეკვის ჩემპიონი... და მისი სატრფო — სლავი გოგონა ტონია, რომელიც მოდელივით ტანკენარი, გამჭვირვალე და თან მიაამიტურ-ბავშვურად გულუბრყვილო და უზომოდ შეყვარებული...

გვანცა — ბავშვური და თანაც ქალური, მომხიბლავი, მუდამ-ჟამს მომღიმარი, ხალისიანი... და მისი მეუღლე თორნიკე, ყოფილი თანაკურსელი, საგანგებოდ რომ ჩამოვიდა, რათა დაქორწინებულიყვნენ... წარმატებული სტუდენტი და დღეს უკვე პერსპექტიული პროფესიონალი, რომელთანაც თანამშრომლობას თავმომწონე კომპანიები აქეთ ეძებენ...

ახლა აქ, საქართველოში მერაბი მირეკავს ხოლმე და ტელეფონის ყურმილში ყოველთვის მოულოდნელია მისი ხმა. ეცინება, ისევე ვერ მიცანი, ბიჭოო, მეკითხება... მერე დიდხანს ვსაუბრობთ იმავე თემებზე, საქართველოზე და იქაურ ქართველებზე. ის ახალგაზრდულ-მეგობრული წრე არ დარღვეულა, ერთად დადიან პიკნიკებზე, სათევზაოდ, ფეხბურთის სათამაშოდ ვერაზანოს ხიდთან...

ამავე მესამე სართულზე კიდევ ერთი ქართველი მყავდა მეზობლად. ჩვენი კარები ერთმანეთს შეჰყურებდა. მის სახელს აქ არ გავაცხადებ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ამ ტექსტს იგი არასოდეს დახედავს. ცოლ-შვილიც ჰყავდა, მაგრამ მეუღლე მეზობელ შტატში მუშაობდა კვირაში შვიდი დღე, ვაჟიშვილი უფრო შორეულ შტატში, ქალიშვილიდა მოდიოდა ღამის გასათევად. მეტწილ მარტო იყო თავის ბუნაგში გამოკეტილი. მძიმე ბუნებისა გახლდათ და სამუშაოს რომ იშოვიდა, მალევე კარგავდა. მუდამ ე. წ. „ბირჟაზე“ დადიოდა ბოროუ-პარკში, ებრაელთა უბანში, დღიური სამუშაოს საშოვნელად. აქ ძირითადად ნარკომანები და ლოთები მიდიოდ-

ნენ, მაგრამ წესიერი და გაჭირვებული ხალხიც ერია. ჩამოვივლიდა ვინმე ლიპიანი ბიძა მანქანით, გადაავლებდა თვალს და წაიყვანდა, ვინც უფრო ახალგაზრდა და ჯანიანი იყო. ამას ჯანი არ აკლდა, მაგრამ უკვე გაჭაღარავებულიყო და თვალს არიდებდნენ. ბრაზით უთხრა კიდეც ერთს, ამ ლანირაკებს რომ ირჩევ, ამათზე უკეთესი მუშა ხომ ვარო. იმან კი უპასუხა, რომ დამჭირდეს, ამათ სიგარეტზეც გავაგზავნი, შენი ასაკის კაცს მაგი როგორ ვაკადროო.

რაკი მეზობლები ვიყავით, ვცდილობდი მემეზობლა. რამდენჯერმე ჯიკავ-ჯიკავით შემოვიყვანე ჩემთან, სადილზე. უფრო ხშირად იქით ვუკაკუნებდი. მოკლედ, ვეძალეობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ერჩინა თავის ტახტზე წამონოლილიყო და მოცალეობისას ბერძნული ტელეარხისათვის ეცქირა. საუბრისას ნატვრით იტყოდა ხოლმე — „ჩვენთან ასე იყო...“, „ჩვენთან ისე იყო...“ დუშეთელი იყო და მეგონა დუშეთზე მელაპარაკებოდა. ერთხელ სიტყვას მოჰყვა და მეუბნება: „ჩვენთან კაცები ამბობენ, ის რა კაცია, ცოლი რომ არ გაუბოზდებო!“ პირი დავაღე! მერე მოვტვინე, რომ მისთვის „ჩვენთანში“ დუშეთი კი არა, საბერძნეთი იგულისხმებოდა, რადგან ამერიკამდე იქ ეცხოვრა და საბერძნეთის მოქალაქეობაც მიეღო.

22

კოლხეთში მცხოვრებთათვის ყველაზე გავრცელებული დაავადება ასთმა და რევმატიზმია, იმიტომ რომ ზღვისპირეთია, ზღვიდან მონაბერ ნიავს კი წვიმა და ნესტი მოაქვს. ალბათ 5-6 წლისა ვიქნებოდი, მუხლებს ვერ ვხრიდი. დედაჩემმა ზუგდიდში ცნობილ პედიატრთან პეტრე უბერთან მიმიყვანა (ჩემი უფროსი ძამიკო შოთიკო ზურგზე მომიკიდებდა და ისე მივყავდი). ქალო, ეს ბავშვი მოგიკლავს და ანი რას მოგყავდა ჩემთანო, იკითხა ექიმმა. ასე იცოდა, თურმე, მშობლების გულის ხეთქვა. ერთი დარიგება კი მისცა დედაჩემს, ახლა მოდაში ევკალიპტის აბაზანაა და მიდი, სინჯეო. ჩვენი ქუჩის ბოლოს ქარმა დიდი ევკალიპტი წააქცია, წავიდნენ ჩემი ძმები და მთელი ტომარა ფოთლები მოიტანეს. ბრტყელძირიანი სპილენძის საარყე ქვაბი გვქონდა, იმაში მოხარშა დედაჩემმა და შიგ ჩამსვა. ყელამდე ვეტეოდი. მე ერთი აბაზანა მახსოვს,

დედა კი ამბობდა, ხუთჯერ-ექვსჯერ გაგიმეორეო. მართლაც ფეხზე დამაყენა ამ აბაზანებმა და მას შემდეგ ტკივილებს არ შევუნუხებია. ოღონდაც, სიბერე იმისია, სიყმანვილის ტკივილები შეგახსენოს.

სკოლიდანვე ვიცოდი, რომ შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ გოლფსტრიმი მოედინება. სადაც თბილი დინებაა, იქ ორთქლი, ღრუბელი და წვიმაა. ჰოლანდიელებმა ინდიელებისაგან მანჭეტენი რომ იყიდეს, ამაზე არც უფიქრიათ. არადა, ზაფხულის თვეებში სიცხე რომ ფარანგეიტით 90 გრადუსს მიაღწევს და ნესტიანობაც 90-ს გადააჭარბებს, სუნთქვა გაგიჭირდება, რევმატიზმი, არტრიტი და მისთანანი გარანტირებული გაქვს.

თავდაპირველად მარცხენა ფეხი ისე ამტკივდა, ოთახში ჯოხითაც ვერ ვმოდარობდი და გამაქანეს კონი-აილენდის კლინიკაში ოუშენ-პარკვის ბოლოს. წამომანვინეს საგორავებელ საწოლზე და ხან სად შემეგორეს, ხან სად. რენტგენიც გადამიღეს, ნაირ-ნაირადაც მსინჯეს, მაგრამ ვერაფერი აღმომიჩინეს. მაჭამეს უფასო წვნიანი და სალამოსთვის მითხრეს, დალიე ტაილენოლი, ე. ი. გამაყურებელი და თავისით გაგივლისო. გამომიშვეს შინ და 600-დოლარიანი ანგარიში უკან მომაცოლეს. რაც არ მქონდა, რას გადავიხდიდი! გიგზანიან ამ ანგარიშებს და მერე შეგეშვებიან, შინ არავინ მოგივარდება.

ტკივილმა მართლაც თავისით გამიარა, შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ რამდენიმე თვეში მეორე ფეხი ამტკივდა. ამისგან რომ მოვრჩი, მუხლი გამისივდა... მოკლედ, არ დაილია პრობლემები...

არადა, ამერიკაში მკურნალობა ძვირია. ამერიკელისათვის მთავარი საზრუნავი ჯანმრთელობაა და ამაზე დიდძალი ფული იხარჯება. არალეგალს შეუძლია ეს ანგარიშები არც გაანაღდოს, არავინ არ გამოგედევნება, მაგრამ ამერიკელ მოქალაქეს საკრედიტო ბარათი გაუფუჭდება, საბანკო კრედიტის გარეშე კი ვერც ერთი ამერიკელი კომფორტში ვერ იცხოვრებს. ოღონდაც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ავად გახდი, გაგწირავენ. ჩემნაირი უქონელებისათვის, მაგალითად, იმავე კონი-აილენდის კლინიკაში ცალკე ფანჯარაა, გადაიხდი 14 დოლარს, რაც აქ მიზერული თანხაა, და გეყოლება საკუთარი ექიმი, ძვირადღირებულ ანალიზსაც გაგიკეთებენ და წამლებსაც, რაც გინდ ძვირი ღირდეს, ათ დოლარად მოგართმევენ.

ერთხელ ჩემი მეუღლე ცალი თვალით კინალამ დაბრმავდა, გუგაში კაპილარი გაუსკდა და შიგნიდან სისხლით აევსო. ცნობილ ოფთალმოლოგთან რომ მივედი, კონსულტაციისათვის 600 დოლარი გადაგვახდევინა, იმისი ძვირადღირებული რჩევა კი ასეთი იყო: წადით, ბიძიებო, სასწრაფოდ კლინიკაში და ოპერაცია გაიკეთეთო. წავედი მანჰეტენზე, ერთ ყველაზე ცნობილ კლინიკაში. გახედა ექიმმა და პატიოსნად განაცხადა, ამას თუ დღესვე ოპერაცია არ გაუკეთდა, თვალს დაკარგავსო... ეს ბედნიერება კი მგონი შვიდი ათასი დოლარი ღირდა. რიმა მოგვყვებოდა, დუნაისკი, და იმან თქვა, ეს ქალბატონი უმუშევარი და არალეგალია, შვიდი დოლარიც არა აქვს, საჭმელს მე ვაჭმევო. რა თქმა უნდა, ეს უფრო ეშმაკობა იყო, ვიდრე რეალობა, თუმცა ამოდენა თანხა მართლაც არ გვქონდა... მოკლედ, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ იმავე დღეს გაკეთდა ოპერაცია, გადაურჩინეს თვალი და ხარჯი ნიუ-იორკის ბიუჯეტმა დაფარა.

მსგავსი რამ მეც გადამხდა. ერთხელ ისეთი სიცხე მომცა, ბოდვა დამანყებინა, კინალამ სული მიქელ-გაბრიელს ჩავაბარე. ჩემებმა სასწრაფოს უხმეს, იმათ საავადმყოფოში უნდა წაგიყვანოთო. ვიცოდი, როგორი სიძვირეც იყო და გაუუძალიანდი. პოლიციას გამოვუძახებთო, დამემუქრენ, ე. ი. ძალითაც წამათრევდნენ და დაგყაბულდი. რაკი კონი-აილენდი უკეთ ვიცოდი, იქ წამიყვანეთ-მეთქი, ვითხოვე. შენობაში შევედი თუ არა, დამესივნენ სხვადასხვა ჯურის მედიკოსები, ზოგი ნემს მიკეთებს, ზოგი წვეთოვანას მიყენებს, ზოგი კი ანალიზებს მიღებს... ოთხი დღე თავზე ნაირ-ნაირი სპეციალისტები მადგანან, კომპიუტერი გაივსო მონაცემებით ჩემი ჯანმრთელობის შესახებ, საბუთების უზარმაზარი ტომები შედგა, ვერ გავიგე ამდენი რა უნდა წერებულებო შიგ... ბიუროკრატიული მანქანა ქარხანასავით მუშაობდა... მოკლედ, ძლივს გამომიყვანეს სიზმართიდან... უკვე მეორე დღეს მენვია რუსის ლამაზი გოგონა და განმიცხადა, ვიცით, რომ უმუშევარი და არალეგალი ხარ, რომ ფული არა გაქვს და ვერაფერს გადაიხდიო. ჩვენი ნუ გეშინია, ჩვენ საიმეგრაციოსთან საქმე არა გვაქვს, გადაგვალებინე შენი პასპორტის ქსეროასლი და „ბენეფიტს“ გაგიკეთებთო. მართლაც, ბოლო, მეოთხე დღეს მომართვეს მაგნიტური ბარათი, სადაც დადებული იყო ხარჯი — 3 ათასი დოლარი და ცოტაც მეტი, წამლებისა და მომავალი კვირის ვიზიტებისათვის ექიმებთან...

სხვათა შორის, პალატაში, ჩემ გვერდით ერთი რუსი ებრაელი იწვა, ჯანმანგარი ყმანვილი, რომელსაც განუკურნებელი რამ სჭირდა, ფეხები წართმეოდა. მთელი თვე ჰყავდათ კლინიკაში, ვერაფერი უშველეს და როცა განერეს, თან გააყოლეს ყავარჯნები, საჩოჩიალო, ძვირადღირებული ელძრავიანი ეტლი და ჩეკი ტაქსისთვის...

სულ ორიოდე თვის ჩამოსული ვარ, არც სამუშაო მაქვს და, ცხადია, არც ფული. „არ გინდა ცოტა დოლარი მოტეხო?“ — მეკითხება ნაცნობი. „როგორ?“ „ისევე როგორც ათასი სხვა, მგონი არავინ დარჩა!“ წესიერად არც ჩავძიებოვარ, რა უნდა ვაკეთო, ისე დავყაბულდი, ე. ი. ეშმაკთან სიტყვიერი გარიგება დავდე. თუ ჩავთვლით, რომ უცოდველი არავინაა, ამ ცოდვას, ალბათ, მაპატიებს, ვისაც ამის უფლება და ძალმოსილება აქვს.

შელამებულზე მანქანით მომაკითხეს, მე, ორი ქალბატონი და რუსის ბიჭი — იურა. საჭეს პროფესიონალი უზის, მისი სახელი არ ვიცი. ერთი ქალბატონი, უფრო სწორად უასაკო „კეკელკა“, ამ საქმეზე „მუშაობს“, ე. ი. მობილურით აგვარებს საეშმაკო საქმეს, უკავშირდება ვილაცებს. თუ ვინმე ახლობელი დაურეკავს, პასუხობს — „ია ნა რაბოტე!“

მივემართებით მანჰეტენისაკენ, ვირჩევთ გადატვირთულ უბნებს და წრეებს ვარტყამთ მიდლთაუნის სტრიტებსა და ავენიუებზე. ნეტა რა დაგვიკარგავს და რას ვეძებთ? მე ჯერ ახალი ვარ, ქალაქის ამ უბნებს არ ვიცნობ და ცნობისმოყვარეობას ვიკმაყოფილებ.

გადის ერთი საათი, ორი საათი, არაფერი არ ხდება. „კეკელკა“ დამხმარე ძალას იხმობს. აგერ ყრუ კედლის გასწვრივ ვმოდრაობთ. უკან დინჯად მოგვყვება მუსაიფში გართული ამერიკელი მოქალაქე. უცებ საიდანღაც „დამხმარე ძალა“, ე. ი. ნაცნობი მანქანა გამოვარდება და გზას გადაგვიჭრის. ჩვენ, რა თქმა უნდა, სწრაფად ვამუხრუჭებთ. ისმის ბორბლების ღრჭიალი, ბრაგვანი, წინა მანქანა გაქრა, უკანა კი ცხვირით შეგვაჯდა. კარგად შეგვანჯღრია, მაგრამ არაფერი დაგვმართნია, გარდა ნუთიერი ნერვულობისა. აი, თურმე რას ვეძებდით!

ამ წუთიდან იწყება სპექტაკლი. სანამ საბრალო ამერიკელი გონს მოდის, ჩვენი პროფესიონალი მძღოლი აითესა, მის ადგილას იურა ჯდება, ვითომ ეს გვასეირნებდა, „კეკელკა“ კი გადმოხტა და საქმეს აგვარებს, თავის გაოცებას და წუხილს გამოხატავს. საბრალო, გაბითურებული ამერიკელი გაოცებულია, ეს როგორ დამემართაო და პოლიციაში თვითონვე რეკავს. მე, მეორე ქალბატონი და იურა მანქანიდან არ გადმოვდივართ, რადგან გული გვაქვს აჩქარებული. გუნებაში ვფიქრობ, არალეგალი ვარ, არანაირი საბუთი მე არა მაქვს, ნეტა რას მივძვრები ლომის ხახაში. ახლა რომ დამიჭირონ და ამერიკიდან გამაპინტრიშონ, ხომ ახი იქნება. ოღონდაც, მსგავსი არაფერი ხდება. ხუთ წუთში პოლიცია აქაა, გაზომ-გამოზომა, დააფიქსირა და წავიდა. სამაგიეროდ სასწრაფოს მანქანაც აქაა. არც ქალბატონს, არც მე არაფერი გვჭირს, მაგრამ ფრთხილად, არ გაინძრეთ, დაზიანებული არაფერი გქონდეთო, კისერზე პლასტმასის მარყუჟი ჩამოგვაცვეს, ხელი შემავლელებს, საკაცზე დამანვინეს და სასწრაფოს კარეტაში შემავდეს. მივქრივართ კივილით, თან წნევას მიზომავენ, გული, ალბათ, შიშისაგან, ოდნავ აჩქარებული მაქვს, წნევა კი ისედაც სულ მაღალი მქონდა.

მიმიყვანეს სამედიცინო ცენტრში, აქ ექიმები, გაზომვები, ქალაქების ფრიალი... რამე ხომ არ მტკივა, გული როგორა მაქვს, სუნთქვა ხომ არ მიჭირს?... უმჯობესია, ჩვენთან დარჩეთ, ხომ შეიძლება, დაზიანება აღმოგაჩნდეთ... შემეშვით, არაფერი დაზიანებული არა მაქვს... კისერზე ვიხსნი მარყუჟს, საგორავი საკაციდან ჩამოვცოცდები და ვტოვებ საავადმყოფოს, რომელსაც სურვილი აქვს „მიმკურნალოს“ და ჩემით ცოტა ფული გააკეთოს. ქუჩის კუთხეში ჩვენი მანქანა გველოდება, რომელსაც ეს ნაავარიელი არც ეტყობა. მაინც გადასადგებიანო, იღმიჭება იურა.

ორ-სამ დღეში კომფორტული ჯიპი მაკითხავს, მივყავართ „მედიკერში“, კერძო პოლიკლინიკაში, რომელთა მსგავსნი სოკობივით გამრავლებულა. ესენი იზრუნებენ „დაზარალებულის“ ჯანმრთელობაზე და ჩემი თანხმობის ფასად ჯიბეში სამას დოლარს მიდებენ (ამათი ეშმაკობისა რომ მცოდნოდა, ჩემს „ავარიას“ თურმე 2 ათას დოლარად გავყიდდი!). აქ ყველაფერია! აგერ ვინროთვალე-ბა ჩინელი გოგონა ზურგზე ნემსებს მარჭობს, რუსის ბიჭი ფეხებზე რალაც ჟელეებს მისვამს, დავყავართ ძვირადღირებულ გადა-

ლებებზე... ერთი უჯრედი არ დამიტოვებს გაუსინჯავი... კვირაში ორჯერ მაკითხავს მანქანა, მივყავარ, მოვყავარ, ხელის გულზე მატარებენ... ცხადია, მიხარია, ჯანმრთელობის პრობლემები მაქვს და უფასო დიაგნოსტიკაზე და მკურნალობაზე ვინ სულელი იტყვის უარს. გვიან ვხვდები, რომ უმეტეს შემთხვევაში გარს ყალბი ექიმები მახვევია, რომელთაც მედიცინისა ჩემზე ოდნავ მეტი თუ იციან და სინამდვილეში ჩემს ჯანმრთელობაზე არც არავინ ზრუნავს.

სამი თვე გრძელდება ეს კარუსელი. შედგა ტომეულები, სადაც, ჩემი ვარაუდით, აღინუსხა ყველა ის გაჭირვება, რაც ჩემი ასაკის ადამიანს შეიძლება აღმოაჩნდეს და ყველაფერი ეს ამ სანყალობელ „ავარიას“ ბრალდება... აქ კი ჰორიზონტზე გამორჩდება სიმპათიური ადვოკატი გოგონა და ამ ქალაქებს სადაზღვევო კომპანიაში გააქანებს. კომპანიამ იცის, რომ ყველაფერი ეს ბლეფია, მაგრამ სასამართლო გარჩევა უფრო ძვირი დაუჯდება.

მიბარებენ, მეკითხებიან, სად იყავი და სად შეგემთხვაო. მე გულწრფელად ვპასუხობ: ქალაქს მე არ ვიცნობდი, მაგრამ შევამჩნიე სასაფლაოს გრძელი კედელი და თანამგზავრ ქალბატონს გადავუღაპარაკე, ამ ჩვენმა იურამ მგონი პირდაპირ სასაფლაოში გაგვაქანა-მეთქი. იცინეს, იუმორი დამიფასდა.

შედეგი: 3 ათასი დოლარი, რის გამოც, ვიცი, კრიმინალური პოლიცია არ მომაკითხავს, სამოთხის კარი კი, ვფიქრობ, სამუდამოდ დამეკეტება...

კვირაში ერთხელ ფილიპასთან დავდივარ, უფრო შაბათობით. ინგას ბეზრდება მთელი კვირა მისი მოჟამული სიფათის ყურება, ერთ დღეს მე მითმობს, თვითონ კი ქალაქში გარბის საჭორაოდ.

დილაუთენია ვდგები, რადგან ფილიპა სხვა კუნძულის, სტეიტენ-აილენდის ბოლოს ცხოვრობს და იქამდე ოთხი ავტობუსი უნდა გამოვიცვალო. ჯეიდან მე-6 ავტობუსს ბრაიტონ-ბიჩამდე მივყვები. დილის ავტობუსი მგ ზავრებითაა სავსე, უმეტესად შავკანიანებით, თუმცა ჩვენი უბანი უპირატესად ებრაელებისაა, მაგრამ მორწმუნე ებრაელები შაბათობით ავტობუსებით არ მგ ზავ-

რობენ. 85-ე სტრიტზე სხვა ავტობუსს ველოდები, როგორც წესი, მოსაცდელზე ვიყინები. ეს ავტობუსი უმთავრესად პუერტო-რიკოელებითა და იტალიელებით ივსება. ბეირიჯის გავლით მივდივართ მესამე ავტობუსამდე, რომელიც ვერაზანოს ხიდზე გადამიყვანს. ავტობუსები, ჩვეულებრივ ქვედა იარუსით მოძრაობენ და ფანჯრიდან ჩანს მანჭეტენიც, ბრუკლინისა და ნიუ-ჯერსის ნაპირები, თავისუფლების ქანდაკება, აგერ, ხიდთან ახლოს, ისტორიული ფორტიც. უკან როცა ვბრუნდები, წყლის გაშლილ სივრცეს ვუყურებ თვით ოკეანემდე და ზედ ნაირ-ნაირი გემი მოძრაობს. ღამლამობით სანაპიროების გასწვრივ მანქანების ფარების უწყვეტი ჯაჭვია გაბმული, თითქოს უზარმაზარი დრაკონი მიიგრავდება. მე ზედა იარუსზე მგზავრობა უფრო მომწონს, რადგან აქ ხიდის მთელი კონსტრუქცია დიდებული და ამაღლელებლად შთამბეჭდავია. ხიდი ორ უზარმაზარ პილონზე ბაგირებითაა ჩამოკიდებული და ბაგირების ორი რიგი თითქოს ციდან ეშვება... მომდევნო, მეოთხე ავტობუსი კიდევ ორმოცი ნუთი მატარებს სტიეტენ-აილენდის მრავალკილომეტრიან ავენიუებზე და აი, საჭირო უბანიც, პატარა კობტა სახლებს შორის ფილიპას სახლიცაა.

ირგვლივ კონინდარი, დეკორატიული ხეები და ყვავილებია, მაგრამ ფილიპას ეს არ აინტერესებს. არც მეზობლები უნდა, ნათესავებიც თავს აბეზრებენ, ზის თავის სავარძელში და ჰავანურ სიგარას აფუილებს. „ჰაუ არ იუ, ფილიპ!“ — ვეკითხები ოპტიმისტურად, ვინძლო გავახალისო. „ნოუ გუდ, ჯიმ!“ — მოკლედ მპასუხობს. პირისახე დაჭმუჭნილი და მუდამ შეწუხებული აქვს. ადრე მამაცი საზღვაო ოფიცერი იყო, ახლა ჩიტის წონისა თუ იქნება. ფილიპას კუჭის პრობლემები აქვს, სულ ერჩენება, რომ საკმარისად ვერ გადის, არადა თითქმის არაფერსა ჭამს, რძიანი ყავით კმაყოფილდება, სადილზე კი იაფფასიანი წვნიანის კონსერვებს ვუცხელებ. ერთადერთი მისი გასართობი სიგარა და ტელევიზორია. სიგარების მარაგი იქვე, მომცრო მაგიდაზე უწყვია, ერთს რომ ძირამდე დაიყვანს, მეორეს მოუკიდებს. ტელევიზორის ეკრანზე რა ხდება, იმას ვერ ხედავს, მაგრამ დაუსრულებლად უსმენს ისეთ გადაცემებს, სადაც შოუს მონაწილენი ფულს იგებენ. მთელი ამერიკა ჯექპოტზე

გიჟდება, ფილიპაც კი დიდ მოგებაზე ოცნებობს, თუმცა მოკლე სიცოცხლე დარჩენია და ამ სიგარის გარდა არც არაფერი ჭირდება, პენსიასაც კი ვერ ხარჯავს. ფული ვერ შევლის მაგის კუჭს, დღეში ოცჯერ საჩოჩილოთი მიჩოჩავს საპირფარეოსაკენ, მერე გაუხდელად წამოწვება ლოგინზე და ამოჩემებულ, უკვე გაზინთულ ბამბურას წამოიხურავს...

ფილიპას სიცოცხლე ეზარება. ხანდახან სიძე-ქალიშვილი მოაკითხავენ, უფრო იშვიათად შვილიშვილები. როგორა ხარო, შეეკითხებიან. „ნოუ გუდ, ნოუ გუდ!“ — უპასუხებს და ბაგეზე მისთვის უჩვეულო, სუსტი ღიმილი აესახება.

ძველ ფოტოებზე მოხდენილ კაცად ჩანს, ღამაზ ცოლთან და შვილთან ერთად, მაგრამ ეს სურათები ახლა მას არ აღელვებს. ცოლი რომ მოუკვდა, სასაფლაოზე წასვლა ეზარებოდა და ძალისძალათი წაიყვანეს. მის მოგონებებში ერთადერთი ნათელი შტრიხი ომის პერიოდში იყო, როცა ახალგაზრდა საზღვაო ოფიცერი იაპონიაში მოხვდა, საოკუპაციო ჯარში იმსახურა და იაპონელ მეძავეებთან დრო ატარა. ერთი ქალი სიგარეტს უკანალში ირჭობდა და ისე აბოლებდაო, ქირქილებდა — მთელი შემდგომი ცხოვრება ეს გახსენება ართობდა. მომვლელს შეავლებდა თავის ჩაშრეტილ თვალებს და ერთხელ, არ ვიცი, იხუმრა, არ ვიცი, სიცოცხლეს ამით გამოემშვიდობა, განაცხადა: დადიან აქ სქელი ტრაკები და ხელსაც არ მოგაკიდებინებენო.

მოსაწყენი კაცი იყო ფილიპა, მისი მუდმივი დაღრეჯილობა გადამდები ხდებოდა და მოწყენილობისაგან მეც სული მეხუთებოდა. წამდაუნუმ საათისაკენ ვიყურებოდი, ნუთებს ვითვლიდი ექვს საათამდე, როცა ინგა მობრუნდებოდა და მე დამითხოვდა.

მე კი, თავისუფლებამოპოვებული შევასტებოდი ავტობუსს კუნძულის სულ ბოლო, ჩრდილო ნავმისადგომამდე, საიდანაც უფასო ბორნებს მგზავრები და მანქანები მანჭეტენში გადაჰყავდა. ეს ჩემთვის უფრო შორი გზა იყო, მაგრამ ვიდექი გემბანზე და გავყურებდი ახლო ჩქერალებსა და შორეულ ნაპირებს. ხელის განვდენაზე ჩავუვლიდი თავისუფლების მონუმენტს, მანჭეტენის დაუნთაუნის ცათამბჯენები კი თანდათან ახლოვდებოდა, ღამისაა ზედ გადმომხობოდა.

ფილიპამ ერთ უიღბლო დღეს დაამთავრა თავისი უღიმღამო სიცოცხლე. არაფერი ამ კაცთან არ მაკავშირებდა, გარდა იმ მცირე

ჰონორარისა, რასაც მიხდინენ, მაგრამ გული მაინც დამწყდა და ხანდახან ყურში ჩამესმის მისი მონყენილი ხმა — „ნოუ გუდ, ნოუ გუდ, ჯიმ!“

25

ჯინჯინაშვილები ქუთაისელი ებრაელები არიან. მანანა ქუთაისში გაიზარდა, ჟურნალისტადაც იქ ჩამოყალიბდა, ქუთაისურ გაზეთებში მუშაობდა. ამერიკაში გადაბარგების შემდეგ პროფესიულად მისთვის არაფერი შეცვლილა. ამერიკაშიც იგი ქართველი ებრაელია, თავს ამ ორი ერის შვილად თვლის და ქართულ საქმეს ემსახურება. ჯერ ვაშინგტონში „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში მუშაობდა, შემდეგ ნიუ-იორკში დაბრუნდა, სადაც მისი ძმები ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, მანანას პატარა ძმისშვილებისათვის ერთ-ერთი მშობლიური ენა ქართულიცაა. ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა გამახსენდა. ქვინსიდან ვბრუნდებოდი და მეტროს ცარიელ ვაგონში რომ მოვთავსდი, ფეხდაფეხ დედაშვილი შემომყვინენ. დედა ერთი ფაშფაშა, გაქათქათებული ქალი იყო, ქალიშვილი, მაღალი, სპორტულად ჩამოსხმული. როგორც კი შემოვიდნენ, შეურყენელი ქართულით გააბეს მასლაათი. რა თქმა უნდა, გამეხარდა და ჩავერთე. ქალბატონი თურმე თბილისიდან ოცდაათი წლის წინ გადმოსახლებულა, ქალიშვილი კი ამერიკაში დაბადებულა და საქართველოში არც არასოდეს ყოფილა, მაგრამ ოჯახშიც დღესაც ქართულად მეტყველებდნენ. ქვინსში ბევრია ასეთი ებრაული ოჯახი...

ნიუ-იორკში მანანამ ქართულ გაზეთში დაიწყო მუშაობა, იგი ქალაქგარეთ, ჯერსი-სიტიში გამოდიოდა. არც გაზეთს დავასახელებ და არც მაშინდელ ბლენძ რედაქტორს, რადგან ზოგიერთ ქართველს თავისი ტოლერანტობით მოაქვს თავი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ანტისემიტური ბაცია მაინც შეჰყრია. იმ რედაქტორს, ლიპიან, ახალგაზრდა ქუთაისელს ქედმაღლურად განუცხადებია, არა მჯერა ებრაელის გაკეთებული ქართული საქმისაო. შეურაცხყოფილი მანანა უმალ წამოსულა იმ გაზეთიდან.

მე იმიტომ გავიცანი, რომ სადაც კი ქართული ამბავი გაიელვებდა, მუდამ იქ აღმოჩნდებოდა. გვიან გავიგე, რომ თვალის პრობ-

ლემები ჰქონდა, მისთვის დიდხანს კითხვა არ შეიძლებოდა, მაგრამ ნიგნსა და კომპიუტერს მაინც ვერ შორდებოდა. იმდენი მოახერხა, ერთი რუსულენოვანი რადიოს მესვეურნი შეახუჭუჭა და აიძულა, კვირაში ერთი საათი ქართული ხმა ჩაესვათ. ცხადია, ამ საქმეში კაპიკს არავინ უხდიდა, მაგრამ მთელი კვირა ემზადებოდა, რათა ემიგრაციაში მყოფი ქართველებისათვის ქართული ამბებით გაჯერებული ეს გადაცემა მოემზადებინა.

დარწმუნებული ვარ, დღესაც, ნამდვილი ქართველი და ნამდვილი ებრაელი მანანა ჯინჯინაშვილი ჩაკეტილია თავის ოროთახიან ბინაში ქვინსზე, რომელიც სავსეა ქართული ნიგნებით, უზის კომპიუტერს, რომლის მონიტორი საგანგებოდ მისთვისაა დაყენებული, დიდრონი ასობით ინერება ტექსტი, რათა მტკივანა თვალებით მოახერხოს ქართულის ამოკითხვა... როცა მომესურვილებოდა ქართულ ლექსზე და პროზაზე ლაპარაკი, ან ჩვენი ქუთაისელი მეგობრების გახსენება, მეტროს ორი მატარებლით მივემგზავრებოდი ქვინსში. მანანას საქართველოს სიყვარული ერთი ნამითაც არ განელვებია...

26

მოშე ქვინსში ცხოვრობდა, პრესტიჟულ, ძვირადღირებულ ბილდინგში, თავისი ქალიშვილის ოჯახთან ერთად. ქალიშვილი იზრავის საკონსულოში მუშაობდა და ბინის ქირას სამშობლო უხდიდა. მოშეს სიძე ადრე ავიატორი ყოფილა, სამსახურიდან ცოლზე ადრე ბრუნდებოდა, უმალ სადილის კეთებას იწყებდა, არადა ტელევიზორს მიუჯდებოდა, ერთი არხი ჰქონდა ამოჩემებული, რომელზეც ოცდაოთხი საათი ავიატექნიკაზე მსჯელობენ... მოშეს დღეში ას დოლარად უვლიდა ოციოდე წლის ებრაელი, ვისაც კვირაში ერთხელ მანანა ცვლიდა. ხანდახან მანანა ვერ იცლიდა (ისევე ქართული რადიოს გამო!) და მთხოვდა, ჩავნაცვლებოდი. ერთხელ კი მთელი ორი კვირა მომიწია ამ ოჯახში დარჩენა და, თუმცა ცოლქმრისაგან ყურადღებისა და პატივისცემის გარდა არაფერი მიგრძვნია, თვით მოშეს მოვლას მერჩინა თოხითა და ბარით მემუშავა.

პირველად რომ ვნახე, მაგიდასთან იჯდა და გაზეთს კითხულობდა. თავი მოაბრუნა და უფერული თვალებით შემომხედა. დაჩია-

ვებულის ბერიკაცი იყო, კბილჩოლერა, გაპარსულიც გაუპარსავსა ჰგავდა. სკამი დავიდგი და გასაცნობად მივუჩოჩდი. ერთ საათში მისი ბიოგრაფია ვიცოდი. ახალგაზრდობა რუსეთში გაეტარებინა, ე. წ. „მესტიეკოვი“ ებრაელებს განეკუთვნებოდა, იმპერიის განაპირას სილატაკეში რომ ცხოვრობდნენ. ომის დროს ჩვიდმეტისა, გერმანელებს გაერიდა და სხვებთან ერთად სადღაც ურალისპირეთში გადასახლდა. იქ ქარხანაში მუშაობდა, ზეინკლის ნიჭი აღმოაჩნდა და სანარმოსათვის ფრიად საჭირო კაცი გახდა. ცხოვრება მანქანა-დანადგარებს შეაღია და ტრადიციული პროლეტარი ჩამოყალიბდა, მუდამ უქონელი და „ნაჩაღნიკების“ თვალების შემეყურე. ოღონდაც, სოციალისტურმა სამშობლომ სილატაკის ფსკერიდან ვერასოდეს ამოიყვანა და უკვე დაბერებული ემიგრირებულმა შვილებმა აღთქმულ მიწაზე წაიყვანეს. პირველად იქ გაიგო, თუ რა არის ცხოვრება მცხუნვარე მზის ქვეშ, როცა არ გშია და არ გწყურია და ირგვლივ ტოლ-სწორები გახვევია. ახლა, ამ კომფორტულ ბინაში თავს გამოიმწყვდეულად გრძნობდა და ისევ იზრაველი ენატრებოდა, სადაც შეეძლო ნათესავებთან ენა ელესა. მანანა მარწმუნებდა, მაგისი მოვლა იოლია, ზის და გაზეთს ათვალეერებს, შენ კი შეგიძლია ფეხი ფეხზე შემოიდო და წიგნითა და ტელევიზორით გაერთოო... თავდაპირველად მეც ასე მომეჩვენა, მაგრამ ვინ გაცალა კაი ცხოვრება. მოშეს წინ მოკლე სიცოცხლე დარჩენოდა და თავისი დრო წუთობით ჰქონდა გათვლილი. წინასწარ გეგმავდა, როგორ უნდა ამდგარიყო, დამჯდარიყო, შებრუნებულიყო და შემობრუნებულიყო... ჭამის დროს ზედმეტი არ უნდა შეგეთავაზებინა. თუმცა მაცივარი გაჭედილი იყო საჭმელებით, სილატაკის წლებიდან გამოჰყვა მომჭირნეობა და თეფზე დარჩენილი ორიოდე კოვზი წვნიანი გულს უკლავდა. მოსაბეზრებელი და დამღლეი ის იყო, რომ ყოველ ათ წუთში ითხოვდა გადაყენებას... ეს პროცედურაც ხომ სკრუპულოზურად ჰქონდა დამუშავებული. უნდა მდგრადად დამდგარიყო, ზედმეტად თავი არ უნდა გამოგედო, მაგრამ არც უყურადღებო უნდა ყოფილიყავი, წინასწარ განსაზღვრული წესით და რიგით უნდა გაგეხადა და ჩაგეცვა. ყოველივე ისე წვრილად ჰქონდა გათვლილი, პროცედურის ოდნავ გადახვევას ვერ იტანდა... მთელი დღე არაქათი გამომაცალა, მაგრამ წინ ღამე მელოდა და იმედი მქონდა, დავისვენებდი.

ზუსტად ცხრა საათზე მოშეს გავხადე, ახალი საცვლები ჩავაცვი და ლოგინში ჩავანვინე. ნახევარ საათში მომიხმო, ავაყენე, გადავაყენე და ისევ ჩავანვინე. ასე რამდენჯერმე გამეორდა.

თორმეტისათვის მეც გავიხადე და ჩავნექი. დაღლილი ვიყავი და რული უცბად მომერია, ოღონდ ვინ გაცალა, მოშე ისევ მიხმობს... გამოვფხიზლდი, მივხედე და ისევ ჩავნექი... კვლავ ჩავთვლიმე, სიზმარში შევცურე და ისევ მეძახის... ამდენ ადგომ-დანოლაში მოშეც ურევს, ხან რუსულად მომმართავს, ხან ივრიტზე, მე კი ტვინი ისე გამიწყალდა, რუსულიც ივრიტი მგონია და ვერ ვგებულობ. ასე გრძელდება ღამის სამ საათამდე, სამზე კი მოშე მიხმობს: „ჰე, ახლა დილაა და ავდგეთ!“ — აღმოჩნდა, რომ მოშესთვის სამი საათია დილა, მთელი თავისი ცხოვრება ამ დროს დგება და საუზმობს... ავაყენე, ჩავაცვი და საუზმე მივართვი... ჩაჯდა სავარძელში და ებრაული ჟურნალი გადაშალა. ზის და ათვალეერებს შიშველ ქალებს... სადღაც გარიჟრაჟზე ისევ წვება და იძინებს, ჩემი ძილი კი საბოლოოდ გაფრინდა და მერე მთელი დღე დარეტიანებული ვარ.

ორი კვირის თავზე ერთი სული მქონდა, შინ როდის დავბრუნდებოდი, კარგად გამოვიძინებდი და მოშეს თვით არსებობასაც დავივიწყებდი...

თამრიკო, ორმოცს გადაცილებული ქალბატონი, მორწმუნე მართლმადიდებელი, მეუბნება: ისე გამოვიდა, რომ იძულებული ვარ მორწმუნე ებრაელს ვემსახურო, ღრმად მოხუცებულ, სათნო კაცს, რომლის მიმართ მამა-შვილური გრძნობა გამიჩნდა, არ ვიცი, ეს ცოდვად ჩამეთვლება თუ არაო. უძღური ადამიანის მოვლით უფლის კეთილგანწყობას დაიმსახურებ-მეთქი, ვპასუხობ.

შოლომონი ოთხმოცსაა გადაცილებული, მაგრამ უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, ოღონდ სიარული უჭირს, აუცილებლად რამეს უნდა დაეყრდნოს, ანდა ბორბლიანი სავარძლით, გარეთ კი ეტლით უნდა გადაადგილდეს. ამისათვის კიბეზე საგანგებო ბილიკია დაფენილი და როცა მივაგორებ, ყოველთვის გული მისკდება, ხელიდან არ გამისხლტეს-მეთქი. მე კვირაში ერთი დღე ვცვლი თამრიკოს, რადგან მას ამ ქალაქში შვილიცა ჰყავს და მასთან მიეჩქა-

რება. ერთხელ ორი კვირით მოუწია სამშობლოში დაბრუნება და შოლომონს მე შევრჩი.

უსათნოესი კაცია, თბილი, მორიდებული (ადრე სკოლაში ასწავლიდა, როგორც მივხვდი, რელიგიის საკითხებს)... შეცდომაა რომ დაუშვა, არ გაგიბრაზდება, შვილებსა და შვილიშვილებს ენას არ მიუტანს.

დღის წესრიგი წინასწარაა განერილი. ადრე ვდგები, სანამ იმას სძინავს, მსუბუქ საუზმეს ვამზადებ. სამზარეულოში ჭურჭელი ორ წყებადაა დალაგებული. ერთ წყებაზე წითელი ქალაღია მიწებებული, მეორეზე — ლურჯი. წითლად დანიშნული ჭურჭელი ხორციანი კერძისთვისაა, ლურჯი — რძიანის. არც უნდა ავურიო და ამ კერძების მირთმევას შორის სამი საათი მაინც უნდა გავიდეს.

ცხრაზე იღვიძებს. უნდა ავაყენო და ამ დროს მეშინია, სანოლიდან არ ჩამომიცურდეს, რადგან მძიმეა, ღონე კი არ შერჩენია. მანამდე კი პამპერსი უნდა გავაძრო, სველი ტილოთი გავწმინდო, ყველაფერი ახალი, სუფთა ჩავაცვა. მერე ჭოჭიალათი მიდის მეორე ოთახისაკენ. გვერდით მივყვები, რათა ჭოჭიალა არ გაუცურდეს, ანდა მუხლები არ მოეკვეთოს.

კუთხის მაგიდასთან ჯდება. აქ უწყვიტა სალოცავი წიგნები. ლოცვის შემდეგ ისაუზმებს. გარედან დილის გაზეთი „დეილი ნიუსი“ შემომაქვს, კვირაში ერთხელ კი ებრაული გაზეთი. ამათ დაათვალიერებს და მიუბრუნდება ბიბლიოთეკიდან წამოღებულ დეტექტივებს, რომლებიც დიდრონი შრიფტით საგანგებოდ მოხუცებისთვისაა დასტამბული.

ტელევიზორს იშვიათად უყურებს. სავარძელს შევუბრუნებ და რაიმე პროგრამას ჩავურთავ. ცოტა ხანში ხელს ჩაიქნევს და ისევ წიგნებს მიუბრუნდება.

ხანდახან ვცდილობ ჩემი მწირი ინგლისურით გავესაუბრო. მარტივი სიტყვებით ვუყვები საქართველოზე, ჩემს ოჯახზე, ისიც ცდილობს წინადადება ისე დააღაგოს, რომ ჩემთვის გასაგები აღმოჩნდეს.

დღის მანძილზე აკითხავენ ხან შვილები, ხან რძლები, შვილიშვილები, ერთ-ორ სიტყვას მიუგდებენ და გარბიან.

ყველაზე რთული დღე შაბათია. პარასკევის საღამოს 6 საათიდან შაბათის საღამოს 6 საათამდე ჩაკეტილები ვართ. კერძები

წინასწარ მზადაა, რათა არ დამჭირდეს რაიმეს კეთება. ვცდილობ, შესაბამისი რიტუალების ჩატარებაში დავეხმარო.

ხანდახან უბანში ველოეტლით გავასეირნებ, სადილად რესტორანში (იქ, სადაც საჭმელს მიირთმევენ, ყველა რესტორანია), ანდა ბიბლიოთეკაში, რათა წიგნები გამოვცვალოთ. ზოგჯერ პოლიკლინიკის მანქანა გვაკითხავს. შიგ ველოეტლს შევავაგორებ, დავაბამ და ისე მივდივართ. იქ ის შეჰყავთ, ავარჯიშებენ, ვხედავ, იღლება, ერთი სული აქვს, როდის წამოვიყვან.

ნავახშმევს დიდხანს ვერ ძლებს, ცხრაზე დასაძინებლად მიმყავს. ახალ პამპერსს ჩავაცმევ და დავანწვენ. ისე უნდა მოვახერხო, რომ კომფორტულად იწვეს, რადგან ღამე ვერც გადაბრუნდება.

მე კი ჩემს ოთახში გავშლი ტახტს, ვკითხულობ, ვუყურებ ტელევიზორს. მერე ძილბურანში ვეშვები. თუმცა არ მანუხებს, მაგრამ მაინც ვფხიზლობ...

ღიახ, ჩემში მომვლელის ნიჭი აღმოვაჩინე!

ბას-სტეიშინის მე-9 სართულზე ლიფტით ავედი და იქ ავტობუსი დამხვდა. წინა სკამზე დავჯექი, რათა მოგ ზაურობის დროს გარემიდამოს ხედით დავმტკბარიყავი. მაღალი სართულიდან ავტობუსი სერპანტინით ეშვება დაბლა და მიემართება ჰუძონისაკენ. გრძელი გვირაბით გავდივართ ნიუ-ჯერსის შტატში და ფართო ჰაივეით მივექანებით შტატის სიღრმეში. ხედს რაც შეეხება, გადატვირთული ტრასების, უზარმაზარი სარეკლამო ბილბორდებისა და სტანდარტული გზისპირა ნაგებობების მეტს ვერაფერს ვხედავ. შემდგომ სივრცე გაიშალა, ტყეებსა და მინდვრებს მიღმა ცალკეული ფერმებიც გამოჩნდა.

ორმოცდაათი მაილის შემდეგ ტრიალ მინდორში, გაჩერებაზე ჩამოვდივარ. ირგვლივ არანაირი დასახლება არაა. გაჩერებასთან საფოსტო და უფასო გაზეთების ყუთები და ტელეფონია. ვრეკავ, ქალბატონი მპასუხობს, ათ წუთში მანდ ვიქნებიო.

მართლაც სულ მალე შავი მერსედესი მოსრიალდა. თავდაპირველად ქალბატონი ახალგაზრდად მომეჩვენა, მაგრამ მანქანაში რომ ჩავუჯექი, მივხვდი, სამოცს იქნებოდა მიტანებული. ღონიერი თუ ხარო, უპირველესად ეს მკითხა. გამიკვირდა კია, მაგრამ რას ვეტყვოდი, დიდი ღონით მაინცდამაინც თავს ვერ მოვიწონებდი.

აქაური გზები ტყესა და მინდვრებზე გადის. აქა-იქ მცირე დასახლებებია — სავაჭრო კომპლექსები, სამედიცინო ცენტრები და ა. შ. კერძო სახლები კი შორიშორ მიმოფანტულა, აქაურები უმეზობლოდ ცხოვრობენ. პატარა, ერთსართულიანი სახლის გარაჟში შევდივართ. შიდა კიბით ბინაში აღმოვჩნდით, ხუთი ოთახი მაინც დავითვალე. ყველაზე დიდში ტელევიზორთან სავარძელში კაცი ზის.

კარგად ჩამოსხმული მამაკაცია, მხარბეჭიანი, დაკუნთული, დიდრონი ხელებით, დიდი, შემელოტებული თავით. ვაჟკაცური პირისახე აქვს, ცისფერი თვალებით ყურადღებით მათვალაიერებს. ზედაც ეტყობა, ინტელექტი არ აკლია და ადრე სპორტიც იტაცებდა.

— ეს ჯიმი! — ეუბნება ქალი, სიადვილისათვის მასაც ასე წარვუდექი.

კაცი ბაგეებს ოდნავ არხევს.

— ჯიმი! — ნიავივით ჩურჩულებს.

მე ვიცი ჩემი მოვალეობა. ამ კაცს ორი დღე-ღამე უნდა ვემსახურო, ამისათვის კი 280 დოლარს გადამიხდიან.

ასაკით მეუღლეზე უმცროსად და ჯანსაღად გამოიყურება, მაგრამ, არ ვიცი, რა დაავადება სჭირს, რადგანაც სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაექცა.

ეს ძლიერი და ჩამოსხმული კუნთები ახლა მას არაფერში არგია. თავისით არც წამოდგომა შეუძლია, ფეხის გადადგმა მისთვის მიუღწეველი ოცნებაა. სამზარეულოში, საუზმისათვის რომ გავიყვანო, საჭიროა, ეტლი მოვაგორო, სავარძლის გვერდით დავამაგრო, რათა შემთხვევით არ გამისხლტეს. ვცდილობ, თვითონ ფეხებით მყარად დავდგე, ილიებში ხელებს ჩავავლებ და მთელი ძალღონით ავქაჩავ. აი, ამიტომაც მკითხეს, ღონე თუ გაქვსო. მიჭირს, მაგრამ ამდენი კი შემიძლია. თუ ავაყენე, ბოძივითა დგას, მთავარია, ორივე არ წავიქცეთ. ადგილზე უნდა შევაბრუნო და ეტლში ჩავსვა. ამ უბრალო პროცედურისაგან ოფლი მასხამს.

ეტლით სასადილო მაგიდასთან მივაგორებ. დიასახლისი კერძს დაუდგამს. კაცს არ შეუძლია ხელი აამოძრაოს, საჭმელი პირთან მიიტანოს. არ შეუძლია ლუკმა დაღეჭოს და გადაყლაპოს. მე გვერდით ვუზივარ, ჩანგლით ვიღებ პანია ნამცეცებს და პირში ფრთხილად ვუდებ. ის ენას ძლივსლა ამოძრავებს, რათა ეს ნამცეცები როგორმე გადაყლაპოს. წვენს სანუნნი ჩხირით ვანვდი, ის კი ძლივს ახერხებს წვეთწვეთობით მოწუნოს. ყოველივე ხდება გულისგამანვრილებლად ნელა და დიდხანს. დაძაბულობისაგან მეც პირს ვაღებ, უნებლიეთ ენის წვერს გამოვყოფ და ვამოძრავებ... ის დიდი, ლამაზი და მძიმე კაცია, მაგრამ ნაკლები შეუძლია, ვიდრე ორი თვის ჩვილს.

ერთადერთი, რაც ჯანმრთელი შერჩა, ეს კუჭია. ტუალეტში ვერ შემეყავს, რადგან ვინრო კარში ეტლი ვერ ეტევა, გავლით ვერ გაივლის და ვერც უნიტაზზე დავსვამ. იძულებული ვარ, საწოლამდე მივაგორო. ისევ უნდა ავქაჩო ეტლიდან, დავსვა, წამოვანვინო, ისე, რომ არ გადმომივარდეს. „ფლიზ, სორრი!“ — წამდაუნუნე ჩურჩულით გვებოდიშება მეც და თავის მეუღლესაც, რადგან ცოცხალი არსებაა და ისიც კი არ შეუძლია, ბიოლოგიური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. წევს და ისე აკეთებს, მაგრამ რაკი კუნთები არ ემორჩილება, ესეც დიდხანს უგრძელდება. მე რეზინის ხელთათმანი მიკეთია და ყოველ ჯერობაზე მიხდება მისი განმენდა, საცვლების გამოცვლა... საოცარია, სიყმანვილეში ვინმეს რომ ცხვირი უხეიროდ მოეხოცა, შემზიზღდებოდა, ახლა კი ამ აუტანელი ტკივილებისა და დამცირების შემხედვარეს, გარდა სიბრაულულისა და სინაზისა არაფერი მამოძრავებს.

ნასადილეც, თუ ამას სადილი ჰქვია, ისევ სავარძელში ვსვამ. ცოლი მიუჩორდება და თავისთვის ჩუმად ჩურჩულებენ. კაცს კენტი ცრემლი ჩამოუგორდება ლოყაზე, ქალი ხმადაბლა ქმუტუნებს. მათი ხმები არ მესმის, მაგრამ ვიცი, ისინი იხსენებენ წარსულს, ბედნიერ წლებს და მიეცემიან სევდას, რადგან არავინ უწყის, რისთვის ისჯება, საიდან გაჩნდა ეს ეშმაკეული სენი მის სრულყოფილ სხეულში.

ღამე მეზობელ ოთახში ვწევარ, ბალიშთან რადიომიმღები მიდგას. იგი დუმს, მაგრამ ხანდახან აფაჩუნდება და სუსტი ხმა მიხმობს — „ჯიმ, ფლიზ, ჰელპ მი!“ თავზარდამცემი და გულისმომკვლელია ეს ხმა. წამოვხტები, მივირბენ. ის მრავალი საათი წევს გაუნ-

ძრევლად, არ შეუძლია, გადაბრუნდეს, ფეხები თავისთავად ელუნება და ვერ გაუშლია... ვეხმარები, რომ მხარი შევაცვლევინო, ფეხები გავეუმართო... ოღონდაც მისი კუნთები, მისი ნების სანინააღმდეგოდ ისევ ეკუმშება და ითმენს, სანამ შეუძლია.

მეორე დღეს ექიმთან მიგვყავს. ეტლი მივაგორე მანქანამდე. წინა კარს ვუღებ. ეტლიდან ვაყენებ და სავარძელში ისე ვსვამ, თავი არ მივარტყმევინო. მერე გაფშეკილი ფეხები უნდა მოვუღუნო, რათა შევანყობინო. მძლოლისაკენ თუ არ გავაჩოჩე, კარის დახურვა გაჭირდება. უკნიდან ვუვლი, ილღიებში ხელს ჩავავლებ, მაგრამ მე თვითონ მოკუნტული ვარ, ღონეს წესიერად ვერ ვატან. მაინც ვექაჩები და უცებ მარჯვენა ხელის სახსარში ტკაცანი ისმის... სადღაც კუნთის ძარღვი გამისკდა და მწარედ მტკივა.. ხმას ვერ ვიღებ... ეტლს ვკეცავ და საბარგულში ვდებ.

წინასწარ ვიცი, როგორ გამიჭირდება, მანქანიდან ეტლში მისი გადმოყვანა. ექიმებთან, კაბინეტებში ტარება, მერე უკან გამომგზავრება... და ღამე, როცა რადიოში კვლავ აფაჩუნდება სუსტი ხმა: „ფლიზ, ჰელპ მი!“

გაზაფხული რომ მოლონიერდა, ვიფიქრე, უსაქმურად სანამ ვეგდო-მეთქი. აგერ, განცხადებაც! ცოტათი აღმოსავლეთით, აპალაჩის მთებში, წვრილ-წვრილი ტბების პირას, ახალგაზრდული ბანაკებია. საზაფხულო არდადეგებამდე უნდა შეაკეთონ და მუშაობის მსურველებს ეძებენ. მუშაობით ხომ არ გავიჭყლიტებოდი და მივაშურე ბოროტ-პარკს, ებრაელთა უბანს, მოვძებნე მისამართი და შევაბიჯე ბინაში, რომლის დასაგველად და მისალაგებლად, ეტყობა, ვერავინ იცლიდა. ოთახი, მაგიდა, სკამები... დამჭკნარი ქალი გამომეცხადა, ცხვირ-პირი მეღას მიუგავდა, ზუსტად საშენო სამსახური მაქვს, ხვალვე მოდი, თეთრეული ხელს გამოაყოლე და 100 დოლარიც არ დაგავინყდესო. წინასწარ ვიცოდი, დიდი შემოსავალი იქარ მექნებოდა, მაგრამ კვირაში 350 დოლარი ყველაზე ნაკლებია, რასაც ასეთი მუშაობისთვის იძლევიან, თანაც მთის სუფთა ჰაერით ვისუნთქავდი და ამას რა ჯობდა.

გამოვცხადდი მეორე დღეს. ქალმა ეს ჩემი 100 დოლარი წინდის ყელში ჩაიკუჭა, ერთ საათში შენს წასაყვანად მოვლენ და მანამდე უკანა ეზო მიმილაგეო. არ მეჭაშნიკა, ეს თუ აგენტი-შუამავალი იყო, მისი გაოხრებული ეზოს მილაგება მე რად მევალეზოდა. არც რა ვუპასუხე, მაგრამ არც ცოცხს მოვკიდე ხელი. ალბათ ჩემნაირებს იბრიყვებდა ხოლმე, აქ კი არაფერი გამოუვიდა.

ვხედავ, მოსრიალებს შავი ავტო. საჭეს შავგვრემანი, შავწვეროსანი და ზომიერად ჩაკურატებული ტიპი უზის. ჩაცმულობით ვატყობ, რომ რაბინია. ჩამისვა მანქანაში და გამაქანა აღმოსავლეთის მიმართულებით. გავცდით ნიუ-იორკს, მივქრვივართ ფართო ჰაივეიზე. ირგვლივ ტყეებია.. ასიოდე მაილს მიღმა მთებისაკენ გადავუხვიეთ, გავიარეთ წვრილ-წვრილი დასახლებები. ბოლო დასახლებიდან ათიოდე მაილზე ავყევით ტყიან-გორაკიან მხარეს და აღმოვჩნდით ტყის კედლით შემორაგულ ტაფობზე, რომლის ერთ კუთხეში მომცრო ტბა იყო, ოდნავ დაფერდებულ ველზე ორი-სამი დიდი შენობა იდგა, წრეზე კი სამი ათეული კოტეჯი. შენობებიდან ერთი იყო სინაგოგა, ერთიც სპორტული დარბაზი და ერთიც სასადილო კომპლექსი, სადაც მარცხენა ფრთაზე ხორციანი კერძებით იკვებებიან, მარჯვენაზე — რძიანით... მოკლედ, ეს გახლდათ რელიგიური ბანაკი ებრაელი ბიჭუნებისათვის (საბჭოეთის პიონერთა ბანაკის მსგავსი!).

შეზინდებას ცოტალა აკლდა, ბუნებით და ხედით კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ უკვე მშია კიდევ და დასვენებაც ზედმეტი არ იქნებოდა. რაბინმა ჩემი თავი რონის გადაულოცა. ეს რონი გარეგნობით კაი მოსული, ოცდახუთ წლამდე ახალგაზრდაა. ზრდილობიანად მომესალმა, ოღონდ ათ წუთში მისი ახალგაზრდული სილამაზე ჩემს თვალში გაფერმკრთალდა, როცა პატარა, გრძელ ფარდულში შემეყვანა და მიჩვენა საძილე ოთახი, სადაც არც ნათურა ენთო, რკინის ჟანგიანი საწოლი იდგა და ასი წელი არავის დაუგვია. ამავე ფარდულში აღმოვაჩინე სასადილოც, საპირფარეშოც, შხაპიც... ოღონდაც, საპირფარეშო უფრო სუფთა ჩანდა სასადილოზე და, როცა მაცივრის კარი გამოვადე, კინაღამ გული შემიღონდა — იგი გაჭედილი იყო გაუგებარი წარმოშობის პროდუქტებით, რომელთაც ისეთი საძაგელი ფერი დაჰკრავდა, ხელის მიკარებაც ვერ შევძელი. ყავა მოვიდულე და ამით დავკმაყოფილდი.

ამასობაში დაბნელდა კიდეც და სამუშაოდან ორად-ორი მუშა დაბრუნდა. ერთი იყო დონ-კიხოტის კინოგმირის მაგვარი ტიპი, ვერ გავარკვიე, სერბი თუ რუმინელი, ცოტათი ფსიქიკურად შეჭირვებული. მეორე კი სლავი მიშა, არ ვიცი რუსი, არ ვიცი, უკრაინელი, რომელსაც ცოლი უკრაინაში ჰყავდა და, როგორც თვითონ მომიყვა, რქებსაც ადგამდა, მაგრამ მიშას, ადრე ფიზკულტურის მასწავლებელს, მაინც ეცოდებოდა და მძიმე შრომით მოპოვებულ თავის მცირე ბაქსებს უგზავნიდა, თანაც მარნმუნებდა, ქალი უკაცოდ ვერა ძლებს, ასეთია მისი ბუნებაო.

ეს მიშაც საცოდავად შერეკილი გახლდათ. ერთ ოთახში ჩათბუნებულიყო და, რაკი მოსაუბრე ენატრებოდა, თავისთან გადასვლა შემომთავაზა. მეც უმაღლეს მასთან გადავბარგდი და აღმოვაჩინე, რომ ამ სამართლიანობით აღსავსე, დემოკრატიულ ქვეყანაშიც პატარა კაცი, თუ ის შეშინებულია, მთლად პატარავდება. სიცილით მიყვებოდა: ერთხელ, სუპერმარკეტში, გადახდისას ასდოლარიანი გამოვაჩინე და როცა გამოვედი, გზაზე ორი ზანგი გადამიდგა, ერთმა თავში მრეხვა, გამთიშა და ჩემი ასი დოლარიც გაქრაო. პოლიციას რატომ არ გამოუძახე-მეთქი, ვკითხე. შემემინდაო, მიპასუხა... როცა დასაძინებლად იხდიდა, დავინახე, მარჯვენა ბეჭს მთლიანად სიღამნვრის კვალი ფარავდა. ეს რა დაგმართნია-მეთქი, — შევიცხადე. ფირმაში ქერს ვლებავდი, მაღალი კიბიდან ჩამოვვარდი, ბეჭებზე მყავა გადმომესხა და ცხრა პირი ტყავი გამძვრაო. ნებისმიერი ამერიკელი და თუნდაც არალეგალი იჩივლებდა და მეპატრონეს მოუწევდა კარგა მოზრდილი თანხის გადახდა, მაგრამ ამ საცოდავს თვითონვე შეემინდა და გადაიმალა, ეგონა, დამიჭერენო...

მეორე დღესვე მივხვდი, ჩვენი მდგომარეობა მონისას მხოლოდ იმით სჯობდა, რომ ბორკილებს არავინ გვადებდა. დილის 8 საათზე უნდა დაგვეწყო მუშაობა და ღამის ათამდე ქედმოუხრელად გვემუშავა. ამოდენა კომპლექსის მონესრიგებას სამი კი არა სამჯერ ათეული მუშა ვერ განვდებოდა, მაგრამ ამათ ფულის ხარჯვა არ უნდოდათ და ეტყობოდათ, ჩვენს ხარჯზე სურდათ ამ საქმის გადაგორება. რაბინი საერთოდ არც გვეჩვენებოდა, რონი და მისი თანაშემწე, ერთი წვერხუჭუჭა ლანირაკი და ერთიც ორმოცს მიტანებული გერმანული წარმოშობის საქმის მწარმოებელი, რომელსაც ჰენრის

ვეძახდით, მხოლოდ თვალთვალთ იყვნენ დაკავებული, რათა შემთხვევით არ შეგვესვენა და მუხლებიდან ქარი არ ამოგვეშვა.

პირველსავე დღეს, უზარმაზარი საცურაო აუზი წყლისაგან ამოვაშრეთ და მცხუნვარე მზის ქვეშ მთლიანად შევვლებით. მხოლოდ სადილობის ჟამს შეგვასვენეს და საღამოს უკვე ფეხზე ძლივს ვიდექი, იმ ჩვენი ბინძური ფარდულისაკენ მივლასლასებდი. ვატყობდი, რონი კაი თვალთ არ მიყურებდა, რადგან მისი ნებართვის გარეშე მიშასთან გადავედი. ვერ მივხვდი, ამით მას რა აკლდებოდა. მზერაში პატარა ტირანი ეჯდა, თუმცა მხოლოდ ის შეეძლო, წამდაუნუმ მოტოროლერით მოგრილებულიყო და ჩვენი საქმიანობა შეემონებინა. ამ დროს მიშას და იმ საცოდავ „დონ-კიხოტს“ ტანში აყრილებდათ. მიკვირდა მათი აუხსნელი შიშისა და თანდათან მეც გადამედო. ამიტომ, როგორც კი მოტოროლერის ხმას გავიგონებდი, თავდალუნული მეტ სიბეჯითეს ვავლენდი. ოღონდაც, რონი არ იყო ისეთი გულუბრყვილო და ხანდახან მელასავით წამოგვეპარებოდა.

მეორე დღესაც ასე გაგრძელდა. ამჯერად რამდენიმე ტბისპირა კოტეჯი გადავვლებით, ჭანჭრობაში გვინევდა მუშაობა, ფეხები დამისველდა. უკვე ღამით კი სინაგოგის დაცლაც დაგვაავალეს გრძელი, მძიმე მერხებისაგან. ღამის თერთმეტი იყო, როცა შხაპის ქვეშ ვიდექი და ვფიქრობდი, შრომით არ მოვკვდები, მთავარია, რას გადამიხდიან. მესამე დღეც ასეთივე მძიმე აღმოჩნდა, იმ განსხვავებით, რომ ბინდისპირზე მე და მიშა ჰენრიმ თავისთან შეგვიპატიჟა. ცალკე, პატარა კოტეჯში ცხოვრობდა. მარტოხელა კაცის საცხოვრისში ყველაფერი ყირაზე დაგვხვდა. მაგდა ჭუჭყიანი თეფშებით, საჭმლის ნარჩენებით და რაგინდარა წვენებით იყო სავსე. ჰენრი ბუნების შვილი აღმოჩნდა, უყვარდა ნადირობა და თევზაობა, ვერ იტანდა ქალაქურ ყოფას. მოგვართვა მოხრაკული კონსერვები, წვენები და ყავა... დაგვპირდა, ოდესმე ნიუ-იორკში გენვევითო...

ამასობაში გავარკვიე, რომ კვირაში იმ მიზერულ 350 დოლარსაც არავინ გადამიხდიდა. მიშას ორი კვირის კატორღის შემდეგ ძლივს გადაუხადეს 240 დოლარი და გახარებულმა 200 დოლარი სასწრაფოდ თავის მოღალატე ცოლს გაუგზავნა.

მომდევნო დღის რვა საათზე არც წამოვდექი. ყავა დავლიე, შხაპი გადავივლე და რაბინს გამოვეცხადე. იმას არ შეუცხადებია, ეტყობა, ასე ამოჰყავდა მოტყუებული ხალხი. ისინი, მართალია, სწრაფადვე გარბოდნენ, მაგრამ ამასობაში საქმე ხომ წინ მიიწეოდა, თანაც იაფად. შუადღემდე მალოდინა, სანამ 140 დოლარს გამომიტანდა.

ჩემი ჩიქორთული ინგლისურით ავუხსენი, რომ 100 დოლარი იმ დეგენერატ აგენტს მივაშავე. აქედან ავტობუსი 25 დოლარი ღირს, ე. ი. ეს სამი დღე 15 დოლარისათვის მიმუშავია და ისიც ტაქსისთვის დამჭირდება-მეთქი. დიდად არ ეხალისებოდა, რომ ამ მიყრუებული ადგილიდან ავტობუსამდე მაინც მივეყვანეთ. ჩემს თავზე ვბრაზობდი, რომ იმდენი ინგლისური არ ვიცოდი, გემრიელად გამომეღიანა.

ბოლოს რონის უბრძანა, ავტობუსამდე წაიყვანეო. ეს პატარა ტირანი მანქანაში თაფლად იღვრებოდა. მე კი ინგლისურ სიტყვებს ვაკონინებდი, რათა ნაწილობრივ მაინც გული მომეფხანა: მე სულელი კი არა ვარ, მე მწერალი ვარ, თქვენი რაბინის წონა წიგნები მაქვს დაბეჭდილი... თქვენ მუშები კი არა, მონები გინდათ... ამაზე რთულად ვერ ვუხსნიდი, ის კი მიმეორებდა, მე ხომ კარგად გეცოდო, ხომ არაფერს გიშავებდით.

შევიძინე ბილეთი და რამდენიმე საათის შემდეგ შევგრიადი ბას-სტიმინში.

მომდევნო დღესვე მივაკითხე აგენტს. უჯდა მაგიდას და წინ ჩემსავით გულუბრყვილოთა რაზმი შემოეკრიბა.

— იცი მე ვინა ვარ? — ქედმაღლურად შევეკითხე. — ნავალ ახლა და ნიუ იორკის რამდენიმე გაზეთში აღვწერ თქვენს ჩალიჩობას.

— არ ქნა მაგი, ჩვენზე არაფერი დანერო, ფლიზ! — მპასუხობს მელაკუდა, აინვეს კაბის კალთას, წინდის ყელიდან ამოაძვრენს ჩემს დაჭმუჭნილ ასდოლარიანს და მიბრუნებს.

პირველსავე სუპერმარკეტში ვახურდავებ, რადგან მეჩვენება, რომ კუპიურას წინდის სუნი ასდის.

კარგა ხანს გამყვა სურვილი, დამერეკა იმ რაბინისათვის, მეკითხა, მართლა სწამდა ლმერთი თუ არა...

ჩემი პირველი დაბადების დღის საჩუქრად რიმა და ალექსი დუნაისკებმა ვაშინგტონში გასამგზავრებელი 140-დოლარიანი საგზურით დამასაჩუქრეს. მართალია, დაბადების დღე პირველ მარტს მქონდა, მაგრამ სამოგზაუროდ მაისში უნდა გავმგზავრებულიყავი, ეს კი საუკეთესო დროა თვალის სასეიროდ, რადგან ატლანტის სანაპიროს შტატები ისედაც ტყიან-გორაკიანი და ლამაზია, სამაისოდ კი — მით უფრო.

მაისისათვის ფეხი ამტკივდა. ჯერაც ხელჯოხს არ ვხმარობდი, მაგრამ კოჭლობით დავდიოდი და შიგადაშიგ ჩავიკვნესებდი. შემჩნეული მაქვს, რომ მამაკაცები უფრო კვნესიან, მცირე ტკივილის დროსაც თავს გაცოდებენ, ქალები კი ტკივილის მიმართ უფრო გამძლენი არიან. ასეა თუ ისე, საგზურის დაკარგვას არ ვაპირებდი და დილაუთენია უკვე ტურისტულ ავტობუსში ფანჯარასთან ვიჯექი.

გადავჭერთ ბრუკლინი, ვერაზანოს ხიდი, სტიეტენ-აილენდი და ნიუ-ჯერსის შტატი... გვერდი ავუარეთ ტრენტონს, ფილადელფიას, ბალტიმორს... რუკაზე აღნიშნულ ქალაქებს კი ჩამოვთვლი, მაგრამ ტყიანი გორაკების, სწორად გაჭიმული ჰაივეების, პროვინციული ქალაქების, სამრეწველო გარეუბნების გარდა მეხსიერებაში არაფერი შეგრჩება. ამ კომფორტულ მგზავრობას ერთი მინუსი ახლავს — ალაქლაქებული გიდი. ცხადია, იგი საინტერესო ამბებს ყვება, უკეთესი იქნებოდა ყველაფერი ეს წიგნად გამოეცა, რათა გზა-გზა ჩავგეხედა და ვითარებაში გავრკვეულიყავით, მაგრამ ეგზალტირებული გიდის უწყვეტი რატრატი თავის ტკივილის უცილო მიზეზია. მოკლედ, სანამ დედაქალაქში ჩავალწევდით, ნიუ-ჯერსის, დელავერისა და მერილენდის შტატების ამბებში წვრილად ჩავიჭვრიტეთ, მელონების მილიარდები ბოლო ცენტამდე დავთვალეთ, სადღაც გზისპირა რესტორანში ყავა დავლიეთ და ვაშინგტონის გარეუბნის ერთ უბრალო, ტურისტულ სასტუმროში მოვთავსდით და, რაკი მე ბედი მწყალობს, ჩემთან ნომერში ისეთი მხვრინავი სუბიექტი დამიწყვილდა, ძილი სანატრელი გამიხდა.

ნიუ-იორკის ცათამბჯენებისა და სტანდარტული, დაბალსარ-
თულიანი უბნების შემდეგ ეს სულ სხვა ქალაქი აღმოჩნდა. მადლობა
ღმერთს, რომ აქ კონგრესზე მაღალი შენობის აგება იკრძალება და
უკვე ამითაა განსხვავებული. იმ დროს, თურმე ტურისტებს თეთრ
სახლშიც უშვებდნენ, მაგრამ მხოლოდ დილის საათებში და ჩვენ
ვერ მივუსწართ. თბილი, მზიანი ამინდი იდგა, ადამიანს რომ
სასეირნოდ განგანყოფილ. ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული, ბევრია
ყვავილი და ბევრია ძეგლები, განსაკუთრებით სამხედრო-ისტო-
რიული პერსონაჟებისა. მომეჩვენა, რომ ვისაც კი ხმალი გაუქნე-
ია, ყველა ბრინჯაოს ცხენზე იჯდა. ქალაქი ჰგავდა ღონით სავსე
ახალგაზრდას, ყველაფერს დაჰკრავდა უბრალოების, სიბრძნისა
და სიყმაწვილის იერი.

კონგრესში ყოველივე ეს ერთადაა შერწყმული. ცენტრალური
როტონდიდან მარცხენა ფრთაზე განლაგებული დარბაზები უამრავ
ქანდაკებას უკავია. კანონით თურმე ყველა შტატს უფლება აქვს
თავისი ორი ისტორიული პერსონაჟის ქანდაკება კონგრესში დად-
გას. ამიტომაც აქ მიჯრით დგას სხვადასხვა ზომის ქანდაკებები —
თეთრკანიანთა, ინდიელთა, შავკანიანთა, ქალთა და კაცთა... ყვე-
ლა, ვინაც კი რაიმე ქმედებით, თუნდაც დროული სიტყვით წინ წასწია
ამა თუ იმ შტატის საქმე, აგერ არსებობდა ქვაში და ბრინჯაოში. კონ-
გრესის მარჯვენა ფრთაში გვიჩვენეს სენატისა და კონგრესის ძე-
ლი, ისტორიული დარბაზები და, რა თქმა უნდა, თანამედროვე დარ-
ბაზებიც... აქ კონგრესის დარბაზში ყველა პრეზიდენტის ბიუსტი შე-
მოგვცქეროდა, სენატში — ყველა ვიცე-პრეზიდენტისა... ეს ქვეყა-
ნა თავისი ისტორიის თუნდაც მცირე ფურცელს არ კარგავს.

პოტომაკის სანაპიროზე საკურას ხეების ყვავილობა უკვე და-
მთავრებულიყო... თეთრი სახლი, კონგრესი, ვაშინგტონის სვეტი,
ლინკოლნის მემორიალი — ერთ ხაზზეა განლაგებული... აგერ
ფრანკლინ დელანო რუზველტის მემორიალი... კორეის ომისადმი
მიძღვნილი კომპლექსი: ზურგჩანთიანი ჯარისკაცები შეტევაზე
გადადიან... ვიეტნამის ომში დაღუპულთა ძეგლი, აქ ყოველი
დაღუპულის სახელი და გვარია ამოტვიფრული...

არლინგტონის სასაფლაო... მემორიალური მუზეუმი შესასვ-
ლელთან, მარადიული ცეცხლი და საპატიო ყარაული... ირგვლივ
მწვანე გორაკები მოფენილია ათასობით თეთრი ჯვრით. არც ერთ
თავის შვილს ამერიკა არ ივინყებს... კენედისა და ჟაკლინის უბრა-

ლო, სადა სასაფლაო... შორიახლო კი რობერტ კენედისა, მარმა-
რილოს პატარა ფირფიტა მწვანე მდელოზე... (ამ დროს სიარული
თითქმის არ შემოძლია, წინ წასულ ექსკურსანტებს საგრძობლად
ჩამოვრჩი და ყოველი ნაბიჯი აუტანელ ტკივილს მანიჭებს!).

პენსილვანია-ავენიუს ორივე მხარეს მუზეუმებია ჩამწკრივე-
ბული, შესვლა ყველგან უფასოა. ყველაფერი რომ ნახო, აქ რამ-
დენიმე დღე მაინც უნდა დარჩე, ექსკურსანტებს კი დრო ცოტა
გვაქვს, გადარბენაზე ვართ. რა თქმა უნდა, უპირველესად ხე-
ლოვნების მუზეუმი უნდა დავლაშქრო. თავდაპირველად წრიულ
კოლონადაში ვხვდები, შუაში გიგანტური, ცოცხალი თაიგულია.
აქედან უნდა დავუყვე დარბაზების ლაბირინთს. ყველას შემოვლას,
ცხადია, ვერ ვასწრებ და პირდაპირ იმპრესიონისტებთან მივდი-
ვარ. ვინსენტ ვან-გოგის ავტოპორტრეტთან სურათს ვიღებ... ნახე-
ვარი საათით კოსმონავტიკის მუზეუმისათვისაც მოვიცალე. აქ
ყველაფერია, რაც დაფრინავს. კოსმიური ხომალდის კაბინაშიც
შევძვერი, საძილე ოთახი ვნახე, სადაც საწოლიც კი არ არის, რაკი
ზევით-ქვევით არ არსებობს და როგორაც შეხვალ, ისევე დაიძინებ,
კოსმოსში ყოფნისას, ცხადია... უფრო პლანეტებისა და მათი თანა-
მგზავრების სლაიდები მაინტერესებს, „დისკავერმა“ რომ გადაიღო.
აგერ იუპიტერის თანამგზავრებიც და მათ შორის ევროპაც. თა-
ვის დროზე ფანტასტიკური მოთხრობა გამოვაქვეყნე — „თეთრი
ევროპა“. ჩემი პერსონაჟები ამ თანამგზავრზე ცხოვრობდნენ და
აღწერილი მაქვს, თუ როგორ ამოზვავდება იუპიტერი ევროპის
ცაზე. მე უფრო შთამბეჭდავად დამიხატავს, რადგან ჩემთან იუპი-
ტერი ნახევარ ცარგვალს იპყრობს, სინამდვილეში, თუმცა იუპი-
ტერი მართლაც დიდი ჩანს ევროპის ცაზე, მაგრამ არა იმოდენა,
რაც მე დავხატე, უბრალოდ მანძილი ვერ გავითვალისწინე პლანე-
ტასა და მის თანამგზავრს შორის.

აინშტაინიც მოვინახულეთ. ფეხშიშველა აინშტაინი შინაურუ-
ლად ჩამომჯდარიყო და თუმცა სახე დანაოჭებული ჰქონდა, შარ-
ვალ-პერანგი დაჭმუჭნილი, მაინც უზარმაზარ, უღვაშიან ბავშვსა
ჰგავდა. მაგის ფეხის ზომისა ძლივს აღმოვჩნდი, სურათი გადავიღე
და ჩემმა შვილმა ფოტოზე უკნიდან დაანერა — „კოლეგები“... ვი-
თომ რატომაც არა? მე და ალბერტი „კოლეგები“ იმიტომ გახლ-
დით, რომ ბარე რამდენიმე წიგნს ვურედაქტორე მის შესახებ...

ბოლოს საელჩოების უბანი მოვიარეთ, ავტობუსის ფანჯრიდან ვცდილობდი უამრავი სხვა დროშიდან ქართულიც მეხილა, მაგრამ ველარ ვნახე. უზარმაზარ კათედრალურ ტაძარს გარს შემოვუარეთ და შინისაკენ, ე. ი. ნიუ-იორკისაკენ გამოვეშურეთ...

დიდ და მდიდარ ქალაქში სანახაობა ბევრია და შთამბეჭდავიც. როცა მცირე ხნით ჩამოდიხარ, ცდილობ ყველაფრის ნახვა მოასწრო. აქ თუ ცხოვრობ, ფიქრობ, დღეს თუ არა ხვალ მომიხერხდებაო და ბოლოს აღმოაჩენ, რომ ცოტადა მოასწარი.

ანი მ. თავის მნიშვნელოვან ალსაზრდელს ცენტრალურ პარკთან ასეირნებდა, რადგანაც იქვე, ფეშენებელურ სახლში ცხოვრობდა. ბავშვის მშობელმა მეტროპოლიტენის მუზეუმის აბონემენტი უყიდა. ანიმ ჯერ თვითონ იარა, მერე მე დამითმო. მთელი თვის განმავლობაში, შაბათ-კვირაობით, ფეხების დაწყდომამდე დავდიოდი და ახლა რომ მოვყვე, რაც იქ ვნახე, ამისთვის ქალაქი არ მეყოფა... არჩევანი უსაზღვროა, ვის ანტიკური ხელოვნება მოეწონება, ალორძინების ეპოქა, ჩინური, ინდური, არაბული, სპარსული... მე კი ყველაზე ნაკლებ წინა საუკუნეების ამერიკული რეალიზმი მომეწონა. ყველაზე მეტად კი როდენის უმდიდრესი კოლექცია, იმპრესიონისტები და, რაც ჩემთვისაც გასაკვირია, შუა საუკუნეების რაინდთა აღკაზმულობა... სამწუხაროდ, ქართული ვერაფერი აღმოვაჩინე, მაშინ როცა, ვთქვათ, კორეას ან კამპუჩიას უზარმაზარი დარბაზები ეჭირა.

„მეტროპოლიტენ-მიუზი“ თუ პარკის აღმოსავლეთითაა, „ნიჩერ-მიუზი“, ე. ი. ბუნებისმეტყველების მუზეუმი მის დასავლეთ კიდეზეა (მის გვერდითაა ნიუ-იორკის მუზეუმიც). ამაზე შთამბეჭდავი სანახაობა ძნელია ადამიანმა წარმოიდგინოს. დინოზავრებიდან დაწყებული მეტეორიტებით დამთავრებული, დედამიწის ყველა კუთხეში არსებული პანორამები, ცხოველთა სამყარო და მცენარეები... ველური ადამიანები და თანამედროვე ხალხთა ეთნოგრაფია... ცოცხალი ტროპიკული პეპლების გამოფენა და პლანეტარიუმი, სადაც უცხო პლანეტებზე მოგზაურობის შთაბეჭდი-

ლება გექმნება (მათ შორის, იუპიტერის თანამგზავრ ევროპაზეც)... აქ საქართველოს პანანინა კუთხესაც ნავანყედი, არცთუ მოზრდილი ოთახის მომცრო კარადაში ზურაბ წერეთლის ნაჩუქარი ნივთები გამოეფინათ — ჩოხა-ახალუხი, ხმალი და ა.შ. ამ ოთახის მთელი დანარჩენი სივრცე სომხებს ეჭირათ, აქ იყო ნატურალური სიდიდის სომეხი მღვდელმთავრისა და ეროვნულსამოსიანი მანდილოსნის ფიგურები...

სხვათა შორის, ჰუძონის სანაპიროზე უზარმაზარი საგამოფენო კომპლექსია, სადაც ყოველწლიურად სამხატვრო გამოფენაც ეწყობა. მსოფლიოს ყველა კუთხის ათასობით მხატვარი ქირაობს ადგილს საკუთარი ნამუშევრების გამოსაფენად. აქ ვიპოვე ჩვენი სომეხი მეზობლები, იმათ სახელმწიფოს ხელშეწყობით მოხერხებული ადგილი ჰქონდათ დაქირავებული. ორად-ორი ქართველი კი სადღაც შორეულ კედელთან მიყუჟულიყვნენ, თუმცა დამთვალეიერებლები არც მათ აკლდათ (შესასვლელთან ახლოს ფართი ძვირი ღირდა, შორს — იაფი).

რა თქმა უნდა, გუგენჰაიმის მუზეუმშიც ვიყავი. დარბაზები აქ წრიულადაა განლაგებული. მიყვები აღმავალ ბილიკს წრეზე და შეუმჩნეველად მალლა და მალლა გადაინაცვლებ. თვით დარბაზებში ძირითადად იმპრესიონისტთა და ავანგარდისტთა ნამუშევრებია. ბილიკის გასწვრივ კი თემატური გამოფენები ეწყობა. ამ დროს მექსიკიდან ჩამოტანილი აცტეკთა კულტურის ნიმუშები იყო გამოფენილი — ურჩხულები, ცხოველები, ადამიანები და ღმერთები...

ბრუკლინში არაჩვეულებრივი აკვაპარკია. ლურჯ აუზში ვეშაპიც კი ჰყავთ. ლოდნარებში ტბათა რიგია და შიგ ზღვის ლომები ლალობენ. ტბებს თუ შემოვუვლით, დაბლა, მინისქვეშა დარბაზებში ვეშვებით, უამრავ აკვარიუმში ზღვისა და ოკეანეების მრავალფეროვან არსებებს ვიხილავთ. ტბები ამ დარბაზებისაგან გამჭვირვალე კედლითაა გამოყოფილი და ეს უზარმაზარი ზღვის ლომები წყლისქვეშეთიდან მინას ცხვირს მოაჭყლეტენ და ადამიანებს ცნობისმოყვარედ გვათვალეიერებენ.

გამომგზავრების წინ მერაბ ტყემალაძემ მითხრა, ისე როგორ ნახვალ, ბრონქსის ზოოპარკი არ ნახოო. კვლავაც ფეხის პრობლემები მქონდა (ხელჯოხს ვხმარობდი!), სეზონიც არ იყო სახარბიელო, მაგრამ მაინც ნავედით. რაც იქ ვნახე, სიზმარშიც არ დამე-

სიზმრებოდა. ერთგან მწვანეში ჩაფლულ კარს წავაწყდით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წვიმიანი ტროპიკებში, ენერა. ფიცარნაგზე გავიარეთ და მთლიანი შუშის კედლის მიღმა მართლაც გამოჩნდა იქნებ ბორნეო ან ცელებესი — დაჭაობებული, მარადმწვანე ტყე ლიანებით იყო დახლართული. ტოტებზე მაიმუნების ოჯახი იჯდა, ბენვი წყლის ნიჟით უბზინავდათ, ქვევით, ქაობში ნიანგები იწვნენ, ზევიდან თხელი ღვაფი ცრიდა, ჰაერი ორთქლით იყო გაჯერებული... ამ სურათს რომ ვშორდებოდით, წყლის ჩხრიალი და დგაფუნი მოგვესმა. რამდენიმე საფეხურით ჩავედით და მდინარის პირას აღმოვჩნდით: პირდაპირ დარბაზში მოზრდილი მდინარე მოთქლიშინებდა და დინების საპირისპიროდ ასეულობით მხარისტოლა და ვერცხლისფერი თევზები თავგანწირვით მიისწრაფოდნენ... დიდხანს ვიხეტიალეთ ზოოპარკის ვრცელ ტერიტორიაზე. აქ ცხოველები ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ. შენობებში და გალიებში მხოლოდ ის ცხოველებია, რომელნიც ან საშიშნი არიან (სერპანტერიუმი), ან ამ ქალაქის კლიმატს ვერ გაუძლებენ (უამრავი ჯიშის პანანა მაიმუნები), ან ღამის არსებები (ბნელ დარბაზში მათ წითელი მაშუქით გამოაჩენენ)... დალღილებმა რესტორანში ვისადილეთ და ფანჯრიდან გადავიხედე: სელიანი ქვიშნარით შემოსაზღვრულ მომცრო ტბაზე ორი ასეული თეთრი-ვარდისფერლაქიანი წერო იდგა...

ამ მომცრო ჩანანერებს მესხიერების გასაცოცხლებლად ვაკეთებ... მეტროპოლიტენ ოპერას უზარმაზარი ფოიე, დარბაზი, სცენა... მოცარტის „დონ ჟუანს“ ვუსმენდი, ჩემი სავარძლის წინ კი მომცრო დისპლეიზე ტექსტის ინგლისური ვარიანტი გარბოდა... ქალები, ბროლის აფეთქებას რომ ჰგავდა...

გრანდიოზული ტაძრები, კოლონადები, ვიტრაჟი, სივრცე...

ბროდვეის უამრავი თეატრი... კინოთეატრები...

ერთხელ ქართველებმა ჩინურ კომპანიაში ავტობუსი ვიქირავეთ და ფილადელფიაში გავემგზავრეთ, სადაც თეატრალური ფესტივალი ტარდებოდა და ვაშინგტონიდან ჩამოსულმა ქართულ-ამერიკულმა ჯგუფმა „სტუმარ-მასპინძელი“ წარმოადგინა...

ეჰ, ბევრ რამეს ნახავ ამერიკაში, მაგრამ, სამწუხაროდ, უფულო კაცი ამერიკაშიც უფულოა.

ოქტომბერში ნიაგარის ჩანჩქერის სანახავად გავემგზავრე. უმჯობესი იქნებოდა, ზაფხულში მომესწრო, მაგრამ გამგზავრება გამიჯანჯლდა და ტურისტული სეზონიც დამთავრებული დამხვდა. ამინდი ურიგო არ იყო, ოღონდ კვლავაც ფეხი მანუხებდა, თუმცა მეტის გადადება არ ღირდა, რადგან მალე შინ, სამშობლოში ვბრუნდებოდი.

ხელჯოხი ავიღე და ბრუკლინიდან დილით გავედით.

ბროქსს რომ გასცილდები, გადადიხარ უსასრულოდ გრძელ ხიდებზე. წინ ტყიანი გორაკებით შემოჯარული წყლის ვრცელი ზედაპირი ლაპლაპებს. ტყეებში უთვალავი კოტეჯია ჩაფლული, წყალზე კი აურაცხელი, სხვადასხვა ზომის აფრიანი იახტები დაცურავენ.

გზა ჯერ ნიუ-ჯერსის შტატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გადის, მერე პენსილვანიის შტატში და ბოლოს საკუთრივ ნიუ-იორკის შტატში, რომელიც ჩრდილოეთით დიდი ტბების ნაპირებს ებჯინება.

აპალაჩების ტყიან-გორაკიანი მხარე, რა თქმა უნდა, ჩვენს მთებს ვერანაირად ვერ შეედრება, ოღონდ აქ გზები მოვლილია, ველური ტყე სინამდვილეში ადამიანის ხელითაა გაშენებული და ჰაივეიზე ხანდახან დახოცილ ირმებს ნაანყდები, გზის გადაკვეთას რომ ცდილობდნენ და მანქანის ბორბლებს ემსხვერპლნენ.

მალაროელთა დასახლებები: ორთქლმავლების ეპოქაში აქ ბიზნესი დუღდა, გარშემო ტყეები კი მალაროს ბიჯებისთვის იკაფებოდა. იმ დროს ძალაუფლებისათვის ბრძოლას არაერთი ადამიანი შეეწირა, მაგრამ გადარჩა პირველი როკველერი, დინასტიის დამფუძნებელი. დღეს, თუ ენაგატლეკილ გიდს დაფუჯვრებ, ეს მხარე კვდომის პროცესშია, თუმცა ავტობუსიდან მოყურადე ტურისტი ამას ვერ შეამჩნევს.

ორსართულიანი კოტეჯები, მწვანე გორაკებზე მიმოფანტული, ბაპტისტთა მსოფლიო აკადემიაა და აქ, ამ მომცრო ქალაქში, მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ბაპტისტები განისწავლებიან.

ინდიელთა რეზერვაცია, სადაც თეთრკანიანი მგზავრი ცხვირსაც ვერ შეყოფს, მაგრამ სახლებისა და ძვირადღირებული მანქანებითაც კარგად ჩანს აბორიგენთა პრივილეგირებული ყოფა.

ცხრა ტბის რაიონი, გამყინვარებიდან შემორჩენილი ვინრო და ასეულ კილომეტრზე ნაგრძელებული ტბები.

ჰორიზონტამდე გაშლილი ჭაობნარი, სადაც ადამიანთა შესვლა აკრძალულია, რაკი საგანგებოდაა დაცული გადამფრენი ფრინველებისათვის. დაბოლოს, უკვე შელამებულზე, ნიაგარა-ფოლსი, ბუნების საოცრება, ერისა და ონტარიოს ტბებს შორის დამაკავშირებელი მოკლე და ჩქარი მდინარე, ერთგან რომ თავბრუდამხვევი სისწრაფით ვარდება.

ამ სანაპიროზე არცთუ დიდი დასახლებაა, რაკი ამერიკელები კრძალავენ მშენებლობებს. მოვთავსდით სასტუმროში და წავედით სასაღამოოდ, ჩემს ჯოხით ცოდვილობას და კელანაობას თუ სეირნობა ჰქვია. გავიარეთ პარკი და გადავხედეთ ღამეულ ნიაგარას. სათვალთვალად ადგილიდან მხოლოდ ის ნაწილი ჩანს, შტატებს რომ ეკუთვნის, ეს კი, თუ არ ვცდები, მეოთხედია. შუაში კუნძულია და მის მიღმა ნახევარწრედ გრიალი გააქვს კანადის ტერიტორიაზე ჩამდინარე ჩანჩქერს, რომელსაც ჩვენთვის ზურგი შეუქცევია და აქედან მხოლოდ დაშორებულ ფრთას და წინკლების თეთრ ღრუბელს ვხედავთ.

ხილთ გადავივარტე კუნძულზე. ჭორომებში უხვი მდინარე მოჩქაფუნებს, სანამ ორიოდ ნაბიჯზე ჩანჩქერად გადაიქცეოდეს. კუნძულის კიდიდან რძისფერი ჩანჩქერი ხელის განვდენაზეა.

კანადის ნაპირი ცათამბჯენებით, ტაძრებითა და სასტუმროებით ბრწყინავს.

ვისაც პასპორტი აქვს, შეუძლია, გადავიდეს, ნიაგარა ხომ მთელი თავისი დიდებულებით იმ ნაპირიდან ჩანს, მაგრამ მე არალეგალი ვარ, რომ გადავიდე, უკან ვერ ვადმოვალ.

გვიან ვბრუნდები სასტუმროში, დაბეჭდილ ფეხებს ვასვენებ და ვიცი, მომდევნო დღეს უფრო გამიჭირდება.

გარიჟრაჟზე ისევ ჩანჩქერზე ვბრუნდებით, რათა დღის სინათლეზე ვნახო ის, რასაც ღამით ვუყურებდი.

დიდებული სანახავია მოზღვავებული წყლის ჩქერალი, შიშის მომგვრელი მშვენიერი ურჩხული, ჰაერში რომ დუჟსა და რძისფერ წვეთებს ფანტავს.

კანადის ნაპირზე ბუდისტური ტაძარი მოჩანს. ბუდისტები წყლის ძალას ეთაყვანებიან, აზიიდან ჩამოსულმა პილიგრიმებმა

ცოცხალი თევზი შესწირეს ნიაგარას. თევზმა კი თავი გამოიღო და ყველა სხვა თევზი გადაჭამა. ახლა ცდილობენ ეს ტირანი მოსპონ და დაჩაგრულების პოპულაცია აღადგინონ.

ძლიერია ნიაგარა. მისი გაჩერება მხოლოდ ბუნებას შეუძლია და ეშმაკობას. ბუნებას მაშინ, როცა ამ განედისათვის უჩვეულო ყინვებს დაიჭერს, ერის ტბა გაიყინება და გაზაფხულზე ყინულის ხერგილი სადინარს ამოავსებს. ეს კი ათასში ერთხელ თუ მოხდება... ეშმაკობა კი!.. ერთმა თაღლითმა სამ მდიდარ მეგობართან ნიძლავი დადო, თხუთმეტი წუთით ნიაგარას გავაჩერებო (თანხა თითოზე მილიონი დოლარი დაიდო!). მივიდა მმართველი კომპანიის პრეზიდენტთან, თავი კინომენეჯერად წარუდგინა და ამცნო, რომ ძვირადღირებულ ფილმს იღებდა, სიუჟეტის თანახმად კი ნიაგარა უნდა გაჩერებულიყო. ზარალის ასანაზღაურებლად კინოკომპანია ერთ მილიონ დოლარს იხდისო. ცნობილია, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, პრეზიდენტი კი მალე პენსიაზე გადიოდა და დათანხმდა. საქმე იმაშია, რომ ჩანჩქერის ზევით, მდინარის ფსკერზე ჩამონტაჟებულია საგანგებო რაბები. საჭიროების შემთხვევაში ფოლადის კარები ამოიწვევა და წყალს გადაკეტავს. სამეულმა, ცხადია, ამის შესახებ არაფერი იცოდა. დათქმულ დროს კინოაპარატებით დახუნძლული ჟურნალისტური არმია სასწაულს ელოდა და მართლაც წყლის მასა შემცირდა, შემცირდა და სალი კლდის კბოდეები გააშიშვლა. თხუთმეტი წუთი გრძელდებოდა ეს შოუ! ცხადია, ელექტროსადგურები გაფრთხილებული იყო და ავარიულ წყალსაცავზე გადაერთვნენ. მეოთხედი საათის შემდეგ წყლის კოლოსალური მასა გრგვინვით გადმოეშვა... იმ თაღლითმა სამი მილიონი ჯიბეში ჩაიდო. კომპანიის პრეზიდენტის კარიერა დამთავრდა, მაგრამ ამას დიდად არ უნალვლია.

ათ საათზე ისევ ავტობუსში ვისხედით. ვიმგზავრეთ ნიაგარის კანიონის გასწვრივ. კანიონის მაღალ კედლებზე, ორივე ნაპირზე, ელექტროსადგურები იყო მინებებული, თონეში ლავაშს რომ ააკრავენ, ისე. ტურბინებამდე წყალი გვირაბებით მიდის და აქ გამომუშავებული დენი ძალზე იაფია. ამიტომაც ამ მიდამოებში უამრავი ენერგოტევადი სანარმოა... მაღალი სერიდან გადავხედეთ ონტარიოს უკიდევანო ტბას და უკან შევბრუნდით — ბაფფალომდე, სადაც ერის ტბასაც ვაგვხედეთ. ბაფფალო ერთ დიდ სანარმოს

ჰგავს, ყველგან ძველი და ახალი კორპუსები ჩანს. სხვათა შორის, ბაფფალო ხარს ნიშნავს. ადრე აქ ბიზონის ჯოგები ძოვდა, მაგრამ კოლონიზაციის ეპოქაში განყვიტეს და ახლა უკვე არსად იყვნენ. „როგორ არა! — გვეუბნება გიდი. — გაიხედეთ მარჯვნივ და მარცხნივ!“ გზა ორ მწვანე გორაკს შორის მიემართება. მწვანე ფერდობებზე ბიზონების ჯოგია შეფენილი, ზოგი ძოვს, ზოგი ჩვენკენ იყურება. გვიან მოვტვინეთ, რომ ფერდობებზე ბრინჯაოს ბიზონები ბალახობდნენ. ნიუ-იორკში ღამე ჩამოვედით. ფეხები ისე ამტკივდა, ავტობუსიდან ძლივს ჩამოვხობდი. საბედნიეროდ, სადაც ვიდექი, იქ გაჩერდა მე-6 ავტობუსი, რომელმაც ჩემი ბილდინგის კარამდე მიმიყვანა...

ჩვენი დიასპორა ცდილობდა ქართული საქმეებისაგან არ გაირიყულიყო. მისი აქტიური ნაწილი მუდამ იქ გამოჩნდებოდა, სადაც კი ქართული საქმე გაფაჩუნდებოდა.

ახალჩასული ვიყავი და მარტოდმარტომ გავისეირნე მანჰეტენზე. 42-ე სტრიტზე დავადე თავი ისტ-რივერის მიმართულებით. ყველაზე აღსანიშნავი აქ, ერთ მხარეს, საჯარო ბიბლიოთეკაა, სადაც ქართულ წიგნებს ვეძებდი და სულ რამდენიმე აღმოვაჩინე, მეორე მხარეს, გრანდ-ცენტრალია... ისტ-რივერამდე თუ ჩააღწიე, აგერაა გაეროს შენობაც. თვითონ შენობამ ჩემზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რადგან ამაზე უფრო ორიგინალურ და გრანდიოზულ ცათამბჯენებს, საითაც მივბრუნდებოდი, იქ ვხედავდი. ოლონდაც, გაეროს წინ ფლაგშტოკების რიგს დავუყევი, რათა ჩვენი შინდისფერი დროშა აღმომეჩინა. გისოსებს მიღმა ზურაბ წერეთლისეულ ცხენზე ამხედრებულ წმინდა გიორგისაც შევხედე და იქვე, ქუჩის მეორე მხარეს, ლამაზ, მაღალ შენობაში საქართველოს წარმომადგენლობაც აღმოვაჩინე. ცხადია, იქ მე არაფერი მესაქმებოდა, მაგრამ ის, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყავით, რომ გაეროში ჩვენი ელჩიონი გვყავდა, კარგ გუნებაზე მაყენებდა და ამიტომ ლიფტით ავედი, გავიცანი იქ მოშუავე ხალხი (ჩხეიძე, ვოლსკი...) და ვეჭორავე.

აპსტიტში, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, კონფერენც-დარბაზში ქართული დიასპორის ყრილობა შედგა. 500-მდე ქართველი შევიყარენით, სტუმრად სენატორი მაკ-კეინი გვყავდა... იყო სიტყვები, ალაფურშეტი...

ნაკლებმასშტაბიანი, მაგრამ მაინც საინტერესო შეკრებები ხდებოდა ეროვნულ დღესასწაულებზე, არჩევნების დროს, რომელიმე ქართველი მხატვრის გამოფენაზე და ა. შ. სუსტი ქვეყნის შვილები, შიმშილსა და გაჭირვებას რომ გამოვექცით, ამით საკუთარ თავს ვამხნევებდით — ჩვენ არ გვავიწყდება სამშობლო, ჩვენ აქედან ვეხმარებით მას, რითაც შეგვიძლია, თუნდაც იმით, რომ ყოველი ემიგრანტი იქ, სამშობლოში უამრავ თავის ახლობელს ხელს უმართავს და გადარჩენის შანსს აძლევს.

ელისო ნიკლაური ასეთ ღონისძიებებზე გავიცანი. ელისოს, როგორც ნიჭიერ მხატვარს, თბილისში კარგად იცნობდნენ, აქ კი ორგანიზატორის ნიჭი და ფხა გამოავლინა. მის ორგანიზაციას „ამირანი“ ჰქვია და იგი ისეთ საქმეებს თაოსნობდა, რომელთა შესახებაც სამშობლოშიც არაერთხელ გაჟღერდა. ეს იყო მიტინგი გაეროს შენობასთან აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით (იმ დღეს უშიშროების საბჭოში აფხაზეთის პრობლემა იხილებოდა). ვარდების რევოლუციის დროსაც გვქონდა საკმაოდ შთამბეჭდავი თავყრილობა კვლავაც გაეროსთან და პირველად იქ ავაფრიალეთ ორნაირი დროშა — შინდისფერიც და ხუთჯვრიანიც.

ელისო და მისი უფროსი და თინა ბრუკლინში ცხოვრობდნენ, ჩვენი ბილდინგიდან არც ისე შორს, რევოლუციის დღეებში კომპიუტერით „რუსთავი-2“ დღე და ღამე ჩართული ჰქონდათ. ჩემთან მარტო „კურიერს“ თუ ვუყურებდი და ამიტომ იმათთან მივდიოდი. გვიანობამდე ვისხედით მონიტორის წინ, მივირთმევდით ყავას და გაფაციცებით ვადევნებდით თვალს მოვლენების განვითარებას. ბოლოს, როცა შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაში წავიდა და გადადგა კიდეც, შუაღამე გადაცილებული იყო, გამოვედი ნიკლაურის სახლიდან და გავხედე გრძელ სტრიტს, კოტეჯების ერთფეროვან რიგს და ჩემს თავს ვუთხარი — „რა მინდა აქ? რატომ არა ვარ თბილისში, სადაც ხდება ის, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს!“ მივხვდი, ამ ქვეყანაში დიდხანს ვერ დავრჩებოდი.

იგი ლამაზიც იყო და მდიდარიც, მაგრამ ჩემი ქვეყანა სულ სხვა მხარეს არსებობდა და იქ უნდა დავბრუნებულიყავი...

ჩვენი ახალგაზრდების ყოველკვირეულმა ურთიერთობებმა, პიკნიკებმა, ექსკურსიებმა, მოგზაურობებმა აპალაჩის მთიან კურორტებზე, ლას-ვეგასში, ატლანტიკ-სიტიში, ფლორიდაში — ორლანდოსა და კი-უესტში, შედეგად რამდენიმე ქორწილამდე მიგვიყვანა. ერთხელ ზედიზედ სამი ქორწილის გადახდა მოგვიწია და სამი თვის მანძილზე ლაპარაკი იყო მხოლოდ საქორწინო კაბებზე, რესტორნებზე, საჩუქრებზე... ჯვრისწერა, ცხადია, მანჰეტენზე ხდებოდა. იქ ქართველი მოძღვარი გვყავდა, მაგრამ არაქართველებიც, უფრო რუმინელები და სერბები ქართულ ტექსტებსაც იყენებდნენ, გალობა კი მუდამ ორენოვანი იყო — ინგლისურ-ქართული.

პირველად ნაირა და დათო დავაქორწინეთ. ტაძრიდან ჩვენი ფერადოვანი კავალკადა ბრუკლინის ბოტანიკური ბაღისაკენ გაემართა. იქ ტბის პირას ვერთობოდით, ნავებით დავსეირნობდით, დათქმულ დროს კი ბრაიტონ-ბიჩზე, მილენიუმის თეატრის რესტორანში გადავინაცვლეთ. სუფრა იყო ქართულ-რუსული, იყო სადღეგრძელოები, ცეკვები და სიმღერები, იყო ბრწყინვალე შოუ, დედოფალი ჰგავდა პრინცესას და ნეფეს ხელზე ატაცებული ჰაერში აჰყავდა...

ერთ თვეში თეას და კახას ქორწილი გადავინახდეთ. ტაძრიდან მანჰეტენზე, ცენტრალურ პარკში გავემგზავრეთ. ეტლებით ვისეირნეთ. მერე ტბის პირას, მდელოზე ცეკვა-თამაში გავმართეთ. ნეფესა და ხელისმომკიდეს ჩოხა-ახალუხი ეცვათ. ქართული დოლ-გარმონი ახმინდა. სტუმრებში პროფესიონალი მოცეკვავეები გვერია და ისეთი ცეცხლი დაანთეს, ირგვლივ შემალღებულეებზე ამერიკელები შეიყარნენ და ვიდეოაპარატები ჩართეს... მოგვიანებით ჩვენი კავალკადა ბრუკლინისკენ დაიძრა, იქ, სანაპიროზე, იახტების ნავმისადგომთან რესტორანში ლხინი გავმართეთ...

კიდევ ერთი თვე და მაკას და სამსონის ჯერიც დადგა. ტაძრიდან სანაპიროზე გავედით. იქ მომცრო იახტა გვქონდა დაქირავე-

ბული, რომელიც ვრცლად გაშლილ ისტ-რივერს მალლა აჰყვავდა. ჩვენ გემბანზე ვერთობოდით, ქროდა გრილი ნიავი, ვუყურებდით დაისის ვარდისფერ სასწაულს... გემიდან ბერგენ-ბიჩში გავემგზავრეთ, ამერიკულ-იტალიურ რესტორანში, ბროლითა და სარკეებით რომ ბრწყინავდა... ღვინო მხოლოდ ყანწებით ილეოდა, სიმთვრალეს კი ცეცხლოვანი ქართული ცეკვები აქარვებდა...

შთმბეჭდავი იყო ვანიკოსა და ეკას ქორწილი. რესტორნის მომღერალიცა და მოცეკვავეც დავჩაგრეთ. მომღერალი ბოშასა ჰგავდა, მაგრამ სადაც ზურაბ ნინუა და მისი ოჯახი მღეროდა, იქ პირის გაღება არც უნდა გაებედა. მოცეკვავე გოგონამ ესპანური წამოიწყო. გამოვარდა ჩვენი თენგო, ხელები აწვართა და ფეხები ააბაკუნა. ისეთი ცეცხლი დაანთო, დაქირავეულმა მომღერალმა ესლა თქვა, ასეთი მომღერლები და მოცეკვავეები თუ გყავდათ, ჩვენ რად გჭირდებოდითო.

გავიდა ცხრა თვე და სამშობიაროში რიგი დავგიდგა. თვენახევარი მისი კედლების სტუმარნი ვიყავით, რადგან ორ-ორი კვირის გამოშვებით ქვეყნიერებას მოევლინა სამი ანგელოზი, სამი ქართველ-ამერიკელი — ნია, დეა-ბელა და მარიამი.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგაც იყო ქორწილები, ამის შემდეგაც გაჩნდნენ პატარები, გოგონებიცა და ბიჭებიც... თემურსა და ეკას მესამე შვილი გაუჩნდათ — მარია, ვანიკოსა და ეკას — საბა, თორნიკესა და გვანცას — ანა...

ხიდი, ამერიკასა და საქართველოს შორის, მყარდება...

ამერიკაში გამგზავრებამდე, ერთმა ჩემმა კოლეგამ მითხრა, მანჰეტენზე, ამა და ამ სტრიტზე გამომცემლობაა, დავეკონტაქტე, ხელნაწერიც გავაგზავნე, ხელშეკრულებაც გამომიგზავნესო... იმ ხელშეკრულებაში ეწერა, რომ ავტორმა უნდა გადაიხადოს 8 ათასი დოლარი და, თუ 10 დოლარად 1000 ცალი წიგნი მაინც გაიყიდება, იმ 8 ათასს უკან დაგიბრუნებთო. ამდენი ფული, რა თქმა უნდა, ავტორს არ ჰქონდა, რისკიც უაზრო იყო, რადგან გარანტია იმისა, რომ ორდინალური ქართული წიგნი იქ გაიყიდება, არ არსებობდა.

როცა ვითარებაში გავერკვიე, მივაკითხე იმ გამომცემლობას, ვთხოვე, ხელნაწერი მაინც დამიბრუნეთ-მეთქი. სამწუხაროდ, ავტორის პასუხს დიდხანს ველოდეთ და, რაკი არაფერი გვიპასუხა, კომპიუტერიდან ამოვშალეთო. მოკლედ, ინგლისური ტექსტი დაიკარგა. სულ მალე აღმოვაჩინე, რომ გამომცემლობები, რომლებიც ავტორთა ხარჯზე არსებობენ, აქ ბლომადაა. ერთხელ გაზეთში განცხადება ამოვიკითხე, ბრონქსში არსებული პატარა ებრაული ფირმა კლიენტებს წიგნის გამოცემას სთავაზობდა. დავურეკე, რა ეღირება ეს თქვენი მომსახურება-მეთქი. 60-გვერდიანი ტექსტი ათასიანი ტირაჟით 600 დოლარი დაგიჯდებაო. მერე სად წავიღო ეს ათასი წიგნი-მეთქი, ვკითხე. სადაც გინდა, იქ წაიღეო... ყურმილი დავკიდე. წიგნის გამოცემა მხოლოდ იმისათვის, რომ სამშობლოში მეტრატახა, ცხადია, არაფერში მჭირდებოდა.

მოვიძიე ბიბლიოთეკაში და ვხედავ მთელი თარო უკავია სქელტანიან ცნობარებს, სადაც წერია რჩევები წიგნის გამოცემისა და მარკეტინგის შესახებ, გამომცემლობების სია კი ათასებს აჭარბებს. ყოველი მათგანი, ცხადია, თავისი სარეკლამო ტექსტითაა დამშვენებული, კომპიუტერული მისამართიც ახლავს და წინასწარვე გაფრთხილებთ, თუ რა ჟანრის, მოცულობის და ა.შ. ნაწარმოებს მიაქცევენ ყურადღებას.

მოკლედ, მეტ-ნაკლები წარმოდგენა შემექმნა წიგნის ამერიკულ ბაზარზე. იმასაც მივხვდი, ყოჩალი ლიტერატურული აგენტის გარეშე ფონს იოლად ვერ გახვალ. აგენტები კი, ტრადიციულად, ცნობილი სახელებით იხვეჭენ ფულს. თუ აგენტს ორი-სამი მძიმეწონიანი მწერალი ჰყავს, თავი ქუდში აქვს. ახალი სახელის ასაგორებლად კი დიდი ენერგია სჭირდება და მით უფრო უცხოელთან სალაპარაკოდაც ვერ მოიცლის. არადა, გამომცემელთა უმრავლესობა პირდაპირ აცხადებს, აგენტის გარეშე ნურც მოგვმართავთო.

ამ წინააღმდეგობის გადალახვას რომანტიკული ნატურა და სიჯიუტე სჭირდება. ამიტომ, უპირველესად, როგორც კი ჯიბეში ცენტები გამიჩნდა, გადავარჩიე ხუთიოდე ზღაპარი პატარებისათვის, ვათარგმნინე ერთ შესანიშნავ ქართველ მთარგმნელს და ისე მოვიქეცი, როგორც იქცეოდა ჯეკ ლონდონის პერსონაჟი მარტინ იდენი თავისი კარიერის დასაწყისში.

დათო ტოპრაკაშვილმა პირდაპირ ქუჩიდან მომიტრია ელექტროსაბეჭდი მანქანა, სავსებით ახალი და მუშა. ჩავრთე და გადავბეჭდე. გავამრავლე ქსეროქსზე, ვიყიდე ბლომად კონვერტები და მარკები. ამის შემდეგ, კვირაში ერთხელ ათიოდე კონვერტს ვაგზავნიდი (შიგ ვდედბდი მარკიან კონვერტს პასუხისათვის) შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიის და ინგლისის გამომცემლობებში. ორმოცდაათი კონვერტი რომ გავხარჯე, პასუხების ცვენაც დაიწყო. უმრავლესობა ოფიციალურ, მშრალ პასუხს მიგზავნიდა, გმადლობთ, რომ ჩვენი არსებობა გცოდნიათ, მაგრამ ჩვენი საგამომცემლო პორტფელი უკვე შევსებული გვაქვს და ა. შ. იყო სხვანაირი პასუხებიც. ერთი კანადური გამომცემლობა მატყობინებდა, წელს გვიჭირს, მაგრამ მომავალში ვითანამშრომლოთო. მეორე გამომცემელს ჩემი ტექსტი გაკვრით შეუსწორებია, ეტყობა, დამწყები მწერალი ვეგონე. ლონდონიდან ვრცელი წერილი მივიღე ისეთი უზარმაზარი კორპორაციისაგან, გამიკვირდა, მის წიაღში გამომცემლობას საერთოდ რა უნდა-მეთქი. ოღონდაც, როცა ვიკითხე, თუ რა დამიჯდებოდა ეს პროექტი, არავინ შემეხმინა.

ამ მინერ-მონერაში ერთი რამ კი მოვტვივინე: საბავშვო ზღაპრების გამოცემა ძვირი სიამოვნებაა, წიგნი პატარებისათვის მეტ ხარჯს მოითხოვს, ვიდრე რომანის დაბეჭდვა. გამომცემელს, შესაძლებელია, ათეულ ათასობით დოლარით უნდა ერისკა. ჩემი სახელი და გვარი კი მას არაფერს ეუბნებოდა და ასეთი ნაგების რისკზე არც არავინ წავიდოდა.

მივხვდი, დროსა და ფულს ტყუილუბრალოდ ვხარჯავდი და ხელი ჩავიქნიე. მერე მცირე დროით გამომიჩნდა სამუშაო, შესაბამისი ფულიც და ხელახლა გავრისკე. ჩემს მთარგმნელს ვთხოვე ეთარგმნა ვრცელი ზღაპარი-რომანი „ბაციკუკუ“. იმანაც ნიჭიერება არ დაიშურა და თავდაპირველად ამერიკელებმა ტექსტი რომ გაიცნეს, ამერიკელი მწერალი ვეგონეთ.

გადავბეჭდე ეს გრძელი ტექსტი ჩემს ელექტროსაბეჭდ მანქანაზე. დავაქსეროქსე, ქართული წიგნის ილუსტრაციებიც მივაყოლე, რათა სანამ წაიკითხავდნენ, მანამ სცოდნოდათ, რასთან ჰქონდათ საქმე და ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ სამი მისამართით გავაგზავნე.

ერთი მათგანი დამეკარგა.

მეორე — გამომცემლობა კი არა, რაღაც სარეიტინგო დაწესებულება ყოფილა. აკითხებენ თურმე სპეციალისტებს. ზოგი სიუჟეტს აფასებს, ზოგი — ენას, ზოგი — პერსონაჟებს და ა. შ. ყველაფერ ამაზე ქულები იწერება. მე სადღაც 70—80 ქულამდე ავკრიფე, ოლონდის ვერ გავიგე, რაში გამომადგებოდა.

მესამედან კი სწრაფი პასუხი მივიღე ინტერნეტით. გაეცანი კონტრაქტის ტექსტს და თუ თანახმა ხარ, შეგვატყობინეო.

ეს გამომცემლობა ბალტიმორში მდებარეობდა, წელიწადში 800-მდე დასახელების წიგნს სცემდა და, რაც მთავარია, ფულს კი არ ითხოვდა, არამედ — პირიქით, მოგების შემთხვევაში გარკვეულ პროცენტს გადამიხდიდა. ერთი მუხლი არ მომეწონა, შვიდი წელი ეს ზღაპარი ჩვენს განკარგულებაში იქნებო, მაგრამ ამაზე კამათი არ დამინდია და „ოკეი“-მეთქი შევატყობინე.

კონტრაქტის თანახმად, წიგნი ერთ წელიწადში უნდა გამოცემულიყო. მთხოვეს, ელექტრონული ვერსია გამეგზავნა. ამერიკელს ხომ ვერ წარმოუდგენია, რომ ხელნაწერი ქალაქში კი გაქვს დაბეჭდილი, მაგრამ კომპიუტერში — აღარ. მომიწია მთელი ტექსტის ხელახლა აწყობა, ამჯერად კომპიუტერზე. იმ გამომცემლობაში მე არასოდეს ვყოფილვარ, მხოლოდ ინტერნეტით ვუკავშირდებოდი. ერთ დღეს კი მივიღე ფართო კონვერტი, სადაც მოსალაცი ტექსტი იდო, აქაოდა, „კონგრეთულიშნ“, ვინცებთ „ბალდიეს“ ბეჭდვასო და ზედ ერთდოლარიანი კუპიურა იყო დაკრული... ეს, ცხადია, იმას ნიშნავდა, ელოდე გამდიდრებასო, ჰოდა, ველოდები კიდეც!..

დეა-ბელას დედიკო უვლის, მარიამის დედიკო კი თერთმეტ საათზე უკვე სამსახურში უნდა იყოს და მხოლოდ შვიდზე მობრუნდება. მარიამის ბებიკო სამსახურში ხუთი დღით მიემგზავრება მეზობელ შტატში, ამიტომ მარიამს ბაბუ მიხედავს. ბაბუმ უკვე იცის, თუ როდის აჭამოს მარიამს, როდის დააძინოს და როდის ეთამაშოს. გოგონები უკვე გამართულად დადიან. ბაბუ მარიამს ტროტუარებზე ასეირნებს. ტროტუარები მწვანეშია ჩაფლული, ხეების რიგი გასდევს, სახლების წინ კი ყვავილნარი და მწვანე კონინდარია.

მარიამი ცდილობს ყვავილი დაპუტოს, ბალახი მოგლიჯოს, შიგ ჩაჯდეს, ყველაზე მეტად კი ხიდან ჩამოცვენილი შემოდგომის ქრელი ფოთლები ართობს. ბაბუ ფხიზლად უყურებს, რათა მარიამმა პირში არაფერი იტაცოს... გამვლელი მიდი-მოდიან, მარიამი ყველას ეპოტინება, ზოგი ისე ცივად ჩაივლის, თითქოს არც ვარსებობდეთ, უმრავლესობა კი გვილიმის, უფრო შავკანიანები, ან გასათხოვარი ასაკის გოგონები, ან ყოფილი საბჭოეთიდან გადმოსახლებულნი... ამათ იოლად გამოარჩევ!

ზოგჯერ დედიკოს მეგობრები გვეხმარებიან. მოვარდება გვანცა და ორიოდ საათით ნაიყვანს, ან ნაირა მოიცლის, თუ მე ფეხის პრობლემა მანუხებს...

მარიამი უკვე ბგერებს აკონინებს — „ბა-ბუ!“ სტუმრად მოსული დეა-ბელაც, უფრო ჩაფსკენილი და ღონიერი, მუდამ სათამაშოს რომ ეცილება და პირიდან სანოვარას აგლეჯს, ბაძავს — „ბა-ბუ!“ ისინი თითო წლისანი ხდებიან!

ოთხი წელი გავიდა და დაბრუნება გადავწყვიტე. ემიგრანტობა ხაფანგივითაა, დღესხვალეობით შეიძლება დრო ისე გაიწელოს, საერთოდ ვერ დაბრუნდე და უცხო მიწაში ჩაწვე. ამიტომ, უმჯობესია, უცხად გადაწყვიტო, რომ ამა და ამ დროს ვბრუნდები-თქო და მერე ამ გადაწყვეტილებას არ გადაუხვიო.

ბილეთს ორი კვირით ადრე ვყიდულობ, ჩემთვის ძვირს და მარიამისთვის — იაფს, რადგან დედიკო იძულებულია მოგვიანებით ჩამოვიდეს.

მეგობრები წინასწარვე მემშვიდობებიან, ხან რესტორნებში, ხან შინ, მათ შორის ამერიკელებიც არიან, მაგრამ, ცხადია, უფრო ჩვენი საძმოს წევრები.

ბოლო დღეს უჯუშიმ შინ მომაკითხა. განიცდიდა და ამიტომ აეროპორტში არ წამოვიდა, კიბეზე თვალცრემლიანი ეშვებოდა.

აეროპორტში უამრავი ხალხი მაცილებდა, ზოგმა ამისათვის სამსახური გააცდინა, საჩუქრები მომართვეს, ჯიბეში ფული ჩამიკუჭეს, მოკლედ, ქართული გაცილება გვქონდა.

მარიამი და დეა-ბელა კისკისით დარბოდნენ. მარიამის დედიკო ცდილობდა თავი ყოჩაღად სჭეროდა და ნაძალადევად იცინოდა.

დრო დადგა გამომშვიდობებისა და ყველაფერი აირია. დედიკო მოიფშხალა, ცრემლები გადმოყარა, მარიამი კი განწირული ხმით აკივლდა.

დაბნეული ვდგავარ მესაზღვრეებით გარშემორტყმული. ხელში მარიამი მიჭირავს, ხელბარგი საბავშვო ეტლში მიწყვია და ბავშვს იქ ვერ ჩავსვამ. მესაზღვრეები კი დინჯად, აუჩქარებლად მსინჯავენ, ფეხსაცმელების გახდას მთხოვენ. ამათ ხომ არ ჰგონიათ, რომ პატარას განგებ ვატირებ?.

გავეშურეთ თვითმფრინავისაკენ, მარიამი კი ვერა და ვერ მშვიდდება, რადგან ვერ გაუგია, რა ხდება მის თავს, რატომ დააშორა ბაბუკამ დედიკოს.

ძლივს მივალწიეთ ავიალაინერის კარამდე. სტიუარდესა ბავშვს მართმევს, რათა ეტლი დავკეცო და ხელბარგი სალონში შევიტანო. მარიამს ჰგონია, ბაბუც მტოვებსო და ისტერიკაში ვარდება.

სალონი ნახევრად ცარიელია, ყველაფერს არეულ-დარეულად ვყრი, სავარძელში ფჯლები და ვცდილობ მარიამი დავანყნარო.

უცბად აგუგუნდა ავიაძრავები. ეს გრიალი პატარისათვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა და ხელებში მოცვლილივით ჩამივარდა... ჩაეძინა... ძილი საშიშროებას არიდებს გოგონას, იმას უკვე არაფერი ესმის.

ვზივარ ამ ანგრეულ ბარგში, ვერ ვახერხებ მილაგებას. ღამე მოკლეა, რადგან მზისაკენ მივფრინავთ. მრავალი საათი ვფხიზლობ ვენამდე... დასვენამდე ერთი საათით ადრე ვალვიძებ, პამპერსს ვუცვლი, რაც არც ისე იოლია.

ბარგში ვერაფრით მოვძებნე მარიამისათვის წინასწარ გამზადებული საჭმელი. თვითმფრინავში მორთმეული უგემური სადილიდან იციცქნება.

ვენის აეროპორტში გამოცოცხლდა. წინდაუკან დარბის. იმის თავიც არა მაქვს, გამოვეკიდო. ქართველი ახალგაზრდა დამემგზავრა, ამის ტოლა ბიჭუნა მყავსო და ის დასდევს.

რამდენიმე საათის შემდეგ აირზენას ბოინგზე ავდივართ. მარიამს არ მოსწონს ეს გრიალი, ჭუჭყუნებს, მაგრამ საქმე ჯღავილა-

მდე არ მიდის. აფრენისთანავე იძინებს ბაბუს მკლავებში. მე კი კვლავ ვფხიზლობ.

გარეთ მზე კაშკაშებს, უკვე ნაშუადღევია.

თბილისში ხუთისთვის ჩამოვფრინდით. ახალგაზრდა თანამგზავრი მეხმარება, მე მარიამი მომყავს. იმას ჩემი ხელბარგი მოაქვს.

როგორც კი დარბაზში შევედი, გზის მთელი დაღლილობა და მოთენთილობა მომეხსნა. მარიამი ისე აცელქდა, სანამ საბუთებს ვაფორმებდი, მებაჟეების ხელიდან ხელში გადადიოდა.

გარეთ გავედით და ვხედავ, მთელი ნათესაობა მეგებება, ისინი, ვინც ბავშვებად დავტოვე, უკვე დაზრდილან.

თბილისი შეცვლილი დამხვდა, უფრო ნათელი და მზიანი...

მოკლედ, „ბაი-ბაი“ ამერიკა და „ჭელოუ“ საქართველოვ!

სამი პრინციპი და
სამხედრო სამართალი

ბოლო წამი ყოველთვის მოულოდნელია. გარდუვალს ვერავინ გაექცევა, მაგრამ შიში შეუცნობელის წინაშე მუდამ თანა გვდევს და მაშინაც კი, როცა შესაძლებლის ზღვარს ვალწევთ, იმედის ნაპერწკალი მაინც გვრჩება, სადღაც გულის სიღრმეში ბუჭავს აზრი, რომ ჩვენი დასასრული დასასრული არ არის, შეუძლებელია წუთის შემდეგ სხვა წუთი არ დადგეს. სამყარო მარადიულია, ჩვენ ნაწილნი ვართ ამ უსასრულობისა და ბოლომდე ვერ ვიჯერებთ, რომ მუდამ ცვალებად და მოძრავ დროში ჩვენი საათი გაჩერდება და აღარ ვიქნებით... მაშ რატომ მოვედით, თუ არ ვიქნებით, ან რატომ მივდივართ, თუ მოვედით? ამ კითხვებზე პასუხი არა მაქვს!

სიბერე მარტოობას ემეგობრება. აღარ არიან მავანნი, ადრე მეგობრად, სატროფოდ, ახლობლად რომ მიმაჩნდა და არსებობას აზრს აძლევდა. ჩემი სახლი მარტოკაცის სახლია. სტუმრიანობის დროსაც მარტო ვარ და უცხო ადამიანთა ხმაურისაგან ვიღლები. ეულად თუ ვრჩები, ქუჩიდან მანქანის მოგუდული გუგუნი აღწევს, მე კი მონყენილობის ჭია მხრავს და არ ვიცი, რითი შევივსო დრო, რომელიც არ ჩერდება, რადგან ამ წამიდან იმ წამამდე არც არაფერი ხდება, გარდა უღონო თვლემისა, ქუთუთოებს რომ მიმძიმებს, ძილის სიამოვნებას კი არ მაზიარებს. დრო ისე მეხარჯება, თითქოს უღევი მქონდეს და ამ მოსაწყენი მდინარების ბოლო არც არსებობდეს.

ქუჩა სავსეა გამვლელებით, უფრო ახალგაზრდებით. ლამაზებმა და ჯანმრთელებმა, მათ არ იციან ბოლო როდის იქნება. იმდენად შორსაა იგი, ფიქრადაც არ ღირს და ამ უცოდინარობის წყალობით არსებობის ბედნიერებით ტკბებიან — სიცილით, მსუბუქი შეხუმრებებით, სიყვარულის ფანტომებით, ჰაერში რომ ტრიალებს... ჩემთვის ეს წარსულია, მე მათ ისე ვუყურებ, როგორც ჩემი ბავშვობის მოგონებებს. ტკივილნარევი კოჭლობით ვეყრდნობი ხელჯოხს, აუჩქარებლად მივკვლანაობ და ვერავის დაველაპარაკები, რადგან წინასწარ ვიცი, ისინი უკვე სხვა სამყაროს შვილები არიან; ზრდილობიანად შემეპასუხებიან, როგორც უცხო, გაუგებარს, შორეულ წარსულში ჩარჩენილს. ისლა უკვირთ, რომ ჯერაც ვვარსებობ და წუთისოფელს არ ვათავისუფლებ... ზოგჯერ ჩემი ასაკისანიც მხვდებიან — ჭალარით დამძიმებულნი, დარდიანი

მზერით, თითქოს ახალა მიხვდნენ, რა ფუჭად და უდროოდ შემოეხარჯათ მათთვის განკუთვნილი ოქროს მონეტები. ამათთან ლაპარაკი არც მაინტერესებს, რადგან ისინი კვლავ იმ წარსულში ცხოვრობენ, განვლილი ჟამი ეჩვენებათ ოქროს ხანად, რადგან თვითონაც ახალგაზრდებს დროცა და სურვილებიც უსაზღვრო ჰქონდათ, იმედები უკიდევანო, მაგრამ აწი ყველაფერი დაფანტულია და ხელმეორედ ამ გზას ვერავინ დაადგება.

შინ ვბრუნდები და კლიტეს გასაღებს ვარგებ. კარზე ჩემი სახელი აწერია: „უჩა ლურწკაია“. გვარი ანდერძად გვეძლევს, სახელს, ცხადია, მშობლები გვირჩევენ. პატარაობისას ვწუხდი, დიდის სახელია-მეთქი, ახლა, პირიქით, ზედმეტად ახალგაზრდული მგონია. საკუთარი სახელი, მოგონს თუ არა, მთელი სიცოცხლე ხურჯინით აგვიკიდებია და იმქვეყნადაც წაგვყვება. ადრე, როცა სიცოცხლე მწყუროდა, ჩემს სახელს ფიქრში ვეფერებოდი, მაგრამ ახლა გულგრილობის სენი დამეუფლა და ხანდახან ვჭოჭმანობ კიდევ, მართლაც ასე მქვია თუ რომელიღაც დავთარში სხვა სახელითაც ვწერივარ.

კარს ვაღებ და სიცარიელე შემომეფეთება. ჯოხს კუთხეში მივაყუდებ, თვითონ კი ჩვეული სავარძლისაკენ მივინვი. მარტოობის სენით გულდამძიმებული ვზივარ სავარძელში, შევყურებ ჩამქრალი ტელევიზორის მბზინვარე ეკრანს, წაუკითხავი თუ წაკითხული წიგნების ფერად ყუებს, თეთრ ქალაქს, რომელზეც კალამი გდია, მაგრამ თავში ზოზინით მავალი ფიქრის დაფიქსირება მეზარება და იმ დარჩენილ დროსაც, რამაც ბოლო წამამდე უნდა იდინოს, ფუჭად ვხარჯავ.

ქუთუთოები მიმძიმდება, თვალებს ვხუჭავ... გაქრა ოთახი, ტელევიზორი, სავარძელი... ვიცი, რომ თენდება, ვიცი, რომ ახალგაზრდა ვარ, ასე ოციოდე წლისა. მანქანას მივაქროლებ და საჭე ხელთ მიპყრია. გარიჟრაჟია და ქალაქში შემოვიჭერი. ქუჩები ჯერაც დაცლილია, ამიტომ რიდი არავისი მაქვს, აქსელერატორს ფეხს ვაჭერ და სპიდომეტრის ისარი საშიშ ზღვარს სცილდება. სანაპიროზე დიდი სიჩქარით მივფრინავ, ლაღად და თავზეხელაღებულად. როდის ვიყავი ასეთი? რომელ ცხოვრებაში გავიმეტე თავი? მოულოდნელად სავალ გზაზე უფორმო ლანდი გაკრთა, ალბათ ქალისა, საჭე უნებლიეთ შევაქანე და მივხვდი, რომ მანქანა გამექ-

ცა... იგი მარცხნივ გავარდა, სანაპიროს პარაპეტს შეასკდა და საქარე შუშა თეთრ ფხვნილად ჩამოიფშენა... აჩქარების ძალამ სიცარიელეში მომისროლა... სანაპიროს ნათურები ქრებოდა. მტკვარს ნაცრისფერი ნისლი ეფინა. წყლის რუხი ზედაპირი თითქოს ამოინია და შემომქსნა. ჩქაფანი გაისმა, წყალში სხეულის დარტყმას რომ მოჰყვებოდა. მერე იყო ტკივილი, ცივი ხვევნა და უკუნი — ასეთი თანმიმდევრობა ერთ გაელვებაში ჩაეცია და ყველაფერი გაქრა...

— ჰაჰ! — ამოვიძახე და თვალი დავაჭყიტე. ისევ იმ სავარძელში ვიჯექი, შავად მზინვარე ტელეეკრანს შევყურებდი. მკერდზე თითქოს უზარმაზარი მაჯლაჯუნა დამწოლოდა, ჰაერი არ მყოფნიდა... ოციოდე წლისა? იმ ასაკში მანქანის ტარებაც არ ვიცოდი! მაშ, ვის სულში შევიპარე, ვისი ტრაგიკული დასასრული გავითავისე? ჩემნაირები ხომ ასე არ იღუპებიან, ჩემნაირებს საკუთარ ლოგინში ამოძვრებათ სული... ანდა ასეთ სავარძელში... რაში მჭირდება ეს დაგვიანებული სიზმარი-წინასწარმეტყველება? მანამდე უნდა მენახა, მანამდე უნდა ჩამორეკილიყო წინათგრძობის ზარი! ერთხელ უკვე მქონდა დალუპვის ბედნიერი შანსი, მაგრამ ვერ გამომადგა... გულზე ხელი მომიჭირეს. ტკივილი დაიძრა, დაიძრა და ერთიანად შემიპყრო. მინდა ვიყვირო და ხმა ვერ ამომიღია... უნდა ავდგე, ტელეფონთან მივიდე და სასწრაფოში დავრეკო... ვერ ვდგები, ტელეფონთან ვერ მივალ, რომ მომაკითხონ, კარსაც ვერ გავუღებ. „ინფარქტი?“ — ვფიქრობ ჩემთვის. „მარტოობა და ინფარქტი!“ — ვასკვნი. იქვე, პატარა მაგიდაზე წამლის შუშას მივწვდი, ნიტროგლიცერინის აბი პირში ჩავიდე. ღია სარკმლიდან გრილი ჰაერი შემოფოფინდა, პირისახეზე გადამიარა და ტკივილი დამიწყნარდა, გადაიბრინა, გამიარა... „ჰაჰ!“ — ამოვიოხრე... მგონი, გადავრჩი!

რისთვის გადავრჩი?.. ვისთვის?.. — პასუხი ერთია: კიდეც ცოტა ხანს შევრჩები ჩემს მარტოობას, სევდას, ტკივილს...

გონება კვლავ ბურუსმა მოიცვა, ქუთუთოები დამიმძიმდა, დამიმძიმდა და კვლავ ძილში შევბრუნდი — ფერად სიზმარში. ვხედავ მწვანე ეზოს, ეზოს სიღრმეში — ოდა-სახლს, სახლის აივანზე — დედას... მე პატარა ბიჭი ვარ და ფეხშიშველა ნაჭრის ბურთს დავაგორებ. დედა ახალგაზრდა, ლამაზი ქალია, ქართული კაბა

აცვია, მუხლებზე ჩონგური უდევს, სიმებს ნელა ჩამოჰკრავს და მეგრულად ლილინებს. რაკი პატარა ვარ, ალბათ, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს სანდომიანი მანდილოსანი ჩემი დედაა. იგი ხანდახან შეწყვეტს ლილინს, ჩემკენ მოიხედავს და ტკბილი, მელოდიური ხმით მაფრთხილებს: „უჯუშ, შვილო, ფრთხილად, გოლუაფირო!“ ნუთუ მე უჯუში მერქვა? მაშ უჩას რატომ მეძახიან? გავლიძებულებს სიზმრები ხშირად გვაგინცდება. ამიტომ ჩემს თავს ვუბრძანე: არ დაგავინცდეს, შენ, სიზმარში, ლამაზმა ქალმა, ალბათ, დედამ ასე მოგმართა: „უჯუშ, შვილო!“ დაჟინებით გავიმეორე: შენ ახლა სიზმარს ხედავ, ეს სიტყვები ცხადში უნდა გაიყოლო, თორემ აღარ გაგახსენდება, რაც გერქვა... ეს ძაფია, წინა არსებობიდან გამომდებელი, ის თუ განყდა, სამყაროში დაიკარგები, რადგან ადამიანი მხოლოდ საკუთარი სახელით ფიქსირდება, უსახელო ადამიანი არავინაა — არც ცოცხალი, არც მკვდარი... იქნებ ეს ქალი სულაც არ არის დედაჩემი, არც ეს სახელია ჩემი (მე ხომ ამჟამად უჩა მქვია!)... იქნებ ლამაზი ქალის ხატი რომელიმე ფილმიდან შემომრჩა, ან სპექტაკლიდან, ან წიგნის ფურცელი გამიცოცხლდა... ცხად-სიზმარში ფიქრი ქაოტურია, მდგრადი არაფერია, საგნები ფორმას იცვლიან, ადამიანები, ხმები, ფერები თითქოს საცერში იცრება... მდელიოზე შავი ჩრდილი ეცემა და ვილაცა უხეშად მეუბნება: „უჯუშ, ბიჭო, სულ ნაჭრის ბურთით უნდა გაერთო?“ კაცი კი არა, ბაყბაყდეცაა, ჩოხა-ახალუხში ძლივს ეტევა, ხელები ხანჯალზე უდევს, ორი მსხვილი თვალი ნათურებივით უნთია. „მე უჩა მქვია!“ — შიშნეულად ვეუბნები. ის არ მისმენს. ვხედავ, ხელთ ჩირაღდანი უპყრია და ყავარს უკეთებს. ცეცხლი აგიზგიზდება, სწრაფად მოედება სახურავს, კედლებს, აივანს... აივნის რიკულებზე გოგო გამომდგარა — თებრონე, იებით დაჩითული თხელი კაბა აცვია, ჩიქილა დავარდნია და თმები მხრებზე ეღვრება. პირისახე ოვალური, თვალები ცრემლებით სავსე... ხელებს ინვდენს და ზარის ხმით რეკავს — „უ-უჯუშ, მი-შვე-ლეე!“

ვინ მეძახის? ვის უნდა ვუშველო?.. ეს სიზმარი ასი წლის წინათაც ვნახე, ბევრჯერ გამიმეორდა... დროში ყველაფერი ამერია — სახელები, წლები... მეხსიერებაში ჩარჩენილთ ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებ. იქნებ სულაც არ არსებობენ ეს ადამიანები, მხოლოდ ჩემს ფანტაზიებში დაიბადნენ, შეიძინეს ინდივიდის ხატი, მაგრამ

მერე სადღაც წავიდნენ... იქნებ ესენი ჩემი დაუნერეელი წიგნების პერსონაჟებია, საიდანღაც მოდიან და, რაკი თეთრ ქალღმერთზე ვერ ვაფიქსირებ, უგზოუკვლოდ ქრებიან, ან მხოლოდ სიზმრისნაირ კვალს ტოვებენ... სიზმრის პერსონაჟები და წიგნის პერსონაჟები — დავინყების ზღვარზე არსებული მქრქალი წარმონაქმნები, რომელნიც, ვერ გამიგია, სადღაც, ცხოვრების გზაზე მართლაც შემომეყარნენ თუ გონების უსაზღვროებაში დაბადებულნი, ტვინის ხვეულებში მოგზაურობენ და რეალურ სამყაროში ვერასოდეს გადმოსახლდებიან.

მეხსიერების მირაჟებიდან დაუნერეელი ზღაპრის ფრაგმენტი ამოტივტივდა:

ერთ პატარა ქვეყანაში ცხოვრობდა უფლისწული და სამი პრინცესა. უფლისწული საცოლე ასაკისა მოიყარა. შეხედა პირველ პრინცესას და უმალ შეუყვარდა... შეხედა მეორე პრინცესას და, ადამიანის გული ხომ ცვალებადია, პირველი დაავინყდა და ეს მეორე შეუყვარდა... შეხედა მესამე პრინცესას და მეორე დაავინყდა, რადგან ეს მესამე შეუყვარდა... ოღონდაც, ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი უბრალო სოფლელი გოგო!

ვერ დავწერე ეს ზღაპარი, რადგან ზღაპრის ფურცლებზე იმ სოფლელ გოგოს ვერ მოვუძებნე კუთვნილი ადგილი.

ახლა კი ვზივარ ჩემს სავარძელში, ვგრძობ, ინფარქტი მიახლოვდება და სინანული მიპყრობს, რადგან სიცოცხლის კიდეს მივალნიე, საბრალო უფლისწულს კი არჩევანი ვერ გავაკეთებინე.

„ჰაჰ!“ — ამოვიოხრე.

გულზე მაჯლაჯუნა მანევს და ჰაერის უკმარისობა მახრჩობს...

სამი ჯაქოქარი

სოფლის განაპირას, ფიჭვნარში კოცონი ენთო. ცეცხლს სამი ჯადოქარი ეფიცებოდა და სამკითხაო ჯამებში იცქირებოდნენ.

ერთმა თქვა:

— დღეს სამი წერო გაფრინდება, სამი სახლის ერდოზე ჩამოვდებიან და სამი პრინცესა დაიბადება!

მეორემ თქვა:

— ერთი ცეცხლისფერი იქნება, მეორე — შავგვრემანი, მესამე — ნაბლისფერი!

მესამემ თქვა:

— სამივეს ერთი უფლისწული შეუყვარდება, მაგრამ უფლისწულის გული ამოუცნობია, ან ერთი შეუყვარდება, ან მეორე, ან მესამე, ან მავანი ვინმე, სამკითხაო ჯამში სულაც რომ არ ჩანს!

უფლისწული — მე

წინა ცხოვრებაში იქნებ მართლაც უფლისწული ვიყავი და სახელიც ძველებური მერქვა — უჯუში, თუმცა ამ ახალ ცხოვრებაში, რაც თავი მახსოვს, უჩას მეძახდნენ და სტუდენტურ მატრიკულშიც ზუსტად ეს მენერა — უჩა, გვარი კი სავსებით გლეხური — ლურნკაია. ცხადია, არ ვიცი, ადრე მართლა ვარსებობდი თუ არა. ის უცნაურობანი, რაც ხანდახან მეხსიერებაში ამოტივტივდება და ჩვენს დაბადებამდე არსებული გვგონია, რაღაც ბუნდოვანი, გაცრეცილი ლანდები, იქნებ სულაც ჩვენი ბავშვობისდროინდელი სიზმრების ანარეკლია, როცა ყველა დედა დედოფალი გვგონია, ხოლო ყველა მამა — მორჭმული ხელმწიფე, რომელიც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადალახავს, ცხრა სახელმწიფოს დაიპყრობს, ცხრა დევსა და ცხრა გველეშაპს თავებს წააცლის. მე კი, უფლისწულს, ისლა დამრჩენია, ჩემს დიდებულ მშობლებს ოცნება აღვუსრულო და

ნამდვილი პრინციესა დავისვა სადედოფლო ტახტზე, რაც, რა თქმა უნდა, იოლი არ გახლავთ და ამას არ ეყოფა ცხრა ლეიბის ქვეშ მუხუდოს მარცვლის დამალვა. დღეს უკვე ვერ ვიტყვი, აღვასრულე თუ არა ეს ვალი წინა ცხოვრებაში, რადგან უკვე არ ვიცი რომელი ზღაპრის რომელი პრინციესა ავირჩიე, პრინციესებით ხომ უამრავი ზღაპარია დასახლებული და არჩევანის გაკეთება არც ისე იოლია.

და აი, მე, წინა ცხოვრებაში უფლისწული უჯუში, ამ ცხოვრებაში კი უჩა ლურწკაია, ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი ახალგაზრდა, რომელსაც დამვიწყებია წინა ცხოვრების სატრფიალო თავგადასავლები, ხოლო ამ ცხოვრებაში ვოცნებობ ნამდვილ პრინციესაზე, თუმცა ისე ჩაიარა ჩემი არსებობის ცხრაშეგება წელმა, დატვირთულმა ჯერ სასკოლო წიგნებით, ხოლო მერე სალექციო კონსპექტებით, აურაცხელი გოგონების გარემოცვაში მყოფმა, გაფაციცებით ვუსმენდი რა ჰაერში გაბნეულ ამოუცნობ ფანტომებს, ვერა და ვერ ამოვიცანი ჩემი პრინციესა... გული კი, ეს ოხერი გული, მოლოდინის ტკბილი სევდით თრთოდა.

ერთ მოულოდნელ დღეს კი პრინციესა მირაბელას შევეჩრხე...

4

პრინციესა მირაბელას

პრინციესა მირაბელას ცამეტი წლის ასაკში ბატონები ესტუმრა და მე მომიხმო.

ერთი წლით ადრე გავიცანი.

ძველი თბილისის ერთი მოწიფილი სახლის სარდაფში ვკირაობდი პატარა ოთახს, სადაც თავი კუდს ვერ მოაბრუნებდა, მაგრამ ჯიბეგახვრეტილი სტუდენტისათვის ფუფუნებად ჩაითვლებოდა. ერთი ჟანგმუქპარული, ზამბარებიანი სანოლი მედგა, ერთიც მაგიდა და ტაბურეტი. ეს იყო და ეს! მქონდა ელექტროლუმენი და ლაბორატორიული კოლბა ჩაის ასადულებლად. ტანსაცმელს, ცხადია, პირდაპირ კედელზე ვკიდებდი. პირს კი, დილდო-ლაობით, ეზოს ონკანიდან ვიბანდი.

მირაბელა მეზობლად აღმართულ სამსართულიან სახლში ცხოვრობდა. სახლს სასახლე უფრო ეთქმოდა. მის წინ, ქუჩის გადაღმა, სასურსათო მაღაზიის ვიტრინიდან მე და გამყიდველი გოგონა ნინი გავხედავდით ხოლმე და თავადურ ციხე-კოშკს ვამსგავსებდით. ნინი ცოტათი მეპრანჭებოდა და სალაპარაკო რომ შემოეღებოდა, სამეზობლოს გაჭორავდა. იმისგან გავიგე, რომ ეს სახლი ეკუთვნოდა ვინმე ჯოდოს, რომელსაც სამხედრო კიტელი ეცვა. მისი ცოლი ემა, ასოცკილოიანი, ზონზროხა ქალი ამ მაღაზიაში შემოსვლას არც კადრულობდა. ან რატომ იკადრებდა, როცა მის კიბესთან მუდამ იდგა შავად გაპრიალებული „ვოლგა“ და მწვანე „ვილისი“, კიბეზე მიდი-მოდიოდნენ ფორმიანი კაცები და სურსათს ბადურებითა და ყუთებით ეზიდებოდნენ. მოკლედ, ენაზე ნინის არაფერი დაადგებოდა და, ბუნებრივია, მთელი უბნის ამბები მასთან ერთად მეც ვიცოდი. ოღონდაც, ჩვენს უბანში, აი, ამ ციხე-კოშკში პრინციესას არსებობის ამბავი აქამდე არც გამიგია და სიზმრადაც არ დამსიზმრებია.

იმ დღეს კიბეზე ჩამოირბინა, ალბათ სკოლაში მიეჩქარებოდა, მეც ლექციაზე მაგვიანდებოდა და პირისპირ შევეჩრხე.

გული შემეხტა და ტანში უცნაურმა თრთოლამ დამიარა.

სახემწყაზარი, თეთრზე თეთრი და სუფთა არსება ბრძანდებოდა, უნაკლო ნაკვთებითა და მუქი ლურჯი თვალებით. ტალღოვანი, ხასხასა წითელი თმები მხრებზე ეფინებოდა და ბოლო უხუჭუჭდებოდა.

„ჩვიდმეტისაა ან თვრამეტის!“ — გავიფიქრე და დამუნჯებული გზაში გავეჩხირე, თან ბოდიშიც ვერ მოვახერხე.

ისიც შეკრთა, პირისახეზე ლბილმა სინითლემ გადაურბინა და ბაგე ოდნავ შეუთრთოლდა.

მივხვდი, სწორედ ეს იყო ერთი ნახვით შეეყვარება, რადგან აქამდე მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია.

— მირაბელა?! — ღრენა მომესმა და თავზე წამოგვადგა ჩექმა-გალიფე-კიტელიანი ბაყბაყდევი, უზარმაზარი არსება, რომლის ანთებული თვალებიდან რისხვის მაგმა გადმოედინებოდა.

— ჰო, მამა, ვჩქარობდი და... — უპასუხა გოგონამ, ხმა თითქოს გაბზარვოდა.

ორივემ ერთდროულად ერთმანეთს გვერდი ავუქციეთ.

ბაყბაყდევა (მივხვდი, ეს იყო ჯოდო!) ეჭვიანი მზერა გამომა-
ყოლა, თუმცა არაფერი მითხრა, თავის ქალიშვილს კი უხეშად მი-
უგდო:

— აჩქარდი, გაგვიანდება!

იქაურობას გავეცალე. მივდივარ და გული სწრაფად მიცემს,
მუხლები მიდუნდება, ძლივს ვეზიდები საკუთარ სიმძიმეს.

ტვინში რაღაც მექანიზმი ჩამერთო, თითქოს ზარი წკარუნობს,
ან პატარა დოლი გამოსცემს ხმას. „პრინცესა მირაბელა, პრინცე-
სა მირაბელა!..“ — ვიმეორებ ჩურჩულით, მინდა ხმას ავუნო, მა-
გრამ გამვლელთა ყურადღებას ვერიდები.

ჩემი ბინის კარს რომ მივაღებ, მაშინღა გამახსენდა, რომ ლე-
ქციაზე მივდიოდი და დამვიწყებია.

„ანი ისედაც დამაგვიანდა!“ — გავიფიქრე, ლოგინზე წამოვ-
გორდი და ქერს მივაჩერდი.

გული ცოტათი დავინწყნარე, თან ჩემთვის ავლაპარაკდი:

— პრინცესა მირაბელა მაღალ ციხე-კოშკში ცხოვრობს! მამა-
მისი ჯოდო ბაყბაყდევა, დედამისი ემა, ვინ იცის, იქნებ მთლად
ცხრათავიანი დევეია. ეგეთ გოგოს უჩა ლურწკაიას ამ პატარა საკუ-
ჭნაოში არავინ გაატანს. გამოსავალი ერთია, უნდა მოვიტაცო და
ცხრა მთას იქით გადავმალო, მაგრამ თეთრი რაში არა მყავს, ცხრა
მთას იქით მამიდა დავარი არ ცხოვრობს, უფრო სწორად არავი-
თარი მამიდა ან დეიდა მე არა მყავს... არ მაცვია, არ მახურავს,
ფული არ მიჭყავა და კარაქიანი პური მენატრება!

ყველაფერი ეს რომ მოვტვინე, გული ამიკვნესდა და დავასკვე-
ნი, ჩემისთანა გლახაკმა მირაბელას სიყვარული ვერც უნდა გაბე-
დოს-მეთქი.

ოღონდაც, გულს ხომ ვერ უბრძანებ!

ჩემი ფეხები ტვინზე მეტად გულს ემორჩილებოდნენ და ინ-
სტიტუტის გზაზე მიმავალი ჯოდოს სახლთან ნაბიჯს შევაცოვნებ-
დი ხოლმე, ფარულად ვუჭვრეტდი სამ წყებად ჩამწკრივებულ ფან-
ჯრებს იმის იმედით, რომ რომელიმე მათგანში ჩემს პრინცესას
დავლანდავდი. სამწუხაროდ, დღეები სწრაფად გარბოდა და იმედ-
იც თანდათან ქრებოდა. სიფრთხილე დავკარგე, ხან ტროტუარზე
ვიყავი აყუდებული, ხან ნინისთან მასლაათში ვხარჯავდი დროს,
მაღაზიის ვიტრინიდან ვუთვალთვალე მუხის მაღალ კარებს.

ერთხელ მოულოდნელად თავზე წამომადგა მამილო ჯოდო და
ეჭვნარევი მუქარით შემეკითხა:

— აქ ხშირად გხედავ, ყმანვილო, სხვა გზებს ვერ პოულობ ამ
ქალაქში?

შიშისაგან ენა დამება, ძლივს ნავილულლულე:

— უკაცრავად, მე აი, იმ სახლში ვცხოვრობ და ამ გზით ინსტი-
ტუტში დავდივარ!

— აქ რომ გაივლი, ფეხს ძალა დაატანე! — დამიბარა და შავ
„ვოლგაში“ ძლივს ჩაეგია.

ჯოდო წავიდა. ჩემში შიში შეცვალა შინაგანი პროტესტის ხმამ
და იმის მაგიერ, რომ იქაურობას გავცლოდი, ტროტუარზე ჩამო-
ვჯექი.

ასფალტს ჩავშტერებოდი და ვფიქრობდი: რა ჯიშის ხალხია ეს
ჯოდო და მეუღლე მისი ემა? კაცთა გვარისანი არიან თუ დევთა
სისხლისანი? იქნებ მართლაც ბაყბაყდევა ჯოდო, იქნებ ცხრათა-
ვიანი დევეია ცოლი მისი ემა? ცით მოვლენილი ვარსკვლავი პრინცე-
სა მირაბელა საიდან იშვა დევთა ამ ამაზრზენ წიაღში?

ანჯამების ქრიალი მომესმა და უკან მოვიხედე. ვინრო ღიო-
ბიდან ხელიკვიტ გოგონა გამოსხლტა, შეეთქმულივით მიიხედ-
მოიხედა და ჩემ წინ დაერჭო.

ავხედე. ჩიტივით უწონო და გამწლეული ჩანდა. პირისახის
წვრილ ნაკვთებს უზარმაზარი მწვანე თვალეები და ფახულა წამწა-
მები უმშვენებდა.

უხმოდ გამომინოდა სასკოლო რვეულიდან ამოხეული გადა-
კეცილი ფურცელი. ზედ ორად ორი სიტყვა ეწერა და ხმამაღლა
ჩავიკითხე:

— „ვინა ხარ?“

— გვანცა! — მიპასუხა პატარამ, ისე მათვალეიერებდა, თი-
თქოს ჩემს ამოცნობას ცდილობსო.

თავი უხერხულად ვიგრძენი და დაბნეულობის გასაფანტავად
ვკითხე:

— რამდენი წლისა ხარ, გვანცა?

— ცხრა წლის! — მოკლედ მიპასუხა, თან დაჟინებული მზერა
არ მოუშორებია.

თითქოს რენტგენზე მაშუქებდნენ და ამ მწვანე თვალებით ჩემი გულის პარკუჭში ჩაიხედეს.

ბარათი ხელახლა წავიკითხე და პასუხი სახუმარო მივუნერე: „უფლისწული უჯუში!“

გავუნოდე და ღიმილით ვკითხე:

— მაშ, მირაბელა შენზე გაცილებით უფროსი ყოფილა!

— კი, თორმეტი წლისაა! — მიპასუხა და გაიქცა.

თითქოს თავში კეტი ჩამარტყესო, გავმტერდი. უაზროდ გავყურებდი პატარა, მწვანეთვალეა გოგონას, თუმცა სანამ კარში შესვლტებოდა, გონს მოვეგე და კითხვა მივაღვენი:

— შენ ვინ ხარ მირაბელასი?

შეჩერდა, მომეჩვენა, რომ მზერა ჩაუქრა, წყნარად მიპასუხა:

— სათამაშო!

გაქრა და კარი მიიჯახუნა.

შინ ნაცემივით დავბრუნდი. აშკარად ბედი არ მწყალობდა. ცხრამეტი წლის მანძილზე ცხრამეტი გოგო მაინც მომწონებია, მაგრამ ეს მოწონება ერთი დღიდან მეორემდე ვერ მიმყვებოდა. პირველად განვიცადე განუცდელი, ენით აუნერეელი რამ, და თურმე სულ სხვა ეჭვები მანვალედა. ჩემს სიღარიბეს დავტიროდი, თეთრი რამისა და ცხრა მთას იქით მამიდა დავარის არყოლას. უფრო უარესი, თითქმის გადაულახავი წინააღმდეგობა კი მარტივი და სავალალო აღმოჩნდა. „პედოფილი ხომ არა ხარ, შე ჩემა?“ — თავს შევეკითხე და ამ კითხვისაც კი შემრცხვა.

ღამე ვერ დავიძინე, ლოგინში ისე ვწრიალებდი, თითქოს ნაკვერჩხლებზე ვინექი. კედელს მუშტს ვურტყამდი და ერთხელ სულმოკლედ ვიტირე კიდეც. მერე ავდექი, შუქი ავანთე და სარკის ნატეხში ჩავიხედე. არც სიფათი მქონდა ურიგო, ტან-ფეხიც სპორტულად ჩამოსხმული და ჩემი შეყვარება, რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელი გახლდათ. ინსტიტუტის გოგონები ხომ ფუტკარივით მეხვია, მეკეკლუტებოდნენ, ქარაგმებით მელაპარაკებოდნენ, ასე ვთქვათ, „ნამიოკებს მირტყამდნენ“, მე კი ამათ შემოტევენ სიცილ-სიცილ, ხუმრობა-ხუმრობით ვიგერიებდი, რადგან ვცდილობდი უსიყვარულო „მტლაშა-მტლუში“ არ მეხარჯა ის, რასაც ჩვენი გული იტევს. ველოდებოდი ჩემი რჩეულის, ჩემი პრინცესას გამოჩენას და მომეჩვენა, რომ აღმოვაჩინე იგი, მაგრამ, ეტყობა,

ბედმა დამცინა, ჯერ კიდევ უასაკოს, ბავშვს გავუხსენი კარი და ახლა, ცხადია, უნდა დავსჯილიყავი. ჯობდა გადამებიჯებინა ამ გატაცებისათვის, ცხოვრება ისე გამეგრძელებინა, თითქოს პატარა პრინცესა მხოლოდ სიზმარი იყო, და როგორც ყველა სხვა სიზმარი, ისიც თანდათან დავინყებას მიეცემოდა. ოღონდაც, ეს მხოლოდ პრაქტიკული გონების განსჯა იყო, ხოლო ჩემთვის, სანახევროდ ზღაპრეთში მცხოვრებისათვის, ვისაც წინა ცხოვრების მიმქრალი ლანდი ახსენებდა თავს და ვისი ცხოვრების გზა მუდამ რეალურისა და ირეალურის მიჯნაზე გადიოდა, ძნელი იყო ამ გადანყვეტილების შესრულება, რადგან, როგორც კი თვალს დავხუჭავდი, უმალ დამეხატებოდა მირაბელას მწყაზარი პირისახე, მდიდრული თმების ცეცხლოვან რკალში რომ იყო მოქცეული და გული სადღაც მივარდებოდა.

ვერა, ვერ დავივინყებდი, უარს ვერ ვიტყოდი ამ ბედნიერებაზე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ჩემი ცხოვრების მომავალ გზებზე ვერსად შევხვდებოდი დევების ბუნაგში გაზრდილ მზეთუნახავს. გამოსავალი ერთილა იყო, ლოდინი, თუ, ცხადია, ამასობაში საკუთარი ცეცხლის ალი არ დამწვავდა, ანდა, სხვა ვინმე, ჩემზე იღბლიანი, ჩამოიქროლებდა და წარიტაცებდა ჩემს რჩეულს. ვიცოდი, მას, პატარა პრინცესას, არც ღონე ერჩოდა, არც ცოდნა, რათა თვითონაც ამ ცეცხლში დანაცრებულიყო. ჯერაც უწლოვანს ვერ მოვთხოვდი ზედმეტ ერთგულებას. მას ხომ ეს შეთამაშება უსაფრთხო, მსუბუქი გართობალა ეგონა, ის ამ ცეცხლში ვერ დაინვებოდა, რადგან არაფერი ეცოდინებოდა ამ ცეცხლის არსებობისა, ისევე როგორც პატარა გოგონები ოცნებობენ პატარძლობაზე, რაკი ქორწილი მხოლოდ თეთრი კაბა და ლამაზი საჩუქრები ჰგონიათ.

გარიჟრაჟზე ჩამთვლიმა და სიზმარი მეწვია. ვითომ გზაზე მივაბიჯებდი. ერთგან, გზისპირას ბანჯგვლიანი, წითური დევი ჩამომჯდარიყო და ბანჯგვლიანი ფეხებით ეს გზა გარდიგარდმო გადაეკეტა. სახე საზარელი ჰქონდა — მონგოლური, კენტი თვალი შუბლზე, მიჭყლეტილი ცხვირი, ჩოღერა კბილები და შუბლზე ორი მომცრო რქა. მზერით გამბურლა და შემომღრინა: „შენ, ჰეი, როგორ ბედავ დევების სარძლოზე იოცნებო?!“ წამოიმართა და ზევიდან დამხედა, მკერდამდე ძლივს ვწვდებოდი. დავყვივლე და

ვეტაკე, ავიტაცე და ძირს რომ დავეც, მინაში მუხლებამდე ჩავიტანე. იმანაც ჩამბლუჯა, ამიტაცა და ძირს რომ დამცა, ფეხქვეშ მინა მოირღვა... მეჯაჯგურა და მეც ვეჯაჯგურე, ვერ მომერია და მეც ვერ მოვერიე... გამომეღვიძა, ოფლში ვცურავდი...

ავდექი, ჰაერზე გავედი და ონკანთან პირზე წყალი შევისხი. გადანყვეტილება მტკიცე და ურყევი მივიღე. რა კაცის საქმეა თორმეტი წლის ბავშვი! ჩემი ტოლ-სწორები მასხრად ამიგდებენ. გაივლის რაღაც ხუთიოდე წელი, ის გაიზრდება, მე არცთუ ჭარმაგი ვიქნები და, თუ ჩემი საბედოა, ერთმანეთს მოვნახავთ.

ინსტიტუტისაკენ სხვა, შემოვლითი გზით ვიარე. ლექციას დროზე მივუსწარი, მაგრამ ლექტორის ხმა ისე მესმოდა, როგორც მეზობელ სახლში ჩართული რადიო — ხმა ისმის, აზრს ვერ გეპულობ. არც გოგონების შეხუმრება მხიბლავდა, არც ბიჭებთან ენის ლესვა. ვიჯექი ჩემთვის და უქმად დავხარჯე ექვსჯერ ორმოცდახუთი წუთი და პლუს შესვენების წუთები, არც არაფერი მისწავლია და არც კი მიცხოვრია.

უკანა გზაზე გივია ამედევნა, ჩემი თანაკურსელი. ეს გივია ჭინკის გაჩენილსა ჰგავდა, სხვა არაფერზე ფიქრობდა, გოგონების გარდა. თეორიაც კი ჰქონდა შემუშავებული, გოგო რაც უფრო უტვინოა, მით უკეთესია, იოლი დასათრევი იქნებაო. ჰოდა, კვირაც არ გავიდოდა, მორიგი „უტვინოს“ მხარზე ხელგადახვეული მიიკვანწებოდა რუსთაველზე. „სიყვარული ბლეფია, მთავარია სექსი!“ — ესეც მისი თეორიის ნაწილი იყო და რომეოსა და ჯულიეტას თავგადასავალი სახუმარო ანეკდოტი უფრო ეგონა.

— რა გჭირს, ცუდად გამოიყურები!

— ღამე არ მეძინა! — მოკლედ ვუპასუხე.

— ქალთან იქნებოდი, შენი ამბავი რომ ვიცი!

იმან ჩემი ამბავი, ცხადია, არ იცოდა და თავი გავაქნიე.

— არ მითხრა, შეყვარებული ვარო!

უხმოდ შევხედე.

— მერე რას იტანჯები, შეანგრიე ციხის კარები და იერიშით აიღე!

ჯობდა, ხმა არ ამომელო, მაგრამ ისე ვყავდი ეშმაკს შეპყრობილი, უნებლიეთ წამომცდა:

— პატარაა, თორმეტი წლის!

გივიამ გაკვირვებისაგან პირი დაალო, მერე დაუსტვინა.

— გაგირეკია და ეგაა, თანაც პირდაპირ ციხისაკენ! — გამამხნევებლად მხარზე ხელი დამკრა. — დაელოდე, ხომ გაიზრდება!

ზურგი შევაქციე და გავშორდი. მჩატე ჭკუისა იყო, მაგრამ ჩემი ნაფიქრალი ამოიცნო და ეს სულაც არ მახარებდა.

დავბრუნდი შინ, მივეგდე ლოგინზე და რამდენიმე დღე ინსტიტუტში არ წავსულვარ. საბედნიეროდ, ჩვენს ინსტიტუტში საქმე ისე იყო აწყობილი, სულაც რომ არ გეველო, დიპლომს არავინ დაგამადლიდა. ჰოდა, მაღალ ბალიშზე მედო თავი და ვკითხულობდი სქელტანიან რომანებს. ამ წიგნების სიყვარულით დაავადებული პერსონაჟები ან ილუპებიან, ან ბედნიერებას ეწევიან. „ჰეპი ენდი“ ქორნილს ნიშნავდა და წიგნიც აქ თავდებოდა, თითქოს ის, რაც შემდგომ ხდება, ცხოვრებად არც ითვლება. ნავიკითხავდი ათიოდე გვერდს, წიგნს გადავდებდი და ფიქრი თავისთავად მირაბელას უბრუნდებოდა. ერთ დღეს კი მივხვდი, რომ არაფერი ვიცოდი მასზე, არც ჯოდოსა და ემას ვიცნობდი, გვარიც არ მიკითხავს მათი, წარმოდგენა არა მაქვს, რითი არსებობენ, რას საქმიანობენ, სიკეთის მსახურნი არიან თუ სიავისა. არ ვიცოდი, რომელი ლომის ხახაში ვყოფდი თავს. ცხრამეტი წლის ასაკში იმდენი ჭკუა მაინც ხომ უნდა მქონოდა, რომ კითხვა დამესვა: ჩემი რჩეული არის თუ არა პრინცესა, ძილის დროს იგრძნობს თუ არა ოცი ლეიბისა და ოცი საბნის ქვეშ დამალულ მუხუდოს მარცვალს? სულელო ჩემო თავო, მაინც ვინ არის ბაყბაყდევი ჯოდო, რომელსაც პირიდან სიტყვების ნაცვლად ღრენა ამოსდის?

ამ ჩურჩულ ფიქრებში გართულის თვალწინ იღება სტუდენტური სენაკის კარი და ზღურბლზე დგას თავად მოულოდნელობა.

— გვანცულიკა! — სანოლიდან წამოვიწიე, ზამბარებმა დაიჟღერიალეს.

ამ ჩემს საალერსო მიმართვაზე პატარა გოგოს შეაჟრჟოლაო, თუმცა სულ სხვა ფიქრებში ვიყავი და მიზეზს არ ჩავძიებდევარ. იმან კი თავი მოითოკა, თამამად შემოვიდა, თვალები უშიშრად გამისწორა და ქალაღი გამომინოდა.

გრძელ, ფახულა წამწამებს შორის მიმალული ეს მწვანე თვალები რატომღაც მაბნევედა და დრო ცოტათი გავწელე, ფეხები

ძირს ჩამოვყარე, ფლოსტები მოვძებნე და ქალაღდი ამის შემდეგ გამოვართვი.

ზედ ბავშვური, დიდრონი ასოებით ეწერა: „რატომ არ ჩანხარ?“

აჰა, პრინცესას მზერას მოვაკლდი. ეტყობა, არც ისაა გულგრილი ჩემი პერსონის მიმართ, თუმცა სიმართლე, ალბათ, უფრო ისაა, რომ თორმეტი წლის გოგონას გართობის ობიექტი გავხდი. ამიტომ ხუმრობით მივმართე მირაბელას ნათესავს, მეგობარსა თუ სათამაშოს, არ ვიცოდი რომელი ერთი მეფიქრა.

— უფლისწული უჯუში ასი წლის მაინც იქნება, წინა საუკუნეში დაიბადა. მგონი, პრინცესა მირაბელამ არ იცის, რა ასაკის ბაბუას წერს წერილებს!

ხუმრობაზე გვანცას არც გაუღიმიო, მოთმინებით იდგა და ელოდა, არ კი ვიცი, რას.

უხერხულობის დასაძლევად შევეკითხე:

— შენ, ალბათ, აქაური ხარ!

თავი გააქნია.

— შორს ცხოვრობ?

დამიქნია.

— მერე მშობლებმა როგორ გამოგიშვეს?

— ბებია მყავს? — ხმადაბლა თქვა, თითქოს ამის გამჟღავნება უჭირდა.

— აჰ, ობოლი ხარ? — როყოდ დავასკვენი.

— ბებია მყავს! — ჯიუტად გაიმეორა. — ბორჯომს ზევით, ტყეში ვცხოვრობთ. ესენი ისვენებდნენ და მირაბელამ სათამაშოდ შემარჩია!

სათამაშოდო! — ვერაფერი გავიგე, ალბათ დამეგობრდნენ-მეთქი, დავასკვენი.

— როგორ გეთამაშება?

— მე მისი ბარბი ვარ! ბარბის კაბებს მაცმევს, გამხდის, ისევ ჩამაცმევს, მერე მაკოცებს და კუთხეში მიმაცენებს... ხანდახან...

— გცემს? — გული შემეკუმშა.

გვანცამ მეტი არაფერი მითხრა და კარისაკენ დაიხია.

მარტო დავრჩი. გაოგნებულს ვერ მომეაზრებინა, რა მწყინდა და რა მიხაროდა. იმ წლებში ბარბი ახალი სათამაშო იყო და ბავშვთა უმრავლესობამ არაფერი იცოდა მისი არსებობის შესახებ. ჩემს

პრინცესას კი ცოცხალი ბარბი ჰყავდა. როგორც მოესურვილებოდა, ისე მოექცეოდა. არა, გვანცას არ უთქვამს, მცემსო, ეს მე ჩავედიე. ჩემი ანგელოზი, ჩემი პრინცესა თავის პატარა მეგობარს ვერასოდეს გაიმეტებს. ეს აბსურდია, ჩემი ექვნიანი, ავადმყოფი გონების ნაბოდვარია...

მეორე დღეს კარგად მოვწესრიგდი, გავიპარსე, დავივარცხნე, ჩაცმით, ჩემი ჯიბის პირობაზე, ახალგაზრდულ მოდას არც მე ჩამოვრჩებოდი და კარი რომ გავიხურე, ტროტუარზე გამვლელთათვის შესამჩნევი ტიპი გახლდით.

აუჩქარებლად, ნელა მივსეირნობდი და მამილო ჯოდოს სახლს რომ გავუწნორდი, ფანჯრებს თვალი მალულად შევაველე და მეორე სართულის მარჯვენა კუთხის ფანჯრიდან ხელი დამიქნიეს. შუშა ბრჭყვიალებდა და გარკვევით ვერაფერი დავინახე, თუმცა გაცხოველებულმა წარმოსახვამ მირაბელას ხატი გამიცოცხლა.

კარგა დიდი წრე დავარტყი და ისევ მოვბრუნდი. კვლავაც აუჩქარებლად ჩავსეირნე. მაღაზიასთან საჭორაოდ გავჩერდი, მაგრამ წინის არ ეცალა და ვიტრინის თვალიერებას შევეუდექი.

უცებ ვილაცამ იდაყვზე მომქაჩა და კინალამ შევხტი. პატარა გვანცა იყო. რა უცნაური თვალები ჰქონდა, შემომხედავდა და დამალვა მინდებოდა.

— მარტოა, შემოვიდესო!

შევჭოჭმანდი, უფრო იმიტომ, ამ ბავშვების დაგებულ მახეში ვებმები-მეთქი. მოულოდნელად მისი მშობლები რომ თავს წამომდგომოდნენ, რა უნდა მეთქვა? ხომ იფიქრებდნენ, ეს უკვე გაზრდილი ყაზილარი, სტუდენტი ჭაბუკი ამ უწლოვანებს აბოლებსო.

გვანცა კი იდგა და მელოდებოდა, ამ მწვანე თვალებს, ალბათ, ვერსად გავექცეოდი.

ფეხი უკან მრჩებოდა, გული კი წინ მექაჩებოდა და გავყევი.

ვრცელ ჰოლში აღმოვჩნდით, არცთუ მაღალი, მაგრამ მარმარილოთი განყოფილი კიბე ავიარეთ და მუხის პარკეტიან დარბაზში შევედით. თავი მუზეუმში მეგონა — ბროლის ქალები, მძიმე ფარდები, წითელი ხის ავეჯი... კუთხეში ჩემს სიმაღლეს ცოტათი რომ აკლდა, ისეთი ჩინური ვაზა იდგა. მარჯვნივ ხის კიბე აღიოდა ზედა სართულზე და დიდი ფანტაზია საჭირო არ იყო იმის მისახვედრად, მეორე და მესამე სართულებზე რა იმალებოდა.

„დევეთა მეფეა!“ — გავიფიქრე და მაშინლა დავინახე მირაბელა. დარბაზის შუაში უზარმაზარი მაგიდა იდგა, ალბათ საღრეობოდ განკუთვნილი, და იმას შემოუარა.

სიმორცხვით ლოყაშეფაკლულმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა.

მეც დავიმორცხვე, ნაძალადევი მხიარულებით მივაშურე და მისი გამხდარი, გრძელი თითები ხელში ავიღე, ცერემონიულად დავიხარე და ამ თეთრ, პანია ხელს ბაგე ოდნავ შევახე.

ჩაიცინა, მეც ჩავიცინე. ასეთი შეხვედრა თამაშს უფრო ჰგავდა.

— პრინცესა მირაბელა, ადრე, წინა ცხოვრებაში მე უფლისწული უჯუში ვიყავი, მაგრამ ახლა უბრალო სტუდენტად ვასაღებ თავს და საბუთებში უჩა ლურწკაია მიწერია! ეს ისე, თვალის ასახვევად. იმედია, ჩემს ამ საიდუმლოს არავის გაუმხელ!

ვიცოდი, სისულელეს ვროშავდი, მაგრამ სერიოზულად რაზე უნდა მელაპარაკა ამ ბავშვთან, როგორ მომეხდინა შთაბეჭდილება. ამიტომაც ვარჩიე ზღაპრების ჩმახვა.

დიახ, ეს მხოლოდ თამაში იყო!

— დაჯექი! — მიბრძანა მირაბელამ და მაგიდის კუთხესთან მდგარ მაღალზურგიან სკამზე მიმითითა.

დავჯექი, თვითონ წინ დამიჯდა და ჩემთვის თვალი რომ არ მოუცილებია, განკარგულება ისე გასცა:

— გვანცა, ყავა და შოკოლადი მოგვართვი! — დიდის როლი მოირგო.

გვანცა სამზარეულოში გავიდა. ახლად მივაქციე ყურადღება, ტანზე რაღაც აბსურდული, სხვა და სხვა ნაჭრით შეკონინებული კაბა ეცვა, უსწორმასწორო ბოლოთი, ალაგ-ალაგ გარღვეულიც, საიდანაც მისი კნაჭა სხეულის ნაწილები ილანდებოდა.

— ასე რატომ აცვია? — ვიკითხე.

— ჰმ, სოფლელი გოგოა! — მიპასუხა მირაბელამ და მისი ლურჯი თვალების ტბიდან წამიერად ეკალი ამოიჩაჩხა.

„ბავშვია! — გავიფიქრე. — ბავშვები ხშირად ეჭვიანები და სასტიკნი არიან, მაგრამ გაუფლის!“

და მაინც რაღაც არ მესიამოვნა, რაღაც „გამიტყდა“.

თავს ისევ შებოჭილად ვგრძნობდი, კვლავაც არ ვიცოდი რაზე მელაპარაკა და ანგლობა ვარჩიე:

— ახლა კიბეზე ამობრავუნდება ორი დევი — მამაშენი ჯოდო და დედაშენი ემა და დაიღრიალებენ: „ადამიანის სუნი გვეცა!“ გულგახეთქილი მაგიდის ქვეშ შევძვრები და დავიმალები, მაგრამ დევეები გამომართვევენ, დიდ ქვაბში ჩამკეპავენ და კაი ღრეობაც გაიმართება!

მირაბელას ჯერ თვალები გაუფართოვდა, გაკვირვებული მიყურებდა და უცებ ხმამაღლა გადაიკისკისა. მეც გავიცინე, თუმცა პრინცესას სიცილი ცოტათი მეტხანს გაუგრძელდა, სული ძლივს მოითქვა და ცრემლის წვეთი ლოყიდან ნეკათითთ აიცილა.

— რა სასაცილო ხარ!

სასაცილონი უფრო უყვართ!

ამასობაში გვანცაც მოვიდა. სინზე ორი ფინჯანი ყავა იორთქლებოდა და შოკოლადის დატეხილი ფილა იდო.

— შენთვის რატომ არ დაისხი? — შევეკითხე.

— პატარები ყავას არ სვამენ! — მირაბელა შემეპასუხა.

— მაშ შენც არ უნდა დალიო!

— მე უკვე დიდი ვარ, მალე ჩვიდმეტისა გავხდები!

ცხადია, მატყუებდა, თავს დიდად მაჩვენებდა.

— ცოცხალი თოჯინა გაგიჩენია!

— ჰო, მამიკომ მაჩუქა! თავის ბებიასთან ძროხის მწველავი გაიზრდებოდა, აქ კი ჩემი ბარბია!

— ბარბი?

— ჰო! გვანცა, მიდი, თეთრი კაბა ჩაიცვი და გამოგვეცხადე!

გვანცა უთქმელად გატრიალდა, დარბაზიდან გაქრა და ხუთი-ოდე წუთის შემდეგ შემობრუნდა.

ბარბის თეთრი კაბა საოცრად უხდებოდა, პატარა, მწვანეთვალეა ფერიას დაემსგავსა. კაბის კალთები დაატრიალა და გამხდარი, მაგრამ სწორი ფეხები გამოუჩნდა. შევამჩნიე: მაშინაც კი, როცა ბზრიალებდა, სახე მონყენილი და გაუღიმარი ჰქონდა.

„საუცხოო ბავშვია!“ — მინდოდა შემექო, მაგრამ შინაგანმა ხმამ მიკარნახა, ზედმეტი ყურადღება არ გამომეჩინა.

ხმის გაღება მაინც ვერ მოვასწარი, შემოსასვლელთან ფეხის ბრავუნი მოსმა.

— მამა მოვიდა! — წამოიკნავლა მირაბელამ, შიშისაგან გაათეთრდა.

შიში მეც გადამედო. განა იმას ვფიქრობდი, ის კაცი შემჭამს-მეთქი, უხერხულობა დამეუფლა.

გვანცამ, აქეთო, ხელი დამიქნია და სამზარეულოსაკენ გამიძღვა.

ზურგსუკან კარი რომ მივხურეთ, დედაკაცის უხეში ხმა მომესმა:

— ვისთან მიირთმევედი ყავას?

— ალბათ გლეხის იმ ნაბიჭვართან! — ღრენით გაეპასუხა კაცი.

მირაბელას ხმა დაუნვრილდა და სიტყვები ვერ გავარჩიე, თუმცა, ცხადია, მამის ნათქვამს ადასტურებდა.

სამზარეულოდან ეზოში გავაღწიეთ. პატარა, მიგდებული ეზო იყო, კუტიკარზე ჟანგიანი ბოქლომი ეკიდა და ზევიდან გადავძვერი.

გვანცას ხელი დავუქნიე (იდგა ჩიტვიტ მობუზული და დარდინანი!) და ფეხაჩქარებით გავშორდი იქაურობას.

გაორებული ვიყავი. ძველებურად მოხიბლული და შეყვარებული დავრჩი, მაგრამ ამ თაფლში პანანინა შხამის წვეთებიც ერია — ასაკი, გვანცა, ბაყბაყდევი ჯოდო, ცხრათავიანი დევი ემა... არ ვიცოდი, ამ წინააღმდეგობებიდან რომელი უფრო ძნელი დასაძლევია მექნებოდა.

ასეა თუ ისე, იმ დღიდან პატარა გოგონებთან თამაშში ჩავერთე. როცა მარტო რჩებოდნენ, მომიხმობდა ხოლმე, არადა მოკლე და ჩურჩუტულ უსტარებს მიგზავნიდა. აქამდე მეგობარი არასოდეს ჰყოლია, მით უფრო ბიჭი და ის, რომ „დიდთან“ ფლირტობდა, ეამაყებოდა. პირისპირ ვისხედით, მუხლი მუხლთან, სურვილი მკლავდა, მისი ტუჩები დამეკოცნა, მაგრამ ერთხელაც არ გადავაბიჯე ზღვარს, რაც საკუთარ თავს დავუნესე. ამ ზღვარს „არშეიძლება“ ერქვა და ჩვენი საუბრები ივსებოდა სრულიად უცოდველი ამბებით, რასაც ჩემი ზღაპრულ-ფანტასტიკური გონება სახელდახელოდ თხზავდა და იუმორით აჯერებდა... მირაბელა მორჩილი მსმენელი აღმოჩნდა, ხან თვალი აუნწყლიანდებოდა, ხან აკისკისდებოდა, ხელს ხელზე დამადებდა და ამ დროს თითქოს დენი დამკრავდა, ფარული ლტოლვის მოსათოკად ფეხზე ვდგებოდი და ბოლთასა ვცემდი. კიდევ კარგი, მწვანეთვალემა გვანცაც იქ იყო, ოთახის კუთხეში იჯდა როგორც დროებით კარადაზე შემოდგმუ-

ლი თოჯინა. ჩვენს საუბრებში არ ერეოდა, არაფერს ჩაგვეკითხებოდა, რაკი სოფლელი გოგონა იყო, მირაბელასთან თავს გონჯად გრძნობდა და ბავშვურ სევდასა და ტკივილს ჩუმად ატარებდა. ზოგჯერ მივუახლოვდებოდი, ნიკაპზე თითს ამოვდებდი, მის მწვანე თვალებს ჩავხედავდი. „ხომ მართალს ვამბობ, გვანცულიკა?“ — შევეკითხებოდი. თავის გრძელ წამწამებს დააფახულებდა და სწრაფად ვშორდებოდი, რადგან ამ დროს ზურგს მსუსხავდა ეჭვიანი ლურჯი თვალების მზერა...

ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე და ჩვენი საყმაწვილო თამაშობანი უსასრულად ვერ გაგრძელდებოდა.

წინათგრძნობაც მქონდა ისეთი, უნდა დავსჯილიყავი, ოღონდ თავდაპირველად მე კი არა, პატარა გვანცა დაისაჯა.

ჩრდილები საკმაოდ დაგრძელებული იყო, როცა ინსტიტუტიდან შინისაკენ გამოვეშურე. ჩვეული გზით მოვდიოდი და ჯოდოს სახლთან, ტროტუარზე გვანცა დამხვდა, ძირს იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობოდა.

შეშინებული დავაცქერდი, სასტიკად იყო ნაცემი.

ტუჩი გახეთქოდა, ალბათ დაუნდობლად გაულანუნეს. ცრემლის კვალი პირისახეზე ზოლებად აჩნდა. მუხლისთავი გადატყაოდა, ასფალტზე თუ მოისროლეს.

რაც ეცვა, კაბა კი არა, კაბის ნაფხრენებილა იყო.

— გვანცულიკა, ვინ-ინ? — ჩურჩულით ვკითხე, თუმცა შესაკითხი რა მქონდა. ჩვენი საიდუმლო გაიხსნა და ჯალათის რისხვა ამ ციციქნას დაატყდა.

უხმოდ ამომხედა, პასუხი მის მწვანე მზერაში იკითხებოდა.

თავი დამნაშავედ ვიგრძენი, ისეთი რამ უნდა მომემოქმედა, საკუთარი თავის პატივისცემა არ დამკარგოდა.

ჯიქურ შევბრუნდი, კარზე დავაბრაგუნე. მუხის კარმა მუშტი მატკინა, მაგრამ არ ვეშვებოდი.

იგი უცებ გაიღო და ზღურბლზე უზარმაზარი ბაყბაყდევი წამოიმართა.

მინდოდა მეყვირა, არა გრცხვენიათ, ბავშვი ასე როგორ განირეთ-მეთქი, მაგრამ სიტყვა ყელში გამეჩხირა, მამილო ჯოდომ საკინძეზე ხელი ჩამავლო და შიგნით შემართია.

მეტად უხერხულად ვეჭირე, ლამისაა ვიხრჩობოდი. ავსხმარტალდი, მუცელზე მუშტს ვურტყამდი, მაგრამ თითქოს ესეც მუხის ფიცრისაგან ჰქონდა შეჭედელი.

მიმათრევა და როხროხებდა, ვერ გამეგო, ეს ღმუილი მუქარისა იყო თუ სიცილს ნიშნავდა.

დარბაზში რომ აღმოვჩნდი, ენა გადავყლაპე.

სუფრას ჯოდოსნაირი დეკაცები უსხდნენ — როხო თავებიანები, ბეჭებგანიერნი, უზარმაზარი ღიპებით... ღვინოს ჭიქებით კი არა, ხელადებით სვამდნენ, ხორცს ძვლებიანად ტკვერავდნენ.

მაგიდამდე მივალწიეთ და საკინძეზე ხელი მიშვა, ტორი მხარზე დამაყრდნო, თანამეინახეებს ისეთი ხმით მიმართა, თითქოს დოღს უბრაგუნებსო:

— აჰა, გაიცანით, სასიძო გამომეცხადა!

თავები მოაბრუნეს, სისხლიანი თვალები მომაპყრეს. ამ დეკაცებში, ცხადია, პატარა და უსუსური ვჩანდი, ამათგან დაცინვა და დამცირება უნდა ამეტანა. ნაჭამ-ნასვამნი ახლა ხვალი კატებივით მიყურებდნენ, წრუნუნას რომ ეთამაშებიან, სანამ შესანსლავდნენ.

შევეცადე, ღირსება არ დამკარგვოდა და ენის ბორძიკით შევეპასუხე:

— ნუ დამცინით, მე პატარა მირაბელას უფროსი მეგობარი ვარ, ესაა და ეს!

— მაშ მეგობარს მივართვათ ყანწი! — ჩოღერა კბილები გამოაჩინა ჯოდომ, მისწვდა მაგიდაზე წამონოლილ ყანწს, შიგ ორლიტრიანი გრაფინი ჩაცალა და მომაჩეჩა.

მე იმ ყანწის სიდიდისა ძლივს ვიყავი, ლამისაა ხელიდან გამვარდნოდა.

მოსმურნი აროხროხდნენ, ჩემკენ თითებს იშვერდნენ და გაიძახოდნენ:

— დალიე, დალიე, დალიე!

— მიდი, გადაყლურნე! — მიბრძანა ჯოდომ.

— არა! — ვთქვი მკაფიოდ.

სიჩუმე ჩამოვარდა, თვალებს ავად აბრიალებდნენ, მივხვდი, განწირული ვიყავი.

— ვითომ რატომაო? — მამილო ჯოდო ამკარად შარზე იყო.

ავხედე, იმოდენა იყო, მკერდამდე ძლივს ვწვდებოდი, მაგრამ მაინც შევბედე:

— თქვენს კართან ნაცემი ბავშვია, ვაჟკაცობა მარტო ღონე ხომ არ არის!

— რას მიბედავ, შე ნაბიჭვარო! — შემომღრინა ჯოდომ, ყანწი გამომტაცა და თავზე თქლიშინით გადმომახსა.

სუფრა ახარხარდა, ღრიანცელი ატყდა, მე კი წყნარად ვიკითხე:

— სულ ესაა?

ბაყბაყდევი უცნაურად შეკუნტრუშდა, მუშტი შემართა, რათა თავში ეხეთქა, მაგრამ მოულოდნელად გაბმული წივილი გაისმა.

მეორე სართულის კიბეზე მირაბელა იდგა, ფერდაკარგული და შეურაცხყოფილი.

— მამა, მამა!..

ჯოდომ შვილს გახედა, მერე მე მომაპყრო მძულვარე მზერა, ქეჩოში ხელი წამავლო, გასასვლელისაკენ წამათრია, კიბესთან წიხლი მკრა და დამაგორა.

წელი ძლივს ავითრიე, უკან არც მიმიხედავს, ნაგვემი და ქათამივით განუნული ქუჩაში აღმოვჩნდი. იქ, ტროტუარზე გვანცას მივუჯექი და ნაძალადევად გავუღიმე:

— მეც გავილახე!

გაკვირვებით მიყურა, მიყურა და უცებ გაეცინა.

მეც გამეცინა.

მთელი წუთი ის კისკისებდა, მე ვხარხარებდი, თვითონაც ვერ გაგვეგო, რამ გაგვამხიარულა. იქნებ ეს ისტერიკა უფრო იყო, მაგრამ სულ მალე სიცილი ჩაგვიქრა და წამოვხობილდით. გაუგებარი იყო, მე მას ვეყრდნობოდი თუ ის მე — ჩუმი კვნესით ჩემს სტუდენტურ საკანს მივაშურეთ. არც დავფიქრებულვარ, მქონდა კი იმის უფლება, ცხრა წლის ობოლი შინ რომ მიმყავდა. უპრიანი ის იქნებოდა, მილიციაში ჩამებარებინა და ბავშვს კანონი მიხედავდა.

ჩამოვსვი ჟანგიან სანოლზე, დავჯექი ერთადერთ ტაბურეტზე და ვკითხე:

— მაინც რა მოხდა?

— დეიდა ემამ ჩაუკაკლა, სოფლის გაფუჭებული გოგო რომ მომითრიე, ვერა ხედავ, ბიჭები შინ დაუდისო, ვინ იცის, რას აკე-

თებსო. ჯოდო ძია გაგიჟდა, სულ ცუდი სიტყვები მიძახა, მირტყა და მირტყა, მერე კი ქუჩაში მომისროლა... მუხლი დავარტყი... — ამას ისე მიყვებოდა, თითქოს მართლაც დამნაშავე ყოფილიყოს და ეს ცემა-ტყეპა ეკუთვნოდა კიდეც. მის ხმაში პროტესტი არ გაჟღერებულა, უბრალოდ ჩემი რცხვენოდა. — ბებიასთან მირჩვენია! — ნაიჩურჩულა და თავი დახარა.

მას კი არა, მე მრცხვენოდა საშინლად, რაკი ეს უბედურება ჩემს გამო გადახდა, ხოლო მე ვერ გამოვადექი ქომაგად.

შევეცადე, თავი ყოჩაღად მომეჩვენებინა.

— ახლა მოისვენე, კედლისაკენ შებრუნდი, ღვინით გაბუჟ-ბუჟებული ტანისამოსი უნდა გამოვიცვალო. ლამისაა სუნმა დამათროს. მერე ცოტა ხნით გავალ, შენ მოწესრიგდი, პირი დაიბანე და დამელოდე!

მორჩილად შებრუნდა კედლისაკენ. ნყნარად სუნთქავდა და ვერ მივხვდი, ფხიზლობდა თუ ჩაეძინა.

გავიხადე. ეზოს ონკანთან ხელ-პირი დავიბანე, სველი ტილოთი ტანი დავიზილე, სუფთა ჯინსი და პერანგი ჩავიცვი. იდაყვზე და ყვრიმალზე ლურჯი ღვანთქები დამაჩნდა, ეტყობა, მამილო ჯოდოს კიბემ დამაჯილდოვა.

გამახსენდა მირაბელას კვილი, გული წყენანარევი სიყვარულით ამევსო. მამის დანაშაულს პატარა პრინცესას ვერ ავკიდებდი, თუმცა მედარდებოდა, რომ თავისი „ბარბი“ ვერ დაიცვა.

კარი უხმაუროდ გავიხურე. გზაში ჩემს დაჭმუჭნილ მანეთიანებს ვითვლიდი. მეზობელ ქუჩაზე ტანსაცმლის მაღაზია მეგულეობდა. გამყიდველმა გოგონამ ჩითის იაფი კაბა შემირჩია, მწვანე ფოთლებით მოხატული, გვანცული კას მწვანე თვალებს მიესადაგებოდა.

— შვილისთვისაა? — გამყიდველი ჩემზე პატარა იყო და ასაკოვნად მიმიჩნია.

— კი, ათი წლისა ვიყავი, ცოლი რომ შევირთე!

— მაპატიეთ, ალბათ დაიკოსთვისაა!

— სხვათა შორის, ცხრამეტისა ვარ და თანაც უცოლო! — ნიშნი მოვუგე და წამოვედი.

გზად აფთიაქშიც შევირბინე, პატარა შუშა ბრილიანტის ხსნარი, ე. წ. „ზელიონკა“ ვიყიდე. უკვე ბნელოდა. გვანცას შუქი აენტო

და სანოლზე ჩამომჯდარი დამხვდა. პირი დაებანა. ჩემი სავარცხლით თმა სწორად დაევარცხნა. მუქი ნაბლისფერი ჰქონდა და ამასაც ბოლო უხუჭუჭდებოდა. უნებლიეთ ჩემს პრინცესას ვადარებდი და, რა თქმა უნდა, ნაგებული რჩებოდა. ვიცოდი, რომ უსამართლოდ ვსჯიდი, რადგან ჯერაც პატარა იყო, მიყრუებულ სოფელში ობლად იზრდებოდა და რძისა და თაფლის აბაზანა არასოდეს მიუღია.

შუშას თავი მოვხადე, ასანთის ღერი „ზელიონკაში“ ჩავანე.

— აბა, მიჩვენე!

ნიკაპი ავუნიე და ტურის განახეთქზე წამალი ფრთხილად ნავუცხე. ზედმეტი მონდომებისაგან ენაც კი გამოვყავი. ამ პატარასაც საუცხოო საკოცნელი ტურები ჰქონდა. შემრცხვა ამ გაფიქრებისა. მზერა მისი თვალებისაკენ გამექცა, მწვანედ ანათებდა.

ხელი ვუშვი და შუშას სახურავი მოვარგე.

რალაც მოხდა, ოღონდ არ ვიცი, რა! შეშინებული მიყურებდა და თავის დაფხრენილ კაბას ექაჩებოდა, რათა მოშიშვლებული ნაკვებები დაემალა. ბოლოს და ბოლოს ვინ ვიყავი მისთვის? იქნებ ზედმეტად მომენდო? კარგად ხომ არც მიცნობდა! იმ სახლიდან გამოგდებულმა არ იცოდა, საით ნასულიყო, ვის კარზე დაეკაკუნებინა. ქუჩაც საშიში იყო და უცხო კარიც, რადგან თავის მოკლე სიცოცხლის მანძილზე ირგვლივეთი მხოლოდ ბოროტი ჯოჯოე-ბით დასახლებული ეხილა.

— გვანცულიკა! — მოფერებით მივმართე. — მე კარს მიღმა გავჩერდები, შენ კი ეს ნაფხრენები გაიხადე და ახალი კაბა ჩაიცვი. მაპატიე, უკეთესი ვერაფერი გიყიდე!

მუხლებში ჩავუდე და გარეთ გავედი.

გზისპირას ჩამოვჯექი და ზევით ავიხედე. ცა უღრუბლო იყო, მაგრამ ქალაქის ლამპიონები ვარსკვლავეთს აქრობდა, აქა-იქ თუ ბუჟტავდა შორეული სამყაროების დესპანი.

ვიჯექი და მირაბელაზე ვფიქრობდი. „ნუთუ მშობლების გამო შეიძლება პატარა პრინცესა დავსაჯო და გადავიყვარო?“ — ჩემს თავს შევეკითხე. არა და არა! არავინაა დამნაშავე იმაში, რომ დევთა მოდგმაში დაიბადა. ჩვენ ხომ მშობლებს ჩვენი ნებით არ ვირჩევთ. ჩემი გულიდან ვერ ამოვშლი მირაბელას მხოლოდ იმიტომ, რომ მამამისმა დამამცირა. გამახსენდა როგორ წიოდა — „მამა,

მამა!..“ იმისმა წივილმა გადამარჩინა, თორემ ბაყბაყდევის დარტყმა ჩემთვის სასიკვდილო იქნებოდა. „მშობლები მიდიან, ჩვენ კი ვრჩებით!“ — თავს ამით ვიმშვიდებდი, თუმცა ის ანდაზაც კარგად მახსოვდა, მწიფეს ესროდნენ და მკუხე ცვიოდაო.

ამასობაში დრო გავიდა და მივუკაკუნე.

— ჩაიცვი?

— ჰო! — მოკლედ მიპასუხა.

კარში თავი შევყავი.

შუა ოთახში იდგა, ნათურის ქვეშ. კაბა ოდნავ დიდი ჰქონდა, მისი გამხდარი სხეული ვერ ავსებდა, მაგრამ მწვანე ფოთლების ფერი მისი თვალების ფერს ეხამებოდა და ხალისიანად გავამხნევე:

— გვანცულიკა, თურმე რა ლამაზი ყოფილხარ!

თითქოს შეაჟრჟოლაო... ადრეც ხომ ვნახე, ალერსიან სიტყვაზე ასე რომ რეაგირებდა. ალბათ, აქამდე არავინ მოფერებია და ადამიანთა მხრიდან სიტბოს არ ელოდა.

სიმორცხვისაგან ლოყები შეეფაკლა და ფახულა წამნამები დახარა.

— კაი ახლა, მორცხვობით ნუ დადნები! — სიცილით ნიკაპზე წკიპურტი ამოვკარი. — ახლა მე და შენ, რაკი ღარიბი უფლისწული და კიდევ უფრო ღარიბი სტუდენტი ვარ, ჩაი დავლიოთ!

გაცეინა და ამ დროს პირზე ხელი აიფარა, თავს მაინც შებოჭილად გრძნობდა.

განჯინიდან პური, ყველი და კარაქი გამოვიღე, წყალი კოლბით ავადულე და ჩაი დავაყენე.

მაგიდა საწოლთან მივაჩოჩე, სტუმარი საწოლზე ჩამოვსვი, მე ტაბურეტზე მოვთავსდი.

აუჩქარებლად ვხვრიპეთ ჩაი, მე უფრო თამამად, ის უფრო მორიდებულად.

მერე დაუზარებლად წამოხტა, მაგიდა წამში აალაგა და ჭურჭელიც დარეცხა.

ვიჯექი და ვუყურებდი. გული სინაზით მევსებოდა. ასეთი დაიკო რომ მყოლოდა, არსებობას შემიმსუბუქებდა, მაგრამ ადამიანმა მხოლოდ საკუთარ კომფორტზე როდი უნდა იოცნებოს, დავსვი და ვკითხე:

— თბილისში სხვა ვინმე გყავს?

თავი გააქნია.

— ამათთან ვერ დაბრუნდები?

თავი ისევ გააქნია.

— ხმაც გამაგონე, თორემ მეჩვენება, რომ მუნჯს ველაპარაკები! ბებიასთან უნდა დაბრუნდე?

— ჰო!

— იცი მერე, სად ცხოვრობს ბებია?

— სოფელში, ბორჯომს ზევით, იქ სულ ფიჭვებია!

— გზა თუ იცი?

თავი დახარა. ცხადია, ჯოდომ მანქანით წამოიყვანა და ახლა არ იცის, რომელ მხარეს წავიდეს.

— ნუ გეშინია, მე წაგიყვან! ხვალ დილით რომ ავდგებით, პირდაპირ ბებიასაკენ გავქანდეთ!

მადლიერი თვალები შემომანათა, ოღონდ წუთის შემდეგ ყოყმანით მითხრა:

— ბებიას არ ვუყვარვარ!

— არ უყვარხარ? — გაოცებული წამოვხტი, ამისი დაჯერება არ მინდოდა, მაგრამ ცხოვრებაში იმდენი ბოროტება ხდება, ეს რატომ უნდა გამკვირვებოდა.

— მამიკოს დედინაცვალი იყო და არც ის უყვარდა. მერე მამიკოც მოკვდა, დედიკოც მოკვდა და დავრჩი მარტო!

საბრალო ბავშვი! გული ერთი მუჭა გამიხდა, მაგრამ ამას გამხნევება უფრო სჭირდებოდა და ჩემს ხმას მეტი სიხალისე შევეძინე.

— გვანცულიკა, შენ ცდები! მერე რა, რომ დედინაცვალი იყო? აი, ნახავ, სიხარულით მიგიღებს, მოგეფერება, თანაც ჩემისთანა ძმაკაცი რომ ჩავიყვანს, ცას ეწევა სიხარულით!

ძალიანაც ვირჯებოდი, მაგრამ გოგონა ურწმუნო თვალებს არ მაშორებდა და ეს უკვე მერამდენედ ვატყობდი თავს, რომ მისი მზერა მაბნევედა.

საკმაოდ გვიანი იყო, როცა ლოგინში ჩავანვინე. შუქი ჩავაქრე, თვითონ ფერხთით ჩამოვჯექი, საწოლის ზურგს იდაყვით დავვეყრდენი.

კარგა ხანს ვიყურებოდი სიბნელეში, თან ვფიქრობდი პატარა გოგონას ბედ-იღბალზე. მე რომ მეტი სახსარი ან ასაკი მქონოდა, აღარ წავიყვანდი ბებიასთან, რომელსაც გერის შვილი არ უყვარ-

და, მაგრამ მე ხომ მხოლოდ ცხრამეტისა ვიყავი და არ შემეძლო მეშვილებინა ცხრა წლის გოგონა. ამისი გაფიქრებაც კი სასაცილო იქნებოდა და სიბნელეს გაფუღიმე, ხოლო მომდევნო წამს საწოლის თავს ჩამოყრდნობილს ჩამეძინა. ძილში მთვარის შუქი თვალებში მიჭყიტინებდა. მერე მივხვდი, რომ ეს მთვარე კი არა, პრინცესა მირაბელაა — თეთრი, ქათქათა პირისკანი ჰქონდა, საკოცნელი ტურები, ულურჯესი თვალები, გვირგვინად კი ცეცხლოვანი, დატალღული თმა... მე მისკენ მივიწეოდი, მაგრამ „არშეიძლება“ ბორკილები მედო და ვერ ვწვდებოდი.

ძილში, თურმე, ჩამოვცურდი საწოლის ზურგიდან, გვანცას ფერხითთ გარდიგარდმო ვინეკი და სადღაც სხვა სამყაროში დავფრინავდი, მსურდა გავქცეოდი დაგრაგნილ გველ-ლრიანკალთ. არც გვანცა მახსოვდა, არც ეს ოთახი, ეს ლოგინი, ეს ქუჩა და ეს სახლი... მირაბელას წვრილი ხმა კიოდა — „მამა, მამა!..“ მე კი ამ გრაგნილი, სლიპინა სხეულებისაგან თავის დაღწევას ვცდილობდი, შიშის პანიკამ მომიცვა და ვიძახდი — „მირაბელა, სადა ხარ?!“

გამომელვოდა. გარეთ ჯერაც ბნელოდა. ბავშვი ხომ არ შევაწუხებ-მეთქი, გავიფიქრე. შევეცადე, ზამბარებს არ ეჭრიალა, ისე წამოვდექი.

გარეთ გრილოდა.

ტროტუარზე ჩამოვჯექი. აქედან ჩემი დაფეხვილი სახლიც მოჩანდა და ამ ქუჩის ბოლოს — ჯოდოს სასახლეც.

სახლებს ეძინა, ეძინა ქალაქს... ქუჩის ნათურები სუსტად ბჟუტავდა, გაცრეცილ ცაზე ბოლო ვარსკვლავები ქრებოდა.

მერე ეს ნათურებიც გაითიშა. ქალაქი თითქოს სუსტმა ნისლმა მოიცვა. თანდათან იკვეთებოდა საგნები. სიცივისაგან მაკანკალებდა, მაგრამ ადგილიდან არ ვიძროდი, გავყურებდი ჯოდოს სახლს და ვფიქრობდი, რომ დევების ქალიშვილს გადაუარა ბავშვურმა ელდამ, ახლა მას სძინავს ქათქათა, რბილ სარეცელში, არავინ უდებს ლეიბის ქვეშ მუხუდოს მარცვალს, რათა არ შეწუხდეს, ბარბის პაპიემამეს თოჯინას ჩახუტებია, არც მე ვახსოვარ და არც ცოცხალი ბარბი.

ჩემს ლარიბულ საკანში კი, მონჯლრეულ საწოლში, პატარა გვანცას სძინავს, გვანცულიკას, ისეა გასუსული, თითქოს არც სუნთქავდეს და არ ვიცი, რა ესიზმრება — ლაჟვარდები თუ დევ-კუდიანები.

კარმა გაიჭრიალა. გვანცა გამოვიდა. ჩემი ნაჩუქარი, მწვანედ დაფოთლილი კაბა ეცვა, თავი წმინდად დაეწარცხნა.

დამინახა და მომაშურა. გვერდით ჩამომიჯდა, მხარზე ნდობით ამეკრა, თავი მომადო.

ახლა მე ვიყავი მისი ერთადერთი მფარველი და გზის გამკვალავი. ჯოდოს სახლისაკენ გავახედე.

— იქნებ დაბრუნდე, ა?

თვალებში შიშმა გაუელვავა. იმ სახლთან მიახლოებისაც ეშინოდა. იქმას არავინ ელოდა. „პრინცესაც კი?“ — ეს კითხვა მანვალედა, ამ კითხვის პასუხით გაიზომებოდა მირაბელას გულის სიღრმე, თუმცა იმ კარებში მე უკვე არავინ შემიშვებდა და კითხვასაც ვერავის დავუსვამდი.

— მაშ ჩაი დავლიოთ და გზას დავადგეთ!

— არ მშია! — წყნარად მითხრა.

მეც არ მშოოდა. გზაში ხაჭაპურს ვუყიდი-მეთქი, გადავწყვიტე. მოვწესრიგდი, კარი ჩავკეტე და მეტროს სადგურისაკენ გავეშურე. დიდუბეში ბორჯომისაკენ მიმავალ „იკარუსში“ ჩავსხედით.

ვცდილობდი მისთვის დარდი გამექარგებინა და ავტობუსში ენა არ გამიჩერებია, დანვრილებით ვუხსნიდი, სად რა ქალაქი და მხარე იყო, რათა საჭიროების შემთხვევაში თვითონაც გაეგნო გზა თბილისისაკენ.

შუადღეც არ იქნებოდა, ბორჯომში რომ ჩავალწიეთ. სამ მანეთად ერთი მონჯლრეული „ჭიჭიკო“ ვიქირავე და ავუყევით მიხვეულ-მოხვეულ გზას ბორჯომ-პარკის გავლით ფიჭვნარისაკენ.

— აი, აქ! — ჩამჩურჩულა გვანცამ, როცა სოფლის განაპირა სახლამდე მეოთხედი კილომეტრი რჩებოდა.

მანქანა დავითხოვე და მიმოვიხედე. არანაირი ბილიკი არ ჩანდა და გოგონა პირდაპირ ტყეში შემიძღვა. მაღალი, ტანკენარი ფიჭვების ქრელ ჩრდილში მივდიოდით. მშრალი წიწვი და მწვანე ხავსი ფეხქვეშ ხალიჩასავით ეფინა.

ცხელოდა, მაგრამ აქ გრილი, საამო ნიავი ფოფინებდა და ჰაერში იდგა ფიჭვის ფისის სუნი.

ზედ ხეობის თავზე, ტყისპირას ორსართულიანი, ხალვათი სახლი იდგა, ირგვლივ არცთუ მცირე, ხილიანი ეზო ერტყა. აქ თუ ბებია ცხოვრობდა, იმდენი გასაჭირი ნამდვილად არ ექნებოდა, ცხრა წლის შვილიშვილი „სათამაშოდ“ გაესხვისებინა.

ჭიშკართან ზონზროხ დედაბერს დოინჯი შემოეყარა და შორიდან აგრესიულად გვიჭვრეტდა.

— ქალბატონო ბებია, ვატყობ, თქვენ ამ ბავშვის პატრონი ბრძანდებით!

— მაგის პატრონები კარგა ხანია მინაში წვანან! — უხეშად მომიგო.

გვანცამ ამოიოხრა. მინდოდა ისეთი რამე მომეხია, ეს გაბერილი გომბეშო ადგილზევე მომესვა და ალაღბედზე ვთქვი:

— რამდენად ორგანოებისათვის ცნობილია, ეს სახლ-კარი ამ ბავშვისაა!

დედაბერს სახე უცბად დაუფორაჯდა, სინითლისაგან ოხშივარი ასდინდა და მივხვდი, ნერტილში მოვარტყი.

— მე მთავრობამ დამავალა, ეს ბავშვი ბებიას ჩააბარეო! ჩვენ ყველაფერი ვიცით! ამოდენა სახლი ეკუთვნის, თქვენ კი ვილაც კაციჭამიებს გაატანეთ!

დედაბერს ყბები ჩამოუვარდა, ათახთახდა, სიტყვა სიტყვას ვერ მოაბა და ბოლოს ძლივს ამოთქვა:

— მე რა, მე არაფერს ვამბობ. თვითონ უნდოდა ამ კნენას ქალაქში გასეირნება და... მობრძანდით, განა სტუმარს არ მივიღებთ რო...

მიპატიჟება არ გავამეორებინე, დიდკაცური მიხრა-მოხრით შევაბიჯე, ვაშლის ძირში, მაგიდასთან, ძელსკამზე დარბაისლურად დავჯექი, ფეხი ფეხზე შემოვიდე და დედაბერს ცოტათი აგდებულად მივმართე:

— ცივი წყალი გექნებათ, ცხადია...

— ახლავე, გენაცვალე, დაბრძანდი, დაისვენე!

გვანცა გვერდით მომიჯდა, ჩემი ქცევით ცოტათი გაკვირვებული ჩანდა.

თვალი ჩაუფუკარი გასამხნეველად.

ვხედავ, ზედა აივანზე სარეცხია გაფენილი. ერთგან სახელდახელო ღია სამზარეულოა მოწყობილი. ვილაც ტიპები მიდი-მოდიან, ცნობისმოყვარედ გადმოხედვენ.

დიდი მიხვედრა ამას რად უნდოდა, ფიჭვნარში დამსვენებელთა სეზონი დაწყებულიყო. ეს ბებია კაი ფულს ხვეტავდა, ხოლო შვილიშვილისათვის ლუკმას ვერ იმეტებდა.

წყარო აქვე, ეზოში მოთქლიშინებდა. დედაბერმა გრაფინი აავსო, მერე ჭიქა ჩემს თვალწინ გამოავლო და მონინებით გამომინოდა. ცივი და გემრიელი წყალი იყო.

ჭიქა დავუბრუნე და ვანიშნე, დაბრძანდი-მეთქი.

— ახლა ყურადღებით მომისმინეთ, ქალბატონო ბებია! — ცივად მივმართე. — მე აქ უსაქმოდ ჯდომის დრო არა მაქვს. აგერ ხელწერილს დავწერ, რომ ბავშვი ცოცხალი და უვნებელი ჩამოვიყვანეთ. თქვენ ხელს მომინერთ და ჩემს გზას დავადგები!

ჯიბიდან ამოვიღე თაბახის ქალაღი (ცხადია, სხვა საჭიროებისთვის მედო!) და მშვენიერი კალიგრაფიით გამოვიყვანე დედაბრის სახელი (უკვე არც მახსოვს, აგრაფინა თუ რაღაც ამგვარი!) და გვარი, მერე ტექსტი, აქაოდა, ბავშვი ჩავიბარე, მზად ვარ მოვუარო, არც საჭმელი მოვაკლო და არც ტანისამოსი, სკოლაში ვატარო და, რაც მთავარია, არ ვცემო...

ეს რომ წაუფუკითხე, თავი მოიგიჟიანა:

— უიმი, ჩემი სიკვდილი, ობოლს თითს როგორ დავაკარებ... — და მისთანანი.

— ახლა, ქალბატონო ბებია, სხვა კანონია შემოღებული, — დინჯად ავუხსენი, — საკუთარმა ბებიამ შვილიშვილი რომ ცემოს, ოთხწლიანი ციხე აქვს გამოწერილი. მე უშიშროებაში ვმუშაობ, იქ ბავშვთა დაცვის განყოფილება გვაქვს. იცოდეთ, შესამომნებლად ჩამოვალ და თუ გავიგე-ე...

ეს ბოლო ისე ვთქვი, რომ დედაბერი გაფითრდა, გულზე ხელი მიიდო, ფიცისათვის განემზადა, მაგრამ ამ გადაღრძუებულის ფარისევლობა ყელში ამომივიდა და არ მოვუსმინე.

ერთხელ კიდევ ჩავხედე პატარა გვანცულიკას მწვანე თვალებში და შუბლზე ვაკოცე.

ბავშვი შეტოკდა, თითქოს ჩახუტება უნდოდა, მაგრამ ეს მერელა ვიაზრე, უკვე გზაში. იქ კი მასწავლებელივით დავარიგე:

— აბა, შენ იცი, კარგად ისწავლე, რათა ჭკვიანი გოგო გაიზარდო. მე შენი მეგობარი ვარ და, თუ ვინმემ დაგჩაგრა, შემატყობინე!

თვალეები აუწყლიანდა.

— ოლონდ არ იტირო! — მკაცრად დაუფგდე და, თუმცა დედაბერი ინმანნებოდა, ცოტა ხანს დარჩით, ხილი მაინც მიირთვითო, უკან მოუხედავად გავეცალე.

სალამოს შინ, თბილისში ვიყავი. ბინის პარმალზე ჩამოვჯექი და თავი საოცრად დაცარიელებულად ვიგრძენი. რალაც დავკარგე, რალაც ისეთი, ფასი რომ არ ადევს და ოქროთი ვერ აინონება. ჩემი ბრალი იყო, პატარა გოგო ამ დევებმა ქუჩაში რომ მოისროლეს, მე კი ამ ურჩხულეთიდან იმ ურჩხულეთში ჩავიყვანე და ვერ ვხვდებოდი, რომელი უფრო უარესი იყო.

ჩემი ფიქრები თანდათან გვანცას მოშორდა და მირაბელაზე გადაერთო. ვერაფრით შევგუებოდი მის დაკარგვას და ოცნებებს ჩავუღრმავდი. წარმოსახვაში დევებს თავები დავაყრევინე და დაობლებულ პრინცესას პატრონად დავუდექი.

დალლილმა ლოგინს მივაშურე. ძილში შევდიოდი, როცა ფიქრის მდინარებას მივყევი. აი, აქ, ამ ჩემი საბნის ქვეშ წუხელ პატარა გვანცა გასუსულიყო, არ ვიცოდი, ეძინა თუ ფხიზლობდა. მე ოთახში შევიპარე, სანოლის კიდეზე ჩამოვჯექი და დავიხარე, რათა უკეთ დავკვირვებოდი. ბნელში მის პატარა სახეს ვერ ვარჩევდი. უცებ თითქოს მწვანე ნათურები აინთო, თვალი გაახილა და მზერა შემომაგება. უცნაურად მიყურებდა, ვერ გამეგო, რისი კითხვა ენადა... ეს სიზმარი-ზმანება კარგა ხანს გამიგრძელდა, თან მანუხებდა, თან ვერ ვემვებოდი. თავს ძალა დავატანე, რათა ძილიდან გამოვსულიყავი და ეს მზერა მომეშორებინა. ფიქრში მირაბელას ხატი გავაცოცხლე, მაგრამ ეს ისეთი სანამლავი იყო, დილამდე არ დამეძინა.

რალა ბევრი გავაგრძელო, იმ დილიდან ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრების რელსებზე გადავერთე. სემესტრის ბოლო დგებოდა და გამოცდებმა კარზე მომიკაკუნა. ლექციების შემდეგ ბიბლიოთეკაში ვიჯექი. საკმარისი დრო მაინც მრჩებოდა, რათა გოგობიჭების მარაქაში გავრეულიყავი. ბიჭები ხშირად ბანქოს ვთამაშობდით და ოთახი თამბაქოს ბოლით ივსებოდა. გოგოებს კი, ავიმვი და ექსკურსიებზე იქნებოდა თუ ახალგაზრდულ წვეულებებზე, ველლაბუცებოდი. თითქოს დაკარგული დროის ანაზღაურებას ვცდილობდი, ხან ვის გადავენებოდი, ხან ვის... ოლონდაც, გული არც ერთხელ ამთრთოლებია, დაყრუებულს შინაგანი ძახილი არ

მესმოდა, ვიცოდი, რომ ღლაბუცი ღლაბუცია, სიყვარულთან ამას არაფერი აქვს საერთო და, რაც უფრო ღრმად ვტოპავდი ამ სალაფავში, გული უფრო მიმძიმდებოდა და თავი მეზიზღებოდა.

პატარა გვანცა იშვიათად მახსენდებოდა. ჯოდოს სახლისაკენ ხანდახან თუ გავიხედავდი, მაგრამ მირაბელას არც „ჩემს“ ვეძახდი, არც „პრინცესას“. იგი სხვა განზომილებაში ცხოვრობდა და ჩემს წარმოსახვაში ფერმკრთალდებოდა.

ერთხელაც შინ ვიყავი, წამონოლილი ვკითხულობდი და კარზე მორიდებით მომიკაკუნეს.

— ლიაა! — სტუმარს შორიდან გავძახე, ადგომა დამეზარა.

კაკუნის გამეორდა.

ასეთი მორცხვი ვინ მესტუმრა-მეთქი, გამიკვირდა. წამოვდექი და ფლოსტებით კარამდე მივფრატუნდი.

— მობრძანდით! — შიშინად მივმართე ბნელში აყუდებულ კოლოსს და მხოლოდ მაშინ ვიცანი, როცა ჯოდომ თავი დახარა, რათა მისთვის დაბალ კარში შემოტეულიყო.

გავშრი, ენა ჩამივარდა.

იღგა ჩემ წინ ეს დევკაცი, ეს ბაყბაყდევი და დამნაშავე ბიჭივით თავი ჩაექინდრა.

— ბატონო? — ჩავილულულე დამფრთხალმა, უკან დავიხიე, თუმცა გასაქცევი გზა მოჭრილი მქონდა.

— გიხმობს... აიჩემა, მნახოსო!

— მე-ე? — განცვიფრებით ვიკითხე.

— ბატონები გვესტუმრა, მათ სახელს ვენაცვალე, ხომ იცი, უარი არ შეიძლება!

ვერ მივხვდი, რა ბატონებზე მელაპარაკებოდა. უცებ გამინათდა. პატარაობისას მეც მყავდა წითელა ბატონები. ახლობლები თავს დამტრიალებდნენ, ჭირვეულ სურვილებს მისრულებდნენ, ცდილობდნენ ჩემს გამხიარულებას, მეფანდურეც მომიყვანეს, იჯდა, აჩხაკუნებდა და მიმღეროდა, ხოლო მე სიცხე მქონდა, ვიღლებოდი და ყველაზე მეტად ეს ფაციფუცი და სტუმრიანობა მანუხებდა.

სწრაფად ჩავიცივი და გავყევი.

უხმოდ მიჩლახუნებდა, ეს უზარმაზარი კაცი ერთბაშად დაჩიავებულებოდა. საფრთხე ხომ მის ერთადერთ შვილს ეხებოდა და მივხვდი, მისთვის რაოდენ მძიმე იყო ჩემ წინაშე თავის დახრა.

გული შიშით მიკანკალებდა. აქამდე ვიცოდი, რომ ჩემს სიყვარულს დევების მთელი ოჯახი ებრძოდა, უნდა გადამელახა სრულიად რეალურ არსებათა ბოროტი წინააღმდეგობა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ მოთმინებისა და ლოდინის გზაზე, რაც ჩემთვის ავირჩიე, რაღაც არარეალურ, მისტიკურ კედელს ნავანყდებოდი, რისი ძლიერის გზა მე არ ვიცოდი.

შევედით ნაცნობ დარბაზში, სადაც ღვინით სავსე ყანწი თავზე გადმომპირქვავეს და ჭიტლაყიც ამომკრეს. ეს გახსენება ნიშნის მოგება არ იყო, შურისძიების სურვილი არ გამჩენია, რაკი ყველაფერი სხვა დროს მოხდა და სხვებს გადახდათ.

ჯოდომ კუთხის კიბისაკენ მანიშნა, თან ჩახრინწული ხმით საცოდავად წამჩურჩულა:

— ცუდადაა!

პირველად ავდიოდი მეორე სართულზე. ფართო დერეფანში აღმოვჩნდი. რამდენიმე კარი დავთვალე და მარჯვენა კუთხის კარს მივაშურე, ოდესღაც ხომ ამ ოთახის ფანჯრიდან დავლანდე მავანი, პრინცესა მირაბელად რომ აღვიქვი.

მოზრდილ ოთახში შევედი. ლამაზი, თეთრი საწოლი იდგა. ირგვლივ, კედლების გასწვრივ, კარადებზე უამრავ თოჯინას დაეჭყყიტა თვალი და ცნობისმოყვარედ შემომყურებდნენ, უმთავრესად ბარბები, — გამწლულნი, ცისფერთვალებანი, ქერათმიანები, ნაირ-ნაირ კაბებში გამოპრანჭულნი, ოღონდ ამათ შორის არ იყო მთავარი ბარბი — პატარა გვანცულიკა.

ამაზე ფიქრის დრო არ მქონდა, სულსწრაფად მივაშურე, საწოლთან დადგმულ სკამზე ჩამოვჯექი და დავხედე.

თავი მაღალ ბალიშზე მიედო, ხანძარივით თმები მიმოპნეოდა და თვითონაც სიცხისაგან იწვოდა.

ხელები საბანზე ეწყო და ერთი ხელი ავიღე, თითებში თითქოს ნაკვერჩხალი მოვიმწყვდიე.

— პრინცესა! — ჩავჩურჩულე.

დახრილი წამწამები შეუთრთოლდა, მძიმედ სუნთქავდა და ხმა არ გამცა.

მისი თეთრად გადატეტილი პირისკანი ახლა წვრილ წინწკლებს დაეფარა.

ვილაცამ ამოიოხრა. მოვიხედე, თურმე მარტონი არ ვცოფილვართ. კუთხის სავარძელში ქალი ჩაზვინულიყო. ცხადია, მხრებზე ერთადერთი თავი ედგა, მაგრამ ვიგულისხმე, ესაა ქალბატონი ემა, ცხრათავიანი დედა-დევი, ოღონდ სხვა რვა თავი მხრებზე, კაბის ქვეშ ექნება დამალული და მუშტისტოლა ცხიმოვანებს ემსგავსება-მეთქი. ხუმრობის გუნებაზე არ ვიყავი და, რაკი არ მომსალმებია, მირაბელას მივუბრუნდი, ვეფერებოდი მის ცხელ ხელს და ვეჩურჩულებოდი. ვეუბნებოდი, რომ ის ჩემი პრინცესაა, მზეთუნახავია, ასეთი ლამაზი გოგონა სიცოცხლეში არ მინახავს და დედამინის ზურგზე არც დაიბადება. ბატონებიც იმიტომ ეახლნენ, რომ შეყვარებულნი არიან, მაგრამ მე მათზე უფრო შეყვარებული ვარ, შევეხვეწები, რომ არ წამართვან ანდა მეც თან გამიყოლონ. ეჰ, ჩემი ეს სულელური სიტყვები მხოლოდ იმას მონმოზდა, რომ ოცისა კი მოვიყარე, მაგრამ ჭკუა კვლავ იქ დამრჩა, საბავშვო ზღაპრების კრებულში.

დიდხანს ვიჯექი ასე, დიდხანს ვეჩურჩულებოდი, დიდხანს ვეფერებოდი სიცხიან, სუსტ ხელზე. ვიგრძენი, რომ თანდათან ღონე მელეოდა, ბანგი მიპყრობდა, ჯერაც არ დაღამებულიყო, მე კი ძილი მერეოდა და ვერ მივხვდი, როდის ჩამოვცურდი სკამიდან, საწოლის კიდე ჩამოვეყრდენი და ძილს მივეცი თავი.

გზაზე მივრბივარ. ეს გზა გორაკებზე გადავივლის, ხან მაღლა ადის, ხან დაბლა ეშვება. „მიშველე!“ - ჩამჩურჩულებს მირაბელას წვრილი, ბავშვური ხმა. მეც საშველად მივრბივარ, რადგან ვიცი, ამ გზის ბოლოსაა მისი შველა. გზისპირზე ბანჯგვლიანი წითური დევი ჩამომჯდარა. ფეხები გზის გარდიგარდმო გაუდვია და არ მიშვებს. „ადე, შე მართლა დევო!“ — ვუბრძანებ. ის დგება, აზვავდება, მკერდამდე ძლივსა ვწვდები. „როგორ ბედავ, დევების სარძლოს რომ გვართმევ?“ — მეკითხება წითური დევი. ეგრევე ვეტაკე, წელში მოვიგდე, ავიტაცე და ძირს დავკარი. მინა ჩაილენა, მუხლებამდე ჩაესო. იმანაც ამწია და ძირს დამცა. მინა გაირღვა და მეც მუხლებამდე ჩავეშვი. ახლა მე ავიტაცე და დავკარი, მინაში წელამდე ჩავჭედე... „არიქა, მიშველეთ!“ — იღრიალა დევმა. აქეთ-იქით, ფერდობებზე ფიჭვნარი იდგა და იქიდან უთვალავი დევი გამოცვივდა. ამდენს მე ვერ მოვერეოდი და გამაქანეს დევების სახლში, დამაგდეს კუნძზე და დამკრეს ნაჯახი. ნაკანრიც არ დამჩნევია. ცეცხლში ჩამაგდეს, არ მომეკიდა, მდულარე ქვაბში მისროლეს,

ალარ ვიხარებები... საიდანღაც ხელში ხმალი მოვიგდე და უამრავი თავი ძირს გავაგორე, მაგრამ, რაც მეტს ვხოცავდი, მით მეტი მო-
რბოდა... გავეცალე ამათ და ის ჩემი გზა სირბილით მოვლიე. წინ
უკიდევანო ზღვა გადაიშალა. წყალში შევდგაფუნდი, მუხლებამ-
დე მინია. მივარღვევ, ფსკერს კი ვერა ვგრძობ, არ ვიძირები... ვხე-
დავ, ოქროს კუნძული წამოიმართა. ოქროს კუნძულზე ოქროს
ტახტი დგას. ოქროს ტახტზე თეთრი ხელმწიფე ზის. ირგვლივ სხვა-
დასხვა ჯურის ბატონები შეკრებილან. ხელმწიფემ ჩემკენ გამო-
იშვირა ოქროს კვერთხი და ბრძანა: „ხედავთ, ჩვენზე მეტად ყვარე-
ბია! შეეშვით, დარჩნენ ცისქვეშეთში!“

გონს მოვეგე. ისევ ისე მედო თავი სანოლის კიდეზე და პატარა
ხელი თმებზე მეფერებოდა.

— მირაბელა! — წამოვიძახე.

მრცხვენოდა, რომ უნებლიეთ ჩამეძინა.

უკვე ღამე იყო. ქალბატონი ემა კუთხეში, თავის სავარძელში
ხვრინავდა.

მირაბელას ხელი გრილი მომეჩვენა, პირისკანზე გამონაყარი
უქრებოდა.

— გადავრჩი! — ჩამჩურჩულა. — შენ გადამარჩინე!

კარმა მსუბუქად დაიჭრიალა და მამილო ჯოდო შემოვიდა.
ცდილობდა, არ ეხმაურა, მაგრამ ქალბატონმა ემამ ერთი ცამოი-
ხროტინა და თვალი დააჭყიტა.

— მეჩონგურები მოვიყვანე! — თქვა ჯოდომ. — დიდ ბატო-
ნებს, ვენაცვალე მათ სახელს, მხიარულება უყვართ!

ხმაში ფარისევლური კილო შეეპარა, დიდ ბატონებს ეთითლი-
ბაზებოდა.

— მე უკვე კარგადა ვარ! — თავი გააქნია მირაბელამ.

ჯოდომ ეჭვით დახედა.

— სიცხე არა მაქვს, მამა!

ჯოდოს სახე გაუბრწინდა. ქალბატონი ემაც აქეთკენ წამობა-
ჯბაჯდა, ქვედა ტუჩი ჩამოეგდო, ალბათ მილიმოდა.

— დაგპირდი, გვანცას ჩამოგიყვან-მეთქი! — გაუბედავად
თქვა ჯოდომ.

გულში რალაცამ მიბნკინა, ამრეზით ავხედე, მისგან გამეტე-
ბული ბავშვი ახლალა გაახსენდა.

მირაბელამ თავი გააქნია.

— შენ ისე მოექეცი, აწი არც წამოგყვება! — საყვედურით
შეეპასუხა, თან თვალი მალულად მკიდა.

მივხვდი, გოგონას ჩამოყვანა არც თვითონ ეწადა. სასაცილო
რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, ეჭვიანობს-მეთქი.

თავს უხერხულად ვგრძნობდი. ხვალაც გინახულებთ-მეთქი,
დავიბარე და წამოვედი.

გათენებამდე ორიოდ საათილა აკლდა, ჩავწექი და უსიზმრო
ძილმა ჩამითრია.

დროის ანგარიში ამერია. თვალი რომ გავახილე, ნაშუადღევ
იქნებოდა. ვინეტი და ყოყმანით ვწონიდი, მივაკითხო თუ არა-მეთ-
ქი. მართალია, მამილო ჯოდომ თვითონ მიმიპატიჟა, მაგრამ ზედ-
მეტ სულსწრაფობას ხომ არ გამოვავლენდი, ასე მცირე დროს შემ-
დეგ კარზე თუ მივადგებოდი. გული მიმინწევდა, თუმცა ინსტი-
ტუტშიც მქონდა საქმე და გადავწყვიტე ზედმეტად არ ავმჩატე-
ბულიყავი.

სალამომდე ინსტიტუტში დავრჩი, შინ შებინდებულზე დავბ-
რუნდი. კითხვა დავინწყე, მაგრამ გული ვერ დავუდე, წიგნი გადა-
ვდე და ლოგინში ჩავწექი. ვერა და ვერ დავიძინე. მეჩვენებოდა,
რომ ზედმეტმა ყოყმანმა დამლუპა. მთელი დღე მელოდნენ, მე კი
არ წავედი. ჩემმა ჭოჭმანმა საქმე გააფუჭა... რალაცა მოხდა!..
რალაცა მოხდა!..

ერთ დღეში ისეთი რა უნდა მომხდარიყო? გაუგებარი და უსა-
გნო ეჭვის მორევში ჩავვარდი და იქიდან ვერ ამოვდიოდი. ხომ დაგ-
მართნიათ, აკვიატებულ ფიქრს რომ ვერაფრით აღწევთ თავს!
ლამისაა მოვთქვამდი, ჩემი უგერგილობით მირაბელა დავკარგე-
მეთქი. საამისო არანაირი მიზეზი არ მქონია, მაგრამ ადამიანს ავი
წინათგრძნობა თუ აგანრიალებს, გონიერება ვერაფერს გიშველის.

უთენია წამოვხტი და გარეთ გავვარდი. ქუჩაში კანტიკუნტი
გამვლელი თუ ჩანდა. ჯოდოს სახლის ფანჯრებზე დღის სინათლე
ვერცხლისფრად ირეკლებოდა, ელექტრონათურა კი არსად ენთო.
„რამ გამაგიჟა, ჯერ ხომ სძინავთ!“ — საკუთარ თავს ვუსაყვე-
დურე.

შინ შევბრუნდი, კბილი გავიხეხე, პირზე წყალი შევისხი და ისევ
ქუჩაში გავისეირნე.

ნახევარი საათიდა გასულიყო, აღმოსავლეთის ცა წითლად ღვიოდა. სახლის ფანჯრებზე ამჯერად ჟანგისფერი ნათება ირეკლებოდა, თითქოს შიგნიდან ხანძარი ღუღღუღებდა.

თვალი მოვიფშვნიტი. „სულელი ხარ, სულელი!“ — თავს შეეკუცახე და კვლავ შინ შეებრუნდი.

მაგიდას მივუჯექი. საუზმე არ მინდოდა, წიგნის წაკითხვაც არ შემეძლო. შუბლი ხელებზე დავდე და გავყუჩდი. დრო აუტანლად ნელა მიზოზინებდა, გული გამინწყალდა. საათს დავხედე, სულ რაღაც თხუთმეტი წუთი გასულიყო.

მეორე თხუთმეტიც ვითმინე. მერე გიჟივით წამოვხტი და გავიქეცი.

მზე უკვე ამოსულიყო. ქუჩაში ხალხი მომრავლდა. ჯოდოს სახლიდან კი ჩქამი არ ისმოდა.

„ნუთუ აქამდე სძინავთ?“ — ნერვებს ვასკდებოდი.

კარზე დაკაკუნება ნაადრევი იყო. მე ხომ საქმე არაფერი მქონდა. მამილო ჯოდოს რომ ეკითხა, უთენია რას წამოგვყარე, რა გნებავსო, ხომ ვერ ვეტყვოდი, შენი ცამეტი წლის გოგონა შემეყვარდა და მასზე ოცნებამ ღამე თეთრად გამათენებინა-მეთქი. მაგ უროს მუშტებით თავს ხომ ტანში ჩამტენიდა.

ამასობაში ნინი მობაკუნდა და სასურსათო მაღაზია გააღო. ფეხდაფეხ შევყვევი.

— რატომ დაგაგვიანდა? — ხმაში გაღიზიანება შემეტყო.

გაკვირვებით შემომხედა.

— ხომ არ გააფრინე, ზუსტად რვა საათია!

მხოლოდ რვა საათი? მე კი მეგონა, შუადღე დადგა-მეთქი. ნინა დღის პური ვიყიდე, მხოლოდ იმიტომ, არ ეფიქრა, მართლაც აფრენსო.

შინ დავბრუნდი, კიბეზე სახლის დიასახლისი ჩამოდიოდა და პური შევაჩეჩე.

— თქვენთვის ვიყიდე!

— აგაშენა ღმერთმა, პურისათვის გამოვედი! — ამას არც გაჰკვირვებია, ისედაც ჭკუანაღრძობად მთვლიდა.

დავეგდე ლოგინზე და წიგნი გავშალე. რამდენიმე გვერდი ისე ჩავიბრინე, სიტყვაც ვერ დავიმახსოვრე. წამდაუნუნე მალვიძარას გავხედავდი, იმისი ისარი კი ადგილზე გაიყინა, ძლივს მიჩოჩავდა.

კინაღამ გავგიჟდი, სანამ ორი საათი გავიღოდა.

ახლა უკვე დაკაკუნებაც შეიძლებოდა, უფლება მქონდა გოგონას ჯანმრთელობა მომეკითხა.

ჩქარი ნაბიჯით მივაშურე მამილო ჯოდოს სახლს და სანამ ისევე ჭოჭმანი შემიდგებოდა, კარზე მორიდებით დავაკაკუნე. პასუხი არავინ გამცა. მაშინ უფრო მაგრად დავაკაკუნე, შემდეგ მუშტი ვხეთქე და წიხლიც მივაცოლე. აშკარად მესმოდა დარბაზში გახმოვანებული რეზონანსი, მაგრამ პასუხი არც გაფაჩუნებულა.

ნინიმ გამოიხედა მაღაზიიდან და გამომძახა:

— ჰეი, რას აბრაგუნებ, ვერ ხედავ, შინ არ არიან!

გული ჩამივარდა, ხელები უღონოდ ჩამოვყარე და კიბეზე ჩამოვჯექი.

ნინიმ ქუჩა გადმოჭრა, თავზე დამადგა:

— რას დაღონდი, შენი ვალი ხომ არა ჰქონდათ, რო?

— არ იცი, სად არიან?

— გერმანიაში!

— რაო?

— ყურებში ბამბა ხომ არ გიდევეს? ჯოდოს დასაჭერად ჰქონდა საქმე და ოჯახიანად გადაიხვეწა!

ხმაში ეჭვი გაუკრთა. ესეც მე მიჟუჟუნებდა თვალებს, ხოლო მე ლამისაა გული წამსვლოდა, ადგომა გამიჭირდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — შეშინებულმა მკითხა.

— ჰო, წამალი ამ სახლში ინახებოდა!

ვითომ ვიხუმრესავით და შინისაკენ წავლასლასდი.

თავს ასე წლით დაბერებულად ვგრძნობდი. ეს უკვე იმედების მსხვრევა და სრული კრახი იყო! სად უნდა წავსულიყავი, სად მეძებნა ჩემი პრინცესა?

გადაიხვეწნენ ბაცბაცევი ჯოდო და მისი ცხრათავიანი მეუღლე, ქალბატონი ემა, თან წაიყვანეს პრინცესა მირაბელა, დევების სარძლო. დიდბატონების ხელმწიფემ მე მაჩუქა, ჩემს სიყვარულს აპაგია მისი სიცოცხლე, მე კი ვერ მოვუარე, ყველა შანსი ხელიდან გავუშვი და ამიერიდან უსიყვარულოდ უნდა მეცხოვრა ადამიანთა შორის.

ნინა ცხოვრებაში, არ ვიცი როდის, არ ვიცი სად, უფლისწულ უჯუშად ვინოდებოდი. ცხადია, მეხსიერებაში არაფერი ჩამრჩა, გარდა სიზმრისეული ლანდებისა, ჩრდილების თეატრს რომ მაგონებს. ალბათ სახიერი კაცი ვიყავი, რადგან ამ ცხოვრებაშიც არა მიშავს რა. კარგი მეომარიც ვიქნებოდი, ხმლის ტრიალი ხომ ვაჟკაცის ვალი იყო. ნადირობა და ქალები მიტაცებდა, ომსა და მოლხენას შორის სხვა გასართობი რა უნდა ყოფილიყო.

სოფლის განაპირას, ტყიან ნარაფზე მონადირის კარავი მედგა. ქვევით მდინარე მოდგრილებდა ზათქითა და ვაებით. ვინრო ბილიკი ჩადიოდა წყარომდე, კლდის ძირიდან რომ მოჟონავდა.

უთენია მივეშურებოდი ტყიანი მთებისაკენ. ხან დათვს წამოაგდებდნენ ჩემი მარეკები, ხან ირმის კვალს დავადგებოდი, მუხნარში ტახი ბინადრობდა. ყიჟინით დავაქროლებდით ცხენებს აღმა-დაღმა, ხან ნანადირევით ვბრუნდებოდი, ხანაც ხელმოცარულნი.

ერთხელაც ვერაფერი მოვინადირეთ, მხლებლები წარაფზე, კარავთან დავტოვე და აუჩქარებლად ჩავუყევი ბილიკს, რათა გრილი წყალი მეგემნა.

ფარეში ამედევნა, შორიასლო რიდით მომყვებოდა.

წინ თეძომალალი, შოლტივით გოგო მინარნარებდა, თებრონე, მხარზე კოკა შემოედგა. სიცხიანი დღე იყო და, რაკი ახლომახლო არავინ ეგულებოდა, ლეჩაქი მოეხსნა, თმის ჩქერალები მხრებზე ჩამოჰფენოდა.

ფარეში მოვიხმე და ყურში ჩავჩურჩულე:

„ამალამ მომგვარეთ!“

მან თავი დამიკრა და სწრაფად გაბრუნდა.

მოიხედა თებრონემ, მისი კრთომა შვლის ნუკრისას ჰგავდა, წყაროსთან იდგა და შიშისაგან კანკალებდა.

მისმა მშვენიერებამ, მისმა თაფლისფერმა თვალებმა მონად მაქციეს.

არმინდოდა ზედმეტად დამეფრთხო და კოკა უხმოდ ჩამოვართვი, წყალს შევუყენე, როცა აივსო, თვალით ვანიშნე, ნადი-მეთქი.

კოკა მხარზე შეიდგა და ბილიკის აღმართს შეუყვია. ისე მიიჩქაროდა, როგორც ხაფანგიდან დახსნილი პატარა ნუკრი. გულაფარ-

თქალებული, ალბათ, ფიქრობდა, რომ ჩემს ისარს გადაურჩა, ოღონდ დღევანდელ ნადირობაში ხელმოცარული ამ ნანადირევის გაშვებას არ ვაპირებდი. მე ხომ უფლისწული ვიყავი, ამ ცისქვეშეთში, ამ მთებიდან იმ მთებამდე ჩემი საუფლო იყო და თებრონეც, ნუკრივით შემკრთალი, თაფლისფერთვალება, შოლტივით მოქნეული, მე მეკუთვნოდა.

ცივი წყალი პირზე შევისხი, ყლუპი შევსვი და ბილიკს დავადექი.

სუსტი შეკვივლება მომესმა. ვიცოდი, რაც მოხდა, ამიტომ არ ავჩქარებულვარ.

ბილიკის ბოლოს გატეხილი კოკა დამხვდა.

კარავში რომ შევედი, ფარეშიც შემომყვია. ნალები გამაძრო. შვებით ამოვისუნთქე და მაშინლა შევეკითხე:

— როგორაა?

— ტირის!

— ტკბილეული მიათვით?

— ჰო, მაგრამ პირი არ დააკარა!

— დაწყნარდება! — ყველანი მორჩილებდნენ უფლისწულის ნებას, ყველა ქალი ბედნიერი იყო უფლისწულის სარეცელში. — სოფლიდან თუ ამოაკითხეს, ან საჩუქარი, ან მათრახი! — ასე ვუბრძანე.

მოზრდილი გეჯა შემოიტანეს, თბილი წყლით აავსეს და შიგ ჩავჯექი. თავზეც თბილ წყალს მასხამდნენ, ოფლსა და დაღლილობას მაცლიდნენ.

გავიმშრალე, თხელი ახალუხი ჩავიცვი და გარეთ გავედი.

პატარა მინდორზე გრძელი სუფრა გაეშალათ. კარის დიდებულები და სუფრის სხვა თანამეინახენი ფეხზე მელოდნენ.

ხელით ვანიშნე, დასხედით-მეთქი და თვითონაც დავჯექი.

უმაღობა დამჩემდა, მცირედ მოვნიწკნე და ცივი ღვინო დავაყოლე.

ბინდისპირს ფარეში მოვიხმე.

— ავახშმეთ?

— პირი არაფერს დააკარა! — მიპასუხა.

— მიეჩვევა! — ვთქვი და მორიგი სასმისი დავცალე.

ქეიფი ენადათ, მაგრამ უგუნებობა შემატყვევს და რიდით შებოჭილნი ისხდნენ.

— იმხიარულეთ! — ვბრძანე და წამოვდექი.
ყველანი წამოცვივდნენ. მე კარვისაკენ წავედი და სანამ შევი-
დოდი, ფარეშმა ჩამჩურჩულა:

— კარავშია!

მოვიხედე, ჩემი თანამეინახენი უკვე ყანნებს ატრიალებდნენ.
შევედი. შუა კარავში იდგა. ტანთ გამჭვივალე პერანგი ემოსა.
წამტირალევი პირი დაებანათ, დაღალები დაევიარცხნათ.

წამწამებზე ცრემლი შემრობოდა. თვალებში კვლავაც შიში
ბუდობდა და ტუჩები სატირლად ებრიცებოდა.

მომხიბლავი იყო მისი ნორჩი პირისახე, მოქნეული ტანი, ახ-
ლადწამოჩენილი ძუძუები, თხელ ქსოვილში რომ ანათებდა.

— ნუ, ბატონს ვენაცვალე, ნუ! — ხმის კანკალით მთხოვა.

ოღონდაც, მონადირის გულს ნუკრის ცრემლები ვერ მოაღ-
ბობს.

პერანგს ხელები ჩავავლე და გავუფხრინე.

— ვაიმე! — ბავშვურად წამოიკვილა და თავის პატარა ძუძუებ-
ზე ხელები მიიფარა, მაგრამ მე უკვე გახელებული ნადირი ვიყავი,
ავიტაცე, სარეცელზე დავაგდე და ზედ დავაკვდი.

— ვაიმე, დედიკო! — ისევ წამოიძახა, მაგრამ მისი ხმა ტუჩე-
ბზე კოცნით ჩავახშე, კისერს ჩამოვუყევი და ძუძუზე ვუკბინე.

მისი წელი ხელთ მოვიგდე, თითები ლავინებს, თედოს ჩამოვაც-
ოლე, მოტოტვლებულ ბოქვენს ჩამოვუსვი.

ერთიანად ცახცახებდა, უცოდველმა არ იცოდა, რა თავზარი
დასცემოდა, მე კი უმალ მივხვდი, რომ ეს პატარა სოფლის გოგო
თორმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა. ღვთის წინაშე, უნდა დამენდო
მისი უბინოება, მე ამას, უჩა ღურწკაია, ამ ცხოვრებაში ვფიქრობ,
მამინ კი, წინა სიცოცხლეში, უფლისწულმა უჯუშმა გავიფიქრე —
„კაი ყმას მივათხოვებ!“

— დედიკო, დედა! — ტკივილით ითანგებოდა ნაადრევად და-
ქალებული სოფლის გოგო.

მე კი, მონადირე, ვინაც დანდობა არ იცის, მსხვერპლის დამორ-
ჩილებას ვზეიმობდი, ნეტარებას ვეძლეოდი და ბედნიერებით ვერ
ვძლებოდი.

მერე დაღლილი გადავბრუნდი, ზურგი ვაქციე და ძილმა ჩამი-
თრია.

მესიზმრა უცნაური და შემადრწუნებელი სიზმარი.

ტყისპირას კოცონი ენთო. ირგვლივ სამი ამაზრზენი ჯადო-
ქარი უჯდა. ხელში სამკითხაო ჯამები ეჭირათ.

ერთმა თქვა:

— უფლისწულმა უჯუშმა წესი დაარღვია, ჩვენი ნათლული მო-
იტაცა!

მეორემ თქვა:

— თვითონ ნეტარებას მიეცა, უწლოვანი კი დასაღუპად გა-
წირა!

მესამემ თქვა:

— ცალუღელა სიყვარული დავანათლოთ!

გამელვინა, უკვე თენდებოდა.

სარეცელში მარტო ვინექი.

გამახსენდა წუხანდელი თავგადასავალი, ტანკენარი, ნორჩი
თებრონე. წარმომესახა — წყაროსაკენ მინარნარებდა კოკით მხა-
რზე. ცივი ყლუპის გემოც ვიგრძენი, წყარომ რომ შემომთავაზა. ის
ნეტარებაც წარმოვიდგინე, რაც განვიცადე და მივხვდი, ისევ მჭირ-
დებოდა პატარა თებრონეს ალერსი, გლეხის გოგოსი... „შემიყვარ-
და?“ — ფიქრში ვიკითხე. „ღიახ, შეგიყვარდა! — ვილაცამ ჩამქი-
რქილა. — ისე შეგიყვარდა, მზადა ხარ ის გომბიო დედოფლად დაის-
ვა!“ რა სისულელეა! განა ამ ქვეყნის ყველა საპატარძლო მე არ
მეკუთვნოდა? პირველი ღამის შემდეგ ჩემი ბედნიერი ყმები მადლი-
ერებით მიხრიდნენ ქედს... „მაგრამ თებრონე?“ — ვეკითხებოდი
თავს და ვგრძნობდი, რომ უიმისოდ ვილუპებოდი.

გარედან ხმაური მომესმა, ყვიროდნენ, გარბი-გამორბოდნენ.
ვიფიქრე, მარბიელი ლაშქარი თავს ხომ არ დაგვეცა-მეთქი.

— ჰეი! — გავძახე.

ფარეში შემოიძურწა, თავი დახარა.

— სოფლიდან მოგვაკითხეს? — ვკითხე.

— ღიახ!

— მართვით საჩუქრები?

— ღიახ! — მიპასუხა და ყოყმანით დაუმატა: — საჩუქრებიც
და ცოტა მათრახიც!

არ ჩავედიე.
— სადაა?
ფარეში გაფითრდა, ყბა აუკანკალდა.
— რა ხდება? — მრისხანედ შევეკითხე.
— უბედურება, უფლისწულო!
წამოვხტი, ახალუხი გადავიცვი და გარეთ გავვარდი.
ჩემი მხლებლები წარაფის თავზე შეყრილიყვნენ, მდინარეში
იყურებოდნენ და ხელებს იქნევდნენ.
— რა ხდება? — ხმა ჩამეხლიჩა.
ენა ჩაუვარდათ, გაისუსნენ.
ფარეში მუხლებზე დაეცა.
— ვერ მივუსწარი, უფლისწულო, კარვიდან გამოვარდა და
სანამ გზას გადაუჭრიდით, გადახტა!
წარაფთან მივირბინე. ქვევით, ხეობის სიღრმეში ლოდებს შო-
რის მღვრიე წყალი მიდგრიალეზდა.
იქ არავინ იყო.
წამიერ მეგონა, მეც გადავხტებოდი...
მავან დიდებულს ხელიდან მათრახი გამოვგლიჯე და დავერიე.
მარჯვნივ და მარცხნივ ვურტყამდი, ისინი გამიბოძდნენ და ბოლოს
არაქათგამოლეული კარავში შევბრუნდი, სარეცელზე დავეცი...

6

ვერ ვიტყვი, მეძინა თუ არა. აღქმა დამიბრუნდა. ბინაში მდუ-
მარება სუფევს. ბინის გარეთაც მდუმარებაა, არც მანქანის გუ-
გუნი ისმის, ნიავი არ დაფაჩუნობს. თვალდახუჭული ჩუმი ვზი-
ვარ ჩემს სავარძელში და ვფიქრობ, ლოგინში გადავინაცვლო თუ
იქვე, სავარძელშივე დაველოდო ძილს, რომლის იმედი დიდად არა
მაქვს. იქნებ ტელევიზორი ჩავრთო, პროგრამებს ჩამოვურბინო,
სხვათა და სხვათა კოცნაობა-ბულრაობით გავერთო, მაგრამ ჩემს
სხეულსა და სულს ამისი სურვილი უკვე არა აქვს და ამ საყოვე-
ლთაო დროსტარებაში ველარ ვერთვეები.
დრო ნელა მიედინება, მონყენილობა მხრავს. ვინმეს დავურე-
კავდი, ოღონდ მილიონიან ქალაქში არ ვიცი, ვინ მოიცლის, ვინ
გაიზიარებს ჩემს მარტოობის სევდას.

სავარძლის სახელურებს დავეყრდენი და წამოვიწიე. ცოტა ხანს
საკუთარ სხეულს მივაყურადე. ამ უკვე მოშვებულ ბიოლოგიურ
მექანიზმში სადმე ხომ არ ჩასაფრებულა ჩემი არსებობის მტერი,
რომელიც ტკივილით გასცემს თავის სანგარს... არა, არაფერი
მტკივა, თუმცა უღონობა კვლავაც სავარძლისაკენ მექაჩება.

ძალას ვიკრებ, რადგან ვიცი, სიცოცხლე მოძრაობაა. კარის ყუ-
რთან ხელჯოხი მოვიძიე და ზღურბლს გადავაბიჯე. კიბეზე ისე
ბნელა, თითქოს კუპრი ჩამოღვარესო. კარი გავიხურე და ფრთხი-
ლად შევუდექი საფეხურების თვლას, მესამე სართული, მეორე,
პირველი... ტროტუარმა ცრიატით შემომანათა.

მიმოვიხედე. ქუჩის ნათურები ბინდს არღვევს. იმ ბოლოდან ამ
ბოლომდე არაფერი მოძრაობს, არც მანქანა, არც გამვლელი...
ირგვლივ ყველაფერს სძინავს.

შუა ქუჩას აუჩქარებლად, მოზომილად მივყვები, თან ხელ-
ჯოხს ვეყრდნობი. მისი კაკუნი გასროლასავით ისმის.

თამარაშვილის ქუჩიდან ჭავჭავაძეზე გადავედი. ქუჩათა გასა-
ყარზე, შენობის თავზე მოძრავი ბილბორდი ანათებს. მუდამ ერთი
და იგივე კადრია, მოციგურავე „ყინულის სახლში“. ვაკის პარკის
კუთხეში მაღალი შენობა წამომართულა და თავზე ნეონის წარწ-
ერა ციმციმებს — „ვისოლი“. პარკის კიბესთან შევეყოვნდი. შა-
დრევანსაც დაუძინია. ხეები არ შრიალებენ, სრული მდუმარებაა.

საიდანლაც მანანწალა ძალი გამოძვრა, თავი დაბლა მოაქვს,
ჭუჭყიან კუდს აქნევს და ჩუმი ნკმუტუნით მიახლოვდება. ისიც
მარტოობამ შეანუხა, სევდა მოეძალა და მოფერება მოუნდა.

სკამზე ჩამოვჯექი. თავზე მოვუთათუნე. იქვე, ფეხებთან ჩა-
წვა, პატრონად მიგულა. რა ცოტა უნდა საბრალოს, რა იოლია მისთ-
ვის ძალღური ბედნიერების ჩუქება, მაგრამ მე ესეც არ ძალმიძს.

თვალი მოვხუჭე და თვითონაც გავირინდე, ამ წყნარ, უხმო
სამყაროს დინებას მივინდე.

რა ცოტა სჭირდება ადამიანსაც ბედნიერებისათვის, სიცოც-
ხლე კი სავსეა გულისტკენით. ბედნიერების საწყაო იმდენად მცირე-
ა, რომ მოგონებათა სკივრიდან ბელურას საკენკს თუ ამოკენკავ.

ფიქრით პრინცესა მირაბელას მივუბრუნდი. ბევრჯერ ამინო-
ნია, თუ რა იყო ის ხანმოკლე აღმაფრენა, ის შოკი, რაც მასთან

შეხვედრამ განმაცდევინა, ის მცირედი, დაუვინყარი წამები, რომლებიც ვერ შელახა ბნელმა წინააღმდეგობამ, ჩემს წინ რომ აღიმართა და დამამარცხა კიდეც.

რა უნდა ჩავდო ბედნიერების ჩემს ყულაბაში არსებობის პირველი ოცი წლის მანძილზე, თუ არა მირაბელას გახსენება. მარტოობის სევდით დაავადებული ჩემი ბებერი სული ახლაც კი კვენესის, მიელტვის იმ შორეულ ლაციცს, რაიც დრო-ჟამის ბნელეთში კარგა ხანია ჩაიკარგა.

რაც იკარგება, იმას ველარასოდეს იპოვი. ის, ვისაც პრინცესა ვუნოდე, გაქრა. ცხადია, სადღაც, რომელიღაც განზომილებაში არსებობდა ქალიშვილი, შემდგომ ქალი, ქალბატონი, ბაყბაყდევი ჯოდოსა და ცხრათავიანი დევის, ემას მარტოშვილი, მაგრამ იგი უკვე არ იყო პრინცესა.

ჩემამდე აღწევდა ხმები, იქნებ შორეული ჭორების ანასხლეთი, ანდა მავანის ფანტაზიაში დაბადებული საპნის ბუშტები, რომ დევთა ოჯახმა აქ ნაშოვნით იქ ჩაიყარა ფესვები, რომ შეერწყნენ იქაურ დევთა კრებულს, რომ პატარა პრინცესა გაიზარდა, კარგა ხანია დაავინყდა თავისი ბარბები, სოფლის გოგონა, უფლისწული უჯუში და რომელიღაც წლის რომელიღაც თვეში მამილოს გულის გასახარად იპოვა კიდეც მისტერ დევი. ყოველივე დაემსგავსა მწარე ოხუნჯობას, რომელიც გულს მიფლეთდა და მწვავდა. დრომ გაანელა ეს წვა და დარჩა ნაჭრილობევი, როცა ტანზე კვალი გამჩნევია და ვერ იხსენებ, რა ჭრილობამ დაგიტოვა იგი.

მრავალი ათეული წლის შემდეგ, როცა ჩემი ცხოვრების წიგნი უკვე დაინერა და ფინალამდე, ვინ იცის, რალა მრჩებოდა, ოპერის ბალში ვიჯექი ჩემი განუყრელი ხელჯოხით ხელში. სპექტაკლიდან გამოსულთა შორის წყვილი გამოვარჩიე, უცხოელები ჩანდნენ და თარჯიმანი ახლდათ. კაცი ღრმად მოხუცი ბრძანდებოდა, ჩემზე გაცილებით ბებერი. დაძარღვული მელიოტი ულაპლაპებდა, უზარმაზარ ღიპს მიათრევდა და თითებზე ოქროს ბეჭდები უციმციმებდა. გვერდით რომ ჩამიარეს, თარჯიმანმა გოგონამ მიმართა — „მისტერ დევი!“ თითქოს დენმა დამკრა, ვინ მისტერ დევი-მეთქი. რატომ უნდა მიმექცია ყურადღება, ვინ მოთვლის დედამიწის ზურგზე რამდენი მისტერ დევი დაბაჯბაჯებს, მაგრამ მის თანმხლებ ქალბატონში თითქოს ამოვიცანი ჩემი ადრინდელი ოცნებებ-

ის ფიორა ლანდი — ეს იყო ძვალმსხვილი, ხორცსავსე დედაკაცი, რომელსაც ძლივს დაჰქონდა საკუთარი მდიდრული ტანი და პანანინა ხელჩანთა. ოდესღაც ლურჯი თვალები ახლა გაფერმკრთალებოდა და ჩასძირვოდა ქოლესტერიინით ზედმეტად შევსებულ ნაკვთებში. ტუჩებზე სქელი, ნითელი პომადა ეცხო. ნითური თმების ბუნკები ბრჭყვიალა ბიჟუტერიით შემკულ შლაპაში დაემალა.

შემრცხვა, არ კი ვიცი რისი! გაპარვა მომინდა, თითქოს იმას შეედლო ჩემი ცნობა, მაგრამ წყვილმა და მათმა თარჯიმანმა ჩამიარეს.

ახლა ამის გახსენება არ მსურდა, იგი იმ პირვანდელ მოგონებებს შეურაცხყოფდა. წარსულის გატაცებანი სხვა განზომილებაში არსებობდნენ. ჩვენი პირველი პრინცესები მარადჟამს ცამეტი სანი რჩებიან და მათ დაბერება არ უწერიათ.

მანანალა ძალღმა ჩაინკმუტუნა. უკვე რიჟრაჟმა მოატანა და ესეც მიხვდა, ჩემგან ხეირი არაფერი იყო. სევდიანად ამომხედა, კუდი უხალისოდ გააქიცინა და გამშორდა.

მეც წამოვდექი და შინისაკენ ჯოხის კაკუნით გავეშურე. თამარაშვილის ქუჩაზე ოციოდე წლის გოგონა შემომეყარა. თითქოს მეცნო კიდეც, მაგრამ ამ ასაკისას არავის ვიცნობდი და უხმოდ ჩავუარე. ტროტუარზე ნელა მიდიოდა და სადარბაზოებს ყურადღებით ათვალეერებდა.

ჩემს სადარბაზოს რომ მივალნიე, არ ვიცი ბებრულმა ცნობის-მოყვარეობამ მიბიძგა, არ ვიცი რამ, მაგრამ მოვიხედე.

ქალიშვილი შეჩერდა, სადარბაზოს ნომერს ახედა და ამ დროს მხრებზე დაყრილი ნაბლისფერი თმები შეარხია.

„გვანცა, გვანცულიკა!“ — მესხიერებამ ამომკვნესა და კიბეს შევეყვები.

პრინცესა რობასა

იმედგაცრუების ტკივილები ჩემი სტუდენტური ცხოვრების თანამდევნი აღმოჩნდა. ისლა მადლებინებდა, რომ დრო მართლაც მკურნალია და ჩემი პრინცესას ხატება თანდათან მიინავლა. იმ

თავგადასავლებთან პატარა გვანცას გახსენებდა მაკავშირებდა. ორ-სამ თვეში ერთხელ მომდიოდა მისი უბრალო წერილები. პირველში მსხვილი მონაფური ბატიფეხურით მხოლოდ სამი სიტყვა ეწერა: „ბებია არ მცემს!“ ამან კმაყოფილება მომგვარა, ეტყობა, ჩემმა მუქარამ იმოქმედა-მეთქი. წერილებზე პასუხს იშვიათად ვუგზავნიდი, ისწავლე, კარგი გოგო გახდი-მეთქი, ვმოძღვრავდი. დრო გადიოდა, გვანცაც სადღაც მეხსიერების შორეთში ინაცვლებდა, მე კი თავდავინწყებით მივეცი მსუბუქი გართობების გაუთავებელ ორომტრიალს. სტუდენტს ხომ დროც ბევრი აქვს, ენერგიაც, ხალისიც საამისოდ, გართობებითა და „სიყვარულებით“ იგი ვერ ძლება. ჩემი მრავალრიცხოვანი გატაცებანი, ხან ერთდღიანი, ხანაც ერთკვირიანი, ხან „კოცნაობით“, ხანაც „ჟიმაობით“ დამთავრებული, დროსა და ძალას მართმევდა, თითქოს ვილაცას ნიშნს ვუგებდი, რაკი ჭემმარიტი გრძნობა არ დამიფასეს, თავს ვირწმუნებდი, ცხოვრება მიდის, უთქვენოდაც კარგად ვარ-მეთქი.

ზოგჯერ ამ მორევადან მცირე ხნით ამოვტივტივდებოდი. ეს მაშინ, როცა გვანცას წერილი მომაკითხავდა და უხერხულობა მიპყრობდა, რადგან ვგრძნობდი, რომ ცუდი გავხდი, ჭუჭყი მეცხებოდა, ღირსი არ ვიყავი ამ წმინდა ბავშვის ყურადღებისა, უფლება არ მქონდა მისი სულის სათუთ სიმებს შევხებოდი. ის მწერდა თავის ბავშვურ-ჩურჩულულ ამბებს, მიყვებოდა ფიჭვნარზე, მოაგარაკეებზე, ჩიტებსა და გრილ ნიაგზე, ტყიდან კევის სუნი რომ მოჰქონდა... „არ დამივიწყო!“ — მომწერა ერთხელ, მაშინ, ალბათ, უკვე თორმეტისა იქნებოდა. თბილისში ვერ ჩამოდიოდა, მე კი ფიჭვნარში არ ჩავდიოდი, რადგან მეუხერხულებოდა ბავშვთან ეს გაუგებარი მეგობრობა. იგი ობოლი იყო და საყრდენს ეძებდა, მეც თავს ობლად ვგრძნობდი და საყრდენი საერთოდ გამომცლოდა.

მეხუთე კურსის ბოლო სემესტრიც მიილია, სადიპლომოს დაცვა-ლა მრჩებოდა, როცა საკუთარ თავს ნუთშესვენება გამოვუცხადე. ერთ დღეს მომბეზრდა ინსტიტუტი, ნაცნობ-მეგობრები, თბილისი... უნდა გავქცეულიყავი, უნდა გავცლოდი აქაურობას, მაგრამ წასასვლელი არსად მქონდა და მაშინ, როგორც სიგიჟის მორიგი გამოვლინება, ფიჭვნარს მივაშურე, მხრჩოლავი „იკარუსით“ ბორჯომს გავემგზავრე, იქიდან კი დანჯღრეულ და ჯაყყაყა „პაზიკზე“ გადავინაცვლე.

ამჯერადაც სოფლის განაპირას ჩამოვედი და ფიჭვნარს მივეცი თავი. მაღალი, ტანკენარი ფიჭვები მდუმარედ მეგებებოდნენ. ძირს დაფენილი წიწვი და ხავსი ნაბიჯის ხმას რბილად ახშობდა. წელი, გრილი სიო მელამუნებოდა. ერთგან, ფიჭვებს შორის, გამაკი ეკიდა და ვილაცას ეძინა. სხვაგან მთელი ოჯახი დაბანაკებულიყო და პატარები ნიოკობდნენ.

ეზოს შემოვუარე და ჭიშკარში თავი შევყავი. არ ვიცოდი, როგორ დამხვდებოდნენ და რიდმა შემბოჭა.

უცებ დედაბრის უხეში, ბოროტი კივილი მომესმა:

— გვანცა, შე დასამინებელო, სად იკარგები!

— ახლავე-ე! — საყვარლად ჟღერადი ხმა მეცნო და კიბეზე გოგონამ აირბინა, მეორე სართულის კარში გაუჩინარდა.

ნაცნობიც იყო და უცნობიც! ოთხი წელი ცოტა არ არის მოზარდის ცხოვრებაში. თვითონ ოცდასამი წლის ჭაბუკი გახლდით, ჩემს მეხსიერებაში კი კვლავაც ის ცხრა წლის კნაჭა გოგო ცხოვრობდა, აქამდე არც დაფიქრებულვარ, რომ წლები მასაც შეეცვლიდა.

ისლა დავაფიქსირე, რომ იაფფასიანი ჯინსის შარვალი ეცვა და თხელი ბლუზა, რომლის ბოლოები უდარდელად გაენასკვა.

ეზოში შევედი, ვაშლის ძირში გაურანდავი ფიცრებისაგან შეჭედული მაგიდა და ძელსკამი რომ იდგა, იმას მივაშურე.

ჩამოვჯექი.

სახლში მოძრაობა იგრძნობოდა, ალბათ მოაგარაკენი ჩამოსახლდნენ. ზედა აივანზე, კუთხეში სამზარეულო მოენწყოთ და იქიდან ჩხაკუნის და შიშხინის ისმოდა, შემწვარი ხაზვის სუნმა ჩემამდე მოაღწია. ოთახიდან მუსიკის ხმა გამოვიდა, რადიო ხმადაბლა ჩაერთოთ. რომელიღაც საოპერო პარტია სრულდებოდა და გამიკვირდა, რადგან თბილისიდან აქამდე ავტობუსის სალონში საპურმარილო ხალხურის მეტი არაფერი მომისმენია.

დედაბრის დუდლუნმა რეჩიტატივის ფორმა მიიღო.

გოგონა აივანზე გამოვიდა, კიბე ჩამოირბინა.

წამოვდექი.

მოსხლეტით გაჩერდა. თვალები გაუფართავდა, გაუფართოვდა... არ ვიცი, სიხარულისაგან, არ ვიცი, საშინელება მოელანდა, მაგრამ მთლად აირია... უცებ ჩემკენ გამოქანდა, მეგონა, კისერზე

ჩამომეკიდებოდა და ხელები გავშალე, ის კი ორ ნაბიჯზე შეჩერდა, თვალები აუწყლიანდა და ერთი სიტყვალა თქვა:

— თქვე-ენ?

რა იმალებოდა ამ წამოძახილში? იქნებ გაკვირვება, მაგრამ, ალბათ, უფრო — საყვედური. პატარა გვანცულიკას დავპირდი ყურადღებას, ძმობას, მეგობრობას. მას ვახსოვდი, მე კი ჩემი წვრილი ვნებების ტალღებში მივცურავდი და, თუ გამახსენდებოდა, როგორც პატარა წრიპა, ხვლიკუნა, მწვანე თვალებით რომ მომაშტერდებოდა, მაგრამ არასოდეს დავფიქრებულვარ, ამ კობტა შუბლის მიღმა რა ფიქრები ტრიალებდა, რა ვნება იხარშებოდა.

დაბნეული ვიდექი და არც ახლა მქონდა დრო და საშუალება განსჯისათვის.

ხელი შორიდან გამომიწოდა. მეც მორიდებით ჩამოვართვი და რაკი არ ვიცოდი, როგორ გადამელახა ეს მოულოდნელი დაბრკოლება, ვკითხე:

— როგორა ხარ, გვანცულიკა, აი, გავიგე, დამსვენებლები აკლიაო და ჩამოვედი. იმედია, ერთ ოთახს მეც მომაქირავებ!

ხელი ჰაერში გააქნია, თითქოს ზედა სართული შემოხაზაო.

— ზევით გოგონები ცხოვრობენ, ქვევით მაქვს პატარა ოთახი!

— ჩემთვის სულ ერთია, ორიოდ დღით დავრჩები!

ვერ გავბედე თავზე ხელი გადამესვა, ძველი ნაცნობობის პირობაზე მეკოცნა, მოვფერებოდი, ბავშვს რომ ეფერებიან, ისე. ის, ცხადია, ჯერაც ბავშვი იყო, მაგრამ დიდიც ჩანდა. ეს ის ასაკია, როცა პატარა გოგონები ტანს უცბად აიყრიან, ზოგი დაუშნოვდება, ზოგი — პირიქით, „ნიმფეტკებს“ ემსგავსება, თუმცა მარჩიელობით ვერავინ დაადგენს, ამ მასალისაგან ორ-სამ წელიწადში ვინ რანაირად ჩამოყალიბდება.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირველი სართულის პატარა ოთახში ჩავსახლდი, სადაც ერთადერთი საწოლი იდგა, ვინრო სარკმელი ჭიმქრისაკენ იყურებოდა, ხოლო კარი ბაღში გადიოდა.

რაკი საქმე არაფერი მქონდა, კვლავაც ძელსკამზე ჩამოვჯექი და ბედს დაველოდე. ეს, ცხადია, ხუმრობითაა ნათქვამი, მაგრამ აგარაკი იმისაა, გაიხედო, გამოიხედო, ახალი ტიპები გაიცნო, ზოგს დაუმეგობრდე, ზოგს ეჩხუბო... მზად ვიყავი დროსტარებისა და თუნდაც მსუბუქი ფლირტისათვის, მით უფრო სადიპლომო

დანერილი მქონდა, ცოდნა ტვინში ვერ მეტეოდა და ცოტათი მაინც უნდა გამეხარჯა.

ბედზე რა მოგახსენოთ და გვანცამ ძლივს მოიცალა. რაც დამაბინავა, ბებიის ოთახში ტრიალებდა, იქიდან კი უწყვეტი ხველება და ლანძღვის ხმა გამოდიოდა. არ ვიცი, დააძინა თუ მთლად მოახრჩო, მაგრამ სიჩუმე ჩამოვარდა და გოგონა კიბეზე დაეშვა, ჩემ წინ ჩამოჯდა. თავისი მწვანე თვალები ისე მომაბჯინა, თითქოს მსწავლობდა. ეს მისი პირდაპირი მზერა მუდამ მაბნევედა, ვესაუბრებოდი და გან-გან ვიყურებოდი.

— გაზრდილხარ, გვანცა! — ზოგადი, ბანალური სიტყვებით ვავსებდი უფსკრულს, მაგიდის შუა ხაზზე რომ გადიოდა.

არაფერი მითხრა.

— შეყვარებული გეყოლება, ალბათ! — ყველა ბავშვს ასეთნაირად ექილიკებიან უფროსები.

— იჰ! — წამოიძახა და თითების თვალღერებას შეუდგა. გრძელი, არისტოკრატიული თითები ჰქონდა „ამ სოფელ გოგოს“, — ფიქრში გავაგრძელე და თითქოს ამ სიტყვებით ჩემს გულში მოვეფერე.

უცებ წინ გადმოიწია, შეთქმულივით ჩამჩურჩულა:

— აქ ისეთი ვინმე გვყა-ავს, ნამდვილი პრინცესა!

პრინცესა? ამ მიყრუებულ ფიჭვნარში? აქ მხოლოდ ღარიბი მოაგარაკენი ისვენებენ, უმთავრესად ბებიები და შვილიშვილები... თუმცა ღარიბი პრინცესებიც ხომ არსებობენ?

— იქნებ შენა ხარ ღარიბი პრინცესა? — გავუცინე. — პატარა კონკია, უფლისწული მოგიტანს პანანა ქოშებს და მოგაზომებს!

— იჰ! — თავი აიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებსო, ლოყა შეეფაკლა. — რენატა ჰქვია!

— უცხოელია?

თავი გააქნია.

— ნწუ, ბათუმელია!

გონებაში ჩავვარდი. ბავშვია, მაგრამ ქალია, ქალი — ეშმაკისაა.

— უჰ, შე პატარა მაჭანკალო! — ცხვირზე მსუბუქი ნკიპურტი გავკარი. — უმჯობესია, გამაგებინო, რა სჭირს იმ შენს ბებიას, ასი წლის წინ წყევლა რომ დაიწყო, დღემდე ვერ მოამთავრა?

— შარშანნინ ლოგინად ჩავარდა! მუდამ ბრაზდებოდა და ინყევლებოდა. ამიტომაც დაისაჯა, დამბლა დაეცა. ახლა მე ვუვლი, მაგრამ ხასიათი ვერ შეიცვალა. სიკვდილი მენატრებაო, იძახის, თუმცა ეს არ შეუძლია, რადგან ენის ძირში ეშმაკი უზის და არ ეშვება. ვეუბნები, ბებია, ილოცე, ღმერთს შეევედრე, შეებრალე და წაგიყვანს-მეთქი. ის კი თეფშებს მესვრის და ღმერთსაც ლანძლავს...

ვუსმენდი პატარა გოგოს და ვფიქრობდი, ვილაცა ჩემზე დაჩაგრულია, ვილაცა ჩემზე უფრო მარტოა, მისი ჯერაც ვერშემდგარი ცხოვრება ხაფანგშია გამომწყვდეული. მე ჩემს მარტოობას მოჩვენებითი ცელქობით ვძლევი, იმ მსუბუქი გატაცებებით, ჰაერში ფერადი ბუშტის ტივტივს რომ ედარება. ამისი მარტოობის წამალი კი მე არ ვიცი. პატარა გვანცა ყველამ დატოვა... მაშინ, იმ წამს არც მიფიქრია, რომ იმ „ყველაში“ მეც ვიგულისხმებოდი.

უცებ ზედა სართულზე გოგონების ხმამალალი ტკარცალი გაისმა, სამნი იყვნენ, კიბეზე ბაკიბუკით ჩამოდიოდნენ. მე რომ დამინახეს, ჩურჩულზე გადავიდნენ.

წინ მსხვილტანიანი, ღონიერი გოგო მოდიოდა, ლაყლაყა, წითელი ლოყებით და მაჯისიმსხო ნაწნავებით (მატარებელივით გოგოაო, ადრე აღფრთოვანებით იტყოდნენ სოფლის დედაკაცები, ხელდაკაპინებულ, ძროხების ღონივრად მწველავ რძლებზე რომ ოცნებობდნენ). მეორე, სახეფერმკრთალი, ავადმყოფური შესახედაობის ქალიშვილი პირველს ლანდივით ასდევნებოდა. მესამე კი — „ეს არის რენატა!“ — უმალ მივხვდი.

გვანცა მთელი ტანით შეტრიალდა. პირველ ორს თითქოს ვერც ამჩნევდა, ხოლო რენატას ისე შესცივინებდა, პირზე ეწერა, რასაც ფიქრობდა — დედამინის ზურგზე ეგეთი არსება არ მოიძებნებაო.

მართლაც რომ! არ ვიცი, რა სიტყვები მოვიძიო, ან სიტყვები თუ შეიძლება რეალობის ადეკვატური იყოს... შავზე შავი დალალები, შავი, მწველი თვალები და უცნაურად გადატყორცნილი წარბები... შხვართი ტან-ფეხი... პირისკანი ოდნავ ცვილისფერი და სუფთა... იმ საკოცნელ ტურზე ჯოკონდას იდუმალი ღიმილი... კიდევ რა ვთქვა?... ამ და მსგავსი სიტყვებით მაინც ხომ ვერ დაეხატავდი, თუ ვინ ჩამოდიოდა კიბეზე?

ვიდექი ლენჩივით და პირდაღებული მივშტერებოდი.

— რენატა! — აღფრთოვანებით წამოიძახა გვანცამ და ქალიშვილმა ლოყაზე უჩქმიტა, მერე მზერა ჩემზე გადმოიტანა და ჩაიცივნა.

— ყმანვილო, ბუზი არ გადაგეყლაპოს! — დამიძახა პირველმა, ბუთქუნამ და გოგონები სიცილ-სიცილ გაგვმორდნენ.

— უჰ! — ამოვიქმინე, თითქოს აქამდე სუნთქვის საჭიროება დამვიწყებოდა, და მოცელილივით ძელსკამზე დავეცი.

გვანცას წელანდელი აღფრთოვანება გაუქრა, მოწყენით ამოიხრა და კიბისაკენ გაიქცა, რადგან ბებერი კუდიანი კივილითა და წყევლა-კრულვით იხმოზდა. ვერ ამოვხსენი მისი უცაბედი მოწყენის მიზეზი, ვიფიქრე, დედაბერმა გული გაუნყალა-მეთქი და დავივინყე, რადგან ჩემი ფიქრები ამ წუთიდან ეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ „პრინცესა რენატას“.

ერთი სული მქონდა, ფიჭვნარში გავდევნებოდი გოგონებს, მაგრამ ზედმეტი აცეტება არ ივარგებდა და თავი მოვითოკე, ჩემს საწოლზე დავეცი და ჭრელაჭრულა ოცნებებში ჩამეძინა კიდევ.

უცნაური სიზმარი მესიზმრა. ჩემი ძველი ნაცნობი, წითური დევი გამომეცხადა. რაც მირაბელა დავკარგე, იმის შემდეგ არ დამსიზმრებია. ახლა კი, აგერ იმ გზაზე გარბის, სადაც ადრე შევეტაკე. გარბის და მხარზე პრინცესა რენატა მოუგდია. ისეთ ნაბიჯებს ადგამს, ვიცი, ვერ მივეწევი და მაინც თავდაუზოგავად მივდევი. აჰა, აღმართიც მომთავრდება და მიღმა ხეობაში ჩაიკარგება. გზისპირას უზარმაზარი ლოდი გდია. დავავლე ხელი, ბუმბულივით ავიტაცე და ვტყორცნე. წელი გადავუმსხვრიე ჩემს მტერსა და მოქიშპეს. დავტაცე ხელი პრინცესას, გამოვიქეცი. უკანა გზაზე სამთავიანი გველემაში გადამელობა, სამივე პირიდან ცეცხლს აფრქვევდა... გამომეღვიძა, ვერ გავიგე დავესხენი თუ არა... „ჯგირიმ სქან სიზმარი!“ — კარგად აგხდენოდესო, ასე მეტყოდა დედაჩემი ამ ცხოვრებაში და პირველი დედა წინა ცხოვრებაში, როცა უფლისწული უჯუში ვიყავი. ჭაბუკის სიზმარი სისხლის ყივილიაო, მამშვიდებდნენ და მეც ვივინყებდი

უკვე საღამოვდებოდა, ბაღში რომ გავედი და აივნისაკენ ავიხედე.

გოგონები საქმიანობდნენ. ბუთქუნამ გადმომხედა და ხელი დამიქნია:

— ამოდი, ყმანვილო, ყავაზე გეპატიჟებით!
 თხოვნა არ გავამეორებინე, კიბეზე სწრაფად ავირბინე.
 — მე ნინელი მქვია! — მითხრა ბუთქუნამ. — ამას ანა-მარია!
 — გაცრეცილზე მიმითითა.
 „სახელი კი ჰქვია პრინცესის!“ — გავიფიქრე.
 — ამას კი...
 სიტყვა არ დავამთავრებინე, ისე გავაგრძელე:
 — პრინცესა რენატა!
 გაკვირვებული სიცილით მიპასუხეს.
 ნინელიმ მაჯისსიმსხო ნაწნავები ზურგსუკან გადაიდგო და ემ-
 მაკურად ჩამეძია:
 — შენ, რა თქმა უნდა, პრინცი ბრძანდები!
 — ამ ცხოვრებაში გლეხის ტლუ ბიჭი ვარ, უჩა ლურწკაია, ნინა
 ცხოვრებაში კი მართლაც უფლისწული გახლდით, სახელად უჯუში!
 სიცილით ატკარცალდნენ ნინელი და ანა-მარია (ლამაზად
 დაწყვილებულ სახელს ვერ ვიმეტებდი ამ გაცრეცილი გოგოსა-
 თვის!), რენატას კი ბაგეზე ჯოკონდას ღიმილი დააჩნდა.
 მაგიდა აივანზევე იდგა, კედელთან, და იმას მივუსხედით. ცხე-
 ლი და გემრიელი ყავა მომართვეს. ნელინელ ვწრუპავდით, თან
 გაცნობის ცერემონიალი გვიგრძელდებოდა. სამივენი ბათუმიდან
 იყვნენ, თანაკურსელები და რენატას დედიკო მარტო არ გამოუშვე-
 ბდა, რომ არა ეს ორი მეგობარი. თვითონ რენატა პოლონელისა და
 ქართველის ნაჯვარი ყოფილა და სწორედ ამიტომაც ასეთი განსხ-
 ვავებული. მამა, პოლონელი ოფიცერი, უკვე აღარა ჰყავს, დედა კი
 — მასწავლებელია, თანაც ფიზიკის... რაც შეეხება ნინელის და ანა-
 მარიას... ამათი თავგადასავლები კი მოვისმინე, მაგრამ ჩემი მეხსი-
 ერების სკივრი დახურული აღმოჩნდა და მის გასაღებად თავი არ
 შემინუხებია.
 ფინჯნები გადავაბრუნეთ და ნინელი მეკითხება:
 — თბილისელი გოიმები ყავაზე თუ მკითხაობენ!
 — პირველი მკითხავი ვარ გოიმებში! — ვპასუხობ. — აი, საკ-
 უთარ ფინჯანში ვიხედები. შიგ ფული ჩანს, ესე იგი ზაფხულის
 სტიპენდია მელოდება. მწვერვალის თავზე არწივი მიფრინავს,
 ალბათ, სადიპლომოს დავიცავ და კარიერის გზაზე ისე მაღლა ავ-

ფრინდები, ცეკას მდივნობა დამეჯღანება ანდა გაეროში გამაგ-
 ზავნიან სესერეკას ელჩად!
 — ოჰ, ოჰ, გაუბერა! — ხელები გაშალა ნინელიმ.
 — საკუთარ ფინჯანში არ იხედებიან! — ჭკვიანურად დასძინა
 ანა-მარიამ.
 რენატა ჩუმი ღიმილით გვისმენდა. მზერა სულ მისკენ გამირ-
 ბოდა, მისი თვალების სიშავეში ვიკარგებოდი და ერთი სული მქონ-
 და, გამერღვია ყველა პირობითობა, მუხლები მომეყარა და მის
 კალთაში პირისახე დამემალა. ოღონდაც, ჩვენ არა ვართ თავისუ-
 ფლები, ჩვენ „არშეიძლება“ მსხვერპლნი ვართ და ბედნიერების
 იმ ნამცეცებსაც ვკარგავთ, რაც, იქნებ, ჩვენთვის გადმოუყრია
 წერა-მწერალს.
 — ნუ მაიმუნობ! — ნინელი უკვე საკმაოდ გამიშინაურდა. —
 თუ მართლაც გეხერხება, აი, ჩემს ფინჯანს ჩახედე!
 დიდის ამბით ჩავაკვირდი, თან ტუჩებს ვაცმაცუნებდი, ვით-
 ომ ვკითხულობდი. მკითხაობისა არაფერი გამეგებოდა და ამ
 ქაოტურ ლაქებში ვერაფერსაც ამოვიკითხავდი, მაგრამ ქალს ის
 უნდა უთხრა, რასაც მოუთმენლად ელის. ცხადია, გაეროში ელ-
 ჩად გაგზავნა აშკარა სიცრუე იქნებოდა და უფრო დამაჯერებელი
 ტყუილი ვარჩიე.
 — ვხედავ, ვხედავ...
 — რა ჯანდაბას ხედავ? — განერვიულდა ნინელი.
 — ეს რა ბოთვერა ტიპია, მოჭიდავეა ან კალათბურთელი...
 თუმცა, მგონი, კოლმეურნეობის ბრიგადირია!
 — როშავს რა! — ნითელი ლოყები უფრო აუხურდა ნინელის.
 — რა ვქნა, შენი ბედი ბულასავით ბიჭია, ფინჯანში ასე ჩანს და...
 ნინელიმ ფინჯანი გამომტაცა.
 — არ მინდა შენი მკითხაობა!
 — შენც დაიჯერე რა! — ირონიულად ჩაურთო რენატამ, ხმა
 პირველად ამოიღო და მისი ჟღერადობა სიმის თრთოლვას შევა-
 დარე.
 ანა-მარიამ უხმოდ გამომინოდა თავისი ფინჯანი. მისთვის
 დამაჯერებელი ფანტაზია ვერ მოვტვინე და ყასიდად შევუნყერი:
 — სწორად არ გადაგბრუნებია, ფიგურები აირია და, რაცა
 ჩანს, პირიქით წაიკითხება!

— შენც აიღე და პირიქით წაიკითხე!

— არ შეიძლება, ხელობა გამიფუჭდება!

ანა-მარია მოიქუფრა, შევატყვე, რომ ეწყინა, მაგრამ დარდს ვერ გადავყვებოდი და რენატას ფინჯანი ავიღე.

რენატა ჩუმად იჯდა.

სამივენი გაუღიმარი, სერიოზული გამომეტყველებით შემომყურებდნენ. ჭოჭმანში ჩავვარდი. მინდოდა ფინჯანში ისე ჩამეხედა, რომ ბედის განაჩენი მართლაც ამომეკითხა, მაგრამ არც მინდოდა, რადგან უნებლიეთ შემეშინდა ეშმაკეულის ხაფანგისა.

უხერხული დუმილი გამიგრძელდა და ნერვულად ჩავახველე.

ფინჯანი ამოვაბრუნე და ჩავაშტერდი. თავზარი დამეცა. თვალნათლივ დავინახე, რომ ჩემი წელანდელი სიზმარი გამიცხადდა: წითური დევი და სამთავიანი გველეშაპი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებოდნენ ერთმანეთს. ყმანვილი ქალი გამორბოდა, ხელეზი ზევით აღეპყრა და შველას ითხოვდა. ჩამესმა კიდეც, თითქოს ჩემს ტვინში გაჟღერდა მისი კვილი — „უჯუშ, მიშველე-ე!..“

ფინჯანი მაგიდაზე დავახეთქე, კინალამ შემომეფშვნა.

სამივენი გულგახეთქილნი შეხტნენ და ისევ დაჯდნენ.

— რა მოხდა, რა ნერვები დაგვანყვიტე! — ბრაზით შემომხედა ნინელიმ.

— გიჟია, ე! — დაასკვნა ანა-მარიამ.

მე კი ჩემთვისაც მოულოდნელი სიტყვები ვთქვი, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მავანი, ჩემზე ბრძენი და ყოვლისმცოდნე მკარნახობდა:

— პრინცესა, რამ ჩამოგიყვანა ამ ხაფანგში? დამიჯერე, აქაურობას უნდა გაეცალო!

— მართლაც გააფრინე! — წამოიყვირა ნინელიმ.

— არ ვიცი, გავაფრინე თუ არა, მაგრამ თუ დამიჯერებთ, მანქანას ვიშოვი და ამაღამვე წავიდეთ ბათუმში... წავიდეთ კი არა, გავიპაროთ!

რენატას ფერი ეცვალა, სამივე გამტკნარებული მიყურებდა. ბოლოს ისევ ნინელიმ ამოღერდა:

— არ მეგონა, ყავა რომ დაათრობდა კაცს, ეტყობა, ეს კაიფშია!

— წავიდეთ, დავიძინოთ! — თქვა წყნარად რენატამ, მის ხმაში მცირე შფოთი დავლანდე.

სამივენი წამოდგნენ და მარტო დამტოვეს.

გარინდული ვიჯექი, გული შიშინად მიცემდა. ვერ გამეგო, რა ოხრობა მეტაკა. ფინჯანი ხელახლა ავიღე და ყურადღებით ჩავხედე. უჩვეულო ვერაფერი აღმოვაჩინე, ყავის ლაქები ისე იყო მიგლესილ-მოგლესილი, ხეირიანად ვერაფერი ამოიკითხებოდა. ჩემი ეჭვები და შიშები უბრალოდ როშვა იყო და მეტი არაფერი. „რამ გაგასულელა, შე ჩემა! — შევუნყერი საკუთარ თავს. — ხვალ სალამსაც არ გეტყვიან და ახიცი იქნება!“

უკვე ბინდდებოდა, მე კი აივანზე ვიჯექი და ეზო-ბაღს გავყურებდი. ჭიშკართან კრემისფერმა „პობედამ“ შეანელა სვლა. მე ეჭვიანად გავხედე, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ. გვანცამ გაყო თავი. მანქანიდან რაღაცა ჰკითხეს, მან მოჭრით უპასუხა:

— არა!

მანქანა წავიდა, მე კი გვანცას გავძახე:

— რამე ხომ არ ხდება?

— არაფერი! — მითხრა და ბებიასთან შეირბინა, დედაბერი გულისგამანყალბლად ინყევლებოდა.

ეზოში ჩავედი და ძელსკამზე დავჯექი. ასე ადრე რა დამაძინებდა. არ ვიცოდი თავი რითი გამერთო. ვიჯექი, გაცრიატებულ სიბნელეს გავყურებდი. მეჩვენებოდა, რომ ეზო-გარემოს ვილაცა ეპარებოდა. მეზობელი სახლებიდან ნაირ-ნაირი ხმები მოდიოდა: ლაპარაკი, ჭახჭახი, სიცილი, სიმღერა... ხალხი ერთობოდა...

ჩვენთან დუმილი ჩამონოლილიყო. გოგონები თავიანთ ოთახში შეიკეტნენ. დედაბერი დანყნარდა და კიბეზე გვანცა ჩამოცუნცულდა. დამინახა, ძელსკამის ბოლოს ჩამოჯდა. გამახსენდა, ცხრა წლისა ტროტუარზე რომ მომიჯდა და პატარა თავი მხარზე მომაყრდნო. მაშინ რაღაცნაირად თბილმა, მამობრივმა ტალღამ დამიარა. ახლა ის ცამეტიისა იყო, ცხადია, ისევ პატარად ვთვლიდი, შემეძლო მოვფერებოდი, როგორც ბავშვებს ეფერებიან, ოღონდ თვითონ მეპყრობოდა კრძალვით, აგერ, მოშორებით დაჯდა და ამ სიბნელეში ვერ ამოვიკითხავდი, თუ მის თვალეში რა ტექსტი ინერებოდა. დაბადებიდანვე მარტოსულს იქნებ სულაც არ ეგონა თავი პატარა, ცხოვრების ბოროტი ავან-ჩავანი საკმაოდ ინვინია და იმაზე მეტი ეცოდინებოდა, ვიდრე მის ასაკს მოეთხოვებოდა.

— მანქანაში ვინ იყო? — ეჭვიანად შევეკითხე.

— გიო!

— მერე რა უნდოდა გიოს?
 — რენატას ეკეკლუცება!
 — ჰო! — შევეცადე გულგრილად შევპასუხებოდი, ვითომც ეს ამბავი მე არ მეხებოდა.
 — ბიჭები გიყუბს დაემსგავსნენ, ლამისაა ერთმანეთი დახოცონ!
 — ვინ ბიჭები?
 — ვინც სოფელში ქურდი და ოხერია!
 — ბევრნი არიან?
 — გიო, რეზიკა, ნარკომანი ვაჟიკა, თედია... — სწრაფად ჩამომითვალა.
 — ჰო-ო! — შორისდებული გავჭიმე. — მერე რაო რენატამ?
 — ზედაც არავის უყურებს! მეშინია, შინ არ შემოგვივარდნენ, სახლში მარტო ქალები ვართ და...
 თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.
 — მე რა, კაცების სათვალავში არა მთვლი?
 — ჰმ! — ჩაიფხუკუნა.
 — ჰო, იცინე, იცინე! შენ ის არ გაგიგია, რა გმირთაგმირიცა ვარ? ამასწინათ წითურ დევს ლოდი ვტყორცნე და ხერხემალი გადავუმსხვრიე, სამთავიან გველეშაპს კი...
 გვანცამ ხალისიანად გადაიკისკისა.
 — მაშ, შენი იმედით ვიქნებით, უფლისწულო უჯუშ! — ჩემი ხუმრობა დაუმახსოვრებია.
 სიცილით გამშორდა. კმაყოფილი დავრჩი, ცოტათი გავამხიარულე-მეთქი. მაგიდაზე იდაყვები დავდე და ზედ თავი დავაყრდე-ნი. ასე, გვერდულად გავყურებდი ჭიშკარს. ორლობეში არავინ მიმოდოდა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ვილაცის ფეხქვეშ ხვინჭკა გაჩხაკუნდა.
 მერე უსიზმრი ძილმა თვალი წამართვა. გავქრი და ეგაა! სიცივემ გამომალვინა, ერთიანად მაკანკალებდა. უკვე გვიანი იყო, სადღაც მამალი ყიოდა და გავიფიქრე, შუალამეა-მეთქი.
 ოთახში შუქი არ ამინთია. ფეხზე გავიძრე და ტანსაცმლიანა საბანში გავეხვიე.
 თვალდახუჭული ვინეკი, ვთბებოდი და ფიქრით რენატას ვუტრიალებდი. ეს რა სისულელე დამემართა! როდის აქეთაა, ყავაზე მკითხაობა დავინწყე? როდის მჯეროდა სიზმრის ან ყავის ლაქების?

სიზმარი მილიონჯერ მინახავს, მაგრამ მათი ახსნა არც მიცდია, რადგან იგი მხოლოდ ტვინის ქერქში ჩამალული მოჩვენებებია, ხან სასიამოვნო, ხან ამაზრზენი. იგი ჩვენი ნებით არ იმართება და არც არაფერს ნიშნავს, გარდა ნერვულ ბოჭკოებში მუხტების ქაოტური მოძრაობისა... ყავის ნალექის მილიონი კომბინაციდანაც ვერაფერს ამოიკითხავ, წყალი უნდა გაავლო და გადაღვარო... რა საფრთხე მომელანდა, ენა რომ დავიგრძელე, შევამინე და ხვალ ჩემკენ არც გამოიხედავს... „შე, დებილო!“ — დავასკვენი და ამის შემდეგ აღარ მახსოვს როდის ჩამეძინა. წუთიც და უკვე გათენდა, მზემ სარკმელში შემოიჭყიტა და კედლისაკენ გადავბრუნდი, რათა ძილი გამეგრძელებინა, მაგრამ მოულოდნელად გული შემეფრთხილა — „რენატა... საფრთხე!“
 წამოვხტი, ფეხსაცმელებში ფეხი წავყავი და გარეთ გავვარდი. ჩამიჩუმი არ ისმოდა.
 ჭიშკარში გავიხედე. ლობის კუთხეში ნაცნობი „პობედა“ იდგა, შიგ ბიჭები ისხდნენ.
 ოთხივე კარი ერთად გაიღო და ოთხი მოზვერივით ბიჭი გადმოლაგდა.
 ვინც აქამდე საჭესთან იჯდა, იმან პაპიროსი პირში გაირჭო, ბოლი გამოუშვა. მივხვდი, გიო იყო. ჩემგან საკმაოდ შორს იდგა, პაპიროსის ბოლი ვერანაირად ვერ მომწვდებოდა, მაგრამ ისე გამოუშვა, თითქოს მე მომაბოლაო.
 — ძმაკაც, დავილაპარაკოთ?
 გული ჩამივარდა, ფეხებში ძაბუნი ვიგრძენი. რა უცნაურია, კაცს იქნებ სიკვდილისა არ ეშინია, მაგრამ გალახვის მოლოდინში პანიკა იპყრობს.
 გარეგნულად კრთომა, ცხადია, არ შევიმჩნიე და უდარდელად შევეპასუხე:
 — რა გნებავს, გიო, გენაცვალე!
 ერთმანეთს გადახედეს, მერე გიო აუჩქარებლად წამოვიდა, ცხვირწინ დამერჭო. ჩემზე ოდნავ მაღალი იყო და, რაკი ძმაკაცების იმედი ჰქონდა, თამამიც. ლამაზი ეთქმოდა, მაგრამ მის სილამაზეს სირბილე აკლდა, უხეშად გამოჩორკნილსა ჰგავდა.
 — გცოდნია, ვინცა ვარ!
 — კი, ამ სოფლის ნომერ მეორე „კაი ბიჭი“!

ნირი ეცვალა, დაიბნა.

— პირველი ვინაა, ჰა?

— რა ვიცი, ამბობენ, რეზიკია უფრო მაგარიანო, ცხადია, ამ დილით კაიფში თუ არ გაიპარა!

თვალეები მძულვარედ გაკვესა, ხელი უკან წაიღო და რევოლვერი დააძრო, ქამარში ჰქონია გარჭობილი, თვალწინ დამიქნია:

— იმას მოვუტ...ავ დედის ტრ...ს! — ამოიხავლა. — შენ, ძმაო, რომ ჩამოხვედი და აქ გოგოებში ჩასახლდი, ჰარამხანა ხომ არა გგონია?!

რევოლვერის დანახვაზე წელანდელმა შიშმა გამიარა, დავწყნარდი და მუხლებში ძალა ვიგრძენი. ვიფიქრე, ერთი რომ გავუქანო, ძირს გავშლართავ-მეთქი, მაგრამ შორიდან სამი მოზვერი გვიყურებდა, კუნთმაგარნი, ვინროშუბლიანები, და ღიმილით შევეპასუხე:

— იცი რა, გიო, გენაცვალე, ეს შენი რკინის ჯოხი უკანაღში შეირჭე! მე აქ დასასვენებლად ჩამოვედი და ნერვულობამ შეიძლება მადა დამაკარგვინოს!

ჭიშკარი მივუჯახუნე და გარეთ დავტოვე, თუმცა ამ დროს ზურგზე გამბურძგლა, ვინ იცის, რა ტიპია, იქნებ ჩახმახს გამოჰკერას-მეთქი.

კიბეზე გვანცა იდგა, თვალეები შიშისაგან გაფართოებოდა. არ ვიცი, რა გაიგონა, მაგრამ უდარდებლობის ნილაბი ავიფარე.

— ვის ელაპარაკებოდი?

— არავის! გავხედე, ორლოზე ცარიელია, მეც ავიღე და ორატორულ ხელოვნებაში წავივარჯიშე!

— კენჭების პირში ჩადება არ დაგავინწყდეს!

ხედავ შენ! წიგნიერი ბავშვია, ვინ იცის, „კენჭები“ სად ამოიკითხა. არ ჩამეძიოს-მეთქი და სხვა თემაზე გადავერთე:

— ერთი გამაგებინე, ამ სანატორიუმში ვინ უნდა მომართვას საუზმე, სადილი და ვანშამი?

— ამ სანატორიუმის დირექტორი, ექიმი, მზარეული და დამლაგებელი მე ვარ! ჯერ ადრეა და ერთ საათში მანანის ფაფას მოგართმევ! ფაფის დიდოსტატი ვარ. წყალწყალა წვნიანი და უხორცო კატლეტი ვისაც მოენატრება, შეუძლია სოფლის სასადილოში მიირთვას!

იუმორის გრძობა ნალდად არ აკლდა, მაგრამ ხუმრობის დროსაც თვალეები სევდიანი ჰქონდა და ამით მახვედა. თავს ვეკითხებოდი, ნეტავი რაზე დარდობს? ცამეტი წლის ციციქნაში რა საიდუმლოებები უნდა იმალებოდეს?

ოლონდაც, ეს ფიქრი წუთიერი იყო. მანანის ფაფისა და სტუმარი გოგონების მოლოდინში ჩანთიდან „დედოფალი მარგო“ დავაძვრე და ძელსკამზე ჩამოვჯექი. ერთგვარი მეტიჩრობა იყო, ვიცოდი, წიგნში ჩაფლული ახალგაზრდა გოგონებსაც თვალში მოუვიდოდა. ჩავშტერებოდი და ვერანაირად გამეხსნა ძველი საფრანგეთის სამეფო კარის ინტრიგათა ხლართი. იმიტომ, რომ დედოფალი მარგო არაფრად მენალვლებოდა, ჩემი ტვინის ხვეულებში და გულის მთრთოლვარე კუნთებში რენატა სახლობდა, მისი არსებობით ვივსებოდი და სხვა არავისთვის მეცალა.

დიდხანს არ დამჭირვებია ლოდინი. ნინელიმ აივნიდან გადმოიხედა, წითელი ლოყები გადმოანათა.

— ამოდი, ჩაი დავლიოთ!

კაი გოგოა ეს ნინელი, ჯანმანაგარი ბიჭების საოცნებო. სამწუხაროა, რომ იმ ხისთავიანმა გიომ ეს არ აირჩია, რეზიკუნამ კი ფერმკრთალი ანა-მარია!

აივანზე რომ გავიარე, მუხლებში მსუბუქი ცახცახი ჩამიდგა, გული ამითრთოლდა და თუმცა ვცდილობდი, თამამი და უდარდელი ყაზილარის როლი მეთამაშა, ვიგრძენი, ვწითლდებოდი, სინითლისაგან თვალეები მენვოდა.

რენატა კუნაპეტი თვალეებით მომჩერებოდა და ბაგეზე კვლავაც ჯოკონდას ნარუშლელი ღიმილი ეხატა. მთელ მის არსებაში სინყნარე ჩაბუდებულიყო, ჩემი ფორიაქი ან არ ესმოდა, თუ ესმოდა, გულგრილობის კედელს ახვედრებდა და ვერ ვხვდებოდი, რანაირად აღმიქვამდა, მისი გულის ფეთქვა ჩემი გულის რიტმზე სცემდა თუ პირიქით, სულ სხვა რეგისტრზე ხმიანებდა.

ჩაის დაღვევა წამებად მექცა. მეჩვენებოდა, რომ ჭიქა უგერგილოდ მიჭირავს, ჩაი ცხელია და უშნოდ ვხვრეკ, გოგოები ბოლომდე მშიფრავენ და ხვდებიან, რომ ერთი ჩვეულებრივი გოიმი ვარ, რომ გუშინ თამამად ვჭიკჭიკებდი, დღეს კი მოსაწყენი და გაბუხული ვზივარ. ანა-მარია აღმაცერად გადმოიმხედავდა, ნინელი ამკარად მატრიზავებდა, არ ვიცოდი, რა ახარებდა, მაგრამ

კბილები სულ გამოფენილი ჰქონდა და ისედაც წითელ ლოყებზე ცეცხლი ეკიდა.

რენატა მშვიდად იჯდა, თავისი შავი თვალებით დაფიქრებული მზომავდა, ეს რა სუბიექტი მიზის წინო. ჭიქას ბაგეზე ისე მიიდებდა, თითქოს კოცნიდა. წარმოსახვაში ეს კოცნა მე მეკუთვნოდა და ამისი გაფიქრებისაგან ჟრუანტელი მივლიდა.

ნასაუზმევს ბადმინტონის სათამაშოდ ფიჭვის კორომისაკენ გავისეირნეთ. ვიცოდი, რენატასთან მისი ორი მეგობარი მარტო არ დამტოვებდა, თითქოს ვალდებულნიც იყვნენ ჩემგან დაეცვათ, ყოველ ჩემს ნათქვამს ქვეტექსტს უძებნიდნენ. ვცდილობდი, როგორმე გადამელახა ეს ფარული წინააღმდეგობა. ამიტომაც პატარა გვანცა მოკავშირედ ვიგულე და წასვლისას ვუხმე.

— შენც ხომ წამოხვალ, გვანცულიკა! — მოფერებით ვუთხარი და, რაკი კარგა ხანია, გავუშინაურდი, მხარზე ხელი გადავხვიე, გვერდზე მოვიხუტე. გოგონას წამიერმა თრთოლამ დაუარა. ცოტათი კი გამიკვირდა, მაგრამ გონებადაფანტული ვიყავი და კრთომის მიზეზს არ ჩავუღრმავდი.

— ბებიასთან შევირბენ და დაგენევით! — მიპასუხა, ხმა ოდნავ უკანკალებდა.

ბებუის ჩახრინწული წიოკი უკვე მოისმოდა, ხველებისაგან ისრჩობოდა, თან წყევლასა და მუქარას არ იშურებდა.

— ჩვენი უკვდავი ბებია ასი წელი ჯოჯოხეთის კუპრში იწრთობოდა და ხმა იმიტომაც ჩაეხლიჩა! — ვიხუმრესავით.

ანა-მარიამ გულიანად გადაიკისკისა, წინელიმ და რენატამ გაკვირვებით შეხედეს. მეც შეცბუნებული დავრჩი. ეს უფერული გოგო ლანდით გვახლდა და ასე გამხიარულებული აქამდე არც მენახა.

ამკარად მომესმა ფარული სიმის ჟღერადობა. სამეულიდან ყველაზე უფერულსა და უხორცოს მოვწონდი და ეს აღმოჩენა დიდად არ გამხარებია, ამით ერთი ზედმეტი ზღუდეც ამოშენდებოდა რენატასაკენ მიმავალ გზაზე.

გვანცა წამოგვეწია, ერბინა და ქოშინებდა.

— ბებუას ძილის წამალი მივეცი! — მოკლედ გვამცნო.

ტყის განაპირას, ხეობის თავზე, მეჩხერი ადგილი შევარჩიეთ და ოთხი ჩოგანით ვითამაშეთ.

უმალ გამოჩნდა, ვინ რისი ოსტატი იყო. ანა-მარიას ვოლანი მუდამ ძირს უვარდებოდა, თამაშს წუნწუნით წყვეტდა. წინელი ლონივრად ურტყამდა, კაცივით, თან სულ იმის ცდაში იყო, ვოლანი ტყვიასავით ჩემი შუბლისათვის დაემიზნებინა.

რენატა ისე მომხიბლავად მოძრაობდა, თითქოს საბალეტო პაუნდა შეესრულებინა, ჩოგანს წინ იწვდიდა, რათა ვოლანისათვის დაეხვედრებინა და ამ დროს საფრენად გამზადებულსა ჰგავდა.

ყველაზე აზარტული გვანცა აღმოჩნდა, თავგანწირვით გარბოდა ვოლანისაკენ, ლამისაა მიწისპირიდან იტაცებდა. პირისახე წითლად აეტეტკა, შეხურდა. ამ ოთხთა თამაშში ჩემ მხარეს იდგა. ვოლანს ზუსტად მანვდიდა და ჩემგანაც ამას მოელოდა, მე კი იმედს ვუცრუებდი, რადგან ჩემი ჩოგანით გასროლილი ვოლანი მუდამ რენატას ჩოგანზე ეშვებოდა პარაშუტით.

კარგა ხანს გაისმოდა ჩვენი ყიჟინი და ტკარცალი. რაც უფრო ვიღლებოდით, შეცდომაც მეტი მოგვდიოდა. წინელიმ ლონივრად მოიქნია, ვოლანი მტყორცნა, მაგრამ ისე მალლა მოუვიდა, ჩოგანით ვერ მივწვდი და ჩემ უკან, ხეობაში ჩაიკარგა.

ყველანი ხეობის კიდეზე ჩამოვსხედით. ფერდობი მეტად დამრეცი იყო, თუმცა აქა-იქ მძლავრი ფიჭვები და ნაძვები ებლაუჭებოდნენ. ხეობის ძირში მდინარე მიჩხრიალებდა. გაღმა ნაპირზე ბაკურიანის გზატკეცილი გადიოდა და ზედ მანქანები მოძრაობდნენ. იმის მიღმა კი კედლად არბოდა მთის ტყიანი ფერდობი.

სუნთქვა დამიამდა. ძირს მრავალი წლის მშრალი წინვი გვეფინა და ამ ბუნებრივ საბანზე ზურგით გავწექი. რენატა ახლოს იჯდა, ხელს ეყრდნობოდა და მოჭუტული თვალებიდან იყურებოდა.

უფალმა, ალბათ, თავისთვის გააჩინა-მეთქი, გავიფიქრე და შემემინდა. არ ვიცოდი, ასეთი ფიქრი მკრეხელობად ჩამეთვლებოდა, თუ მეპატიებოდა. ამ გაფიქრებას ხომ ქვეტექსტიც ახლდა, ვაითუ ისე მოეწონა, დროზე ადრე თავისთან წაიყვანოს-მეთქი. სიტყვა რეალობის ხატია და გული ამიჩქროლდა. ხელი გავაპარე და თითით მის ხელს შევეხე. შეკრთა, თითქოს დენმა დაარტყაო, მაგრამ ხელი არ აუცლია და სიხარულისაგან თავბრუ დამესხა. ვერაფერი გავბედე, გარდა იმისა, რომ ხელის ზურგზე თითით ოდნავ მოველაციცი.

არ განძრეულა, ლოყები კი წითლად აელანდა... მისი თვალები — უძირო უფსკრული...

„დავიღუპები!“ — გავიფიქრე, მაგრამ ამისათვის მზად ვიყავი.
— ნავედი მე! — ხმა გაეზარა გვანცას. ჩვენკენ არ იხედებოდა, თავდახრილი გაგვშორდა და არც შემობრუნებულა, ისე დაიძახა: — სადილზე არ დაიგვიანოთ! — და გაიქცა.

— რა ეტაკა? — გაკვირვებით იკითხა ნინელიმ.
ანა-მარია კბილში წკირს აწვალვდა და ხეობისაკენ გაბუსული იყურებოდა.

„რა ეტაკათ?“ — გავიფიქრე, გულწრფელად, როცა გვანცას მივაყოლე თვალი, და ყასიდად — ანა-მარიას.

დრო სწრაფად გავიდა, მზე უკვე მაღლა იდგა, ძირს ჭრელი ჩრდილი ეფინა. ცხელი დღე მოვიდა, თუმცა აქ, ხეობის კიდეზე მსუბუქი ნიავი ფოფინებდა.

იმ ნიავივით ფოფინებდა ჩემი ფიქრებიც. რენატას ეს მოულოდნელი სიახლოვე ბედნიერებით მავსებდა. დღეს, აი, აქ, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი შეყვარებული და, რაც აქამდე გადამხდენია, მხოლოდ გარდასულ დროთა სიზმრად მეჩვენებოდა, რომელთა მოგონება იქნებ სასიამოვნოა, მაგრამ გულის თრთოლას უკვე არ იწვევს.

გულწრფელად შემეძლო ამ გოგონებისათვის მომეყოლა პრინცესა მირაბელას ზღაპარი. თანაგრძნობის ღიმილს თუ გამოიწვევდა ჩემი აღსარება, ცოდვად არ ჩამეთვლებოდა საყმანვილო გატაცებანი, თუმცა ამ დროს ნინელი წამოხტა, ხეებს მიღმა გაიხედა და შეცვლილი ხმით გამოგვიცხადა:

— შინ წავიდეთ!

მეც გავიხედე. ამ ადგილიდან ასიოდე მეტრზე ტყეს გზატკეცილი ჭრიდა და იმაზე ნელი თუხთუხით კრემისფერი „პობედა“ მიგორავდა. მგზავრების გარჩევა შეუძლებელი იყო, ოღონდ დიდი მკითხაობა მაგას არ სჭირდებოდა — საჭეს გიო უჯდა და, ალბათ, შორიდან გვითვალთვალებდა.

შიშისაგან გული არ გამხეთქია, თუმცა გოგონების თვალწინ დამცირების მოლოდინმა ამაფორიაქა, რადგან, ცხადია, რაც გინდ დევგმირი ვყოფილიყავი, იმ ხისთავიან ოთხეულს მარტო ვერ გავუმკლავდებოდი. ოღონდაც, რატომ უნდა მეფიქრა, რომ დღისთმზისით ვინმე თავს დაგვესხმოდა, ფიჭვნარში ხომ აქა-იქ სხვა დამსვენებლებიც მოჩანდნენ. უცაბედი გაცლა ლაჩრობად მივიჩინე,

მაგრამ რაკი გოგონები წამოიშალნენ, წინააღმდეგობა არ გამინვეია და შინისაკენ გავეშურეთ, თან ვცდილობდი უდარდელი სიფათი გამომეჩინა და გზა-გზა ყავლგასულ ანეკდოტებს ვყვებოდი, რომელთა შინაარსი კარგა ხანია მეხსიერებიდან ამომიფშვიტივდა, მაგრამ მაშინ გოგონები ზომიერად ვაცივნი, უფრო ნინელი, რომელმაც სახლის სიახლოვე რომ იგულა, მთლად ატკარცალდა. ანა-მარია პირზე თავის გამჭვირვალე თითებს იფარებდა და ხითხითებდა. რენატას ბაგეზე კი მშვიდი ღიმილი ისახებოდა.

არ ვიცი როდის მოასწრო, მაგრამ გვანცამ გემრიელი წვნიანი, შემწვარი კარტოფილი და სალათი დაგვახვედრა. მერე ყავა მივირთვით, ოღონდ მკითხაობის გარეშე. ასე ინება ნინელიმ, რომელსაც ჩემს „გოიმურ მკითხაობაზე“ მეტად არასასურველი მოგონება შერჩა.

ნასადილევს ჩვენ-ჩვენს ოთახებს მივაშურეთ. ცოტა ხნით წამოვწეი, ნიგნი გადავშალე, მაგრამ დიუმას ტყუილებს გული ვერ დავუდე. ზევიდან დედაბრის გაუთავებელი ყმუილი მესმოდა და საკუთარი თავი გულგრილობაში დავიდანამაულე, რადგან აქამდეც უნდა შემბრალეობდა სნეული მოხუცი. ოღონდაც, ჩემი გული და ფიქრი რენატას ხატივით იყო სავსე და ფიორა ადგილი არ რჩებოდა სხვა სულიერთათვის. დიახ, თვალს დავხუჭავდი და თითქოს მის კუნაპეტ თვალეებში ვიძირებოდი, გავახელდი და მხოლოდ ჯოკონდას ღიმილს ვაწყდებოდი.

მოუსვენრობა დამეუფლა. წამოვხტი და ეზოში გავედი. ბალი დავათვალე, ცოტა ხანს ჭიშკართან ვიდექი, მერე სახლს გარს შემოვუარე. აივანი სამი მხრიდან გასდევდა და უკან, გოგონების ოთახის პირდაპირ მეორე კიბეც ჩადიოდა. ეზოს იმ კუთხეში რკინის კუტიკარი ეკიდა და ჩიხში გადიოდა.

ღობესთან საკმაოდ გრძელი და მძიმე ძალაყინი ეგდო, ეტყობა, ადრე ღიობში იყო ჩაჩრილი და ვილაცამ ამოაძრო. ავიღე და ხელში შევათამაშე, ვითომდა უხილავ მტერს დავემუქრე, ოღონდ მტერი არსად ჩანდა და ძელსკამზე ჩამოვჯექი, თან ძალაყინიც იქვე, ვაშლის ძირს მივაყუდე.

კარგა ხანს ვიჯექი მარტო, დედაბრის გულისგამანვრილებელ ვიშვიშს ვუსმენდი და მკრეხელურად ვფიქრობდი, თუ როდისღა განთავისუფლდებოდა „ჩემი გვანცულიკა“ ამ უღლისაგან. „ჩემი“ -

მეთქი რომ გავიფიქრე, რატომღაც შევეკრთი. არანაირად ჩემი არ ეთქმოდა, თუმცა მესაიდუმლედ ვთვლიდი, რაკი ჩემს ადრინდელ გატაცებას შეესწრო.

მოგვიანებით გოგონებიც ჩამოვიდნენ. ნინელიმ ნარდი მოათრია. ანა-მარიამ და რენატამ მაყურებლის როლი ირჩიეს. მე და ნინელიმ კამათელი გავაგორეთ. თავიდან აგდებულად ვეთამაშებოდი, მაგრამ ზედიზედ რამდენიმეჯერ მომიგო, თან დამცინავად ტკარცალებდა და ლოყები უღვიოდა. შევხურდი და სერიოზულად გავეჯიბრე, თუმცა მოგებით მაინც ვერ მოვუგე. დავყარე კამათელი და გულსგარეთ ვთქვი, ასე ტყუილუბრალოდ ვერ ვითამაშებ-მეთქი.

— მოგებულმა წაგებულს აკოცოს! — შემოაგდო უცებ ანა-მარიამ და საკუთარმა სითამამემ თვითონვე გაანითლა.

თვალი რენატასაკენ გავაპარე. მასთან, ცხადია, ვითამაშებდი, რადგან მოგებულს და წაგებულს მაინც ვიხეირებდი, ან მე ვაკოცებდი, ან ის მაკოცებდა.

ნინელიმ ცივი წყალი გადმოგვასხა:

— კოცნაობა არ გამოგვივა! სამი ქალი ერთ კაცს მაინც ვერ გავგლეჯთ. — ჩაიცინა. — აგერ მეოთხე დედალიც გვემატება.

გვანცა გვიახლოვდებოდა.

— მეოთხე საბავშვო ბაღის აღსაზრდელია! — ხუმრობას ხუმრობითვე ვუპასუხე. — რაც შეეხება სამ ქალს... — სიტყვა გავჭიმე. — ამ თემაზე ზღაპარი გამახსენდა. იყო ერთი უფლისწული. უკვე საცოლვე ასაკისა გახლდათ და პრინცესა რომ იხილა, უმალ გული შეუვარდა, იფიქრა, ერთადერთი და სანუკვარიო, მაგრამ ამ დროს მეორე პრინცესა დაინახა, ესეც ერთადერთი და გამორჩეულიაო და ახლა ის შეუყვარდა, პირველი კი დაავინყდა...

სამივე ჩუმად მიყურებდა. გვანცა მაგიდის კუთხესთან დაჯდა და ესეც დაჟინებით მომაჩერდა, არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი თვალების სიმწვანეში კიცხვა და სინანული ამოვიკითხე.

დავიბენი და ხელები კომიკურად გავშალე.

— ეს მხოლოდ დასაწყისია, გაგრძელება კი სხვა დროს იყოს!

მომინდა ოთხ წყვილ თვალს გავქცეოდი და ჯიქურ წამოვდექი, ვითომც რაღაც მნიშვნელოვანი გამახსენდა. ამათ გავშორდი და ჩემს ოთახში, სანოლზე დავეგდე. თვალი დავხუჭე და ის ოთხი

მზერა წარმოვიდგინე. ვერ გავიხსენე, რა ფერის იყო ნინელისა და ანა-მარიას თვალები, მაგრამ მალეღებდა კუნაპეტის სიღრმე და მწვანეს სევდანარევი კამკამი.

გარედან გოგონების ხმები ისმოდა, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, აზრის გამოტანა შეუძლებელი იყო, ალბათ მე მჭორავდნენ, მოულოდნელი, ლაჩრული გაქცევის გამო მკიცხავდნენ.

მერე ყველაფერი სინყნარემ მოიცვა. ვიცოდი, სალამოს ჩაიზე მომიხმობდნენ და რული რომ წამომეპარა, წინააღმდეგობა არ განიწევია, დროის სათვალავი დამეკარგა. არავინ მომიხმო და ველარ გავიგე, როდის ჩამოხნულდა, როდის გადაგორდა სალამოს საათები და სადღაც ნაშუალამევს მოულოდნელად თვალები დავაჭყიტე. ბნელოდა.

ლოგინზე ჩაცმული ვეგდე, ფეხსაცმელებიც კი არ გამიძვრია.

„რა დროა?“ — გავიფიქრე და ამ დროს შიშმა გამკრა. თავზე იატაკის ფიცრები გაჭრაჭუნდა, მომეჩვენა, თითის წვერებზე დადიანო. მერე თითქოს სუსტი კვილი გაისმა, ალბათ, დედაბრისა. მერე ვილაცა კიბეზე ჩამორბოდა, ალბათ, გვანცა.

ეს ყველაფერი მეტად მოკლე წამებში დავაფიქსირე და ლოგინიდან გიჟივით წამოვფრინდი, კარი გამოვალე და, თუმცა სიბნელებში ბევრს ვერაფერს ვარჩევდი, მივხვდი, ჩემკენ ვინც მორბოდა, გვანცა იყო.

— უჩა! — შიშინად წაიჩურჩულა.

— შემოდი! — ხელი ვტაცე, ოთახში შევაგდე და თვითონ კარი გარედან ზურგით მივხურე.

ზევიდან წიოკობის ხმა ისმოდა. გამახსენდა ვაშლის ძირას მიყუდებული ძალაყინი, ხელი დავავლე და კიბეზე ავირბინე.

დედაბრის ოთახში სინათლე ენთო და პირველად იქ შევევარდი. დედაბერი მალალ ბალიშებს მიყრდნობოდა და თვალდაჭყეტილი მიყურებდა. უცბად ვერ მოვტვინე, რომ მის მზერაში სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანდა. პირში ჯენჯო ჰქონდა ჩატენილი და, მეგონა, ხმას იმიტომ ვერ იღებს-მეთქი. მივირბინე, ამოვაცალე, მაგრამ ხმის ამომღები იგი უკვე არ იყო.

თავგზა ამეხნა და ამან ზედმეტი წამები დამაკარგვინა. კედლის მიღმა ნინელი წიოდა და ისევ აივანზე გამოვბრუნდი, გოგონების ოთახს მივაშურე.

— რა იყო, რა გაკვივლებს?! — შევიხედე.
ოთახში ყველაფერი ყირაზე იდგა. პერანგისამარა ანა-მარია
ლოგინზე იჯდა და გაცრეცილი ბაგე უკანკალებდა. ნინელი ძირს
გაკოჭილი ეგდო.

ნაბიჯი საშველად გადავდგი, იმან კი შემომკვივლა:

— რენატა!

გონება გამინათდა, რენატა მოიტაცეს, ჩემი „პრინცესა“!

სიგიჟემ მომიარა. აღარც მახსოვს, კიბეზე როგორ ჩავბრავუნ-
დი, კუტიკარს ვეტაკე და ჩიხში, ნაცნობ „პობედასთან“ ტიპებს გა-
დავანყდი, ვილაცას, ალბათ, რენატას მანქანაში ტენიდნენ.

ყელიდან ღრიალი აღმომხდა, მხეცად ვიქეცი და ძალაყინი მან-
ქანის კაპოტს ვდრუზე, მეორე დარტყმით პარპრიზის შუშა ბზარე-
ბით დაიქსელა.

— მე ჩემი... მანქანა დამინგრია, ტო! — სასონარკვეთით იყვი-
რა მავანმა და გიო-დებილი ამოვიცანი.

მისი ძმაკაცები ქალს შეეშვნენ და ჩემკენ წამოვიდნენ. ვიცოდი,
თუ მომიხელთებდნენ, ცემით გამხეთქავდნენ, მაგრამ მე უკვე სიგიჟის
ზღვარსაც გადავაბიჯე და იმასლა ვცდილობდი, სამთავიანი წითური
დევის თავები დამეხეთქა. ისინი საშინლად იგინებოდნენ, მაგრამ ძა-
ლაყინისა დიხბაც რომ ეშინოდათ და ვერ მწვდებოდნენ.

ამ სამ მოზვერს გიოც ნაემატა, ხელში რალაც ეჭირა, არც გამხ-
სენებია, ქამარში რომ რევოლვერი ჰქონდა გარჭობილი, და წინ
მივინვედი, რათა სწორედ მისთვის მეხეთქა.

ამასობაში აივნიდან კივილი ატეხეს, გვიშველეთ, გვიშველე-
თო. თურმე ანა-მარია გონს მოეგო, ნინელი გაათავისუფლა და
ახლა ისინი ხმაშენწყობით გაჰკიოდნენ.

მეზობელ სახლებში ხალხი დააღვიძეს, ვილაცები უკვე გამორ-
ბოდნენ და გამტაცებლებიც მიხვდნენ, ხაფანგში რომ ექცეოდნენ.
ქალი დაავინყდათ და სამეული მანქანაში შევარდა, მხოლოდ გიო
ხტუნაობდა კალიასავით, რევოლვერს იქნევდა და ყვიროდა:

— დავბრიდავ, მე ამისი!..

მე კი იმისი ყვირილი არც მესმოდა. რაკი მოწინააღმდეგენი
შემომეცალნენ, ისევ მანქანას მივადექი და დავცხე.

ვილაცამ ხელი ჩამავლო, სუსტი და სინაზით სავსე.

— დანყნარდი! — ჩამჩურჩულა.

რენატა იყო.

გონს მოვეგე, მივხვდი, რომ ვაჭარბებდი.

ძალაყინი ძირს დავუშვი და მაშინ გაკვესა. გასროლის ხმა არც
გამიგია, თითქოს თავში რალაც ჩამარტყესო, თვალთ დამიბნელ-
და და გავითიშე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. მომეჩვენა, რომ სრულ
მდუმარებაში ვარ და ამ მდუმარებაში რალაც გაფაჩუნდა. უცბად
თავის მწვავე ტკივილი მომანვა, ისე ამტკივდა, თითქოს შიგნიდან
ტვინი ამიფეთქდაო.

ამოვიკვნესე.

ვიგრძენი, პატარა, თბილი ხელი შუბლზე შემეხო, მეამა და
ხმადაბლა დამცდა:

— რენატა...

ხელი უცბად წაიღეს და თვალი გავახილე.

ჩემს ოთახში, მაღალ ბალიშზე ვინექი. ფანჯრიდან რიჟრაჟი
იპარებოდა. პატარა გოგო სკამზე იჯდა და ჩემს სახესთან დახრილ-
იყო.

— აჰ, გვანცულიკა! — უნებლიე კვნესას ამოვაყოლე.

თვალი დავხუჭე და შევეცადე, გამეხსენებინა, თუ რა მოხდა.

„მოვკვდი?“ — შევეკითხე საკუთარ თავს და ჩურჩულით ვი-
კითხე:

— მოვკვდი?

— არა, ტყვიამ ოდნავ გაგკენწლა! — სწრაფად მიპასუხა.

უცბად თავში ზრიალით დატრიალდა ქარბორბალა — ღამე,
მანქანა, თავდამსხმელები, პრინცესა...

— რენატა მოიტაცეს! — ვიყვირე და წამოვფექი.

საფეთქლები თითქოს გამისკდა, კვნესით ბალიშზე დავეცი.

გვანცა მხრებში ჩამაფრინდა.

— დანყნარდი, გოგოები აქ არიან, სძინავთ!

„სძინავთ?“ — უნდა გამხარებოდა, მაგრამ რატომღაც მენყ-
ინა, ტირილი მომინდა, ოღონდ შემრცხვა და ჩუმად ვკითხე:

— რა მოხდა?

— ბებია მოკვდა! — ასლუკუნდა.

— მოკვდა? — გავიკვირვე და თვალი გავახილე.

ტიროდა.

— გვანცულიკა! — ალერსით ჩავჩურჩულე და მისი ხელი მოვძებნე, სუსტად მოვუჭირე.

დიახ, როცა მომხდურები გასაჩუმებლად პირში ჯვანჯოს ტენიდნენ, დედაბერი შიშისაგან გათავდა. მინდოდა მეთქვა, გვანცა საბოლოოდ გათავისუფლდა-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან გვანცა საბოლოოდ დაობლდა და ეს ატირებდა.

თვალდახუჭული ვინეჯი და ვუსმენდი პატარა ობლის ჩუმ ტირილს, ვუსმენდი საფეთქლებში ჩაბუდებულ ტკივილს და არ მახსოვს კვლავაც როდის ჩავიძირე უსიზმრო ბნელეთში, რამაც ტკივილისაგან გამათავისუფლა.

კარის მსუბუქმა ჭრიალმა გამომალვიძა. ზედა სართულიდან უამრავი ფეხის ხმა მომესმა. გვანცა ოთახში არ იყო. სამაგიეროდ ჯერ ნინელიმ შემოყო თავი, მერე ანა-მარიამ, ბოლოს ჩემი პრინცესაც შემონარნარდა.

დამაბრმავებლად ლამაზი და მაცდური იყო. შევხედე და თვალი ვერ მოვწყვიტე. სხვათა აქ ყოფნა ზედმეტად მომეჩვენა.

— აბა, უჩა-თავდადებულო, ვხედავთ, გამოკეთდი! — ეს, ცხადია, ნინელი ბრძანებოდა.

— შენ კი არ გჯეროდა, დევთა ღრეობაში სამ დევს თავები რომ წავასხიპე! — უილაჯოდ გავიხუმრე. — ან ისეთი კაცი სად გინახავთ, ბურთის მაგიერ თავით ტყვიას იჭერდეს!

— ის ტყვია მართლა რომ დაგეჭირა, ახლა შორეულ გზაზე იქნებოდი მავალი, ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით! — ეს ენას არ გააჩერებდა და მის მეგობრებს ავხედე.

ანა-მარიამ მორცხვად დახარა თავი, უფერული ლოყები ოდნავ შეეფაკლა, თითქოს თხლად პომადა წაიგლისაო. რას ვერჩოდი, მეგობრებში იჩაგრებოდა, თორემ დასაწუნი მაინცდამაინც არაფერი ჭირდა.

— რა მოხდა? — სწორედ მას ვკითხე.

— მეზობლებმა შეატყობინეს მილიციას. ბიჭები წაიყვანეს, თურმე რენატას გატაცებისას, დედაბრის ფულიც ხელს გააყოლეს, ბალიშქვეშ ჰქონია ჩაჩურთული!

— ზევით ხალხია?

— ჰო, სოფელი პატრონობს!

გამახსენდა, წელან რომ დედაბერი შემეცოდა, იმან კი, ჯოჯოხეთიდან მოვლენილმა, ფული იმიტომ აგროვა, ისევე ჯოჯოხეთში წაელო. ამაზე არაფერი მითქვამს და მზერა რენატას შევაგებე.

სანოლის კიდეზე ჩამომიჯდა, ჩემი ხელები ტყუპად აიღო და ალერსით მითხრა:

— შენ გადამარჩინე! — დაიხარა და შუბლზე ბაგეები შემახო.

ტანთ ჟრუანტელმა დამიარა, ისეთი სურნელი მომელაცაცა, თითქოს ნორჩი იების ლოგინში ვინეჯი.

„პრინცესა!“ — მხოლოდ ეს გავიფიქრე, სიტყვა კი ყელში გამეჩხირა.

— რა რომანტიკულია! — წამოიძახა ნინელიმ, ხმაში ბრაზი გაჟღერდა, თითქოს პირადად მას მიაყენეს შეურაცხყოფა.

ანა-მარია გაფითრდა, გაიცრიცა.

რენატამ ლმობიერად თქვა:

— კარგი რა, ნინელი, ამ ყმანვილს უნდა ვუმაღლოდე... — არ დაუსრულებია, თუ რას უნდა მიმადლოდეს, რადგან გვანცა შემოვიდა, ლანგრიტ საუზმე შემომიტანა — ბრინჯის ფაფა, კარაქიანი პური და სურნელოვანი ჩაი.

გოგონები უხმოდ გაიკრიფნენ. ბოლო რენატა იყო და ზღურბლს რომ გადააბიჯა, მოიხედა და თვალი ეშმაკურად ჩამიპაჭუნა.

რა იყო ეს? რას ნიშნავდა? — თავგზა ამებნა, გვანცა რომ არ ყოფილიყო, ლოგინში ვერ გავჩერდებოდი.

გვანცას სინითლემ გადაურბინა, იქნებ თვალი ჰქიდა კიდეც ამ ჩაპაჭუნებას.

— არ მშია, გვანცულიკა! — ვედრებით შევხედე.

— გშია! — მოკლედ მიპასუხა და ლამბაქი მუხლებზე დამიდო. ჭამას შევუდექი, ის კი უჩუმრად იჯდა და თვალს მადევნებდა. მეტი ვერ მოვითმინე.

— გვანცულიკა, ვიცი შენ იქა ხარ საჭირო! — თითი ჭერისაკენ ავნიე. — მე ჩემს თავს მოვუფლი!

გოგონამ ამოიოხრა და გავიდა. გულმოდგინედ გავაგრძელე ჭამა. მადა არ მქონდა, მაგრამ კეთილ მასპინძელს მონდომებას წყალში ვერ ჩავუყრიდი და ბრინჯის ფაფაც ამოვლოკე, კარაქიანი პურიც შევსანსლე და ჩაიც ზედ დავაყოლე.

მთელი დღე ვინექი. ნაჭრილობევი მწინკნიდა, თავის ტკივილში გადამეზრდებოდა ხოლმე. ზედა სართულზე არ წყდებოდა ფეხის ხმა და მომსვლელთა უთავბოლო რუზრუზი. მალიზიანებდა, მლლიდა, ჯობდა სადმე ფიჭვებში გავცლოდი ამ ხმაურს, მაგრამ სისუსტეს ვერ ვძლევდი.

ხანდახან გვანცა შემომირბენდა, ხან რა სასუსნავს მომიტანდა, ხან რას, მაგრამ გულს მაზიდებდა და ყელში მეტი ლუკმა არ ჩამდიოდა.

ვინექი და რენატაზე ვფიქრობდი. რას ნიშნავდა მისი უცნაური გამომშვიდობება? თვალი ჩამიპაჭუნა და ამით რალაც მანიშნა, მაგრამ რა? ხან ასე ვწონიდი, ხან ისე და ამ ფიქრისაგან თავი უფრო მტკივდებოდა.

ტკივილი ძილშიც ჩამყვა. ვითომც მდელიოზე ვეგდე. სამი ჩხინკა, დაჭმუჭნილი დედაბერი გამომეცხადა. მოკლე, ბავშვური კაბები ეცვათ, ნიფხვები ჩამოსჩაჩოდათ. ხელიხელჩაკიდებულნი ჩემს ირგვლივ დაბზრიალდნენ და ხმაშენყოფით, რუსულ ყაიდაზე აწვიკინდნენ — „ზილინა, ზილინა, ახ, ზილინა, ზილინა!..“ მინდოდა ამ წრის გარღვევა, ხმაურისაგან თავის დაღწევა, მაგრამ არც წამოდგომა შემეძლო, არც ყვირილი, ფიქრშილა ვიხვეწებოდი — თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ-მეთქი.

უცებ შუბლზე სიგრილე ვიგრძენი, ვილაცამ გრილი ხელი დამადო და მეამა.

— რა იყო, გამირთაგმირო, სიცხე ხომ არა გაქვს?

თვალი გავახილე.

წინელი დახრილიყო, ლაჟღაჟა ლოყებით დამნათოდა. თვალეზი ლმობიერი ჰქონდა. ბარაქიანი ძუძუები ზედ ჩემს თვალეთან ირხეოდა. უცნაური გრძნობა დამეუფლა, თითქოს პატარა ვიყავი და დედიკოს ძუძუ მინდოდა. ასეთი უნდა ყოფილიყო ჩემი პირველი დედა იმ ადრინდელი, წინა ცხოვრების დროს.

— დედა! — უნებლიეთ ჩავიჩურჩულე.

წინელი წელში გაიმართა, იქნებ ვერ გაიგონა ჩემი ხმა, იქნებ იფიქრა, ბოდავსო.

— ჰა, გამაყურებელი გადაყლაპე, ტკივილი გაგივლის!

აბს ყლუპი დავაყოლე. სკამზე თეფშით ახლადდაკრეფილი ლეღვი ელაგა, ეტყობა, ამისი მორთმეული.

— ნუ გეშინია, ცოტათი ტვინის შერყევა გაქვს. ტყვია ასე რომ ასხლტება, თითქოს ჯოხი გდრუზესო... გაგივლის!

ვიცოდი, გამივლიდა, ტკივილი უკვე მიყურებოდა, ბოლომდე გამოვფხიზლდი.

— რენატა სად არის? — ვკითხე.

დამაკვირდა, თავი ისე გააქნია, თითქოს ბუზს იგერიებსო და უცნაურად მომიგავა:

— რაინდო, ყინულის დედოფლის გული იოლად ვერ გალხვება! უმჯობესია, ცივი ლეღვი მიირთვა, გულს გაგიგრილებს! ნავედი, ხომ ხედავ, არდადეგები ქელეხში გადაგვეზარდა!

დალამდა. ჩუმად ვინექი. უკვე არაფერი მტკიოდა, გარდა მარტოობის ტკივილისა. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ყველამ მიმატოვა. მთელი დღე ზემოდან ფეხის ხმა და ლაპარაკი მესმოდა. მთავარი ამ სახლში სულეთს გადაბარებული დედაბერი იყო. ყველა იმაზე ზრუნავდა, როგორმე ისე გაეცილებინათ, უკან რომ ვერასოდეს მობრუნებულიყო. ამიტომაც დავრჩი მარტო! წინელიც წავიდა, ანა-მარია არ გამოჩენილა, რენატა, ჩემი პრინცესა დამეკარგა... გვანცაც კი, პატარა, ჩხინკა გვანცულიკა გაქრა.

წამოვდექი, ჩავიცვი და გარეთ გავედი.

ოდნავ თავბრუ მესხმოდა და მეტი არაფერი. ხისქვეშ ძელსკამი მოვძებნე და ჩამოვჯექი. ყურუში სიბნელე იდგა და ბალის კუთხე-კუნჭულები ლანდებით აივსო. მოჩვენებათა მთელი ლაშქარი აქეთ მოიწვედა, თუმცა უშიშრად მივჩერებოდი. ვიცოდი, ჩემი ფანტაზიით გაცოცხლებულ ლანდებს სხეული არ ჰქონდათ და ჯერაც გაუთვითცნობიერებელ, მარტივ სულელებს თუ შეაშინებდნენ. იმ ლანდებში დედაბრის მახინჯი სულიც ერია, ენას მიყოფდა, ქოქოლას მაყრიდა... ავდექი და ბალის ბნელ სიღრმეებს მივაშურე. ვაშლის წვრილი ტოტები სახეზე მეხებოდა, ვაშლის სურნელი ვიგრძენი. ნელინელ შემოვუარე სახლს. ზევით ავიხედე. სინათლე მხოლოდ მიცვალებულის ოთახიდან გამოდიოდა.

ავედი. შუა ოთახში დასვენებულ გვამს ატლასის ქსოვილი ეფარა. კედლების გასწვრივ სკამები ჩამოემწკრივებინათ და კუთხეში გვანცა იჯდა, შეტყუებული ხელები მუხლებზე დაეწყო, თავი-

სი ლამაზი პირისახე (გონებაში ასე აღვნიშნე!) პირდაპირ მიემართა, ოღონდ თვალები მოეხუჭა. მივხვდი, არ ეძინა, რადგან ფახულა წამწამები უთრთოდა.

გვერდით მივუჯექი, მხარზე ხელი გადავხვიე. ვიგრძენი, ზამბარასავით როგორ დაიძაგრა, წამიერ შეაცახცახა, თუმცა განზე არ განუელა, არც თვალი გაუხელია.

ცოტა ხანს ასე ვისხედით. ალბათ თანაგრძნობის სიტყვები უნდა მომეძია, მაგრამ ხმა არ ამომიღია, იმან კი მდუმარება დაარღვია:

— გტკივა?

— ნნუ! — მოკლედ ვუპასუხე.

ცოტა ხანს იყურა და მერე თქვა:

— მე ის არ მძულდა!

— ჰო!

— ახლა სულ მარტო დავრჩი!

— გვანცულიკა, მე ხომ შენთანა ვარ!

მან თვალები გაახილა და მე ვიხილე მწვანედ აკამკამებული გუბე, შიგ ობოლი კურცხალი უგროვდებოდა.

— შენ უკვე სხვაგან მიდიხარ!

სიტყვები ორაზროვანი ჩანდა, შემეშინდა ქვეტექსტის ამოკითხვისა და ყასიდად შევეპასუხე:

— ხვალ გასვენებაა, მერესი მერე ვილაპარაკოთ!

გვანცამ მხარზე გადახვეულ ჩემი ხელის ზურგს თითი დაუსვა, თითქოს მომეფერაო, მერე უცებ წამოხტა, ხელი მხრიდან გადაიგდო და არ შემოუხედია, ისე მითხრა:

— ნადი, დაიძინე, გვიანია!

წამოვედი, ოღონდ არა იმიტომ, რომ „გვიანია“, უფრო იმიტომ, რომ მე „უკვე სხვა გზას დავადექი“.

რა იყო ეს გზა? რაზე მიმანიშნა პატარა და ჭკვიანმა გვანცამ? პასუხს ვუფრთხოდი და შევეცადე ძილისათვის შემეფარებინა თავი.

სადღაც ვავრბოდი და თოჯინას მივაქანებდი. თოჯინას ფართოდ გახელილი, ლუსკუმი თვალები ჰქონდა, გაკვირვებული იჭყიტებოდა. კვალზე წითური, ბანჯგვლიანი დევი მომდევდა, საცაა ჩემი თოჯინის თმებს მოსწვდებოდა... მეღვიძებოდა... მერე ისევ ძილი მიპყრობდა, კვლავ თოჯინას მივაქანებდი და კვლავაც დევი მომდევდა, ხელს გამოიწვდენდა და მეღვიძებოდა... ბოლოს თოჯინა

გაიზარდა, ვეღარ ვეზიდებოდი... მივხვდი, თოჯინა კი არა, პრინცესა რენატა იყო და მის გადასარჩენად ღონე არ მყოფნიდა... დევმა გადამასწრო, წინიდან შემეჩხება და მთხოვა — „დამითმე!“ დავხედე, რენატას ცოცხალი თვალები ასი წლის დედაბრის სახეზე კიაფობდა... ხელი ვუშვი...

საბოლოოდ გამომეღვიძა და კარგა ხანს ვფიქრობდი, ნეტა რა დამესიზმრა-მეთქი, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე.

გარიჟრაჟზე ავდექი. გარეთ გრილოდა, ფოთლებზე ნიჟი ეყარა. სასაფლაოს მყუდროება იდგა და მეჩვენებოდა, რომ ბაღში, სახლის ირგვლივ დედაბრის ბოროტი სული დაფარფატებდა.

ტყისკენ გავისეირნე, სიმარტოვეს ვეძებდი. ერთგან, დაწყვილებულ ფიჭვებს შორის, მავანს ფიცარი ჩაეჭედა, სკამი გაემართა და იქითკენ წავედი.

სკამიდან ქალიშვილი წამოდგა, გაოცებული მივაჩერდი, ასე ადრე განმარტოების სურვილი რამ გაუჩინა-მეთქი.

ანა-მარია იყო, შემომხედა, სახეზე აღმური მოედო, რატომღაც ყვრიმალეები უწითლდებოდა ავადმყოფური სინითლით.

— რა გჭირს, რა არ გაძინებს? — როყოფ ვკითხე.

არაფერი მიპასუხა, თვალები აუნყლიანდა მხოლოდ. რას ვერჩოდი, სულაც არ იყო ურიგო გოგო, ოღონდაც რენატას თვალისმომჭრელი ფერებით იჯაბნებოდა.

თავი დახარა და გამცილდა. მომეჩვენა, რომ მხრები უთრთოდა. ვერაფერი გავუგე, რადგან არ მჯეროდა, რომ ბოროტი დედაბრის სიკვდილს ასე განიცდიდა.

დავჯექი, ვიყურე, დაველოდე, სანამ მზე ამოიწვერებოდა და მისი ჟანგისფერი სხივები ამ სკამზე მომძებნიდა.

ზურგით ფიჭვს მივეყრდენი, ფიჭვის სურნელი ავსებდა ჰაერს და ამ სიმყუდროვეში კვლავ რული მომერია, ჩავიძირე რალაც ფოფინა, უსიზმრო ტრანსში, ამქვეყნად ყველა და ყველაფერი დამავიწყდა. ვფიქრობ, ეს ის გრძნობა იყო, რომელიც სიკვდილის შემდეგ დამეუფლება.

პირზე ნათელი დამეფინა. მზე მაღლა ასულიყო და ფიჭვთა მეჩხერ ტოტებში მისი ცხელი სხივები ატანდა.

შინ აუჩქარებლად ვბრუნდებოდი. ფიჭვნარში დამამშვიდებელი, გრილი ნიავი ირხეოდა, მაგრამ ჩემს ფიქრებში სიმშვიდე არ

სუფევდა. გვანცა, რენატა, ნინელი, ანა-მარია... ჯოჯოხეთს გამგზავრებული ბებრუხანა... ჩემს დაულაგებელ ფიქრებში ამათთვის ვერ მიმეჩინა ადგილი.

ეზოში მეზობლები შეყრილიყვნენ, ვერ ვიტყვი მთელი სოფელი-მეთქი, რადგან დედაბერი ნახევარ სოფელთან უბრად იყო. მართალია, სიკვდილი ყველაფერს ასწორებს, მაგრამ ვინც მოვიდა, ისიც ობლის სიბრალულით... მე აქ არავის ვიცნობდი და ძელსკამზე ჩამოვჯექი, მოვლენებს შორიდან ვუთვალთვალე. ცოტა ხნით უბნის ინსპექტორმა მოიცალა, იმ ღამის ამბები გამომკითხა. არაფერი დამიმალა, მაგრამ არც თავი გამომიღვია, გინდა თუ არა ის ბიჭები მკაცრად დასაჯეთო. ტყვიის სროლა არ უნდოდა, შემთხვევით გაუვარდა-მეთქი, რაკი შეეშინდა, ძალაყინი თავში არ მთხლიშოსო.

გოგონები აივანზე საქმიანობდნენ. ხალხი მომრავლდა და დიდპატარა რენატას აშტერდებოდა, არცთუ ხმადაბლა ჩურჩულებდნენ, იმღამინდელ ფათერაკებზე ტყუილ-მართალი ილესებოდა. თავიდან რენატა ყურადღებას არ აქცევდა, მერე, ეტყობა, მობეზრდა და თავის ოთახში შეიკეტა. მალე ნინელი და ანა-მარიაც მას მიჰყვნენ. ამან ჩემი ფორიაქა ფიქრები დამიწყნარა და თვითონაც ოთახში განვმარტოვდი. წამოვწექი, წიგნი გადავშალე, თან ვუსმენდი გარეთა ხმებს. ადამიანთა ნალაპარაკები ერთიმეორეზე ეფინებოდა, უაზრო ზუზუნად გადაიქცეოდა, ტირილითა და მოთქმით კი თავი არავის მოუკლავს.

შუადღის სამი საათისათვის ხმაურმა იმატა. მივხვდი, გავენების ცერემონიალი იწყებოდა. გავედი და თვალი მივადევნიე, კაცებმა კიბეზე როგორ ჩამოასვენეს სასახლე. დედაბერი საკმაოდ მძიმეწონიანი იყო და ქშენით ეზიდებოდნენ. ეზოში საგანგებოდ გამოტანილ სკამებზე დადგეს. მავანმა ენის ბორძიკით სიტყვა მოაქიჩმაჩა, აქაოდა, სიკეთის განსახიერება გახლდათ და სოფელს დააკლდაო, რაც, ცხადია, წმინდა წყლის სიყალბე იყო. მერე აიტაცეს და სასაფლაოსკენ წააციმციმეს. ყველანი უკან მივყევით, ყველაზე წინ კი პატარა გვანცა მიდიოდა. შავი სატინის კაბაში, სატინის მანდილით თავწაკრული უფრო ციცქნა და დაუცველი ჩანდა. სიბრალულისგან გული მომენვა, მინდოდა მივსულიყავი და გულში ჩამეხუტებინა, მაგრამ აქ ეს შეუძლებელი იყო და თვალებით

გოგონების ძებნას შევეუდექი, ოღონდ ისინი სახლიდან არც გამოსულან.

სასაფლაოს ჭიშკრამდე მივედევნიე და უკან გამოვბრუნდი. ეზოს გასწვრივ, ჩიხში ბრეზენტის ჩარდახი გაემართათ და ორი ასეული კაცის სამყოფი ხორაგი მაგიდაზე ეწყო. მშობოდა, მაგრამ იქითკენ არც მიმიხედია. ოთახში შევედი, წამოვწექი და წინა დღეს გოგონების მიერ ძღვნად მორთმეული ხილი მივირთვი, თან წიგნი გადავშალე, ფრანგთა სამეფო კარის ინტრიგებს ჩავუღრმავდი. სოფელში არავის ვიცნობდი და სურვილიც არ გამჩენია ჭირის სუფრაზე ახალი ნაცნობები შემეძინა.

გვიანობამდე ვკითხულობდი. გარეთ კარგა ხანს ისმოდა შეზარხოშებულთა ყაყანი. ერთხანს ჩხუბის ხმებიც მომესმა. მერე მთვრალეები ჯგუფ-ჯგუფად დაიშალნენ. ზოგმა სიმღერა წამოიწყო, დაავიწყდათ, ქელებში იქეიფეს თუ ქორწილში. ერთხანს ისმოდა ჩხაკუნის, სოფლის დედაკაცები ჭუჭყიან ჭურჭელს აგროვებდნენ. ბოლოს, უკვე საკმაოდ გვიანს, სრული მდუმარება ჩამოწვა. წიგნი დავკეციე, ნათურა ჩავაქრე და ბალიშს ჩავეხუტე.

დამთავრდა ერთი სიცოცხლე, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა საჩემო ფათერაკები. დღეს ამ სახლში ხუთი სული ვრჩებოდით და ვერ ვინინასწარმეტყველებდი, ჩვენს შორის ხვალ რა საჭადრაკო პარტია გათამაშდებოდა.

ეს გავიფიქრე და ჩამეძინა კიდეც, უფრო სწორად ისეთ სიზმარში შევცურე, რომლის შინაარსი წუთის შემდეგ მეხსიერებიდან ქრებოდა და ვერ გამეგო, მართლა მეძინა თუ თვალდახუჭული უთავბოლო ფიქრთა მდინარებას მივყვებოდი.

— აჰ! — წამოვიძახე შიშნუელად და საწოლზე წამოვიწიე. გარეთ მთვარე ქათქათებდა, ღია კარში კი ქალის სილუეტი გამოიკვეთა. მთვარის შუქი თეთრ პერანგს ატანდა და მის გამჭვირვალეობაში შიშველი სხეული ილანდებოდა.

— პრინცესა! — ჩავიჩურჩულე და გამომეღვიძა. ნელანდელივით ბალიშს ვიყავი ჩახუტებული და ყურუშ სიბნელეში ვერაფერს ვარჩევდი.

„თურმე მესიზმრა!“ — გავიფიქრე.

მსუბუქი ფეხის ხმა მომესმა. ვიღაცა კარისაკენ მოდიოდა. შიშმა შემბოჭა, ძლივს წამოვჯექი და იმ ადგილს მივაშტერდი, სადაც კარი იგულისხმებოდა.

აგერ კარამდე მოაღწია, გაჩერდა, გაისუსა.
მეც გასუსული ვარ, გული სწრაფად მიცემს და ასე მგონია, ჩემი გულის ხმაური კართან შეყოვნებულს ესმის.

სახელური გაჩხაკუნდა. აი, კარი ნელინელ იღება, ანჯამები მსუბუქად ჭრიალებს და ზღურბლზე რაღაც თეთრი ილანდება.

— აჰ! — აღმომხდა.

— სსუ! — მაფრთხილებს მოსული.

კარი მიხურა და შეყოვნდა, ალბათ ჭოჭმანობდა.

— ვინა ხარ? — ხმადაბლა ვიკითხე.

— სსუ! — ქალის ხმამ მეორეჯერ გამაფრთხილა.

„ვინ არის? — ავლელი. — რომელმა გახედა?“

ნაბიჯი გადმოდგა, ერთი, მეორე... ის, რაც თეთრად ილანდება, ალბათ ღამის პერანგი, აფრიალდა, მივხვდი, თავზე გადაიძრო და ხელით საბნის კიდე მოსინჯა.

უცბად საბნის ქვეშ შემოსრიალდა ქალი-გველი, გრილი, სალუქი, ელასტიური... „ვიღუბები!“ — გავიფიქრე და ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ამ სიბნელეში ეშმაკეული სიშავით გაიბრწყინა მისმა თვალებმა და ხმის კანკალით ამოვთქვი:

— პრინცესა...

ხმადაბლა, მოგუდულად ჩაიციინა და ნიკაპზე მაკოცა.

ტუჩები შუბლზე შევახე, მერე წარბებს შორის, მერე თვალებზე ვაკოცე, ერთზეც და მეორეზეც. მერე ბაგეებს დავაკვდი. თითები ჩავაცურე ქვევით, ვიგრძენი კისრის ძარღვის ფეთქვა, სალუქ მხრებს ჩამოვყევი და მკვრივი ძუძუები ხელისგულეებში ჩამივარდა... მე ვკოცნიდი მის ტუჩებს, ნიკაპს, მკერდს... ისიც მიკოცნიდა ტუჩებს, კისერს, მკერდს... ენით ჩამომივლიდა და ჩემი სხეულის ნაკვთები თრთოლით პასუხობდა.

ხელი ჩავასრიალე მის მკვრივ მუცელზე...

სიგიჟემ შემიპყრო და ერთნი გავხდით.

ის წამი უსასრულო მომეჩვენა, იმან კი ყურის ბიბილოზე მიკბინა და ჩამჩურჩულა:

— ნუ ჩქარობ, დილამდე შორია!

მისმა სიფხიზლემ წამით გონს მომიყვანა, ოღონდ ფიქრი სად შემეძლო, სტიქიის ტყვეობაში ვიყავი და ისევ და ისევ ვესწრაფოდი უსაზღვრო ტკობას.

კვლავაც ვკოცნიდი მის ბაგეებს, მისი მკერდის ბორცვაკებს, მის მკვრივ მუცელს, ცახცახით რომ მპასუხობდა...

ისიც მიკოცნიდა, მისი თბილი ხელები დასრიალებდა ჩემს ნაკვთებზე და პასუხად ერთიანად მაძაგძაგებდა... მისი ტანის ბორგვას ჩემი ინსტინქტი ეხმიანებოდა და ნეტარების მწვერვალზე ასულნი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დავფრინავდით.

დიახ, დილამდე შორი იყო, მაგრამ შორი დროც მცირეა ბედნიერებისათვის. არც მანამდე განმიცდია ასეთი რამე, ვინ იცის, ხვალეს ცოცხალი შევეგებებოდი თუ არა და აწყმოს განცხრომით ვერ ვიღლებოდი.

ისევ და ისევ ვიხარჯებოდი, სურვილს ვუკლავდით ერთმანეთს, ისევ დაუდგრომლად ვეძლეოდით სიშმაგეს.

ეს შეჭიდება ყოველ ჯერზე უფრო ხანგრძლივი, უფრო მწველი იყო და მეტ ძალ-ღონეს გვახარჯვინებდა.

ნეტარებისაგან კვნესოდა, მე კი ყვირილი მინდებოდა, მაგინყდებოდა, რომ სხვა ადამიანებიც არსებობენ, ისინი, ვისაც ჩვენი ბედნიერება არ გაახარებს. ექსტაზში ჩაძირულს მინდოდა ხმამალლა გამეცხადებინა ეს უცხო, ღვთაებრივი სახელი — „რენატა, რენატა, რენატა!..“ ორის ერთარსად გადაქცევის ეს უძლეველი ლტოლვა, ვიცოდი, დამთავრდებოდა, მაგრამ მერჩივნა, ბოლო წერტილი სიკვდილი ყოფილიყო, რადგან ამიერიდან სხვა ვერაფერი მომიკლავდა წყურვილს, ბედნიერების სხვა სიმაღლეებს ვერასოდეს შევწვდებოდი.

გარიჟრაჟამდე ნახევარი საათით ადრე, როცა ღამისაა ღონისაგან დავიცალე, პრინცესა გამოფხიზლდა და ჩემი ლოგინიდან გასრიალდა.

— დროა! — წამჩურჩულა.

— რენატა! — გავძახე ჭირვეულად, არ მინდოდა მის გაშვება, ის სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო აქ, ამ ოთახში, აქ უნდა დაგვემთავრებინა სიცოცხლე, მაგრამ ის სწრაფად დაიხარა, მაკოცა და ღამის პერანგი გადაიცვა.

წამიც და გაქრა, გაფრინდა.

— რენატა! — ვინეკი და ვიმეორებდი, ბედნიერების ცრემლი დამდინდა, მაგრამ ამ უსაზღვრო ბედნიერებას მცირედი ტკივილი მოჰყვა, თანდათან შემიპყრო, გული შიშით ამითრთოლდა. ეჭვი

დამეუფლა — „დღეს რენატა ვიპოვე, მაგრამ დღესვე დაეკარგე!“ ვერ გავიგე, ვინ ჩამჩურჩულა, ვინ მიკარნახა ეს სიტყვები, ოლონდაც, ბედნიერების ცრემლები მწუხარების ცრემლებად გადამექცა და სულ მალე ჩემს დაღუპულ სიყვარულს დავტიროდი.

ტირილი სლუკუნში გადამეზარდა და ძილში ჩავყვინთე.

მეგონა, რომ დიდხანს ვიძინე. თვალი გავახილე. ფანჯარაში სინათლე შემოდოდა, თუმცა მზე ჯერაც არ ამოსულიყო.

გარედან უცნაური ხმა მომესმა, ვილაცა სლუკუნებდა. ისიც კი გავიფიქრე, ჩემი საკუთარი ნევრასტენული სლუკუნი ხომ არ ჩამესმის-მეთქი. ისეთი ხმა იყო, ხანგრძლივი ტირილის შემდეგ თავს რომ ვერ იკავებენ.

დანგრეული ლოგინიდან ძლივს ამოვძვერი და სწრაფად ჩავიცვი.

კარი ფრთხილად გავალე. იქვე, ჩემი ზღურბლის სიახლოვეს, გვანცა ჩამომჯდარა, თავით კედელს მიყრდნობია და სძინავს.

რეტდასხმულივით ვიდექი, მერე ფრთხილად მივუახლოვდი. ეტყობოდა, რომ დიდხანს ტიროდა და ამ ტირილში ჩაეძინა კიდეც. მძინარესაც დარდი გულში ვერ ეტეოდა და სუნთქვას შიგადაშიგ სლუკუნს ამოაყოლებდა.

უნდა გამეღვიძებინა, აქ ხომ დილის სიგრილისაგან გაცივდებოდა, მაგრამ საშინელმა ეჭვმა შემიპყრო. ვაითუ პატარა გვანცამ ყველაფერი ნახა და გაიგონა! ლაჩრულად შემეშინდა, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, უხმაუროდ გავეცალე, ეზოდან ქურდივით გავიპარე და თავი ტყეს მივეცი.

ფიჭვებში განვმარტოვდი, აჩემებულ სკამზე ჩამოვჯექი, ზურგით ფიჭვს მივეყრდენი და დავფიქრდი: ნუთუ ჩემი სიყვარული დანაშაულია? მაშ, რატომ შემეშინდა პატარა, უბინო გვანცასი? ალბათ იმიტომ, რომ გოგონას თვალსაწიერიდან ჩვენი ქმედება სიყვარულის ხიბლისაგან დაიცალა და სულ სხვა სახელი ეწოდა.

სირცხვილისაგან აღმური ამსდინდა და მდუმარე ტყეში კინალამ შევყვირე — არა, არა, გვანცულიკა, სიყვარული დანაშაული ვერ იქნება!

ოლონდაც, გვანცას სლუკუნმა მიმახვედრა, ბავშვის თვლებში კერპები დაიმსხვრა. „ჩემს თვალში?“ — საკუთარ თავს ვკითხე. ნუხელ მე ბედნიერი ვიყავი, განცხრომის მწვერვალზე ვიფრინე, მაგრამ ნუთუ მხოლოდ ეს მსურდა? ღამეულმა თავგადასავალმა

რალაც დამაკლო, რალაცას ფასი დაეკარგა, მაგრამ ამაზე ფიქრი არ მინდოდა.

აღმოსავლეთით, მთის მწვერვალიდან წითელი მზე ამოიწვერა, ჟანგისფერი, ცივი სხივები გადმოეფინა. გამაჟრჟოლა, უმჯობესი იქნებოდა შინ შებრუნება. ჩემს პრინცესას, ვიცოდი, ჯერაც ეძინა. უფლება მქონდა, მეც გამომეძინა. შუადღის თაკარა მზის ქვეშ ყველაფერი უფრო ლამაზად გამოჩნდებოდა. თუმცა ეს შეუძლებელი იყო, რადგან ჩემს კართან მოკუნტულს ეძინა პატარა გვანცას, გვანცულიკას, მსაჯულად და სასჯელად რომ მომეველინა.

ავდექი და ტყის სიღრმეს მივაშურე, რათა დრო გამეხარჯა. ხეობის კიდეზე, ფიჭვის გადაჭრილ კუნძზე შევდექი და ტოტებს შორის დავაცქერდი მდინარის სარკეს, მის მიღმა კი ასფალტის კლაკნილს, რომელზეც იშვიათი მანქანა გუგუნით ჩაივლიდა.

დიდხანს ვიდექი ასე, ვცდილობდი ეჭვები გამეფანტა და სულიერი სიმშვიდე აღმედგინა.

მზე საკმაოდ მაღლა ავიდა და მის სხივებს მცხუნვარება შეემატა. შინისაკენ შევბრუნდი.

ხეებს მიღმა, სოფლიდან მიმავალ გზაზე „ვოლგამ“ გამოიარა. აქედან ვერ ვხედავდი, თუ ვინ იჯდა საჭესთან, მაგრამ მძღოლის გვერდით მჯდომი ქალბატონის პროფილი ნაცნობი მომეჩვენა.

ავლელი და ფეხს ავუჩქარე.

ეზოში არავინ დამხვდა, კიბის თავზე წინელი იდგა, მივხვდი, ჩემს შესახვედრად შეეყოვნდა.

ავირბინე და, ახლოს რომ მიგულა, თანაგრძნობით ჩამჩურჩულა:

— გამირთავმირო, შენი რაინდობისა და გატეხილი თავის გამო შესაფერისად ხომ დაგაჯილდოვეს?

ყველაფერი იცოდა.

ვითომ ქარაგმას ვერ მივუხვდი, გვერდი ავუქციე და მაგიდას მივუჯექი.

ანა-მარია ჩაის ჭიქას აწვალე და, შემომხედა და საშინლად განითლდა.

მეც უნებლიეთ გავწითლდი, ამანაც ყველაფერი იცოდა.

— ჩაის დამალევენებთ? — სანწყლად ვითხოვე.

ანა-მარიამ ჭიქა ჯიქურ გასწია, წამოხტა და გაიქცა, მხრები უცახცახებდა.

— ამას რა ეტაკა?
 ნინელი ჩაი დამისხა, წინ დამიდგა და მხოლოდ მაშინ მიპასუხა:
 — ზღაპრის გმირმა გოგონათა გულებს ასფალტის სატკეპნივით გადაუარა!
 — რა ზღაპრის გმირი?! — გაღიზიანებულმა უხეშად მივუგდე. არაფერი მითხრა, შაქარი მომიჩოჩა და წყნარად მიყურებდა, სანამ კოვზით შაქარს ჭიქაში ვიყრიდი. ერთი კოვზიც მყოფნის ხოლმე, ახლა კი გულმოსული თავს ანგარიშს ვერ ვუნევდი, ვიყრიდი და ვიყრიდი. მეშვიდე კოვზი რომ ჩავიყარე, გაცეცხულმა მკითხა:
 — რა მოგდის?
 კოვზი დავაგდე.
 — რენატას სძინავს?
 პასუხი დააყოვნა, დაკვირვებით მათვალეირა. მე უფრო და უფრო ვღიზიანდებოდი და მაშინ სასიკვდილო დარტყმა მომაცენა:
 — რენატა ქმარმა წაიყვანა!
 ყელში სპაზმამ წამიჭირა, კი არ ვიკითხე, ამოვიხრიალე:
 — ქმარმა?
 — ჰო, არ იცოდი, რომ გათხოვილი ქალია? მისი ქმარი ისეთი ფულიანი ბიძაა, რო...
 თვალთ დამიბნელდა, გავითიშე... გონს რომ მოვედი, ნინელი თავზე მადგა და შეშინებული მეკითხებოდა:
 — რა გჭირს, უჩა, რა გჭირს?
 არაფერი მითქვამს, სკამიდან ძლივს წამოვდექი. კიბეზე რომ ჩავდიოდი, მოაჯირს ვეჭიდებოდი, რათა არ დავგორებულიყავი.
 ათ წუთში იქაურობა ისე დავტოვე, მშვიდობა არავისთვის დამიბარებია.
 საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი, მეგონა, თავს მოვიკლავდი...

მე, უფლისწულ უჯუშს გული გადამეკეტა, არც ნადირობა მართობდა, არც ლხინი და ღრეობა, ომში წასვლა არ მეწადა, რადგან დიდება არაფრად მიჩნდა... ყველაფერი ხელთ მეპყრა — ძალა,

ხელისუფლება, სიმდიდრე, ოღონდ სიცოცხლის სიხარული დავკარგე. სიყვარული მწყუროდა, მაგრამ ქალის დანახვაზე გული არ შემეიტოვებოდა, რადგან ქალი მაცდურია, ეშმაკთან წილნაყარი.

ჩემი, უჩა ლურწკაიას მეხსიერებაში წერია ეს სიტყვები, ეჭვებისა და ჭეშმარიტების ნაზავი... ნუთუ მართლაც ასე იყო ყოველივე? იქნებ დღევანდელი ჩემი მარტოსულობის გამოძახილია წარსულის ეს ზმანება. საიდან შემომრჩა წვეთი ბალღამისა, არსებობას რომ მიწამლავდა, რომელ ზღაპარში ამოვიკითხე ამბავი უფლისწულის მარტოობისა. მაზოხისტური ერთგულებით ვაცოცხლებდი იქნებ არარსებული სიცოცხლის მტანჯველ მდინარებას, მეხსიერების ფარდაზე ვქსოვდი ნაცრისფერი ძაფებით და ყველა სხვა ფერი ამ უფერობაში იკარგებოდა.

ბრძანა ხელმწიფემ, დიდმა მამამ, სიყვარულია წამალი, მოვიწვიოთ სამი სამეფოს სამი პრინცესა, იქნებ უფლისწულს გული გაეხსნასო.

სამი მხარისაკენ გაემართნენ ელჩიონნი, განძით დატვირთული ჯორ-აქლემები აახლეს მეზობელ ხელმწიფეთ, სამი პრინცესა ინვიეს.

პირველად ჩრდილოელმა პრინცესამ ჩამოაღწია თეთრ ბედაურზე. დიბა-ატლასი ეცვა, ოქროს გვირგვინი თავზე ედგა, ოქროსფერი თმები ჩქერალებად მხრებზე ეღვრებოდა.

ლურჯი თვალეები მოანათა უფლისწულს, პირისახე მწყაზარი ჰქონდა, ტურ-კბილი წყობილი.

„მზეთუნახავია!“ — ყვიროდნენ დიდებულნი.

„ცით ამომავალი ვარსკვლავია!“ — იძახდნენ კარისკაცნი.

მიეახლა უფლისწული, ცხენიდან ჩამოსვა და თვალეებში ჩახედა. თითქოს დაიშრიტა თვალეების სიკამკამე, მწყაზარი პირისახე სიბერის ნაოჭებით დაელარა პრინცესას, თეთრი კბილები ღრჯობლებად გადაექცა, წკრიალა სიცილი უხიაგ ქირქილში გადაეზარდა.

„განვედ, კუდიანო!“ — ბრძანა უფლისწულმა და მისი გული უფრო დამძიმდა.

მეორედ ჩამოაღწია ჯორის ტახტრევანზე დაბრძანებულმა დასავლეთის პრინცესამ. ოქრომკედით ნაქსოვი კაბა ეცვა, თავზე

მარგალიტებით მოოჭვილი გვირგვინი ედგა, ნაბლისფერი თმები მხრებზე ეფინა.

თაფლისფერი თვალებით შემოჰხედა უფლისწულს, პირისახე ცვილისფერი ჰქონდა, ტურ-კბილი მწყობრი.

„მზეთუნახავია!“ — აყვირდნენ დიდებულნი.

„მზეს თვალებს უბრმავეებს!“ — იძახდნენ კარისკაცნი.

მიეახლა უფლისწული, ტახტრევიდან ჩამოსვა, თვალეში ჩახედა.

თითქოს ჩაქრა თაფლისფერი თვალეები, ცვილისფერი კანი დაეჭმუჭნა დედაბრის ნაოჭებით, უკბილო ღრძილები გამოაჩინა და ხრინჩიანი ხითხითი გამოსცა.

„განვედ, კუდიანო!“ — ბრძანა უფლისწულმა და მის გულს კიდევ ერთი ლოდი დაანვა.

აქლემზე ამხედრებულმა ჩამოაღწია აღმოსავლეთის პრინცესამ. აბრეშუმის კაბა ემოსა, შუბლი აბრეშუმისავე ლეჩაქით შეეკრა. შავგვრემანი და ეშხიანი ჩანდა, კუნაპეტი, შავი თვალეები მოანათა, ბაგეზე ვარდი გადასდიოდა.

„მზეთუნახავია!“ — აყვირდნენ დიდებულნი.

„მზე და ვარსკვლავნი ჩააბნელა!“ — იძახდნენ კარისკაცნი.

მიეახლა უფლისწული, აქლემიდან ჩამოსვა, თვალეში ჩახედა.

შავ ორმოებად გადაექცა პრინცესას შავი თვალეები, კანი ყავისფერ ნაოჭებად ჩამოეფინა და პირის კუთხეებში ორი ყვითელი ეშვი ამოეზარდა.

„განვედ, კუდიანო!“ — იყვირა უფლისწულმა.

სასახლის შორეულ კუთხეში სენაკი შეარჩია, ფანჯრებზე დარაბები ჩამოუშვა, კარები ჩარაზა და ბნელში მარტოობა ისურვა.

„მაპატიე, პატარა თებრონე!“ — შესთხოვა...

სადღაც უღრანი ტყის პირას კოცონი ენთო, ირგვლივ სამი ჯადოქარი იჯდა და ხითხითებდნენ...

კარი მივხურე და ხელმარცხნივ მომცრო საძინებელს მივაშურე. იმისი კარი პატარა აივანზე გადის. ამასწინათ სახლის ფას-

ადი შედეგებს, აივანს ლურჯი პლასტიკატი ააკრეს. გადავეყუდე და ტროტუარს მზერა გავაყოლე. თითო-ოროლა გამვლელი შევნიშნე, თუმცა გოგონა, მეხსიერება რომ გამიღვიძა, ვერ დავლანდე, ალბათ რომელიმე სადარბაზოში შევიდა.

რა სიგიჟეა? მეხსიერების რომელ პლასტში არსებობდა ის გოგონა, ესევე მარადის ნორჩი რომ დარჩა. მოგონება გულს მიმღვრევს, დანაშაულის გრძობა მღრღნის. ეს ისეთი სასჯელია, რომელსაც ვერასოდეს გამოვისყიდო. თავდაცვის ერთადერთი საშუალება დავინწყება, მეხსიერებიდან ამოშლაა, ამას კი მხოლოდ სხვა მოგონებანი გადაფარავს. ვცდილობ, წარსული მოვიჩხრიკო, იქნებ რაიმე სახალისო ამოტივტივდეს, მაგრამ იქსიცარიელეა, იმ შავ ჭაში არაფერი ბყუტავს. ანმყოც უსიხარულოა. ვარ ამ ბინაში გამომწყვდეული. ქუჩაში მანქანების უწყვეტი ნაკადი მოძრაობს. სხვადასხვა ხმებით გუგუნებენ ძრავები, ჭყვირიან, პიპინებენ კლაქსონები, ვილაცას მოდური რეპი ჩაურთავს და ისე ჩაივლის, თითქოს თავში კოდალა მიკაკუნებდეს. ოღონდაც, ეს ხმები ჩემს გულს არ ეკარება, ჩემს გულს თრთოლის უნარი დაჰკარგვია, ჩირივით გამხმარა და მისი პარკუჭები უღონოდ ტუმბავენ სიბერის შედეგებულ სისხლს.

მომავალიც არა ჩანს, რადგან ასეთი ყოფიერება დიდხანს ვერ გასტანს. ვერაფერს დავგეგმავ, ჩემთვის ყოველივეს დაეკარგა აზრი. შემიძლია, სხვათა მხიარულ ღრეობას თვალი მივადევნო, მაგრამ ეს არ მახალისებს, რადგან იმათ ჯერ არ იციან, რომ სიცოცხლის ეს ზეიმი დამთავრდება. წინ დიადი არარაა, რომელშიც ყველანი მარტონი ჩავინთქმებით. ყველაზე მძიმე, მოურჩენელი სენი მარტოობაა და უკიდევანობაში გატყორცნილი ჩვენი სული ვერავის და ვერაფერს პოვებს, გარდა უსასრულო მონყენილობისა.

ამ უსასრულობაში სადაა სამოთხე ან ჯოჯოხეთი? სად იფრენს ჩემი ეული სული, შორეული პლანეტების შხამიანი ქარაშოტები წარმიტაცებს თუ ყინულოვანი სამყაროების ცივი ერთფეროვნება? მცირეა ნათელი და უსაზღვრო ბნელი. იმ მარადიულ ღამეში, ვინ იცის, სად დაბორიალობენ ისინი, ვისაც ძალუძდა ჩვენი მარტოობის სენის ძლევა, მაგრამ აღარ დასცალდათ.

სასტუმრო ოთახში შევბრუნდი. არჩევანი მიჭირს, რაკი ჩემი დაღლილი სხეული ან სავარძელს ითხოვს, ან ტახტს. ვიცი, არ დამეძინება, ტახტიდან ადგომაც გამიჭირდება და ამიტომ სავარძელში ვეშვები, ტელევიზორის პირისპირ.

ალაღბედზე ვრთავ. შილიფად ჩაცმული გოგოები ხალისიანად ტლინკაობენ. მუსიკა და სიტყვები სექსუალობის უაზრო მონოდებაა. ჩემი სხეული კარგა ხანია ამაზე არ რეგირებს, რადგან ხორცმა უკვე უარი თქვა სიცოცხლის ინსტინქტზე, სიკვდილი კი არაფერია, გარდა სურვილების უარყოფისა.

ვთიშავ ტელევიზორს და წნევას ვიზომავ. ჩემი წნევა ხან მაღალია, ხან ძალზე დაბალი. ამაზე არ ვრეაგირებ, უბრალოდ ვარკვევ, შემოძლია თუ არა ყავის მირთმევა. ამჯერად არ შემოძლია, მაგრამ მაინც ჯეზევითი ვიდუღებ და პატარა ფინჯანში ვისხამ. ჯერაც ხომ ვარსებობ, მაშასადამე რაღაც კალორია მჭირდება.

გულის არეში ჩხვლეტასა ვგრძნობ. ეს ყავის ბრალი არაა, უბრალოდ, ჩვეული განცდაა. ხაროს პირას ვდგავარ და ველოდები, ეს უსიამოვნო ჩხვლეტები როდის გადამექცევა დიდ, ყოვლისმომცველ ტკივილად.

მე არ მეშინია ტკივილისა. ტკივილი ჯერაც სიცოცხლეა, თანაც იგი შეიძლება გადაიქცეს გზაგასაყარად, რის მიღმა იწყება შეუცნობელი. არც შეუცნობლის მეშინია, რადგან გარდუვალს მაინც ვერსად გაექცევი.

ჩემზე უმცროსნი ველარ გაექცნენ, ისინი, ვისზე ფიქრმა სიცოცხლის ხალისი ჩამიქრო... ჩემი გვანცა, მირაბელა, რენატა, პრინცესა ანა-მარია...

პრინცესა ანა-მარია

ალბათ მეხსიერებაში არც ჩამრჩებოდა ეს გაცრეცილი, შეუხედავი გოგო, რომ არა ის გიჟური გატაცება, ის ბედნიერება და შემდეგ აუტანელი ტკივილი, რაც რენატამ მარგუნა. ხშირად ხდება ხოლმე, ლამაზი გოგო გვერდით ნაკლებ სახიერს ამოიყენებს, იმას ედაქალება, ამით თითქოს ცდილობს საკუთარი სილამაზე უფრო მკვეთრად წარმოაჩინოს. ამიტომაც დამამახსოვრდა ის ორი ქალიშვილი, წითელლოყება ნინელი, რომლის საბედო მართლაც კოლმეურნეობის ბრიგადირი აღმოჩნდა, და ანა-მარია, ვინაც ჩემს

მეხსიერებაში გამჭვირვალე ლანდად ჩარჩა. ისღა ვიცოდი ბეჯითად, უშნო არ ეთქმოდა, მაგრამ იმ გოგონების რიგში ჩავნერე, რომლებიც არასოდეს, არც ერთი წამით ჩემი გატაცების საგანი ვერანაირად ვერ იქნებოდა (ღმერთო ჩემო, არასოდეს არა თქვათ არასოდეს!).

ამ წლების მანძილზე გვანცაც არ მენახა, თუმცა ჩემში მუდამ არსებობდა შეუცნობელი რამ — ჩემს მხარზე სამუდამოდ დარჩა ის შეგრძნება, როცა პატარა გოგომ სანდომიანად თავი მომაყრდნო და გაიტრუნა. ჩემს სიზმრებში ხშირად სტუმრობდა გვანცულიკა, ხან ცხრა წლისა, ხანაც ცამეტისა, მოცებდა ეს ნაჭრილობევი, პატარა გოგომ რომ შემატოვა. ვფიქრობდი, რომ ამით ვიკმაყოფილებდი ჩემში ინსტინქტურად არსებულ უფროსი ძმის კომპლექსს. მიკვირდა კი, რომ ეს ფოფინა შეგრძნება თითქოს გადაფარავდა გრძნობათა იმ ნიაღვარს, რაც განვიცადე ადრე, როცა მირაბელამ გამიტაცა, შემდგომ კი რენატამ... ის ცეცხლი, რამაც გული დამიფერფლა, თანდათან ჩაქრა, ჩაიფშუტა, ნაცრად იქცა, დროის მდინარებამ ის ნაცარიც წარეცხა და ისეთი ასაკიც დამიდგა, როცა გაკვირვებით ვიხსენებდი და ვერ ამომეხსნა, თუ რამ გამაგიჟა... ხოლო გვანცა, სოფლელი გოგო, დარჩა ჩემი მეხსიერების მუდმივ ნაწილად.

წერილებს მწერდა, თუმცა არცთუ ხშირად, ხან თვეგამოშვებით, ხან რამდენიმე თვით მეკარგებოდა. ცხადია, ფიჭვნარში მარტოს არავინ დატოვებდა. საბავშვო სახლში გაამწესეს, ობოლთა თავშესაფარში. ბევრჯერ მქონია სურვილი, მენახულეებინა, მაგრამ მრცხვენოდა იმ ლამის გამო, მზერას ვერ გავუსწორებდი მის მწვანე თვალებს. ლაჩარი აღმოვჩნდი და ვერანაირად ეს სილაჩრე ვერ დავძლიე. არადა, მის წერილებში, იმ უბრალო, მარტივი სიტყვების ქვეტექსტში აშკარად ვგრძნობდი ობლის სევდას. არავინ ამ ქვეყანაზე არ ჰყავდა და მეც ვულალატე, ვუგანე, ვეცადე დამევიწყებინა, თუმცა ვერ დავივინყე.

რენატას არ მიხსენებდა იმ წერილებში. ნინელის გათხოვების ამბავი ისე მაუნყა, თითქოს მისი ბედი იმ ყავის ფინჯნით მე გადამეწყვიტოს. ერთხელ ანა-მარია მიხსენა, მინახულაო. ამით იქნებ იმის თქმა ენადა, აგერ მეგობრები არ მივიწყებენო. ვინ ანა-მარია-მეთქი, გავიფიქრე.

შევეცადე მეხსიერებაში აღმედგინა, გაცრეცილ ლანდში სიცოცხლის ნიშანწყალი ვერ აღმოვაჩინე. ისღა გამახსენდა, რომ იტი-

რა. მგონი, მოვწონდი კიდეც, თუმცა ამ გაფიქრებამ იმდროინდელი უხერხულობა გამიცოცხლა, რაკი ეს მოწონება რენატასაკენ მიმავალ გზას მირთულებდა.

წლები ამასობაში წელა მიზოზინებდა. ჩემი გზა ინტელექტუალის ტრადიციულ გზად მესახებოდა — ასპირანტურა, საკანდიდატო, ლექციები... ჩემი დისერტაციის თემა სადღაც ფოლკლორსა და ასტრონომიას შორის გადაბუღულ ხიდსა ჰგავდა. იგი დასახლებული იყო ხალხის წიაღში დაბადებული ურჩხულებითა და მზეჭაბუკებით, რომლებიც იბრძოდნენ და ურთიერთმოქმედებდნენ უთვალავი ვარსკვლავით მოჭედილი ცის კაბადონზე. სალექციო კურსიც შესაბამისი მქონდა — ფოლკლორი და წარმოდგენები სამყაროზე. მომცრო აუდიტორიაში ათიოდე ახალგაზრდა მისმენდა ხოლმე. ზოგის თვალში გულგრილობა თვლემდა, ესენი აქ მხოლოდ ჩათვლის იმედით ისხდნენ. ზოგნი ინტერესს ავლენდნენ. თითო-ოროლა მეცნიერულ კარიერაზე ოცნებობდა. გოგონების ნაწილი ახალგაზრდა ლექტორს თვალებს უყუყუუნებდა, თუმცა მისი სიტყვებისა არა ესმოდათ რა. ოღონდაც, ჩემი გული დახშული იყო. კარგა ხანია მივხვდი, რომ სიყვარული ნიჭიერებაა და ადამიანთა უმრავლესობას იგი არასოდეს ეწვევა. მეც, ალბათ, იმათ რიგში ვეწერე, ვისთვისაც, ჩემი სტუდენტური ამხანაგის გივიას თეორიისა არ იყოს, მხოლოდ სექსი და ხორციელი დროსტარებაა მისანვდომი.

ცხადში ოცნებები და სიზმარში დევებთან ჭიდილი პურს ვერ მაჭმევდა. სხვა რა გზა მქონდა, ჩემი მოხერხებული კოლეგების გზას დავადექი, აბიტურიენტები შემოვიკრიბე და ჩემი ცოდნით ვაჭრობას შევუდექი. ამან ზომიერი შემოსავალი გამიჩინა, ბინისა და „ნოლ-ექსის“ ყიდვა მოვახერხე. ახლა ისლა დამრჩენოდა, ამ ლამაზ-ლამაზ გოგონებში ერთი ვინმე შემერჩია, ცოლად დამესვა და, თუ ჭეშმარიტმა სიყვარულმა გვერდით ამიარა, შვილებს მაინც შევიყვარებდი. ყოველივე ეს სასხვათაშორისო ჩანაფიქრი იყო, თორემ დაოჯახებას არ ვჩქარობდი. არადა, იმ ასაკს მივალნიე, როცა წამდაუნუმ გეკითხებიან, რას შევბი, ბიჭო, ცოლი არ მოგყავს? თითქოს ცოლის მოყვანა უბრალოდ რიტუალი იყოს და მეტი არაფერი, არავინ კითხულობს, შენი გული რას ამბობს, ვისთვისა ძგერს.

გვანცამ მომწერა — „ანა-მარია მარტოა!“ რას ნიშნავდა ეს ორი სიტყვა? მე რატომ უნდა მაინტერესებდეს მისი მარტოობა? ან სადა მაქვს წამალი, რომ ეს მარტოობა განვუქარვო? კარგა ხანს ვფიქრობდი ამ სიტყვებზე, იმაზე მეტს, ვიდრე იმსახურებდნენ. უკვე დიდი დრო გავიდა, გვანცა, ცხადია, წამოიზარდა და მე უკვე ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა მისი წერილები, ან რა ქვეტექსტი იმალებოდა მის მიერ შემთხვევით დაგდებულ სიტყვებში.

„ანა-მარია მარტოა!“

მეც ხომ მარტო ვარ და არავის ადარდებს ჩემი სიმარტოვე. ჩემს ირგვლივ უამრავი ადამიანია მარტო. ზოგმა ეს იცის და ამით იტანჯება, ზოგმა არ იცის და ვერ ხვდება, რატომ იტანჯება.

„ანა-მარია მარტოა!“

წუთუ ეს შემთხვევით დაგდებული სიტყვებია? მნამს, შემთხვევით ამ ქვეყანაზე არაფერი ხდება.

ერთ წვიმიან დღეს ჩემს სიცხიან კოლეგას ვცვლი და შევდივარ სულ სხვა აუდიტორიაში. სტუდენტებმა იციან, რომ მათი ლექტორი ავადაა, იმასაც ხვდებიან, ათიოდე წუთს ფორმალურად ვესაუბრები, დავალებებს მივცემ და გავუშვებ. სწორედ შესაფერისი სიტყვებით ვიწყებ:

— მე თქვენ არ მიცნობთ...

და უცებ ქალიშვილი პირველი მერხიდან მანყვეტინებს:

— ბატონო უჩა, მე თქვენ გიცნობთ!

თხელი გოგოა, პირისახე ოდნავ მოგრძო, არისტოკრატიული, ცხვირი ზომიერი, სწორი, ტუჩ-კბილი ლამაზი, ცნობისმოყვარედ გაშლილი წარბები და დიდრონი, თაფლისფერი თვალები... სწორი, თხელი თმები, ღია ნაბლისფერი... ეს ჩამონათვალი მაინც არაფერს ნიშნავს, ამით მის ამოცნობას ვცდილობ, მაგრამ თითქოს ვცნობ და ვერა ვცნობ ამავედროულად... ხმა მეცნობა, მაგრამ მიჭირს მეხსიერების გაღვიძება.

— სასიამოვნოა! — დაბნეული ვპასუხობ და სხვებს ვუბრუნდები. მოკლედ, სულ რამდენიმე წინადადებით ვამბობ, რომ მათი ლექტორი გაცივდა, მაღალი სიცხე აქვს, ახალგაზრდებს შეუძლიათ დღეის სწორისათვის მოამზადონ კონსპექტი ამა და ამ საკით-

ხზე. — ახლა კი გთხოვთ, დერეფანში არ იხმაუროთ, სხვებს ხელი არ შეუშალოთ! — და უცებ ნაცნობი უცნობის წინ ვჩერდები. — თქვენ კი, ქალიშვილო, გთხოვთ, ორიოდ ნუთით შეეყოვნდეთ!

უკვე ფეხზე იდგა, პატარა ჩანთა ღვედით მხარზე ეკიდა და იმის საკეტს აწვალებდა.

საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, სრულყოფილი...

რატომ ვაქცევთ ასეთ დიდ ყურადღებას გოგონების გარეგნობას? ჩემს რჩეულებს ფიქრში „პრინცესას“ ვარქმევდი. შემეძლო კი ამ გოგონასათვის „პრინცესა“ მეწოდებინა? ეს არ იყო პრინცესა მირაბელა, იგი პატარა ნიმფეტკა გახლდათ და სინორჩეს ასხივებდა, ეს არ იყო პრინცესა რენატა, თავბრუდამხვევად სასურველი და ათასში გამორჩეული. დღეს, ალბათ, მასზე იტყოდნენ „სექსუალურიო“, იმ დროს კი ასეთ სიტყვებს ერიდებოდნენ... მაგრამ ეს იყო სულ სხვა — ლოტოსის ყვავილი!

დუმილი გამიგრძელდა. ეუხერხულა, შეტოკდა, თანდათან წითლდებოდა.

— ვერ მიცანით?

— ანა-მარია... ნაცრისფერი ბელურა უფერულ ნისლში გაუჩინარდა. ახლა ის ნისლი გაიფანტა და ბელურა პრინცესად გადაიქცა... ზღაპარია!

თვლები აუნყლიანდა, ხოლო მე დავამატე:

— მაშინ ის ბელურა ატირდა და გაიქცა! რატომ?

— სულელი იყო და იმიტომ! — მოჭრით მიპასუხა, პატარა, ლამაზი შუბლი შეეჭმუნხა, სწრაფად შეტრიალდა და კარისაკენ გაემართა.

მეც მივდიე.

დერეფანში გვერდიგვერდ, უხმოდ მივდიოდით. კარებს მიღმა ლექციები ტარდებოდა და ნაცნობ სწავლულთა ხმები მესმოდა.

კიბეზე უხმოდ ჩავიბრინეთ, ბალში გავედით.

ნაბიჯი შეანელა და შეთანხმებულივით გზა ჭავჭავაძის პროსპექტით განვაგრძეთ.

— სად ცხოვრობ?

— სტუდენტულ ქუჩაში, როგორც ღარიბ სტუდენტს შეეფერება!

— ჰმ, მეც იქით ვცხოვრობ, ვაკის პარკთან! წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ეს გზა ერთად ჩავისეირნოთ?

არც „ჰო“ მითხრა, არც „არა“.

ჩუმად მივდიოდით. თვითონაც ვერ ვხვდებოდი, რისთვის ავეკიდე. არანაირი „ერთი ნახვით შეყვარება“ არ განმიცდია. ამისი სამწუხარო გამოცდილება უკვე მქონდა. ოღონდაც, აქ არც ბანალური „შეკერვა“ იგულისხმებოდა. ფიქრადაც არ გამივლია, რომ ეს სიფრიფანა, გამჭვირვალე არსება ჩვეულებრივი ქალია, რომელიც შეიძლება ლოგინში ჩაიგდო, დატკბე და დაატკბო... უბრალოდ, მსიამოვნებდა მის გვერდით ასე აუჩქარებლად სიარული. იგი თითქოსდა ასხივებდა რალაც უხილავ ფლუიდებს და ჩემს სულში მშვიდი ნათელი სადგურდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას არ ერქვა „სიყვარული“, მაგრამ არ ვიცოდი, რა იყო ეს!

გვანცა ვახსენე, უფრო სიტყვის მასალად, თუმცა არამართო ამისთვის. ის ხომ მუდამ ჩემში იყო, იმ ნუთიდან, როდესაც ბაყბაყდები ჯოდოს სახლიდან გამოვიდა და თავისი მწვანე თვლები მომანათა. არაერთხელ მიფიქრია, იქნებ მისთვისაც და ჩემთვისაც უმჯობესი იქნებოდა, არასოდეს შემეფეთებოდა. განა უცნაური არაა, რომ ჩემს ტამჯვასა და სიხარულში მუდამ მონანილებოდა, ხან როგორც შუამავალი, ხან მაყურებლად, მსაჯულად, სინდისის ქენჯნას რომ მიღვიძებდა. რატომ არ მავინყდება, ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ან იმას რატომ არ ვავინყდები? აჰა, უკვე რამდენი წელი გავიდა, რაც არ შევხვედრილვართ, არ კი ვიცი, როგორი გახდა.

— ალბათ გაიზარდა! — როყიოდ ვიკითხე.

— გაიზარდა? ქალიშვილია უკვე! — გაცინა ანა-მარიას.

„როგორი გახდა?“ — მინდა შევეკითხო, მაგრამ ვერ ვბედავ. ამ კითხვაში ფარული სურვილი იმალება, მინდა პასუხად მითხრან, დაივინყე, რაც იყო, აღარ არის! ადამიანები იცვლებიან, შეხვდები და იმედი გაგიცრუვდება. სწორედ ეს მწაღია, განვთავისუფლდე წარსულისაგან. მირაბელა ფერფლად იქცა, რენატაც ფერფლად იქცა, გულის ნაჭდევეები კარგა ხანია, შეხორცდა, მაგრამ გვანცას არსებობა იმ ტკივილებს მიღვიძებს და უმჯობესია, დავივიწყო.

ანა-მარიას მელოდიური ხმა ისე ჩამესმის, თითქოს სირინოზი მიმღერის და ბანგში მხვევს. იგი ყვება გვანცაზე, გვანცულიკაზე... იქ, ობოლთა სახლში, უპატრონო ბავშვთა გარემოცვაში იგი ბედნიერი ვერ იქნებოდა. წერილები, ჩემთან რომ მოდიოდა, ანა-

მარიასთანაც, ნინელისთანაც ძაფი იყო, რითიც მარტოობის გაუსაძლის სევდას იქარვებდა. ობლების სახლი იგივე ციხეა, ტკივილსა და დარდზე დაფუძნებული. გარე სამყაროს მოწყვეტილი ბნელ ჭაში გრძნობენ თავს... ამას რომ ყვებოდა, ანა-მარიას ხმაში საყვედურის კილო გაჟღერდა. „რატომ ვარ ვალდებული, რატომ?“ — მინდა ვიკითხო, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. ის კი მიაბობს, თუ როგორ მოილია გვანცამ რვა კლასი, როგორ დაბრუნდა ფიჭვნარში, მარტო იჯდა იმ უზარმაზარ სახლში, სადაც დედაბრის ბოროტი მოჩვენება დაძრწის, ღამღამობით ურდულებით ჩარაზავდა კარ-ფანჯრებს და წარმოსახული ურჩხულების შიშით ძილ-ღვიძილში თრთოდა... ანა-მარიამ რამდენჯერმე ჩააკითხა, ერთად დასეირნობდნენ ფიჭვნარში და გვანცა მუდამ ერთსა და იმავე ზღაპარს იხსენებდა — უფლისწული უჯუშის სახელი ჟღერდა იმ ზღაპარში.

გული უცნაურად შემიხტა. უფლისწულის ზღაპარი დიდი ხანია დავივიწყე, ის კი ჩემი სიჭაბუკის დროიდან ამომძახის. რა უნდა გვანცას, რას მოითხოვს? წლები გავიდა, გაიზარდა და დროა, მიმოიხედოს! იმ სოფელში უამრავი გოგო-ბიჭია, უფრო მეტი არდადეგებზე ჩამოდის და ფიჭვების ქრელ ჩრდილში დასეირნობს, ხოლო გვანცა კვლავაც იმ ზღაპრეთს უბრუნდება, რომელიც უკვე განქარდა.

სტუდენტობამდე მივალნიეთ. ორსართულიანი, დაფეხვილი ბარაკების რიგია ჩამწყვილებული. ქიშკრიდან რიგით მეორეს აწერია „ტუბდისპანსერი“.

შევხედე ანა-მარიას, ისეთი ჰაეროვანი და გამჭვირვალეა, შემეშინდა. ჩემს მზერაში კითხვა ამოიკითხებოდა და ნაძალადევად გაიცინა:

— უსახსრო სტუდენტთა თავშესაფარია!

ვიცოდი, რომ აქ სრულიად ჯანმრთელი ახალგაზრდობა ეწყობოდა, სტუდენტობის დროს ორიოდ თვე მეც მიცხოვრია მის კედლებში, მაგრამ ამ წარწერამ ამჯერად გუნება გამიფუჭა.

გოგონას ნატიფი თითები წუთით ხელში მოვიმწყვდიე და გამოვემშვიდობე.

კარში შეცქერიალდა, თხელი კაბის შრიალი დამიტოვა, თითქოს მსუბუქმა ნიავმა ფრთა შემახოო. წასვლა არ მინდოდა, მაგრამ ჯორივით ერთ ადგილზე ვერ დავდგებოდი და გზას დავადექი ვაკის პარკის მიმართულებით, ჩემი ბინისაკენ.

უკვე საღამოვდებოდა, დღენათელი გაიცრია. მეზარებოდა ბინაში მარტო გამოკეტვა, ოღონდ სხვაგან სად უნდა წავსულიყავი. გასაღები კლიტეს მოვარგე, კარი შევალე და სიცარიელე შემომეგება. ხელჩანთა ძირს დავაგდე. ცოტა ხანს ვიდექი, თითქოს ველოდი, რომ მავანი ვინმე დამხვდებოდა, ოთახში თხელი კაბა გაშრი-ალდებოდა... სამსახური მქონდა ისეთი, ჩემს თვალწინ გოგონების თაობები იცვლებოდა, ბევრი ვნახე ლამაზიც და უშნოც, ჭკვიანიც და შტერიც, წმინდანიც და უწესოც... ჩემი გული კი არავისთვის გახსნილა!

ყავა მოვიდულე, სავარძელში მოვკალათდი და ტელევიზორი ჩავრთე. ახალ ამბებს უგულისყუროდ მოვუსმინე. „რა მჭირს?“ — თავს შევეკითხე. „არაფერი!“ — თვითონვე ვპასუხობ. ეს საღამო ჰგავს გუშინდელს, გუშინდელს, იმისდღეს... სხვანაირი საღამოები კარგა ხანია არ მქონია... იქნებ თეატრში წავიდე, ან კინოში?.. მარტოდმარტო არც თეატრი მეხალისება და არც კინო... იქნებ ანა-მარია დავპატიჟო? გუშინ გავიცანი, დღეს რანაირად დავპატიჟო?.. ნეტავი რამ ამატყუნდრუკა?.. არა, მე უკვე არავინ შემიყვარდება!.. თუმცა სიყვარული რა შუაშია, ხომ შეიძლება ძველი ნაცნობობით დავპატიჟო, მარტოობის სევდა გავიქარვო? „ძველი ნაცნობობა?“ — ეს ის დროა, როცა ატირებული გამცილდა. ალბათ, მოვწონდი! იმიტომ ატირდა, რომ სხვა ვარჩიე. ჩვენი არჩევანი ხშირად მცდარია, ვირჩევთ იმას, რაც ბრჭყვიალებს, ანა-მარიას კი ფერები არც ჰქონდა... „ახლა თუ მოვწონვარ?“ — ამ კითხვამ ამანრიალა, თუმცა რატომ უნდა მენერვიულა, მე ხომ შეყვარებული არ ვიყავი, მაშ მოსვენება რამ დამიკარგა?

ღამით ვერ დავიძინე, ფიქრები მთლად ამებურდა, იმდენი ვიტრიალე, ლოგინი ამენგრა და დილით გასწორება გამიჭირდა. საუზმე არც გამხსენებია, ფეხით გავყევი გზას სტუდენტობამდე. ხან ჩქარა მივაბიჯებდი, მაგვიანდება-მეთქი, მერე საათს დავხედავდი და სვლას ვანელებდი.

გაჩერებაზე დავლანდე — ტანკენარი და სხვათაგან გამორჩეული. ავტობუსი გაჩერდა და გავქანდი. ის წინა კარიდან ავიდა, მე უკანაში ძლივს შევასწარი. მინდოდა გადამეხადა, მაგრამ გასასვლელი სავსე იყო და სანამ წინა რიგებამდე მივალნიე, შემომლიმა.

— თქვენი ბილეთი აღებულია! — ხელჩანთას უკვე კეტავდა.

ავტობუსი გადატვირთული იყო, ზურგში მანვებოდნენ და მყარად დავექი, რათა არ შემენახებინა. მეგონა, ბრბოს უხეში ძალა გადათელავდა ამ სიფრიფანას.

მისი საფეთქელი ჩემს ბაგესთან აღმოჩნდა და მოულოდნელად გაუსაძლისად მომინდა ამ საფეთქელს ტუჩებით შევხებოდი. გამასხენდა ტრადიციული აკრძალვა — „არშეიძლება!“ ცუდლუტურად ვიეშმაკე და მზრუნველად შევეკითხე:

— სიცხიანი ხომ არა ხარ? — თან ბაგით საფეთქელს შევეხე. შეკრთა, თავი გასწია, მიმიხვდა ეშმაკობას.

ბაგეზე მისი ლბილი თმის გემო შემრჩა. გული ჩამივარდა შიშისაგან, რადგან თმებიდან საფეთქელის სიცხემ გამოატანა.

მართლაც სიცხიანი იყო!

ავტობუსი პირველი კორპუსის წინ გაჩერდა. უხმოდ ჩავედით, გვირაბი უხმოდ გავიარეთ. მე პირველი კორპუსისაკენ მიმეჩქარებოდა, იმას ლექცია მეორე კორპუსში უტარდებოდა.

ნახევრად შებრუნებულმა გამომხედა და უცნაური რამ მითხრა:

— გეხვენებით, ნუ შემეყვარებთ!

რეტდასხმულივით ვიდექი და გავყურებდი. ტროტუარი მზით იყო განათებული. კორპუსის თეთრი კედელიც სიცხეს ასხივებდა. ანა-მარიას ლამაზი წვივები მირაჟში მოძრაობდა, იაფ, დაბალქუსლიან ფეხსაცმელებს მიაბაკუნებდა. თითქოს უჭირდა მეორე კორპუსამდე მისვლა, უსუსური იყო, უღონო. მინდოდა რამენაირად დავხმარებოდი, მოვფერებოდი, გულში ჩამეხუტებინა, თუმცა ვიცოდი, სიყვარული კი არა, სიბრალული მამოძრავებდა.

იქ, ფიჭვნარში, შემომხედა და ტირილით გაიქცა იმიტომ, რომ რენატა ვარჩიე, ხოლო თვითონ ქალთა სათვალავში არც ჩამითვლია.. ნუთუ მართლაც ვუყვარდი? წლები გავიდა, მისი სიყვარულიც განქარდა და არ სურს ძველი ტკივილების გახსენება... იქნებ სურს კიდევ და უფროთხის კიდევ...

რატომ იყო სიცხიანი? „გაცივდა, ალბათ!“ — გავიფიქრე. ამაზე მეტი ან რა უნდა მეფიქრა.

მთელი დღე გონებადაფანტული ვიყავი, საპროფესოროშიც და ლექციებზეც. ყურში მისი უცნაური თხოვნა ჩამესმოდა. სხვა ვინმეს რომ ეთქვა, კეკლუცობად ჩავუთვლიდი, მაგრამ ისე უშუალოდ, ისე

გულწრფელად მითხრა... კოლეგებმა უგუნებობა შემატყვეს და არ მანუხებდნენ. სტუდენტები გასუსულნი მისმენდნენ. მე კი ვყვებოდი ჯადოსნურ სამყაროზე, რაიც სხვადასხვა ტომის ადამიანებს ათასწლეულების მანძილზე შეუქმნიათ და ზღაპრეთის ყულაბაში დაუგროვებიათ.

ბოლო ლექციის შემდეგ, ჩვეულებრივ, შინ ავტობუსით მივემგზავრებოდი. ამჯერად გაჩერებას ავცდი და მეორე კორპუსისაკენ გავემართე. ანა-მარია პირველ საფეხურზე იდგა — ლამაზი და სევდიანი.

მივხვდი, მე მელოდებოდა.

მელოდებოდა, მაგრამ როცა დამინახა, შეკრთა, თვალები განზე წაიღო, ვითომც ეს შეხვედრა შემთხვევითიაო.

— ანა-მარია! — ხმადაბლა ვუხმე, მისი თითები ხელში მოვიმწყვდიე და გვერდით გავიყოლე.

ვიგრძენი, კვლავ სიცხიანი იყო.

დაუბრებულებივით მივდიოდით. ნამნამები დაეხარა, შემოხედვას ვერ ბედავდა.

მისი დილანდელი ნათქვამი მწინკნიდა, არ შემეყვაროო, რომ მითხოვა. მინდოდა მეკითხა: — „რატომ?“, მაგრამ რაკი სიცხიანი იყო, მის აღლევებას მოვერიდე და სხვა რამ ვკითხე:

— გამაგებინე, ისეთს რას გასწავლიან ამ მეორე კორპუსში?

— ასტრონომიას!

— ოჰო! — გავიკვირვე, ჩემს ნაცნობებში ასტრონომები არ ერია.

ვერ ვიტყვი, ამ მეცნიერებაში ღრმად ვარ განსწავლული-მეთქი, მაგრამ ფოლკლორული პერსონაჟებით დასახლებულ ციურ სამყაროს უკეთ ვიცნობდი და შემეძლო ამ თემაზე ხუმრობანარევი სერიოზულობით მელაპარაკა. გამახსენდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ფიჭვნარში და დედაქალაქის მქრქალი ვარსკვლავეთი. გამახსენდა გარიჟრაჟი, როცა ქალაქის ცაზე ბოლო ვარსკვლავი ქრებოდა, მე კი ტროტუარის კიდეზე ვიჯექი. ოთახიდან გამოვიდა ცხრა წლის გვანცულიკა, გვერდით მომიჯდა და თავისი პატარა თავი მხარზე ნდობით მომაყრდნო. გულის არეში თბილმა ტალღამ დამიარა და ჩემდაუნებურად ავლაპარაკდი იმდროინდელ თავგადასავლებზე, მირაბელასა და გვანცაზე, ცოცხალ ბარბიზე, მაშინ, როცა თოჯინა ბარბის არსებობა ჩვენთან ძალიან ცოტამ იცოდა.

მოგონებებმა ისე გამიტაცა, ისე წვრილად წარმომიდგა ყოველივე, ხოლო ანა-მარია ისეთი თვინიერი ყურადღებით მისმენდა, ჩემს ხმას მოულოდნელად მგზნებარება შეემატა და ანა-მარიამ ამოიხსრა.

სიტყვა გამინყდა.

— თუმცა ეს შენთვის საინტერესო არ არის!

ანა-მარიამ ამომხედა, მზერაში უთქმელი ნუხილი დავლანდე.

— საინტერესო კია, — ნაძალადევად ჩაიცინა, — ამაზე გვანცაც მიყვებოდა, როცა მასთან ვსტუმრობდი, თანაც ყოველდღე!

ვერაფერი ვთქვი, ამ დროს უკვე სტუდენტულამდე მივალნიეთ და სხვაზე გადავერთე:

— სიცხიანი მგონიხარ, ექიმთან იყავი?

არ მიპასუხა, შებრუნდა და წავიდა.

დაბნეული მივდიოდი შინისაკენ, თავში ერთი და იგივე მიტრი-ალებდა — გვანცა, ანა-მარია... ანა-მარია, გვანცა... როგორი გაიზარდა გვანცა, ჰა? რამდენი წელი გავიდა, ის სულ წერილებს მიგზავნიდა, მაგრამ ფოტო არასოდეს გამოუგზავნია... „უნდა ჩავსულიყავი! — გავიფიქრე, — მე ხომ დავპირდი!“ ან პირიქით, ყოველნაირი კავშირი გამენწყვიტა, აქამდე დამევიწყებინა. ვგრძნობდი, რომ მის ცხოვრებაში უფრო მეტი ადგილი დავიჭირე, ვიდრე ეს საჭირო იყო.

ვფიქრობდი გვანცაზე და ვფიქრობდი ანა-მარიაზე. გვანცა შორს იყო და უკვე არც ვიცოდი, როგორი გახდა. ანა-მარია აქვე იყო და ჩემში კითხვებს აღძრავდა. რას ნიშნავდა მისი სიტყვები — „გეხვეწებით, ნუ შემიყვარებთ!“ ნუთუ მართლაც მიყვარდებოდა და თუ მიყვარდებოდა, რატომ ეშინოდა ამ სიყვარულისა? თუ ვუნდოდი, რატომ მთხოვა ასე, თუ არ ვუნდოდი, შეეძლო ხელი ეკრა, არ გამკარებოდა. მე ხომ არ ვეძალეობოდი, რადგან მის გვერდით თავს ბუღდოზერად ვგრძნობდი, ის კი ია იყო, რომლის დატკეპნა ბუღდოზერისათვის იოლზე იოლია.

მომდევნო დილით ჯერაც ვერ ვპასუხობდი კითხვას, მიყვარდა თუ არა, მაგრამ ვიცოდი, მენატრებოდა და მისკენ ვისწრაფოდი. მსურდა მუდამ მის გვერდით მევლო, ხოლო ის, მდუმარე და მომხიბლველი, მოთმინებით ისმენდა ჩემს უთავბოლო მონოლოგებს. მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ბევრს ვლაპარაკობ, ლაპარაკი პროფესიად მექცა. გულში ვერ ვიტევდი გაუთვითცნობიერებელ

გრძნობებს, ვცდილობდი, საკუთარი თავისთვის ამომეხსნა იდუმალი. ხშირად ვახსენებდი გვანცას, მის სახელს მონათხრობში ისე ჩავრთავდი, როგორც ფერად ლენტს ნაწნავში. იმას კი ვერ ვხვდებოდი, ყოველივე ეს რანაირად ირეკლებოდა ანა-მარიას გულზე... ჩვენი გასეირნებანი სტუდენტულამდე უნივერსიტეტამდე და მეორე კორპუსის კიბიდან ისევ სტუდენტულამდე ჩვევად გვექცა. ან ის იდგა კიბეზე და მოთმინებით მელოდა, ან მე ვწვრილებდი იმ კიბესთან და წამდაუნუმ საათზე ვიხედებოდი. არავის დარჩენოდა საიდუმლოდ ჩვენი „დაწყვილება“. მეგობრები მხარზე ხელს დამკრავდნენ — „დროა, დროა!“ ცხადი იყო, რა „დროზე“ მიმანიშნებდნენ... ანა-მარიას თანაკურსელები შორიდან მცნობდნენ. კიბემდე მოაცილებდნენ, მეზღაპრე მოვიდა პირველი კორპუსიდანო, ჩურჩულებდნენ. ბიჭები შემათვალისწინებდნენ ცნობისმოყვარედ. გოგონები ჩურჩუტული ხითხითით გარბოდნენ... ჩვენ კი თითქოს ვერაფერს ვამჩნევდით!

ამასობაში ჩაიარა გაზაფხულმა. მე მისთვის ვყიდულობდი ყოჩივარდებს, იებს, ენძელებს... გულში ჩახუტებული მიჰქონდა... ისეთი საყვარელი იყო, ისეთი სათუთი... ჩემში თანდათან მომწიფდა გადამწყვეტილება. აგერ ივნისია, სესიები დამთავრდება, არ მინდა გამოცდების დროს გონება ავუბნო. მატრიკულში ბოლო ნიშანს რომ ჩაუნერენ, კიბესთან დავხვდები და ვეტყვი, რაც სათქმელია. ალალ სიტყვებს ვარჩევდი, არ მინდოდა ჩემს ნათქვამს სიყალბე შეჰპარვოდა. მეუხერხულებოდა სიტყვა „მიყვარხარ!“ მართლა მიყვარდა? მეუხერხულებოდა „ცოლად გამომიყევ!“ — ზედმეტად მშრალი ხომ არ არის? „ერთნი გავხდეთ!“ — ზედმეტად პათეტიკურია, თანაც მასში სექსუალური ინტიმი ჟღერს... ვერ ვხვდებოდი, რა უფრო გულწრფელი და ბუნებრივი იქნებოდა.

მეორე კორპუსის კიბესთან სასწრაფოს მანქანა რომ დავინახე, ვიფიქრე, ვინმეს გამოცდაზე გული შეუნუხდა-მეთქი. ამ კიბეებზე ახალგაზრდობა მუდამ ბლომადაა, მაგრამ სესიების ბოლოს, ბუნებრივია, თითო-ოროლადა იყვნენ და ისინიც სასწრაფოს შემოხვეოდნენ.

კორპუსიდან საკაცით ვილაცა გამოიყვანეს, თხელი, კოპლე-ბიანი კაბით ვიცანი.

— ვაიმე, ანა-მარია! — კინალამ ვიყვირე.

— მოქალაქე, დაინით უკან! — ექიმმა შემომღრინა.

ანა-მარიას პირისახე ალებასტრივით გახდომოდა. თვალები დაეხუჭა. სისხლიანი ცხვირსახოცი პირზე მიედო.

მანქანაში საკაცე შეასრიალეს.

— წამიყვანეთ რა, მეც წამიყვანეთ! — მკლავზე ხელი წავატანე ექიმს.

— ვინა ხარ, კაცო, შენ? — ექიმი დაღლილი და გაღიზიანებული ჩანდა.

წამით დავიბენი, არ ვიცოდი, რა მეთქვა და მოჭრით დავაგდე:

— საქმრო!

— ჰო? მაშინ ჩაჯექი!

შეფოფხბდი, საკაცის გვერდით მოვკალათდი და მისი უღონო ხელი ავიღე.

ანა-მარიას წამნამები შეუთრთოლა, თვალები მძიმედ გახსნა და შემომხედა.

პირი უცბად მიაბრუნა და უბეებიდან ცრემლები ჩამოუგორდა.

— ნუ, ნუ, საყვარელო! — ჩურჩულით მივუალერსე.

პირი კვლავაც კედლისაკენ ჰქონდა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ახლალა მოვტვიწიე, რატომ მთხოვა, ნუ შემიყვარებო. საკუთარ თავს კი არა, მე მიცავდა ამ მოსალოდნელი დარტყმისაგან.

გული ამოვარდნასა მქონდა. თავში დომხალი მიტრიალებდა. თვითონაც ვერ გამერკვია, აქ, ამ საკაცის გვერდით რისთვის ვიჯექი. მართლა მიყვარდა თუ მებრალეობდა და იმიტომ. მის სადარდებელს რითი ვპასუხობდი, რა იმედებს ვუნერგავდი? მზად თუ ვიყავი, რომ ეს სიმძიმე მასთან ერთად მეც მეტვირთა? ცხადია, ასე ბევრს იმ მანქანაში ვერ ვიფიქრებდი, არც დრო მქონდა საამისო, გულის მოწოდებითლა ვმოქმედებდი და სიცხიან ხელზე ვეფერებოდი.

— ნუ, ნუ საყვარელო! იცოდე, რომ მჭირდები!

არ ვიცოდი, სჯეროდა კი ჩემი სიტყვების გულწრფელობისა? ან მე თვითონ თუ მჯეროდა?

ამასობაში სასწრაფომ ჩაირბინა ვარაზისხევი, გადაკვეთა ხიდი, ავუხვიეთ მალაკნებთან ხუდადოვისაკენ და მთელ ქალაქში ცნობილ კლინიკას მივადექით.

ოფლიანი შუბლი ხელისგულით გავუმშრალე, წარბებს შორის წყნარად ვეამბორე და სანიტრებმა საკაცე აიტაცეს.

შიგნით არ შემიშვეს, თუმცა ეზოში გვიანობამდე ვიბორიალე და შინ მხოლოდ მაშინ წავედი, როცა მორიგე ექიმმა დამანყენარა, საშიში არაფერია, მშვიდად სძინავსო.

ლექციები დამითავრდა. არდადეგები წინასწარ მქონდა დაგეგმილი, მინდოდა მთაში დამესვენა, თან ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ჩამეწერა. ახლა, ცხადია, ყველა გეგმა დამენგრა, დილიდან საღამომდე ტუბდისპანსერს ვუტრიალებდი, ექიმებს ვეთათბირებოდი, ჩუმ-ჩუმ ფულებს ვჩუქნიდი, ვაფრთხილებდი, ავადმყოფისათვის ამაზე არაფერი ეთქვათ. ანა-მარიასთან მაინც არ მიშვებდნენ. თავდაპირველად მეგონა, რომ აქ ასეთი განანესი იყო. მოგვიანებით გავიგე, თვითონ ანა-მარია მემალეობდა. გული მომივიდა, არ ვუყვარვარ-მეთქი. საკუთარ გრძნობებში ბოლომდე თვითონაც არ ვიყავი გარკვეული, ხოლო იმისგან სიყვარულს მოვიტხოვდი.

ივლისის შუა რიცხვებში ძალიან დაცხა, ქალაქში გაჩერება გაჭირდა. ვოცნებობდი, ჩემი პრინცესა სადმე, ბუნების წიაღში, თუნდაც ფიჭვნარში წამიყვანა, გვანცასთან. ეს ფანტაზიები მალევე დამეფშვნა, ზუსტად თხუთმეტი რიცხვი იყო, როცა ავედი და ამბავი დამახვედრეს, გავწერეთო.

— როგორ, განიკურნა? — ვიკითხე გაკვირვებულმა, რაკი კვირით ადრე სანუგეშოს არაფერს მეუბნებოდნენ.

— უფასო საგზურით გავუშვით აბასთუმანში!

მივდიოდი შინისაკენ და ვფიქრობდი: თუ უმისობას გავუძლებ, ესე იგი არ მყვარებია. თუ ვერ გავუძლებ, ამას მალევე ვნახავ. ვნახე კიდეც! ოთხ კედელში გამიჭირდა გაძლება, ათჯერ დავწექი და ათჯერვე ავდექი. მხოლოდ გარიჟრაჟზე დამეძინა და დაბარებულივით ჩემი სიჭაბუკის წითური დევი გამომეცხადა, არ მეჩხუბა, არც მე ვეჩხუბე, ეჰ, საცოდავოო, ამოიყროყინა და გამელვიძა. ყროყინის ხმა სახანძროს კვილში გადაიზარდა. აივნიდან გადავიხედე, ნავის ბუნკერიდან კვამლი ამოდიოდა და იმას აქრობდნენ. ვილაც უტვინომ მოკიდებული სიგარეტი თუ ჩააგდო! არცთუ ორიგინალური მეტაფორა მოვაქიჩმაჩე: გაურკვეველი ემოციებით დანაგვიანებული ჩემი გულის ცეცხლს რალა ჩააქრობს-მეთქი.

სწრაფად დავტრიალდი — დავიბანე, გავიპარსე, ჩავიცვი, ყავით დავითუთქე და ეზოში ჩავბრაგუნდი. იქ, რკინის ავტოფარეხში შინდისფერი „უიგული“ მეყენა, „ნოლ-ექსი“. როგორც წესი, ქალაქში არც გამოძვავდა, მაინცადამაინც გამოცდილი მძლოლი არ ვიყავი, მაშინდა დავქოქავდი, თუ სამოგზაუროდ მივდიოდი.

ახლაც, ცხადია, დავქოქე და გზას დავადექი.

ნატახტარიდან ტრასა თითქმის ცარიელი იყო. აქსელერატორს ვაჭერდი და დასაშვებზე მეტი სიჩქარით მივაქროლებდი. არ ვიცოდი, ასე რამ ამიტაცა, წერას რატომ ვყავდი ატანილი. ერთგან მილიციელმა ხელჯოხი ამიქნია, მაგრამ ვითომ ვერ შევამჩნიე, იმას კი გამოდევნება დაეზარა.

სად მიიჩქარი? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს. — ნუთუ იპოვე, რასაც ეძებდი? სიჭაბუკე გავლილია და მარტოობის ტკივილი გხრავს. მთელი განვლილი ცხოვრება ერთადერთი მიზანი გქონდა — არა კარიერა, არა ფული, არა მატერიალური სიკეთეები, — მარტოობას ებრძოდი, მის გაქარწყლებას ცდილობდი, ოღონდაც, რამდენჯერაც მოგეჩვენა, ბედს ვენიეო, იმდენჯერ ხელი მოგეცარა, სწორი არჩევანი ვერ გააკეთე... ისევ მარტო ხარ, მარტო, მარტო...

მოულოდნელად მარჯვნივ მხარზე ვილაცამ თავი ნდობით მომაყრდნო. შემეშინდა, კინალამ გზასავალს ავცდი. რა თქმა უნდა, მანქანაში ჩემ გარდა არავინ იყო და თავსაც ვერავინ მომაყრდნობდა, მაგრამ ისე რეალური იყო ეს შეგრძნება, თითქოს მრავალი წლით დავიხიე და პატარა გვანცა მომეყრდნო, ჩემგან ელოდა შევლასა და მფარველობას.

მერე მთელ გზაზე მელანდებოდა გვანცას მწვანე თვალეები ციცქნა სახეზე და ანა-მარიას ალებასტრივით უსისხლო სახე, ბაგეზე მიფენილი სისხლიანი ცხვირსახოცი... გული სიბრაღულითა და სიყვარულით მეფლითებოდა და ვერანაირი არჩევანი ვერ გამეკეთებინა.

ბორჯომში რომ შევედი, სვლა შევანელე. ყოყმანმა თავგზა ამიბნია. ბოლოს, ხიდთან ხელი თავისით გამექცა, მანქანა მარცხნივ მივაბრუნე და ორიოდ ნუთში ბორჯომ-პარკისაკენ მიმავალ აღმართს შევუყევი. „ბარემ გვანცასაც გავიყოლებ, ანა-მარიას გავახარებ!“ — ასე გავიფიქრე, მაგრამ ვიგრძენი, ამ სიტყვებში სიყალბეც შემომეპარა, რადგან არჩევანი ბედს მივანდე.

გზა ტყეს კვეთდა. მაღალი ფიჭვები გზის გასწვრივ მინარნარებდნენ. ზაფხულის ცხელი სიო სარკმელში მიბერავდა და წინვისა და კევის სურნელი შემოჰქონდა.

ნაცნობ ჩიხში შევეუხვით. წლების წინ აქაური ბიჭები ამ ადგილას რენატას იტაცებდნენ. ახლა ეს მოგონება კი არა, პატარა გვანცასთან შეხვედრა მაღელვებდა, არ ვიცოდი როგორ მოვექცეულიყავი.

მანქანიდან ძლივს ჩამოვედი, ფეხი უკან მრჩებოდა. გული ამიჩქარდა, საფეთქლებზე სისხლი მიკაკუნებდა.

ჭიშკარი შევადე.

ჩუმმა შეკვივლებამ ადგილზე მიმაღურსმა. კიბის პირველ საფეხურზე ქალიშვილი იდგა. მხოლოდ დიდრონი, მწვანე თვალეებით ვიცანი. ხელისგული პირზე ეჭირა, თითქოს ცდილობდა საკუთარი ხმა ჩაეხშო.

ხელები მორიდებით გავშალე, სიტყვა ყელიდან არ ამომივიდა.

მოხდა გასაოცარი რამ — კი არ გამოიქცა, გამოფრინდა და კისერზე ჩამომეკიდა, დაბნეულმა ხელები მოვხვით და მხოლოდ ერთი სიტყვა ამოვთქვი:

— გვანცულიკა!

იმან ლოყა ლოყაზე მჭიდროდ მომადო და გული ამოუჯდა:

— შენ დამპირდი... შენ დამპირდი... — ლულულულებდა და ტიროდა.

გონს მოვეგე, ხელზე ავიტაცე და ბალის მაგიდაზე დავსვი.

გაიტრუნა, ახლა უკვე რცხვენოდა, სახეს ჩემს კისერში მაღავდა. მერე ხელები შემეშვა, პირზე აიფარა. თითებს შორის ჩანდა, სირცხვილისაგან ლოყები ნაკვერცხლებივით რომ უწითლდებოდა.

ხელები ჩამოვალეებინე, მისი ლამაზი პირისახე ჩემს ხელებში მოვაქციე... ისეთი წარმოუდგენლად მომხიბლავი მომეჩვენა, ისეთი... დავიხარე და მის თვალებს ვეამბორე, ჯერ ერთს, მერე მეორეს, მისი ცრემლები ტუჩებზე შემრჩა.

— შენი ცრემლების გემო, — ჩავჩურჩულე.

მორცხვად გამიღიმა. საკოცნელ ბაგეებში თეთრი კბილები გაუკრთა და მომინდა ამ ბაგეებით წყურვილის დაცხრომა.

სადღაც ტვინში გაკრთა ტაბუ — „არშეიძლება!“ ოღონდ ამ აკრძალვამ ჩემში ჩაბუდებული მხეცი გააღვიძა, ამოიგორგლა

რალაც, რაიც გაარღვევდა ზღუდეს, გადააბიჯებდა აკრძალვებს და ახლავე, აქვე დაეუფლებოდა ამ ნორჩ სხეულს. გონება მიბნელებოდა, — ერთიანად დაძაგრულ, ყველაფრისთვის მზადმყოფ ურჩხულად ვიქეცი. ჩემში იფეთქა იმან, რაც წლები ვატარე — მირაბელას უბინოება, რენატას ეროტიკა, ანა-მარიას მშვიდი ლაციცი — ამ ერთ წამში გაერთიანდა და დამლუპველი ლტოლვა დამეუფლა.

იმან იგრძნო საშიშროება, ხელები მკერდზე მომაბჯინა, მომიშორა.

„არშეიძლება!“ — ტვინში თითქოს ძლიერმა დენმა დამარტყა, ჩემში მხეცი დათრგუნა.

ლონე წამერთვა, იქვე ჩამოვჯექი და გალიზიანებულმა, უხეშად მივუგდე:

— ნადი, პირზე წყალი შეისხი!

გაიქცა. მე მაგიდას იდაყვებით დავყვრდენი და თვალი დავხუჭე. ეს რა მემართება? ჩემი ცხოვრების მდინარეა ამ გოგონას ბედს რანაირად გადაეწნა? იმ პატარა, ჩხინკა გვანცულიკამ ჩემში ჩაბუდებული მამობრივი გრძნობა გააღვიძა, ცამეტი წლის მოზარდს ისე ვექცეოდი, როგორც უფროსი ძმა... დღეს ფარული ლტოლვა მძაფრად გამიცოცხლდა და ჩემდა სამარცხვინოდ ყოველივე ეს ინცესტს დაემსგავსა...

ბალახში ფეხის ხმა გაფაჩუნდა. გვანცას მომცრო ლამბაქზე ყავის ფინჯანი მოჰქონდა. ცხელი ყავით პირთამდე გაეპიპინებინა და ახლა ცდილობდა, არ დაეღვარა. მონდომებით დასცქეროდა და ენის წვერი გამოეყო.

გამეცინა („რა სისულელეა, რომელი ინცესტი?“ — გავიფიქრე), ჩემში რალაც განიმუხტა, შინაგანი ზამბარა მოეშვა.

— გვანცულიკა, შენი მოდულეებული ყავა არ დამვიწყებია!

ლამბაქიდან ჭიქა გადმომიდგა, მომცრო თეფშით კი — ნამცხვარი.

თვითონაც ჩამოჯდა, ოლონდ ცოტა მოშორებით, უსაფრთხო მანძილზე, რადგან ჩემმა მოულოდნელმა ლტოლვამ დააფრთხო.

ყავა მოვსვი, მართლაც გემრიელი იყო და უკვე დამშვიდებულმა ქათინაური ვუთხარი:

— შენ, თურმე, ისე გალამაზებულხარ... — მინდოდა მეხუმრა, არ მოგიტაცონ-მეთქი, მაგრამ ეს რენატას გახსენებას ნიშნავდა და წინადადება არ დამიმთავრებია.

— იჰ! — ამოთქვა გვანცამ და მეტი არაფერი.

მეც ზედმეტი არაფერი მითქვამს, მოკითხვები არ დამინყია, ვიჯექი, ვსვამდი და ჩუმად ვათვალთვლებდი. მართლაც ძალიან მომხიბლავი იყო და იმისილა მეშინოდა, ჭრელი ხოხობივით მოულოდნელად არ გაფრენილიყო.

ჭიქა გადავაბრუნე.

— მიმკითხავებ?

— კი!

ფრთხილად აიღო, ჩახედა, შუბლი შეეჭმუხნა, რალაც არ მოეწონა და უკან დადო.

— გული დახურული გაქვს!

დიახ, ჩემი გულის ამოცნობა თვითონაც არ შემიძლო.

— გვანცა, მე აქ გზად შემოვიარე!

შემომხედა, თვალეში იმედგაცრუება და ნუხილი დაეხატა.

— განა არ ვაპირებდი! შენ, ვიცი, სკოლა უკვე დაამთავრე და თბილისში ჩამოხვალ სწავლის გასაგრძელებლად!

შევეცადე, ამეხსნა, მაგრამ მივხვდი, ჩემი სიტყვები ყრუ კედელს აწყდებოდა. პირველივე წინადადება ცივი ლოდი აღმოჩნდა, მისი გული რომ დაამძიმა, არადა, ხომ უნდა ამეხსნა, აქ რატომა ვარ.

— მე აბასთუმანში მივდიოდი, ანა-მარიასთან! ანა-მარია ძალიან ცუდადაა...

უცებ ვერ მოიაზრა, ვინ ვუხსენე და აბასთუმანი რა შუაში იყო.

— ანა-მარიაზე გელაპარაკები, აქ რომ იყო!

მისი განცდები მის პირისახეზე ისევე იკითხებოდა როგორც გაშლილ წიგნზე. იქ ჩანდა შიში სიტყვა „ტუბერკულოზის“ წინაშე, ნუხილი ანა-მარიას ბედზე, ეჭვიანობის ბრმა შემოტევა და განცდა, რომ ისევ მოტყუვდა, უკვე მერამდენედ მკარგავდა.

უკანდასახევი გზა არ დამრჩა და გვანცას მოფართქალე გულს უნებლიეთ კიდევ ერთი ლურსმანი დავაჭედე:

— წამომყევი, ერთად ვინახულოთ, მას ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება!

მცირე ხანს იყუჩა, ეტყობა, თავს ებრძოდა, მერე წამოდგა.

— ნავალ, ჩავიცვამ!

ვიჯექი და საკუთარ თავს ვიტუქსავდი: როგორი ხეპრე ვარ, ლაპარაკიც არ შემიძლია! აგერ, გული ვატკინე! ბედმა გადმომი-გდო საჩუქარი, შემიძლია მავანს ბედნიერება მოვუტანო, მე კი ჩემი უტაქტობით სატკეპნ მანქანას დავემსგავსე, იმათ გულებს გადავუვლი, ვისაც ძალუძთ მარტოობის სიცარიელე თავისი თბილი არსებობით შემისონ.

კიბე ჩამოირბინა. უცნაური კაბა ეცვა, აი, ის, ოდესღაც რომ ვუყიდე, მწვანედ დაფოთლილი. რა თქმა უნდა, ქალიშვილი უკვე ვერ ჩაეტეოდა იმ კაბაში, მაგრამ სხვა ნაჭრებით შეევსო და ტანზე ისე ადგებოდა, თითქოს პატრონთან ერთად გაზრდილაო... მრავალი წელი იცვამდა იგი ჩემს ნაჩუქარ კაბას და თავს ისე გრძნობდა, თითქოს ამ დროს მე ვეხვეოდი.

ყელში ბურთი მომებჯინა, ტირილი მომინდა, რადგან ჩემი სიჭაბუკე მიიღია, არჩევანი კი ვერ გავაკეთე.

სოფელს გავცილდით. გზის ორივე მხარეს ისევ წერწეტი ფიჭვები გარბოდნენ. მზერა მენისლებოდა და ერთი-ორჯერ კინალამ გზატკეცილს ავცდი. გვერდით მეჯდა სასურველი და ამას ვერ ვაცნობიერებდი. მივეშურებოდი, რათა ანა-მარიასათვის ხელი და გული შემეთავაზებინა. ჩვენ ერთად უნდა წინაღუდგომოდით საშინელ სენს, მე ის უნდა გადამერჩინა, ის კი მე გადამარჩენდა — მშვიდი და ნაზი. ოღონდაც, თვალი გამირბოდა ამ სოფლელი გოგოსაკენ, ვგრძნობდი, თავისი არსებობით ისეთ ბადეში მახვევდა, ძაფების განყვეტა არ ძალმიძდა. წინ მივექანებოდი არა სიყვარულისაკენ, მივექანებოდი დალუპვისაკენ... „არშეიძლება!“ — თავში მიკაკუნებდა ეს ორი სიტყვა, მაგრამ კისერი მელრიცებოდა. შეხვდავდი, ხოლო ის თავისი ცისკროვანი ღიმილით მპასუხობდა, მწვანე თვალებით ისე დამაკვირდებოდა, თითქოს ცდილობდა ძირისძირობამდე ამოეხსნა ამოუხსნელი და ეჭვებში მყოფს პირზე ღრუბელი გადაურბენდა.

ასე ჩუმად დიდხანს ვერ ვივლიდით და ხმაგაბზარულმა ვკითხე:

— როგორ ცხოვრობდი, გვანცულიკა, ეს წლები?

— ლოდინში! — მიპასუხა. — სიცოცხლე ლოდინია!

„ვის ელოდებოდი, გვანცულიკა?“ — მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან პასუხი ისედაც ვიცოდი.

— რა იყო იქ, წარსულში? — კითხვა სხვანაირად შევაბრუნე.

— მარტოობა! — მოკლედ მიპასუხა და მცირე ხნის შემდეგ განაგრძო: — ობლობა მარტოობაა! ბებია, რომელსაც ვძულდი, მარტოობას ვერ შემისვებდა. მერე სათამაშო ვიყავი, ბარბი. ახლა ბარბი ყველასა აქვს, მაშინ მხოლოდ მირაბელას ჰქონდა. მე მისთვის ყველაზე დიდი ბარბი ვიყავი, პაპიემამესაგან გაკეთებული, გარედან ლამაზი, შიგნით — ცარიელი... მერე გამოჩნდა ჭაბუკი, რომლის მხარს სულ მცირე ხნით თავი მივაყრდენი... — მის ხმაში სევდა ჟღერდა, სევდით იყო დაავადებული და მხოლოდ მე შემეძლო მისი განკურნება. — მერე ისევ სოფელი... ფიჭვებს ვეხვეოდი, ისინი კი, ცაში ატყორცნილნი, ვერ მამჩნევდნენ... ძროხებს ვეფერებოდი, იმათ კი თივის ცოხნა ერჩიათ... ობოლთა სახლში უამრავი მშვიერი, დაუბანელი, ზუნტლიანი ბავშვი მეხვია. ისინი ჩემს სიმარტოვეს უფრო ამძაფრებდნენ. — დადუმდა, კაბის კალთას ხელი დაუსვა, გაასწორა.

მწვანედ დაფოთლილი კაბა, რომელიც ოდესღაც მე ვაჩუქე.

დაახ, მე შემეძლო მარტოობის სევდისაგან მისი განკურნება, მაგრამ წინ, აბასთუმანში ანა-მარიას რეალური საფრთხე ელოდა, მომაკვდინებელი სენი სჭირდა და იმის საშველად მივიჩქაროდი. მძიმე არჩევანის წინაშე ვიდექი და გული ორად მეხლიჩებოდა.

ახალციხე განზე მოვიტივეთ, აბასთუმნის ტრასაზე გავედით. რაც უფრო ახლოს იყო გზის ბოლო, მით უფრო ვლელავდი და გული შიშინანად მეკუმშებოდა. ისეთი ჭოჭმანი შემიდგა, მანქანა კინალამ შემოვაბრუნე. თვითონაც ვერაფერი გამეგო საკუთარი გულისწადილისა. ბოლოს და ბოლოს, მსურდა თუ არა ანა-მარიას ხილვა? ძალას ხომ არავინ მატანდა, საკუთარი მეს გარდა, რომელიც ყოველ ჩემს ქმედებას სინდისის სასწორზე წონიდა.

აგერ ხეობაში გასისწვრივებული სახლები და სახლაკები, ერთადერთი გრძელი ქუჩა, აბანოები, კოტეჯები, ირგვლივ კი, ფერდობებზე ფიჭვისა და ნაძვის ტყე, ტყე, ტყე... ხელმარცხნივ მთაზე საბაგირო ადის, იქ ობსერვატორიაა და მენცარნი უჭვრეტენ უსასრულო სამყაროს, ცდილობენ ამოხსნან ამოუხსნელი... წინ, მთის კალთაზე, სტალინის ეპოქის შენობა ჩანს. ჩვენც იმის ჭიშკარს მივადექით, მანქანა გზისპირას გავაჩერე.

ნიკაპზე ხელი მოვკიდე, ჩემკენ მოვაბრუნე. თვალი თვალში გავუყარე. მისი მწვანე, ირიბად ჭრილი თვალები გრძელ წამწამე-

ბში დაიმალა, თითქოს დარაბები დაიხურა. ბაგეები ამოებურცა, კოცნას ელისო... „არშეიძლება!“ — გამკრა ისევ ტვინში და წყნარად ვუთხარი:

— მანქანაში დამელოდე, გავარკვევ, რა ხდება!

მზიანი დღე უკვე დასასრულისაკენ იხრებოდა. სანატორიუმის ეზოში ქრელი ჩრდილი ეფინა. ნაცრისფერ ხალათებში ჩაცმული ავადმყოფები ბალის სკამებზე ისხდნენ, სხვები აუჩქარებლად დასეირნობდნენ.

თეთრხალათიანი მანდილოსანი გავაჩერე და დახმარება ვთხოვე. ეზოს კუთხისაკენ მიმახედა. იქ, მსუბუქ შეზღონგში, თბილ საბანში გახვეული ქალი იჯდა და მზეს ეფიცებოდა.

სწორად ჩამოვარცხნილი, თხელი თმებით ვიცანი.

მივუახლოვდი.

კრთომით ამომხედა. ისეთი გამჭვირვალე და სუსტი ჩანდა, რომ ჩამეხუტებინა, ფაიფურივით მკლავებში ჩამემსხვრეოდა.

— პრინცესა! — ჩურჩულით ამოვთქვი, ჩავიჩოქე, მუხლებზე ხელები მოვხვიე და თავი კალთაში ჩავუდე.

აცახცახებული ხელით თმებში გაუბედავად მომეფერა.

თავი ავნიე, იმ ხელზე ვაკოცე და საყვედურით ვკითხე:

— რატომ გამექეცი?

ლოყებზე ავადმყოფური სინითლე დააჩნდა, თვალი დაენისლა, აუწყლიანდა.

— მე ხომ გთხოვე... — ხმა ჩაუნყდა.

დიახ, მთხოვა, ნუ შემეყვარებო! მაშინ ხუმრობად ჩავუთვალე, კეკლუცობად. სიყვარული ან არის, ან არა, ვერავინ უბრძანებს საკუთარ თავს მავანი გიყვარდეს ან არ გიყვარდეს. მე მიყვარდა მირაბელა, რენატა, ახლა, ამ წუთას მიყვარს ანა-მარია და გვანცულიკა, იქ, ჩემს მანქანაში რომ მელოდება, ორივე მიყვარს, არ მინდა რომელიმეს დათმობა. როგორ მოვიქცე, როგორ შევაერთო შეუერთებელი? ემოციურ ტრანსში ჩავეშვი და სალი აზრი დამეკარგა.

უცებ ანა-მარიამ მზერა ჩემს თავს ზევით გადაატარა და მის სახეზე დაიხატა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. თითქოს ერთბაშად ამოხეთქა განცვიფრებამ და სასონარკვეთამ. მოვიხედე

და გვანცა დავინახე. რამდენიმე ნაბიჯზე იდგა და მის სახეზეც სასონარკვეთა იხატებოდა.

მივხვდი, ახლა ადგილს მოწყდება და გაიქცევა-მეთქი.

ფეხზე წამოვხტი და შევეუძახე:

— მოდი, გვანცა! — მერე ანა-მარიას მივუბრუნდი. — ვერ მოვასწარი მეთქვა, გვანცა ჩამოგიყვანე-მეთქი, ვიფიქრე, გაგესარდებოდა!

ანა-მარიას ბაგეები გაუთეთრდა, მაგრამ თავს სწრაფად მოერია.

— კი, გამეხარდა! მოდი, საყვარელო!

გვანცა შიშინად მიუახლოვდა, ისევე ჩაიმუხლა, როგორც მე ვიყავი წელან ჩამუხლული.

ანა-მარიამ თავზე ხელი გადაუსვა, ამომხედა და საქმიანი კილოთი მითხრა:

— გვანცამ სკოლა დაამთავრა?

— დიახ!

— თბილისში უნდა ჩააბაროს?

— დი-იახ! — დაბნეულად ვპასუხობდი.

— შენ უთუოდ დაეხმარები!

თავი დავუქნიე.

— კარგი ადგილია ეს აბასთუმანი! — თემა მოულოდნელად შეცვალა და ხელები გაშალა. — აქ ისეთი ჰაერია, კოხის ჩხირებს ანადგურებს!

— ანა-მარია! — ტკივილი ალაპარაკებდა და შევეცადე გამეჩუმებინა.

— აქ მზე თბილია. ღამლამობით ცა ვარსკვლავებით ისე მოიჭიქება... იცით, მე, ალბათ, ობსერვატორიაში მიმიღებენ და იქ, მთის წვერზე გავატარებ დარჩენილ ცხოვრებას!

— ანა-მარია! — ლამისაა ვიყვირო.

გვანცა ჩემკენ შემობრუნდა. ვერ ხვდებოდა, თუ რას ნიშნავდა ეს საუბარი, მე კი წინასწარ განვჭვრიტე მომავალი სიტყვების შინაარსი და მრცხვენოდა, რომ ეს სიტყვები შვებასა მგვრიდა, რაკი მათავისუფლებდა უთქმელი ვალდებულებებისაგან.

— მალე ვახშამზე მიმიწვევენ! — მოწყენითა თქვა, განზე იყურებოდა, თვალს გვარიდებდა. — თქვენ აქ ღამე ვერ დარჩებით!

გვანცა წამოდგა. ახლა გვერდიგვერდ დასასჯელი მოწაფეებივით ვიდექით და არ ვიცოდით, რა გვექნა.

ანა-მარიამ თავი დახარა, თავის გამჭვირვალე თითებს ათვალიერებდა, ფრჩხილებზე მანიკურებს ცოტაცოტაობით იცლიდა.

ამომხედა, პირისახე უფრო გაუფითრდა, თავისი საუცხოო თვალები მომაბჯინა და წყნარად თქვა:

— შენ კეთილი ბიჭი ხარ, უჩა! გული სავეს გაქვს სიყვარულით და გსურს ყველა გააბედნიერო! შენ გეგონა, რომ გიყვარდა პატარა მირაბელა, მერე რენატა! ახლა შენი გული ორად იფლითება, რადგან გგონია, რომ მეც გიყვარვარ და გვანცაც... სინამდვილეში იმთავითვე ის პირველი გოგონა შეგიყვარდა, ვინაც ცხრაწლის ასაკში გვერდით ჩამოგიფუდა და თავისი პატარა თავი ნდობით მხარზე მოგაყრდნო... ეს შენი სიტყვებია, შენ მომიყევი... იმ დღის შემდეგ შენ მხოლოდ ის გიყვარდა...

— ანა-მარია! — ნაცემივით მოვიბუზე.

— ჰო, მეც მიყვარდი, იქ, ფიჭვნარში, შენ კი ვერ შემამჩნიე! — განწირულის სიმშვიდითა თქვა. — ახლაც მიყვარხარ, მაგრამ ჩემი ცხოვრება თავდება. შენს გვერდით გვანცაა, ის მხოლოდ ახლა იწყებს ცხოვრებას. მისი ბედნიერებით მაინც ვიქნები ბედნიერი!

გვანცას უცებ მუხლები მოეკვეთა, ფერხით დაუვარდა... ტიროდა და მუხლებზე კოცნიდა...

ძლივს წამოვაცყენე.

ანა-მარიამ საბანი მოიშორა, წამოიმართა... ლამაზი იყო და სიფრიფანა — ლოტოსის ყვავილი!

— წადით! — შებრუნდა და თვითონ წავიდა.

ცრემლიანი გვანცა ჩავიხუტე და გვერდით გავიყოლე, მანქანისაკენ...

11

ერთ პატარა ქვეყანაში ცხოვრობდა უფლისწული და სამი პრინცესა. უფლისწული უკვე საცოლე ჭაბუკი იყო. შეხედა პირველ პრინცესას და შეუყვარდა... მერე შეხედა მეორე პრინცესას და, ადამიანის გული ხომ ცვალებადია, პირველი დაივიწყა და ეს მეორე შეუყვარდა... შეხედა მესამე პრინცესას და მეორე დაივიწყა, რადგან ეს მესამე შეუყვარდა... ოღონდაც, ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი სოფლელი გოგო — თებრონე...

უფლისწულს უჯუში ერქვა. თებრონეზე გულშეყვარდნილმა მესამე პრინცესაც დაივიწყა, თუმცა ეს მოხდა ძალიან, ძალიან გვიან.

დიდხანს იცოცხლა უფლისწულმა უჯუშმა, ჩაკეტილმა თავისი სასახლის ერთ ბნელ სენაკში, დიდხანს ეძლეოდა გულის ვარამს, მაგრამ რასაც დაკარგავ, ველარ იპოვი, დრო წარმატებელია, გულის ნაჭრილობევი კი მოუჩინელი...

12

ჭიშკარს რომ გავცდით, ბინდებოდა. ვერ შევძლებ სიტყვებით შევაფასო ჩემი იმწუთიერი განცდა. ვგრძნობდი, ხუნდები ჩამომეხსნა. არა, უარი არ მითქვამს ჩემი ცხოვრების სამ პრინცესაზე, ანა-მარია კვლავაც არსებობდა ჩემში როგორც რაღაც სინაზე, რომელსაც არანაირი ხორციელი ფორმა არა აქვს. ის დამრჩა სულის ნაწილად, მაგრამ ეს ნაწილი არ ამძიმებდა ჩემს სინდისს, რადგან მივხვდი, ხანგრძლივი ჭიდილი საკუთარ თავთან დაგვირგვინდა არჩევანით, რისკენაც გაუთვითცნობიერებლად ვესწრაფოდი მთელი არსებით.

სიყვარული ეგოისტური გრძნობაა მაშინაც კი, როცა მზადა ხარ სიცოცხლე ფეხქვეშ დაუფინო შენს რჩეულს. უდიდესი ნეტარებაა, როცა შეგიძლია სიკვდილის საფასური გადაიხადო. დიახ, ჩემს სულში როგორც სამი ნათება ისე ჩარჩა სამი პრინცესას მოლანდება, მაგრამ ახლა და ამიერიდან ჩემში კაშკაშებდა თვალისმომჭრელი სინათლე — გვანცა და მანქანამდე რომ მივალნიეთ, ჩემკენ შემოვებრუნე, მისი პირისახე ხელისგულებში მოვიმწყვდიე, ბაგეზე ტუჩებით შევეხე და დიდხანს ვერ მოვწყვიტე, ის კი ცახცახებდა და მეკვროდა.

ეს იყო აუნერელი ნეტარების წამები. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ შემეშინდა. გული ამიჩქარა ავმა წინათგრძნობამ. უცნაურმა ფიქრმა გამიელვა, ამაღამ თუ ძილი მიწერია, მწითური დევი გამომეცხადება-მეთქი, რადგან ბოროტი დევეები მუდამ ცდილობენ ბედნიერება წაგვართვან, ისინი ჩვენგან თაფლის სიტკბობას ისრუტავენ, სხეულში კი მზამს გვიტოვებენ. ამ უცნაურმა ფიქრმა-

ზმანება მრეალობასთან დამაბრუნა, ჩემი სოფლელი გოგო მანქანაში ჩავისვი, საჭეს მივუჯექი და აქსელერატორს ფეხი ისე მივაჭირე, „ნოლ-ექსი“ გიჟური ღრჭიალით მოწყდა ადგილს.

— ფრთხილად! — ჩამჩურჩულა გვანცამ და ხელი ხელზე დამადო. ამან ნამალივით იმოქმედა და წინ გავიხედე, რათა ვინმე არ გამეტანა.

— გვანცულიკა! — აღტკინებული ვამბობდი. — უნდა მოგიტაცო! რა გვინდა ფიჭვნარში, იქ სხვა დროს ავიდეთ, ახლა კი თბილისისაკენ გავაქროლოთ! იქ სახლი მაქვს და ის სახლი შენია, ბევრი მეგობარი მყავს და ისინი შენი მეგობრები გახდებიან! მიყვარხარ, გვანცულიკა, გული სავეს მაქვს სიყვარულით! შენც ხომ გინდივარ, საყვარელო? თბილისში, გზიდანვე ტაძარში მიგიყვან და ჯვარს დავინერთ, რათა უფალმა გვაკურთხოს!.. ხომ თანახმა ხარ, გვანცულიკა? — ასე ვროშავდი გაუჩერებლად, ხოლო გვანცა ჩუმი სიცილით მპასუხობდა და თავისი ლამაზი თავი ჩემს მხარზე მიეყრდნო, ისევე როგორც მრავალი წლის წინათ.

უკვე ჩამობნელდა, როცა ახალციხეს გავცილდით და გეზი ბორჯომისკენ ავიღეთ. ცაზე ვარსკვლავები აჩახჩახდა. გზამტკერის გასწვრივ მიიკლაკნებოდა, თუმცა არაფერი ჩანდა, ირგვლივ ბნელი აიგვერგვა.

ისე ვიყავი ატაცებული, მოთმინების ზღვარი მელეოდა. ზოგჯერ გზისპირას მანქანას ვაჩერებდი, ბნელში მის ტურებს ვეძებდი და ვკოცნიდი. ისიც მკოცნიდა, მთელი თავისი არსებით ჩემკენ მოილტვოდა. ტვინში მაინც მქონდა ჩართული ტაბუს წითელი ნათურა, რომელზეც ეწერა „არშეიძლება!“ ისევე გიჟივით ვძრავდი მანქანას, ისევე გიჟივით მივაქროლებდი...

ახლა, ამ სიბერის ჟამს, ვიცი, რომ მუდამ ვაჭარბებდი, ზომიერების გრძნობა მალატობდა, სანთელი თუ აბრიალდა, მალევე დაიწვება, დიდხანს ის ანათებს, რაც ნელი ცეცხლით იწვის.

ბორჯომში, ხიდთან გავჩერდი. გაღმა-გამოღმა სახლები და ქუჩები განათებული იყო. აქამდე სულ მე ვლაპარაკობდი, გვანცა კი გალურსული იჯდა, ანდა ჩემს მოკლე, სულსწრაფ ალერსს პასუხობდა. ოღონდაც, არ მინდოდა მისი გამოუცდელივით მესარგებლა და

გზაჯვარედინზე იმიტომაც გავაჩერე, საკუთარი ნებით გადაენწყვიტა, „ჰო“ თუ „არა“. თანხმობას, რა თქმა უნდა, მისი დუმილი მეტყველებდა, მაგრამ არ მსურდა ეგზალტირებული კაცის განწყობას დანდობოდა.

— სულ მე ვლაპარაკობ! — ბოდიშის კილოთი ვთქვი. — აქ გზა იყოფა, მარჯვნივ ფიჭვნარისაკენ მიდის, პირდაპირ — თბილისისაკენ!

მანქანაში შუქი არ ამინთია. გარედან ქუჩის განათების ანარეკლი შემოდოდა და გაცრიატებულ ბინდში მისი ნაკვთები უფრო მიმზიდველ ჩანდა, თვალები მწვანე ნათურებივით უბრწყინავდა.

— გვანცულიკა, თქვი რამე!

ამოიოხრა.

— იცი, რამდენი დამიგროვდა? — ხმადაბლა ჩამეკითხა. — თვრამეტიცა ვარ, მაგრამ მგონია, სამჯერ თვრამეტი ვიცოცხლე, მარტოობაში, უსიხარულოდ...

ლოყაზე მოვეფერე და იმ ხელისგულზე მაკოცა. ხელი არ ჩამომიღია, თავისი ხელი ჩემს ხელზე ედო და ლოყით მეყრდნობოდა. ასე ვისხედით და უცებ მან, პატარა გოგომ, ასაკოვნის სიბრძნით მითხრა:

— მოკლეა წუთისოფელი, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის, რითი შეავსოს იგი!

— შენ რითი ავსებდი, გვანცულიკა?

— ლოდინით... ლოდინით და იმედით!

ალაპარაკდა... გულში წლობით ნაგროვები ახლალა გადმომიშალა. ყვებოდა ობლობაზე, რაკი დედ-მამა არ ახსოვდა, გულბოროტ ბებიაზე, ვინაც გაუხარელი ყოფით აცხოვრა, იმ დროზე, როცა თბილისში ჩამოიყვანეს და მირაბელას ბარბი გახდა. იქ, იმ დიდ სახლში თითქოს ბოროტი ნისლი ეხვია, ყველას ხელი მხოლოდ იმისთვის არსებობდა, ობლისთვის რომ გაელანუნებინა... ადამიანთა ხმებში ალერსის კილო არასოდეს გაჟღერებულა, დაყვედრებისა და ბეზღობის სიტყვები ესმოდა მუდამ, რაკი სამზარეულოში ნარჩენებს მიუყრიდნენ ოჯახის ფინიასთან საზიაროდ... მერე გამოვჩნდი მე, უცხო ქაბუკი, ჩაგრულის სული თურმე მე მომენდო, სულ რალაც ორიოდე თბილი სიტყვის საფასურად, რაც გავიმეტე. მუდამ ახსოვდა ის ლამე, ჩემს სტუდენტურ საწოლში რომ გაატარა და

ძილ-ღვიძილში გრძნობდა, ფერხთით, გაუხდელს რომ მეძინა... ახსოვდა გარიჟრაჟი, ახსოვდა მწვანედ დაფოთლილი კაბა, ერთადერთი, რაც მას აჩუქეს უანგაროდ... ახსოვდა ის დილა, ტროტუარზე რომ ვისხედით და ჩემს მხარზე თავი ჰქონდა მიყრდნობილი...

ხელისგულზე სისველე ვიგრძენი. მოგონებების ცრემლებმა ლოყა დაუსველა და სველი თვალები ამოვუკოცნიე.

— ნუ, ნუ, გვანცულიკა, ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამიერიდან სიხარული გაჩუქო!

ის კი მიყვებოდა სოფელში ცხოვრების ამბავს, მუდამ წყევლასა და ლანძღვაში, მუდამ არდადეგებზე ჩამოხეტებული უცხო ადამიანების გარემოცვაში... ლოდინი, მოსაწყენი ლოდინი... წერილები და იშვიათი, გულცივი პასუხები იმ წერილებზე... ცამეტი წლის ასაკში უკვე ქალიშვილად გრძნობდა თავს და ამ დროს მე ჩავაკითხე... სიხარულის მოკლე წუთები... მოკლე იმიტომ, რომ მე კვლავაც პატარა გვანცა დავინახე და ვერ ამოვიცანი, რომ ის დიდია, მას ოცნების ახდენა სწყურია. მე კი უფროსი ძმის როლი მოვირგე და ვეძებდი პრინცესებს, რომელთა სახელი ლეგიონია.

მართლაც რომ! დამნაშავე ვიყავი და ბრმა. ცამეტი წლის მირაბელა თუ ქალიშვილად აღვიქვი, თუ შევძელი მისი სიყვარული, ცამეტი წლის გვანცაში რატომ ვერ ამოვიკითხე ქალი.

სინანულმა შემიპყრო. იმ დროს რომ თვალი ამხელოდა, ეს პატარა გოგო ჩემი სიყვარულის მზისქვეშ გაიფურჩქნებოდა, გულში ნათელი ჩაუდგებოდა. ამისათვის სულ რამდენიმე სააღერსი სიტყვა კმაროდა. ჩვენს ლექსიკონში ხომ უამრავი საგანძურია, ჩვენ კი მისი გაცემა გვიჭირს... მის თხრობაში საყვედურები პატარა ნაღმებივით იყო ჩადებული და გული მეფლითებოდა.

— მაპატიე, მაპატიე, საყვარელო! — ჩავჩურჩულე და სიტყვა ცხარე კოცნით გავანყვეტინე.

მანქანა დავქოქე და სწრაფად მოვწყვიტე ადგილს. მილიციელმა დამისტიგინა, თურმე ხიდის თავზე იდგა. აუჩქარებლად მოგვიახლოვდა, მანქანაში ჩაიხედა და გვკითხა:

— ასე სად მიგეჩქარებათ?

— ბედნიერებისაკენ! — შევძახე და მანქანა კვლავ მოვწყვიტე ადგილს.

— ფრთხილად, ფრთხილად! — მომადახა, მაგრამ მე უკვე გამეტებით მივქროდი თბილისისაკენ.

ტრასა ცარიელი იყო, ყურყუმი სიბნელე ჩამოწვა და ამ სიბნელეს მხოლოდ ჩემი მანქანის ფარების სინათლე არღვევდა. შუქის ბოლოს ბნელსა და ნათელის გასაყარზე ნისლი იბოლქვებოდა. მეღანდებოდა, რომ იქ, იმ ადგილას ბანჯგვლიანი დევი ჩამომჯდარა, ფეხები გზაზე გადაუნყვია და მელოდებოდა. მისი თვალი შუქურასავით ანათებს და ჩვენ მივექანებით მისკენ. მიფრთხილდი, დეეო! — ვემუქრები, — ფეხებს დაგანყვეტ!.. ისევ ზღაპრისა და რეალობის ზღვარზე ვკიდივარ და ჩემს სულში გაურკვეველი სურვილების, შიშის, წინათგრძნობის რალაც ნაზავი ტრიალებს. საჭე მარცხენით მიპყრია, ხოლო მარჯვენა გვანცას ხავერდოვან თმებში მაქვს, მის კისერზე, და თითებით ვგრძნობ მისი ძარღვის აჩქარებულ ფეთქვას.

ხეობიდან ხაშურისაკენ მიმავალ სწორზე გავედით და იქ, სადაც მოსახვევია, მოულოდნელად ნისლეულიდან გამოგუგუნდა რკინის უშველებელი ურჩხული, მომაბრიალა თვალები-პროჟექტორები და შემზარავი ხმა გაბმულად გამოსცა — უუუ!..

მუხრუჭს ფეხი დავაჭირე, მაგრამ გვიანი იყო.

ურჩხული სწრაფად ახლოვდებოდა, მე ვერაფერს ვხედავდი ამ სინათლის გარდა.

სასონარკვეთილმა შევკვივლე:

— გვანცა-ა!

იფეთქა რალაცამ, დაიფშვნა, დაილენა და გონი დავკარგე...

გვანცა

ოცნება აუხდა, მისმა რჩეულმა, მისმა უფლისწულმა გაიტაცა და ისინი ერთად მიქროდნენ ბედნიერების ფრთებზე. წმინდა ალერსი, ტკბილი ჩურჩული ბანგივით ათრობდა და რეალობის განცდა დაკარგა, სიზმარეთში განაგრძობდა არსებობას.

ბნელი ღამით, ცარიელ ტრასაზე მიქროდნენ, ფარების სინათლით ბნელეთის გვირაბს არღვევდნენ.

ნეტარებამ აიტაცა და ნეტარების ეს ჟამი უნდა გაგრძელებულიყო დიდხანს, დიდხანს, მთელი სიცოცხლე, ოღონდ მან არ იცოდა, დროის რა მონაკვეთი გამოეყო მისთვის წერა-მწერალს.

მოულოდნელად საიდანლაც, ღამის ნისლეულიდან გამოგრილდა შავი ურჩხული, უზარმაზარ თვალებს აბრიალებდა და შემზარავად შემოჰკვივლა.

— გვანცა-ა! — ზარით ჩაესმა სასონარკვეთილი ძახილი, რაიც საშინელმა ჭახანმა გადაფარა.

იყო წამიერი ტკივილი და უცაბედი არყოფნა.

სამყარო, ალბათ, ძველებურად ტრიალებდა, მაგრამ დრო გაჩერდა და მან არაფერი იცოდა იმაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა მისი არარსებობა. იქნებ მხოლოდ წამი, იქნებ ათასწლეული, თუმცა რაკი აღარ იყო, დროის განზომილებას მნიშვნელობა დაჰკარგვოდა. ოღონდ მოხდა რაღაც, მან არ იცოდა რა! მოულოდნელად იგრძნო, რომ არის, თუმცა სმენა დაგუბული აქვს, თვალებზე რძისფერი ნისლი აფენია და ირგვლივ არაფერია — მისი არსების გარეთ სრული მდუმარებაა, მასში ნეტარი ლტოლვა არსაიდან არსაითკენ, სრბოლა უსაზღვროებაში, სიცოცხლიდან სიცოცხლისაკენ — იმედის ნაპერწკალი, რადგან მხოლოდ სიცოცხლეში შეიძლება არსებობდეს ინდივიდის „მე“.

მერე მოვიდა სიზმარი, მოვიდა კი არა, სიზმარში გაცოცხლდა. დიახ, ბნელი ღამით მანქანას მიაქროლებდნენ და წინიდან ყოვლისშემამუსვრელი ურჩხული ამოიმართა. ბნელში იგრაგნებოდა გველემშაპის ლორწოვანი სხეული, უზარმაზარი თვალებიდან ცეცხლოვანი შუქი იღვრებოდა.

— უჩა-ა, მიშველე-ე! — იხმობდა გვანცა და ცდილობდა ჯოჯოხეთურ ქაოსში მოექცნა თავისი მფარველი და სასურველი.

— გვანცა-ა! — შორეთიდან მოდიოდა მისუსტებული ხმა, თანდათან იკარგებოდა.

წინ მცირედი სინათლე გამოჩნდა. ტყისპირას კოცონი ენთო, ირგვლივ სამი დედაბერი უჯდა. სამივემ თითები მისკენ გამოიშვირა.

— უფლისწული წაგვართვა! — იკვილა ერთმა.

— ჩვენს რჩეულებს აჯობა! — მოაყოლა მეორემ.

— ვუხმოთ ნითურ დევს! — დასჩხავლა მესამემ.

სწრაფად გაეცალა გვანცა კოცონს და ბოროტ დედაბრებს. მიფრინავდა, თუმცა არ იცოდა როგორ. ზევით რუხი ცა ეკიდა, ქვევით ასფალტის კლაკნილი ბზინავდა და იმ ასფალტზე ბანჯგვლიანი დევი მორბოდა. სიმაღლით ხეთა კენწეროებს ასცილებოდა, შუბლზე კენტი თვალი უკიაფებდა.

ხელები გამოანვდინა დევმა, ღამისაა ეტაცნა.

— უჩა-ა, მიშველე-ე! — იხმობდა გვანცა.

საიდანლაც ვერცხლისფერი მატარებელი გამოსრიალდა. ვაგონის კარი გაიღო და გვანცამ შიგ შეასწრო...

შიშმა გამოაღვიძა.

ბნელოდა, ვერაფერს ხედავდა და თავს უბრძანა: „დანყნარდი, ეს ხომ მხოლოდ სიზმარია!“ გაახსენდა, რომ სიზმარში ამაზრზენ ბანჯგვლიან დევს გაექცა. „სად ვარ?“ — ჩუმად იკითხა. რბილ სავარძელში იჯდა, თავი სავარძლის ზურგისათვის მიეყრდნო. ნელა ირხეოდა და რიტმული, ოდნავ მოგუდული დაგადუგი ჩაესმოდა, ლიანდაგზე მატარებლის ბორბლები რომ გამოსცემენ.

ვაგონის რხევას მიენდო, გონება ბურუსმა მოიცვა და კვლავ ძილში შებრუნდა — არეულ სიზმარეთში. აგერ ცხრა წლისაა, დიდი სახლის ცივ ოთახებში დაბორიალობს, აქ მისი არაფერია, აქ მას არანაირი ნება არ გააჩნია, რადგან ის მხოლოდ თოჯინაა, ბარბია, როცა მოსწყინდებათ, კუთხეში მიაგდებენ, ან თაროზე შემოდებენ... ოღონდაც, ფანჯრიდან ყვავილოვანი მდელო ჩანს. იქიდან უფლისწული მოემართება, გვირილები მოაქვს. გვანცას გული უფროთხილებს. ეს მისთვის კრეფენ გვირილებს, რათა ამ ციხის სიცივე შეარბილონ, ამ კედლებს ფერი შესძინონ... აგერ ცამეტი წლის გვანცა კიბეზე ჩამორბის, იღება ჭიშკარი და ეზოში უფლისწული შემოაბიჯებს. ჩამუქებული ცა თითქოს იხსნება, ზევიდან ლურჯი ფერი იღვრება, აქამდე გახუნებული ბალი ხასხასა ხდება, დაძველებული სოფლის სახლი დიდებულ სასახლეს ემსგავსება... აგერ თვრამეტი წლის გვანცა მანქანაში ზის, მორცხვი ნდომით ეხება უფლისწულს, მხარზე თავი მიუდვია, სინაზის სითბოში გახვეულა, ხოლო ჭაბუკს ხელი მის თმებში უდევს, თითებით კისერზე ელაციცება, ძარღვის აჩქარებულ ფეთქვას იჭერს... ნუთისოფელი მოკლეა, ნეტარების წამი მხოლოდ გაელვება, რადგან ნისლიანი ბნელეთიდან ურჩხული წამოიმართება და ბოროტად შემოგვიკვილებს.

— ააა! — საკუთარმა ხმამ გამოაღვიძა.

ფანჯარასთან იჯდა, რბილ სავარძელში. ვაგონის კედლები, ქერი, იატაკი ვერცხლისფრად ანათებდა. სავარძლის რიგები ჩამწკრივებულიყო და იმ სავარძლებში ადამიანებს ეძინათ — ქალებს, კაცებს, ბავშვებს...

„სად ვარ? — ფიქრობდა გვანცა. — სად მივემგზავრები? სად დავტოვე ჩემი უჩა?“

ფანჯრის მუშას ლამის ბინდი ეფინა. ცაზე ვარსკვლავები გარბოდა.

ბინდი თანდათან გაიცრიცა, ცის კიდეზე მთათა გრაფიკები გამოიკვეთა.

მალე მთებზე სხივების გვირგვინი ამოეფინა.

თენდებოდა.

და უცებ სასწაული მოხდა: უზარმაზარი, ოქროსფერი მზე ამოგორდა და უმალ მეორე — ლურჯად მოკამკამე მზეც ამოჰყვა. ოქროსფერმა და ლურჯმა მზეებმა გადმოაფინეს თავისი მწველი სხივები და გვანცამ იხილა ახალი სამყარო — ფართოდ გაშლილი ყვავილოვანი ველები, მათ მიღმა ამოიზიდა ტყიანი გორაკები, უფრო შორს კი აიგრაგნა მრისხანე კლდეები და შორს გაჭიმული თოვლიანი მთაგრეხილები.

„სად ვარ? — შფოთავდა გვანცა, — რას ნიშნავს ყოველივე? იქნებ ზღაპრეთში ჩავრჩი, სიზმარში, საიდანაც არ ბრუნდებიან!“

წინ, ველის კიდეზე ოქრო აგიზგიზდა, კოლოსალური ოქროს ცათამბვჯენი წამოიშარდა.

ვერცხლისფერი მატარებელი მსუბუქი დაგადუგით მისკენ ეშურებოდა.

სულ მალე უზარმაზარ თაღედში შესრიალდა და გვანცამ ამოიკითხა სადგურის სახელწოდება: „ზესკნელი“.

ყველაფერს მიხვდა, სასონარკვეთით წამოიძახა — „მშვიდობით, საყვარელო!“, ოღონდ მისი ხმა მის ბაგეებს არ გასცდენია.

მატარებელმა სვლა შეანელა, უხმოდ გაჩერდა.

თითქოს უჩინარმა ძალამ უბიძგაო, მგზავრები წამოიშალნენ და კარებს მიაშურეს.

პირდაპირ ბაქანიდან იწყებოდა ფართო კიბე. კოლონადების წყებას ზევიდან დიდებული გუმბათი ეხურა. შორეული კედლები ოქროთი და მარმარილოთი ბრწყინავდა.

დიდხანს, დიდხანს ადიოდნენ უსასრულოდ მაღალ კიბეზე.

ბოლოს გამოჩნდა უზენაესი სამსჯავრო.

მეიასხლა გვანცა უფლის ანგელოზს, მისი ბრწყინვალეობა თვალებსა ჭრიდა.

მუხლი მოიყარა, ხმა ვერ ამოელო, მაგრამ ფიქრში ახმოვანებდა თავის საწადელს.

„უფალო, დამიბრუნე ჩემი წილი ბედნიერება!“

ლმობიერად გადმოხედა ანგელოზმა, მარადიული სიკეთითა და სიყვარულით სავსემ, თავზე ხელი დაადო და მისი სიტყვები გვანცას ფიქრში დაინერა:

„ვიცი, გვანცა, შენთვის ღიაა სამოთხის კარი, მაგრამ სამოთხეშიც ვერ იქნები ბედნიერი! გაბრუნდი და ეძებე!“

გვანცას გონება ძილმა მოიცვა, გაქრა, წარიშალა ყოველი, გარდა უფლისწულის ხატისა, ლანდად რომ ჩარჩა მესხიერების სიღრმისეულ შრეებში.

„უააა!“ — წამოიძახა. ვერ მიხვდა, თუ რა იყო ის, რაც იხილა. თბილი წიაღიდან წამოსულს ამ სამყაროში შესცივნოდა და ტირილით ითხოვდა შველას. მავანი, ნაცნობი და საწდომიანი, დაიხარა, დიდრონი, ბარაქიანი ძუძუ მიაწოდა და ჩასჩურჩულა — „ჩუ, ჩუ, პანანავ, დედიკო გენაცვალოს!“

ახალი სიცოცხლე დაიწყო!

ბედნიერების მწვერვალზე მანქანას მივაქროლებდი ღამეულ გზაზე და მოულოდნლად ბნელეთიდან წამოიშარდა ჩემი მარადიული მტერი — ნითური დევი, თვალიდან ცეცხლს აფრქვევდა და გაბმული კივილით მოიწვედა.

— გვანცა-ა! — ყელიდან სასონარკვეთილი ძახილი აღმომხდა, წამიც და საშინელმა ჭახანმა დაფარა ყველა სხვა ხმა, რასაც ბნელეთი და სრული მდუმარება მოჰყვა.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, არ ვიცი, ვიყავი თუ არ ვიყავი, ჩავემვი არარსში, რადგან დრო გაჩერდა და ჩემი მეობაც განქარდა, გაქრა.

მერე სიზმარში გავცოცხლდი, უფრო სწორად, მივხვდი, რომ ვარსებობ. მომეჩვენა, რომ ღამეა, რომ ბნელა, ცაზე ვარსკვლავები ჩახჩახებენ, მე კი გზატკეცილზე მივრბივარ და მივიძახი — „გვანცა, გვანცა!“ გვანცას ფარფატა, თეთრი ლანდი მინის ზედაპირს ასცილებია და ხელებგანვდილი წინ მიიჩქარის. მეც ხელებგანვდილი მივრბივარ, იქნებ მივენიო და დავიჭირო... ოლონდაც, აგერ ბანჯგვლიანი დევიც მასწრებს, იმასაც ხელები გაუნვდენია და ლამისაა მიწვდეს... უცბად სივრციდან ვერცხლისფერი მატარებელი გამოსრიალდა, პირდაპირ თავზევით გაჩერდა, კარები უხმოდ გაიღო და გვანცას ფოფინა ლანდი შიგ შეფარფატდა. მე მინდა მივყვე, ვერცხლისფერ მატარებელზე ავიდე, მაგრამ ბანჯგვლიანი დევი ფეხებში მექაჩება, არ მიშვებს და მინისპირს ვერ ავცილებივარ. ვაგონის კარი უხმოდ იხურება და მატარებელი გასრიალდა წინ, მალლა... წუთიც და ვარსკვლავებში გაუჩინარდა...

„გვანცა-ა!“ — ტირილით ვიხრჩობი და ვწყევლი წითურ დევს, ამ მინაზე რომ მიმაბა და ვერცხლისფერ მატარებელში არ შემიშვა.

— მგონი, გონს მოდის! — მომესმა მამაკაცის ხმა.

— დანყნარდი, გენაცვალე, დანყნარდი, ყველაფერი კარგად იქნება! — ქალი თითქოს მიაღერსებს.

თვალი გავახილე და გულაჩუყებულმა ბავშვივით შევტირე:

— გვანცა წავიდა, მატარებელში ჩაჯდა და წავიდა!

— ჰო, ჰო! — მოფერებით მპასუხობს ქალი.

გონს მოვეგე. თეთრ პალატაში, მალალ სანოლზე ვწევარ, ერთიანად თეთრ ბინტში გახვეული. დაბინტული ფეხი გორგოლაჭზე ჰკიდია და მე ქვევიდან, ჩემი ბალიშიდან ავყურებ.

— რა მოხდა?

— არაფერი, გენაცვალე, არაფერი, პატარა ავარია...

„პატარა ავარია?“ — ცოცხალი, მგონი, არაფერი შემრჩა და „პატარა ავარია?“

ეს გაფიქრება და მწვავე ტკივილი დაიძრა ტერფიდან და მთელ ტანში დამიარა, ძვლები, ალბათ, ნამსხვრევებად მექცა.

— გამაყურებელი გაუკეთე! — უთხრა კაცმა და გავიდა.

— ახლავე, გენაცვალე, ახლავე მოგეშვება! — დამლულუნებს ქალი და თეძოზე ბნკენასა ვგრძნობ, ეს ნემსი შემერჭო.

— გვანცა სად არის? — ჭირვეულად ვკითხულობ. — მითხარით, რა იქნა გვანცა?

— დანყნარდი, გენაცვალე, დაიძინე, დაიძინე! — ჩამჩურჩულებს ქალი.

ტკივილი მიყურდება, ქუთუთოები მიმძიმდება, მენებება, მინდა ვიყვირო — „გვანცა-ა!“ მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრია.

მე უკვე მძინავს და ციურ სიზმარეთში შევდივარ. აჰა, მე ვძლიე საკუთარ სიმძიმეს და სივრცეში მივფრინავ. ქვევით, გზატკეცილზე ბანჯგვლიანი დევი მორბის და მოიძახის — „დავკარგე, კვალის დავკარგე!“ სწრაფად მოვლიე უკიდევანო სივრცე და უცხო პლანეტაზე აღმოვჩნდი. ირგვლივ გადაიშალა ყვავილოვანი ველი, რომელსაც შორეული მთაგრეხილები არტყია. გათენდა და მთათა მწვერვალებზე აღმოვჩნდნა ოქროსფერი მზე, იმას ამოჰყვა მეორე — ლურჯი და სივრცე აივსო ფერთა კალიედოსკოპით. ველის ბოლოს წამოიძვრა ოქროს ცათამბჯენი. მისი შიდა სივრცე ეჭირა ვრცელ დარბაზს, ფართო კიბეზე ადიოდა უთვალავი ადამიანი და მათ შორის გვანცა ვერ ვიპოვე. კიბის თავზე უფლის ანგელოზი დამხვდა, თვალები ცეცხლით უელავდა, მხრებზე ფართოდ გაშლილი წყვილი ფრთა ირხეოდა. ხელში ცეცხლოვანი მახვილი ეყურა. ჩემკენ მომართა და შემიძახა: „სდექ, ეს გზა ცოცხლების არ არის!“ მუხლებზე დავეცი და შევთხოვე: „მომეც ნება, გვანცა მოვძებნო!“ „დაგაგვიანდა, იგი გაბრუნდა!“ — ბრძანა ცისიერმა და სიზმარი გაქრა.

მე ისევ ჩემს პალატაში ვინექი.

„რა დრო გავიდა?“ — ფიქრში ვიკითხე, მაგრამ პასუხი არ მექონდა.

შეკავებული ქვითინი მომესმა. თავი ძლივს მოვაბრუნე. სანოლთან, სკამზე ფაშფაშა დედაკაცი იჯდა. დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი თვალებზე მიედო და ტიროდა. ვუყურებდი და ვერ გამეგო, ვინ იყო და რატომ ტიროდა.

— რა დრო გავიდა?! — ხმამალა გავიმეორე.

ქალი შეკრთა, ცხვირსახოცი ჩამოიღო და დიდრონი, სველი თვალები შიშინანად მომანათა.

„ნინელი?“ — ვიცანი. ნლები მიილია. ადრეც ძვალმსხვილი, ჯანიანი გოგო იყო და აგერ, როგორი დედაკაცი დამდგარა. „მართ-

ლაც რა დრო გასულა!“ — აუღელვებლად გავიფიქრე, არც გამხარებია და არც მწყენია.

— ო-ორმოცი გავიდა! — სლუკუნით მიპასუხა.

რას ნიშნავდა ეს სიტყვები? ნუთუ უკვე ორმოცი დღეა, უგონოდ რომ ვწევარ საავადმყოფოში? ესე იგი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ვიყავი მთელი ორმოცი დღე? „ორმოცი?“ — ერთხელაც გავიფიქრე და თავში თითქოს ჩამარტყესო.

— ორმოცი?! რა ორმოცი?! — ნამოვიყვირე და ლოგინიდან წამოდგომა მოვინდომე.

ნინელი წამოგოგმანდა, ხელები დამიჭირა, თან შეშინებული იმეორებდა:

— დამშვიდდი, ღმერთმა გადაგარჩინა!

— გვანცა-ა! — ვიბლავლე მთელი ხმით. — სად არის გვანცა?! რა ორმოცი?! თქვენი დედა-ა... რად გადამარჩინეთ?! ვინ გეხვეწებოდათ!..

კარი გაიღო და თეთრხალათიანები შემოცვივდნენ.

მაკავებდნენ, მე კი შემოვიგლიჯე რალაც ბინტები, მილაკები, მავთულები... სისხლი წამომივიდა...

ვყვიროდი, თუმცა ამ სიტყვების შინაარსი უკვე აღარც მახსოვს. ღონე წამერთვა. ცრემლი ღვარად მდიოდა, ყვირილი ლულულში გადამეზარდა, თავი კედლისაკენ მივაბრუნე, არავისი დანახვა არ მსურდა და ვიმეორებდი:

— წადით, წადით, მომშორდით!..

— შოკშია! — წასჩურჩულა მავანმა მავანს. ვიგრძენი, რომ ნემსი მიჩხვლიტეს, ალბათ, კვლავ მაძინებდნენ.

არ დამეძინა! ჩუმაღ ვინექი... ვის უნდა ავუჯანყდე, ვის მივმართო პროტესტით! არაფერი ეშველებოდა გვანცას, არაფერი მე არ მეშველებოდა... სიცოცხლე აღარ მინდოდა, სიკვდილს ვესწრაფვოდი.

ყველანი გაიკრიფნენ. არ მახსოვს, როდის წავიდა ნინელი. მას არ აღმოაჩნდა ჩემი დასამშვიდებელი სიტყვები. ვერანაირი სიტყვები მე ვერ დამამშვიდებდა.

ჩემში დაიძრა მწუხარე ნაღველი, იგი მოედინებოდა როგორც ბნელი მდინარე. ჩემს ძარღვებში უკვე სისხლი არ დიოდა. ამ ჩემს სხეულში გული — რკინის დგუში მუშაობდა. მექანიკური ადამია-

ნი გავხდი და ემოციებისაგან დავიცალე. დიახ, მე ვიყავი, მაგრამ სინამდვილეში არ ვიყავი. თანდათან ვკარგავდი საკუთარ თავს და ეს არ მწყენდა, რაკი არ ვიცოდი, რისთვის ჭირდებოდა ჩემნაირ არსებას საკუთარი თავი.

ყველას განვუდექი, ლაპარაკი დამავინწყდა. უხმოდ ვუნვდიდი მაჯას ან თეძოს ნემსისთვის, პირს ვაღებდი წამლის მისაღებად, სხეულის ნაწილებს ვუთმობდი გადასახვევად... ტკივილებს უხმოდ ვითმენდი. სხვათა ყბედობას ბამბის კედელს ვახვედრებდი.

მერე ფეხზე დავდექი, ყავარჯნებით გავიარე. ფანჯარასთან მივედი. ეზოს, ხეს, სახლებს უხალისო ნაცრისფერი ეფინა. მთელი სამყარო უხალისო იყო, სიცოცხლისაგან დაცლილი.

გარემიდამოს თოვლი რომ დაეფინა, ყავარჯენი გადავავდე და ხელჯოხი ავიღე. ჩემი სხეული, ეს ჯადოსნური მანქანა, ძველებურად მუშაობდა, მაგრამ ამ მანქანაში არ იდგა სული. ალბათ აქამდეც მოვიკლავდი თავს, ოღონდ ესეც მეზარებოდა.

გაზაფხულის პირზე, სანამ საავადმყოფოდან გამწერდნენ, მომაკითხეს. ექთანმა მაცნობა, შენთან სტუმარიყო. არ ავლელვებულვარ. „იქნებ ისევ ნინელის გავახსენდი?“ — გულგარეთ გავიფიქრე. არ მაინტერესებდა მისი ბადრი, ატირებული სიფათის ყურება. არავისი მიღება არ მინდოდა, მაგრამ უარის თქმაც დამეზარა.

ამასობაში პალატის კარი გაიღო და ზღურბლზე წამოიმართა ის, ვისი არსებობა ამ ხნის მანძილზე არ გამხსენებია.

— ანა-მარია! — სანოლის კიდეზე ვიჯექი და არ წამოვმდგარვარ.

თითქმის არ შეცვლილა, პირიქით, ჯანმრთელი ფერი ჰქონდა, არგო, ალბათ, აბასთუმნის ჰაერმა.

შევედე, ყელში ბურთი გამეჩხირა, და, უცებ, მთელი ამ თვეების მდუმარება უთქმელი ცრემლით გადმომელვარა.

მომიახლოვდა, ჩემი გადახოტრილი თავი მუცელზე მიიხუტა, იდგა და უსიტყვოდ მეფერებოდა.

გულამოსკვნით ვზღუქუნებდი, არ კი მახსოვდა რატომ. კაბის კალთა მთლად დაფუსვლე. შემრცხვა ჩემი სისუსტისა, ტირილი ბავშვურ სლუკუნში გადამეზარდა და ბოლოს გავილურსე, თავის აწევა გამიჭირდა.

— წავიდეთ! — წყნარად მითხრა. — ჩემთან, აბასთუმანში მოკეთდები! ხომ იცი, აბასთუმნის ჰაერი...

მზერა ავარიდე. უხმოდ ჩავიცვი. პატარა ჩანთის გარდა ბარგი არაფერი მქონდა. ანა-მარიამ ჩანთა გამომართვა, ხელკავი გამო-
მდო და ჯოხის კაკუნით დაფუყევით დერეფანს, კიბეს... უკან ჩემი
გადამრჩენელი ექიმები და ექთნები მომყვებოდნენ. კართან შევ-
ყოვნდი, თავი დაუხარე და ხმადაბლა ვთქვი:

— მადლობელი ვარ გარჯისათვის, თუმცა გადარჩენა არ
მითხოვია!

ეზოში ტაქსი გველოდებოდა. ძლივს ჩავჯექი. სახსრები მტკი-
ოდა, მაგრამ ეს სასჯელი მეკუთვნოდა და არას ვჩიოდი.

უხმოდ დავადექით გზატკეცილს. გვერდით პრინცესა მეჯდა,
რომელიც, სადღაც ჩემი ცნობიერების შორეულ სიღრმეებში მიყ-
ვარდა კიდევ, მაგრამ გულის გასაღები ჩაკეტილი მქონდა და
სიყვარულის ის განცდა ბნელ ჯურღმულში კვდებოდა.

ანა-მარია გატრუნული იყო. ჩემმა გაუცხოებამ დააფრთხო,
ჩემი ყინულეთი აშინებდა. მისგან სინაზის მსუბუქი ტალღა მეფინე-
ბოდა, მაგრამ ბედნიერების არანაირი უფლება არ მქონდა და სიცი-
ვის ჯავშანში ვიმალებოდი.

ნაშუადღევს აბასთუმანში ვიყავით. საბაგიროს ქვედა სადგურ-
თან ტაქსი დავითხოვეთ. ვაგონეტს მალლა-მალლა მივყავდი.
ტყეში ჩაფლული პატარა ქალაქის ხედი სხვა დროს აღმაფრთო-
ვანებდა, ახლა კი ყველაფერს ნაცრისფერი ნისლი ეფინა.

ობსერვატორიის თეთრი გუმბათები, ძირს მწვანე მდელო, მალ-
ლა კამკამა, ლურჯი ცა, ეს იყო სულ. ხოლო ამათ მიღმა ტყიანი
მთების გრაგნილები. ამ ობსერვატორიიდან სამყაროს ცოდნის
ნამცეცები იკრიფებოდა, მაგრამ მე ეს ცოდნა არ მაინტერესებდა,
რადგან არ იძლეოდა პასუხს კითხვაზე — „სად არის გვანცა?“

საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულზე ერთოთახიანი
ბინა ეჭირა ანა-მარიას. ბინას ეტყობოდა მარტოქალის ფაქიზი მყუ-
დროება... მომცრო აივანზე გამიყვანა, შეზღონგში ჩამსვა და
თბილი საბანი მომახურა. აივანს საღამოს მზე ეფინებოდა. ჩათბუ-
ნებულს მესმოდა ჭურჭლის მორიდებული ჩხაკუნის და დაღლილს
თანდათან ძილი მომერია.

აივნის პირდაპირ, ტყისპირზე კოცონი ენთო და სამ ჯადოქარს
ფერხული გაებათ. იქვე ბანჯგვლიანი, წითური დევი ჩაკუხულიყო,
თითს ჩემკენ იშვერდა და მსაყვედურობდა: შენ დამლუპე, შენ!

— შეგცივდება! — ანა-მარიას ხმამ გამომალვიძა.

ღამე ჩამონოლილიყო და ცაზე უამრავი ვარსკვლავი ჩახჩახე-
ბდა. გავხედე დიდი დათვის თანავარსკვლავედს და ძლივს ამოვთქვი:

— აი, ის, ვარსკვლავი წყვილია? მიცარი და ალკორი!

— წყვილია! — დამიდასტურა.

თვალნინ დამიდგა სიზმარეული ხატი — ყვავილოვანი ველე-
ბი, ხოლო ცის კიდეზე მთათა გრეხილები და მწვერვალებზე აგო-
რებული ორი მზე — ოქროსფერი და ლურჯი.

— იცი? — საიდუმლოდ ჩავჩურჩულე. — მე იქ ვიყავი! — და
თან სიცილი მივაყოლე, უფრო ხრიალი, ვიდრე სიცილი, რაკი ყელ-
ში ბურთი გამეჩხირა და სულს ძლივს ვითქვამდი.

— შეგცივდება! — გამიმეორა ანა-მარიამ, წამომაცენა და შინ
შემიყვანა.

თავი დაბერებულად ვიგრძენი.

სამზარეულოში ვახშამი მზად იყო, მაგრამ ჭამა არ შემეძლო.

ერთადერთ ოთახში ორი ლოგინი ძლივს ეტეოდა. ერთზე,
ცხადია, მასპინძელი იძინებდა, მეორე დივანზე იყო გაშლილი და
ბალიშზე უხმარი პიჟამო იდო.

ჩავიცვი, დავნექი და კედლისაკენ შევბრუნდი.

თავი მოვიმძინარე, თვალდახუჭული ვინექი. ძილი თითქმის
სიკვდილია და უშიშრად ვნებდებოდი, მაგრამ იგი არ მოდიოდა.

აგერ, ორ ნაბიჯზე ქალი გატრუნულა, იქნებ იმასაც არ ეძინა,
ოღონდ ჩემში ყველა სურვილი ჩაკვდა და ვერ ვიხსენებდი, რომ
არცთუ შორეულ წარსულში მისი ნდომა მკლავდა.

გარიჟრაჟზე ჩამთვლიმა და, როცა თვალი გავახილე, მზე უკვე
ამოსულიყო. უხმოდ ავდექი, ასევე პიჟამოთი აივანზე გავედი და
შეზღონგში მოვკალათდი.

ანა-მარია გამოვიდა, ფინჯანი ყავა მომანოდა. უგემურად შევ-
სვი, თითქოს სანამლავი ყოფილიყოს. ფინჯანი ძირს დავდგი და
თვალი დავხუჭე.

მთელი დღე მეძინა. ასეც წავიდა ჩვენი თანაარსებობა — უხ-
მოდ, უთქმელად... ღამეებს თეთრად ვათენებდი, დღისით აივანზე
მეძინა. სიზმრად მუდამ ერთი და იგივე მესიზმრებოდა — ჰორი-
ზონტზე ამოსული წყვილი მზე — მიცარი და ალკორი დიდი დათვის
თანავარსკვლავედიდან. დღე დღეს მიედევნა, გუშინდელი მავინყ-

დებოდა, მხოლოდ ამნუთიერით ვარსებობდი. აქვე, გვერდით ქალი მოძრაობდა — მზრუნველი, რბილი, სინაზით სავსე პრინცესა, მე კი მის არსებობას თითქმის ვერ ვამჩნევდი.

ერთხელაც გამოხეთქა, შეზლონგის წინ მუხლებზე დაეშვა და ატირდა.

— ოლონდ რამე მითხარი, მე ხომ შენი ბედნიერება მინდოდა!

თითქოს გამოვიღვიძე, თურმე თავს დამნაშავედ გრძნობდა, რაკი არჩევანი გამიადვილა.

გავუღიმე, თავზე ხელი გადავუსვი.

— იცი, — წყნარად ვუპასუხე, — გვანცა დაბრუნდა!

შიშინად ამოხსედა, ოთახში შებრუნდა, საბანში თავიანად გაეხვია და დიდხანს სლუკუნებდა.

დალამებამდე, მერე ღამეც იმ შეზლონგზე დავრჩი, სიბნელეს გავყურებდი და უხმო ფიქრს ველოლიავებოდი — „გვანცა დაბრუნდა!“

გარიჟრაჟზე გავეპარე. საბაგირომდე ფეხით ჩავიბრინე. ბორჯომის ავტობუსზე ავიძვრი და უკანა სკამზე მოვიკუნტე. მანქანის ნჯღრევაში ჩამეძინა და მაშინლა გავიღვიძე, როცა ბოლო სადგურს მივალწიეთ, მძლოლი თავზე დამადგა და ფული მომთხოვა. უაზროდ ავყურებდი და ვერ ვხვდებოდი, რა უნდოდა. „გიჟია ეს ოხერი!“ — წამოიძახა გაბრაზებულმა და ავტობუსიდან ჩამომავლო.

ტანზე პიჟამო მეცვა. ირგვლივ ხალხი იცინოდა და თითს მიშვერდნენ.

სწრაფად გავეცალე. ფეხაჩქარებით მიმოვირბინე ნაცნობი ქუჩები და ავუყევი ბორჯომ-პარკისაკენ მიმავალ გზას. გამვლელი მანქანები მიპიპინებდნენ, მავანნი თითს შუბლზე იკაკუნებდნენ, შექანებულაო, მე კი ვერ ვხვდებოდი, რას მერჩოდნენ.

სერპანტინს მალლა მივყვებოდი. ფერდობებზე ფიჭვნარი ირხეოდა, უზარმაზარი ხეების ჩრდილი თავზე მეფინებოდა.

ვიღლებოდი...

დავიღალე... მეგონა, მივრბოდი, სინამდვილეში ძლივს ვადგამდი ნაბიჯებს, მუხლები მეჭრებოდა, მაგრამ შესვენება არც მიფიქრია. მივიჩქაროდი, რადგან დროზე უნდა მიმესწრო იმისთვის, ვინც მელოდებოდა.

აგერ სოფელიც! აწვართული ფიჭვების რიგს მიღმა სახლები გამოჩნდა. ბარბაცით გადავუხვიე გზიდან. ჭრელ ჩრდილში მშრალ-

ლი წინვი რბილი ხალიჩასავით დაფენილიყო და ფეხისგული შიგეფლობოდა.

ტყიდან ორლობეში შევალწიე. ნაცნობი ჭიშკარი შევალე. შეფოთლილი ვაშლების მსუბუქი შრიალი შემომეგება.

— გვანცა-ა! — გავძახე.

ვიცოდი, კარი გაიღებოდა, კიბეზე ჩამოირბენდა და ისევე, როგორც ადრე, კისერზე ბავშვურად ჩამომეკიდებოდა.

აღარ დავაცადე, ზევით ავირბინე.

— გვანცა, გვანცა! — ვეძებდი, კლიტის ჭუჭრუტანებში ვიჭყიტებოდი.

აგერ ეს კარიც! ეს ხომ გვანცას ოთახია. იქნებ სძინავს, მაგრამ უკვე შუადღე ახლოვდება და აქამდე რა დააძინებდა!

შევალე. ოთახის შეგუბებული ჰაერი ნესტიანი კოცნით შემომეგება. აგერაა ქალიშვილის კოხტად გასწორებული ლოგინი, სადა კარადა, პატარა სარკე, სარკესთან მომცრო მაგიდა და ღარიბული სამკაულები.

— გვანცა! — ხმა ჩამივარდა, დაღლილსა და იმედგაცრუებულს თავბრუ მეხვეოდა.

საბანი გადავწიე და შიგ ჩავწექი, გვანცას ბალიშს ჩავეხუტე და გავიტრუნე.

უხმო ტირილით ვასველებდი.

მიტოვებული სახლის მდუმარება სუფევდა, ნიავიც კი არსად იძროდა. ცრემლი ჩამომდიოდა და ნაზი ჩურჩულით მოვუხმე:

— გვანცა, გვანცა...

არ ვიცი, ცხადი იყო თუ სიზმარი — სახლი შეზანზარდა. მოულოდნელი ქარი ამოვარდა, ხეთა ტოტები ერთმანეთს ეხლებოდა. ციდან გრუხუნი მოისმა. დევთა ჯარი, წითური დევის საძმო შემოადგა სახლს, კედლებზე აბრაზუნებდნენ, არყევდნენ და ხაფად გაჰკიოდნენ. სამი ჯადოქარი სახურავზე ბუქნას უვლიდა და ლამისაა ძველი სახლი თავზე ჩამოემხოთ.

კარზე დააბრაგუნეს. თავი ავწიე. ფანჯრებში დილის სინათლე იღვრებოდა. გარედან ბრბოს რუზრუზი მოისმოდა.

„დევეები მოვიდნენ, დევეები!“ — სულში იკვილა არ ვიცი ვისმა ხმამ.

კარი გაიღო და უზარმაზარმა ფორმიანმა შემოიხედა.

— დევები, დევები! — შევლრიალე, სანოლიდან წამოვფრინდი და ფორმიანს გახელებით ვეძგერე. ორივენი აივანზე გავვგორდით. საიდანღაც გამოცვივდნენ ბანჯგვლიანი ტიპები. პირქვე დამაგდეს და ხელები ზურგსუკან გამიკრეს.

ვცდილობდი დავსხლტომოდი, ნიხლებს ვიქნევდი, მაგრამ მალე არაქათი გამომელია და გავითიშე.

სასწრაფოს მანქანაში შემაგდეს და გამაქანეს. თავქვე ვინექი და ვიგრძენი, პირდაპირ პიჟამოდან ნემსი გამიკეთეს.

არ მახსოვს რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. გრძნობა რომ დამიბრუნდა, ზურგზე ვინექი, ხელები ზენრის ბოლოებით გარდიგარდმო მქონდა გაქაჩული და ვერ ვინძრეოდი.

მიმოვიხედე. ისევ საავადმყოფო პალატაში ვიყავი. ჭუჭყიანი კედლები და ჭერი, დამტვერილი ფანჯრები იმას მოწმობდა, რომ ამჯერად ეს ფსიქიატრიული უნდა ყოფილიყო.

„გიჟი ვგონივართ!“ — გავიფიქრე.

პალატაში ათიოდე სანოლი იდგა. ავადმყოფებს ჭუჭყისფერი ხალათები ეცვათ. ზოგი ინვა, ზოგი მიმოდიოდა, ერთნი მასლაათობდნენ, სხვები საკუთარ თავს ელაპარაკებოდნენ.

ექიმი შემოვიდა. დევივით კაცი იყო, რაგბისტსა ჰგავდა („ბაყბაყდევი ჯოდოა!“ — გავიფიქრე).

— გამოფხიზლდი?

— დიახ!

— გტკივა რამე?

დავფიქრდი. მე გვანცა მტკიოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს არ უნდა გამემხილა და თავი გავაქნიე.

— ხომ არ იჩხუბებ?

— არა!

მომვლელს მოუხმეს, ზენარი შემხსნეს. ჭუჭყიან აბანოში შემაგდეს, ჭუჭყისფერი საცვლები და ხალათი ჩამაცვეს.

მივხვდი, აქედან თავს იოლად ვერ დავალწევდი. ეს იყო სასჯელი და იგი უხმოდ, უდრტვინველად უნდა გადამეტანა. სულით ავადმყოფთა და ადამიანებად გადაცმულ დევებს შორის უნდა მეარსება.

ჩავიკეტე საკუთარ თავში. არავისთან ლაპარაკი არ მენადა. ვინექი ჩემს სანოლში, კედლისაკენ შებრუნებული, ან ბოლთასა

ვცემდი გრძელ, ბინძურ დერეფანში, ან ეზოში — სადაც ორიოდე გაფშეკილი ბურქი და უსიცოცხლო, დამტვერილი ხე იდგა.

ხანდახან ექიმი მომიხმობდა. ვიცოდი, ამ უზარმაზარი კაცის სხეულში ბაყბაყდევი იჯდა და ვცდილობდი, ყველა კითხვაზე ზომიერი, „ნორმალური“ ადამიანის პასუხი გამეცა. ათას წვრილმანს მეკითხებოდა, მიტრიალებდა, ცდილობდა ამოეხსნა ამოუხსნელი, მე კი კუს ბაკანი მოვირგე, იმაში ჩავიმალე.

— მაგრად იყავი, მოგარჩენ! — მამშვიდებდა, მაგრამ მან არ იცოდა, რისგან უნდა მოვერჩინე, ანდა მენადა კი „მორჩენა“.

დიახ, ჩემს დაავადებას „გვანცა“ ერქვა და ამისგან ვერანაირი წამალი ვერ მომარჩენდა.

მოულოდნელად ანა-მარია გამომეცხადა, საყვედური შემომბედა:

— რამდენი გეძებე, გეძებე...

ჩვენ ეზოში ვსეირნობდით. იგი ჩემს გვერდით მოირხეოდა, წინანდელივით თხელი და ნატიფი, ოღონდ დარდს მის სახეზე პირველი ღარები დაემჩნია.

მხოლოდ წამით შევხედე და პირი მივაბრუნე, არ მინდოდა ჩემსა და გვანცას შორის სხვა ვინმე ჩამდგარიყო.

ბევრი ვისაუბრეთ. წვრილად მიყვებოდა, თუ რა ხდებოდა აბასთუმანში, რაზე მუშაობდა... ასტრონომთა ახალ აღმოჩენებზე ვალაპარაკე... უნივერსიტეტი გავიხსენე, ჩემი ლექციები, ის ზღაპრეთი, სადაც ჩემს სტუდენტებს ვასეირნებდი.

— ვერ გამიგია, აქ რატომ გაჩერებენ! — ერთხელ ჩაურთო.

მოვუყურე... ვიცოდი, რატომაც მაჩერებდნენ, ჩემს საიდუმლო სკივრში აფათურებდნენ ხელს, რათა იქიდან ამოეგლიჯათ განძი, ჯერაც რომ მაძლებინებდა, და დევთათვის გადაეგდოთ საჯიჯგნად.

ბოლოს გასასვლელამდე მივაცილე, მისი წვრილი თითები ხელში ავიღე და ჩემთვისაც მოულოდნელად ჩავჩურჩულე:

— მხოლოდ შენ გენდობი, ექიმებთან არ გამცე. იცი, გვანცულიკა დაბრუნდა!

თვალეები გაუფართოვდა, ცრემლებით აევსო და სწრაფად გამშორდა, გალავნის მიღმა გაუჩინარდა.

პალატაში, ჩემს სანოლზე მივინექი და კედლისაკენ შევბრუნდი. ფიქრში ვეჩურჩულეობდი გვანცას — ჯერ ცხრა წლისას, მერე

— ცამეტისას, მერე — ჩემს საპატარძლოს... სულ რამდენიმე კოცნა მოვპარე, ეს იყო და ეს! ტუჩებზე ვგრძნობდი მისი ნამწამების ხამხამს, როცა თვალებში ვკოცნიდი, ვგრძნობდი მისი ბაგეების გემოს, როცა ტუჩებს ვაკვებობდი... როდის იყო ეს? გამეორდება კი ოდესმე?

არაერთმა თვემ გაიარა, მე კი ისევ ისეთივე ვიყავი, გონიერი და მშვიდი პაციენტი.

ავვისტოს ბოლოს კონსილიუმი გაიმართა და გამომწერეს. ჩამაცვეს ტილოს იაფფასიანი შარვალი, იაფფასიანი სატინის პერანგი და ტილოს იაფფასიანი ფეხსაცმელები, მიყიდეს ავტობუსის ბილეთი თბილისამდე და მომცეს ჯიბის ფული — ხუთი მან.

ვიჯექი მხრჩოლავ „იკარუსში“ და გავყურებდი გარემიდამოს. ზაფხულის სიცხემ მწვანეს სიხასხასე დაუკარგა და ყვითელი შეურია. ლამაზი იყო ქართლის ხედები, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ისევ და ისევ ტივიტივებდა სამოთხის ყვავილოვანი ველები და მთათა გრეხილებზე ამოსული წყვილი მზე — ოქროსფერი და ლურჯი.

სპორტის სასახლესთან საღამო ხანს ჩამომსვეს. ფეხით დავუყევი გზას ხილიანით, მერე ვერეს ხეობა გადავკვეთე, ჭავჭავაძეზე აქოშინებულმა ამოვირბინე. ვინ მრჯიდა, ვინ მაიძულებდა, რას მივერეკებოდი? ისეთი განცდა დამეფულა, თითქოს იქ, გამოკეტილ ბინაში ვილაც მელოდებოდა. ჩქარი ნაბიჯით ჩავუარე მეცხრე საავადმყოფოს, სტუდენტულს და ჩემს ქუჩას რომ მივალნიე, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, თუმცა ნაბიჯი არ შემინელებია.

სადარბაზოში შევევარდი. ლიფტი არ გამხსენებია, ისე ავფრინდი მესამე სართულზე. საკუთარ კარზე დავაკაკუნე. მომეჩვენა, რომ შიგნით რაღაც მოძრაობდა. გული ამოხტომაზე მქონდა. „გვანცა!“ — ჩემში თითქოს უცხო ხმამ იკივლა. კარს ზემოთ, საიდუმლო ნიშაში გასაღებს ვინახავდი და ხელი მოვაფათურე, ვიპოვე, ხელის კანკალით კლიტეს მოვარგე.

შევაღე და ნიავი შემომეგება.

— გვანცა! — ხმაჩახლეჩილმა ძლივს ამოვთქვი.

პასუხად ნიავი გაფაჩუნდა. აივნის კარი ღია დარჩენილიყო და ფარდები ირხეოდა.

კარი ზურგით მივხურე და ოთახები დავიარე. არავინ იყო!

სავარძლამდე ძლივს მივალნიე და ფეხები მომეჭრა. კარგა ხანს ვიამებდი გულისცემას, ვწყნარდებოდი.

არავინ დამხვდა, მაგრამ ვიცოდი, რომ გვანცა დაბრუნდა და უნდა მეცოცხლა, რათა დავლოდებოდი.

ჩემს ნიჟარაში ჩავიკეტე. გარეგნულად დიდად არ შევცვლილვარ. ხანდახან კოლეგები მეკითხებოდნენ, შეუძლოდ ხომ არა ხარ, ფერმკრთალი გვეჩვენებო. „დავბერდი, დავბერდი!“ — ვითომ ხუმრობით მივუგდებდი და ჩემს გზას ვენეოდი, რათა აბეზარ თანამგრძობლებს გავშორებოდი.

ვცხოვრობდი კენტად, უსტუმროდ. მეზობლებმა მომიკაკუნეს, მაგრამ ცივი ზრდილობით პარმალზევე ველაპარაკე და შემოსვლა ვერავინ გაბედა. სამსახურში ჩემი გამოჩენა გაუხარდათ, ლექციები იწყება და სად დაიკარგეო. ორ პატარა ჯგუფს ვუკითხავდი ფოლკლორის საჭირობოროტო საკითხებზე. ცოდნა მყოფნიდა, მაგრამ ის ძველებური ალტკინება და შინაგანი ცეცხლი მაკლდა. ხანდახან ჩამითრევდა იდუმალი ხმები, წამოტივტივებოდა სამი ჯადოქრის თემა, ანდა ბანჯგვლიანი წითური დევისა, ან უცაბედად გავიჭრებოდი ყვავილოვანი პლანეტისაკენ, სადაც წყვილი მზე ამოდიოდა — მიცარი და ალკორი... ვხედავდი, მსმენელთ თვალები უფართოვდებოდათ, იქნებ ინტერესის გამო, თუმცა იქნებ შიშის გამო, რაკი ეს ხილვები შინაგანი ცეცხლით გამოწვეული მაგმას ამონთხევასა ჰგავდა... გონს მოვეგებოდი, ჩემს ფანტაზიებს აღვირს ამოვდებდი და უცბად მოვსხეპდი — „დანარჩენი შემდეგ ლექციაზე!“

ეს იყო უფერული ცხოვრება უფერული ადამიანისა, რომელმაც დაკარგა სიცოცხლის რეალური საზრისი, აებნა გზა-კვალი და ძალა არ ეყო, სინამდვილისათვის თვალი გაესწორებინა. ცდილობდა ამოეცნო არსებობის ჭეშმარიტი არსი, იჯდა თავის უკვე დაძველებულ სავარძელში, შეჰყურებდა ჩამქრალი ტელევიზორის ბრჭყვიალა ეკრანს და აკონინებდა აზრთა და წარმოსახვათა უცნაურ ჯაჭვს, რაიც მის ფარულ იმედებს საგნობრიობას აძლევდა.

მის წარმოსახვაში იჭედებოდა ოქროს ჯაჭვი, რომლის ყოველი რგოლი ნიშნავდა სიცოცხლის მომდევნო ნაწილს, დრო დროს ეჯაჭვებოდა... დრო, როცა მავანი, ვისაც საკუთარი სახელიც არ ახსოვდა, აკვანში იწვა და დედის ძუძუს ბურჩნიდა... მერე დრო ტაატიტ სიარულისა და სამყაროს შეცნობისა — ესაა დედა, ესაა მამა, ესაა სახლი...

მან, ხუთი წლისამ, დედას სთხოვა:

„დედიკო, მომიყევი უფლისწულ უჯუშის ზღაპარი!“

დედა გაოცდა.

„ვინ უფლისწული? ეგეთი ზღაპარი წიგნებში არ წერია!“

მან ჯერ არ იცოდა, რა არის წიგნი და შიგ რა უნდა ეწეროს.

შვიდი წლისამ იკითხა:

„დედიკო, ჩვენ ფიჭვნარში ვცხოვრობდით?“

„სადაც ფიჭვის ხეებია, ყველგან ფიჭვნარია!“ — აუხსნა დედამ.

ათი წლისამ იკითხა:

„დედიკო, მე რა მქვია?“

„მაგიჟებს ეს გოგო, რა გქვია და ანუკი!“

„აკი გვანცულიკაო?“

„დედი, ავად ხომ არა ხარ?“ — დედას შეეშინდა და შუბლზე ხელი დაადო.

გოგონას სიცხე არ ჰქონდა.

საიდან მოვიდა ეს ცოდნა, ვინ ჩამძახა? ვინაა მავანი, რომლის მეხსიერების უღრმეს შრეებში არსებობს მოგონებების სუსტი ანარეკლი, ჩემი სიზმრების გაელვებას რომ ჰგავს. ცნობისმოყვარედ მიუგდებს ის ყურს თავის ხილვებსა და ფანტასმაგორიულ ჩვენებებს, მოულოდნელად არსაიდან რომ წამოუტივტივდება და ბადებს უცნაურ კითხვებს: ნუთუ ოდესმე სხვა ვიყავი? ნუთუ თებრონე მერქვა და კოკით წყალი მიმქონდა? ნუთუ გვანცა მერქვა და სადღაც ფიჭვნარში ვცხოვრობდი? ნუთუ ვიცნობდი მავანს, ვისაც უფლისწული უჯუში ერქვა, ანდა ჩვეულებრივი სახელი — უჩა... ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ სიზმარეთი იყო. ამ სიზმრებიდან ზოგი ავიწყდებოდა, ზოგი მეხსიერებაში რჩებოდა, ხან როგორც ყვავილოვანი მდელო, ხან სლიპინა ურჩხულის ამაზრზენი გრაგნილი.

მერვეკლასელნი ექსკურსიაზე წაიყვანეს აბასთუმანში. ლამაზი იყო გზა იქითკენ, ლამაზი იყო საბაგიროზე ასეირნება, როცა

ტყიანი მთები დაბლა ეშვება, შენ კი მაღლა მიცურავ. ლამაზი იყო მწვანე ველი მთის თავზე, სადაც ობსერვატორიის თეთრი გუმბათები ბრწყინავს... ლამაზია ტყითმოსილი ფერდობებით შემოსაზღვრული სივრცე... ლამაზია სამყარო, მით უფრო, როცა ახალგაზრდა ხარ, სიცოცხლით სავსე და ბედნიერების წინათგრძნობით დამუხტული, სამყაროს იდუმალებათა შეცნობის სურვილით სავსე.

ობსერვატორიის გრილი და მქრქალი მდუმარება, საათივით აუჩქარებლად მოძრავი გუმბათი და ჭერის გახსნილი ნაპრალი, საიდანაც ტელესკოპი ცისკენ მიმართულა. ახლა დღეა, ცა ლურჯად აკრიალებულა, მაგრამ მოვა ღამე, ცაზე მიმოიბნევა ჩახჩახა ვარსკვლავეთი და მაშინ ჭორიკანა ტელესკოპი ცალი თვალით შეიჭყიტება იქ, სადაც სხვათა მზერა ველარა სწვდება.

ექსკურსიამძლოლი თხელი და მაღალი ქალბატონია, სწორი თმები მხრებზე აფენია, საუცხოო თაფლისფერი თვალეები უნათებს, თუმცა ასაკს მისი ადრინდელი, ალებასტრივით თეთრი კანი წვრილად დაუნაოჭებია. ნელი წამლერებით ყვება იგი ტელესკოპზე, ციურ სამყაროზე, რომელიც ღამეულ ცაზე გადაიშლება, ყვება შორეულ თანავარსკვლავეებზე, გალაქტიკებზე, გიგანტურ ბეტელჰეიზეზე და ჯუჯა ვარსკვლავებზე, ვარსკვლავთა გუნდებზე, კენტ ვარსკვლავებზე და წყვილ ვარსკვლავებზე, უთვალავ პლანეტაზე, იმ ვარსკვლავების ირგვლივ რომ მოძრაობენ... იგი რუკასთან მიდის და რუკაზე დიდი დათვის თანავარსკვლავედის კოვში ჩანს.

— მე იქ ვყოფილვარ! — ამბობს გოგონებში ერთი და თითს ადებს კოვშის სახელურის მეორე ვარსკვლავს.

ქალბატონმა დაკვირვებით შეხედა, ფერი ეცვალა და სკამზე ჩამოჯდა.

— გვანცა?

— მე ანუკი მქვია! — პასუხობს გოგონა.

— ანუკი? უჰ, როგორ შემაშინე! — ჩაიჩურჩულა ქალბატონმა.

— დიახ, მე იქ ვიყავი! — თქვა დაბეჯითებით გოგონამ. — იქ ყვავილოვანი ველეებია, ოქროს ცათამბჯენი და მთაგრეხილების თავზე ორი მზე ამოდის — ოქროსფერი და ლურჯი!

— გაჩუმდი! — მკლავზე მოქაჩა ამხანაგმა. — ვერ ხედავ, ქალბატონი ცუდადაა!

ქალბატონს წყალი მოურბენინეს, ყლუპი მოსვა და სანყლად გაიღიმა.

— ეს ხომ მხოლოდ გესიზმრა!

ალბათ!

ვისი სიზმარი იყო ეს? ვის ზღაპრეთში შეიპარება ხოლმე ჩემი დაავადებული ტვინი, რომელსაც ვერაფრით ამოუხსნია, ვინაა „მე“ და ვინაა „ის“. მე, უჩა ლურწკაია, წინა ცხოვრებაში უფლისწული უჯუში, წარმოსახვის ამ ნაყოფს რეალურ სამოსში ვმოსავ და შორით ველაციციები.

გოგონამ ფართოდ გაზიდული, მწვანე თვალები მოანათა დედას და უთხრა:

— დედა, მე აქ ვყოფილვარ!

— სად, შვილო, სად აქ?

ისინი ბორჯომ-პარკის გავლით მიემგზავრებოდნენ სადგერის წმინდა გიორგის ტაძრისაკენ.

— აი, აქ! — თქვა გოგონამ და ხელი ფიჭვნარისაკენ მიმოატარა.

მანქანა სწრაფად გარბოდა და გზისპირებზე მაღლა ატყორცნილი ფიჭვები მინარნარებდნენ.

— ამ ტყის ბოლოს ორღობეა, იქ ჩიხია და სახლიცა დგას! — თქვა გოგონამ.

დედა გამტკნარებული შეჰყურებდა.

— გავაჩერო? — იკითხა მძღოლმა.

— იქ შედი! — თითით უჩვენა გოგონამ.

ჭიმკარი ახლადშეღებილი ჩანდა.

— სირცხვილია, შვილო, რას იტყვის უცხო ხალხი!

გოგონა მანქანიდან გადმოვიდა, ჭიმკარი შეაღო.

სახლი დაძველებული ჩანდა. ზემო აივნისაგან დედაკაცები გადმოდგნენ. ერთს ხელში ჩვილი ეჭირა და კიბეზე ის ჩამოეგება.

— აი, იქ წყაროა! — ხელი მარცხნივ გაიშვირა გოგონამ.

— წყალი გნებავთ? ახლავე მოგართმევთ! — შეეპასუხა მასპინძელი.

— იქ ვაშლი იდგა, მაგიდა და ძელსკამი!

— ვაშლი გახმა, შეშად გავიხმარეთ! — დაიბნა ქალი. — იცით, სახლი მიტოვებული იყო, ჩვენ ლტოლვილები ვართ!

გოგონა ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ხმაგაბზარულმა ჰკითხა:

— აქ ადრე ვინ ცხოვრობდა?

— ობოლი იყო, მეზობლებმა მითხრეს, დაიღუპაო!

— სახელი?

— მგონი, გვანცა! — თქვა ქალმა და ყოყმანით დაუმატა. — დიდი ხნის ამბავია, საქმრო გადარჩაო...

გოგონა მანქანაში ჩაჯდა, შეწუხებული ჩანდა.

— რა იყო, შვილო, რა გემართება? — ფრთხილად ჩაეძია დედა.

— არ ვიცი, დედიკო, სიზმარში ვცხოვრობ მგონია!

მეტი არაფერი უთქვამს, კარის ძვიდეს თავი მიაყრდნო და გაიღურსა.

სოფელი უხმოდ გაირბინეს, ხელმარჯვნივ, ვინრო ორღობეში შეუხვიეს.

აქ, ღრმად ჩავარდნილი ხეობის კიდეზე ბაზილიკა დგას — სადგერის წმინდა გიორგისა.

გოგონამ კედელთან ჩაიმუხლა და თვალი დახუჭა.

— წმინდა გიორგი, აქ პირველად ვარ, მაგრამ ვგრძნობ, აქამდეც ბევრჯერ ვყოფილვარ. გონება გამინათე, რათა მივხვდე, რა მემართება! მიმახვედრე, ვინ ამომახსენებინებს გამოცანას...

ნეტავი ასე თუ იყო ყოველივე? ეს სიტყვები ხომ ჩემი არეული კალიგრაფიით ჩემსავე თეთრ ქალღმრთელზე ჩამოვწერე, ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მენერებოდა. მეგონა, რომ ვიღაცა მკარნახობდა და მე მხოლოდ ვინერდი. მერე დადუმდა მოკარნახე, ამოშრა წყარო, საიდანაც ჩემი ოცნებებისა და იმედების სამყარო იკვებებოდა, გაქრა ყველა სახელი, რაც აქამდე მახსოვდა... ჩემი მეხსიერების უდაბნოში ერთადერთი პანია სანთელი ბუუტავდა — „გვანცა!“

გულის სუსტმა ჩხვლეტამ გამომადვიძა. ტელევიზორი შიშინებდა, ეკრანზე ფერადი ხაზები ჩამოდიოდა. ჩართული დამიტოვებია, ის კი არ მახსოვს, რას ვუყურებდი; იქნებ იმას, რაც მეხსიერებაში ცოცხლდებოდა და საგნობრიობას იძენდა, სახელებს ვუძებნიდი, ის კი ტელეგმირი იყო მხოლოდ და ჩემი სურვილები და იმედები უცნაურად გადაეჯაჭვა სხვათა იმედების მდინარეებს.

გულში კვლავ ჩხვლეტა ვიგრძენი, ფეხები დადამბლავებულგით მქონდა. ხელები სავარძლის სახელურებზე მენყო. იქვე, პატარა მაგიდაზე ნიტროგლიცერინის პანანა შუშა იდო. უნდა გამეხსნა, ერთი აბი ამომელო და ენის ქვეშ ჩამედო. გამიჭირდა ხელის გაჩოჩება, თითები ვერ დავიმორჩილე. შევეხე კიდეც, მაგრამ შუშა გამექცა და იატაკზე გაგორდა.

ანი იმას ვერ მივწვდებოდი, თუ, რა თქმა უნდა, ძარღვებში სისხლი არ ამოდრავდებოდა და სახსრებში სიცოცხლეს შემოიტანდა.

კარზე დააკაკუნეს, მორიდებულად, მსუბუქად.

ფანჯრებში რიყრაყმა თეთრი ნისლივით შემოაღწია. ვინ უნდა ყოფილიყო? ასე უთენია ვის გავახსენდი? მეზობლებს, ცხადია, სძინავთ, ექიმთან მე ვერ დავრეკავ, თუნდაც იმიტომ, რომ ტელეფონი შემოსასვლელთანაა და იქამდე ვერ მივალწევ. ვინც არ უნდა მომაკითხოს, კარის გასაღებად ამ სავარძლიდან ვერ წამოვიწევი. კაკუნი გამეორდა.

— ვინ არის? — გავძახე, თუმცა მივხვდი, რომ ეს ძახილი მხოლოდ ჩემს ტვინში გახშირდა, რადგან ყელიდან ხმა არ ამომსვლია და ჩემს ამ ძახილს მდუმარება არ დაურღვევია.

ქუჩაში მანქანამ გაირბინა, მერე მეორემ. ორმაგი ფანჯრები მაქვს და ქუჩის ხმას ახშობს.

კარმა მსუბუქად გაიჭრიალა. ნუთუ ნუხელ ღია დამრჩა? ზუსტად ქურდის საათი დგას და ვაითუ გამძარცვონ. ნინააღმდეგობას ვერ გავუწევ, ღონე არ შემრჩა, თუმცა გასაძარცვი რა მაქვს. კედლის თაროებზე წიგნებია ჩამწკრივებული, ქურდს წიგნი რა ოხრად უნდა.

მესამედ მიჩხვლიტა გულმა, ნემსი კი არა, მახვილი მიპობდა. „აააჰ!“ — ვითომ ვყვიროდი, თუმცა ხმა არ ამომდიოდა. ნუთუ ეს ბოლოა, ესაა ის წერტილი, რომლის იქით არარა იწყება. ოდნავ მომეშვა და მაშინ გავიფიქრე: „შე სანყალო, დიდი ხანია სიცოცხლეს განუდექი, მაშ რად გაშინებს გარდაუვალი?“ ეს მხოლოდ ფიქრი იყო, გონება მკარნახობდა, დანებდი, მაინც ვერაფერს შეცვლიო, მაგრამ სიცოცხლის ბიოლოგიური არსი ბოლომდე ებლაუჭება იმედს.

შემოსასვლელში ფეხის მსუბუქი ხმა მომესმა, მავანი მორიდებოთ დგამდა ნაბიჯს.

„ვინ არის? — ვფიქრობდი, — ნუთუ ვინმე მიხვდა, რომ ზღვარს მივალწიე და სასწრაფოში დარეკა?“

თვალი ფართოდ გავახილე, სინათლე ნისლოვან ბინდში იკარგებოდა და იმ ბინდიდან გამოილანდა ქალწული, ვერ გამეგო ხორციელი თუ იმქვეყნიური.

მწვანე თვალები მომანათა და მე ყველაფერს მივხვდი.

— გვანცა, დაგავიანდა, საყვარელო, მე უკვე მივდივარ! — ძლივს ამოვთქვი.

იგი მომიახლოვდა, იატაკიდან შუშა აიღო და ნიტროგლიცერინის აბი გამომიწოდა.

უცებ თითქოს მკერდში გული აფეთქდა, დაიფლითა, საშინელმა ტკივილმა მომიცვა.

წამის შემდეგ გამიარა... იგი მუხლებზე დაეშვა, თავი კალთაში ჩამიდო, მე მის თმებში თითები შევაცურე და წაეჩურჩულე:

— გვანცულიკა, ჩვენ დროში ავცდით ერთმანეთს, მშვიდობით!

ვაკის პარკის მხრიდან ვერცხლისფერი მატარებელი შემოსრიალდა და თავზევით გაჩერდა. მე ღია კარში შევედი, ფანჯარასთან, სავარძელში მოვთავსდი და იქიდან გადმოვიხედე. არაფერი ჩანდა! მატარებელი უხმოდ დაიძრა, ვერეს ხეობის მიმართულებით გავარდა და ზე აინია... ვიცოდი, საითკენაც მივემგზავრებოდი. იქ, ყვავილოვანი ველის კიდეზე ოქროს ცათამბჯენი იდგა. ველს ტყიანი გორაკები ემიჯნებოდა, უფრო შორს მრისხანე კლდეები და თოვლიანი მთაგრეხილები იგრაგნებოდა და გარიყრაყზე წყვილი მზე ამოდიოდა, ოქროსფერი და ლურჯი, მიცარი და ალკორი...

დეკემბერი, 2007

ԿՈՆՑՏԱՐՈՒՄԻՆԵՐԻ ԸՍ
ՁՎԱՅՄԵՆՈՒԹՅՈՒՆ

(ՖԻՐՄԱՆԵՐ)

სიმართლის მახვილი

მლელვარე და შინაარსიან დროს შევესწარი. ორი-სამი წლის წინათ, ალბათ, ვერ წარმოვიდგენდით, ასეთი ცვლილებების მოწმენი და მონაწილენი რომ გავხდებოდით. გარდაქმნა, საჯაროობა, დემოკრატიზაცია, წესრიგი ლიტონი სიტყვები არ არის. ყოველმა ჭეშმარიტმა მოქალაქემ და მამულიშვილმა უნდა მიმოიხედოს, წარსული ახლებურად შეაფასოს, ანმყოს ფხიზელი თვალთ შეხედოს და მომავლის პერსპექტივები გაისიგრძეგანოს... საუკუნის ბოლომდე ცოტაღა დაგვრჩა. ეს ჩვენი საუკუნე დიადი გამარჯვებებისა და, სამწუხაროდ, არანაკლები მნიშვნელობის ცდომილებათა ეპოქაა. ყოველივეს თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს, მართალი სახელი დაერქვას. სიმართლე ერთადერთი შეუმცდარი იარაღია, ჭეშმარიტად ამაღლებული, რაინდული არსებობის პირობაა, დემოკრატიზაცია კი ამ პირობის განხორციელების საშუალებაა. არ არსებობს ნახევარსიმართლე, ანდა ნახევრად დემოკრატიზაცია. იგი ან არის, ან არ არის! ნახევარსიმართლე იგივე სიცრუეა, დემოკრატიზაციის პროცესის შენელების ცდა კი ფარული კონსერვატიზმის გამოვლენაა იმ ადამიანთა მხრიდან, თავიანთი უმართებულო პრივილეგიებს რომ ვერ შელევნიან.

თავიდან მხოლოდ ერთუზიასტებსა და გამოუსწორებელ ოპტიმისტებს თუ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ ასეთი სწრაფი ცვლილებების მომსწრენი გავხდებოდით. ადრე სკეპტიკოსთა ხმები უფრო ხშირი იყო. „ვერაფერი გამოსწორდება!“ — ირწმუნებოდნენ პესიმისტები. ამ დროს კი გამოსწორების, ადგილიდან დაძვრის აუცილებლობას ყველა გრძნობდა. ურწმუნო თომა ახლაც ბევრია, მაგრამ მათი რაოდენობა კლებულობს. ისინიც კი, ვინც გადაღალა მრავალი წლის მანძილზე გაბატონებულმა და წესადქცეულმა სხვაობამ სიტყვასა და საქმეს შორის, დღეს თითქოს ჩაითრია საერთო მდინარეებამ. ცოტაცოტაობით ვეჩვევით იმის ხმამაღლა თქმას, რასაც ვფიქრობთ... საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, ხელოვნება, ლიტერატურა... ყველა სფეროს ეტყობა ცვლი-

ლება. რალა თქმა უნდა, აქა-იქ კვლავ ისმის სკეპტიკოსთა ხმები, მაგრამ ვინც თვალს არ იბრმავებს, იოლად დაინახავს, რომ დიდი მოძრაობის კარიბჭესთან ვდგავართ.

* * *

მძიმე ზამთარი გადავიტანეთ და არანაკლებ მძიმე გაზაფხული მოგველის. იყო ზვავი, წყალდიდობა, ნგრევა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, მსხვერპლი. ჩვენი საზოგადოების გონება ეს თვეები სულ ამ პრობლემებითა დაკავებული. იქნებ ამიტომ მეჩვენება, რომ ჩვენი მატარებელი ნელა და მძიმედ იძვრება ადგილიდან და ვაითუ კვლავაც ჩამოვრჩეთ იმ მთავარ ლოკომოტივს. ცხადია, გარდასახვასა და აჩქარებაზე სხვაზე ნაკლებ როდი გავიძახით, მაგრამ რესპუბლიკის ცხოვრებაში ჯერაც არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ძვრები. კვლავ მოქმედებს დიდი ხნის დაკანონებული ჩვევა, როცა ყველაფერს მხარს ვუჭერთ, ოღონდ მხოლოდ სიტყვებით, საქმით კი ისე ნელა ვიცვლებით, ძნელი შესამჩნევია. ავილოთ თუნდაც ჩვენი პრესა-ტელევიზია. მგონი ადრე უფრო თამამნი ვჩანდით, უფრო საინტერესონი. დღევანდელი ცენტრალური ტელევიზიისა და ჟურნალ-გაზეთების ფონზე მეტად უსუსურია ჩვენი მცდელობა სიმართლის რაშზე შევჯდეთ. პირუთვნელისა და მართლისმთქმელის ძალა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული, ვინრო ფაქტის წარმოსაჩენად, ანდა ცალკეული თანამდებობის პირის გასაკენწლად გვყოფნის. თითქოს ჩვენივე სურვილით კი არ გადავდივართ ახალ რელსებზე, არამედ ძალით მივყავართ იქითკენ. ზედმეტი არ მომივიდეს და ზოგჯერ ლუარსაბი მახსენდება, ილია რომ ყურით მიათრევს მზის შუქზე. ყველანი მზეზე უნდა გამოვიდეთ და ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს კრიტიკულად შევხედოთ.

თავის დროზე ვასილ მყავანაძე კეთილ კაცად აღიქმებოდა. პიროვნულად იქნებ ასეც იყო, მაგრამ ქვეყნის სათავეში „კეთილი“ კაცი კი არ უნდა იდგეს, ვინც კონკრეტული, მავანი პიროვნების სიკეთეზე იზრუნებს, ქვეყნის ლიდერი უპირველესად სამართლიანი უნდა იყოს. მკაცრი სამართლიანობა და პრინციპულობა ჭეშმარიტი ჰუმანურობაა! „კეთილი კაცის“ ფრთებქვეშ კი ისეთი ზნეო-

ბრივი კატეგორიები დაკანონდა, დღეს დიდი ძალისხმევა გვჭირდება ავგის თავლის დასაგველად.

სიტყვა „მომხვეჭელობა“ ალბათ ყოველივეს ვერ მოიცავს, რა სენითაც ჩვენი საზოგადოება დაავადდა. ტრადიციულად ჩვენ მუდამ ვმსჯელობდით ამ ძირითად სენზე, მაგრამ მეტად უწყინარ კონტექსტში: „მართალია, ყველანი პატიოსნები ვართ, მაგრამ ზოგიერთი უღირსი...“ ვთქვათ, ვაჭრობის მუშაკი გამოვიჭირეთ — გამოძალაველი და მატყუარა — მზადა გვაქვს ფრაზა — „ჩვენს რიგებში გაგვერია...“ მივიხედ-მოვიხედოთ! გაგვერია კი არა, ლამის მასობრივი მოვლენად გადაგვექცა. წუნიანი ნანარმის მწარმოებელი, სპეკულანტი, ხალტურისტი, მუქთახორა, ბიუროკრატი ყოველ ნაბიჯზე, ყველა სფეროში გვხვდება და სისხლს გვიშრობს. ჩვენი შეფასებების შკალა შეიცვალა. გაჩნდა სინდისგარეცხილი კაცის გამამართლებელი სიტყვები: „მე კი არა, სახელმწიფოს პარავს!“ „ამასაც ცხოვრება უნდა!“ ანდა ერთგვარი სიამაყითაც კი — „იგი ფულის მკეთებელია!“ ვერც კი ვამჩნევთ მსგავსი სიტყვების ამორალურობას. მოვლენა და მისი სიტყვიერი ხატი, მოვლენის რეაბილიტაციას რომ ახდენს, ჩვეულებრივი გახდა. ჩვენ ხშირად ხელს ვართმევთ „ვაჟკაცს“, „კაი კაცს“, რომლის კაიკაცობა ფულის ხვეჭაშია.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი შემთხვევა. ჟურნალ „ცისკარში“ რომანი გამოვაქვეყნე და ერთი მკითხველი მომადგა კარს. მკითხველების შინ სტუმრობით, თანაც შუალამით, განებივრებული არ გახლდით და ყურადღებით მოგუსმინე. გამაოცა მის წარმოდგენებში ურთიერთგამომრიცხავი ზნეობრივი სანყისების თანაარსებობამ. თვითონ ახალგაზრდა, პერსპექტიული მეცნიერი ბრძანდებოდა. აგერ, წელს „რაიკომის მდივნის შვილი მოვანყვეო“ უმაღლესში, არ დაუფარავს. ამ და მსგავსი გზებით, რომელთა ასავალ-დასავალს ბოლომდე ვერ ჩავენვდი, საკმარისი შემოსავალი უგროვდებოდა, ოჯახსაც რიგიანად უვლიდა, კიდეც ქეიფობდა, გოგოებშიც დადიოდა და ა. შ. მოკლედ, თავისთვის შემუშავებული ჰქონდა კრედი: „აკეთე ფული, ყველა ჭკვიანი ფულს აკეთებს!“ ჩემთვის კი სულ სხვანაირი პროგრამა წარმოედგინა. რაკი მწერალი ვიყავი, მისი აზრით, მუდამ ბარიკადებზე უნდა ვმდგარიყავი, ტყვიისთვის მკერდი უნდა მიმეშვირა, ფულზე, ოჯახზე ნაკლებ უნდა მეზრუნა, სიმდიდრეს სიღარიბე მერჩია, ჯან-

მრთელობას — ჭლექი და ა. შ. მოკლედ, ერისათვის თავი ზვარაკად უნდა შემენირა. რომელი მწერალი იტყვის, ერისათვის თავს ვერ დავდებო, მაგრამ აღმაშფოთა იმან, რომ ამას ასეთი კაცი მოითხოვდა. მან იცოდა, როგორი ცხოვრებით უნდა იცხოვროს ჭეშმარიტმა ერის შვილმა, ჩემს სისხლს მოითხოვდა, რათა თვითონ ჭამა-სმის დროს სალაქლაქო ჰქონოდა, სიმთვრალეში კურცხალი გადმოეგდო. მას გამირი სჭირდებოდა, ოღონდ სამსხვერპლოზე მე უნდა წავსულიყავი, თვითონ კი ლუარსაბ თათქარიძედ დარჩებოდა და თავს ბედნიერად იგრძნობდა. მწერლის გამირობა მას სჭირდებოდა ერთგვარ დესერტად, მაძლარ კუჭზე რომ მიირთმევენ.

„ფულის მკეთებლობა“ ზნეობრივ ნორმად რომ ყალიბდება, მან ზღვარი არ იცის. ადრე თუ მექრთამე და მომხვეჭელი ჯოჯოხეთს ვერ ასცდებოდა, ახლა იგი ამქვეყნიურ მატერიალურ სამოთხეს იშენებს. თან იცის, ციხეშიც რომ მოხვდეს, უამრავი გულჩვილი ადამიანი შეიბრალებს. ციხიდან გამოსულს კი საზოგადოება ისე მიიღებს, თითქოს საგმირო საქმეები გადახდენოდეს... სენი ღრმადაა შეჭრილი და მკურნალობა არც ისე იოლია! ახლახან ტელეეკრანებზე შემზარავ პროცესს ვუყურეთ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი იჯდა საბრალდებო სკამზე, მასთან ერთად კი რაიკომის მდივნები, რომლებიც გულზე ხელს იბრაგუნებდნენ, ამ კაცმა წაგვახდინაო. უზარმაზარ თანხებს უზიდავდნენ და თურმე ნუ იტყვით, ყოველი მათგანი სოფელში სიდედრის სახლს ყიდდა და იმ ფულს აქუჩებდა. სანყლებს, ალბათ, ცოლ-შვილი შიმშილსა და სიღატაკეში ჰყავდათ. ამ გულუბრყვილო და უბინო ბიძებს ერჩივნათ დროზე გადამდგარიყვნენ და სადმე შავ მუშად ემუშავათ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ხუმრობა სიმწრისაა. გულწრფელად შემეცოდა ადამიანები, განათლებული, პიროვნულად დიდი პოტენციის მქონე ვაჟკაცები, რომლებიც ასე ამაოდ დაშვრნენ, შეეძლოთ უზარმაზარი სამსახური გაენიათ ქვეყნისა და თავიანთი ოჯახებისათვის, სხვა გზა კი ირჩიეს. პროცესს ვინც უყურა, იმასაც მიხვდა, რომ ამათ უკან სხვებიც არიან, ამჯერად რომ მართლმსაჯულებას დაემალნენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი დამნაშავის დასჯით ყველაფერი გამოსწორდეს. შუა საუკუნეების პარიზში, როცა ქურდი ეშაფოტზე აჰყავდათ, ჯიბის ქურდები გამალებით მუშაობდნენ. მოკლე ჭკუის ადამიანი სხვის ხელმოცარვას რომ ხედავს, ასე ჰგონია, თვითონ არასოდეს მოეცრება ხელი.

ერთი პატარა დანესებულების ახლადდანიშნული, გულუბრყვილო დირექტორი მიყვებოდა, როგორ მივიდა ახალი წლის წინა ღამეს სამმართველოს უფროსის კაბინეტთან. მისი კოლეგები, მსგავსი დანესებულებების დირექტორები რიგში იდგნენ თურმე, რათა „შეფისათვის“ მიერთმიათ „საჩუქრები“. ერთი საათის შემდეგ ჩემი გულუბრყვილო დირექტორი სხვა კარს მიაღგა და იქაც იგივე რიგი დახვდა. დირექტორები ჩამოვლაზე იყვნენ. გასაგებია, რომ ამ „საჩუქრებით“ ისინი საკუთარ თავსა და დანესებულებებს „იცავდნენ“. ოღონდაც, ვერავინ დამარწმუნებს, რომ კაცი, ვინც თავისი უფროსის დასასაჩუქრებლად და ქრთამის მისაცემად ფულს მოტეხავს, საკუთარ თავს დაიჩაგრავს და შინ არაფერს წაიღებს. არადა, ყოველივე ეს ღამის სისტემად იქცა. პროვინციული დონის თანამდებობის პირნი ძღვენს (უფრო ფულის სახით!) უზიდავენ იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე წამოსკუპებულ პირებს. ამით უზრუნველყოფენ მფარველობასა და ზედამხედველობის უკეთეს რეჟიმს. ეს სიტყვები, ალბათ, ვიღაცას აღაშფოთებს. ბოდიშს ვიხდი ამ „ვიღაცის“ წინაშე, თუკი ის ამნაირი ქმედების გარეშეც ახერხებს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობას. ასეთებიც რომ არ გვყავდეს, ხომ დავილუპებოდით. ეს სიარული ქვევიდან ზევით კორუფციის უმახინჯესი ფორმაა. პირუკუც ხდება. ზევიდან ქვევით აკითხავენ, დროსაც ატარებენ, ჯიბეში „მივლინების ფულს“ იღებენ. კვლავ ბოდიშს ვიხდი იმათ წინაშე, ვინც ამას არ აკეთებს.

კორუფცია უსაშინლესი სენია, იგი იმპერიებს ანგრევდა. ამ სენმა კი ისეთ სფეროებშიც ამოყო თავი, ძნელი დასაჯერებელია. ყველაზე მეტად და თვალშისაცემად კი მშენებლობაში, კეთილმონყობაში, ვაჭრობაში... რომელ ერთს უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება! ულაზათო საცხოვრებელი კორპუსები, თავიდან გასარემონტებელი ბინები, გზები, პირველსავე ზამთრის სეზონში რომ ინგრევა, სკვერები, რომლებზეც ათჯერ მეტია დახარჯული, ვიდრე მათი რეალური ღირებულებაა, გაყიდული სათავსოები, რომლებსაც ის ორგანიზაციები კი არ იკავებენ, ვთქვათ, მიკრორაიონს რომ სჭირდება, არამედ ისინი, ვინც საქმეს „გააიმასქნებენ“... თითქოს წვრილმანებია. ამაზე ყოველი პატიოსანი კაცის სახელით ვიტყვოდი: მომიგვარეთ წვრილმანები, სიცოცხლის დიდ ნაწილს ნუ მახარჯვინებთ შაურიან საქმეებზე, შემიქმენით პირობები, რათა მხოლოდ ქვეყნის სამსახურზე ვიფიქრო...

* * *

მართლაც საოცარ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ბევრ რამეს მივეჩვიეთ და ვერ ვამჩნევთ. გვგონია, რომ ყველგან ასეა. ოჯახში ბავშვი დაიბადება და ექიმი შინ მოგაკითხავს. ბაგა-ბალი იაფია, ან მთლად უფასო. მერე სავალდებულო სკოლა!.. რა კოლოსალურ თანხებს ხარჯავს სახელმწიფო, არაფერი შურს აღზრდისათვის, სწავლისათვის, შენი ჯანმრთელობისათვის...

სკოლა, ეს ნმიდათანმიდა ტაძარი, სულ ახლახან ნიშნებზე გამოდევნებამ სავაჭრო ქარვასლად გადაგვიქცია. პედაგოგიური კოლექტივის ნაწილი წარგვიყვნა. საბედნიეროდ, ნიშანომანიის პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნა, მაგრამ ნიშნებითა და ატესტატებით ვაჭრობამ არაერთ ახალგაზრდას შეურყია რწმენა, გაუმრუდა მსოფლმხედველობა. დღეს ახალგაზრდამ იცის, რომ ქრთამით ყველაფერი მიიღწევა, უმაღლესში მოწყობაც. ეს თემა ხომ ყოველწლიური, გაუთავებელი ჭორის საბაბია, თანაც არცთუ უსაფუძვლო ჭორისა. ახალგაზრდა თავისი ბუნებით რომანტიკოსია, წრფელია, იგი ესწრაფვის იდეალს, სიკეთეს, კეთილისქმნალობას. მიაჩნია, რომ ცხოვრების კეთილშობილი გზა უნდა გაიაროს, რომ საზოგადოებაში მას ღირსეული ადგილი გარანტირებული აქვს... მაგრამ ეს ალალი, ჯერ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სული დიდი განსაცდელის წინაშე დგება, როცა იძულებულია საგამოცდო წინაკში ხუთთუმნიანი ჩადოს და თავის მასწავლებელს, მრავალი რეგალიისა და ტიტულის მფლობელს გაუნოდოს. ღმერთმა მაშოროს, მთელ ჩვენს პროფესურას ტალახი ვესროლო, მაგრამ სამწუხაროდ არცთუ იშვიათ გამონაკლისზე მივანიშნე... მსგავსი შენიშვნები მწარედ აღიქმება. ზოგიერთი მეტად ავტორიტეტული დანესებულება კრიტიკაზე მაღლა დგას და თავის ვინწოუნყებრივ ინტერესებს მედგრად იცავს. კრიტიკის გარეშე კი ბოროტი სენი უძლეველია და ქრონიკულ დაავადებაში გადადის.

ამასწინათ ჩემი ორი მეზობელი ავარიაში მოჰყვა და დაიმტვრა. სხვადასხვა საავადმყოფოში მოათავსეს. ოდნავ მოკეთდნენ თუ არა, გამოენერნენ. შევეკითხე, რატომ აჩქარდით, მკურნალობის კურსი ბოლომდე რატომ არ გაიარეთ-მეთქი. ფულის ხარჯს ვერ

აუვედითო... ვისაც საავადმყოფოებთან საქმე ჰქონია, ყველამ იცის, რომ ჩვენი უფასო სამკურნალო დაწესებულებებში მეკარედან დაწყებული ფულს თითქმის... (არ მინდა დავწერო სიტყვა „ყველა“) იღებს. თითქმის-მეთქი, ბოდიშს ვიხდი იმათ წინაშე, ვინც ამ სიაში არ წერია. კიდევ კარგი, წესიერი მკურნალი თუ არაფერსა გთხოვს, სულითა და გულით ასრულებს თავის მოვალეობას, მაღლიერი პაციენტი კი ცდილობს ასიამოვნოს და ძალით ატენის ძღვენს. ამგვარ ჭიდილსაც შევსწრებივარ. მაგრამ, საუბედუროდ, აშკარა გამოძალვისა და ვაჭრობის შემთხვევებიც ხშირია. დაბალი მედპერსონალი ხომ მთლად აუღებელი ციხესიმაგრეა. ერთხელ პატარა გვყავდა პროვინციულ საავადმყოფოში, კინალამ დაგველუპა, წუთებს ვითვლიდით. წამალი არა გვაქვსო, ამ დროს კი იმ წამლით იმავე საავადმყოფოს მეკარე ვაჭრობდა. ერთი ექიმი სერიოზულად მიმტკიცებდა, რომ საჭიროა დეფიციტის ხელშეუხებელი ფონდი. ვინმე პატივსაცემი კაცის ახლობელი რომ მოგვიყვანონ, რაღა ვქნათო. ვკითხვე, მუშის შვილი თუ ილუპება, იმ წამალს ხომ ვერ გადაამალავთ-მეთქი. რა ვქნათო, ღმერთები ხომ არა ვართ, ყველას ვუშველოთო... ამ სიტყვებში ყველაფერი ყირაზეა დაყენებული...

შარშან ძმა დამელუპა. არ მინდა მისი მკურნალი ექიმები ნანყენნი დამრჩნენ. უკურნებელი სენი დამართნოდა. თავი გამოიდევს, პატივი მცეს, მაგრამ გულნატკენი მაინც დავრჩი. დერეფანში ვიდექი თავზარდაცემული და ვუყურებდი, სართულიდან სართულზე როგორ დარბოდნენ შპრიცისა და წამლებისათვის ექთნები და სანიტრები, სხვა განყოფილებებში ეძებდნენ ელემენტარულ რამეებს, ხან დაკეტილ კარებს აწყდებოდნენ, ხან ლიფტი ითიშებოდა... ამ დროს კი ძმა მიკვდებოდა, გული უჩერდებოდა!.. მესმის, რომ მკურნალნიც ნერვულობდნენ, სიკვდილი ვის გაუხარდება. მე კი შემდეგ, გონს რომ მოვეგე, მაღლობის მაგიერ, გავიფიქრე: ნუთუ ესაა მუშაობა, როცა იქვე, საოპერაციოში არა გაქვს აუცილებელი რამ განწირული ადამიანის საშველად...

უნამლობა (ხანდახან წამლის გადაამალვა და იმით ვაჭრობა), დაბალი ტექნიკური დონე, უსუფთაობა, აუტანელი სუნი, ხმაური, გადატვირთვა... ყოველივე ეს პატიოსან მკურნალსაც ხელებს ჩამოაყრევინებს. სამკურნალო დაწესებულებები, ხშირ შემთხვევა-

ში, თვითვე საჭიროებენ მკურნალობას და ამას, ალბათ, თერაპიასთან ერთად სკალპელიც სჭირდება!

ჩვენს ჯანმრთელობაზე ნაკლები მნიშვნელობისა როდია ჩვენი უშიშროება. მაიაკოვსკის ფრთიანი ფრაზა — „ჩვენი მილიცია ჩვენ გვიცავს!“ ზოგჯერ ხუმრობად მოგვეჩვენება. ჩემი სიყმანვილის ჟამს მილიციაში ძალათი აგზავნიდნენ პარტიის წევრებს, კადრები არა ჰყოფნიდათ და იმიტომ. წესრიგის დამცველებს მძიმე სამუშაო და მცირე ხელფასი ჰქონდათ. ვგონებ, მას შემდეგ მილიციას სამუშაო უფრო მოემატა, ვიდრე ხელფასი, მაგრამ კადრების ნაკლებობას იგი არ განიცდის. სამწუხაროდ, კორუფციის მძიმე სენისაგან მთლად ჯანმრთელი არც მილიცია გახლავთ. კადრების სიჭარბეც აქედანაა. ერთმა წესრიგის დამცველმა შემომჩივლა, ბაზრის მილიციელად მინდა გადასვლა, მაგრამ ეს უსინდისოები და მყვლეფავეები დიდ თანხას მთხოვენო. ეს რომ თქვა, საკუთარი თავი სუფთა კაცი ეგონა. ბაზარში კი იმიტომ სურდა გადასვლა, თვითონ გაეყვლიფა სხვები და ფული ეკეთებინა... მილიციას ადამიანთა ბედთან აქვს საქმე. ხშირად ინდივიდის ბედის სასწორი ხელთ უპყრია და იმის საშუალებაც აქვს, სასწორის პინა ან აქეთ გადახაროს, ან იქით. და თუ ასეთი კაცი პატიოსნებასთან მწყრალადაა, ყოველთვის არსებობს ხელის მოთბობის საშუალება. ცხადია, ყოველ მუშაკს დარაჯად ვერავინ დაუდგება, კაცის დარაჯი საკუთარი სინდისი უნდა იყოს, მაგრამ სინდის-ნამუსი ყველას თანაბრად ვერ მოეკითხება. ერთხელ საოცარ ამბავს შევესწარი. თურმე ჩემთვისაა იგი საოცარი, თორემ გამოცდილი ადამიანისათვის ჩვეულებრივ მოვლენათა რიგში დგას. მეგობრის ბინა გაქურდეს, ვერცხლეული წაიღეს. სტუმრად ვიყავი იმ ბინაში და ამ დროს ორგანოს მუშაკები მოვიდნენ, თან დაპატიმრებული ქურდი მოიყვანეს. ახალგაზრდა იყო, გულდაჯერებით და თამამად ამბობდა, ნივთები აქედან და იქიდან ავიღეო. გამომძიებელი ნაცნობი აღმოჩნდა და დავინტერესდი, ქურდი დაგიჭერიათ და ნივთებს, ალბათ, დააბრუნებთ-მეთქი. გაეცინა, რა გულუბრყვილო ყოფილხარო. ეს ქურდი ამ ბინაში პირველად, სხვაგან დავიჭირეთ, მაინც ციხეში მიდის და ბარემ ამ საქმესაც ჩამოვიწეროთ... ფული და ძალაუფლება მოკლე ჭკუის ადამიანში დაუსჯელობის გრძობას ბადებს. მტრისას, თუ ასეთი ადამიანი მილიციაში მოხვდება. მისთვის ჩვეუ-

ლებრივია უზრდელობა, უტაქტობა, სიუხეში... იგი ვერ ხვდება, რომ მუნდირს არცხვენს. ჩვენ მისი მფარველობის იმედი უნდა გვქონდეს, ზოგჯერ კი პირიქით ხდება, მოქალაქეს მილიციის საქმეს ნუ მისცემ და შეშას გიზიდავს. დამნაშავეს კანონიერ უფლებებსაც უნდა ვიცავდეთ, მაგრამ ზოგჯერ ხომ უდანაშაულოც ზარალდება. ერთი ასეთი შემთხვევა ჩემიანსაც გადახდა. გვარს იმიტომ არ დავასახელებ, ყველაფერმა უკვე ჩაიარა, თანაც ამ წერილის მიზანი კონკრეტული პირების მიმართ შურისძიება არ გახლავთ. მაგალითი კი ჭკუისასწავლია. ახალგაზრდა კაცი დღისით-მზისით ეჭვის ნიადაგზე დააკავეს და მისმა ტოლმა, ასევე ახალგაზრდა გამომძიებელმა დაუზოგავად სცემა. მერე გაირკვა, რომ დაკავებული უდანაშაულოა. ალბათ, ისიც გაირკვა, რომ არც მთლად უპატრონოა. უნდა გენახათ, ეს ამაყი, ქედმაღალი გამომძიებელი თავის მსხვერპლს როგორ უჩოქებდა, მაპატიეო. იმის შიშმა გამახარა. კანონიერების ეს ვაი-დამცველი თვითონაც თრთოდა კანონიერების წინაშე. ვუთხარი, ამჯერად გაპატიეს, მაგრამ იმას თუ ხვდები, რომ ცუდად მოიქეცი-მეთქი. ასე მიპასუხა: ქურდს თუ არ მიაწეი, სიმართლეს არასოდეს გეტყვისო. მას უკვე უანდარმის ფსიქიკა ჰქონდა ჩამოყალიბებული. ასეთი წარმოდგენების ადამიანი მილიციის რიგებს ვერ დაამშვენებს. ყველამ, უპირველეს ყოვლისა, წესრიგის დამცველმა უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს ქვეყნის კონსტიტუციაზე კანონიერი ტექსტი. უმჯობესია ვერ დაისაჯოს ათი დამნაშავე, ვიდრე თუნდაც ერთი უდანაშაულოს კონსტიტუციური და ადამიანური უფლებები შეილახოს.

* * *

ეს თემა თითქმის ამოუნურავია. ჩვენს საზოგადოებაში ნეგატიური ტენდენციების მომძლავრება გასაკვირი არაა. ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარება როცა მუხრუჭდება, ერთ ადგილს ტკეპნის, თანდათან გროვდება გადაუნყვეტელი პრობლემები. თვით ატმოსფერო მამებლობისა, არარსებული წარმატებებისადმი ხოტბის აღვლენა, კატასტროფული სხვაობა დეკლარაციებსა და სინამდვილეს შორის აძლიერებს ნეგატიურ მოვლენებს,

არყვეს რწმენას ადამიანთა შეგნებაში. იოლი არაა გამოსწორება და გარდაქმნა, ზნეობრივი ატმოსფეროს განწმენდა. პირადად მე ბოლო ორმა წელმა ოპტიმისტური რწმენა განმიმტკიცა, მაგრამ ისიც უდავოა, ჯერჯერობით მეტს ვლაპარაკობთ, საქმიანი ცვლილებები კი სადღაც სხვაგან ხდება.

ამასწინათ ერთი ნაცნობი მიყვებოდა. რომელიღაც საკმაოდ მაღალ ინსტანციაში გამომიძახესო, თურმე დიდი თანამდებობის პირმა მოიხმო საკონსულტაციოდ. „იქს“ საწარმოს ხელმძღვანელის არჩევნები უნდა მოვანყოთ ახლებურად და რას გვირჩევო. ჩემმა ნაცნობმა გაუანალიზა ბალტიისპირელთა ექსპერიმენტები. კი მაგრამო, უკითხავს თანამდებობის პირს, იქნებ ისეთი ვინმე აირჩიონ, ვინც ჩვენ არ გვანყობსო... თვით ამ კითხვაში იდეის სრული პროფანაცია ჩანს. კონსერვატორ პიროვნებას მშვენივრად აწყობს სტატუსკვო. ცვლილებები მის პირად კეთილდღეობას და თანამდებობრივ პრივილეგიებს ემუქრება. ვითარება, როცა მის სრულ ნებაზე წყდება საკადრო საკითხები, როცა შემგუებელი, დამთმობი ადამიანები იკავებენ თანამდებობებს, განამტკიცებს კონსერვატორის მყარ მდგომარეობას. რაში ეპიტნავება თავის ატკიება? იქნებ ვინმე ზედმეტად დამოუკიდებელი პიროვნება ამოტივტივდეს მის ხელქვეითებში, ისეთი, ვინც საკუთარ საწარმოო პოლიტიკას გაატარებს და თანამდებობის პირის თითის დაქნევაზე კუდის ქიცინს დიახაც არ დაინყებს. რევოლუციური გარდაქმნები მეზრძოლი, შემტევი ბუნების ადამიანებმა უნდა განახორციელონ, ისეთებმა, ვინაც პირადი ამბიციების ტყვეობაში როდი არიან, ვისაც წინდახედული რისკის უნარი შესწევთ... ამ მართლაც დიდ საქმეს, რასაც ახლა გარდაქმნას ვეძახით, ემუქრება ყველაზე დამლუპველი საშიშროება. ესაა მოჩვენებითობა! უფრო იოლი დასაძლევია პირდაპირი და უშელავათო მონინალმდეგე. ძნელია იმის სულში ჩანვდომა, ვინაც რომის პაპზე უფრო კათოლიკეა და ყველაზე უწინ გარბის, თუმცა არ იცის საითკენ. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ყველაფერზე ხელის აწევას. რაც არ უნდა შემოგვთავაზონ, ალტაცებულნი მხარს ვუჭერთ, მაგრამ კვლავ ძველებურად ვმუშაობთ, ჩვენში გამჯდარია კონფორმისტული სული და მეშინია რევოლუციური სულისკვეთების მაგიერ კონფორმიზმის სუროგატი არ შეგვრჩეს, ჭეშმარიტი გარდაქმნა ფსევდოგარდაქმნამ არ შეცვალოს, როცა ახალ ტანისამოსში ძველი შინაარსი დამალება.

საერთაშორისო მიმომხილველი ბოვინი წერდა „ნოვი მირში“: არ არსებობს ცუდი კითხვები, არსებობს ცუდი პასუხებიო. გარდაქმნისათვის ყველაზე ქმედითი, ხელშემწყობი ძალა ფართო დემოკრატიზაცია და საჯაროობაა, სიმართლის პირში თქმავა. არ უნდა დარჩეს ბნელი კუნჭული, რომელსაც სიმართლის სხივი არ დაეფინება... ჩვენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ისე უნდა გარდავქმნათ, რომ ვერავინ შეძლოს ამალღებული იდეების ფარად ხმარება. არათუ სულისათვის, მატერიალური არსებობისათვისაც წამგებიანი უნდა გახდეს კანონსაწინააღმდეგო, ზნეობრივი პრინციპების საპირისპირო ქმედებანი. რწმენა უნდა დავეუბრუნოთ დაქვევებულს, რწმენას სიმართლე კვებავს, ნახევარსიმართლე — კლავს... პატიოსანმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მის სიტყვას, მის აზრს ანგარიშს უწევს, რომ მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს კოლექტივის, საზოგადოების, ქვეყნის ბედ-იღბალზე, რომ ის არის არა უბრალოდ ქანჭიკი უზარმაზარი მანქანისა, არამედ პიროვნება თავისი განუმეორებლობითა და ერთადერთობით. უნდა სწამდეს, რომ მასაც, სხვათა მსგავსად, ქვეყნის სამსახურის მაღალი მისია აკისრია, მის შრომასა და ღვაწლზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი... რა თქმა უნდა, მედალს მეორე მხარეცა აქვს. სიმართლე ზოგჯერ მტკივნეულია, იგი მსხვერპლს მოითხოვს. ფართო საჯაროობა და არჩევითობა ყველა სენის პანაცეა როდია. მოსალოდნელია შეცდომებიც. იქნებ ისე მოხდეს, რომ ავირჩევთ კაცს, ვინც თავის მაღალ მონოდებას ვერ გაამართლებს, მაგრამ ასეთი ექსცესების შიშით, ტაქტიკური, წვრილი მარცხის შიშით, სტრატეგიულ გზაზე უარი არ ითქმის... ყოველმა ჩვენგანმა ჩვენივე თავი უნდა გარდავქმნათ სიმართლის, ქემმარიტების აღსაქმელად. ჩვენშივე უნდა მოვსპოთ კონფორმისტული ფსიქოლოგია...

როცა მატარებელი უკვე დაძრულია...

წარსული ჩვენ გვერდითაა. სიკეთის გამონათება თუ ზეობა ბოროტისა თანაარსებობენ გვერდიგვერდ და ერთმანეთში არიან. პიროვნების ცხოვრებაში მეორდება ეპოქის მიკროსურათი. ჩვენი საზოგადოების ცვალებადობის კვალობაზე ჩვენც ვიცვლებოდით. ქვეყნის ტკივილი გვტკიოდა, პირზე კი ღიმილის ნიღაბი გვეფინა. ოპტიმისტურ ლოზუნგებს ვთხზავდით, გული კი უკვე არითმულად გვიცემდა. ჩვენი საუკუნე თითქმის მიიწურა, რამდენი დრო გასულა წინამურის ტრაგიკული წუთებიდან. დროის სწრაფ მდინარებაში ხანდახან გვაგინყდება ვინა ვართ, რანი ვართ, რისთვისა ვართ!.. რამდენმა თაობამ შეაღია სიცოცხლე, რათა ჩვენი წარსული აგვეკინდა და ერის ისტორიად გადაგვექცია. მაგრამ თურმე ამ უზარმაზარი წიგნის მრავალი ფურცელი გადასაწერია, თეთრი ლაქები შესავსებია, კრიტიკიუმები დასადგენია. მომდევნო პერიოდის პოლიტიკურმა ცვლილებებმა ისტორიულ პირთა ქმედებებს თავისი საზომი მიუყენა. ეს, რა თქმა უნდა, გამართლებულია, თუ შევეცდებით ბოლომდე ობიექტურნი ვიყოთ. მაგრამ ბოლომდე ობიექტურობა და პირუთვნელობა ძნელია და ზოგჯერ ისე ვზომავდით, ამწუთიერ, კონიუნქტურულ მოთხოვნილებას რომ პასუხობდა. ამიტომაც, რაც არ გვანყობდა, ან ჩვენი სურვილის მიხედვით შევებრუნებდით, ან მთლად გვერდს ავუვლიდით, ან, უკეთეს შემთხვევაში, მორცხვად, მიეთმოეთებით მოვისხენიებდით. მოვლენაზე თვალის დახუჭვაც პოზიციაა. ოღონდ ამას საერთო არაფერი აქვს ქემმარიტებასთან... საუკუნის ბოლომდე ცოტალა დაგვრჩა, ჩვენ კი ყველა მოვლენისათვის ნამდვილი სახელი ვერ დაგვირქმევია, მისთვის კუთვნილი ადგილი ვერ მიგვიჩენია...

* * *

გარდაქმნა, დემოკრატიზაცია, საჯაროობა, წესრიგი... ყოველმა ჩვენგანმა ჩვენივე სახლიდან უნდა დავიწყოთ. ჩემს სახლად ქართული მწერლობა მესახება. მავანს მიაჩნია, რომ შინაური ნავავი გარეთ არ უნდა გავიტანოთ, ჩვენს ტკივილებს ჩვენვე ჩუმ-

ჩუმა, გაუხმაურებლად უნდა ვუმკურნალოთ. ამ შემთხვევაში სა-
ჯაროობა ვითომც ლიტერატურის ავტორიტეტს დასცემსო. მიმა-
ჩნია, რომ ჩვენი მწერლობის მაღალ ავტორიტეტს სიმართლე ოდნა-
ვადაც ვერ შეარყევს, უფრო მეტიც — ჭორსა და ინსინუაციას ძირს
უთხრის. რაც შეეხება თვითმკურნალობას, წლების მანძილზე ამან
ვერაფერი შედეგი გამოიღო... მწერლობა ერის სულიერი ცხოვრე-
ბის გამოვლენაა, მწერალს სხვაზე მეტად ევალება სისპეტაკე და
მაღალი ზნეობრიობა. იგი ისე უნდა ცხოვრობდეს, თითქოს მის
ყოველ ნაბიჯს მაღალი ღმერთი ამოწმებსო. მწერლის სინდისს
სულის მაღალ სამსჯავროზე უნდა გამოჰქონდეს მისი სიტყვები
და ქმედებანი. ეს სამსჯავრო კი მკაცრი და უშეღავათო უნდა იყოს.
რა თქმა უნდა, მაგანი მწერალი უფრო ნიჭიერია, მეტი ხელენიფე-
ბა, მეორე ალბათ ნაკლებს სწვდება, მაგრამ სულის ზნეობრივი
მოთხოვნილებების წინაშე ყველანი თანაბარნი ვართ და ყოველი
ჩვენი ცდომილებისათვის უნდა დავისაჯოთ.

იქნებ მკაცრი შეძახილი გამომივიდა, იქნებ ვილაცამ ჩემს სიტყ-
ვებში ზედმეტი პრეტენზიები და თავმონონება დაინახოს. იქნებ
ჩემზე ბევრად ნიჭიერმა და ღვანლმოსილმა კოლეგებმა თითი
დამიქნიონ, შენ ვინა ხარ, ჭკუას რომ გვარიგებო!.. ღმერთმა დამი-
ფაროს! არც პრეტენზია მქონია მაგოდენა და თუ რამე მალაპარა-
კებს, გულისტკივილი მალაპარაკებს, ის სატკივარი მათქმევინებს,
რაც წლების მანძილზე დამიგროვდა და, ვფიქრობ, მარტო ჩემი
სატკივარი არ უნდა იყოს.

საყვედური უნდა შევკადრო წინა თაობის კოლეგებს, იმათ,
ვინც დღეს ექვსი ათეული წლის იუბილეებს იხდიან. მათ შორის
ბევრია ჩემი საყვარელი პოეტი და მწერალი. ისინი ბრწყინვალე თანა-
ვარსკვლავედად ამობრწყინდნენ ჩვენი ლიტერატურის კაბადონზე,
გულწრფელად ვიხრი ქედს მათი ლიტერატურული ღვანლის წინაშე.
მაგრამ, ამავე დროს, მაპატიეთ პირდაპირობა და, უნდა აღვნიშნო
ერთგვარი ნარცისიზმი მთელი თაობისა. ეს საყვედური, ალბათ,
ყველას თანაბრად არ ეკუთვნის. მხედველობაში უფრო ისინი
მყვანან, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ლიტერატურული პოლიტიკის
წარმართვაზე, ევალებოდა ეს წარმართვა, მაგრამ მუქი სათვალე-
ბი გაიკეთეს და ველარ შეამჩნიეს მომდევნო თაობები, ან შეეცად-
ნენ ჩრდილში მოექციათ ისინი. მე აქ რაიმე გათვითცნობიერებული

მცდელობა კი არა მაქვს მხედველობაში. აქ იმას ვამტკიცებ, რომ
მწერლები, რომელთა ასაკი ორმოცსა და ორმოცდაათს შორის
მერყეობს, დიდხანს, ზედმეტად დიდხანს გვამყოფეს ჩრდილში,
ზომაზე მეტ ხანს ჩავვრიცხეს „ახალგაზრდების“ კატეგორიაში,
„მონაფეების“ სიაში, „რა გეჩქარება, ყველაფერს მოესწრების“ მარ-
წუხებში... შეიძლება ვინმემ მიპასუხოს, არც ჩვენ გვილხინდა თავის
დროზე, ჩვენი გზებიც ია და ვარდით როდი იყო მოფენილიო. იქნებ
ისიც გვითხრან, ჩვენი რა ბრალია, ჩვენნაირად არ აკამკამდით
ცაზე და იმიტომაც ვერ შეგამჩნიეთო. მეტ-ნაკლებობაზე კამათი
უხერხულია, მაგრამ იმის მტკიცების უფლება მაინცა მაქვს, რომ
ჩვენი თაობის მწერალთა დიდი უმრავლესობა ოცდაათი წლის
ასაკში უკვე ჩამოყალიბებული მწერალი და პოეტი იყო, მაგრამ იმ-
ვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ მოახერხეს ორმოცი წლის ასაკა-
მდე ასპარეზზე გამოსვლა.

ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა მწარედ. კაცი, ვისზეც ვლა-
პარაკობ, ცოცხალი არაა და ამიტომაც არ დავასახელებ. თვითონ
ხელმწიფის თანამდებობა ჰქონდა, ხშირ-ხშირად სცემდა სქელტა-
ნიან წიგნებს, თან არამარტო ქართულ ენაზე. ვიჯექი მის წინ
შეშინებული, გულაფანცქალეული, შეჭირვებული და საშინლად
დაღლილი. ბუნებით მორიდებული და უთქმელი გახლდით. ჩემი
წაწერის დაცვა მიჭირდა. ამ კაცთან გულუბრყვილო იმედებით
მოვდიოდი. ასე მეგონა, საძმოს კარს ვაღებ და სიხარულით მიმ-
იღებენ-მეთქი. ის კი წლიდან წლამდე მატყუებდა, დღეს ჰოს მეტყ-
ოდა, ხვალ — არას. ვერ იქნა, ვერ ჩამტია გეგმების პროკრუსტეს
სარეცელში... იმ დღეს კი უცებ გაიღიმა და მომცრო ხელწაწერი
მიჩვენა. ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი მოთხრობააო, ამაყად
მითხრა. თურმე ჩემსავით მორიდებულად შეუღია ცნობილი მწერ-
ლის კაბინეტის კარი. შენ, ყმანვილო, პროზაიკოსი ჩანხარო, უთქ-
ვამს მასპინძელს და ხელწაწერი გამოურთმევია. ზუსტად ერთი
კვირის თავზე, რუსთაველზე ეს ახალგაზრდა შემთხვევით დაჯახ-
ებია უფროს კოლეგას. ამ უკანასკნელს უცვნია: ყმანვილო, რა-
ტომ არ გამოიარე, შენი მოთხრობის კორექტურა ხომ უნდა წაგე-
კითხაო... ამას რომ მიყვებოდა, მწერალი-ჩინოვნიკი საკუთარ წარ-
მატებებს (როგორც შემდგომ აღმოჩნდა, საკმაოდ ეფემერულს!)
ეფერებოდა და ერთხელაც არ უფიქრია, რომ უფროსმა კოლეგამ

მარტო ნიჭიერებით კი არ გამოარჩია, იმიტომ გამოუწონდა ხელი, რომ ამას ესტაფეტასავით მომდევნო თაობის ახალგაზრდისათვის გადაეცა, მაგრამ ნარცისიზმით დაავადებულ ჩინოვნიკს ეს არც უფიქრია.

მაშინ მეგონა, მარტო მე ვარ დაჩაგრული, მარტო მე მომიმწყვდიეს ჩიხში, დამიკეტეს ყველა გზა-მეთქი... ნუ იტყვიტ!.. თურმე არანაკლებ უჭირდათ ჩემს ტოლებსაც. ახლა ზოგიერთ მათგანს გული ხელით უჭირავს, ჯანმრთელობას უჩივის. საშინელია იმის შეგნება, რომ მწერლის ცხოვრების ყველაზე ცინცხალი, ასპარეზზე გამოსვლის წლები, ლიტერატურული ოსტატობის ათვისებასა და ცხოვრების შეცნობას კი არა, გამომცემლობებთან და რედაქტორებთან ჭიდილს შევალეთ. სევდა ამაოდ დაკარგული დროისა და ენერჯის გამო ახლაც გვინამლავს მეხსიერებას, გვინელებს შემოქმედებით სიხარულს... და როგორ მემწარა ერთი უფროსი კოლეგის არცთუ გულწრფელი მოფერება, შენი წიგნი მომეწონაო, ეს წიგნი კი თითქმის ათი წელი მის მაგიდაზე იდო და გულგრილობის სენი რომ არა, ახალგაზრდისადმი ქედმაღალი დამოკიდებულება რომ არა, ადრევე შეეძლო ჩანვდომოდა მის ავ-კარგს.

ბოლო დროს ვითარება ერთგვარად შეიცვალა. ახალგაზრდებზე ზრუნვა პრესტიჟული აღმოჩნდა, საამისოდ მთელი სისტემა ჩამოყალიბდა. ამისი წინააღმდეგი ვინ იქნება, მაგრამ თანადგომამ კვლავ გვერდი აგვიარა და პირდაპირ ჩვენს მომდევნო თაობებს დაეფინა. ჩვენი თაობა კი ისევ ჩრდილში დარჩა. პრეტენზია რომ გამოვავლინოთ, ნაადრევიაო, თანადგომა თუ მოვითხოვეთ, უკვე ასაკში ვყოფილვართ და მიზანმიმართული ზრუნვის პოლიტიკა არ გვეხება...

* * *

მწერალთა კავშირი ჩვენი პროფესიული ორგანიზაციაა. მისი მიზანი მწერალთა გაერთიანება და მათი ინტერესების დაცვაა. ბოლო წლებში მრავალი სტრუქტურული ცვლილება მოხდა და ვერ ვიტყვი, რომ ისინი მწერალთა პროფესიულ ინტერესებს ასახავდეს. ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნები, უნდა ვთქვა, რომ დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა ეს ორგანიზაცია თითქოს ჩვენთვის კი არაა, ჩვენ ვარსებობთ ამ ორგანიზაციისათვის.

ჩვენი ორგანიზაცია დემოკრატიზმის განხორციელების ეტალონი უნდა იყოს. თვით მისი არსებობის გამართლება სწორედ რომ დემოკრატიზმია. სამწუხაროდ, ბიუროკრატიზმის სენი ჩვენც გადმოგვედო და სადაც ბიუროკრატიზმი პოზიციას მოიპოვებს, იქ დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ავიღოთ თუნდაც არჩევითობა, მისი პირველივე საფეხური. ვამზადებთ ყრილობას და დელეგატებად ყოველი ორი მწერლიდან ვირჩევთ ერთს. ვინ მოიფიქრა ეს? დიდ რესპუბლიკებში, სადაც ორგანიზაციის მრავალი ათასი წევრია, თან ტერიტორიულადაც შორი-შორს არიან მიმოფანტულნი, გასაგებია, რამდენიმე მწერლიდან ერთი დელეგატი შეირჩეს, მაგრამ ჩვენთან მთელი მწერალთა კავშირი საშუალო ზომის სხდომათა დარბაზში თავსდება. მაშ, რად გვჭირდება ყოველი მეორის არჩევა, ამით ხომ პირველი მუდამ ნაწყენი და შეურაცხყოფილი რჩება. გულნატკენთა დასამშვიდებლად იქვე გამოვაცხადებთ ხოლმე, რომ ეს ფორმალობაა, რომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, მწერალი დელეგატი იქნება, თუ ისე დაე-სწრება ყრილობას. თუ დაკანონებული ფორმალობაა, მით უარესი. ვითომ რა დიდი უბედურება დატრიალდებოდა, მწერალთა კავშირის ყოველი წევრი თუ ყრილობაზე თანაბარი უფლებებით გამოცხადდებოდა და კენჭისყრაშიც მონაწილეობას მიიღებდა. სადაც ორას ბიულეტენს ვითვლით, იქ ანგარიში არც ოთხასამდე შეგვეშლება... ალბათ იმის დროც მოვიდა, პირდაპირ არჩევნებზე გადავიდეთ. ახლა კი ისეთი საფეხურებრივი სისტემაა, როცა ჩვენი ხმები ფაქტობრივად არაფერს ნყვეტს. თანამდებობის პირს, რომელიც ჩვენი არჩეული არაა, ვისზეც ჩვენ ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოვახდენთ, თავისუფლად შეუძლია უგულებელყოს ჩვენი ინტერესები. მაპატიონ უფროსმა კოლეგებმა, მაგრამ ალბათ ამიტომაცაა, რომ სამდივნოს მუშაობას ერთგვარი სამეფო კარის ფსიქოლოგია შეეტყო. შემოქმედის ჩინოვნიკად გადაქცევა მეტად საშიში მოვლენაა. ჩინოვნიკი ხომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ინტერესის დაცვაზე და საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებაზე ფიქრობს. რაკი მთლად სიცარიელეში ვერ იარსებებს, იგი შეეცდება ჩამოაყალიბოს თავისი მომხრეების რაზმი, რომელსაც გამორჩეულად ეხმარება კიდეც და თვითონაც ეყრდნობა. ეს კი ინვესს სხვადასხვა დაჯგუფებათა, ანდა ინტერესთა შეჯახებას. თვალი

არ უნდა დავხუჭოთ იმაზე, რომ მწერალთა ორგანიზაცია ხშირად პარალიზებულია შიდაბრძოლებით, რასაც მწერლისა და შემოქმედის მაღალი მისია ველარ შეუთავსდება. აქვე ვიტყვოდი, რომ გაბერილი აპარატი, ავტორიტეტულ თანამდებობათა რიცხვის ზრდა ორგანიზაციას უფრო ძნელად სამართავს ხდის. დანიშნულ პირებს ხშირად ჰგონიათ, რომ ისინი ფრანგი აკადემიკოსებისთვის უკვდავთა სიაში ჩაერიცხნენ და მათი ეს თანამდებობრივი მდგომარეობა არასოდეს შეიცვლება... სწორედ ასეთი მოვლენების წინააღმდეგაა მიმართული პირდაპირი არჩევითობა. მწერალთა კავშირის მაღალი თანამდებობის პირები არჩეულნი უნდა იქნენ ფარული კენჭისყრით, კანდიდატთა თავისუფალი კონკურსის წესით, თანაც გარკვეული, მკაცრად რეგლამენტირებული დროით... ეს რომ დავწერე, ვიფიქრე, იქნებ ზოგს ეგონოს, რომ მე მავანი კონკრეტული მწერლის წინააღმდეგი ვარ. ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ თუ კრიტიკისათვის ხმა ამოვიღეთ, აუცილებლად ვილაცას ვგულისხმობთ. მე კი ქართულ მწერლობაში არც ერთი ჭეშმარიტი შემოქმედის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ისიც სათქმელია, მკვეთრად გამოხატული ეს იერარქია კოლეგიალობას, ურთიერთმობასა და თანადგომას ნიშნავს აცლის. ამის შედეგაცაა, რომ არცთუ იშვიათად ჩვენი კოლეგები — „მწერლების მსახურნი“ — საკუთარ თავსა და შემოქმედებას უფრო ემსახურებიან, დროსა და ენერჯიას ერთმანეთთან და იერარქიის საფეხურზე აღმასვლისათვის ჭიდილში ხარჯავენ, საკუთარი კვარცხლბეკი ქვითკირით ამოჰყავთ, თუმცა უმჯობესია ეს კვარცხლბეკი შემოქმედებაზე იდგეს, ვიდრე თანამდებობაზე... ჩვენ კი, დანარჩენ მოკვდავთ ისლა დაგვრჩენია, მორიდებით ვიდგეთ კარებთან და თუ ბედმა გაგვიღიმა, იქნებ ყურადღების ნამცეცი ჩვენც შეგვხვდეს, თუმცა ეს ზოგჯერ საკუთარი ადამიანური და მწერლური ღირსების ხარჯზე თუ ხერხდება.

* * *

ვგრძნობ, რომ საკმაოდ მწარედ და პოლემიკურად გამომივიდა. იქნებ ზემონათქვამმა სიტყვებმა არაერთი მტერი შემძინოს, მაგრამ ერთხელაც ვიტყვი, იოტისოდენადაც არავისი მტრობა და შური გულში არ გამივლია.

შეუძლებელია ადამიანმა ყველა დიდი და მცირე ტკივილი ერთ წერილში მოათავსოს. ზემოთქმულ საკითხებთან ბევრი სხვა პრობ-

ლემაც იყრის თავს. იერარქულობამ, ელიტარულობამ, როცა ერთსა და იმავე ძლევაში ირგვლივ უნდა ვიტრიალოთ, ლიტერატურული ცხოვრების სხვა სფეროებშიც ერთგვარი მეტასტაზები გამოავლინა. ვერ იქნა, ვერ მოგვარდა წიგნის გამოცემის პრობლემები, თუმცა ეს მარტო ჩვენი კი არა, საკავშირო პრობლემაა. მწერლის ნერვულობა პირველსავე საფეხურზე, რეცენზირებაზე იწყება. კვალიფიციური და ავტორიტეტული რეცენზენტი იშვიათი გახდა. რაც თავი მახსოვს, ჩემს წიგნზე ერთადერთი მაღალი დონის საგამომცემლო რეცენზია დაიწერა, სადაც ავტორი გვერდნახევარში მაქებდა და თერთმეტ გვერდზე მაკრიტიკებდა, მაგრამ ისე დასაბუთებულად, რომ ყოველი მისი სიტყვა დავიჯერე და გამოვიყენე კიდეც. ჩვეულებრივ კი, რეცენზიები უსუსურნი, დაუსაბუთებულნი, მხოლოდ საკუთარი ორლობიდან დანახულნი იწერება. ხომ ცხადია, რომ ყოველ მწერალს, თუნდაც ნიჭიერება ვერ დაუზუნუნოთ, არ ძალუძს ბოლომდე ჩასწვდეს სხვათა ნააზრევს, თუ ის სხვანაირი პოეტიკითაა დაწერილი, რადგან ერთადერთი ჭეშმარიტი მწერლური გზა მხოლოდ საკუთარი ჰგონია... ამას მოვრჩებით და უარესი წინ გველის. არამდგრადი საგამომცემლო გეგმები, როცა უკვე დამტკიცებულ გეგმაში (მასში რომ მოხვდე, არაერთი წელი გჭირდება!) არცთუ დიდი ღირსებებით გამორჩეულ წიგნებს ჩატენიან, შენსას კი განზე გადადებენ. ყოველმა მწერალმა, ვის კანონიერ უფლებებსაც საგამომცემლობა დროზე ვერ ასრულებს, სასამართლო სარჩელი რომ შეიტანოს, ნებისმიერი ჩვენი საგამომცემლობა გაკოტრდება. აქ, ალბათ, მომავალში მოსალოდნელია ცვლილებები. აგერ მოსკოველი მწერლები თავიანთ კოოპერაციულ საგამომცემლობაზე ზრუნავენ. წესდების თანახმად იგი კავშირის წევრთა თანაბარ, წილობრივ მონაწილეობას გულისხმობს. ჩვენთან ეს ჯერჯერობით ოცნების სფეროს განეკუთვნება, მანამდე კი მწერალი თავისი კანონიერი უფლებების განხორციელების პროცესში ზედმეტ წინააღმდეგობებს აწყდება. ეს უწყვეტი, სტრესული მდგომარეობა მის ჯანმრთელობასა და შემოქმედებით პოტენციალზე მოქმედებს. ყველა ვერ უძლებს ცდუნებას და მაშინ შემგუებლობის, კონფორმიზმის წყლული ჩნდება...

ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი საკითხიც ვთქვათ: არაერთხელ გაგვიგონია, კრიტიკა არა გვაქვსო. ეს განცხადება, ცხა-

დია, არამართებულია. კრიტიკაცა გვაქვს და ნიჭიერი კრიტიკოსებიც გვყვანან, მაგრამ ბევრმა მათგანმა სიმართლისმთქმელის მძიმე ტვირთს მუხობების იოლი გზა არჩია. ასეთმა გზამ შეიძლება კრიტიკოსს დროებითი წარმატება მოუტანოს, მაგრამ საბოლოოდ მკითხველის ნდობას კარგავს. მკითხველმა წინასწარვე იცის მისამართები და ისიც, თუ რა სარგებელს ეძებს ავტორი პანეგირიკული (ან პირუკუ, გამათხავი!) თხზულებიდან. ასეთი კრიტიკა ლიტერატურის გარეთ უნდა იდგეს.

ამ წერილში უამრავ საჭირობოროტო საკითხს შევეხე. ზოგან ზედმეტად გამიტაცა პოლემიკამ, გულისტკივილს ავყვე, მაგრამ არაგულწრფელად და შეფარვით სიტყვაც არ დამინერია. ბოლო ორი წელი მართლაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მოწმენი და მონაწილენი გავხდით. მომავლის დიდი იმედები ჩაგვესახა! ადრე თუ ასეთი სიტყვები ცარიელი, უშინაარსო დეკლარაცია იყო, დღეს იგი შინაარსით ივსება. ოღონდ, გორბაჩოვის თქმისა არ იყოს, მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, ჯერ მხოლოდ კარიბჭესთან ვდგავართ და ჩვენზეა დამოკიდებული, წელგამართული ვივლით თუ ადგილზე ტკეპნას განვაგრძობთ. თამამი იდეები, რევოლუციური გარდაქმნების წყურვილი ხშირად მწერლობის წიაღში იბადებოდა. მწერლის სათუთი წერვი სხვაზე ადრე აღიქვამდა საზოგადოებრივ ტკივილს. დღეს კი მოგვიწოდებენ სითამამისაკენ, სიმართლისაკენ, გარდაქმნისაკენ... ასეთი შანსი ჩვენმა საზოგადოებამ, უპირველესად, მწერლობამ ხელიდან არ უნდა გაუშვას.

ალო, „გლასნოსტ“!

მართლაც რომ შეიძლებოდა ტელეფონის აღება და დარეკვა: „ალო, „გლასნოსტ“! როგორ ბრძანდები? სად, რომელ მხარეში დიდე ბინა? ჩვენთან როდისღა ჩამოხვალ?“ ყურმილში კი ახალგაზრდული, დაულეღი ხმა მიპასუხებს: „დღე და ღამე ვვარჯიშობ! შენ რომ გაგიხარდება, ისე გამოვიყურები! ძირითადად მოსკოვში ვარ ჩანერილი, აქაური პრესის ფურცლებზე და ტელეეკრანებზე მიწევს ოფლის ღვრა. ხანდახან პერიფერიებსაც ვენწევი, მაგრამ ყველანი თანაბრად როდი მწყალობენ და ჯერჯერობით ბოლომდე ვერ მოვიკიდე ფეხი! თქვენთან, ყური მოვკარი, ჩემი ალიკვალი ძმა — საჯაროობა აკენიდან წამომდგარა და სიარულს სწავლობს!“ დიახმეთქი, ვუპასუხებ, ჩვენთან საჯაროობა იდგამს ფეხს. მართალია, უჭირს, მაგრამ თუ ხელი შევაშველეთ, იქნებ გამართული სიარულიც ისწავლოს... ტელეფონით ყველაფერს ვერ ვიტყვი, რაც გულში მიდევს, უცხოს ჩემს ეჭვებს ბოლომდე ვერ გავუმხელ, მაგრამ სიმართლეს თვალი ხომ უნდა გავუსწორო და ამიტომ ვცდილობ ერთმანეთს ამოვუყენო „გლასნოსტი“ და „საჯაროობა“. საექიმო სტიტოსკოპი მივადოთ საჯაროობას მკერდზე და მოვუსმინოთ. ყურნაკლულნი თუ არა ვართ, გულისცემას გავიგონებთ, ოღონდ ისეთ ჯანსაღსა და ძლიერს ვერა, როგორ „გლასნოსტის“ მკერდშია. ცოტა არითმული ჩანს ჩვენი საჯაროობის გულისცემა! დროზე უნდა წავამველოთ მასტიმულირებელი აბები, თორემ ვაითუ ხეიბარი შეგვრჩეს ხელთ.

უმაღურობას ნურავინ დამნამებს. რაც ახლა იწერება და ქვეყნდება, ადრე ვერც დაინერებოდა და, მით უფრო, ვერ გამოქვეყნდებოდა. ზოგ საკითხში ზედმეტი მოგვდის მგონია. საჯაროობის ფარი ვიფარეთ და მავანისა და მავანის საცვლები ღობეზე გადმოვფინეთ სასეიროდ.

„როგორ?“ — წამომიხტება გაბრაზებული ოპონენტი. ნუთუ თქვენ არ კითხულობთ ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთებს? თუნდაც „კომუნისტს“, „თბილისს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „ლიტერატურულ საქართველოს“? ანდა ავღანური ციკლი მაინც ვერ იხი-

ლეთ ჩვენს ტელევიზორზე, საქართველოს ტელევიზიის მთლად პირველმა კაცმა რომ შემოგვთავაზა? ასეთი ოპონენტის წინაშე თავს დამარცხებულად ვგრძნობ. მობოდიშებით ვეუბნები: ვკითხულობ, რა თქმას უნდა, ტელეგადაცემებსაც ვუყურებ, ხანდახან რადიოსაც მივაპყრობ სმენას... მერედა, განა იმას ვამბობ, საჯაროობა არ არის-მეთქი, ისლა ვთქვი, ჯერაც მოიკოჭლებს და ხელთ სანამ ხეიბარი შეგვრჩებოდეს, მივეშველოთ, გავავარჯიშოთ, გავაკაყოთ და „გლასნოსტს“ გვერდით ამოვუყენოთ-მეთქი.

რაკი ტელევიზია ვახსენე, ბარემ იმით დავინწყებ, საჯაროობის ყველაზე ბასრი მახვილი ხომ იმას უპყრია ხელთ. ცოტათი მიჭირს მოზომვა, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ეპოქაში ნეტა რანაირი შენიშვნების უფლება მაქვს. ზედმეტ სითამამედ ხომ არ ჩამეთვლება, რომ ვთქვა, ეს მახვილი ჯერაც ბლაგვია-მეთქი, იქნებ უმჯობესია, თუ ვიხმარ — „გასალესია!“ ანდა იქნებ აუცილებელია ტრადიციული ქებით დავინყო? კი, ბატონო! ამაზე იოლი რა არის? იგივე ავღანური ციკლის გადაცემები ინტერესით ვნახე... ზოგიერთი სხვა გადაცემაც (მეტ-ნაკლებად!). მაგრამ ეს წერილი იმიტომ არ დამინცია, დაფნის გვირგვინები ვარიგო. ამიტომაც აი, ნეკათითისოდენა, სახელდახელო, ცინცხალ შენიშვნას შემოვაპარებ, საგანგებოდ რომ არ მიძებნია: წუხელ (ამ სიტყვების დაწერის წინა დღეს) „ზღაპრის გუდას“ მოვუსმინე და ჩვენმა მეზღაპრე პაპამ, რომელიც ინდურ ზღაპარს ყვებოდა, ჩემი ბავშვები გაანათლა, ინდური ზღაპრის გმირს ქართული ანდაზა, ხერხი სჯობია ღონესა... მოაგონდაო. ამაზე უკეთესი რა იქნება, ინდურ ზღაპრებში თუ ქართული ანდაზები ტრიალებს. ეს, ცხადია, ლაფსუსია, მეტი არაფერი, მაგრამ სამაგალითოდ იმიტომ მოვიყვანე, თავი დავიზღვიე... ალბათ, ტელევიზიის ამაზე მეტად გაკრიტიკება საშიშიცაა. ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა, როდესაც ერთი გაზეთის ფურცლებზე ჩემი მოკრძალებული აზრი გამომათქმევინეს მეძავეობის თაობაზე (საჯაროობის ეპოქაში რატომღაც გაზეთების „სითამამის ეტალონი“ მეძავეობის საკითხი აღმოჩნდა!). გაზეთმა სიტყვა-სიტყვით დაბეჭდა, რაც მე ამ საკითხზე ვთქვი, გარდა ერთი ციცქნა აბზაცისა, სადაც მსუბუქად ვუსაყვედურებდი ტელევიზიას, მეძავეის საპასპორტო მონაცემების გამოქვეყნება, მით უფრო საჯარო გამოქვენება უმართებულოა, არც რაინდულია და არც ზნეო-

ბრივი-მეთქი (ამას გასაგები მიზეზების გამო ვამბობდი, ის მეძავე ცარიელ სამყაროში კი არ ცხოვრობდა, ქმარიცა ჰყოლია და შვილებიც, ამათ მაინც რას ვემართლებოდი!). თუმცა იქნებ სულ ტყუილია ჩემი ეჭვები, გაზეთმა ეს აბზაცი, ალბათ, ადგილის სიმცირის გამო ამოაგდო, თორემ გაზეთისა და მისი რედაქტორის რიდი ძლიერი კოლეგის წინაშე სად გაგონილა!.. რაც შეეხება მნიშვნელოვან შენიშვნებს, ამასწინათ თავის საინტერესო ინტერვიუში ბატონმა არმაზ სანებლიძემ განაცხადა, სანამ ვინმე გაგვაკრიტიკებდეს, იქნებ ისიც გაარკვიოს, რა გვიჭირს და რა გვილზინსო. სავსებით მართებული აზრია. უჭირს ტელევიზიას აპარატურა, ფირი, კვალიფიციური კადრები და ა. შ. კარგადაც მესმის, რომ საკავშირო ტელევიზიას მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ნურავინ დამძრახავს, თუ არანაკლები მოთხოვნილება გამოვაგლინო. მე ამ შემთხვევაში მომხმარებელი ვარ, ტელევიზორი როცა ვიყიდე, მაშინ წინასწარვე გადავიხადე ბილეთის ფული და თუ გადაცემა არ მომეწონა, ვერ დავინწყებ რკვევას, რა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მთავაზობენ უინტერესო გადაცემას. თუნდაც რომ ვიცოდე ტელევიზიის გაჭირვებანი, გადაცემა თუ არ მომეწონა, სხვა არხზე გადავრთავ ან სულაც გამოვთიშავ. ნურავინ ისე ნუ გამიგებს, თითქოს ვიძახდე, არიქა, ჩვენი ტელევიზია ნამეტანი ცუდ დღეშია, საინტერესოს არაფერს გვთავაზობს და ამას არც ცდილობს-მეთქი. ღმერთმა დამიფაროს, მსგავსი მაქსიმალისტური ბრალდება ვინმეს ნავუყენო! მაგრამ ერთი რამ თვალში მხვდება და, რა ვქნა, უნდა ვთქვა. მაშინ, როცა საჯაროობა და გარდაქმნა აკვანშიც არ იწუნენ, საქართველოს ტელევიზიის გადაცემები არცთუ იშვიათად უფრო თამამი, პრობლემური და მოწინავე იყო. იმ დროს არაერთი აღტაცებული წერილი დაბეჭდილა საკავშირო პრესის ფურცლებზეც, მისგან სხვები მაგალითს იღებდნენ, ზოგიერთი გადაცემის რეზონანსი იმდენად ფართო იყო, გულგრილი არავინ რჩებოდა. აპარატურა ახლაც ხომ იგივეა, იქნებ უკეთესიც (მაპატიეთ, ტექნიკურ დეტალებს მე ვერ ჩავუღრმავდები!), მაგრამ არა მგონია დღეს ვინმე ჩვენგან მაგალითს იღებდეს. საკავშირო ტელევიზიის ფონზე ჩვენი ტელევიზია ზედმეტად მოკრძალებულის, გაუბედავის, პროვინციულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბოლო დროს საკავშირო ტელევიზიასაც ხშირად აკრი-

ტიკებენ, ზოგიერთი გადაცემა მოძველდა, ზოგმა პირვანდელი გზება და კარგაო... სულ ახლახან „ლიტერნატურნაია გაზეტაში“ სვეტლანა ალექსიევიჩი წერდა, ჩვენს ტელეეკრანს ჯერაც არ გააჩნიაო ჩვენი ლიტერატურისა და ჩვენი საუკეთესო ჟურნალისტიკის სითამამე... ეს თუ იმათზე ითქმის, ჩვენზე რა უნდა ვთქვათ. ნეტავი იმათ გასაჭირზე მეტი არაფერი გვჭირდეს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, საქართველოს ტელევიზიის გადაცემათა უმრავლესობა დამაკმაყოფილზე მაღლა ვერ ადის და, სამწუხაროდ, ნაკლებ საინტერესოა, ამდენად არაქმედითია. ისევ და ისევ ტრადიციული „ილუზიონი“, ანდა ზოგიერთი იშვიათი გასართობი პროგრამა, სპორტული გადაცემების ტრანსლაციები თუ შემოიკრებენ მაყურებლებს. რაც შეეხება პრობლემურ გადაცემებს, დიალოგებს, დისკუსიებს საჭირობოროტო საკითხებზე, მათ აკლიათ პროფესიონალიზმი, სანახაობრიობა, უშუალობა და სინერჯი. ამ გადაცემათა უმრავლესობა სალექციო ფორმისაა. გამომსვლელები შპარგალკებს კითხულობენ, მაშინაც კი, როცა რამდენიმე პირი საინტერესო საკითხს არჩევს, მშვიდობიანი დიალოგის, უფრო სწორად ურთიერთმონაცვლე მონოლოგების მომსწრენი ვხდებით, რაც ყველაზე საინტერესო თემასაც მოსაწყენსა ხდის. არავითარი ვნებათაღელვა, აზრთა შეჯახება, კამათი, მაყურებელთან უშუალო კონტაქტი, იშვიათი და სუსტია პირდაპირი ეთერი... ყველაზე თამამი საკითხიც კი ისე შუქდება, თითქოს უკან ვიხედებით, ზედმეტი არაფერი წამომცდესო. ეს კი ნათქვამის ზემოქმედებას აქვეითებს. მოძველდა ფორმები, იდეები, ახლის, საინტერესო ძიების კვალი არსადა ჩანს, გარდა საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემებისა, რომლებიც მოსკოვის ანალოგიური გადაცემების მკრთალ ასლებად წარმოჩნდებიან (თუნდაც პრიორიტეტი მსგავსი გადაცემებისა ჩვენ გვეკუთვნოდეს).

შეიძლება განაწყენებულმა ოპონენტმა მითხრას, გაკრიტიკება იოლია, თვითონ რას შემოგვთავაზებდიო. ამაზე ერთი სიტყვის თქმალა ძალმძის: „ეძიეთ!“ თუ ჩვენ რაიმე ახალი ვერ მოგვიფიქრებია, სირცხვილი არც სხვებისაგან სწავლაა და არც სხვადასხვა ვარიანტების მოსინჯვა. ძიების გზაზე მუდამ ვერავინ იმარჯვებს, მაგრამ ტელეგადაცემებს დღემუდამ უნდა ეტყობოდეს მადიბელი ნერვის არსებობა. ხელი მუდამ ცხოვრების მაჯაზე უნდა გვე-

ჭიროს და გულისცემას ვუსმენდეთ. ექსპრესია, ინფორმაციის ლაკონურობა, სიახლე, ემოციურობა და სინერჯი, ცოცხალი დისკუსია და აზრთა სხვადასხვაობა, მათი შეჯახება და ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვა, სითამამე და სიმართლე! სიმართლე ყოველგვარი მიეთმოეთების გარეშე! არ უნდა იგრძნობოდეს, რომ გადაცემის ავტორები თვალს ხუჭავენ სიმართლის თუნდაც მცირე ნაწილზე. ნებისმიერ საინტერესო მოვლენას უნდა შევხედოთ მრავალნახნაგონად და სრულად. ტელევიზიისათვის მაყურებელი უბრალო მომხმარებელი კი არ უნდა იყოს, რომელიც იძულებულია დეფიციტის პირობებში ნებისმიერი შემოთავაზებული საქონელი შეიძინოს. ტელევიზია უნდა ცდილობდეს ჩვენი გულისა და ყურადღების დაპყრობას, მან უნდა გვაგრძნობინოს, რომ რესპუბლიკის მღელვარე ცხოვრების ნაწილი ვართ და არა უსახურ მაყურებელთა მასა, გულგრილად და აპათიურად რომ შესცქერის ეკრანზე გათამამებულ სუსტ ანარეკლს მოგონილი ცხოვრებისა...

წერილის დასაწყისში რესპუბლიკური გაზეთები ვახსენე. მართლაც სასიკეთოდ შეიცვალნენ! ბევრად საინტერესონი გახდნენ. ისეთ საკითხებს აშუქებენ, რაზეც ადრე ტაბუ იყო დადებული. მთლად რედაქტორების სითამამედ ნუ ჩავთვლით ამას, რადგან ტაბუ ზევიდან მოიხსნა. ასეთი რამ არასოდეს ყოფილა. მიუხედავად ამისა, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა რედაქტორებისა და რედაქციების ჭეშმარიტმა მოქალაქეობრივმა პოზიციამ. გულოვანი ვაჟკაცი მოკლე ხმლითაც იბრძვის, ფეხს წადგამს და მტერს მისწვდება, მაგრამ მფრთხალი კაცი ჯავშანში რომ ჩასვა, შიშს ვერსად გაექცევა. ის, რაც რესპუბლიკის დიდმა პრესამ აქამდე მოიპოვა, სანაქებოა და უკან დახევას არც არავინ აპირებს. ამავე დროს, დღეს უკვე სიმართლის ეს დოზა არც სიახლედ აღიქმება, არც სითამამედ. მკითხველი მიეჩვია გაზეთების მიერ შემოთავაზებულ დონეს და, თუმცა წამდაუნუმ ვიმეორებთ, რომ არ არსებობს კითხვა, რომლის დასმის უფლება არა გვექონდეს და რომელზეც პასუხს ვერ გავცეთ, მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ ბოლომდე ტაბუ ვერ მოგვიხსნია. თითქოს მომავალს ვუტოვებთ რიგ კითხვაზე პასუხის გაცემის უფლებას, ვინძლო შთამომავლებსაც დარჩეს სამუშაო. ამას რომ ვამბობ, არ ვგულისხმობ მაინცადამაინც სენსაციური მასალების დაბეჭდვას. აჟიოტაჟის, საზოგადოებრივი ვნება-

თაღელვის საგანგებოდ გამოწვევა ვერაფერი სიკეთეა (ისიც სათქმელია, რომ სენსაცია სალანძღავი სიტყვა არ უნდა იყოს პრესისათვის. მასალა, რომელიც რესპუბლიკას აალაპარაკებს, იმ დღესაა სენსაცია, მერე კი, თუ ის ღირებულია, ჩვენი სულიერი ცხოვრების ნაწილი ხდება!). ჯერაც ისმის ხმადაბალი შეგონება, ნუ ავჩქარდებით, დავიცადოთ, ვაითუ რამე მოხდეს, ისე ვერ გაგვიგონ და ა. შ. ოღონდაც, თუ მრავალი საკითხი, პასუხს რომ დაუყოვნებლივ მოითხოვს, სახვალოდ გადავდეთ, ვაითუ შთამომავლებმა უპრინციპობა, არათანმიმდევრულობა, ორჭოფულობა დაგვაბრალოს. ვაითუ პირში დაგვძრახოს: ხმის ამოღების სრული უფლება რომ მოგეცათ, მაშინაც ვერ გაბედეთ სათქმელის თქმა, დაელოდეთ უკეთეს დროებს; სანამ მავანნი თავ-პირს იმტვრევენ, ცდილობდნენ მაშხალებით ბნელი კუნჭულების განათებას, თქვენ, სავარძლებს ჩაჭიდებულნი, საკუთარი სიმშვიდისათვის მაშვრალნი, შეეცადებით ტვირთი ესე ჩვენთვის გადმოგელოცნათო... ის, რაც სათქმელია, დღესვე უნდა ითქვას! ჩვენი ცოდნა წარსულსა და აწმყოზე სრული უნდა იყოს. ჩვენი სინდისი მხოლოდ მაშინ ისინდისებს, როცა გულშემატკივრის პოზიციიდან ნებისმიერ კითხვაზე პასუხს გავცემთ, თორემ „გლასნოსტთან“ შედარებით „საჯაროობა“ ზედმეტად ფრთხილი, ზედმეტად მორიდებული და თავშეკავებული ბრძანდება... იქნებ იმიტომაცაა, მავანს ჟურნალისტ-გასტროლიორს შეუძლია გულშემატკივრის ნიღაბი მოირგოს, ჩვენი საცვლები ჰაერში აფრიალოს და მსჯელობაც კი გამართოს ჩვენს ეროვნულ მონანიებაზე... ჩვენი დაგდებული დრო-შა სხვამ თუ აიღო, უარესიც დაგვემართება და ჩვენზე ახიც იქნება... კითხვა ბევრზე ბევრია! ფაქტობრივად ახლებურად უნდა დაინეროს საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორია, გამომზებურდეს ბევრი დოკუმენტი, სინათლე მოეფინოს ბევრ ფაქტს, კარგს კარგი ენოდოს, ავს — ავი, კარგი ცოტა როდი გვექონია, არც ავი დაგვეკლებია... აგერ საკავშირო პრესაში დაიბეჭდა ვრცელი და საინტერესო წერილები კოლცოვზე, ბუხარინზე, ლისენკოზე, ვიშინსკიზე და ა. შ. ჩვენს თვალწინ ნათელი ეფინება უამრავ ბუნდოვან მოვლენას. ჩვენ კი ვერ შეგვიმუშავებია საკუთარი პოზიცია, ჩუმად ვზივართ და ერთმანეთს მოთმინებისაკენ მოვუწოდებთ. არადა, რამდენი რამ არ ვიცით! არათუ სტალინის ეპოქიდან, არამედ შემდგომ

მაც არაერთი თეთრი ლაქაა წასაშლელი... რაც არ იცი, ფარული ნაღმივითაა, არავინ იცის როდის აფეთქდება. რასაც ნათელი ეფინება, იგი ისტორიის კუთვნილება ხდება, რადგან სიმართლე, რაგინდ სასტიკი იყოს, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ეს და სხვა უამრავი მასშტაბური საკითხი რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ძიების საგანი უნდა იყოს. ესენი კი, ეტყობათ, აქვეყნებენ მხოლოდ ზევიდან შემოთავაზებულ მასალებს, თავისი ნებით კი ლოკალური, ვინრო პრობლემების შესწავლის დროს აღიღებენ მახვილს. ერთადერთი, მეტ-ნაკლებად გაშლილი დისკუსია, ეს იყო საკითხი შესახებ კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზისა... სამაგიეროდ გაზეთის დეფიციტურ ფართს არცთუ იშვიათად ვიყენებთ პირადი ანგარიშსწორებისათვის, ერთმანეთის ტალახში ამოსავლებლად, სხვისი დაცემის ხარჯზე პიროვნული ალამის აღსამართავად...

არადა, რამდენი რამეა გასარჩევი, საბჭო, სარეფერენდუმო...

ისეთი დრო დაგვიდგა, ნაცნობები ერთმანეთს წამდაუნუმ ვეკითხებით: „ნაიკითხე?“ ღმერთმა ქნას მოგვიმრავლდეს მსგავსი შეკითხვები, ოღონდ არა სპეკულიატიური და პროვოკაციული, ანგარებითა და ურთიერთანგარიშსწორებით დაწერილი წერილების მიმართ...

* * *

ერთი პროვინციული ქალაქის მერს, ჩემს თანატოლსა და ამხანაგს, ნახევრადხუმრობით ვუთხარი: „მოდი, შენი გაზეთის რედაქტორს მოსთხოვე, შენ მაინც გაგაკრიტიკოს!“ ნახევრადხუმრობის ერთი ნახევარი თუ ხუმრობაა, მეორე ხომ სერიოზულია. იმიტომ ვურჩიე, სურვილი მქონდა მიცვალებულის რეანიმირებისა... ცხადია, არ ძალმიძს სათითაოდ ყველა პერიფერიული გაზეთის მიმოხილვა, ხელი არ მიმიწვდება, მაგრამ რაც მინახავს და წამიკითხავს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აქაც შეიძლება თავის მართლება, პოლიგრაფიული ბაზა არა გვაქვსო, შრიფტი მოძველდაო, ქალაქი უხარისხოაო და ა. შ. ოღონდაც, არაპროფესიონალიზმს, არაკომპეტენტურობას, ჟურნალისტურ უსუსურობას რა პოლიგრაფიული ბაზა უშველის. რაც დღეს პერიფერიულ გაზეთებში

იბეჭდება, საუკეთესო ხარისხის ქალღმერთ უინტერესო იქნებოდა, რა თქმა უნდა, ნეკროლოგებს თუ არ ჩავთვლით. მრავალგზის გამეორებული შაბლონები და ტრაფარეტები, სქემები, კანცელარული სტილი, ციფრები, რეალობის ქეშმარიტ სურათს რომ ვერ გვიხატავენ, უღიმღამო ჩანახატები და წერილები, ნიჭიერებისა რომ არა სცხია რა, მკვდარი სიტყვებით აშენებული მასალა (იმ მერმა დარდიანად მითხრა თავის გაზეთზე: „მთლად ჩაკვდა მგონია!“)... ამბობენ, რაიონული გაზეთებიც თვითდაფინანსებაზე გადავლენო. ამ ვითარებაში ისინიც უნდა გარდაიქმნან, ხელთ მათაც სიმართლის იარაღი აიღონ. ისინი ხომ ცხოვრების მთლად შუაგულში არიან, რიგითი ადამიანების გვერდით ტრიალებენ და, საკვირველია, რომ არც მათი ტკივილი სტკივათ და ვერც მათს სიხარულს გამოხატავენ. რაიონული გაზეთიდან ელემენტარულად ვერ გაიგებ რა ხდება კინოში, თეატრში, ბაზარში, ქალაქში, სოფელში და ა. შ. იქნებ ერთბაშად ამდენი ნიჭიერი ჟურნალისტი ვერ დაძებნოს კაცმა, მაგრამ გულწრფელი, თამამი სიმართლე, თუნდაც ნაკლებნიჭიერ ფორმაში ჩამოისხას, მკითხველისაკენ გზას გამონახავს. ზევით „შენი გაზეთის რედაქტორი“ ვახსენე. იქნებ აქაც ძალღის თავი დამარხული. გაზეთის რედაქტორის უშუალო უფროსი რაიონის ხელმძღვანელი თუა, რედაქტორი თავდადებული უნდა იყოს, ან საკუთარი სავარძელი არად მიაჩნდეს, რომ გაბედოს და ქეშმარიტების სასარგებლოდ თუნდაც უწყინარი კრიტიკა შეჰბედოს იმას, ვის ნებაზეა მისი ბედ-იღბალი დამოკიდებული...

* * *

იქნებ მითხრან, ყველას რომ გადმოგვწვდი, მწერლობაზე რას იტყვიო. ქართული მწერლობა თავისი საუკეთესო ნაწარმოებებით მუდამ სიმართლის სადარაჯოზე იდგა. მაშინ, როცა კოჭლი სიმართლეს ძნელი გასაბედი იყო, ქართველი მწერლები ახერხებდნენ თავიანთი ვალის მოხდას. მაგრამ აქაც უნდა ვაღიარო: ადრე, როცა გვიშლიდნენ, უფრო თამამნი და გაბედულნი ვჩანდით. დაიბეჭდა ისეთი ნაწარმოებები, საკავშირო მკითხველი რომ აალაპარაკა. ვის როგორ შეეძლო, ჩუმ-ჩუმად ვაპარებდით თუ ყოვლისმომცველ სიმართლეს არა, ნაწილობრივს მაინც. მოქმედება ხან წარსულში გადაგვექონდა, ხან მოგონილ სამყაროში, ხან წართაულში და მი-

თოსურ-ზღაპრულ სამოსში ვახვევდით სათქმელს. დღეს შეგვიძლია უშიშრად ვთქვათ, რაც საჭიროა, მაგრამ სწორედ ახლა ვჩანვართ ერთი შეხედვით ინერტულნი. თითქოს რაღაცას ველოდებით, გვემინია სულსწრაფობა არ გამოვიჩინოთ. იქნებ იმიტომაც ხდება ასე, ამდენ ხანს გაბანრულ ხელებს რომ ვიფშვნეტო, ვინძლო სისხლი კვლავ ამოძრავდეს ძარღვებში. საყვედური, რა თქმა უნდა, ყველას არ ეკუთვნის, ან იქნებ არც არაფერია სასაყვედურო. უკვე დაიბეჭდა არაერთი მოთხრობა, ლექსი, ნარკვევი და პუბლიცისტური წერილი. ფართო ტილოს შექმნას კი დრო სჭირდება. მომავალი გვიჩვენებს, თუ რისი შემძლენი ვართ ამ ახალ ვითარებაში. რაც შეეხება საჯაროობას, გასაოცარია, მაგრამ ლიტერატურული გამოცემანი, რომლებიც ამ მხრივ მებაირახტრენი უნდა იყვნენ, ბოლომდე ვერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს. ერთმა კოლეგამ ჩემს შენიშვნაზე, ახლა სხვა დრო მოვიდა-მეთქი, ამოიხვნეშა — „ეგრე გეგონოს!“ ამაზე შემძლია ვთქვა: რედაქტორი, ცხადია, უნდა უფროთხილდებოდეს თავის მოქალაქეობრივ ავტორიტეტს, მაგრამ არა თავის სავარძელს... ისიც ნათელია, დღეს სიმართლით აღჭურვილ რედაქტორს არ ემუქრება სავარძლის დაკარგვა. ის კი, ვინც მფრთხალი უფროა, ვიდრე ფრთხილი, რედაქტორად არ დაბადებულა, რამეთუ რედაქტორი იგივე ტრიბუნია, იგი ერთ-ერთი მხედართმთავარია სიტყვისა სიმართლისათვის ბრძოლაში!

მარტი, 1989

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 12 იანვარი, 1990

კონფორმისტული და მემბოხური

„ლიტერატურა შეიძლება მოკვდეს, მაგრამ
ის არასოდეს იქნება კონფორმისტული“.

მარიო ვარგას ლიოსა

მრავალ სხვა განზომილებასთან ერთად ადამიანის არსებობა ამ ურთიერთგამომრიცხავ მოვლენასაც შეიცავს. კონფორმისტი უძრაობის მომხრე, არსებულს შეგუებული ადამიანია, მემბოხე კი — მუდამ ცვალებადის, არსებულისადმი კონფორმისტაციაში მყოფი, დაპირისპირებული, მისი უკეთესით შეცვლის მოსურნეა. ადამიანთა დიდი უმრავლესობა მეტნაკლებად კონფორმიზმითაა დაავადებული. მემბოხენი მუდამ უმცირესნი არიან, მაგრამ სწორედ მემბოხენი ამოძრავებენ ისტორიის ჩარხს, წინ წევენ პროგრესს, ქმნიან ისტორიას. კონფორმიზმი უდიდესი ძალაა. იგი სტაბილურობის, მშვიდი ცხოვრების პირობაცაა, მას არ სურს „წყლის ამღვრევა“, რადგან ეშინია ყოფიერებისა, სიცოცხლისა, ამჯობინებს დაიცვას არსებული, რათა ისიც არ დაკარგოს, რაც უკვე მოპოვებულია. მემბოხე მუდამ რისკის ზღვარზე ცხოვრობს, იოლად სწირავს საკუთარ ბედ-იღბალს, ვერ კმაყოფილდება მოპოვებულით, წარმოსახვაში აშენებული „მშვენიერი მომავლის“ იმედით ადვილად ელევადღევანდელ ლუკმას, თუმცა ცხოვრებამ მრავალგზის გვასწავლა, რომ წარმოსახული და ნამდვილი ერთმანეთს, სამწუხაროდ, მეტად იშვიათად ემთხვევა. კონფორმისტულ მასასთან ჭიდილში მემბოხე ხშირად მარცხდება. მისი გზა ია და ვარდით არაა მოფენილი. მისი ბედი ტრაგიკულია, რადგან ვერასოდეს პოვებს სიმშვიდეს, რამეთუ ვინც სიმშვიდე პოვა, იგი მემბოხიდან გადაიქცევა თავის საპირისპიროდ — კონფორმისტად. ფართო გაგებით, კონფორმისტული სული უცვლელია, უცვლელი — უნაყოფოა, უნაყოფობა — სიკვდილია, აქედან, კონფორმისტული სიკვდილთანაა წილნაყარი... მემბოხური სული ცვლილების მომხრეა, ცვალებად

და ნაყოფს მოიღებს, ნაყოფი სიცოცხლის მარადიულობის პირობაა, აქედან, მემბოხეობა სიცოცხლეა.

კონფორმისტული სული დიქტატურის, ტოტალიტარული რეჟიმის საყრდენია. მას თავისუფლება არ სჭირდება. უმჯობესია ზურგი მიაყრდნოს თავისზე ძლიერს, ამ უკანასკნელმა — უფრო ძლიერს და ა. შ. პირამიდის მწვერვალამდე, სადაც ერთპიროვნული ხელისუფალი განაგებს სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხებს. ჭეშმარიტი დემოკრატიის პირობებში კონფორმისტს თავგზა ებნევა. მან არ იცის, ვის აუბას მხარი, ვის მიემხროს. მემბოხისათვის დიქტატურა სულის შემხუთველი, ვინრო საკანია, დემოკრატია კი ფართო ოკეანე, სადაც იგი ლალად მიცურავს განსხვავებულთა და ცვალებადთა მრავალფეროვან სამყაროში. მემბოხეს დიქტატურა სიკვდილს უქადის, კონფორმისტს მშვიდი და ჩვეული არსებობის პირობას უქმნის. კონფორმისტი იოლად ეგუება ყაზარმულ რეჟიმს და არავითარი სურვილი პროტესტისა არ ებადება. პირიქით, მემბოხის პროტესტი დიქტატურის წინააღმდეგ კონფორმისტს საკუთარი ინტერესების ხელყოფად მიაჩნია. დიქტატორი ამიტომაც ახერხებს წაუსისინოს კონფორმისტული ბრბო ადამიანთა ჭეშმარიტ წინამძღოლს — მემბოხეს.

ნამდვილი ხელოვანი არსებითად მემბოხეა. იგი ქმნის საკუთარ სამყაროს და ამით ემიჯნება არსებულს, უპირისპირდება, უარყოფს მას. კონფორმისტისათვის სხვა სამყარო არ არსებობს, მას სხვა სამყაროს არსებობაც კი უკანონობად მიაჩნია. როცა კონკრეტულ ინდივიდზეა ლაპარაკი, ამ ორ საწყისს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება შეუძლებელია, რადგან ერთსა და იმავე ადამიანის სულში ხშირად თანაარსებობს ორივე. ზოგჯერ ეს თანაარსებობა პარალელურია, ერთდროულია და მაშინ ადამიანის სულში იმართება ბრძოლა ერთ-ერთის გამარჯვებისათვის, ზოგჯერ პერიოდულია, ერთმანეთს მოსდევს, ერთი ცვლის მეორეს. თვით ამ ორ საწყისში არსებობს სხვადასხვა გრადაციები, ისინი ან მკვეთრ ფორმებში ვლინდება, ან ფარულია. შეიძლება ნილაბმაც აგვაბნიოს. საჭიროების შემთხვევაში კონფორმისტი მემბოხის ნილაბს მოირგებს, ან პირუკუ, ტაქტიკური დათმობის ხარჯზე მემბოხე ცდილობს წინ წაიწიოს სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელებაში. ასეთ დროს მისი კონფორმისტობა მოჩვენებითია, ეს მით უფრო

ითქმის კონფორმისტის მეამბოხეობაზე... გააბსოლუტება არც ერთის შეიძლება, არც მეორის. მეამბოხის სულში გარკვეულნილ კონფორმისტი სახლობს, ანდა პირუკუ. აქ შეიძლება კონფორმისტულთან და მეამბოხურთან ტრადიციულის მიმართებაზე ვიმსჯელოთ. ტრადიციული მაშინაა კონფორმისტული, თუ ის არ ვითარდება, ჩარჩოშია მოქცეული, შეზღუდულია. მეამბოხეობა ანარქიამდე მივა, თუ ის მთლიანად მოწყდება ტრადიციულს, ფესვებს, და ჰაერში გამოეკიდება. ამიტომ ტრადიციულის განვითარებაშიც იგულისხმება მეამბოხური, რაკი არც ერთი სიახლისმიერი, მოდერნისტული მოძრაობა არ წარმოიქმნება ცარიელ ნიადაგზე.

დროის კარნახს ვერავინ გაექცევა. გაგება, ახსნა ჟამისა მეტად რთულია. რანაირი რაკურსითაც არ უნდა განვიხილოთ ეპოქა, — პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურისა და ლიტერატურის ისტორიისა, ან სხვა რომელიმე კუთხიდან, ყოვლისმომცველი და სრული არც ერთი არ იქნება. კონფორმისტული და მეამბოხურიც მრავალნახნაგოვნების ერთი გარკვეული რაკურსით დანახვის ცდაა. ჰოლოგრაფიულ გამოსახულებას არც ეს გვაძლევს, მაგრამ მას ისეთივე უფლება აქვს არსებობისა, როგორც ყველა დანარჩენს.

მე-20 საუკუნის დასაწყისმა მძაფრი კრიზისებით შემოაბიჯა. ძველებურად ცხოვრება შეუძლებელი აღმოჩნდა. კონფორმისტული სული ცვლილებების საჭიროებას მტკიცეულად შეხვდა. დაიშხვრა საუკუნოობით დაკანონებული სტერეოტიპები, ფასი დაეკარგა ყოველივეს, რაც უცვლელი და მარადიული ეჩვენებოდა, ძირიდან ნიადაგი გამოეცალა და არსებობის საყრდენი დაკარგა. მეამბოხეთა მრავალრიცხოვანმა და მრავალფეროვანმა წარმომადგენლობამ საზოგადოებას შესთავაზა იდეალების ფართო სპექტრი. კონფორმისტს არც ერთი ვარიანტი არ აწყობს, მაგრამ ის ცდილობს მრავალ უბედურებას შორის ნაკლები აირჩიოს. ხდება აზრთა და იდეათა ტოტალური ქიდილი, რაც გადაიზრდება ძალადობასა და სისხლისღვრაში, რაკი სიტყვას არგუმენტის ძალა ეკარგება.

რევოლუციამ ქარიშხალივით გადაიგუგუნა, დაანგრია ძველი წყობა, საძირკველი მოურღვია ათასწლოვან შენობას. მან უარყო ძველი — უარყო ტოტალურად, ყოვლისმომცველად. ახალს ყოველივე ძველი ესახებოდა „ბურჟუაზიულად“, რაშიც ანტიჰუმანურის შინაარსს დებდა. ეს გააზრება დაუნდობელი კონფორმისტის

შედეგი იყო, როცა ძმა ძმას არაფერს აპატიებდა და შვილი მამის წინააღმდეგ ჯანყდებოდა. გამარჯვებულებმა ჩაგრულთა ძმობის, ერთობისა და თანასწორობის დროშა ააფრიალეს. კონფორმისტი მიხვდა საითკენ გადაინონა სასწორის პინა, გადარბენა მოახერხა და ახალი დროის გუთანს ისევე შეება, როგორც მანამდე წინა დროის გუთანს ეზიდებოდა.

რევოლუციის შემდგომ პირველ ათწლეულს თავისუფლების ილუზია იქმნებოდა. საზოგადოებრივი აზრისათვის პლურალიზმი დასაშვები აღმოჩნდა. საზოგადოებამ ძველი ხუნდები მოიშორა, ახალი ჯერ კიდევ არ იყო გამოჭედილი და მანამდე თუ ვინმეს სული ეხუთებოდა, შვებით ამოისუნთქა. ამასობაში ფასეულობათა შკალა შეიცვალა. თავისუფლება მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოში შეიძლება იყოს. მაშინ კანონების ნაცვლად დეკრეტები მოქმედებდა, დეკრეტების საზოგადოება კი ვერ იქნება თავისუფალი და სამართლიანი. გლახმა მინა მიიღო, მუშამ — ქარხანა, ინტელიგენტმა — ასპარეზი და ეს დეკლარატიული გადანანილება ნადავლისა საკმარისი აღმოჩნდა. დღეს უკვე ვიცით, რომ ბოლომდე ვერავინ გამოიყენა, რაც კი ძველის ნანგრევებზე ერგო, მაგრამ ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი ჯილდოდ აღიქმებოდა საუკუნოვანი ტანჯვის წილ. თავისუფლება, რანაირი მირაჟულიც უნდა ყოფილიყო, მაინც იგრძნობოდა და ერთბაშად, ძალუმად იფეთქა ადამიანის აზრმა. ეს განსაკუთრებით შეეხება ლიტერატურას. სულ რამდენიმე წელიწადში აყვავდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ყვავილნარი (გახსოვთ, ალბათ, მათ ძედუნის ლოზუნგი: „დაე, აყვავდეს ყველა ყვავილი!“ რასაც კულტურული რევოლუციის მოლოხი მოჰყვა!). ლიტერატურაში უამრავი სხვადასხვა მიმართულება წარმოიშვა. ყველა საკუთარ დროშას აფრიალებდა, ყველანი იმ დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ, რომლის ფერიც მათს ხასიათს, ნიჭიერებასა და მონოდებას ემთხვეოდა. რა თქმა უნდა, ყოველ ამ ლიტერატურულ მიმართულებას თანამედროვე გადასახედიდან თანაბარ ფასს ვერ დავადებთ, მაგრამ ყოველი მათგანი იყო გულწრფელი, თავისუფალი სულის გამოვლენა. ამან მშვენიერი და მრავალფეროვანი ნაყოფი გამოიღო. განვითარების ეს გზა ძალადობას რომ არ შეენყვიტა, ალბათ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება განუზომლად მდიდარი და მრავალფეროვანი იქნებოდა.

მეამბოხეობა თავისთავში ასკეტიზმს შეიცავს, ასკეტიზმში ლომის წილი ფანატიზმისაა. გამარჯვების შემდეგ მოიხსნა საჭიროება იდეალთა მრავალფეროვნებისა, სალანძღავი გახდა სიტყვა პლურალიზმი. მას, აჰა, სამოცი წელია დამამცირებელი მსაზღვრელი „ბურჟუაზიული“ უწყვილდება. იდეალი ერთადერთი დარჩა — ავაგოთ მომავალი ბედნიერი საზოგადოება. ამ ბედნიერი საზოგადოების ფორმაც ერთადერთია. არსებობს მაგისტრალური ხაზი, რომლისაგან ოდნავი გადაცდენა ბურჟუაზიულ ქაობში გადაგვისვრის. ამიტომ მტკიცედ უნდა ვიაროთ წინ. დღეს ყველაფერი უნდა დავთმოთ იმ ბედნიერი მომავლის ხათრით. ვინმეს ეჭვი თუ შეეპარა ამ ერთადერთი გზის აუცილებლობაში, იგი მტერია და ღირსი არის, რომ მოისპოს.

ეს აზრი ხომ ჯერ კიდევ თავისუფალ ოციან წლებში, ჯერ კიდევ თავისუფალ საზოგადოებაში ჩაისახა (განა იქვე არ იყო 1924 წლის სასაკლაო!). ბევრი ალბათ ვერ ხვდება, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება შეუძლებელია არსებობდეს ღატაკ საზოგადოებაში. ვინც მშიერია და მხოლოდ გამხმარი პურის ქერქზე ოცნებობს, ვერ იქნება თავისუფალი ადამიანი, მას არ შეუძლია იტვირთოს და მხრებით ზიდოს მაღალი იდეალები. მსხვერპლის გალება შეუძლია ზნეკეთილ და თავისუფალ ადამიანს. ღატაკი კი თვითონაა მსხვერპლი, მას არაფერი აბადია სიცოცხლის გარდა, მის სიცოცხლეს კი იმ რთულ ეპოქაში გრომის ფასი ჰქონდა.

ამ ვითარებაში გუშინდელმა მეამბოხეებმა შექმნეს სისტემა, რომლის ჭეშმარიტი შინაარსი და სიტყვიერი ფორმა ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. ერთი მხრივ, კომუნისტების მაღალი იდეალები ალაფრთოვანებდა ადამიანს, მეორე მხრივ კი — ამ იდეალზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ტოტალიტარულ-დიქტატორული რეჟიმი, რომელიც ჩანასახშივე ახშობდა თავისუფალი სულის მოწოდებას. კაცობრიობის ისტორიაში უკეთილშობილესი იდეალი დამყნობილი აღმოჩნდა ძალადობის ფესვებზე და ამიტომაც ვერ გაიხარა. ძალადობის პირობებშიც, რა თქმა უნდა, საზოგადოება შეიძლება განვითარდეს, ოღონდ გარკვეულ ზღვარამდე. თუ ადამიანი მოკლეა და პროკრუსტეს სარეცელი მისთვის მეტად დიდია, ამ შემთხვევაში მას აქვს ზრდის საშუალება, შეუძლია შეავსოს საარსებო სივრცე... გუშინდელმა მეამ-

ბოხეებმა ისეთი სისტემა ააშენეს, რომელმაც უარყო იდეალები, რისთვისაც ეს ამბოხება მოახდინეს. ცხადია, ეს ერთ დღეს არ მომხდარა. ტოტალიტარული რეჟიმი ყალიბდებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათან, ამ პირამიდის მშენებლობაზე თავის წილ ლოდებს ეზიდებოდნენ ყველანი, ვინც ადრე თავისუფლების დროშას აფრიალებდნენ და ბარიკადებზე სიცოცხლეს სწირავდნენ. კონფორმისტულმა მასამ, ძირითადად გაუნათლებელმა და ბეცმა, იგრძნო ძლიერი ნება. ყოველი სისტემა ადამიანისაგან ძერწავს სახეს თვისას. დიქტატორულმა რეჟიმმა დასრულებული კონფორმისტის ტოტალური ტირაჟირება მოახერხა. ჩამოყალიბდა კონფორმისტული საზოგადოება, რომელსაც მაღალზნეობრივი ლოზუნგები იმდენად სჭირდებოდა, რამდენადაც ადამს ლეღვის ფოთოლი.

რას აკეთებდა ამ დროს მწერლობა, ლიტერატურა? მწერალი ხომ ის ადამიანია, რომლის გაშიშვლებული ნერვები კაცობრიობის ყველა ტკივილს აღიქვამს; მწერალი ის ადამიანია, რომლის სული მუდამ იტანჯება, რადგან ეპოქის ტანჯვა მის სულში აირეკლება; მწერალი მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებას უნდა ემსახუროს, რადგან ჭეშმარიტებაზე უფრო დიდი მეგობარი მას არა ჰყავს; მწერალი მეამბოხეა, რომელიც მუდამ, თავისი არსებობის ყოველ წამს წინ აღუდგება უსამართლობას, მცირე იქნება ის თუ დიდი, საყოველთაო იქნება თუ ვინრო, ლოკალური, მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია კონკრეტული, ადამიანური და საყოველთაოსაკაცობრიო... ყველა დროსა და ეპოქაში, რანაირი საზოგადოებაც უნდა ჩამოყალიბებულიყო, ჭეშმარიტი მწერალი მუდამ სხვაზე წინ მიდიოდა იმ ჰორიზონტისაკენ, საითკენაც თავისუფლების დროშა იხმობდა. რა თქმა უნდა, იყო ეპოქებიც, როცა დიქტატორის ჩექმებქვეშ ღირსი დუმდა, მაგრამ აქაც არსებობდა პროტესტის ფორმები. ნაცისტური დიქტატურის დროს მწერალთა დიდმა უმეტესობამ დატოვა გერმანია. მეორე ნაწილი შინაგან ემიგრაციაში განმარტოვდა, დუმილი იყო მათი პროტესტის ფორმა...

ჩვენი მწერლობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, სამწუხაროდ, შესაშური კონფორმისტული სულისკვეთება გამოავლინა. გუშინდელი ურთიერთდაპირისპირებული მიმართულებების წარმომადგენლები, ხმალამოლებულნი რომ იბრძოდნენ თავიანთი მხატვრულ-ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების

ბების დასამკვიდრებლად, კონსოლიდაციის საბაბით ერთი ხელის მოსმით გააერთიანეს. ეს არ იყო ჭეშმარიტი გაერთიანება. ეს ისეთი გაერთიანება იყო, როცა ყველაფერი, რაც ქოთანში ვერ ჩაეგტია, უნდა ჩამოეჭრათ. რაკი ეს ჩამონაჭრები გარკვეული დოგმის ფარგლებში ვერ თავსდებოდნენ, აუცილებლად ბურჟუაზიულ დივერსიად აღიქმებოდა. ასეთ ყოვლისმომცველ გაერთიანებას ყოვლისმომცველი თეორია სჭირდებოდა და შეიქმნა სოციალისტური რეალიზმი. რეალისტი მწერლების შემოქმედება, ლიტერატურაში ეპოქები რომ შექმნეს, იერარქიულად ნაკლები რანგის რეალიზმად გადაიქცა, რაკი სოციალისტური რეალიზმი უფრო „ნინგადადგმულ“, „პროგრესულ“ მოვლენად გამოცხადდა. კლასიკური რეალიზმი მემბოხური გახლდათ, რამდენადაც ის სინამდვილის რეალურ სურათს გვიჩვენებდა. მაშ რითილა გადაასწრო მას სოციალისტურმა რეალიზმმა? რა თქმა უნდა, მსჯელობა აქ ერთგვარად უტრირებულია, გაუბრალოებულია, სასკოლო სახელმძღვანელოს დონის იქით არ მიდის, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ეს თემა ამაზე კვალიფიციურად არცაა დამუშავებული. სასკოლო სახელმძღვანელოები კი ჩაგვიჩინებდნენ, ეს ახალი რეალიზმი, პერსპექტივაში დანახული სინამდვილეაო. ეს პერსპექტივები დადებითი გმირების მეშვეობით უნდა დაესახა მწერალს, და თუ ცხოვრებაში ასეთი გმირი არც არსებობდა, ყოჩაღ მწერალს ის უნდა შეეთხზა. ასეთი სანიშნო და მისაბაძი გმირების, არარსებული კოლიზების შეთხზვა სხვა არ არის რა, გარდა პოლიტიკური დაკვეთით სინამდვილის შელამაზება... კონფორმისტი მწერლისთვის ეს „თეორია“ მიგნება იყო. მას შეეძლო ოცდაათიან წლებში რომანისათვის ეწოდებინა „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, როცა სიმინდის ნაყანეში ჩაი უნდა გაგვეშენებინა, მოგვიანებით კი იმავე წიგნს — „კოლხეთის ცისკარი“, როდესაც კოლექტივიზაციამ ვითომდა გაგვაბედნიერა... ნიჭიერი და გულწრფელი ადამიანისათვის ეს იყო ნამდვილი ტრაგედია, რადგან იმაზე საშინელი არაფერია, როცა ნიჭიერი კაცი ძალდაუტანებლად, ნიჭიერად იტყუებს თავს, ნამდვილი ორიენტირი დაკარგული აქვს, ჰგონია რომ ერის სამსახურში დგას და მარადისობისათვის იღვწის, სინამდვილეში კი მისი ეს ნაღვანი მხოლოდ კონიუნქტურული, ამნუთიერი ხმარებისათვის გათვალისწინებული პროდუქტია. იყვნენ, ცხადია, ისეთებიც, ვინც ამოცა-

ნა დროზე ამოხსნა და კომპრომისზე ვერ წავიდნენ, რის გამოც თავი წააგეს. ნაკლებნიჭიერთათვის, ანდა მთლად უნიჭოთათვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა. ასეთებმა იერიში მიიტანეს ლიტერატურულ ბასტიონებზე, ცრულიტერატურული ზარბაზნებით აიღეს იგი, მოიპოვეს ლიტერატურული სივრცეები, ქვეყნის ტყეები განადგურდა ამათი დითირამბული და მეხოტბური ოპუსების გამოსაცემად. მათ პრემიები და მრავალნაირი სიკეთეები თავზე აცვიოდათ და თუ არ იცოდნენ რასა იქმოდნენ, ეს მარტო მათი პირადი უბედურება როდი იყო.

უმართებულო იქნებოდა მთელი ლიტერატურის ასე ცალმხრივად წარმოჩენა. კონფორმისტულმა მასამ რომც ნალეკოს ყველაფერი, მემბოხეები იარაღს არ დაყრიან. ვინც მემბოხედ დაბადებულა, იმისი დაჩოქება მხოლოდ სიკვდილს შეუძლია. საბედნიეროდ, იყვნენ ასეთი მწერლებიც. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს და აქ სასაყვედუროდ ენა არავის მოუბრუნდება, ამათაც მთლიანად ვერ აიცილეს ის, რასაც ებრძოდნენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ მცირე ტაქტიკური დათმობის ხარჯზე სისხლიანი და მრისხანე ეპოქიდან ჩვენამდე მოეწვინათ გულისშემძვრელი ლიტერატურული დოკუმენტები.

მემბოხენი ილუპებოდნენ! მათ არ შეეძლოთ საკუთარ სულში მოეშოთთ ლტოლვა ჭეშმარიტებისაკენ, ეს კი საყოველთაო კონფორმისტის სამყაროში უდიდესი ცოდვა იყო... გრიგოლ რობაქიძის სულის გენიას არ შეეძლო კომპრომისზე წასვლა და ეს იყო მისი ადამიანური ტრაგედიის მიზეზი, მან ბოლომდე დალია სამშობლოდან განდევნილი კაცის სამსალა... მიხეილ ჯავახიშვილის უზარმაზარ ნიჭიერებას არ შეეძლო დარჩენილიყო ცრუთეორიის არტახებში; არ შეეძლო არ ეწერა სიმართლე და ამ სიმართლეს შეეწირა კიდეც... თვით კონსტანტინე გამსახურდია, უდრეკი და შეუპოვარი, ხმალშემართული რომ ებრძოდა უსამართლობას, ისიც კი ცხოვრების უმძიმეს წუთებში იძულებული გახდა დაეწერა „ბელადი“ (რაც იძულებითია, არ შეიძლება ღირებული იყოს!), რითაც შეეცადა დაეცვა თავისი ტიტანური შემოქმედება... პოეტისათვის შეუძლებელია არსებობდეს იმაზე მეტი ტანჯვა, ვიდრე ის, როცა სიკვდილის შიშით, გაქრობის შიშით (აქ მარტო ფიზიკურ სიკვდილზე როდია ლაპარაკი!) იძულებული ხარ გადაუხვიო იმას, რაც ჭეშმა-

რიტად მიგაჩნია. ეს საშინელი სატანჯველი გაიარა ყველა ჭეშმარიტმა პოეტმა და მწერალმა. ვინც ვერ მოახერხა და ნილაბი ვერ მოირგო, ვინც საკუთარ სიმღერას ყელზე ფეხი არ დაადგა, ის დაიღუპა. მხოლოდ შავ-თეთრში ნუ წარმოვსახავთ მოვლენას. სიცოცხლის ფასად ვინც თავისი პოეტური მეობა შეინარჩუნა, ის გმირია. ზოგჯერ გმირმაც კი შეიძლება გამოავლინოს ადამიანური სისუსტე, რაც კიცხვას კი არა, გულწრფელ თანაგრძნობას იწვევს. არ შეიძლება თვალზე ცრემლი არ მომდგომოდა, როცა ოცდაჩვიდმეტში დაღუპული პოეტის სამი „ბედნიერი“ ლექსი წავიკითხე, სამივე იმ წელს დაწერილი. ტრაგიზმს სწორედ ეს ამძაფრებს, უფრო მტიკივნიულად განიცდება, რადგან თავისუფლება ისპობოდა თავისუფლების დროშის ქვეშ. კეთილშობილი იდეები მეამბოხეს განაიარაღებდა, რადგან მართალ სამიზნეს აკარგვინებდა.

იმ შავ დროებას განა მართლაც შავი ფერი დაჰკრავდა? უკანონობას და უსამართლობას მზე არ დაუბნელებია ცაზე. პირიქით, მზე ისე ჩახჩახებდა, როგორც არასდროს. გრიალებდა სასულე ორკესტრი. წითელი დროშებისა და ტრანსპარანტების სიჭრელე თვალსა ჭრიდა... ბედნიერი ადამიანების დემონსტრაციები, მარშები, ჰიმნები, პატრიოტული სიმღერები, ღიმილი, ყვავილები, კეთილი ბელადები... იყო, ესეც იყო!.. გაზეთებში კი ყვიროდა ზევიდან სანქციონებული, პატრიოტობად მონათლული დასმენა და ლალატი... დიახ, კოლეგა მწერალი ამხელდა კოლეგა მწერალს! მიიჩქაროდა, რათა დაემტკიცებინა, რაოდენ ერთგულია, რაოდენ თვინიერია, რაოდენ ღირსია თანამდებობისა, ჩინ-მედლებისა, ჰონორარისა და ტირაჟისა... კოლეგა მწერალი თვითონაც ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ხომ შეიძლებოდა, რამე გაპარვოდა? ტექსტს ვინ კითხულობდა, ქვეტექსტებში ეძებდნენ ძალღის თავს. ქვეტექსტს ისევე კოლეგა მწერალი თუ ამოხსნიდა, თორემ ჩვეულებრივი მკითხველი ვერასოდეს მიხვდებოდა, რომ მავანი ავტორი ერისშვილი კი არა, „ნავგის გროვაა“, „ლორის დინგია“, „ფაშისტური სახელმწიფოს აგენტია“. იგი ყვავილსა და სიყვარულს როდი უმღერის, სულ სხვა რამეს გულისხმობს. და თუ მართლაც ყვავილს უმღერის, სადა აქვს ამდენი დრო, რატომ არ უმღერის მშენებლობას და ჩაის პლანტაციებს... სევდა, ცრემლი, სიკვდილი სიმსუქნისაგან გაესტეგებულ ბურჟუის მანჭავა... შვილიც რომ მოგიკვდეს, რა უფლება გაქვს,

დაიტყო, შენ უნდა უმღერო მზიან მომავალს, შენი შვილი თუ ვერ მოესწრო, სხვისი შვილები ხომ მოესწრებიან...

დიახ, კონფორმისტმა მწერლებმა საკმაოდ მოიმკეს მოსამკელი... ზოგიერთმა პრესტიჟული საფლავებიც... ზოგიერთმა უკვდავების გვირგვინი, რაკი ძველი ცდომილებანი არავის ახსოვს. ზოგიერთი დღეს მეგობარია იმათი, ვისთვისაც დახმარების ხელი არასოდეს გაუნოდებიათ, ვინც არ დაიცვეს, როცა შეეძლოთ, ზოგ შემთხვევაში კი განირეს კიდეც... უკვე დიდი დროა გასული და კონკრეტულად ვის დაადანაშაულებ. არც არავისა აქვს ამის სურვილი. ერთხელ ტრიბუნიდან გავიგონე თავისმართლებასავით, ეპოქა იყო ასეთიო. მართლაც იყო ასეთი ეპოქა! ამით შეგიძლიათ თავი იმართლოთ, ბატონებო! მაგრამ, გახსოვდეთ, რომ ესეველებიც ამგვარივე სიტყვებით იმართლებდნენ თავს. მუდამ არსებობდა ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ნორმები. ნებისმიერი ეპოქისა და რელიგიის, ნებისმიერი ეროვნების ადამიანმა იცის, რომ ლალატი, დასმენა, განირვა, სიცრუე ზნედაცემულობაა. მიუხედავად მძიმე დროებისა, ბევრმა ხომ შეინარჩუნა ნამუსი... იმას კი, ვისაც სიტყვით ან საქმით რაიმე დაუშავებია, ერთი ჭეშმარიტად ადამიანური გამოსავალი დარჩენია: მონანიება! ადამიანურ ღირსებათა შორის მონანიება ერთ-ერთი ყველაზე ფასეულია. თავის მართლება მონანიებას გამორიცხავს, გულწრფელი მონანიება კი სულს განმწმენდს ბინიერებისაგან, ამაღლებს ადამიანს... ოღონდაც, დრო გადის და ვერ ვხედავ ადამიანს, ამ გზით ამაღლება რომ სწადდეს...

ომმა ბევრ რამეს გადაუსვა ხაზი. ბუნებრივია, მეამბოხენი პირველნი შეებნენ მტერს. რამდენი კარგი ვაჟკაცი შეენირა. ოღონდ, სამწუხაროდ, არამარტო ომის სასაკლამო გამობშირა ქართული მწერლობა.

არავინ ისე არ გამიგოს, მთელ ოცდაათიან-ორმოციან წლებში სასიკეთოს ვერაფერს ვხედავდე (სხვა რომ არ იყოს, გალაკტიონის პოეზია იკმარებდა!). ისიც ხომ ნათელია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაკადური ნესით გრძელდებოდა კონფორმისტული ლიტერატურული პროდუქციის წარმოება, რომელშიც ტენდენციურობა და პოლიტიკური მიზანდასახულობა ძირს უთხრიდა მხატვრულ ხარისხს... უზომო მეხოტბეობამ, სინამდვილის მიფუჩჩეებამ და ჩვენი სილატაკის ოქროს ვარაყში წარმოჩენამ ისეთი ფორმები მიიღო,

დღევანდელი მკითხველი უხერხულობას და სირცხვილის გრძნობას ვერსად გაექცევა. იქნებ ბევრ ავტორსაც ეუხერხულება თავისი იმდროინდელი ნაწერების ნაკითხვა. ამას დავიჯერებდი, მომდევნო პერიოდში გულწრფელად რომ უარეყოთ იგი. სამწუხაროდ, მომდევნო ეპოქებშიც ბევრი შემოქმედი ფლუგერის მსგავსად ყველას ასწრებდა იქით შეტრიალებას, საიდანაც ქარი ქროდა...

ხანგრძლივი „მზიანი ღამე“ 1956 წლის სისხლიანი ტრაგედიით დაგვირგვინდა. მოვიდა სულ სხვა ეპოქა! დღის წესრიგში დადგა ლიტერატურის განახლების პრობლემა. ახალი მემამბოხური თაობა, რომელსაც უნდა უარეყო და დაეძლია კონფორმისტული სული, სწორედ ორმოცდაათიან წლებში გამოჩნდა. ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზრი დიდადაა დავალებული იმ თაობის მწერალთაგან, რომელთა ასაკი დღეს სამოცს გადასცილდა. ამ თაობის პოეზიამ და პროზამ ლიტერატურაში დაამკვიდრა მემამბოხური სული. ჯერ კიდევ არ იყო ძველი ყინული გალხობილი, ჯერაც ქროდა ცივი ქარი, ეროვნული პოზიცია დანაშაულად აღიქმებოდა და ამ ვითარებაში ამ თაობამ შესაძლებლის ზღვარს მიაღწია. იოლად ითქმის, მაგრამ იოლად არაფერი მომხდარა, რადგან ჭეშმარიტებისკენ მავალი გზა მუდამ ეკლითაა მოფენილი... კონფორმიზმის ძლიერი და ყოვლისმომცველი სული არათუ დათრგუნვილი არ იყო, მას ნაბიჯითაც არ დაუხვევია. იქნებ მცირე ხნით დაიბნა, მაგრამ ახალ დროებას ალღო უმალ აუღლო და ფლუგერი იქით შეატრიალა, საითკენაც ნიკიტა ხრუშჩოვის სიმინდის ყანები ღალანებდა. საკმარისი იყო, ქვეყნის პირველ კაცს ეჭვის თვალით შეეხედა „დოქტორ ჟივაგოსათვის“, ხროვა მედროვეთა კბილების ღრჭალით უმალ მიესია პოეტს. კონფორმისტისათვის ხომ იმაზე დიდი ბედნიერება არ არის, ვიდრე ნიჭიერი კაცი ჩამოაგდოს კვარცხლბეკიდან, ტალახში ამოგანგლოს და დაამციროს. ოღონდ კონფორმისტი იმას ვერ ხვდება, რომ ჭეშმარიტი ნიჭიერების დამცირება შეუძლებელია... ხრუშჩოვის, შედარებით თავისუფალ, ეპოქაში წიგნის გამო ტყვიას არავინ დაგახლიდა, მაგრამ მემამბოხეობა მაინც საშიში იყო, თავისუფალი აზრი, განსაკუთრებით ეროვნულ ნიადაგზე დამყნობილი, კრამოლად აღიქმებოდა (კოსმოპოლიტურ ნიადაგზე კი რა თავისუფალი აზრი უნდა დაემყნოს!). მცირე ხნის სუნთქვის შემდეგ, აზროვნებას ჟანგბადის ბალიშები

მოაცილეს და დადგა კონფორმისტისათვის უკეთესი, იდეალური დროება — ეპოქა ლეონიდ ბრეჟნევისა.

სტალინურ დროებას გარკვეულ თანმიმდევრულობასა და ლოგიკურობას ვერ წაართმევ. ტყვიისა და სისხლის, ძალადობისა და სამხედრო რეჟიმის მეშვეობით ქვეყანაში გარკვეული წესრიგი იგრძნობოდა. ბრეჟნევის დროს ტერორის ეს ფორმები არ არსებობდა, მაგრამ სისტემა ფაქტობრივად იგივე დარჩა. ამ შეუსაბამობამ მოიტანა დრო უსაზღვრო განუკითხაობისა, ქვეყნის კატასტროფული სოციალურ-ეკონომიკური დაქვეითებისა... ზედა ფენების უზნეობამ აქცენტები გადაანაცვლა და უზნეო საქციელი — ქრთამი, მოსყიდვა, ლალატი, გაუტანლობა, პროტექცია, კარიერიზმი და ამნაირები შელამაზდა, თუ უზნეობრივი არ გახდა, სინდისისათვის მაინც და მაინც მძიმე ტვირთი უკვე აღარ იყო. ამიერიდან კარგი კაცი ის კი არ იყო, ვინც პატიოსნად ცხოვრობდა, კარგი კაცი ის იყო, ვინც კარგად ცხოვრობდა და საკუთარ კარიერასა და მატერიალურ კეთილდღეობას სხვის ძვლებზე აგებდა... საუბედუროდ, კონფორმისტული სულის ასპარეზი ისე გაფართოვდა, მემამბოხურის ასპარეზი უკიდურესად შეიზღუდა. მით უფრო საამაყოა, რომ სწორედ ამ დროს, თუმცა თითო-ოროლა, მაინც დაინერა ნაწარმოებები, რომელთა ავტორები სამსახურიდან მოხსნილნიც გვინახავს, ბეჭდვის უფლებანართმეულნიც, კონფორმისტი კრიტიკოსების საჯიჯგნად გადაქცეულნიც, უბრალოდ იგნორირებულინიც...

ღიახ, ამ დროს არ იჭერდნენ! სამაგიეროდ კონფორმისტულმა სულმა იგრძნო თავისი ძლევა მოსილება. კონფორმისტი ხომ პირადი კეთილდღეობის სფეროში თუნდაც მცირე დანაკარგს მსოფლიო ტრაგედიად აღიქვამს. ის მუდამ შიშით იყურება ზევითკენ. მისთვის უმჯობესია ნიჭიერი კაცი დანიხლოს, ვიდრე რომელიმე თათბირზე ვინმემ უწყინარი შენიშვნა მისცეს. კონფორმისტი მუდამ ელის განკარგულებას ზევიდან, უფრო უკეთესია, თუ იმოდენა ალღოს გამოავლენს, რომ განკარგულებას დაასწრებს, წინასწარვე მიუხვედება. ასეთი წინამასწარაობა მუდამ ჭეშმარიტების საზიანოდაა მომართული. ამიტომაცაა, რომ ლიტერატურა აივსო უამრავი ნარკვევით, დოკუმენტური თხზულებებით, „ხუთწლედის მატყანებით“ და მსგავსი წუნით, რომლებიც დროს ვერ

უძლებენ ერთი უბრალო მიზეზის გამო: ასეთ პროდუქციას საფუძვლად უდევს არა სიმართლე, არამედ კონიუნქტურა, არა მეამბოხური სული, არამედ კონფორმისტული... ამ „რეალისტური“ თხზულებების გამართა ნაწილი, არათუ ღირსნი არ იყვნენ ხოტბა-დიდებისა, არამედ დღეს მათი გზა ციხისაკენ უფრო მიდის, ვიდრე უკვდავებისაკენ... სადა აქვს მწერალს იმის დრო, კონიუნქტურულ, ერთდღიან პეპლებზე რომ დაიხარჯოს, მით უფრო, როცა გაურკვეველია, ეს პეპელია რა ფერისაა, შავი თუ ჭრელი...

აქვე უნდა ითქვას, რომ ბრეჟნევის დროის კონფორმისტი განსხვავდება წინა ეპოქების მოძმეთაგან. წინათ თუ საკმარისი იყო ნაწარმოებში დაფდაფებისა და საყვირების აჟღერება, ცხოვრებისეული სიმანხიჯის დეკორატიული ყვავილებით შემკობა, ახალ დროებაში ეს ამკარა, პლაკატური ტენდენცია წამგებიანი აღმოჩნდა, რადგან მეტად განათლებული მკითხველი აღზარდეთ. მოდერნიზებული კონფორმისტი წარმატებას ვერ მიაღწევს მარტოდმარტო ლოზუნგების ხარჯზე. ამიტომ ის გულმოდგინედ აღწერს „სიმართლეს“. ეხება „ეროვნულ თემებს“, მაგრამ ჩვევა, ყოველივე გამოზომოს, ზედმეტი არ მოუვიდეს, შინაგანი ცენზორის კარნახი, რაიც ხანდახან უფრო მძიმე ხუნდებს ადებს ავტორს, ვიდრე ოფიციალური ცენზორი, აიძულებს „მწარე სიმართლე“ შექრით შეაზავოს. ამიტომაც კონფორმისტის შეთხზული ნაწარმოები ძალაუწებურად დაშაქრული და მოტკბოა, მას არ გააჩნია დამაჯერებლობა და ქმედითობა, აქ ტრაგედია ფარსად აღიქმება, კომედიას არასოდეს ახლავს სატირა, და თუ სატირა გაიელვებს, უკბილოა და უმისამართო...

და აი, მოვიდა დრო საჯაროობისა! ერთ კრებაზე გაღიზიანებულმა ოპონენტმა თამამ ორატორს უთხრა, ახლა რომ ვაჟკაცურად ლაპარაკობ, „უძრაობის“ პერიოდში ხმას რატომ არ იღებდიო. ამაზე ასეთი პასუხი მიიღო: დღეს, როცა სიმართლის გამო არავინ ისჯება, თქვენ რატომ დაგიდვიათ ბაგეზე კლიტი? ალბათ ფიქრობთ, შეიძლება ძველი დროება მობრუნდეს და ჩვენი სითამამე მოგვეკითხოსო... მართლაც რომ!... მიუხედავად ასეთი ფართო საჯაროობისა, დღესაც მართალი სიტყვა გარკვეულ ვაჟკაცობას მოითხოვს. ადამიანმა უნდა დაძლიოს ინერცია, უნდა დაამსხვრიოს ხუნდები, რომლებიც მას აკვნიდანვე დაადვენ და ისე მიეჩვივა, უჭირს უხუნდებოდ ფეხის გადადგმა. კონფორმისტული მასა ისეთ

ვითარებაშია, თითქოს მიწისძვრის შედეგად დედამიწა ფეხქვეშ ეცლებოდეს. თუმცა, ნუ ვიქნებით ასეთი გულუბრყვილონი, ნუ მივეცემით ეიფორიას და ნუ ვიფიქრებთ, თითქოს დღეს მეამბოხურ სულს ნანატრი დრო დაუდგა...

სამწუხაროდ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. დღევანდელმა კონფორმისტმა უკვე მოახერხა ალღოს აღება. მან იცის, რომ დრო არ უნდა დაკარგოს. დაუჯერებელი მოხდა და თუ მატარებელში დროზე ვერ შეასწრო, სამუდამოდ დარჩება ისტორიის გუმინდელ სადგურში. ამიტომ კონფორმისტმა, რაკი ეს იცოდა, ყველას დაასწრო. ერთხელაც ას სამოცოცრადუსით შეატრიალა ფლუგერი და ახლა გარდაქმნის მიმართულებით მირბის. კონფორმისტი ერთ დღეში გარდაიქმნა. გუმინდელი პრიორიტეტები დაივიწყა და ახალი აითვისა. ის იმდენად გათამამდა, რომ ჭეშმარიტი მეამბოხეები, მთელი ცხოვრება მძიმე შრომითა და რუდუნებით რომ მიიწევდნენ იდეალისაკენ, უკან მოიტოვა. გუმინდელი კონფორმისტი დღეს პირველი „პერესტროიშიკია“, თანამდებობები ისევ მას უჭირავს, წერილებსაც სხვაზე უწინ წერს, „პერესტროიშიკულ“ პროზასა და პოეზიასაც... როგორც ადრე, დღესაც კონფორმისტს მონანიებისათვის არ სცალია. ის თავის ფლუგერული ცხოვრების წესში ვერავითარ ნაკლს ვერ ხედავს და როგორც ყოველთვის, არათუ ტალღაზე, ტალღის თავზე რომ ქაფია, იქ უნდა ყოფნა... ცხადია, ადამიანი შეიძლება გუმინ მართლაც სხვა იყო და გარდაიქმნას, გადასინჯოს შეხედულებათა სისტემა, სხვანაირად დაინახოს არსებობის საზრისი, ჩამოუყალიბდეს სხვანაირი კონცეფცია... ოღონდ, სულის მტანჯველი მუშაკობის ეს პროცესი განა ასე უცვბ, ასე იოლ ხდება!

აქ პრობლემის ერთ ასპექტსაც შევეხები! კონფორმისტულისა და მეამბოხურის დაპირისპირების დროს შეიძლება მაგანმა იფიქროს, რომ მხედველობაში მაქვს სინამდვილის ასახვის მხოლოდ შინაარსეული მხარე, ე. ი. უპირატესობას ნაწარმოების შინაარსს ვანიჭებდე და ჩემს მსჯელობას ამაზე ვაგებდე. ჩვენმა კონფორმისტულმა ლიტმცოდნეობამ და კრიტიკამ ბევრი ოფლი ღვარა, რათა ნაწარმოებთა ღირსებები მათს შინაარსამდე დაეყვანა, მხატვრული ფორმა კი მეორეხარისხოვან კომპონენტად წარმოესახა. ფორმა რომ მეორეხარისხოვანი რამ მაშინაც არ იყო, ამას თუნდაც ის მეტყველებს, რომ ფორმისმიერი ძიებები ოფიციალური

კრიტიკის მხრიდან მეამბოხეობად აღიქმებოდა და მწარე შედეგი არა ერთ ავტორს უწევდა. ამაში ეს კრიტიკოსები მართლმაც იყვნენ. კონფორმისტულ სულს არ სჭირდება ახალი გამომსახველობითი საშუალებები, მისთვის მთავარია შეინარჩუნოს დაკანონებული ფორმები, რაც უსაფრთხოების გარანტიას იძლევა. ამიტომაც არ არსებობს კონფორმისტული ნაწარმოები, რომელსაც ახლავს რამენაირი ფორმისმიერი სიახლე. ხოლო ყოველნაირი სიახლე, თუნდაც ნაწარმოების შინაარსი ჩვეულებრივი ყოფის მიღმა არ მიდიოდეს, თავისთავში შეიცავს ამბოხს. რა თქმა უნდა, ფორმალური ექსპერიმენტები სულაც არ არის მწერლის გამარჯვების ერთადერთი პირობა, მაგრამ სიახლის გრძობა, ფორმის გადახალისების სურვილი, დაკანონებულის მსხვერველ ან თუნდაც რეფორმისტული ცვლილებანი მეამბოხური სულის გამოვლენაა. კონფორმისტულ სუბიექტს უჭირს ამ სიახლესთან შეგუება. ამიტომ მას არ მოსწონს ყოველივე, რაც ოდნავ გადაუხვევს დოგმას. მეამბოხე სული კი დღენიადაგ იღვწის, რათა მოიძიოს ახალი გზები, ახალი საშუალებები, მისი ოცნებაა აღმოაჩინოს ახალი კონტინენტები. მართალია, მნიშვნელოვანი აღმოჩენა წამდაუნწამ არ ხდება, მაგრამ მისწრაფება სიახლისაკენ, პერსპექტიული გზების მოსინჯვა ჭეშმარიტი მწერლობის გამოხატულებაა.

დროის ფხიზელ თვალს არაფერი გამოეპარება. გუშინდელი კონფორმისტი თუ დღეს ნამდვილი მეამბოხე გახდა, დრო ამას სათანადოდ დაუფასებს. ის კი, ვინც მეამბოხის ნიღაბი მოირგო და ლიტერატურულ სცენაზე კვლავაც თამაშს ეპირება, ბოლომდე ვერ დამალავს თავის კონფორმისტულ სულს. კონფორმისტის სულის სიმბდალე მეამბოხურ ჰიმნშიც კი გამოკრთება... საკუთარ თავს, საკუთარ მეობას მხოლოდ დიდი სულიერი კათარზისის მეშვეობით გადაასხვავებ, ეს ყველას არ ძალუძს, ასეთი რამ ადამიანს ჭაღარად და არცთუ იშვიათად, ინფარქტად შეიძლება დაუჯდეს... ვისაც ერის ჭეშმარიტი მსახურება სურს, არც ერთს უნდა შეუშინდეს და არც მეორეს...

კონფორმისტული სული კვლავაც ძლიერია და თავის პოზიციებს იოლად არ დათმობს. მეამბოხურმა სულმა მოსვენება არ იცის, მისთვის ძილი არ არსებობს, იგი იწვის და თავისი ამ ცეცხლით, მგზნებარებით აკეთილშობილებს ადამიანურ არსებობას... არჩევანი ჩვენზეა!

ჩვენს სიმდიდრეს ჩვენვე მივხედოთ

ბოლო დროს ბევრი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი შევიქენით. ქართველებს ეროვნული თვითშეგნება არც ადრე გვაკლდა, მაგრამ დღეს ყოველივე, რაც ერის მეობას, მის მომავალს ეხება, მძაფრად აღიქმება, უკომპრომისო დისკუსიის საგანი ხდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის პროექტი საჯარო განხილვისათვის ამასწინათ გამოქვეყნდა, ესაა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“. იგი ეხება ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობის, შემდგომი განვითარების, საყოველთაოდ დანერგვის, მეცნიერული შესწავლისა და სწავლების საკითხებს. პროგრამა ყოვლისმომცველი და სრულია. მასში პერსპექტივაც კარგადაა დანახული. თუ, მაგალითად, ამჯერად ჩამოთვლილია, რომ უნდა მომზადდეს ესა თუ ის დიალექტოლოგიური ლექსიკონი, იგულისხმება, რომ ზოგი რეგიონის ლექსიკონი უკვე არსებობს, ზოგისა თავის რიგს დაელოდება, პრინციპში არც ერთი რეგიონი არ დარჩება უყურადღებოდ.

სწორედ ამ კონტექსტით მინდა განვიხილო სვანური და მეგრულ-ჭანური ენების საკითხი. შეიძლება ვინმემ თქვას, პროგრამა ლიტერატურულ ქართულს ეხება და ამ ენებს იმიტომაც არ მიექცა ყურადღებაო. კეთილი, მაგრამ არა მგონია, ვინმემ ოდესმე ცალკე პროგრამა შექმნას, სადაც სახელმწიფოებრივი ზრუნვა გამოცხადდება ამ არასამწერლობო ენებზე. მათზე ზრუნვა კი საჭიროდ მიმაჩნია და ყველაზე მოხერხებული ის იქნება, რომ ეს მოხდეს სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში.

სვანური და მეგრულ-ჭანური ენები ქართველური ენებია. საკუთრივ ქართულთან ერთად ისინი ქმნიან ჰარმონიულ ტრიადას. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ლიტერატურული, რელიგიური და სახელმწიფოებრივი ფუნქცია საკუთრივ ქართულს დაეკისრა, ხოლო სვანურსა და მეგრულ-ჭანურს კუთხური და საოჯახო ურთიერთობების ფუნქციები შერჩა. ქართველი ერის ის-

ტორიის მანძილზე ეს მოვლენა არავითარ წინააღმდეგობას არ ქმნიდა, ძნელად გადასაჭრელი პრობლემები ამ ნიადაგზე არ წარმოშობილა. იმთავითვე მეგრელმა, ლაზმა და სვანმა ცენტრალური — ლიტერატურული, რელიგიურ-სააღმსარებლო, სახელმწიფოებრივი ადგილი მიუჩინა სრულიად საქართველოს ენას, ამავე დროს კუთხურიც არ დაუკარგავს. ქართველი ერის ზოგიერთი მოძულის მხრიდან იყო ცალკეული ცდა, ამ ნიადაგზე ბზარი დაეჩინათ ერთიანი ქართული სულისათვის, მაგრამ მსგავსი მცდელობანი მუდამ კრახით დამთავრებულა. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად საქართველოს რომელიმე რეგიონში პარტიკულარული სულისკვეთების ნაპერწკალს გადაადგებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად ცენტრიდანულ აჩქარებას მისცემს ბიძგს, შეგნებულად თუ შეუგნებლად ერთ კუთხეს მეორეს დაუპირისპირებს, იგი ქართველი ერის მტერია, მტერს კი სათანადო პასუხიც გაეცემა.

ათვლის ამ წერტილიდან გავხედოთ სვანურისა და მეგრულ-ჭანურის ენობრივ პრობლემას და განვსაზღვროთ, რა ადგილი უჭირავს მათ ჩვენს ცხოვრებაში და განვითარების ან არსებობის რა პერსპექტივები აქვთ. შემომჩნევია, რომ ამ საკითხის დაყენებასაც კი უფროსიან ზოგიერთნი. ამიტომ გაჩუმებას არჩევენ. მაგრამ ხომ ნათელია, დუმილი უფრო გვავნებს. სიბნელე ქიმერებს შობს. ჩვენი სათქმელი ჩვენ თვითონვე თუ არა ვთქვით, მოვა სხვა ვინმე არამკითხვე, ჩვენს საქმეში ჩაყოფს გრძელ ცხვირს, „მცირე ენის“ დამცველის გვირგვინს დაიდგამს და ქვეყანას ისეთ ზღაპრებს მოჰფენს, თავის მართლება გაგვიჭირდება.

ამიტომ ფაქტს ისე შევხედოთ, როგორც ის რეალურადაა. ეს ენები რეალურად არსებობენ, ჩვენშივე არსებობენ, ერის გარკვეული ნაწილის ცხოვრებაში არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობენ. გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ამ ფაქტს ვერსად წაუვალთ. ათასი წლების მანძილზე ეს ენები თანაარსებობენ სრულიად საქართველოს ენასთან, ბევრს იღებენ მისი წიაღიდან და თვითონაც ბევრს უწილადებენ. ამ ენებზე შექმნილა შესანიშნავი ხალხური პოეზია, ზღაპრები, თქმულებები, ანდაზები და ა. შ. მათი ნაწილი ზოგადქართულ თემებსა და სიუჟეტებს იმეორებს, ნაწილი ორიგინალურია და ჩვენს საერთო სალაროს ამით სიმდი-

დრე ემატება. ამიტომ თუ ვინმე ისეთი ადამიანი არსებობს, ვისაც სურვილი აქვს ქართული ენობრივი სამყარო მარტო ლიტერატურული ქართულის სამყაროდ გადააქციოს, ასეთი სურვილი იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული. ამასთან, ჩვენი ძირითადი ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, ლიტერატურული ქართულია. სიბეცე იქნებოდა ცდა, არასამწერლობო ენების კულტურული ენის რელსებზე გადაყვანისა. ჩვენს მომავალს ეს არ სჭირდება! ისლა დაგვრჩენია, ეს ენები სტიქიის მდინარებას შევატოვოთ. დროის მანძილზე თუ მათ რაიმე ცვლილებები განიცადეს, დაე ეს იყოს კეთილისმყოფელი ზეგავლენა სალიტერატურო ქართული ენისა. ამასთან, ვფიქრობ, პრობლემის მთლად უგულვებლყოფა არ შეიძლება. ჩვენს წინაპრებს, რაკი ჩვენთვის ეს სიმდიდრე დაუტოვებიათ, ხელს ნუ ვკრავთ, ჩვენვე მოუწაროთ ისევე, როგორც ყველა კულტურული და განათლებული ერი უვლის თავის ენობრივ საუნჯეს. ჩვენი წინადადებაა პროგრამის II პარაგრაფს დაემატოს ერთი დებულება: „მეცნიერულად შევისწავლოთ სვანური, მეგრულ-ჭანური და მათი დიალექტები; მოვამზადოთ ამ ენების ლექსიკონები ქართულ ენასთან მიმართებაში“.

რას მოგვცემს ასეთი მუშაობა?

1. არასამწერლობო ენები უფრო ნაკლებ სტაბილურნი არიან, ძველი ლექსიკური მასალა სწრაფად იკარგება, იოლად ნაგვიანდებიან ბარბარიზმებით (ამიტომ აივსო მეგრული ისეთი სიტყვებით, როგორიცაა, სტოლი, პოლი, პატალოკი, აკოშკა...). თუ მივიჩნევთ, რომ ყოველი ლექსიკური ერთეული სიმდიდრეა, ბევრი რამ უყარათოდ გვეკარგება;

2. ამ ენების მასალა გვეხმარება ქართული სიტყვების ეტიმოლოგიის დადგენაში. ზოგიერთ მათგანში უფრო მეტადაა შენარჩუნებული არქაული ფორმა;

3. ეს ენები ამდიდრებენ ქართულს. საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შეგვიძლია იქიდან ვისესხოთ მასალა ტერმინოლოგიური მუშაობისათვის;

4. ვერც ერთი ლინგვისტი ვერ ჩაატარებს ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას, თუ მან მეცნიერულად არ იცის ქართველური ენები;

5. დღევანდელი ლიტერატურის მკვლევარს დიდ დახმარებას გაუწევს ქართველური ენები, აგრეთვე ამ ენებზე გაცხადებული მითოსისა და ფოლკლორის ცოდნა;

6. მორალურ კმაყოფილებას მოჰგვრის იმ პირთ, რომელთაც (ამის გამო მათ ვერ დავძრახავთ!) აკვანშივე მშობლიურ ქართულ-თან ერთად თავისი კუთხური ენაც აუთვისებიათ და ერთს მეორისათვის ხელი არ შეუშლია, რადგან მშვენიერის არსი ყველა ენაზე ცხადდება...

ქართული ენობრივი სამყარო მე წარმომიდგენია როგორც ერთიანი, მონოლითური ტაძარი, რომლის ტანი და გვირგვინი ქართული სალიტერატურო ენაა. იგი, თავის მხრივ, ეყრდნობა ყველა ქართველური ენისა და დიალექტის კვარცხლბეკს... ვიმუშაკოთ, რათა ეს მშვენიერი ტაძარი უფრო ლამაზი და ამალღებული იყოს, მაგრამ კვარცხლბეკის სიმტკიცე ნუ დაგვაგინწყდება, მასაც თავისი მივაგოთ.

„გიცნობთ, თქვენ, ქართველებს!..“

ანატოლი რიბაკოვის რომანმა „არბატის შვილები“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამის მიზეზი იმდენად მაღალი მხატვრული ღირებულებები როდია, რამდენად ის, რომ ავტორი ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო სტალინის პიროვნებას კრიტიკულად. წიგნის ავ-კარგს აქვერ შევეხები, იგი საკმარისი ინტერესით იკითხება, თუმცა მომეჩვენა, რომ რიბაკოვისეული სტალინი ზედმეტად სწორხაზოვანია. მისი ფიქრები იმ ანეკდოტურ ჭორებს უტრიალებს, რომლებიც იქნებ თვით ნამდვილმა სტალინმა არც იცოდა, თან რომანის პერსონაჟის პოზიციიდან არცთუ ბუნებრივად ჟღერს. ასეა თუ ისე, ავტორი უცბად აღმოჩნდა მკითხველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მანაც არ დააყოვნა და სასწრაფოდ შეთხზა რომანის გაგრძელება — „ოცდათხუთმეტი და სხვა წლები“, რომლიდან ვრცელი ამონაკრები დაიბეჭდა ჟურნალ „ოგონიოკში“.

ტექსტი აქ უფრო სქემატური და დუნეა. თანაც ის, რაც „არბატის შვილებში“ სიახლისა და სითამამის შთაბეჭდილებას ახდენდა, მეტად გაფერმკრთალდა, რადგან მას შემდეგ ზღვა მასალა დაიბეჭდა ამ თემაზე, მხატვრულიცა და დოკუმენტურიც. ამიტომ უფრო წარმოჩნდა ავტორისეული ხელწერის არცთუ მაღალსტატუსური დონე. მაგრამ რაკი წიგნი ბოლომდე არ დასტამბულა, თავს შევიკავებ მისი ყოველმხრივი შეფასებისაგან. ამ წერილის მიზეზი სულ სხვა რამ გახლავთ — ის ორი ფრაგმენტი, რომელიც „ოგონიოკის“ 31-ე ნომრის მე-12 — 13 გვერდებზე ამოვიკითხე.

აი, ისინიც:

Он увидел красивую одиннадцатилетнюю девочку, на вид ей можно было дать лет тринадцать. По грузинским обычаям – невеста!

Он старше еѐ на двадцать два года. На Кавказе это не помеха, на молоденьких женятся и более пожилые люди. И в ее возрасте часто увлекаются взрослыми мужчинами.

მცირე განმარტება: აქ ლაპარაკია სტალინის სასიყვარულო გატაცებაზე. ჯერ საუბარი იმაზეა, რომ სტალინმა პირველად ნადეჟდა ალილუევა სამი წლის ასაკისა იხილა: А ведь любил ее.

Помнит день, когда увидел ее совсем маленькой, трехлетней девочкой. После побега из Уфы он пришел к Алилуевым и внимание не обратил на нее, а вот помнит тот день в Тифлисе. Не заметил, а помнит. რა შეიძლება ამ პასაჟიდან კაცმა გამოიტანოს? სტალინს მოეწონა სამი წლის გოგონა. კეთილი და პატიოსანი! მეორეჯერ ოჯახში რომ მივიდა, ეს გოგონა არ უნახავს, მაგრამ დაამახსოვრდა ის დღე თბილისში იმით... რომ გოგონა ვერ ნახა? ესე იგი ქვეშეცნეულად სამი წლის გოგონას ოცდახუთი წლის კაცმა შეხედა როგორც „ნევესტად“. ამას ისიც ამტკიცებს, რომ 1912 წელს, როცა თერთმეტი წლისა დაინახა, უკვე მართლაც „ნევესტად“ მიიჩნია. თუ კაცი სამი წლის გოგონას ასეთი უკუღმართი თვალებით შეხედავს, ბუნებრივია თერთმეტი წლისა ზრდასრულ ქალიშვილად მოეჩვენება. ოდნავ მაინც არის ამ ფსიქოლოგიურ ნიაღვრეებში სიმართლის ელემენტი? სტალინის მხრებზე იმდენი რამეა აკიდებული, ნუთუ სექსუალური მანიაკის ტვირთიც უნდა ჩამოგვიდოთ? თუმცა, ვფიქრობ, ავტორს არ სურდა მთლად ასეთ დასკვნამდე მივეყვანეთ. ნაჩქარევად, დაუფიქრებლად დაწერილი ტექსტი ვინ იცის საით წაგვიყვანს. ოღონდაც, იმ პასაჟს ხომ ერთი ფრაზაც ახლდა...

დიახ, თურმე ქართული წეს-ჩვეულებებით თერთმეტი წლის ბავშვი უკვე საპატარძლოა. მე არ დავინწყებ ღია კარის მტვრევას, არ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ ისტორიულად საქართველოში არ ყოფილა ადრეული ქორწინებანი. მაგრამ შემიძლია გულდაჯერებით ვთქვა, არასოდე თერთმეტი წლის ბავშვი საქართველოში „ნევესტად“ არ მიუჩნევიათ. ვინმე მეტყვის, რომ ავტორმა პირდაპირი გაგებით კი არა თქვა, ფიგურალურადო. მეც ამგვარად გავიგებდი, ზედ რომ არ დაემატებინა, ასეთია ქართული წესიო. რიბაკოვს უნდა გახსენებოდა, რომ მაშინ როცა საქართველოში მცირეწლოვანს ათხოვებდნენ, ასევე ხდებოდა რუსეთშიც, მაგრამ იქაც და აქაც მსგავსი რამ გამოაკლისი და წეს-ჩვეულებიდან გადახვევა იყო.

რაც შეეხება სტალინსა და ნადეჟდა ალილუევას, ეს უკანასკნელი უკვე თექვსმეტისა იყო, როცა მათ შორის სასიყვარულო ძაფი გაიბა და ამაში გასაკვირი არაფერია. ოცდაორი და უფრო მეტი ასაკით განსხვავება რაღაც კავკასიური წესი როდია. გაიხსენოს ავტორმა ნატაშა რასტოვა და ანდრეი ბალკონსკი... არც ნიკოლოზ ბუხარინი იყო კავკასიელი, როცა თავისი მომავალი საცოლედ, მაშინ

ჯერ კიდევ პატარა ბავშვი, მუხლებზე ესვა... სიყვარულმა არ იცის ასაკი, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მაინც წინააღმდეგია, როცა შეყვარებულებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ამიტომაც ქართული წესის მიერ უარყოფილია როგორც მცირე ასაკის ბავშვზე ქორწინება, ასევე ცოლ-ქმარს შორის ოცი და მეტი წლით სხვაობა, და თუ მსგავსი რამ მომხდარა ან ხდება, ეს ყოველთვის სწორედ რომ წესიდან გადახვევაა.

ა. რიბაკოვის ამ პასაჟებმა ერთი რამ მაფიქრებინა. რუსულმა საზოგადოებამ (მხედველობაში მაქვს სწორედ განათლებული საზოგადოება: მწერლები, მეცნიერები და ა. შ.) არ იცის საბჭოთა კავშირის ერთიანი დროშის ქვეშ გაერთიანებულ ხალხთა ჭეშმარიტი სახე და ხშირად არც აინტერესებს იგი. ბევრისათვის, მაგალითად, კავკასია ერთიანი შავი ფერით დაშტრიხული რეგიონია, სადაც ცხოვრობენ ნახევრად ველური ჯიგიტები, იტაცებენ ქალიშვილებს, ჭამენ ცხვრის ღუმას და ზედ ყანნით აყოლებენ ქართულ ჩაის (ორიოდ დღის წინათ ტელეეკრანზე უჩვენებდნენ მორიგ ფათერაკიან ფილმს ომის თემაზე, სადაც ერთადერთი ქართველი მონაწილეობს და ისიც იმით გამოირჩევა, რომ პირველსავე შემხვედრ ქალს ებღღვენება, თან ქართულ ენაზე უმტკიცებს, მთელი ცხოვრება შენ გეძებდიო... მიკვირს იმ თანამედროვე ქართველი მსახიობებისა, ყოველნაირი როლის შესრულებაზე რომ თანხმდებიან!)... ცოდნის დეფიციტის შედეგია (თუ ზოგიერთი განგებ არ იბრიყვებს თავს!) ის, რომ სხვა ეროვნების და სარწმუნოების რეგიონთა წესები ჩვენზე გადმოაქვთ. როგორც ერთმა მოსკოველმა განაცხადა: „გიცნობთ, თქვენ, ქართველებს, ვყოფილვარ ბაქოშიო!“

იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, რომ ჩიტი ბღღვნად არ ღირდა, ტექსტში უხერხულად ჩაგდებულ ფრაზას რას გამოეკიდებო. ნათქვამია, დაწერილს ნაჯახით ვერ ამოჩეხავო. ათასი ობივატელის თავში ჩაჭედილი ერთი ფრაზა უფრო საშიშია, ვიდრე მთელი ტრაქტატები. იგი შეუმჩნეველად, ჩრჩილივით ხრავს სახრავს და შედეგმა შეიძლება ოდესმე იქ ამოყოს თავი, სადაც არც ელი. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ — როცა თქვენ ა. რიბაკოვის წიგნი დიდი ხნის მივიწყებული გეგონებათ, ვინმე წამოიძახებს: ჰო, მართალია, რომ ქართველებს წესად გქონიათ, თერთმეტი წლის ბავშვებს ათხოვებთო...

ადრე დაწერილი რეცენზია

ამა წლის 10 თებერვალს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორის სერგეი ბარუზდინის მოკლე წერილი „ლოზუნგიდან — საქმისაკენ“. პატივცემული მწერლის სიტყვებში ჩემი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა აბზაცმა: Мы знаем десятки, если не сотни произведений писателей союзных и автономных республик, в которых почти любой персонаж с русской фамилией был обязательно розовым представителем старшего брата. Мы же, русские писатели, стеснялись или нам не веляли изображать негативные персонажи с нерусскими именами. Виктор Астафьев однажды попытался сделать это, допустим, не очень ловко (рассказ „Ловля пескарей в Грузии“), но вспомним, как ему досталось. ამ ვრცელი ციტატის ძირითად აზრს, რა თქმა უნდა, ვეთანხმები, მაგრამ ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითი ვერ გამოდგება სწორი დებულების საბუთად. ისე გამოდის, რომ ვიქტორ ასტაფიევის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში ხმის ამოღების უფლება არ მისცეს და ქართველები განაწყენდნენ „не очень ловко“ ნათქვამი სიმართლის მოსმენით. სიმართლე, რაგინდ ულამაზო სახვევში იყოს გახვეული, მაინც სასარგებლოა, მაგრამ ვიქტორ ასტაფიევის სიმართლის თქმა კი არ დაფუძვლეთ, სწორედ რომ სიმართლის დეფიციტი იყო ქართველი საზოგადოების აღშფოთების მიზეზი. სერგეი ბარუზდინი ჩვენი ხალხის მეგობრად მიგვაჩნია და თუ ისიც კი ცდება, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსი მწერლებისა და მკითხველების ნაწილი მაინც იმ ხალხად გვთვლის, ვისაც არ შეუძლია გულსატკენ სიმართლეს თვალი გაუსწოროს. არადა, ჩვენს პრესაში იმ დროს ვერ დაიბეჭდა ისეთი წერილი, რომელიც ბოლომდე იტყოდა სათქმელს. მართალია, დაინერა რამდენიმე წერილი, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო იმ დროს მათ დღის სინათლე ვერ იხილეს. ჩვენ ისევ და ისევ გაუფრთხილდით ჩვენს ინტერნაციონალურ მეგობრობას და ალბათ სწორადაც მოვიქეციით, თუმცა ზედმეტი თავშეკავება ხანდახან საზარალო უფროა. ეტყობა, ჩვენმა რუსმა მეგობრებმა დღესაც არ იციან ჩვენი

ჭეშმარიტი აზრი. იქნებ დაგვიანებულად მოგვეჩვენოს ძველ წყენასთან მიბრუნება, ოღონდაც ჭეშმარიტების დადგენა არასოდეს არაა გვიან. ამიტომაც ხელახლა გადავიკითხე იმ დროს ცხელ გულზე რუსულად დაწერილი ჩემი წერილი, რომელსაც მაშინ დავარქვი „ციმორისა და კიბორჩხალის ჭერა მღვრიე წყალში“. მიუხედავად სარკასტული სახელწოდებისა, ჩემი წერილი ცდაა შესაძლებლობისა და გვარად მოთხრობის ლიტერატურული შეფასებისა და ოდნავადაც არ გულისხმობს ვიქტორ ასტაფიევის, ყველა სხვა შემთხვევაში შესანიშნავი რუსი მწერლის, ავტორიტეტის შელახვას.

აი, ის წერილიც (გასაგები მიზეზების გამო ციტატები აღარ ვთარგმნე):

დავინწყებ პირდაპირ ციტატით — Никто не смеет навязывать свою жизнь, свои достоинства, пороки, радости, слезы и восторги. У каждого человека своя жизнь, и если они не нравятся кому-то, пусть он, этот кто-то, пройдет сквозь голод, войны, кровь, безверия, бессердечность и вернется из всего этого, не потеряв уважения не только к чужой жизни, но и к своей тоже... ეს სიტყვები მოტანილია ვიქტორ ასტაფიევის მოთხრობიდან „ციმორის ჭერა საქართველოში“, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა „ნაშ სოვრემენნიკ“ (5, 1986). სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ სიტყვებს თვით ავტორი ვერ ამართლებს. ის, რაც მოთხრობაში პოზიტიურია, ძირითადად გადმოტანილი აქვს მრავალი წლის წინათ დაწერილი მოთხრობიდან. აღტაცებით აგვიწერს იგი გელათის მონასტერს, მის ლეგენდარულ წარსულს, დავით აღმაშენებლის საფლავის ქვას და ა. შ. ამ მოთხრობაში ვიქტორ ასტაფიევი კიდევ ორჯერ გამოთქვამს აღტაცებას, მაშინ როცა მღვრიე წყალში ციმორისა და კიბოს იჭერს და მაშინ, როცა სტუმრადაა ძველ მალაროელთან, ვასო ბიძიასთან: Только у вас, да еще в Гелати я почувствовал, что есть настоящая Грузия и грузины! – и еще раз, древним русским поклоном – рука до земли – поблагодарил гостеприимных хозяев, чем окончательно смутил женщин, а дядю Васю снова вбил в слезу. – Если тебя... если тебя... – заливаясь слезами, молвил он, - дорогой мой русский гость, кто обидит у нас, Грузия, того обидит бог... ცოტათი უხერხული მეჩვენა ეს თეატრალური შესტები. თუმცა გმირის გაიგივება ავტორთან მართებული არ არის, მაგრამ თვით მწერალი არ გვიტოვებს სხვაგვარი გააზრების

საშუალებას. ეს თეატრალური სახიობა არ არის მაინცდამაინც დასაძრახი. გადამლაშებულია, მაგრამ პატივცემული ავტორისა და მისი გულაჩუყებული მასპინძლის ურთიერთმამებლური ცრემლები გასაგებია. ამ სიტყვებისათვის შეიძლება მაღლობაც კი გვეთქვა ცნობილი მწერლისათვის, ვის ნაწერებსაც მთელი რუსეთი კითხულობს.

აქვე აღვნიშნავ ბანალურ ქეშმარიტებას, რომ მოთხრობის ჟანრს თავისი კანონები აქვს. ავტორს უფლება აქვს მოვლენაზე თავისი შეხედულებები ლირიკულ გმირს აჰკიდოს, აღწეროს თავისი ეჭვები და წუთიერი შთაბეჭდილებები, კალმით შეეხოს ყველაფერს, რაც მოეპრინება. მთავარია ავტორის პოზიცია, მთლიანი, დაუნაწევრებელი ხედვა სამყაროსი, ათვლის წერტილი, საიდანაც, ეყრდნობა რა საკუთარ მსოფლმხედველობას, ჭვრეტს იგი საგნებსა და მოვლენებს... ოღონდაც, არის ლიტერატურული ასპარეზის ერთი სფერო, სადაც სიფრთხილე და ზომიერება აუცილებელია. რა თქმა უნდა, მწერალი, უპირველეს ყოვლისა, მართლის მთქმელი უნდა იყოს. მაგრამ როცა პრეტენზია გაქვს ქეშმარიტების გაცხადებისა, ვალდებული ხარ ღრმად და სრულყოფილად იცოდე კვლევის საგანი. ამიტომაც, ალბათ, სინდისიერი მწერალი საკუთარ ხალხზე წერს უპირატესად. ამ დროს მას სრული უფლება აქვს, ვალდებულიც კია დაუნდობლად ამხილოს ყოველნაირი ნაკლი, მიუთითოს ეროვნული ხასიათის შერყვნა-დამახინჯებაზე, რათა ერს უარესი ხვედრი ააცილოს. ძირითადი მიზანი ადამიანთა სულიერი განწმენდაა, ბოროტზე კეთილის გამარჯვებაა. ხოლო როცა საუბარია სხვა ერზე, თუნდაც მეგობარ ერზე, უნდა დავფიქრდეთ: ვიცნობთ კი მას საკმარისად? ღრმად ჩავიხედეთ თუ არა ამ ხალხის სულში? რუსი მწერლები, მათ შორის კლასიკოსები, ხშირად წერდნენ ეროვნულ უმცირესობებზე, მაგრამ ეს ხდებოდა ყოველთვის პატივისცემისა და სიყვარულის პოზიციიდან და არ ცდილობდნენ მოვლენებზე თავიანთი შეხედულებების თავზე მოხვევას... აქ შემეძლო ჩამომეთვალა მრავალი სახელი პუშკინიდან დღემდე. სრულიად ცინცხალი მაგალითებია ბელა ახმადულინას, ევგენი ევტუშენკოს, ანდრეი ვოზნესენსკის და სხვათა პოეზია. შეუძლებელია აქ არ გავიხსენოთ თუნდაც კონსტანტინე პაუსტოვსკი, რომელიც ჩამოვიდა კოლხეთის ციებიან, ხაშმიან ჭაობნარში და შექმნა მშვენიერი, თბი-

ლი, მზით განათებული პროზა, სიყვარულითა და თანაგრძნობით სავსე...

ყველამ ვიცით, თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანზე დაბეჭდილი სიტყვა. ჩვენ ვადუღაბებთ მეგობრობას ხალხთა შორის. ჩვენი ხალხების მონინავე წარმომადგენლები საუკუნეების მანძილზე იღვწოდნენ ამ ასპარეზზე. და აქ დაუდევრად, შემთხვევით დაგდებული სიტყვაც კი შავ საქმეს აკეთებს. როცა ავტორი, უცბათ, სხვათა შორის გვეუბნება — *какие-то пьющие и поющие кавказцы*, ამის უფლება იქნებ აქვს, მაგრამ ხომ უნდა ვიკითხოთ, რანაირი კავკასიელები? მით უფრო, შემოქმედებით სახლში? იქნებ არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას ამ ფრაზას, მოთხრობაში მსგავსი რამ სისტემად რომ არ გადაქცეულიყო, ის რაკურსი რომ არ იყოს, საიდანაც ავტორი ადამიანებსა და მოვლენებს ზომავს.

აგერ გამოჩნდა ოთარი, ვისთან ერთადაც ავტორი მოსკოვში სწავლობდა. იგი არაერთი წიგნის ავტორია, ზოგი რამ ავტორსაც კი უთარგმნია რუსულად (სხვათა შორის, თუ ავტორს დაუფუჯვრებთ, წიგნებს მგონი წყალტუბოში სცემს!). ახლა იგი ლიტფონდის შემოქმედებით სახლში საგანგებოდ ჩამოვიდა ყოფილი თანაკურსელის სანახავად. ამ უკანასკნელს აქ ვერ მოეპყრნენ ტიტულის შესაბამისი პატივისცემით. ღვინით გამოღეშილი ჩვენი აბორიგენი ამან გააჯავრა, ააბობოქრა, ყვირის, უდიერად იქცევა, უზრდელია, ე. ი. სავსებით ავლენს თავის კავკასიურ ხასიათს. რასაკვირველია, ტაქტითა და ზრდილობით აღსავსე ავტორი თავის ბობოქარ დამცველს ქედმაღლურად არიგებს: **Я сказал Отару, что ему, отцу четверых детей, уроженцу Сванетии, жителю сельской местности, не пристало держать себя развязно... ალბათ სხვათათვის შეიძლება! საერთოდ, ავტორს უყვარს ჭკუის დარიგება. ქვევით, სხვა საკითხთან დაკავშირებით იგი ერთხელ კიდევ ცდილობს თავისი ამხანაგი გონს მოიყვანოს: Я сказал Отару, что он все-таки писатель, в Москве учился (აბა, საქართველოში კაცი სად ისწავლიდა ზრდილობას!), что не все кавказские обычаи наверное так уж и хороши, как ему кажется... თვითონ კი შენიშნავს: Было что-то неприятное в облике и поведении Отара. Когда, где он научился барственности. Или на курсах он был один, а в Грузии другой, похожий на того всем надоевшего типа, которого и грузином-то не**

поворачивается языком назвать (ახია, ამ ჩვენს გულუბრყვილო ოთარს, ვინაც სული და გული არ დაიშურა, რათა სტუმარ-მასპინძლობის წესი დაეცვა, სტუმარმა კი, ბოდში და, წიხლი უკრა პურ-მარილზე!). Как обломанный, занозистый сучок на дереве человеческом, торчит он по всем российским базарам, вплоть до Мурманска и Норильска, с пренебрежением обдирая доверчивый северный народ подгнившим фруктом или мятыми, полумертвыми цветами. Жадный, безграмотный, из тех, кого в России уничтожительно зовут копеечная душа, везде с растопыренными карманами, от немытых рук залоснившимися, везде он собирает деньги, но дома учитывает жену, детей, родителей в медяках, развел он автомобилеманию, пресмыкающиеся перед импортом, зачем-то, видать, для соблюдения моды, возит за собой жирных детей, и в гостиницах можно увидеть четырехпудового одышливого Гогию, восьми лет от роду, всунутую в джинсы, с сонными глазами, утонувшими среди лоснящихся щек...

რა გამანადგურებელი პასაჟია! ღმერთმა იცის, არავითარი სურვილი არა მაქვს, ბაზრის სპეკულანტები დავიცვა, მაგრამ რამდენიმე კითხვა მაინც გამიჩნდა: ნუთუ ავტორი ვერ გრძნობს უხერხულობას, როცა თანა კურსელს ადარებს ადამიანთა ამ ნაგავს! რა უხერხულობაში ჩააყენა მან თავისი კოლეგა, კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი, არა ანგელოზი, მაგრამ ღირსეული პიროვნება! კი მაგრამ, ეს „გულუბრყვილო, ჩრდილოელი ხალხი“ რამ გაასულელა, მამასისხლად დამპალ საქონელს რომ ყიდულობს? სპეკულაცია არც ერთი ხალხის დამახასიათებელი თვისება არ არის. იგი სოციალური ბოროტებაა, რომელსაც დეფიციტი შობს, და მას სიუხვით უნდა ვებრძოლოთ. თანაც რამდენი ულოგიკობაა ამ ტექსტში: სპეკულანტს თურმე შავი ხურდა ენანება თავისი ოჯახისათვის, ამავე დროს კი ღორივით გასუქებული ბავშვები ჰყავს. მე მგონი ეს აბრაკადაბრა უნდა შევუნდოთ ავტორს, რამეთუ არ ესმის რასაცა წერს. თუმცა ამით თავს ნუ დავიმშვიდებთ. მწერლის ნაწერში სიმართლეს გაიელვებს და ამაზე თვალის დახუჭვა არ ეგების: Дело дошло до того, что любого торгаша нерусского, тем более кавказского вида по россия презрительно клянут и кличут

грузином. რაც არ უნდა გვემწაროს, ეს სიმართლეა და ამაში, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ბრალი მიგვიძღვის.

გადავიდეთ ქალის თემაზე! აქ არ დავინწყებ *неряшливая поэтеса*-ს დაცვას, რომელმაც навесила, почти погрузила *кобылий* зад ავტორის თეფშში. მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ როგორ ხედავს იგი ქართველ ქალს. ავტორი სტუმრად მიიყვანეს სოფელ გვიშტიბში, წყალტუბოსთან და ისვენებს ხალვათ, გრილ სახლში, რომელიც სრულ სინყნარეში ჩაფლულა, ვფიქრობ, იმიტომ, სტუმარი არ შევანუხოთო. სტუმარმა დაისვენოსო და ყველანი თითის წვერზე დადიან, მერე კი ცდილობენ პურ-მარილით ასიაშოვნონ. ის კი ამას თავისი სამრეკლოდან უთვალთვალებს და ასკვნის: Принадлежа к безвмолной расе, мать, жена и девочка Манана во время завтрака за стол не садились, как заспанные холуи, они теньями скользя вокруг стола, незаметно меняли тарелки, подтирали стол, наливали вино... ეს სიტყვები რომ წავიკითხე, სიმართლე გითხრათ, შემრცხვა ავტორის მაგიერ. ასეთი მასშტაბის მწერალს როგორ შეეძლო ქალზე ეთქვა *заспанные холуи*. ნუთუ ვერ შენიშნა, რომ ამ ოჯახში ყველაფერი ეს კეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მისდამი პატივისცემისა და მოკრძალების გამო. ეტყობა, მოეჩვენა, რომ ცივილიზებული ცივილიზირებულ პირდაპირ არაბეთის უდაბურ პერიფერიაში მოვხვდიო. ან საიდან გაიგონა ავტორმა ასეთი კავკასიური, ე. ი. ქართული წეს-ჩვეულება, ქალს რომ სუფრაზე ჯდომას უკრძალავს? ამაზე უარესია შენიშვნა, რომ ქალები თურმე *мимоходом, мимоходом, тоже „незаметно“* питались тем, что оставалось от мужчин. ანდა მთლად ღატაკია ეს ჩვენი ოთარი, ან პირდაპირ პირსისხლიანი ფეოდალია, ოჯახის წევრებს შიმშილითა კლავს და ისინი, საცოდავები, ნარჩენებით იკვებებიან! ეს ხომ ქართული ყოფის კარიკატურაა! ვფიქრობ, პატივცემულ სტუმარს უფრო ისეთი საზოგადოება მოეწონებოდა, სადაც ქალები მუხლებზე დაუსკუპდებოდნენ (მაპატიეთ ეს უხეირო ანგლობა!). ამას შეიძლება დავამატოთ სიტყვა *კაზმულობის* ისეთი მშვენიერება, როგორიცაა *старые, иссохшие, печальные женщины*, словно искупающие вину за всех нахрапистых, невежливых людей, они кланялись до пыльной земли... ეს უკანასკნელი, წმინდა რუსული მოძრაობა, საერთოდ არ ახასიათებს ქართველს. თანაც ძალიან

ხომ არ მომრავლდა ლაპარაკი ქართველების რალაც დანაშაულზე და მისი გამოსყიდვის სურვილზე...

მწერალი გვიყვება, რომ ერთხელ ყოფილა გალში, ვილაც ნაძირალასთან, რომელიც თურმე მოსკოვის სატირული ჟურნალის კორესპონდენტი ბრძანდებოდა, не умеющим писать по-русски и нанимающим разных бездомных русских горемык, владеющих крепким пером, но загнанных на юг болезнями. როგორი „გორემიკაც“ არ უნდა ვიყო, ჩემს ნიჭიერებას არაფრით არ მიეყიდი ასეთ ნურბელას, რომლის არსებობა საერთოდ მეეჭვება. მაკვირვებს სხვა რამ: რანაირად შეეძლო ისეთ მწერალს, სიმართლის მაძიებელსა და მეამბოხეს, როგორიცაა ასტაფიევი, გაჩერებულიყო ამ უსინდისო კაცის სახლში და მისი პური გაეტეხა? მასპინძელს თურმე წელიწადში სამოცი ათასი შემოსავალი აქვს. იგი მილიონ მანეთს აგროვებს თავისი ათი წლის გოგონასათვის, დრო რომ მოუნევს და გავათხოვებ, ახალგაზრდებს „მერსედესს“ ვუყიდო. ჩანს ავტორი იუმორთან მწყრალადაა. ნამდვილი საქმოსანი უცხო კაცთან, თანაც მწერალთან ასეთ ბაქიობას არ დაიწყებს. მაგრამ ეს არაფერი! ასეთი შეძლებული კაცი მოხუცებულ მშობლებს თავისი სასახლის საშინელ ფლიგელში აცხოვრებს: одетые в хламиды, среди сырых стен, прелых углов, на топчанах, сделанных из сухих ветвей фруктовых деревьев, утонув в пыльном, словно бы сгорелом хламе, на свалывшихся овечьих шкурах лежали старики и с бесконечной усталостью ответили на пожелание спокойной ночи, что хотели бы уснуть и не проснуться, что ежевечерне, ежечасно молят бога, что-бы он успокоил, прибрал их простуженные, изработанные кости, прикрыв землю... თითქოს ესეც საკმარისი არ არის, კრიჟანგი მასპინძელი უხეშად ლანძღავს მოხუცებს, საპირფარეოში სინათლე რად არ ჩააქრეთო. ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია! მე, მაგალითად, ამ თავმომნონე და სიმართლისმოყვარე მწერლის ადგილას, ერთი წუთითაც არ გავჩერდებოდი ამ სახლში, მით უფრო ვერ დავიძინებდი ქათქათა ჰოლანდიურ თეთრეულში... აქვე ავტორი ხაზს უსვამს, რომ ქორწილებში „ვეფხისტყაოსანს“ უკვე არავინ ჩუქნის („მერსედესებს“ ჩუქნიან!) და პათეტიკურად, ყალბი ფალცეტიით შესძახებს: Витязь! Витязь! Дорогой! До того ли многим твоим землякам, чтоб что-то бесплатно собирать и хранить... მაღლობა

ლმერთს, რომ ყველანი არამზადები არა ვართ. კიდევ არიან ისეთები, უშურველად რომ ჩუქნიან და სტუმრებსაც უსასყიდლოდ მასპინძლობენ, თან არც მაღლობას ელიან მათგან

როგორ ხედავს ვ. ასტაფიევი ჩვენს ქალაქებს? აი, უახლოვდება ჩემს მშობლიურ ზუგდიდს და მოაქვს, ვითომდა ოთარის სიტყვები: Вот самый богатый город Грузии. Здесь можно купить машину, лекарство, самолет, автомат Калашникова, золотые зубы, диплом отличника русской школы и Московского университета, не знающего ни слова по-русски, да и по грузински тоже. იქნებ უბრალო ლაზლანდარობად მოგვეჩვენოს, მაგრამ უღირსი და შეურაცხყოფელია ეს ლაზლანდარობა, რაკი ავტორი ამაზე მეტს არაფერს ამბობს ქალაქზე. შეიძლება ვიკითხოთ, ვინ ყიდის ყოველივე ამას? ნუთუ მოსკოვის უნივერსიტეტი დიპლომებით ვაჭრობს? მე, ცხადია, ბევრი რამის თქმა შემიძლია მშობლიურ ქალაქზე, მაგრამ არ დავინყებ ღია კარის მტვრევას... რაც შეეხება სიმდიდრეს, ყველაფერი ხდება, მაგრამ მახსენდება რა მშვიერი ბავშვობა, უმამობა, თითქმის მათხოვრული სიყმანვილე, ასეთი „ხუმრობებით“ შეურაცხყოფენ. იცოდეს ამხანაგმა ასტაფიევმა, რომ არაერთი წიგნის პუბლიკაციის შემდეგაც სასახლეები ვერ ამიშენებია, „მერსედესებზე“ ვერ დავსეირნობ, თუმცა კი სტუმრის მიღებასა და გამასპინძლებას შევძლებ.

ზუგდიდიდან ავტორი ქუთაისისკენ მიემგზავრება. მის სხვა დროს მახვილ მზერას მუქი სათვალე ჩამოჰფარებია (ალბათ, შოვინისტური!); ქათმებს თურმე უფერული, უშნოდ გადმოგდებული ბიბილოები აქვთ, ინდაურებისა კი ჰგვანან პორჩენное мясо-ს, ბრონეული თურმე შავად დანახშირებულია, ავტორს ის აგონებს обнаженные цинготные десны, ძროხის ძუძუ ბავშვის მუშტისტოლაა, собака-овчарка в нашей местности куда крупнее, статней и сытей грузинских коров (საბრალო ძროხავ! გასათუთებელი, მოვლილი რუსული ძროხისაგან განსხვავებით შენი კუჭი ხომ ეკლებსაც იოლად ირგებს!); ნისლის მაგიერ ნავთობის ანაორთქლია; ველურები მოტოციკლებზე დაჯირითობენ (სხვათა შორის, ქართველებში მოტოციკლი ვერ სარგებლობს ეგ ზომი წარმატებით და ჩვენს გზებზე თუ ვინმე ჯგუფურად დაჯირითობს, ყოველ შემთხვევაში არა ადგილობრივი მცხოვრებნი !); შენიშნავს, რომ მანქანებზე აუცილებ-

ბლად ჰკიდია რეზინის მაიმუნები, იქვე, თავშეუკავებლად შეურაცხყოფს მისთვის სრულიად უცნობ ადამიანებს, რომელთა ასავალ-დასავალი არ იცის: обезьянный парад пресыщенного богатствами молодого поколения грузинского края და ა. შ. რატომ-ღაც იმერეთს გურიას უწოდებს და გვანდის ანეკდოტს, რომელსაც ნაფტალინის სუნი ასდის: колхоз такой хороший, а мы, грузини такие плохие, что друг другу не подходим. მოდით, ვიხითხითოთ!.. დაბოლოს, ქუთაისი!.. აქ უცებ გამოანათა. ვხვდებით, რისთვის გაგვასხენეს ზემომოყვანილი უკბილო ანეკდოტი: Дорогой Отар! Кутаиси – город такой богатый и такой роскошный, а мы, русские гости, такие бедные и неловкие, что друг-другу не подходим. ავტორის გაუთავებელი გამოხტომები სიმდიდრის თაობაზე უფრო შურიანობას მოგვავსებს, ალბათ, ლატაკნი რომ ვიყოთ, უფრო მონყალედ მოგვეპყრობოდა... ვთქვათ და ეს სიმდიდრე შრომითაა შექმნილი! მეორე მხრივ, სად დაინახა აქ ასტაფიევმა ვერსალი და ზამთრის სასახლე? მას რომ მოესურვებინა, იოლად გაიგებდა, დარწმუნებული ვარ, ამას ეტყოდნენ კიდევ, რომ ქუთაისი მეორე ინდუსტრიული ცენტრია რესპუბლიკისა და მცხოვრებთა დიდი ნაწილი მუშათა კლასია.

იმ შემთხვევაში, როცა ავტორს სურს შეგვაქოს, მას ეს ყალბად გამოუდის. აგერ ვითომდა ნამდვილი ქართველი ჩამოდის მთიდან, ჩამოაქვს ერთი ბლუჯა მწვანელი გასაყიდად, ლაყობს ბაზარში თავის ნაცნობ-მეგობრებთან, მწვანელში ცხვირჩარგული გამოიძინებს ლაზათიანად, მერე ამ მწვანელს თხას მიუგდებს და კმაყოფილი ბრუნდება უკან, ოცდაათ კილომეტრს იქით. რა გულისამაჩუყებელი სურათია! დახატო ბრიყვისა და უსაქმურის კარიკატურა და მერე თითი მიუშვირო, აი, კარგი ქართველიო. ყალბია ავტორის აღტაცებანი და ორი ქართველის ბობოქარი ძალისხმევა მღვრიე წყალში ციმორის ჭერის დროს, თუმცა თევზის ჭერა ავტორის უსაყვარლესი საქმეა და მეტი ოსტატობით უნდა დაენერა.

ერთადერთი, ავტორის აზრით დადებითი გმირი, რომელსაც მზადაა იატაკამდე თავი დაუკრას, „დიაღია ვასიაა“. ეს არის ერთი კეთილი და ჩურჩუტულად გულაჩუყებული ბერიკაცი, რომელიც რატომღაც გაჰყვირის, თხუთმეტი წელია სტუმარი არ მყოლიაო. ეგ კაი კაცი მთვარეზე ხომ არ ცხოვრობდა? მოდით, დავუჯეროთ

ავტორს, რომ ბერიკაცი კარგი ვინმეა, მაგრამ თავლში გოგირდის ჩანვეთების ლოგიკა აქაც მოქმედებს. ბერიკაცის სურათი საპატო დაფაზე ჰკიდია. Она, та доска, до сих пор висит возле шахтоуправления. Может забыли снять с неё карточки старого шахтера, может рука не поднимается это сделать, может, фанеры нет новую доску почта сделать. აბა, რა უნდა თქვას კაცმა? იქნებ ასტაფიევი ფიქრობს, რომ საპატო დაფებზე ჩვენ ახლა ბაზრის სპეკულიანტების სურათებს ვკიდებთ? ადამიანურად რატომ არ უნდა ეფიქრა, რომ ჩვენთანაც პატრივით ეპყრობიან მოხუც ვეტერანებს?

პირდაპირ ანეკდოტურია პერსონაჟების ენა. ყველა ქართველი თანაბრად ამახინჯებს რუსულს. კარგად ვიცი, რომ ყველა ერთნაირად როდია დაუფლებული რუსულს, მაგრამ ასე ლაპარაკი ჯღანაობაა და მეტი არაფერი.

დაბოლოს მინდა ვთქვა შემდეგი: დავუშვათ, რომ ყველა ეს ფაქტი ავტორმა თავისი თვალთ დაინახა და თავისი ყურით გაიგონა. დავუშვათ, რომ მოთხრობაში ცოტაა მონაგონი, ავტორისეული, აქ მხოლოდ შიშველი „სიმართლეებია“, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ცალკეული „სიმართლეები“, რომელთა უბრალო ჯამიდანაა გამოძერწილი ეს მოთხრობა, გადაიქცა ერთ უზარმაზარ, მახინჯ სიცრუედ საქართველოზე! გარეშე სიკეთის ძიებისა, ზედაპირული აღნუსხვით და ქილიკით, როცა არცკი ცდილობ სიღრმისეულ შრეებში ჩანვდომას, ჭეშმარიტებასთან მიახლოებას, თანაგრძნობისა და სიყვარულის გარეშე სიმართლეს ვერ დანერ, ამიტომაც ეს სიცრუეა!

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 8 იანვარი, 1982.

ფანტასტიკა, ფანტასტიკა...

თავიდანვე ვიტყვი, რომ ფანტასტიკაზე მსჯელობისას არ ვგულისხმობ ზღაპარსა და მითოსს, ხოლო სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრული ჩარჩოებით თუ შემოვიფარგლებით, მაშინ მისი ისტორია სულ რამდენიმე წინადადებით შეიძლება გადმოიცეს. იქნებ რაიმე გამომჩნეს, მაგრამ გარდაცვლილ ქართველ მწერალთა მხოლოდ ოთხ ფანტასტიკურ ნაწარმოებს ვიცნობ: ივ. ყიფიანის „ამონი, ანუ თბილისი 1000 წლის შემდეგ“, ალ. აბაშელის „ქალი სარკეში“, ლ. ქიაჩელის „ხეთიანის საიდუმლოება“ და ედ. ყიფიანის „დროთა კავშირი“.

დღესდღეობით სამეცნიერო-ფანტასტიკურ ჟანრში მუშაობენ აპოლონ ბასილაია (გამოსცა ოთხი წიგნი: „კოსმიური ბრძოლა“, „ჩვენი მისამართი“, „ბრძოლა კოსმოსში“, „ელვის ცისფერი გზები“), როდამ ჩაჩანიძე („ოთხსამეცხრე კვადრატი“, „ამიხოტის დაქცევა“), ელგუჯა მერაბიშვილი („დაკარგული ანდრომაქე“), შოთა გაგოშიძე („ცისფერი მნათობი ამირანი“), ნუგზარ აფხაზავა (გამოსცა სამი კრებული: „მოხეტიალე სკაფანდრები“, „შეხების წერტილი“, „მზის დესპანი“), ზურაბ რატიანმა და გურამ კაპანაძემ თითო ფანტასტიკური მოთხრობა გამოაქვეყნეს თავიანთ კრებულებში, ჯემალ ქარჩხაძემ და მორის მიშველაძემ ჟურნალ „ცისკარში“ (ჯემალ ქარჩხაძე თავის მოთხრობას „ფანტასტიკურ ლიმის“ უწოდებს), დაბოლოს, ზაალ ტაბალუამ და ირ. კინწურაშვილმა ჟურნალ „პიონერში“. ესაა და ეს.

აპოლონ ბასილაიას წიგნებზე მსჯელობა იქნებ დაგვიანებულ იქნა, რადგან მისი პირველი წიგნი „კოსმიური ბრძოლა“ გამოიცა 1950 წელს, ხოლო ბოლო წიგნი „ელვის ცისფერი გზები“ — 1969 წელს. ზედმეტად მკაცრი არ მინდა ვიყო, მაგრამ ნაწარმოებთა დონე შენიშვნების მიცემის ხალისს უკარგავს დაკვირვებულ მკითხველს. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შენიშვნებით ვერაფერს შეცვლი. მხატვრულად უსუსური და მდარე, ენობრივად დაუხვეწავი, ტრაფარეტული ფორმებით სავსე, გულუბრყვილო, მანამდე

ათასჯერ დამუშავებული სიუჟეტები, პერსონაჟთა მაგიერ რაღაც ლაქები, მეხსიერებაში წუთითაც რომ არ ყოვნდებიან... შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ ეს წიგნები ვერაფერი შენაძენია ლიტერატურისათვის.

როდამ ჩაჩანიძე კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. იგი მარინისტი მწერალია. მისი მოთხრობების თემატური არეალი მთელ დედამიწას მოიცავს, გმირები კი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან. ბუნებრივია, როდესაც მწერალმა სამეცნიერო-ფანტასტიკის ჟანრში სცადა ბედი, ისევ და ისევ ზღვას მიმართა. ვრცელ ფანტასტიკურ მოთხრობაში — „ამიხოტის დაქცევა“ ავტორი ეხება წყალქვეშა ცივილიზაციის პრობლემას, რაც, საერთოდ, ფანტასტთა ერთ-ერთი საყვარელი თემაა.

ატლანტის ოკეანეში, ნამიბიის ნაპირებთან თევზსაჭერი სეინერები ტრალეებს კარგავენ. მთავარი სამმართველო შემფოთებულია, საქმის გასარკვევად გზავნიან საკვლევ ხომალდ „გეოლოგს“. ერთ-ერთი სეინერის, „ივერიის“ კაპიტანი ნუგზარ რონდელი ინიშნება წყალქვეშელთა ჯგუფის ხელმძღვანელად. ოკეანის სიღრმეში უშვებენ ბატისკაფს, რომელშიც იმყოფებიან ნუგზარ რონდელი და მისი მეგობრები. უხილავი მტერი ბატისკაფის კაბელს გადაჭრის და ეკიპაჟი ამატების ქვეყანაში დატყვევებული აღმოჩნდება.

აქ უნდა დაიწყოს საინტერესო ამბავი წყალქვეშა ცივილიზაციაზე. აქამდე რაც იყო, ეს მხოლოდ ექსპოზიციას, რამაც დაახლოებით ოთხი თაბახის მოცულობის ტექსტი წაიღო. რატომ გავუსვით ხაზი თაბახთა რაოდენობას? (მოთხრობა მთლიანად დაახლოებით 16 თაბახია) საექსპოზიციო ნაწილში კარგად ჩანს ავტორის ცოდნა საზღვაო ხელოვნებისა. ამ ცოდნამ და გადამეტებულმა სურვილმა, რეალური გაეხადა ფონი, თხრობა ერთგვარად მოადუნა. ტექსტში ვხვდებით უფუნქციო ეპიზოდებს. ზოგჯერ მეორდება ერთი და იგივე... გემები მიდიან, კაპიტნები თათბირობენ, იმართება მსჯელობები, საიდანაც ახალს ვერაფერს ვგებულობთ... ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი ასეც ხდება, მაგრამ თხრობის დროს საჭიროა მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევა. ეს მეორეხარისხოვანი კი ტექსტს ადუნებს და ზრდის.

მაგრამ წინ მოგველის ფანტასტიკური სამყარო. ჩვენ აქ შევხვდებით მშვენიერ კადილას და ა. შ. სამწუხაროდ, წიგნში შემდგომ

მოთხრობილი თავგადასავლები გადაიქცევა ერთ მთლიან ექსკურსიად, როცა გვაცნობენ ამატელთა ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს. თხრობა ხანდახან თუ შელამაზდება სამიშროებით აღსავსე ფათერაკებით. მკითხველი მოელის, რომ ახლა მაინც დაიძაბება ვითარება, მაგრამ ამბავი ისევ ექსკურსიას ემსგავსება. უკეთესის მოლოდინი რომ მქონდა, ის მაღაპარაკებს, თორემ ეს ექსკურსიები თავისთავად უინტერესო როდია. საქმეს ისევ და ისევ, ერთი შეხედვით, წვრილმანები აფუჭებენ, თუმცა იმ ხუთ შენიშვნას, ახლა რომ ჩამოვწერ, არა მგონია მთლად წვრილმანი ენოდოს:

1. ნამიბია, მოგეხსენებათ, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაშია. მის ნაპირებთან, ოკეანის ფსკერზე არსებულ სამყაროში მცხოვრებმა კადილამ, ამატურის გარდა, იცის ინგლისური, ესპანური და ქართული ენები. ეს ხომ ფანტასტიკაა? — ნამოიძახებს ჩემი ოპონენტი. მე მგონია, ფანტასტიკური მასალის დამუშავების დროს რეალობის გრძნობა არამც და არამც არ უნდა დაგვარგოთ. თანამედროვე აფრიკაში, მთელ კონტინენტზე, ადგილობრივ მკვიდრთა შორის, ალბათ, ორი კაციც არ დაიძებნება ქართულის მცოდნე. გასაოცარი იმაში არაფერია, რომ, ვთქვათ, საგანგებოდ დაინტერესებულმა კადილამ ქართული ისწავლოს, გასაოცარია, რომ ამატების ქვეყანაში ქართულად სხვებიც მეტყველებენ. ამავე რანგისაა ძველი კოლხების ხომალდის პოვნა სამხრეთ ატლანტიკის ფსკერზე. აქ ავტორისეული ტენდენცია მეტისმეტად გამჭვირვალეა და მკითხველი ხვდება ავტორის სურვილს, ჭეშმარიტების საზიანოდ საგანგებოდ გააქართულოს ვითარება.

2. ამატები გარეგნობით არ გამოირჩევიან ხმელეთის ადამიანებისაგან (თითებს შორის აპკს თუ არ ჩავთვლით), ისეთივე მოჟუჟუნე თვალები აქვთ (ეს — ნყალქვეშ?) და სხვ. ამ შემთხვევაშიც რეალობას დაგვაშორა სურვილმა, ლამაზად წარმოგვედგინა თუნდაც იგივე კადილა. ნყალქვეშ არსებობას ზეგავლენა ხომ უნდა მოეხდინა ამატებზე. თუნდაც ის, რომ სინათლის ნაკლებობის პირობებში მათ დიდი თვალები ექნებოდათ... ათასი სხვა მსგავსი შესაძლებელი სხვაობა უნდა წარმოიდგინოს მწერალმა.

3. წიგნში ვხვდებით შეუსაბამოებს. 146-ე გვერდზე ავტორი გვიყვება კორიდის ამბავს, წიგნის ბოლოს კი გმირები ისე ლეებულობენ

კორიდას, თითქოს მისი არსებობა პირველად გაეგოთ. პარლამენტი აფეთქდაო, ადრე ვკითხულობთ, მერე აღმოჩნდება, რომ მხოლოდ ცეცხლი (?) ნაჰკიდებია.

4. მკითხველი ბოლომდე ვერ ხვდება, რას წარმოადგენს ამატების ცივილიზაცია სოციალურად, ვინ არიან ეს „ტერორისტები“ და რა არის „პარლამენტი“. ბოლოს და ბოლოს, ხმელეთელები ვის უნდა მიემხრონ? დონაკი, მინისტრი, სასტუმროს მფლობელია, ფაქტობრივად კაპიტალისტია, ხმელეთელებთან კონტაქტის მომხრეა. „ტერორისტები“, პირიქით, ხმელეთელთა ამოხოცვას ცდილობენ. ჩვენთვის კი მაინც გაუგებარი რჩება, რა შინაგანმა წყლულმა დააქცია ამიხოტი და ვის მიუძღვის ამაში ბრალი, „პარლამენტს“ თუ „ტერორისტებს“.

5. ძირითადი ნაკლი მაინც კონცეფციური ხასიათისაა. ამატების ქვეყანა ეპიგონების ქვეყანა გახლავთ. იგი თუმცა გამოგონილია, მაგრამ ავტორმა მისი არსებობის საჭიროებაც უნდა დაგვისაბუთოს. ამატები დღენიადაგ იმაზე ზრუნავენ, ხმელეთის ადამიანებად გადაიქცნენ. ისინი თავიანთ ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას ხმელეთის ცივილიზაციას ამსგავსებენ. აქედანაა ხმელეთელ ტყვეთა დაუსრულებელი აღტაცებანი. აქ ყველაფერი „ჩვენებურადაა“, მკითხველს კი უფრო ის აინტერესებს, რა არ არის „ჩვენებურად“. ყმანვილი ამატები ფილტვების ოპერაციასაც კი იკეთებენ. ალბათ მალე ყველა ამატი ხმელეთზე გადაბარგდება და ამატების კვალიც კი გაქრება. იქნებ ავტორს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში: ამატების ცივილიზაცია მიმბაძველების ცივილიზაციაა და იმიტომაც დაიღუპაო. მაშინ ამ კონცეფციას უფრო ნათელი გამოკვეთა სჭირდება.

აქ მე უფრო ნაკლზე გავამახვილე ყურადღება. რაღა თქმა უნდა, წიგნს თავისი ღირსებებიცა აქვს. სხვა რომ არ იყოს რა, ეს არის ცდა, გვაზიარონ სრულიად უცნობ სამყაროს... პირველად დაინერა ფანტასტიკური მოთხრობა, რომელიც გვახედებს ქართული მწერლობის გარეთ დარჩენილ ტერა-ინკოგნიტაში, რითაც ხარვეზი ერთგვარად ივსება, თანაც ყველაფერი შედარებითია და ქართულად დაწერილი ფანტასტიკური წიგნების ფონზე „ამიხოტის დაქცევა“ გაცილებით უკეთ გამოიყურება.

ელგუჯა მერაბიშვილის „დაკარგული ანდრომაქე“ 1978 წელს გამოიცა. წიგნში სულ 6 მოთხრობაა შეტანილი. ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ ეს მოთხრობები თავისებურად ეხმაურება სადღესო კაცობრიობის წინაშე წამოჭრილ აქტუალურ პრობლემებს: გარემოს დაცვას, მშვიდობას, ხალხთა მეგობრობასა და ურთიერთდახმარებას. წიგნში ნაჩვენებია, სადამდე შეიძლება მიიყვანოს კაცობრიობა გამალბებულმა შეიარაღებამ, როგორ უნდა გაუფრთხილდნენ ადამიანები დედამიწის უდიდეს საოცრებას — სიცოცხლეს, ერთმანეთს, ჩვენს პატარა, ლამაზ, მყუდრო პლანეტას. ყველაფერი სწორია, ოღონდ მთავარი ისაა, როგორაა განხორციელებული ეს განაცხადი.

„დაკარგული ანდრომაქეს“ ერთ-ერთ პერსონაჟს, 15 წლის გუზანს ტოვებენ ასტეროიდ 9072-ზე. მარტო დარჩენილ ბიჭთან მუდმივი კავშირი აქვს კოსმოსურ ხომალდ „ასტრას“. გუზანი მოულოდნელად იუპიტერის მიდამოებიდან უცნაურ გადაცემას იჭერს. ქალის ხმა განუწყვეტილად იმეორებს: „მე ანდრომაქე ვარ... მშვენიერი ანდრომაქე... იუპიტერიდან... მაგრამ ჰექტორის მეუღლე (?) კი არა, სხვა ვარ, უფრო ნორჩი...“ და ა. შ. „ასტრას“ ეკიპაჟიც გაოცებულია. ისინი ბრუნდებიან გუზანთან, არკვევენ, თუ საიდანაა გადაცემა. სადღაც კოსმოსში მარტოდ დარჩენილ ანდრომაქეს თურმე ფილტვების ბაროტრავმა დამართნია და საჭიროა მისი გადარჩენა. ეკიპაჟი კამათობს, ღირს თუ არა ქალიშვილის გადასარჩენად გაფრენა. „ასტრას“ მეთაური, რომელიც აქამდე უსმენდა ამ კამათს, უცებ აცხადებს, ანდრომაქე ადამიანი კი არა, კიბორგიაო. ეს დალოცვილი აქამდე რატომ სდუმდა? მაგრამ მაინც ვიკითხოთ, რა არის კიბორგი? ის „დასავლეთის ტვინიკოსების“ ნაცოდვილარია, ტექნიკისა და მეცნიერების, ასე ვთქვათ, ერთობლივი მიღწევა. კიბორგი — კიბერნეტიკულ-ბიოლოგიური ორგანიზმი, ნახევრად ავტომატი, ნახევრად ადამიანია. გულიც, სისხლძარღვებიც და აუცილებელი შინაგანი ორგანოებიც ხელოვნური აქვს, მხოლოდ სისხლი და ტვინი აქვს ადამიანისა.

ამას თუ „ტვინიკოსების ნაცოდვილარი“ ჰქვია, მაშინ რა დონეზეა თვით „ასტრას“ ეკიპაჟი, რომლის წევრთა პრიმიტიული მსჯელობანი მართლაც გასაოცარია. ამ ამონაწერშიც ადვილი შესამჩნევია, რომ მოთხრობას საფუძვლად ყირაზე დაყენებული კონცეფ-

ცია უდევს. ავტორს ავინყდება, რომ ადამიანი სწორედ „ტვინითა“ ადამიანი, ხოლო გულის, სისხლძარღვებისა და შინაგანი ორგანოების ხელოვნურობა არაფერს არ ცვლის. პირიქით რომ ყოფილიყო, ადამიანის თავის ქალაში ტვინის ნაცვლად გამომთვლელი მანქანა რომ ჩაგვედო, მაშინ ეს კიბორგი უბრალოდ გვამი იქნებოდა და იქნებ აუცილებელი აღარც ყოფილიყო მისი გადარჩენა, თორემ ცოცხალი, მოაზროვნე არსების კოსმოსში მიტოვება ფანტასტიკურ მოთხრობასაც არ ეპატიება.

ამ მცდარ ჩანაფიქრს ფორმაც უილაჯო აქვს დაძებნილი. მხოლოდ გაცემას ინვესტ მოთხრობის გმირების ცოდნის დონე. ისინი ერთმანეთს უხსნიან ისეთ ელემენტარულ სამეცნიერო მოვლენებს, რაც მომავლისა კი არა, დღევანდელმა ბავშვმაც კი იცის. ავტორს ავინყდება, რომელ ეპოქაზეა საუბარი, თორემ ასე არ ახსნიდა გუზანის ასტეროიდზე დატოვების მიზეზს.

„უფრო მეტიც, საფრთხეშია ჩვეულებრივი კი არა, ერთადერთი ადამიანი, რომლის ჯანმრთელად დაბრუნებას მოუთმენლად მოელის მთელი მსოფლიო: საფრთხეშია კოსმოსური ფარმაკოლოგიის უდიდესი მონაპოვარი, ჩვენი მეცნიერი ექიმების თავდადებული შრომის ნაყოფი... მე იმ ადამიანთა ბედი მანუხებს, სისხლის ცირკულაციის დარღვევებით, ძვალ-კუნთოვანი სისტემის მძიმე მოშლილობით და სხვა უკურნებელი სენით დაავადებულები მხსნელ მესიასავით რომ მოელიან უწონობის პირობებში მკურნალობას...“

აქ არა თუ მომავალი, დღევანდელი მედიცინის დონეც კი არაა გათვალისწინებული და, საერთოდ, რა კავშირი აქვს ასტეროიდზე ავადმყოფი ბავშვის მარტოდ დატოვებას და ფარმაკოლოგიას.

„ადამიანმა გაქცევის სიჩქარე მიიღო...“ „სადღაც პნევმატიკაში მიიღია...“ „550 მილიონი კილომეტრის სიგანის სივრცე...“ (თითქოს სივრცე რამეთი იყოს შემოსაზღვრული), „გამორთეთ გამაგრებელი სისტემა...“ (ასეთ ხომალდზე ნუთუ ტემპერატურის ავტომატური სისტემა არ არსებობდა?), ბურთი „ბუმბულივით დაფარფატებს ჰაერში...“

მრავალი ასეთი უხერხული გამოთქმის ამონერა შეიძლებოდა, მაგრამ არ ღირს.

სხვა მოთხრობების ჩანაფიქრი არცთუ ურიგოა:

1. „როდნა“ ატომურ ომში დაღუპული პლანეტაა, რომლის ნამსხვრევებში ჩაშენებულია თავშესაფრები, სადაც ანაბიოზში სძინავთ ბავშვებს. ოდესმე პლანეტა მარსი სათანადოდ იქნება შემზადებული, ეს ბავშვები იქ დასახლდებიან და საფუძველი დაედება ახალ ცივილიზაციას. ოღონდაც, სივრცეში მარსის ორბიტასთან ჯუჯა ვარსკვლავის არსებობა არარეალური ჩანს.

2. „თეთრი უსასრულობა“ ქვეთავებადაა დაყოფილი. პირველს ჰქვია „დიდი მუნჯი“. ასე ეძახიან შავ ხვრელს, სადაც კოსმოსურმა ხომალდმა „ომიქრონი“ უნდა გადაყაროს ატომური ბომბები, მაგრამ თვითონ აღმოჩნდება „შავი ხვრელის“ გრავიტაციის ტყვეობაში. ალან კოლხი გადანყვეტს თავი განიროს და „ომიქრონი“ გადაარჩინოს.

3. „ჩემი ვარსკვლავი“ პოეტური მოთხრობაა კოსმოსურ ცივილიზაციათა ურთიერთობაზე.

4. „მეა“ ყვავილია, რომელიც ელდისაგან კვდება.

5. „აიას მძივი“ კვლავ უცხო ცივილიზაციასთან კონტაქტის პრობლემას გვიხატავს.

ეს მოთხრობები, როგორც აღვნიშნე, მეტ-ნაკლებად საინტერესოა ჩაფიქრებული, მაგრამ ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელება მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს.

საგანგებოდ მიხედოდა შევხებოდი საკუთარ სახელებს (ეს შენიშვნა სხვა ფანტასტიკურ მწერლებსაც ეხება): გუზან ვარძიელი, არზდეიკი, გორდა გომარელი (გორდეი), ალან კოლხი, დოლი კეზელი, ვილენ მესხი... ამ პრეტენზიული ფსევდონიმებით — „ვარძიელი“, „კოლხი“, „მესხი“... საგანგებოდ ხაზგასმულია გამირთა ქართული წარმომავლობა. ასეთი გვარებით, ან იმით, რომ დედამიწაზე ყოფნისას ისინი თბილისში ჩამოისეირნებენ, სუსტი ფანტასტიკური მოთხრობის პერსონაჟი ვერ გაქართველდება.

შოთა გაგოშიძის წიგნი „ცისფერი მნათობი ამირანი“ იხსნება ამავე სახელწოდების მოთხრობით. ავტორს ამირანის თქმულება აუღია და მისი სიუჟეტის ფანტასტიკურ ახსნას ცდილობს. დალი, მაგალითად, გახლავთ უცხო პლანეტიდან ჩამოსული ფეხმძივე ქალი, რომელსაც უჩნდება ამირანი, ყამარი ამ უცხო პლანეტის სახელწოდებაა, ამირანის სატრფოც გახლავთ და ა. შ. რადგან ამირანი უცხო წარმომავლობისა ყოფილა, იგი, ბუნებრივია, მიემგზავრება

თავის პლანეტაზე. „მე თქვენი ტომისა ვარ, თქვენთან ერთად უნდა გავემურო ნამდვილ სამშობლოში. ასე არ არის?“ — მიმართავს იგი ყამარელებს. მაგრამ, ეტყობა, იფიქრა, უმადურობა არ გამოძვიდესო, ავტორს კი ამირანი დადებით პიროვნებად სურს წარმოსახოს. ამიტომ ცოტას მაინც აყოყმანებს: „ასე წამოსვლა არ შემოიძლია. ერთხელ კიდე უნდა ვნახო ჩემიანები, გამოვემშვიდობო“. „რა საჭიროა? — მიუგებენ უცხოპლანეტელები. — შენ არა ხარ ვალდებული მათ ანგარიში ჩააბარო. ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან ისინი შენთვის. სრულიად უცხონი“. „რას ნიშნავს, რომ ყამარელები დედამიწის ადამიანებს ახლოს არ იცნობენ! მხოლოდ რაღაც ჩამორჩენილ არსებებად თვლიან მათ. ის კი არ იციან, თუ როგორი მგრძნობიარე გული და ფაქიზი გრძნობები გააჩნიათ (?)“.

დეტალებზე სიტყვას არ გავაგრძელებ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამირანის თქმულების ამგვარმა გადამუშავებამ ორი უხერხულობა გამოიწვია. ჯერ ერთი, ვეფხისტყაოსნის მსგავსად, ამირანის თქმულება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენია. ამ თემაზე მუშაობის დროს უდიდესი სიფრთხილე გვმართებს. ნუთუ არ გვეუხერხულება, როცა თქმულების პერსონაჟებს წარმოვადგენთ პრიმიტიულ აბორიგენებად (უცხოპლანეტელებთან შედარებით), ხოლო ამირანს, ქართველთა სათაყვანებელ გამირთავმირს თუ რამ სასიკეთო აქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის „უცხოპლანეტელია“. მეორე უხერხულობა იქმნება თვითონ მწერლისათვის. თქმულების სიუჟეტი მას აიძულებს მთელი მოთხრობა წინასწარ ნაცნობ ჩარჩოში მოაქციოს. ამ შემთხვევაში, ცხადია, იკარგება მოულოდნელობის ეფექტი, რაც ამ ჟანრის ნაწარმოებისათვის აუცილებელია.

ავტორი ყოველივე ამით არ კმაყოფილდება. იგი გვთავაზობს, მაგალითად, აიეტისა და იაზონის „ღრმაშინაარსიან“ საუბარს სამყაროს აგებულებაზე. ბრძენი აიეტი იაზონს ატომისტურ თეორიას უხსნის:

„ავილოთ, ვთქვათ, ეს პატარა ჩხირი და შუაზე გავყოთ. მიღებული ნატეხი კვლავ ორად დავანაწილოთ და ასე მრავალგზის ვიმოქმედოთ... ბოლოს მივიღებთ ისეთი უმცირესი ზომის ერთეულს, რომლის გახლეჩა უკვე არავითარ ძალას არ შეეძლება. ის იქნება ხილული საგნების ყველაზე უმცირესი ნაწილაკი. შემახსენე, იაზონ,

როგორ გამოითქმის ბერძნულად „განუყოფელი“? — „ატომოს!“ — პასუხობს იაზონი. თავი დავანებოთ ამ დიალოგის საერთო უხერხულობას. ატომის თეორია ხომ საბერძნეთიდან მოვიდა ჩვენთან და თუ საქმე ატომისტური თეორიის სწავლებაზე მიდგებოდა, იაზონს უნდა ესწავლებინა აიეტისათვის. ამას თუნდაც ის მონშობს, რომ იაზონი შეახსენებს აიეტს ცნების გამომხატველ ტერმინს.

ნიგნში წარმოდგენილი თითქმის ყველა დანარჩენი მოთხრობის გმირი გახლავთ კოსმონავტი გივი ოძელი.

„ხმა მომავლიდან“, — გივი ოძელი და პროფესორი ლეონიდ მიტაი მიფრინავენ პლანეტა გაგარინზე. იქ მომავლის ადამიანებს თავიანთი წინაპრებისათვის ბარათი გადაუგზავნიან;

„ჯადოსნური ბგერები“, — გივი ოძელი ბეთჰოვენის გმირული სიმფონიის მეშვეობით ამყარებს კონტაქტს უცხოპლანეტელებთან. მოთხრობაში მუსიკაზე ასეთი მსჯელობაა: „ამ მხრივ ფრიად კოლორიტულია ჯეკ ლონდონის ერთ-ერთი რომანის გმირი მარტინ იდენი, რომელმაც როდესაც თავის სიცოცხლეში პირველად მოისმინა პიანისტის დაკვრა, მასზე ისეთი დიდი ზეგავლენა მოახდინა, რომ ასოციაციათა მთელი წყება აღეძრა...“

„ერთი მინის შვილები“, — სადღაც კოსმოსურ სივრცეში სხვადასხვა ცივილიზაციების წარგზავნილი ვარსკვლავმფრენები გადაეყრებიან ერთმანეთს. კოსმონავტები თითო თავგადასავალს ყვებიან, რომელთა შინაარსი იქნებ უინტერსო არ იყოს, სტილი რომ არა. კოსმონავტები ასე მიმართავენ ერთმანეთს: „ო, ძმანო, იცოდეთ, რომ ჩვენი მეტაგალაქტიკის შორეულ საზღვარზე ბინადრობს მეტად უცნაური ხალხი, რომლებიც თავის თავს ატლანტებს უწოდებენ...“

ნუგზარ აფხაზავამ ფანტასტიკური მოთხრობების პირველი კრებული — „მოხეტიალე სკაფანდრები“ 1975 წელს გამოსცა. კრებულში წარმოდგენილი მოთხრობები საინტერესოდ იკითხება. საინტერესოდ მოვიყვან ორ მაგალითს:

„ისტორიკოს ასარიტას შეგონება“ — მოთხრობის მთავარი გმირი „ცერბერი“ პლანეტის ყველაზე დიდი, ყველაზე ინტელექტუალური, ყველაზე შრომისუნარიანი „ხელოვნური ტვინი“ გახლდათ. მრავალი წელი მოანდომეს მის აგებას. სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მდგომმა ავანტიურისტებმა გადაწყვიტეს „ცერ-

ბერის“ კოლოსალური ინტელექტი მსოფლიოს დასაპყრობად გამოიყენონ. „ხელოვნურ ტვინში“ ჩაინერა კიდეც ახალი ომის დანყებისა და გამარჯვებამდე მიყვანის პროგრამა, მაგრამ „ცერბერმა“ უკანასკნელად ისტორიკოს ასარიტასაგან სიმართლე მოისმინა და როცა მიხვდა, რისთვისაც იყო შექმნილი, თვითგანადგურება ამჯობინა.

მოთხრობაში „დაე, ინათოს“ გადმოცემულია პლანეტა მეირის ამბავი. თურმე მზე თითქმის ჩაქრა და პლანეტა ყინულით დაიფარა. ცივილიზაცია მინისქვეშ გადასახლდა. და, აი, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს მზის კვლავ ანთება. კონსერვატორთა წინააღმდეგობის მიუხედავად მათ მოახერხეს ჩაბნელებული მნათობისაკენ რაკეტების გაგზავნა და აფეთქებებით მისი გაღვიძება.

„მოხეტიალე სკაფანდრები“: კოსმოსში ოდესღაც დაღუპულ კოსმონავტებს კვლავ აცოცხლებენ. მრავალი მათგანი ამ ახალ სამყაროშიც ისეთივე გმირი რჩება, როგორც იყო ადრე.

შინაარსების მოკლე გადმოცემა, ცხადია, სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის მოთხრობების შესახებ, მაგრამ ჩანაფიქრის ხასიათს მაინც ცხადყოფს. აქვე შევნიშნავდი, რომ ამ მოთხრობებს სტილის თვალსაზრისით დახვეწა ესაჭიროებათ.

მწერლის მეორე კრებული „შეხების წერტილი“ 1976 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“. ეს ნიგნი ერთგვარად წინგადადგმული ნაბიჯი ჩანს. მასში შეტანილი ფანტასტიკური მოთხრობები გამოირჩევა სისადავით, გამჭვირვალეობით, კარგად გამართული სიუჟეტით.

ნუგზარ აფხაზავას ორ პირველ ნიგნში დაბეჭდილია ცალკეული თავები ციკლიდან, რომელიც ეძღვნება ვარსკვლავმფრენ იახტა „ფარნავაზზე“ მოგზაურობის დროს ასტრონავტ უტა ფაზიას უჩვეულო ფათერაკებს. ამ ციკლს მთლიანად ეძღვნება მწერლის მესამე ნიგნი „მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა“. ეს ციკლი მოზარდთათვისაა განკუთვნილი. ამან ერთგვარი დიდაქტიკური ხასიათი მისცა მას. ავტორი ხანდახან ცდილობს ასწავლოს, განუმარტოს მკითხველს, ეს კი ამბის სწრაფ და ექსპრესიულ განვითარებას ხელს უშლის. ცნობილია, რომ მოზარდს ისევე უნდა ვესაუბროთ, როგორც დიდს, ოღონდ ცოტა უკეთესადაც. ეს ნაკლი

ერთგვარად ჩრდილავს ციკლის გარკვეულ ღირსებებს და მაინც მასში მოთხრობილი ამბები ქკუისსასწავლი და საინტერესოა. ისინი ეხება უცხოპლანეტელებთან ურთიერთობას, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, უჩვეულო სამეცნიერო იდეებს, ეთიკის პრობლემებს. დასკვნა კი ერთია: ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს და რა ვითარებაშიც უნდა ჩავარდეს, ყველგან მაღალზნეობრივ ადამიანად უნდა დარჩეს. ასეთები არიან ციკლის მთავარი გმირები უცა ფაზია და ხათუნა ხავთასი.

უცა ფაზიას ციკლიდან საგანგებოდ გამოვარჩევდი მოთხრობას „კათარზისი“. მისი დედააზრი ბოლო ფრაზაშია გატანილი: „ადამიანებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს! გიყვარდეთ ერთმანეთი!..“ პლანეტა ვაიდაზე არ იციან ურთიერთთანაგრძობის, ურთიერთდახმარების, სიკეთის დიადი ძალა. ვაიდელეები უდიდესი გაჭირვების ჟამსაც ერთმანეთს ხელს არ გაუწვდიან. და, აი, ხათუნას პირადმა მაგალითმა, თავგანწირვამ ვაიდელეებს ასწავლა ადამიანური სიკეთის ფასი. ამიერიდან ვაიდელეებს ზნეობრივ კოდ-ექსში უერთიერთსიყვარული და თანაგრძობა უწერიათ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთგვარი გულდასაწყვეტი დასკვნა გამომდინარეობს: თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა დაბალი დონისაა. მას მძიმე ლიტერატურული სენი მორევია, დაწყებული ეპიგონობიდან, დამთავრებული სტილისტური ლაფსუსებითა და კონცეფციური შეუსაბამოებებით. მიუხედავად ამისა, ის თითო-ოროლა ნაწარმოები მაინც გვაფიქრებინებს: შესაძლებელია შეიქმნას ორიგინალური ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა და ჩვენმა მწერლობამ ამ შესაძლებლობას ხორცი უნდა შეასხას.

ღვინია გადაიჩეხა?

სათქმელი დამიგროვდა, მაგრამ აქამდე თავს ვიკავებდი. ოთარ ჩხეიძის მშვენიერი შარჟი ჩემთვის მხოლოდ საბაბია, მან გამაბედვინა აზრი გამომეთქვა პრობლემაზე. ვფიქრობ, ამით ოდნავადაც არ ვუპირისპირდები პატივცემული მწერლის პოზიციას. რა თქმა უნდა, სუბიექტურობას ვერ ავცდები, რადგანაც საკუთარი ლიტერატურული მრწამსი ხელს შემიშლის ბოლომდე ობიექტური ვიყო. ანდა ვინ უნდა იყოს ისეთი თვითდაჯერებული ლიტერატორი, ვისაც ეგზომ რთული საკითხების განხილვისას აბსოლუტური ობიექტურობით შეუძლია ყოველივეს თავისი ადგილი მიუჩინოს, მეცნიერული სკრუპულოზურობით დააღაგოს. ჩემი სათქმელი სამ ნაწილად დავყავი და მიინდა სათითაოდ განვიხილო:

1. პატივცემული ოთარ ჩხეიძის ხუმრობას სიმწარე ახლავს. მისი სატირული ისრები მიმართულია იმ კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების წინააღმდეგ, ვინაც ყოველ უწყინარ მხატვრულ ტექსტში მითოსის აღმოჩენას ცდილობენ. არიან, რა თქმა უნდა, ასეთი ლიტერატორებიც. მეორე მხრივ, თუ ხუმრობას თავს დავანებებთ და საკითხს სერიოზულად ჩავუღრმავდებით, თემა „მითოსი და ქართული ლიტერატურა“ იქნებ არც იმდენად სასაცილო აღმოჩნდეს. ვგულისხმობ მთლიანად ქართულ ლიტერატურას, ძველიდან მოყოლებულს. ვინმემ საფუძვლიანად შეისწავლა ეს საკითხი? ზუსტად ვიცით თუ არა, რანაირ ზეგავლენას ახდენდა მითიური წარმოდგენები ლიტერატურაზე? ანდა ლიტერატურამ როგორ და რა ფორმებით შემოგვინახა მითიური წარმოდგენები? ან რა დოზებითა გვაქვს ქართულ-წარმართული, ბიბლიური, ძველბერძნული, ძველი აღმოსავლეთის და ა. შ. მითოსის შრეები? (ბიბლიური ტექსტებისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხთა მითოსის ურთიერთმიმართება ამასწინათ შესანიშნავად წარმოგვიჩინა რევაზ თვარაძემ ჟურნალ „ცისკარში“). ამის სპეციალისტი მე არ გახლავართ და პასუხის გაცემას ჩემს თავზე არ ავიღებ, მაგრამ, ხომ საინტერესოა, მაგალითად, ვეფხისტყაოსანში ქაჯებთ-

ან დაკავშირებული ამბები: „ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“ — კითხულობს ავთანდილი. მართალია, იქვე ფატმანი არწმუნებს, „არ ქაჯნია, კაცნიაო“, მაგრამ ავთანდილის წარმოდგენა, რომ ქაჯი უხორცოა, აპრიორი მითოსის ანარეკლია. თანაც ეს ხორციელი ქაჯნი თურმე „ქართა აღსძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხოვენ, ვითა ხმელსა გაირბენენ წყალსა, წმიდად დააშრობენ, სწადდეს — დღესა ბნელად იქმან, სწადდეს — ბნელსა ანათობენ“. ცხადია, ყოველივე ამას ხორციელი კაცნი ვერ მოიმოქმედებდნენ... ამ თვალსაზრისით უამრავ მასალას იძლევა მე-19 საუკუნის ლიტერატურა, განსაკუთრებით ვაჟას შემოქმედება. ხაზგასასმელია, რომ მითიური ელემენტები ამ ნაწარმოებთა რეალისტურ ფლერადობას არათუ ანელებენ, პირიქით, ამძაფრებენ... მე-20 საუკუნის მწერლებიდან კი ყველაზე უხვად და წარმატებით მითოსს იყენებდნენ კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია და სხვ. თვალში საცემია ერთი რამ, ძირითადად მითიურ ელემენტებს დასავლეთის რეგიონიდან წამოსული მწერლები მიმართავდნენ. ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რაზეც ქვემოთ შევჩერდები. ასეა თუ ისე, ამ მიმართულებით ლიტერატურათმცოდნეთა კვლევა გამართლებულად მიმაჩნია და „ღვინია გადაიჩეხასა“ და „მაგდანას ლურჯას“ გარდა დაიძებნება არაერთი ნაწარმოები, რომელთა ანალიზის დროს მითიურის უგულებელყოფა შეუძლებელია.

ჩვენი კრიტიკა, და არა მარტო ჩვენი, ორგვარად უყურებს ამ პრობლემას. თუ, მაგალითად, კრიტიკოსი ლიტერატურაში მითიურის მომხრეა, ან აშკარა მოწინააღმდეგეა (ცნობილი კრიტიკოსის ნამოძახილი გავიხსენოთ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ — ბელეტრისტიკა მომენატრაო!), მაშინ ყველაფერი ნათელია, მაგრამ ხანდახან ერთსა და იმავე კრიტიკოსს სრულიად ურთიერთსაპირისპირო მიმართება აქვს საკითხისადმი. ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე დაინერა არაერთი წერილი, გამოითქვა თვალსაზრისი, რომლის თანახმად მითიურის გამოყენება პრესტიჟულიც კი ყოფილა. რატომღაც წმინდა რეალისტურ ნაწარმოებებშიც („ღვინია გადაიჩეხასა“ არ იყოს) მოიძიეს მითიური და ისეთი მწერლების სახელებიც შევიდა ამ სიაში, ვისაც არც უფიქრია მსგავსი რამ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბრჭყვიალა ეპოლეტები არავის არაფერ-

სა სძენს, რადგან თავისთავად მითიურის ხმარებას ოდნავადაც არ მოაქვს წარმატება ნაწარმოებისათვის. მაგრამ, ეტყობა, აქ უფრო პირველად მომჩინის როლის განაწილებაზეა ლაპარაკი. ლიტერატურულ სინამდვილეში მოინიშნა თუ სიახლე არა, სიახლისმაგვარი რაღაც და იმნამსვე კრიტიკამ არცთუ მართალი ინდულგენციები ჩამოარიგა. ამ მედალს მეორე მხარეცა აქვს, პარალელურად დატრიალდა აზრი, რომ ყველაფერი ეს მოდურია, უცხოა, არაჩვენებურია და ამიტომ ლიტერატურას საფრთხეს უქმნისო. სწორედ აქაა წინააღმდეგობა. თუ მოდურია, უცხოა, მაშინ ამის შემომღებს მედლებს რაზე ვკიდებთ, ამ მოდურის დამწყების როლი რა ხერის გვაძლევს, თუ ღირებულია, მაშინ როგორ არის მოდური, უცხოური და ა. შ.

ვითომ მართლაც მოდურ გატაცებაზე და უცხოურ ზეგავლენაზეა ლაპარაკი? წინასწარ მინდა ერთი რამ განვმარტო. ტერმინი „მოდერნიზმი“ უამრავ, ხშირად საპირისპირო მოვლენას მოიცავს. რაც შეეხება ბოლო დროს მომძლავრებულ მითიურ-ფანტასტიკურ, მაგიურ-ჯადოსნურ ტენდენციებს, ეტყობა ესენი იმდენად უშუალოდ ჯოისიდან არ მომდინარეობენ, რამდენადაც ევროპაში თომას მანის, ჰერმან ჰესეს და სხვათა შემოქმედებიდან, ევროპის გარეთ კი ლათინური ამერიკის „ახალი რომანიდან“. ამ უკანასკნელმა მართლაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ბოლო ათწლეულის მსოფლიო ლიტერატურაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სადაც კი მითოსი გაიჭაჭანებს, „ახალი რომანის“ დამსახურება იყოს. ლატვიელი ჰარი ჰირში აღმანახ „კრიტიკაში“ (4) წერს: „მითიური რომანი, რასაკვირველია, ო. ჭილაძეს არ გამოუგონია, მაგრამ უშუალო გავლენებზეც, ალბათ, უსაფუძვლოა ლაპარაკი, რადგანაც, როდესაც ის თავის ნაწარმოებებზე მუშაობდა, ამჟამად ჩვენთან ესოდენ პოპულარული ლათინურ-ამერიკელი პროზაიკოსების თარგმნა ის-ის იყო დაიწყეს“. თვითონ „ახალი რომანი“ ერთ დღეში არ შექმნილა. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მოღვაწეობდნენ სრულიად განსხვავებული მწერლები (ასტურისის პირველი რომანები ოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა). 50—60-იან წლებში იქმნებოდა ალექსო კარპენტერის, ხუან რულფოს, მარიო ვარგას ლიოსას, ხულიო კორტასარის, როა ბასტოსის და სხვათა რომანები. მაგრამ მსოფლიომ ისინი მხოლოდ მას შემდეგ აღმოაჩინ-

ნა, როდესაც 1967 წელს ბუენოს-აირესში გამოვიდა მარკესის „მარტოობის ასი წელი“ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ავტორებმა განიცადეს ევროპული, განსაკუთრებით ფრანგული ლიტერატურის გავლენა). ამის შემდეგ იწყება ჭეშმარიტი ბუმი, ოღონდ იმ ლიტერატურული მღელვარების მცირე გამოძახილია თუ აღწევდა საქართველომდე. 70-იან წლებში, როცა „ახალმა რომანმა“ თავის მწვერვალს მიაღწია, ჩვენ მხოლოდ მისი ადრეული ნიმუშების გაცნობა შეგვეძლო, ისიც რაღაც ფრაგმენტულად, თითო-ორო-ლა, საერთო ნაკადიდან ამოვარდნილი ნაწარმოების სახით (მაგალითად, როა ბასტოსის რომანი „ძე კაცისა“ რუსულად გამოიცა როგორც საყმანვილო-სათავგადასავლო წიგნი). ამ დროს კი ჩვენთან უკვე იქმნებოდა ან შექმნილი იყო ნაწარმოებები, რომელთა ავტორებს დღეს შეიძლება მოდით გატაცება დაბრალდეს... ეს მხოლოდ ქართულ ლიტერატურას როდი ეხება...

და მაინც, იყო თუ არა რაიმე ზეგავლენა? ჰარი ჰირშს ზემოდასახელებულ წერილში მოყავს ოთარ ჭილაძის ნათქვამი: „მიბაძვა სახეზე ტოვებს კვალს, ზეგავლენა — სულში. იგი ამდიდრებს სულს“. დღეს არ არსებობს იზოლირებული ლიტერატურა, მხოლოდ საკუთარ ქურაში რომ იწვის, მარტო საკუთარ მიღწევებს რომ ჯერდება. აღმოჩენა ერთ დღეს არ ხდება. ლიტერატურაში კი იგი უფრო ძნელიცაა, ვიდრე მეცნიერებაში. რომანის განვითარების გზაზე იქმნებოდა ახალ-ახალი ფორმები. ისინი სხვადასხვა ლიტერატურებში იპყრობდნენ სივრცეს. ყოველგვარი ზეგავლენის უარყოფა აბსურდამდე დაგვიყვანდა. თვით რომანის ჟანრიც კი თავის დროზე სხვა ლიტერატურებიდან შემოვიდა. ის ფორმისმიერი მიღწევები, რასაც მსოფლიო მწერლობა დაეუფლა, ურთიერთგაცვლის შედეგია. ფორმის ძიება რთული პროცესია. ხანდახან რომელიმე ლიტერატურა ახერხებდა ახალი კუთხის წარმოჩენას ამ რთულ გზაზე. მაშინ სხვა ლიტერატურები ითვისებდნენ მას და ეს არასოდეს ნიშნავდა ეროვნულის უარყოფას. ამას რომ ვამბობ, მაინც მაეჭვებს სიტყვა „ზეგავლენა“ ისე, როგორც ზოგიერთ კრიტიკოსს ესმის. საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში მითიურსა და ფანტასტიკურს მიმართა მრავალმა სახელგანთქმულმა მწერალმა. სამაგალითოდ თუნდაც ჩინგიზ აითმათოვის რომანი გამოდგებოდა, სადაც ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული ჭეშმარიტი რეალ-

იზმი, მითოსი და სამეცნიერო ფანტასტიკაც კი. მავანი კრიტიკოსის აზრით ამას, ალბათ, ეკლექტიკა ჰქვია, მაგრამ რომანში ეს შრეები სრულიად ბუნებრივად თანაარსებობს და თანამედროვე ადამიანის რთულ და წინააღმდეგობრივ ბუნებას ხატავენ.

აქ მე უფრო სხვა ზეგავლენას აღვნიშნავდი, რომელსაც ვერც ერთი მწერალი ვერ გაექცევა. ესაა საკუთარი ლიტერატურა. რუს მწერლებს შორს წასვლა არც დასჭირდება. მათ ჰყავთ გოგოლი და ბულგაკოვი (ორიოდენლის წინ „ნოვი მირში“ ახალი თაობის მწერალმა ორლოვმა გამოაქვეყნა რომანი „ალტისტი დანილოვი“. რომანის გმირი დემონი გახლავთ. რეალიზმისა და ფანტასტიკურის ჰარმონიულმა შერწყმამ დიდად ასიაშვენა რუსი მკითხველი. არავის უკიჟინია, მარკესის ზეგავლენააო, მხოლოდ ის აღინიშნა, ბულგაკოვის ტრადიციებშია დაწერილიო). ამჟამად, როგორც ნ. კაკაბაძე წერს, თურმე გერმანელ მწერალთა ახალი ტალღა რეალურისა და ფანტასტიკურის შერწყმას ცდილობს (მათ ჰყავდათ ჰოფმანი და სხვა რომანტიკოსები, ახლახან კი თუნდაც ჰესე). ქართულ ტრადიციებზე თუ ვილაპარაკებთ, ვინ დაწერს შოთაზე უკეთ, როდესაც მკითხველი მშვენივრად „ხედავს“ ქაჯებს, მაგრამ არ იცის „კაცინა“ თუ „უხორციონი“... ან ვინ გაექცევა საკუთარი ეროვნული ფოლკლორის ზეგავლენას, „ეთერიანის“, „ამირანდარეჯანიანის“ და სხვ. ხიბლს, იმავე მითიურ თქმულებებსა და წარმოდგენებს და სხვ.

აქ მინდა ერთი მოსაზრება წამოვაცენო. იქნებ იგი ცოტათი დილეტანტური ჩანდეს, ბოლომდე ვერ იყოს გააზრებული, მაგრამ ჭეშმარიტების ელემენტები მაინც, ალბათ, ამაში არის. ლიტერატურა ხომ ცხოვრებისეული ტენდენციებისაგან განზე გამდგარი მოვლენა არ არის, ის უშუალო გამოძახილია ეპოქის ძირითადი პრობლემებისა და კაცობრიობის განვითარების გზაზე მუდამ ცდილობს რეალობას მიუსადაგოს სათანადო ლიტერატურული ფორმა. ამ ამოსავალი აზრის შემდეგ, ერთგვარ უტრირებას მივმართავ: 50—60-იანი წლების მიჯნაზე ძირითადად გამოიკვეთა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია. მეცნიერებამ მანამდე არნახული პოზიციები დაიპყრო. ალბათ ბევრს ახსოვს ფიზიკოსებისა და ლირიკოსების ბრძოლა, უამრავი დისკუსია, მაშინდელი პრესის ფურცლებზე რომ იმართებოდა. მეცნიერების დიდ გავლენაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი მოუერიდებლად შემოიჭრა ლიტერატურის

სამფლობელოში. სწორედ მაშინ იყო სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის აყვავების ხანა. უამრავი საინტერესო ნიგნი დაინერა და ამ ნიგნებს მილიონებით მკითხველი ჰყავდა (სამწუხაროდ, საქართველოში ლიტერატურის ამ ჟანრს ყურადღება არავინ მიაქცია, არც ძლიერი მწერალი გამოგვიჩნდა და დღესაც აგდებულად უყურებენ რედაქციებსა და გამომცემლობებში). მხატვრულმა ლიტერატურამ ახალი — მეცნიერული თვისებები შეიძინა. ერთგვარად „სიმართლისმადიებელი“, რაციონალური გახდა. სწორედ ამ რაციონალურის, მეცნიერულის უკურეაქციად მესახება მითიურით, ფანტასტიკურით, ჯადოსნურით დღევანდელი საყოველთაო გატაცება სხვადასხვა ლიტერატურებში (სამეცნიერო-ფანტასტიკურ ლიტერატურაშიც კი სამეცნიეროზე მეტად ფანტასტიკური მომძლავრდა). ისევე როგორც სხვა ლიტერატურებში, ქართულშიც მსგავსი გატაცებები პასუხია გარკვეული მოთხოვნილებებისა, დრომ რომ მოიტანა. ამას მოწმობს მკითხველთა რეაქცია (ვგულისხმობ კვალიფიციურ მკითხველს, მათ შორის კრიტიკოსებსაც), სადაც ორნაირი, ურთიერთგამომრიცხავი მიმართება შეინიშნება. მკითხველთა ნაწილი იმთავითვე უარყოფს ასეთ ტენდენციებს, მეორე ნაწილი გატაცებით კითხულობს. თუმცა, ალბათ, მესამენიც არსებობენ, ვინაც ავტორიტეტებს ელოდებიან და საკუთარ აზრს მათი ნააზრევის საფუძველზე შეიმუშავენ.

2. „აივსო ბოლოდროინდელი ნაწარმოებები ალქაჯებითა და ტყაშიმაფებითა, ბერძნული თუ რომაული, ინდური თუ ეგვიპტური, ათასერთი ლამისა და სხვა და სხვა სახეებითა, აივსო და აივსო, ხოლო მთვარეს ჰო ნულარ იკითხავთ, უნდა იტიროთ, თავში უნდა იცეთ იმის საცოდაობითა, ისეთი დღე დაადგა“ და პატივცემული მწერალი იქვე დასძენს: „და უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი არ არის და არც ხელოვნურია, მიტმასნებულისა, ბოლომდე ვერცაა გააზრებული და ვერც გაიაზრებოდა“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის საყვარელი მწერლის ყოველ სიტყვას დიდი ყურადღებით ვკითხულობდი და თან ვფიქრობდი: „ნუთუ მართლა მაგ ზომამდე ნაგვლეკა ყოველივე ამან?“ არა მგონია მთლად ასე იყოს საქმე. ლიტერატურაში სტატისტიკა რა მოსატანია, მაგრამ მართლაც რომ ვინმეს არ დაჰზარებოდა ეს ფუჭი საქმე, დარწმუნებული ვარ, ქართულად დანერგილი პროზაული თუ

პოეტური ნაწარმოებების ოთხმოცდაათ პროცენტში მითიური ნახსენებებიც არ იქნებოდა, თუ, რასაკვირველია, ამ რიგში არ ჩავთვლით, ბიბლიიდან უბრალო ციტირებას, რაც ნებისმიერი დროისა და ნებისმიერი მიმართულების ლიტერატურისათვის ბოლო თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ჩვეულებრივი რამ არის. მაგრამ ყველაფრის აღრიცხვა არც დაგვჭირდება. ნებისმიერ ლიტერატურულ სიახლეზე მისი მწვერვალებით მსჯელობენ. ჭეშმარიტი მითიური რომანია ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. მასში გამოყენებული ბერძნულ-ქართული მითოსი რომანის ჩონჩხს ქმნის. ამ რომანის მაღალ ღირსებებზე არაერთხელ წერდა ქართული და საკავშირო პრესა. მთვარე სხვაზე მეტად „შენუხებულია“ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ და ნოდარ ნულისკირის „თუთარჩელაში“. არა მგონია, ან ერთი, ან მეორე რომანისათვის ამას რამენაირად ევნოს. პირიქით, თუთაშხას სტილიზებული მითი მეტ სიღრმესა და ფილოსოფიურ გამზოგადებას აძლევს ჭაბუა ამირეჯიბის რომანს, თუთარჩელას თეთრი შუქი კი ნულისკირის რომანს თითქოს შიგნიდან აშუქებს და მას ჭეშმარიტ ტრაგიზმს ანიჭებს... გავიხსენოთ თამაზ ბიბილურის „უამი კითხულისა“, მითისქმნადობის ერთი საინტერესო ნიმუში თანამედროვე პროზაში, ანდა ჯემალ ქარჩხაძის შესანიშნავი რომანი „მდგმური“, სადაც ნეფერტიტას ხატება უხილავი ძაფებით მშვენიერების ზოგადკაცობრიულ იდეალთან აკავშირებს რომანის გმირს... რაც შეეხება პოეზიას, აქაც არაერთი შესანიშნავი მიღწევაა. თუნდაც შოთა ნიშნიანიძის სახელი იკმარებდა ამ თვალსაზრისით... ზემოთ ვთქვი, უფრო დასავლეთის რეგიონებიდან გამოსული მწერლების შემოქმედებაში მომძლავრდა-მეთქი ეს ტენდენცია. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ, ერთი მხრივ, მეგრულ-სვანური მითოსური თქმულებები უფრო სრული და მრავალფეროვანი სახითაა შემონახული, მეორე მხრივ კი, ვინაიდან თვით ლიტერატურული ენა ქართლ-კახურ დიალექტებს ეყრდნობა, აღმოსავლურ-ქართული მითოსის შრეები ლიტერატურამ ადრევე გაითავისა და აითვისა (თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით მთიდან ჩამოსული მწერლები, განაგრძობენ ამ საინტერესო შრის დამუშავებას. სამაგალითოდ იკმარებდა მამუკა წიკლაურის „თორღვა ძაგანი“), მაშინ როცა იგივე მეგრული ან სვანური მითოსი მე-20 საუკუნემ-

დე მხატვრული ლიტერატურისათვის ყამირს წარმოადგენდა. ბუნებრივია, ამ ნედლ მასალას ჯერ კიდევ ახლავს თავისი პირვანდელი ხიბლი და რაციონალურის ეპოქაშიც კი როგორღაც ხერხდება მისი ჰარმონიული შერწყმა თანამედროვე წარმოდგენებთან.

ზემონახსენები მწერლები ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავდებიან, რომ საერთოდ მიჭირს მათი რომელიღაც ერთ ნაკადში მოქცევა. არც არსებობს მგონი ასეთი ყოვლისმომცველი ცნება. პატივცემული მწერალი მოდერნიზმს ხმარობს, მაგრამ ეს იმდენად ბევრისმომცველი ცნებაა (ევროპული მოდერნიზმის გარდა, არსებობდა, მაგალითად, ლათინურამერიკული მოდერნიზმიც, რომელსაც ევროპულთან არაფერი ჰქონდა საერთო. მისი მეტრი იყო ნიკარაგუელი რუბენ დარიო. სწორედ ეს მიმართულება იყო უკიდურესად კოსმოპოლიტური და ფართოდ იყენებდა უცხო ქვეყნების მითოლოგიას, მაგრამ მან თავისი ფორმისმიერი მიღწევებით მთლიანად განაახლა ესპანური პოეზია და ზოგადად ლიტერატურაც. აქ უბრალოდ იმის თქმა მინდა, ფორმის ძიებებს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება). თუ სიტყვა „მოდერნიზმს“ „სიახლის“, „ახლის“ გაგებით ძალიან ფართოდ გავიაზრებთ, მაშინ, მაგალითად, თვით ოთარ ჩხეიძის ენობრივი პოზიცია თავისებური მოდერნია. თითქოს სახალხო ენისაკენ შებრუნდა მწერალი, მაგრამ ამ მიმართულებით ისე შორს წავიდა, გასცდა კიდევ დანიშნულების სადგურს. ამას მხოლოდ მწერლისადმი პატივისცემა მალაპარაკებს და იმის შეგნებაც, რომ ლიტერატურის ისტორია არც ამ ღვანლს ივინყებს (როგორც, მაგალითად, ბარნოვისეულ ენას). ამიტომ, როცა ჩემს სათქმელს ვამბობ, ნაკლებად ვხმარობ სიტყვა „მოდერნიზმს“, მაგრამ იძულებული ვარ სიტყვა „მითიურიც“ პირობითად ვიხმარო, რადგან ზოგ დასახელებულ ნაწარმოებში ჭეშმარიტი მითი არც არის, იგი შექმნილია, შეთხზულია ავტორის მიერ.

აქ მინდა ერთი შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნის ზეპირი გამოსვლა გავიხსენო. მისი აზრი დაახლოებით ასე იყო ჩამოყალიბებული: ქართული მითოსის ნამდვილი რაობა ჯერაც არაა გამოკვლეული, ჩვენ ხშირად ვერ ვშიფრავთ მითიურ წარმოდგენას. ამდენად უფლება არა გვაქვს იმის გამოყენებისა, რაც ბოლომდე ახსნილი არ არის. შეიძლება შეცდომა დავუშვათ და ჭეშმარიტი ინტერ-

პრეტაციის მაგიერ, რომანში მცდარი წარმოდგინოთ. სავსებით დავეთანხმებოდი ამ აზრს, საქმე რომ სამეცნიერო გამოკვლევას ეხებოდეს. მართლაც, ბერძნულ-რომაული მითოსისაგან განსხვავებით, ქართული მითოსური წარმოდგენები მწყობრი სისტემის სახით არა გვაქვს. ალბათ თავის დროზე იგი გვექნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჯაჭვს ცალკეული რგოლები გამოაკლდა და მითიური წარმოდგენები ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოვიდა. ამის საპირისპიროდ ისლა შემიძლია ვთქვა, რომ ვერ წარმომიდგენია მწერალი, რომელიც მითოსს რაღაც სქემის სახით აიღებს და მასზე მძივივით თავის ნაწარმოებს ააცვამს. ნებისმიერი მწერალი მითოსიდან იღებს მხოლოდ იმას, რაც მის სათქმელს ესადაგება, ისიც, ალბათ, მინიშნების სახით, ან წარმოაჩენს შეხების წერტილს და ამით თითქოს ნამდვილი მითის ილუზიას ქმნის. ამაზე მავანი კრიტიკოსი შემეკითხა, რისთვისაა ეს საჭირო, რა იმალება ამის უკანო. პასუხი გვიან მომაგონდა: რა იმალება იმის უკან, რომ მჭედელი ვაკულა პეტერბურგში ეშმაკზე შემჯდარი მიფრინავს, რათა ოქროს ქოშები გამოსთხოვოს ეკატერინე დედოფალს? გოგოლის მოთხრობა ზღაპარი არავის ეგონოს. გოგოლი რუსულ მწერლობაში ერთ-ერთი უდიდესი რეალისტი მწერალია. მას მშვენივრად შეეძლო იგივე ვაკულა მარხილით გაემგზავრებინა.

ზევით მე ციტატა მოვიყვანე, მაგრამ ფრაზა უადგილოდ გავწყვიტე: „მიტმასნებულია, ბოლომდე ვერცაა გააზრებული და ვერც გაიაზრებოდა...“ (იქნებ ბულგაკოვმაც ჯერ ჰოფმანი ან შამისო წაიკითხა, სანამ „ოსტატსა და მარგარიტას“ დაწერდა!) „...რადგან მოდერნი, მითოზირებული, მოითხოვს უდიდეს დაძაბულობას, ინტელექტუალურ დაძაბულობას, ცოდნას მოითხოვს, სიღრმისეულ ცოდნას, მითებისა და მითოსისა, რელიგიებისა და რელიგიისა, ფილოსოფიებისა და ფილოსოფიისა, იდეებისა და იდეისა, ისტორიებისა და ისტორიისა, თეოლოგიისა, პოლიტიკისა, ფსიქოლოგიისა, ბიოლოგიისა, და სხვა რამისაცა, თუ რაიმე გამომრჩა; სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს და გააზრებას ერთიანობაში, ერთობლიობაში, სადაც განმსაზღვრელი როლი ბიოლოგიზმსა და ფსიქოანალიზს მიეკუთვნება...“ — კარგი თქვენ დაგემართოთ, რა ჯობია ასე ფართო ცოდნას, მაგრამ ერთ პატარა შეკითხვას მაინც დავსვამ: სხვა მწერლებისათვის არ არის ამეების ცოდნა საჭირო?

იქნებ წმინდა რეალისტური რომანის დასაწერად ყოველივე ეს ზედმეტია? ისიც ხომ გავგივია, კაცმა ყველაფერი ეს იცის, მაგრამ ერთ პატარა მხატვრულ ჩანახატსაც ვერ დანერს... აქ მოტანილი ციტატის ნაკითხვის შემდეგ ერთი რამითღა ვინუგეშე თავი, ამ მოთხოვნის ნინაშე, თუ მას გავაბსოლუტურებთ, მსოფლიო გენიოსებიც თავს უვიცებად იგრძნობდნენ. მწერლის ერუდიცია არ დაიმალება, იგი მის ნაწერებში ამოყოფს თავს. ასეთივე ბუმერანგსა ჰგავს აზრი, ლიტერატურაში მითიურის მოწინააღმდეგე ერთმა პოეტმა რომ გამიზიარა. სამაგალითოდ ჩინგიზ აითმათოვის რომანი რომ დავუსახელებ, კამათი უცბად შეწყვიტა და მომხიბლველი ღიმილით მითხრა: „ის ნიჭიერია!“ ნებისმიერი ჭეშმარიტად მხატვრული ქმნილება ერუდიციისა და ნიჭიერების შერწყმაა, როცა ესენი არ არის, მაშინ არც მხატვრული ფაქტია და კამათიც არ ღირს.

მავანი მკითხველი ალბათ იტყვის, ამას რა კუჭი ეწვისო. მთლად გულწრფელი ვერ ვიქნები, თუ თვალხუჭობანას ვითამაშებ და განზე გამდგარი კაცის პოზიციას დავიჭერ. ავტორეცენზირებას არ ვაპირებ, უბრალოდ ფაქტი მინდა აღვნიშნო. ჩემს ნაწერებში ტყაში მაფაც შევანუხე, არამხუტუც, მთვარის ღვთაებაც და, წარმოგიდგენიათ, ბერძნული და ინდური მითოსიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ბიბლიურზე. რაც შეეხება ზეგავლენებს, ალბათ ასეც არის, რადგან რაც წერა-კითხვა ვისწავლე, უამრავი წიგნი შემყვარებია და ყოველი მათგანი, ბუნებრივია, ზეგავლენას ახდენდა. მაგრამ ეს არ იძლევა იმის საბაბს, რომ საკმარისია ფანტასტიკური რეალურს შეუხამო და იმ წამსვე თვალში მარკესი ჩაგჩარონ. რატომ მარკესი და არა მაგალითად, ჩინელი პუ სუნლინი? მისი ნაკითხვა ხომ საუკუნის წინათაც შეიძლებოდა? თუ არა და, პირველ რომანში „ესხირი“, რომელიც 1970 წელს დავამთავრე (მაშინ „ახალ რომანზე“ არაფერი მსმენოდა), ტყაში მაფაცაა, ჭინკაცაა და არამხუტუც. გავლენა? ალბათ გავლენაც იყო, მაგრამ ძირითადად ქართველი მწერლებისა და იმ უბრალო სოფლელებისა (ჩემს ნათესავებს ვგულისხმობ), ბარის სამეგრელოში რომ სახლობენ (თვით მარკესი დუჟინ მწერალს ჩამოთვლის, ამათი გავლენა განვიცადეო). „მარადი მხედარი“ კი 1975 წელს დავამთავრე. ამ დროს უკვე ლიტერატურულ „სიახლეებზე“ ზოგი რამ მსმენოდა, მაგრამ აქაც,

რა თქმა უნდა, ვიყენებდი იმას, რაც ბავშვობაში გამეგონა, უფრო ხშირად თვით ამბავს კი არა, უფრო განწყობას, რადგან დღემდე შემრჩა ერთგვარი შიშნარევი ინტერესი, რასაც უჩვეულო ამბების მოსმენა მიღვიძებდა... რაც შეეხება მოდერნიზმის ნაირსახეობებს, არაპირდაპირი გზით მისი მიღწევები ნებისმიერ მწერალზე ახდენს გავლენას, თუ გინდ იზიარებდეს მის პრინციპებს და თუ გინდ უპირისპირდებოდეს. თავს რობინზონ კრუზოდ ნურავინ წარმოიდგენს და იზოლირებულ კუნძულზე ნუ დასახლდება. საკუთარ თავზე სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მაინც მინდა განვაცხადო: ჩემს ნაწერებში მითოსური ელემენტებიც მაქვს, ზღაპრულიც, წმინდა წყლის ფანტასტიკაც, მაგრამ ვთვლი, რომ ამით ოდნავადაც არ ვემიჯნები რეალიზმის ყოვლისმომცველ პრინციპებს, რადგან მთელი ეს აღჭურვილობა მხოლოდ რეალურის ასახავადაა გამოყენებული. რამდენად მომიხერხდა მიზნის მიღწევა, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ (ნარცისიზმის კომპლექსი არ მანუხებს), ისედაც, რაც ვთქვი, ვშიშობ, ქედმაღლობაში არ ჩამომერთვას.

ერთგან პატივცემული მწერალი წერს: „დიდიხანია რო დაშორდა ჩვენი ახალგაზრდობა მითოსსა და ალექსის თქმულებებსა, დაშორდა, საპირისპიროდ განწყობა; ხოლო მოგვიანებით აქა-იქ ამოკრებილი ცნობები თუ მაგალითები, ნაჩქარევად ამოკრებილი, ვერ იქნება სიღრმისეული, სისხლხორცეული ვერ იქნება, ვერ იქნება რწმენისმიერი...“ ცოტა უფრო ქვემოთ: „ჩვენი ახალგაზრდობა ვერცთუ დიდად გასცილებია ათეიზმის პროფესორთა კონსპექტებსა...“ თუ ზოგადად ახალგაზრდებზე ვიმსჯელებთ, ათეიზმის პროფესორთა კონსპექტების ცოდნა (ნიჭიერი პროფესორისა!) არცთუ ისე მცირეა. რაც შეეხება საკუთრივ მითიურ სამყაროს და ბიბლიურ ტექსტებს, ეს უკიდევანო ზღვაა, სადაც რაც უფრო შორს მიცურავ, მით უფრო მეტი რჩება გასაცური. ეს დაახლოებით ისეთივეა, ერთ კაცს რომ მოენდომებინა საკაცობრიო ცოდნის დიდი ნაწილის ათვისება. ამავე დროს მთლად უვიცად ნუ დავსახავთ ახალგაზრდებს. ვისაც აინტერესებს, საკმაო საშუალებაა, ფარდის კალთა წამოსწიოს და დაინახოს, რა ხდება სცენაზე. აქ მე დავსვამდი ცოდნისა და რწმენის საკითხს. ვიცოდეთ, ეს სულაც არ ნიშნავს გვნამდეს. მე ვიცი ტყაში მაფასა და ოჩოკოჩზე არსებული წარმოდგენები, მაგრამ ტყეში რომ მივიდივარ, აქაოდა ტყაში მაფასა

და ოჩოკოჩს არ გადავანყდე-მეთქი, შიშისაგან არ ვკანკალებ. ჟორჟი ამადუს ერთ რომანში შავკანიანების ღმერთი ოგუნი პირადად მობრძანდება ღარიბი გლეხის შვილის ნათლობაზე, მაგრამ მწერალს მართლა სწამს ოგუნის არსებობა? (ჟორჟი ამადუ მარქსისტია, კომუნისტია); კარპენტერის რომანის გმირი ხან ფრინველად გადაიქცევა, ხან მხეცად, ხან მწერად, მაგრამ კარპენტერს, დღევანდელი კუბის ერთ-ერთ უდიდეს მწერალს, რა თქმა უნდა, არ სწამს მსგავსი რამის შესაძლებლობა. ასეთი მაგალითი აურაცხელია. მწერალი მითიურს იყენებს როგორც ხალხის წარმოდგენებისაგან შეზავებულ ცემენტის ხსნარს, რითაც ადულაბებს რეალური სამყაროს აგურებს და ამით ცდილობს სინამდვილის შენობა ააგოს.

ბარე ერთი საკითხიც გავარკვიოთ. ის, რასაც მითიურ რომანს უწოდებენ, ხშირად არც არის მითიური. როცა ზღაპარს ვწერთ, ვიყენებთ ხალხური ზღაპრის სტილს, ვყვებით უფლისწულებზე, მეფის სამ ვაჟზე და ა. შ. (ჯ. ქარჩხაძის მშვენიერი ზღაპარი გამოქვეყნდა შარშან „მნათობში“), სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანში შემოგვაქვს მეცნიერული ან ფსევდომეცნიერული ტერმინები და სტილი; მაგრამ თუ „მეცნიერულის“ ადგილს დაიკავებს ჯადოსნური (უფრო ხშირად მას მითიურის სამოსი აცვია), მაშინ ნაწარმოები, ალბათ, უფრო ჯადოსნური ფანტასტიკა იქნება. ამ უკანასკნელმა კი საკმაოდ ძლიერი პოზიცია მოიპოვა მსოფლიო ლიტერატურაში. მაშ, ჩვენთან რატომ არ შეიძლება არსებობის უფლება ჰქონდეს ამ ჟანრსაც?

3. ქართული ლიტერატურის სტრატეგიული გზა, რა თქმა უნდა, რეალიზმია. ადრეც და ახლაც ძირითად დატვირთვას იგი იღებს თავის თავზე. მაგრამ არ შეიძლება რეალიზმი წარმოვიდგინოთ როგორც სწორხაზოვნად გაყვანილი ლიანდაგი, რომელზეც მარტო სტრატეგიული იარაღით დატვირთული მძიმეწონიანი მატარებლები მიგუგუნებენ. ლიტერატურის გზა უფრო რთული და დახლართულია. მასში თავისი ბილიკი უნდა გათელოს არათუ ყველა ჟანრმა და ქვეჟანრმა, არამედ ყოველმა მწერლურმა ინდივიდუალობამაც. ზოგი ამ გზაზე ფართო ავტოსტრადას გაიყვანს, ზოგი კი ოდნავ შესამჩნევ ბილიკს გაკვალავს, მაგრამ მთავარია ერთსაც და მეორესაც ნიჭიერების ნიშანი ეცხოვოს. სიახლისაკენ სწრაფვა, თუნდაც ეს სიახლე ფრჩხილისოდენა იყოს, სანაქებოა. გულზე ხელი დავიდოთ და გავიხსენოთ, ოდნავ თუ გავვაჯავრა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ-

მა პროზაულმა ტექსტმა, რომელიც გრამატიკულად გამართულია, სადაოს ვერაფერს დაუძებნი, მაგრამ ნაკითხვის მეორე დღესვე არაფერს ტოვებს მკითხველის სულში. ჯერ არ გამიგონია, ვინმეს აღშფოთება გამოეთქვას, ტყუპისცალივით ერთმანეთს დამსგავსებულ ლექსსა და მოთხრობას რატომ გვაკითხებთო. ის კი არაა, იმ წამსვე გამოიჩხრიკება მიკროსკოპით დანახული ღირსებანი. ახლო წარსულში გურამ რჩეულიშვილი რამდენმა გაისტუმრა ცივი უარით (ჰემინგუეის ზეგავლენას უკიჟინებდნენ, მაშინ ის იყო მოდაში!), სანამ ნოდარ დუმბაძემ არ მიიტანა მისი მოთხრობები ახლად-დაარსებულ „ცისკარში“. იმავე ლათინური ამერიკის მწერლობაში პირდაპირ კულტივირებული იყო სხვადასხვა ლიტერატურებისადმი მიბაძვა, ლათინურამერიკელებმა შეისისხლხორცეს სხვა დიდი ლიტერატურების მიღწევები და თან, ამ დროს, საკუთარ ეროვნულ ფესვს არ მოწყვეტილან. ამის შედეგია „ახალი რომანის“ მიღწეებიც. ამით იმას კი არ ვამბობ, სამაგალითოდ ავილოთ-მეთქი. სამათხოვრო არავისთან არაფერი გვჭირს, მაგრამ სიახლეთა გათავისება ლიტერატურის ჰორიზონტს აფართოებს, გამომსახველობით საშუალებებს ამდიდრებს. ამას იმიტომ ვიმეორებ, რომ, ერთი მხრივ, რაც უნდა ქვიშაში თავი ჩავრგოთ, რასაც მსოფლიო ლიტერატურა ითვისებს, იმას ჩვენც ვერსად გავექცევით. მეორე მხრივ კი, იმის შიშით, ვინმემ გავლენა არ გვიკიჟინოსო, საკუთარი მწერლობის ნაღვანსაც უცხოური მოდის მონაპოვრად ნუ მივიჩნევთ.

ლიტერატურაში პროგნოზები ფუჭი საქმეა. მოდა წარმავალია და ცვალებადი, მაგრამ მოდასაც და ექსპერიმენტსაც ნაკლთან ერთად სიკეთეც ახლავს. ყოველ შემთხვევაში ის მაინც მოისინჯება, ღირს თუ არა ამა თუ იმ მიმართულებით მოძრაობა. ხანდახან ლიტერატურული სნობიზმი ხომ არა გვჭირს, როცა ხმაღს ვიშიშვლებთ და ერეტიკოსებს დავერევი. ჩვენთან პირდაპირ ტრეტირებულია სათავგადასავლო ლიტერატურა, დეტექტივი, სამეცნიერო ფანტასტიკა, თანაც იმდენად, რომ თავმოყვარე მწერალი ვერ ბედავს რედაქტორს გაუმხილოს, ასეთი რამ უნდა დავწეროვო. სულ ახლახან იყო ატეხილი ჭექა-ქუხილი ვერლიბრის გამო. მერე და რა? ვერლიბრმა გზა გაიკაფა და ვითარდება. რაც შეეხება მითოსსა და ჯადოსნურ ფანტასტიკას, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, მოდა, მოდაო, ის მხოლოდ თავის განვითარების კარიბჭესთან დგას და უფლება არა გვაქვს კარი მივუხუროთ. რა თქმა უნდა, აქაც

ბევრი რამ თანდათან ტრაფარეტად იქცევა და მოძველდება, მაგრამ, ვფიქრობ, მითიურისა და ფანტასტიკურის არსენალი არც ისე ღარიბია, ორი-სამი რომანითა და ათეული ლექსით ამოიწუროს.

ბულგარელი პაველ ვეჟინოვი (მისი რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი „ბარიერი“ მგონი შარშან გადიოდა ჩვენს ეკრანებზე) ამაზე წერდა ახლახან „ლიტერატურნაია გაზეტაში“: Отказ от фантастического для литературы означал бы не только полное пренебрежение духовными запросами человека, но и был бы равноценен отказу от человеческого в пользу интегральных схем. მართლაცდა, უჩვეულოსადმი, ფანტასტიკურისადმი ადამიანთა მარადი მისწრაფება მწერლობამაც უნდა გაითვალისწინოს. ძლიერი ლიტერატურა მრავალფეროვანი ლიტერატურაც უნდა იყოს. რა თქმა უნდა, არც მარცხია გამორიცხული, მაგრამ ვინც ვერ ბედავს, ის ვერც მარცხდება. ლიტერატურაში კი ზოგიერთი დამარცხება გამარჯვების ტოლია.

სათაური პატივცემული მწერლისაგან ვისესხე, ოღონდ კითხვის ნიშანი დავუსვი. ლვინია ხარია, ხარი — მითოსური რიტუალური ცხოველი. გადაიჩნება? არა მგონია, რამეთუ არასოდეს მოიშლება ჩვენი ინტერესი შორეული წარსულისადმი, ადამიანს უყვარს საკუთარი ბავშვობის გახსენება, ერსაც საკუთარი ბავშვობა უყვარს და მეხსიერებაში წამდაუნუმ აცოცხლებს მას. ლვინია ისევ ისეა შებმული ურემში და თავის ტვირთს მიეზიდება. დარწმუნებული ვარ, იმ ურემზე ბევრ საინტერესო რამეს ვიხილავთ. ნუ შეგვაშინებს როკაპები და ალქაჯები. სუპერლაინერით როცა მიფრინავთ, ილუმინატორში გავიხედოთ, იქნებ ვიხილოთ მჭედელი ვაკულა, ეშმაკზე ამხედრებული რომ მიფრინავს პეტერბურგისაკენ, რათა ეკატერინე დედოფალს ოქროს ქოშები გამოსთხოვოს თავისი ოქსანასათვის.

სინანული

სტუდენტობის წლებში ადამიანი მომავლის რწმენით ცხოვრობს. მეც, ჩემი თაობის სხვა „დაუბეჭდავი“ მწერლებივით, იმედი მასულდგმულებდა. მანამდე თბილისში სულ რამდენჯერმე ვყოფილვარ. სტუდენტობისას კი პირველად დავინახე ის ადამიანები, ვისი სახელები და გვარები წიგნების ყდებზე მსხვილი ასოებით ეწერა. რა თქმა უნდა, როგორც ახალგაზრდათა უმრავლესობა, მეც მაქსიმალისტი ვიყავი, თუმცა დიდხანს შემომჩრა (ზოგიერთი სახელის მიმართ კი დღესაც) ბავშვობიდან გამოყოლილი ამაღლებული, რომანტიკული წარმოდგენა. ამავე დროს, კრიტიკული ალღოთიც აღვიჭურვე და ზოგჯერ ჩემი არაობიექტურობა მაიძულებდა დაფნის გვირგვინი ჩამომეხსნა ადრინდელი კერპებისათვის. ხშირად ხდება, საკმარისია საყვარელი მწერლის მომდევნო თხზულება არ მოგვეწონოს ან მოგვეჩვენოს, ცხოვრებისეულ გზაზე არასწორი ნაბიჯი გადადგაო (ჩვენი თვალსაზრისით!) და მზადა ვართ, ხაზი გადავუსვათ ყოველივეს, რის გამოც აქამდე ცამდე აგვყავდა. ის, ვინც ჩვენს გვერდითაა, ყოველთვის ჩვეულებრივი ადამიანია თავისი სისხლითა და ხორციით, ტკივილებითა და სიხარულით, ვაჟკაცური შემართებითა და ადამიანური სისუსტეებით. იქნებ საუკუნის სენი — გულგრილობა გვიშლის ხელს მთელი სიმაღლით დავინახოთ ხელოვანი. როცა ყოველდღიური ავანჩავანი თვალსაწიერს გვიზღუდავს, ძნელია ბოლომდე მიუკერძოებელი იყო. გაივლის წლები და სინანული გიპყრობს, გვერდით რატომ ჩავუარეთ, რატომ ვერ შევნიშნეთო. დრო ყველაფერს სინათლესა ჰფენს, მაგრამ დაკარგულის დაბრუნება შეუძლებელია. რამდენჯერ მინახავს კონსტანტინე გამსახურდია რუსთაველის პროსპექტზე, მწერალთა კავშირში... ერთხელაც არ მოვინდომე მოკრძალებით გამოვლაპარაკებოდი, თავიც გამეცნო, თუმცა იმ დროს იმდენად გაუბედავი ვიყავი, ნაბიჯი ვერ გადავდგი. ახლა ვფიქრობ, იმ გაუბედაობის, სიმორცხვის უკან ცოტათი გულგრილობა ხომ არ იმალებოდა-მეთქი... მახსოვს, მწერალთა კავშირში ალიო მირ-

ცხულავა გამოდიოდა. რა თქმა უნდა, ნაკითხული მქონდა მისი ლექსები (მეგონა, რომ ნაკითხული მქონდა!). ახალგაზრდები ბოლო რიგში ვისხედით და ჩუმჩუმად ვქილიკობდით. ეჰ, ჩვენში დაფარული პატივმოყვარეობა ხშირად გვაბრმავებს! იგი საშუალებას არ გვაძლევს ბოლომდე სწორად დავაფასოთ სხვათა ნაღვანი, მაშინ როცა საკუთარი, ჯერ არშექმნილი, რაღაც მირაჟებში მოლივლივ, უფრო მნიშვნელოვანი და აღმატებული გვგონია. ახლა, როდესაც აღარ არის ბატონი ალიო, მისი კაცურკაცობა და პოეზია ჩემს თვალში უფრო მაღლა წარმოჩნდა... თითქოს სულ ახლახან წავიდა ჩვენგან ნოდარ დუმბაძე. უკანასკნელად მწერალთა კავშირში ვნახე. სახედალლილი გამოვიდა კაბინეტიდან, მოგვესალმა. გულზე ცეცხლი მომეკიდა, რადგან მის ლამაზ პირისახეს სიკვდილის ბეჭედი ესვა. არასოდეს ვცდილვარ მასთან დაახლოებას. ვფიქრობდი, ქვეყანა ანუხებს, მე რად შევანუხო, ჩემი სიყვარულისა და პატივისცემის გამჟღავნება იქნებ სულ სხვანაირად გამიგოს, ან რად ავჩქარდე, ყველაფერი მოესწრება-მეთქი... ვაგლახ, ამიერ ველარაფერი მოესწრება!.. ჩემს მეხსიერებაში კი სამუდამოდ აღიბეჭდა საყვარელი მწერლის სახე, რომლის ხალისიან შემოქმედებას მარადიული სიცოცხლე უწერია...

არ მახსოვს პირველად როდის ვნახე იოსებ ნონეშვილი. თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი, მაგრამ პირველად სად შევხვდი — რუსთაველზე, უნივერსიტეტში თუ მწერალთა კავშირში — ველარ ვიგონებ, მაგრამ შემოძლია ცხადად წარმოვიდგინო ეს შეხვედრა. ალბათ მივესალმე და ისიც მომესალმა. იმიტომ კი არა, რომ მიცნობდა, უბრალოდ, ყურადღებიანი, სხვათათვის ანგარიშის გამწევი, მოძმეთა მოსიყვარულე და ალერსიანი გახლდათ. ერთი შეხედვით იოლი ჩანდა ბატონ იოსებთან დაახლოება. მისი გულის კარი ყველასათვის ღია იყო, მაგრამ, ალბათ, ამ გულლიაობამ, რაც ჩემს თვალში კონტრასტს ქმნიდა მის საყოველთაო-სახალხო სიყვარულით მოსილ სახელთან, ერთგვარად დამაფრთხო და ნლების მანძილზე შორიდან შევეყურებდი. შეიძლება სახე დაამახსოვრდა ჩემი, ანდა უამრავ სხვა ახალგაზრდაში ვერეოდი, ამაზე ვერაფერს ვიტყვი.

ერთხელ მოსკოვიდან მოვფრინავდი. თვითმფრინავის სალონში ერთი სავარძელი მგზავრებისაკენ შეებრუნებინათ და სწორედ იმ

სავარძელში მოგვკალათდი. ჩემ წინ ორი მამაკაცი იჯდა, ერთმანეთს ესპანურად ესაუბრებოდნენ. იმ დროს უნივერსიტეტში ინგლისურს მასწავლიდნენ. მე კი, რატომღაც, ესპანურს „ვიზუთხავდი“ და ელემენტარული საუბრისათვის რომ კმაროდა, იმდენი ვიცოდი. გამეხარდა და საუბარში ჩავერთე. ერთი მამაკაცთაგანი პერუელი აღმოჩნდა, კუსკოს უნივერსიტეტის პროფესორი, თავის ქვეყანაში ცნობილი პოეტი და დრამატურგი. თავი გამოვიდე, გაჭირვებით ვაკონინებდი წინადადებებს და ვცდილობდი უცხო სტუმრისათვის საქართველოზე, შოთა რუსთაველზე და ა. შ. ცნობები მიმეწოდებინა (თვითონ აინტერესებდა). შემდგომ „ვეფხისტყაოსნის“ ნულაძისეული ფრანგული თარგმანიც ვაჩუქე. სტუმარმა გამაგებინა, თქვენთან ერთი პოეტი ყოფილა, იოსებ ნონეშვილი, აეროპორტში ის უნდა დაგვხვდესო. ჩამოვედით თვითმფრინავიდან. ბატონი იოსები სტუმრებს ტრაპთან დახვდა. მე შორიახლო ვიდექი. უცებ უცხო სტუმრის თანმხლები პირი ჩემკენ შემობრუნდა და ბატონ იოსებს უთხრა, ამ ახალგაზრდამ ესპანური იცისო. რა თქმა უნდა, ასეთ ცოდნას ცოდნა არ ერქვა, მაგრამ უცნობმა ჩემი მცდელობა დამიფასა. ბატონი იოსები ცოცხლად შემოტრიალდა, ხელი ენერგიულად ჩამომართვა — „გამარჯობა, შენი!“ — მითხრა. აეროპორტის შენობისაკენ რომ მივდიოდით, ბატონი იოსები მომიბრუნდა: — „უნდა მაპატიო, შენი სახელი დამავიწყდა!“ რაც არ იცოდა, საიდან დაავიწყდებოდა? ალბათ, იფიქრა, რაკი ესპანური იცის, ეს ისეთი ვინმეა, უნდა ვიცნობდეო. მეც მოკრძალებით ავუხსენი ვინც ვიყავი. მთხოვა, დილით მასთან მივსულიყავი და ერთი დღე მაინც სტუმართან გამეტარებინა.

დილით ბინაში ვესტუმრე. ვარაზისხევში ახალი გადასულები იყვნენ და ჯერაც ყველაფერი მილაგებული არ ჰქონდათ. მიჩვენა ფიროსმანის ტილოები. მერე პოეზიაზე მესაუბრა: — ზოგიერთს ჰგონია, ნონეშვილი თანამედროვე პოეტურ ტენდენციებს ჩამორჩაო. როგორ ფიქრობ, არ ვიცი, რანაირად ინერება მოდერნისტული ლექსები? ბოლო-ბოლო მოდერნიზმის კორიფეებს პიროვნულად ვიცნობ (თან რამდენიმე სახელი ჩამომითვალა), მაგრამ ვფიქრობ, ქართველი პოეტისათვის დღესაც უმთავრესია — „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველი ჰქვია!..“

მერე სასტუმრო „ივერიაში“ წავედით, სტუმარს ნომერში ვესტუმრეთ. უცნაური კაცი იყო ეს პერუელი. კერუას ტომის მანერით მოგვესალმა. სალამურზე დაუკრა, საცეკვაო ილეთიც გვიჩვენა. ანდებში მიმიპატიჟა, სოფელში დაგასახლებ და კერუას ენას ისწავლიო. ბატონმა იოსებმა თავისი პატარა კრებული აჩუქა, რუსულად თარგმნილი. გამეღიმა. სტუმრისათვის რუსულიც და ქართულიც თანაბრად გაუგებარი იყო.

იმ დღეს სტუმარი ქალაქში ვატარე. შევეცადე, რაც შეიძლება მეტი მეჩვენებინა. ცხადია, ბატონი იოსების მითითებებს ვითვალისწინებდი. სხვათა შორის, უნივერსიტეტშიც მყავდა, რუსთაველის კაბინეტი დავათვალიერებინე. ბოლოს მთანმინდის პანთეონს ვესტუმრეთ. სტუმარმა აქამდე მხოლოდ გრიბოედოვის სახელი იცოდა. ჩამოვყევი და სათითაოდ ვუხსნიდი, ვინ განისვენებდა ამ წმინდა საფანეში. ენის უცოდინარობა დაწვრილებით საუბრის საშუალებას არ მაძლევდა. ამიტომ იმდენს ვუნოდე გენიალური და დიდი პოეტი, მგონი სტუმარი შევაეჭვე. ეს კი არა, რამდენიმე დიდი პოეტის საფლავი სულ არ ვიცით-მეთქი, — დავამატე. გაიოცა, ჩვენ, კერუას ხალხი თოთხმეტი მილიონი ვართ და პირველი კლასიკოსი მე ვარო (ჩემისა არ იყოს, იმანაც გადააჭარბა, რა თქმა უნდა). განვუმარტე, აქ მარტო რჩეულებია, თორემ სხვა შესანიშნავი პოეტები და მწერლები მეორე პანთეონში განისვენებენ-მეთქი და დიდუბის პანთეონი დავანახე შორიდან. უცებ სტუმარმა ბატონი იოსების წიგნი ამოიღო უბიდან და ღიმილით იკითხა, ამას სად დაკრძალავთო. კითხვა, ცხადია, პროვოკაციული იყო. ისიც იოლი გასაგებია, რისთვის დასჭირდა. უნდოდა სცოდნოდა, ჩემს თვალში რა მასშტაბის პოეტი იყო ბატონი იოსები. გონებისათვის ძალა არ დამიტანებია, პასუხი ისე გავეცი. მერე ხომ ზუსტად ასეც მოხდა, მაგრამ, როცა მაშინდელი პასუხი გამახსენდება, თავი დამნაშავე მგონია. თითქოს რაღაც ბოლომდე ვერ გავიმეტე, რაღაც ჩემი გულიდან დავაკელი საყვარელ ადამიანს. ვინ მეკითხებოდა ჯერაც ცოცხალი, ენერგიით სავსე მგონისათვის სამუდამო სამყოფლის შერჩევას. ჩემი პასუხი ახალგაზრდული მეტიჩრობა უფრო იყო, თანაც ცოტათი ლალატის სუნიც დაჰკრავდა. გაფრენილ სიტყვას ვერ გამოედევნები, ვერ დაიჭერ! ჩვენს ახალგაზრდულ წინდაუხედაობას და აჩქარებულობას რამდენჯერ მოუტანია მწარე ტკივილი.

შემდგომ არაერთხელ შევხვედრივარ ბატონ იოსებს მწერალთა კავშირში. სიკეთისათვის ყოველთვის შემართული იყო, თუმცა რაიმე სერიოზული თხოვნით არ მიმიმართავს. ის დისტანცია, რაც თავიდან მეჭირა და რასაც უფროსისადმი პატივისცემას ვეძახდი, არასოდეს გადამილახავს. ცხადია, ასე თავისთავად გამომდიოდა, თორემ შეგნებულად ამაზე არც მიფიქრია. საკუთარ თავს ადამიანი ყოველთვის მოუძებნის გამართლებას. გულგრილობას მორიდებულობაში ჩაითვლის, სიყვარულის წილ „ნელ-თბილი“ სალამის დონეზე ჩერდება. ეს ხომ ყველაზე მოხერხებულია, უმტკივნეულოა. ახლა კი ვიცი, კონფორმიზმის სახეობაა იგი, სხვისი ტკივილების ვერშემჩნევაა, განდგომაა...

კიდევ ერთი პატარა, უმნიშვნელო შემთხვევა შემრჩა სანანებლად. ერთხელ მწერალ-ფანტასტთა თავყრილობა მოენყო. ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან ამ ჟანრში მომუშავე მწერლები ჩამოვიდნენ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში ისხდნენ. მდივანმა ქალმა მითხრა, თუ გაინტერესებს, შედიო. შევალე კარი და ზღურბლს მორიდებულად გადავაბიჯე. ბატონი იოსები ოთახის შორეულ კუთხეში იჯდა. ჩემი დანახვა გაუხარდა. ხელები ფართოდ გაშალა და წამოიძახა: „Вот явился восходящая звезда научной фантастики!“ დარწმუნებული ვიყავი, ბატონ იოსებს ჩემი არაფერი ექნებოდა წაკითხული (ესეც ახალგაზრდული თვითგვემაა! მაინც რატომ ვიყავი დარწმუნებული?). მით უფრო, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში სიტყვაც არ მქონდა დაწერილი. ბატონმა იოსებმა ალბათ იხუმრა, ან იქნებ, ქართველები რაკი ცოტანი ვიყავით, უცოდველი გულუბრყვილობით ენადა სტუმრებისათვის გაეგებინებინა, ჩვენ არც ისე ღარიბები ვართ, ამ ჟანრშიც გვყავს იმედის მომცემი ახალგაზრდებიო. სულ რამდენიმე წამით ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა, ხუმრობაზე ხუმრობით მეპასუხა, ან გამეცინა მაინც. მე კი გალახულივით მოვიბუზე, კუთხეში დავჯექი და საკუთარი ფრჩხილებით დავინტერესდი. სხდომა თავისი გზით წავიდა. რამდენჯერმე ავიხედე და შევამჩნიე, ბატონ იოსებს ნირი შეცვლოდა, ჩემკენ მალულად იხედებოდა, ვანყენინეო, ფიქრობდა და ამას მტკივნეულად განიცდიდა.

ღიმილიანი კაცი იყო ბატონი იოსები, მაგრამ სევდიანი თვალე-
ბი ჰქონდა. სამწუხაროდ, ღიმილს უფრო ადვილად ვხედავთ. ეს
იოლია. მის სულში ჩაბუდებული სევდა კი გულგრილი თვალი-
სათვის დაფარული გახლდათ. თურმე რამდენი ტკივილი უტარე-
ბია გარეგნულად მხიარულ ამ კაცს და ტკივილის სიმძიმეს ბოლოს
და ბოლოს ვერ გაუძლო.

ალმანახ „განთიადის“ 1987 წლის პროზა

ალმანახმა „განთიადმა“ იმთავითვე საკმაოდ მაღალი ლიტერ-
ატურული ავტორიტეტი მოიხვეჭა. მისი სახის ჩამოყალიბებაში
დიდი ღვაწლი მიუძღვით რედაქტორებს, ჯერ გურამ ფანჯიკიძეს,
მერე კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. ამჯამად ალმანახის რედაქ-
ტორი გახლავთ რეზო ჭეიშვილი. 1987 წელი ალმანახის ისტორიაში
გადახალისების წელი აღმოჩნდა. მან ერთგვარი ცვლილება განიცა-
და როგორც გარეგნულად, ისე ლიტერატურული პოლიტიკის სფე-
როში. ალმანახი ცდილობს ფეხი აუწყოს დროის მოთხოვნას. მის
ფურცლებზე ქვეყნდება დღევანდელი სულისკვეთებით გამსჭვალ-
ული არაერთი ნაწარმოები. რაკი ზღვარი ძველსა და ახალ ნომ-
რებს შორის თვალსაჩინოა, ამიტომ თავდაპირველად მიმოვიხილავ
პირველი ორი ნომრის მასალას, შემდეგ კი — დანარჩენებს.

I

მიმოხილვა მინდა დავიწყო კონსტანტინე ლორთქიფანიძის
სახელით. ალმანახი თავისი მრავალი წლის რედაქტორს გამოეთხ-
ოვა პირველი ნომრის პუბლიკაციით. აქ გამოქვეყნდა მწერლის
დაუმთავრებელი მოთხრობა „ქართველი ქალის ხასიათი“. ბატონი
კონსტანტინე შესანიშნავი სტილისტი ბრძანდებოდა. ეს პატარა
მოთხრობა, ალბათ, გვერდით ვერ ამოუდგება მის საუკეთესო
ნაწარმოებებს, მაგრამ რაკი იგი დაუმთავრებელია, ავტორს საშუ-
ალება არ მიეცა დაეხვეწა, ამიტომ უხერხულია მის ლიტერატურ-
ულ ღირსებებზე ლაპარაკი. თვითონ ბატონი კონსტანტინე, რა
თქმა უნდა, ამ სახით მას არ გამოაქვეყნებდა. ამ დაუმთავრებელი
მოთხრობის წაკითხვის დროს სულ სხვა, სევდიანი და ტკივილნარე-
ვი ფიქრები მომანვა. რა უცნაურია მწერლის ბედი. ზოგის სახელი
სიცოცხლეში ქუხს. ყველა ტრიბუნა მისია, ყოველნაირი საპატიო
წოდება და ჯილდო მისაწვდომია მისთვის, მწერლის ნაწარმოებე-
ბი სკოლაში ისწავლება, უამრავი სახოტბო წერილი იბეჭდება და

ვინმემ თუ კრიტიკული კალამი ოდნავ შეახო, ეს სენსაციად აღიქმება. მიიცვალა კაცი და დრო, ყოველივეს დაუნდობელი და მოუსყიდველი განმსჯელი, თავის სასწორზე შეაგდებს ჩვენს ნაღვანს. თურმე მწერალს სიკვდილი კი არა კლავს. საკმაოდ ნიჭიერმა ადამიანმა, ვინც მამაზეციერმა მემამოხედ გააჩინა, კონფორმიზმის ტკბილი სასმისი ირჩია. სიცოცხლეში დალხენილმა მწერალმა უნდა იცოდეს, რომ მრავალი ნიგნი და ქება-დიდება არაფერს ნიშნავს. ერთადერთი ღირებულება მონამეობრივი გზით მიღწეული ჭეშმარიტებაა. ვინც მთელი სიცოცხლე იხვეჭდა, დავინყების მეტს ვერაფერს მოიხვეჭს. უკვდავებას უფრო ტერენტივით უპოვარი და გალაკტიონივით ტანჯული სული ეზიარება. ამას მე ნიშნისმოგებით კი არ ვლაპარაკობ, სევდა და ტკივილი მალაპარაკებს, იმ დაკარგული შესაძლებლობების გამო, რადგან კონფორმიზტული თხზულებების შექმნაზე არაერთი, მეტად ნიჭიერი მწერალი დაშვრა, ლიტერატურის ისტორიას კი ეს ნაწარმოებები დააინტერესებს მხოლოდ როგორც მაგალითი უპრინციპო ლიტერატურისა, რომელიც მზადაა ყველას და ყველაფერს ემსახუროს, ჭეშმარიტების გარდა.

1986 წლის მე-3 ნომერში აღმანახმა დაინყო ალექსანდრე ებანოიძის რომანის — „მამისეული კერა“ პუბლიკაცია და დაამთავრა გასული წლის პირველ ორ ნომერში. „მამისეული კერა“ ეს არის ერთგვარი ნოსტალგია მოსკოვში მოღვაწე ქართველი მწერლისა. რომანი კლასიკური ფორმითაა დაწერილი. იგი შედგება მთავარი გმირების ერთგვარი მონოლოგებისაგან, თუმცა ეს პრინციპი ბოლომდე თანმიმდევრულად არაა გატარებული, თხრობაში ხანდახან პირველ პირს მესამე ენაცვლება. ავტორი ღრმად სწვდება თავისი გმირის ფსიქოლოგიას. განსაკუთრებით გამოირჩევიან დომენტი გაჩეჩილაძე და მისი ცოლი პოლია. დომენტი უზომო ძალის პატრონია, მაგრამ უკეთურ ადამიანებთან შეხვედრისას ბავშვივით უსუსური ხდება. ზოგიერთებს ბრიყვიც კი ჰგონიათ, რადგან თავისი ღონე ვერ გამოუყენებია, თუმცა მშვენივრად გაეგება ადამიანური ურთიერთობის ავკარგი. პოლია ტიპური რუსი ქალია, ვინაც ბედმა, უფრო სწორად, დომენტის სიყვარულმა მთის ქართულ სოფელში გადმოხვეწა, აქაური ცხოვრების წესს აზიარა. იგი ყველაფერს თავისი რუსული საზომით უდგება, მაგრამ ჭაპანს ერთგულად ეწევა, რადგან ჭეშმარიტი ადამიანი ყველა ვითარებაში ადამიანად რჩება.

ალექსანდრე ებანოიძე ცხოვრობს და მოღვაწეობს ორი ხალხის, რუსი და ქართველი ხალხების შეხების წერტილში. იგი აღიზარდა ამ ორი კულტურის ზეგავლენით, ორივე თანაბრად გაითავისა (სამწერლობო ენად რუსული აირჩია, თემად, ძირითადად, ქართული სამყარო). ამ თვალსაზრისით რომანის ხედვის კუთხე ახლებურია. ცხადია, სხვა ქართველ მწერლებსაც დაუნერიათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, საკუთრივ რუსეთსა და რუსებზეც, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა მგონია, როცა ერთ რომანში თავმოყრილია ქართველის თვალთ დახახული რუსი და რუსის თვალთ დახახული ქართველი. რომანის გმირები იმ რეგიონში ტრიალებენ, ეგრეთ წოდებულ საკურორტო ზონებში, სადაც ეს ურთიერთკავშირი და გადახლართვა ისე შორსაა წასული, რომ მოულოდნელად ქართველს რუსის ფსიქოლოგია აღმოაჩნდება, ანდა პირიქით. რომანში გაშლილი სასიყვარულო კოლიზიების დახატვისას მწერლის ხედვა ერთგვარად „მოსკოვურია“. აქ თითქოს იგრძნობა რემინისცენციები გადაუჭრელი მოსკოვური ადიულტერებისა, რიაზანოვისა და სხვათა ფილმებში რომ არის ნაჩვენები. მათში ძირითადად ცხოვრობენ არცთუ საყმაწვილო ასაკის სიყვარულით გაუმაძღარი კაცები და ქალები, რომლებიც უკანასკნელად ესწრაფვიან დროის მოღორებას, თუმცა არც ისე დიდი წარმატებით (დოდო, ტატიანა...). მართალი არ ვიქნებოდი, რომანის პრობლემათიკა მხოლოდ ამ საკითხამდე რომ დამეყვანა. აქ არის ესტრადის მომღერლისა და ყოფილი მეღვინის ჯანო ჯანაშიას დაპირისპირება თავის ძმასთან დომენტი გაჩეჩილაძესთან... რომანში არის სევდა... ჯანოს არ აკმაყოფილებს თავისი ცხოვრება, არც საზოგადოებრივი და არც საოჯახო... დომენტის ტანჯავს თავისი ბუნება და ამასაც სევდა ხრავს... პოლიას ანუხებს ნოსტალგია სამშობლოსი და რუსული ყოფისა... ტატიანას სინდისი ქენჯნის, რაკი ხეიბარ ქმარს ღალატობს... დოდოც კი, დომენტის დალუპვის ტრაგიკულ სცენაში, უფრო მართალი და ნაღვია... რომანის ფინალი ნიშანდობლივია. ჯანო ჯანაშიას მანქანა „კარებამდე ჩაეფლო თიხნარ ტალახში. ვინმეს რომ შეეხედა წვიმით დანისლულ ფანჯარაში, შუახნის მამაკაცს დაინახავდა — საჭეზე იყო დამხობილი და ტიროდა, გვერდით მჯდარი ღამაზი ქალი ამშვიდებდა, ქალი, რომელიც ოსტატურად მალავდა ასაკს. უკანა სკამზე კი ორ მოუქნელ, შიშით გასუსულ გოგონას

შორის ექვსი წლის დაძაგრული ბიჭი იჯდა, თმა აბურძგნოდა, წვრილი კისერი და ფუნჩულა, მზით გარუჯული ლოყები ჰქონდა და დაჭყეტილი თვალებით დიდვით უყურებდა სამყაროს“. ავტორმა ამ სევდიანი ამბავის ბოლოს ამით ღიად დატოვა ოპტიმისტური სარკმელი.

პირველ ორ ნომერში დაიბეჭდა გია ბენიძის რომანი „ანამაისი“, მეტად უცნაური და თავისებური ნაწარმოები. ავტორის ლიტერატურული ფსევდონიმია მარსიანი (ამ გვარს ატარებენ ნიგნის პერსონაჟი ძმებიც). მარსიანი, ალბათ, არადედამინისა, ცისა, მარსისა და ამავე დროს მეომრისა და კაცისა. თვითონ გია ბენიძე გამორჩეული, ორიგინალური ხედვის ავტორია. მისი ლიტერატურული განსწავლულობა საკმაოდ ღრმაა, აზროვნების მასშტაბურობა შთამბეჭდავია. ყოველივე ეს გადახარშულია და გადმოცემულია ერთგვარი გულუბრყვილობითა და მიაშიტობით. ამ სიტყვებს მე დადებითი კონტექსტით ვხმარობ. ესაა განსწავლული ბავშვის ხედვა, რაც, სამწუხაროდ, ასე იშვიათია. ყოველივე ამან მოგვცა რომანი, რომელშიც ჭეშმარიტი ცხოვრება კი არაა, ლიტერატურული სამყაროების ერთგვარი რემინისცენცია ანათებს. იქნებ პარადოქსებით ვლაპარაკობ, მაგრამ ხომ არსებობდა, მაგალითად, ალექსანდრე გრინის მოგონილი სამყარო... აი, თაროზე გვინყვია უამრავი ბრძნული, სიღარბაისლით აღსავსე (მაპატიეთ ასეთი არალიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები!) ნიგნები და, უცებ, მათ გვერდით, მთლიანად პოეტური ფანტაზიით შეთხზული რომანი... ნურავის გაუკვირდება ასეთი პარალელი და ჩემს წარმოსახვაში ასევე უცნაურად და ცალკერძ დგანან „დიონისეს ღიმილი“ ანდა „გველის პერანგი“. დიახ, ყველაფერია ამ რომანში: პარიზიდან ჩამოსული მშვენიერი ასული ანამაისი, გვარად ბაგრატიონი, გენოსი პოეტი ივერ მინდელი, პოეტური სალონი (პერსონაჟთა უმეტესობა ლექსებს წერს), კამათი პოეზიის მოწოდებაზე, მსუბუქი ფლირტი და ფროიდიზმის გაელვებანი... ცხოვრება, რომელიც ლეგენდად იქცა, და ლეგენდა, რომელსაც ცხოვრებად გვთავაზობენ... ეროვნული სატკივარი, ეროვნული არსებობის მირაჟული მოდელი... ფოცხვერისა და ნუკრის სიმბოლო... დაბოლოს, ანამაისის სიკვდილი და კვლავ გაცოცხლება... იგი პარიზში მიფრინავს: „ვიდექით საღამოს იისფერი ბინდით მოცულნი და

გავცქეროდით დასავლეთის ცაში გაუჩინარებულ დედოფალ ანამაისის...“ ჩვენს მეტად ტექნიციზებულ ეპოქაში ხანდახან მაინც შევებას მოგვგრის პოეტური სულის ეს ლაციცი.

რაც შეეხება პირველ ორ ნომერში გამოქვეყნებულ მოთხრობებს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ისინი მკითხველს სრულ კმაყოფილებას ვერ მოგვრის. გამონაკლისი რომ ვახსენე, უპირველესად ჯარჯი ფხოველის მოთხრობა მქონდა მხედველობაში. ჯარჯი ფხოველის პროზაული ნაწარმოები აქამდე არ შემხვედრია. მოთხრობა ერთი ამოსუნთქვით იკითხება. იგი თავიდან ბოლომდე ექსპრესიულად, დინამიურად ვითარდება. კატილინას, იმავე ღვთისა ჩახტაურის, ისტორიის მასწავლებლის გონებაში რეალობა და გიჟური წარმოსახვა ბუნებრივადაა შერწყმული. ესაა ქართველი დონ-კიხოტი, რომელიც ყოველი მარცხის შემდეგ ასკვნის: „დამარცხებისათვის დავიბადე მე“. დონ-კიხოტთან შედარებისას კატილინა, ცხადია, წააგებს, თუნდაც იმიტომ, რომ დონ-კიხოტი სიკეთის დამცველია, კატილინა კი უბრალოდ დიდი პრეტორი და მთავარსარდალი, რომელიც ციცერონის ჯაშუშებს, ე. ი. თანასოფლელებს ებრძვის... ეს ენერგიული, ზომიერი იუმორით შეზავებული მოთხრობა ტრაგიკულად მთავრდება, კატილინა იღუპება.

აღმანახის პირველ ნომერში დაიბეჭდა სერგო ჭიჭიშვილის ორი მოთხრობა. ერთ მათგანს ჰქვია „ძნელ არს ძნელოვანთა შინა“. ავტორი გვიყვება საგამოცდო ციებ-ცხელების ერთ ეპიზოდს, იგრძნობა გამომცდელ-გამოსაცდელთა სტრესული განწყობილება, ჩვეულებრივ მოკვდავთა ყოვლადგასაგები ვინროეგოისტური ცდუნებანი. ამ ფონზე იკვეთება სახე რაინდისა, რომლის სახელიც არ ვიცით. ბიჭმა ადრე მორევიდან ქალიშვილი გადაარჩინა, ახლა კი, გამოცდაზე — თავისი მეტოქე გოგონა. ამ დაპირისპირებას ერთგვარად ხელოვნურობის დალი აზის, თუმცა მთლიანად მოთხრობა ლიტერატურულ ღირსებას არაა მოკლებული. ბიჭის თავდადება თავდაპირველად თუ დაფასდა, მეორედ მადლობაც არავინ უთხრა: „სახეზე უფრო გაცოცება ეხატა, ვიდრე წყენა და სინანული“. ზედმეტი მგონია ბოლო ფრაზა — „მისი უძირო სევდის მორევი ჩავიძირე...“ კარგადაა დანერგილი მეორე მოთხრობა „აღდგომელა“. ესაა სახასიათო მოთხრობა. მთავარი აქ თვით აღდგომელაა, გიორგი აბაშიძის „ნაცოდვილარი სიმთვრალეში“. მაგრამ

იუმორით გამთბარ ამ მოთხრობას მაინც ეტყობა მეორადობა. ჩვენს ლიტერატურაში არსებობს თუნდაც ლუკაია ლაბახუა და მასთან მეტოქეობა ძნელია.

იაკობ პაპიაშვილის „გაზაფხულის სონატას“ (2) გადავყავართ პეტროგრადში, რევოლუციის დღეებში. ცნობილი მუსიკოსი თავად დიმიტრი ელაგინი რევოლუციის შეურიგებელი მტერია და ბოლომდე ასეთად რჩება. ცოლი ზუსტად რევოლუციის დღეს უკვდება, მას შიში და უიმედობა კლავს. ელაგინი ცოცხალი მხოლოდ იმიტომ რჩება, ერთადერთი ქალიშვილი ლიზა გადაარჩინოს. გავა დრო და ლიზა ახალ სამყაროში თავს მშვენივრად გრძნობს. ავტორს იმთავითვე ერთობ მაღალი რეგისტრი აუღია: „ბრიალებდა ალისფერი დროშა, რევოლუციის ფრთოსანი გენია, თავისი ელვისებური ფრთებით დაქროდა ქუჩებსა და ეზოებში, ინვოდა და ინგრეოდა იმპერიის ბურჯი“ და ა. შ. ეს სიტყვა-ტრაფარეტები ისე თამამადაა ხმარებული, მკითხველს ჩაიყოლიებს. ოღონდაც, როცა რევოლუციის თემაზე მორიგი მოთხრობა იწერება, რამე ახალი სათქმელი უნდა გვექონდეს. ეს მოთხრობა კი მრავალგზის ნათქვამის ერთხელაც გამეორების შთაბეჭდილებას ახდენს.

უშანგი რიჟინაშვილის მოთხრობა „დათიკო-ბანკირი“ ორ ნაწილად შეგვეძლო დაგვეყო. მეორე ნახევარში მოყოლილია ქუთაისელი ძმების ამბავი, რომლებიც საოცარი ძალ-ღონით გამოირჩეოდნენ. ყველაზე უმცროსი დათიკო გერმანელ მოჭიდავეს გაჰყვა ევროპაში, თვითონაც ცნობილი მოჭიდავე გახდა, შემდეგ კი საბანკო საქმე აითვისა შვეიცარიაში. ბოლოს ქუთაისში დაბრუნდა და ბანკის გამგებლად დაინიშნა. და აი, დათიკო-ბანკირმა ექსტრემალურ სიტუაციაში, დიდი ხანძრის დროს ვაჟკაცობა გამოიჩინა — მესამე სართულიდან ჩამოიტანა ოცფუთიანი სეიფი. ამან ნელში მოწყვიტა და სამუდამოდ დაახეიბრა. მოთხრობის ეს ნაწილი მშვენივრად იკითხება. რაც შეეხება პირველ ნაწილს, იგი ზედმეტი მგონია. ეს არის ერთგვარი ექსპოზიცია, რომლის ერთი გმირი მეორეს სთხოვს, დათიკო-ბანკირის ამბავი მიახბეო. ამ შესავალმა მოთხრობის მოცულობის ნახევარი ნაილო, რაც წონასწორობას არღვევს მთავარსა და მეორეხარისხოვანს შორის.

ნესტან კვეციძის მოთხრობა საკუთარი სათაურის ილუსტრაციაა. სათაურია „გასვლითი წარმოდგენა“ (2) და ავტორი გვიყვებ-

ბა თუ როგორ მიემგზავრება პროვინციული თეატრი გასვლით წარმოდგენაზე. ამ მოთხრობაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი...

II

რევაზ ნაჭყებიას რომანი „ჯუჯა ალვის ხეები“ აღმანახის მე-3 ნომრიდან იწყება. ვფიქრობ, მასობრივი მკითხველი მას არ ეყოლება. ეს ჩემი განცხადება ნეგატიური არ გახლავთ. რომანის ტექსტი მთლიანად ასოციაციებზეა აგებული, მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად ძნელად მისაწვდომი ქვეტექსტებითა და სიმბოლოებითაა დატვირთული. ტექსტი ხშირად რეზუსივით ძნელი ასახსნელი ხდება. კლასიკურ ტექსტში თუ ვიტყვით: ყვავს ქვა ვესროლე და ვერ მოვახვედრეო, ნაჭყებია წერს: „ქვა მოვიძებნე და გავისროლე. ყვავი აღარ დაუხვდა კიბის საფეხურზე ქვას“. ჩვენ ვიტყვით: „ბიჭი ატირდა“, ნაჭყებია წერს: „ცრემლი — წითელი ხარი ამოაზანზარებდა, ამოაბდღვერებდა აღმართს, და წვალობდა ბიჭი, მეყსელად მის ზურგზე მოქცეული, მის რქებს სიმწრით ჩაფრენილი, ნესტოებდაბერილი და ნიკაბმოცახცახე“. ანდა, მაგალითად, ასეთი ფრაგმენტი: „ყვავილი მიატოვა შავმა პეპელამ. თეთრ ყვავილზე იჯდა პეპელა. მამამ ერთხელ სურათი ჩამოხსნა კედლიდან. კედელზე სითეთრე დარჩა, როგორც დედაჩემის თითზე მერე. ზღვამ წაართვა იმ თითს ბეჭედი, თანაც, იმხნობას უკვე თაბაშირმემოხსნილი ჩემი ძმის თოთო სითეთრესაც ელამუნებოდა ზღვა...“ შავი პეპლის ფონზე თეთრი ყვავილი, სითეთრე კედელზე, სითეთრე თითისა, ნათაბაშირევის სითეთრე... მოკლედ, მთელი რომანი უდავოდ ნიჭიერად ურთიერთდაკავშირებულ ასოციაციებზეა აგებული, მაგრამ ისეა გადატვირთული, ყოველივეს ამოხსნა, ალბათ, შეუძლებელიცაა. როგორც კი თავს ამოვყოფთ ამ რეზუსებიდან, უმაღვე წავანყდებით მწერლური მომხიბლველობით აღსავსე პასაჟებს. ეს ის ადგილებია, როცა მკითხველი ლაბირინთიდან გადის და თხრობის მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულ დინებას მიჰყვება... ჯამბაკურ ერისთავისა და საშიკოს დიალოგები, კაკი ექიმის მიერ დემნას მკურნალობის ამბები, ხეიბრის დაგორება დაღმართზე, კაკისა და დედაკაცების ამბავი და მსგავსნი... მთელ რომანს გასდევს სიმბოლოების სისტემა: მეძაღლის ამბავი, ძაღლის მისიკვდილება, კუბო

ან უნიჩხო ნავი, შვიდი დედაკაცი, შვიდი ჯუჯა ალვის ხე და ა. შ. ერთგან მუნჯი დემნას სიტყვებია მოყვანილი: „ის ჯუჯა ალვის ხეები არ იზრდებიან. არხთან დგანან, მე ხომ ვრწყავ და ვრწყავ... რატომ არ იზრდებიან, ა?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლი არაა. ვინც მას პასუხს გასცემს, ის ამ რომანსაც დაუძებნის გასაღებს. ასეა თუ ისე, რომანის ტექსტი ავტორის ფართო ნიჭიერების დადასტურებაა, მაგრამ მსგავსი პოეტიკით დაწერილ ტექსტს ახლავს ერთი ნაკლი: ამდენ ასოციაციასა და სიმბოლოს ამოხსნაში ჩართულ მკითხველს ხელიდან ეცლება არცთუ უმნიშვნელო რამეები, თუნდაც გმირთა პორტრეტები... თითქმის მთელი რომანი ხიტას მონოლოგია, მაგრამ როგორც ხიტას, ისე სხვა მთავარი გმირების (რომ არაფერი ვთქვათ მეორეხარისხოვან გმირებზე!) პორტრეტის წარმოდგენა ჭირს, ძნელი გასარკვევია დრო-ჟამი, სოციალური ვითარება, მოტივაცია და ა. შ. ეს მოთხოვნები რომ წამოვაყენე, შევეჭვდი. ყოველივე ეს კლასიკური რომანის თვისებაა და ღირსებაც, მოდერნისტულ რომანში კი ესენი ხშირად მოხსნილია... როგორც არ უნდა იყოს, საკმაოდ არაორდინალურ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე და იგი ასევე არაორდინალურ მიდგომას საჭიროებს...

ამ რომანის გარდა აღმანახის მე-3 — 6 ნომრებში საკმაო რაოდენობის ნიჭიერებით ბეჭედდასმული პროზაული ნაწარმოებები დაიბეჭდა. ამკარაა რედაქციის მცდელობა, ჟანრული მრავალფეროვნებით გაამდიდროს აღმანახის პროზა და, ამავე დროს, თამამად წარმოაჩინოს ჩვენი არსებობის მტკიცენიული შრეები.

გურამ გეგეშიძის პატარა მოთხრობაში „მოხუცი ქალი“ (3) მოყოლილია ერთი უპრეტენზიო, ნათელი ამბავი კეთილშობილი ადამიანის ნინა ლევანოვნას ცხოვრებისა. როგორც ავტორს ჩვევია, ამ მოთხრობის ღირსება მის სინტაქსშია. აქ არ არის რაიმე ზედმეტი სამკაულები. ავტორი არ ცდილობს თავი მოგვანონოს. იგი გვიყვება ჩვეულებრივსა და ტრაგიკულ ბედს ქალისა, რომლის მეუღლე რეპრესიებმა იმსხვერპლეს, გაზარდა ერთადერთი შვილი, რომელიც უკვე ვერ უგებს, და ისე შეაბერდა ცხოვრებას, რომ საბოლოოდ არცთუ სასიხარულო დასკვნა გააკეთა: „რა ყოფილა ეს ცხოვრება?! რა დამრჩა? აღარც არაფერი მახსოვს!..“

ამავე ნომერშია დაბეჭდილი რევაზ მიშველაძის ხუთი ნოველა. თითქოს არცთუ დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ქართველი მკი-

თხველი საზოგადოება რევაზ მიშველაძეს იცნობდა როგორც ლიტერატურათმცოდნესა და კრიტიკოსს, მკაცრი, უშეღავათო კრიტიკოსის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მისი ყოველი პუბლიკაცია, თუ ტრიბუნაზე გამოსვლა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდებოდა. აი, ასეთი მებრძოლი კრიტიკოსის ამპლუა გვეგონა მისთვის ზედგამოჭრილი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მწერალმა თითქოს განზე გადადო კრიტიკოსის კალამი და ნოველების ავტორად მოგვევლინა. რა თქმა უნდა, „ერთ მშვენიერ დღეს“ პირობითადაა ნათქვამი, თორემ მწერლის ლაბორატორიაში, ალბათ, საკმაოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა. რევაზ მიშველაძის ნოველებმა ჯეროვანი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ქართულ პროზაში. მისთვის დამახასიათებელია ენის სინამდვილე, თხრობის სინტაქსი, სატირა და მძაფრი კრიტიკული ალლო, ტიპებისა და ოსტატური კოლიზიების შექმნის უნარი. თანამედროვე ცხოვრებაში არ არსებობს რაიმე მტკიცენიული — ეროვნული, სოციალური, ზნეობრივი პრობლემა, რომელსაც მწერლის კალამი არ შეეხო და ამის შედეგი ყოველთვის გახლდათ დაკვირვებული კვლევა, ზუსტი დიაგნოზი... ამასთან, მწერალი ნაყოფიერი შემოქმედი, მისი ფანტაზია და ცხოვრების ცოდნა უშრეტია. „განთიადის“ ეს ხუთი ნოველა მტკიცენიულ პრობლემებს ეხება. „ხეო სიცოცხლისა“ — ატომური ელექტროსადგურის ავარიის მოტივზეა დაწერილი; „მანანა“ — ქალიშვილის დამოუკიდებელ ასპარეზზე გამოსვლის პრობლემა დასმული; „ელდა“ — სამართალდამცავი ორგანიზაციის საქმიანობის საძრახისი მხარეა დანახული, როცა მილიციის თანამშრომლები მზად არიან სიყალბეზე ააგონ თავიანთი მუშაობა, ოღონდ კი ხელმძღვანელებს თვალში ნაცარი შეაყარონ; „კატასტროფა“ — გვიყვება თვითმფრინავის დაღუპვის ტრაგიკულ ამბავს. ეს შემთხვევა ავტორს გამოყენებული აქვს, რათა ერთხელ კიდევ დაგვისურათხატოს უსულგულო ბიუროკრატის მრავალსახეობა, როცა საკონსულოს თანამშრომლისათვის ინსტრუქციის რომელიღაც ბრიყვული პუნქტი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, ვიდრე ადამიანთა სიცოცხლე... საგანგებო განსჯის საგანია „ჩიტების დარდი“. უცხოეთის რომელიღაც ქალაქში ენცობა საერთაშორისო კონფერენცია მცირერიცხოვან ერთა ბედ-იღბალზე. ეს ტიტულირებული ვაი-მეცნიერები მსჯელობენ იმის თაობა-

ზე, რომ მცირე ერთა ენები უნდა გადაიხარშოს დიდი ერების ენებში. ამა თუ იმ ენაზე რაკი ბევრნი ლაპარაკობენ, ეს მონუმენტული პროგრესულობას. ისინი მერცხლის ბუდეს თავგამოდებით იცავენ, მაგრამ სრულიად გულგრილად, აუღელვებლად კამათობენ ენათა დაღუპვაზე. რა თქმა უნდა, დღეს ამკარად ასე არავინ მსჯელობს, მაგრამ დიდ ერთა ნაკლებმოაზროვნე, შოვინისტურ წრეებში მსგავსი ექსცესები მართლაც ხდება. ნოველის გმირი კაპია შერვაშიძე, ბუნებით გაუბედავი და მორიდებული კაცი აღშფოთებულია ჩვანჭურის წარმომადგენლის გამოსვლით. ტრიბუნაზეა სურკის სოსისელი, ტიპური კოსმოპოლიტი, რომელიც დიდი ენის მონობაში ჩამდგარა და საკუთარი უარუყვია. სამწუხაროდ, ჩვენს შორისაც ცოტა როდია, ვისაც „სპარსთა ენისა სიტკობმან...“ და ა. შ. კაპია შერვაშიძემ ეროვნულ რენეგატს თვალი აუხილა. ამ უკანასკნელმა თავი ჩამოიხრჩო და დატოვა წერილი: „მე გამაბრეყვე!“ (სამწუხაროდ, რენეგატებს არც ისე იოლად ეხილება თვალი!). მწერალს სითამამეს ვერ წაართმევ. მწერლური სითამამე ვაჟკაცობაში მაშინ გადადის, როცა ადამიანური და ეროვნული არსებობის მტკივნეულ პლასტებს დაურიდებლად გახსნის.

თეიმურაზ ლანჩავას ნოველებს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. ამჯერად მწერალმა წარმოადგინა ოთხი პატარა ნოველი: „კახპა“, „დიავნოზი“, „ლორი“ და „მალალო“. მწერალს მახვილი თვალი აქვს, მასალას კარგად ფლობს, ღრმად წვდება გმირის ფსიქოლოგიას, იუმორის გრძნობითაა დაჯილდოებული. იგი ამხელს ადამიანთა ქვენა გრძნობებს. ეს ლოკალური, წვრილი ამბები, ცხადია, ლიტერატურული კვლევის საგანი უნდა იყოს, მაგრამ მინდა ვთქვა: შესაძლებელია მწერალმა წმინდა ლიტერატურული პოეტიკის თვალსაზრისით სხვებს გაუსწროს, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არაა ჭეშმარიტი მწვერვალების დასაპყრობად, თუ ამას არ ახლავს სურვილი ისეთი თემების ათვისებისა, რომლებიც არსებობის სისხლხორცეულ, ძირეულ სატკივრებს წარმოაჩენს. ეს კი მხოლოდ მწერლურ ქველობას ხელენიფება.

რა არის დაგეროიდი? დაგეროტიპის გამომგონებლის დაგერის გვარი აქ, ალბათ, არაფერ შუაშია, მაგრამ ვია ლომადის მოთხრობაში ასახული სამყარო გროტესკული ასახვაა საზოგადოებრივი ყოფისა დიქტატურის პირობებში. ეს არის ზარდაძევი პორ-

ტრეტი ისეთი საზოგადოებისა, სადაც ყველაფერი ნიველირებულია, სტანდარტულამდეა დაყვანილი, ყოველივე ინდივიდუალური, პიროვნული ტრეტირებულია, რეპრესირებულია, ჩანასახშივია ჩახშობილი... აქ პიროვნული დიქტატურისათვის დამახასიათებელი ყოველნაირი პრობლემაა გაშუქებული — სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, აღზრდისა, მეცნიერებათა, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისა. ესაა წერილი-ტრაქტატი უბრალო დაგეროიდისა, რომელსაც მთლიანად არ ჩახშობია ადამიანური ოცნების უნარი და თავის შვილს სწერს საკუთარი და ქვეყნის ტრაგედიის ამბავს: „ვეცდები, მოგწერო ყველაფერი, რასაც ვხედავ და ვგრძნობ, დასკვნები კი, თუ შესძლებ, თვითონვე გააკეთე“. წერილ-ტრაქტატში ჩართულია პასაჟები დიადი დაგეროიდის ცხოვრებიდან, მისი აზრები სხვადასხვა მოვლენებზე, აგრეთვე საიდუმლო აგენტების კანცელარული სტილით შეთხზული მიმონერა. უზარმაზარი გუმბათით მთელი სამყაროსაგან იზოლირებული დაგეროიდების საზოგადოება სრული პროფანაციაა დემოკრატიისა და თავისუფლების ცნებისა. აქ აბსოლუტურად ყველაფერი რეგლამენტირებულია და ემორჩილება მხოლოდ და მხოლოდ დიადი დაგეროიდის ნებას. მოთხრობაში გაბნეულია არაერთი პირდაპირი მინიშნება. „იზრდება ძალაუფლება — მრავლდება მტერი“ — ესაა პერიფრაზი სტალინის ცნობილი დებულებისა, სოციალიზმის განვითარების კვალობაზე კლასობრივი ბრძოლა მწვავედებაო. მთელი ქვეყანა მოუცავს ტოტალურ დასმენას, მიყურადებას, ბიუროკრატიული იერარქიის საფუძველთა განმტკიცებას, მილიტარიზაციასა და სამხედრო მუშტვრას, უცხოეთისადმი მტრობას, შიშის პროპაგანდას და ა. შ. ავტორს, სხვათა შორის, პოეზიაც არ გამოორჩენია: „დაგეროიდული პოეზიის ნიმუშების კითხვისას, განუწყვეტელი სააღლუმო მარშების ხმები გვესმის თითქოს, დაგეროიდული პოეზიის მთავარი თემაა დიადი დაგეროიდი. აქაური პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებიან დიადისადმი ხოტბის შესხმაში“ და ა. შ. „დიადი დაგეროიდისადმი მიძღვნილმა პოეზიამ აქაური პოეტები ერთმანეთის დაუნდობელ მტრად, კონკურენტებად აქცია. ისინი განუწყვეტლივ მთელი თავისი გრძელი თუ მოკლე ცხოვრების მანძილზე ეჯიბრებიან ერთმანეთს, თუ ვინ უკეთ და ვრცლად შეასხამს ხოტბას დიად დაგეროიდს; მათი

ყოფა და ცხოვრებისეული პრივილეგიები პირდაპირპროპორციულია მათ მიერ დაწერილი ლექსების რითმებისა და სტრიქონებისა. ჯერჯერობით დაგერიოდა პირველი პოეტის გვირგვინი „ხელოვნების სამმართველოს“ მმართველ პოეტ დაგერიოდა ადგას თავზე. იგი ინტენსიურად მუშაობს სახოტბო პოეზიაში და აქვეყნებს დიადი დაგერიოდასადმი მიძღვნილ პოემების ციკლს. ციკლი დაყოფილია შემდეგ შინაარსობრივ ეტაპებად: „ყრმობა“, „სიჭაბუკე“, „ბრძოლა“, „გამარჯვება“ და „მიზანი — კეთილდღეობა ჩვენი!“ და ცოტა ქვემოთ: „საერთოდ დაგერიოდა ხელოვნების წარმომადგენელთა საოცარი შურიანობა ახასიათებთ. დღედაღამ ერთმანეთის ლანძღვაში არიან და თავიანთი ნაწარმოებების უმრავლესობაში ანგარიშებს (უნდა იყოს — ანგარიშს) უსწორებენ ერთმანეთს...“ „შინაგანად ყოველი პოეტი დაგერიოდა ებრძვის მმართველ-პოეტს, ჩუმად საშუალო ნიჭის ხელოსანს ეძახიან და ელიან, ელიან ნამს, როცა იგი დიადი დაგერიოდას ნდობას დაკარგავს...“ ნამეტანი გამჭვირვალე მინიშნებებია! ასე რომ გავაგრძელო, მთელი მოთხრობის გადმონერა მომიწევს. ცოტა ადრე, ალბათ, მსგავსი მუხტის შემცველ მოთხრობას ვერავინ დაბეჭდავდა, რადგან დაგერიოდა დიქტატურის სუსხი აქამდეც გვწვდებოდა. თვით მოთხრობა ლოგიკურად მთავრდება: ჩია ტანის დაგერიოდას საპატრულო მანქანა გააქრობს, შვილი კი, სისტემის ჭეშმარიტი აღზრდილი, ვინაც ახლახან საკუთარი მამა დაასმინა, მტკიცე ნაბიჯით, საზეიმო მარშის თანხლებით, მიდის ყაზარმისაკენ... მოთხრობას „კროსვორდი“ (4) ჰქვია. მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური სვეტების შევსება ძნელი არ არის. აქ შეიძლება და ჩაგვენერა ჰიტლერი, მაო ძედუნი, სტალინი, პინოჩეტი, ფრანკო, დიუვალე, იმპერატორი ბოკასა, ვარლამ არავიძე „მონანიებიდან“ და ა. შ. გაალომაძემ ერთხელ უკვე გამოიჩინა თავი „თაბაშირის კაცით“. „კროსვორდი“ თამამი, კარგად გააზრებული მოთხრობაა, რომელიც ზუსტად ახვედრებს მიზანში.

რევაზ ინანიშვილის ორი მოთხრობა „აბრიშამ“ და „უფლისციხე“ (5) კიდევ ერთი დადასტურებაა მწერლის მაღალი პროფესიონალიზმისა. ჩემს თავს უფლებას არ მივცემ ბატონი რევაზის მწერლურ ღირსებებზე ვიმსჯელო ამჯერად. მისი პროზა საყოველთაოდაა აღიარებული, არც კრიტიკოსთა ყურადღება აკლია და

არ მინდა მავანთა დასკვნები გავიმეორო, რამეთუ ბოლომდე ვეთანხმები კრიტიკოსთა პოზიტიურ შეფასებას. რაც შეეხება ამ ორ მოთხრობას, ამათაც ჩვეული ოსტატობა, სინრფელე და დახვეწილობა ახასიათებთ. რევაზ ინანიშვილის მწერლურ სავაზნეში ჯერაც საკმარისი დენთია და მკითხველი ყურადღებითა და სიამოვნებით ნაიკითხავს მის ყოველ ნოვლას.

აღმანახის ამავე ნომერშია გამოქვეყნებული ოტია იოსელიანის „მკვლელები“. იგი ერთგვარად აკაკის „გამზრდელს“ ეხმინება. დადუ მასწავლებელი ზნეობის მაღალ მოთხოვნილებებს უყენებს თავის ნამონაფრებს. როგორც კი გაიგებს, რომ მისი ქალიშვილი და ნამონაფარი საქმოსნები გამხდარან, იქვე მოკვდება. მოთხრობა დაწერილია ავტორისათვის ჩვეული სტილით.

ამირან კალაძე უაღრესად ნიჭიერი და მრავალმხრივი მწერალია. გული მწყდება, რომ ვითარცა სხვა ჩემს კოლეგებს, აუარებელი წელი შეაღია იმ ზღუდის გადალახვას, მწერლობის ჩინოვნიკებმა რომ აღმართეს ახალგაზრდული ლიტერატურის გზაზე. მეორე მხრივ, იმასაც ვფიქრობ, რომ საბედნიეროდ არ გამართლდა იმ ჩინოვნიკთა აზრი, რომელთაც ეგონათ, ჩემს შემდეგ ნიჭიერი არავინ გამოჩნდებაო. თუმცა, ალბათ, არც ახლაა ჩვენი თაობის მწერალთა გზა ია-ვარდით მოფენილი. ამირან კალაძემ მრავალგზის დაამტკიცა, რომ კარგი მთარგმნელია, კარგი პოეტი და კარგი პროზაიკოსია. იგი მაძიებელი კაცია, ექსპერიმენტებს არ ერიდება, ფორმალური ექსპერიმენტები კი ჩვენს წრეში მაინცდამაინც მომგებიანი არ არის იმათ თვალში, ვინც ლიტერატურულ ინდულგენციებს არიგებს. ამჟამად ამირან კალაძის მოთხრობას ჰქვია „დასაშვები გადახრის ზღვარი უდრის ნულს“ (გროტესკი დაწყვეტილი სიმებისათვის). თავიდან ავტორი თითქოს გვეთამაშება, გულუბრყვილოდ გვითრევს სამუსაიფოდ, განგვანყოფს ამბის მოსასმენად, ცოტათი გველაზლანდარება კიდევ. მერე შეუმჩნევლად შემოგვაპარებს მინიშნებებს რომელიღაც ნაცრისფერ სახლზე, დაწესებულებაზე, სადაც ლიფტით აღიან და ფსიქიატრები თავიანთ პაციენტებს იკვლევენ. პაციენტი სულ ხუთია. აქ გიჟის სინონიმი „ჩარჩოდან გამოსული“. ამ ხუთიდან ერთი ჯერ კიდევ ჩარჩოშია, ე. ი. ნორმალურია და ჩვენ გვინვევენ იმ ერთის გამოსაცნობად. ამის შემდეგ ვკითხულობთ პაციენტთა დახასიათებებს და მათს მონოლოგებს. ამ სიგიჟენარე მონოლოგებში, ან მონოლოგთა

ფრაგმენტებში არცთუ იოლად გასააზრებელი სიბრძნეც იმალება... „აღბათ რამხელა უბედურებაა, თუკი მარცხენას სწორედ იმ რწმენის საწინააღმდეგოდ აგანევენებენ, რომელსაც ოდესმე უყოყმანოდ შესწირე მარჯვენა!“ „მაშინაც კი, როცა ხის ტოტზე გადმოკიდებულ ყულფზე ენაგადმოგდებული კაცია ჩამოკონწიალებული, ხე აბსოლუტურად თავითვის დგას და ცოცხლობს, კაცი კი თავისთვის ჰკიდია და კვდება... მათ შორის იოტისოდენა კავშირის დამყარებას თოკიც ვერ ახერხებს...“ და ა.შ. არცთუ ვრცელი მოთხრობა რთული აგებულებისაა და ღრმა ქვეტექსტებს შეიცავს, სადაც ერთმანეთში შერწყმულია ცხოვრებისეული და კვირვებები და ავტობიოგრაფიული მინიშნებებიც. მის მრავალპლანიან შრეებში ჩასაღწევად მოთხრობის უფრო დანვრილებითი განხილვაა საჭირო, რისი პრეტენზია მიმოხილვითი წერილის ავტორს ვერ ექნება.

აღმანახში გამოქვეყნდა კიდევ რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც გარკვეულ ლიტერატურულ დონეს აკმაყოფილებენ, მაგრამ მკაცრი მომთხროვნელობის შემთხვევაში ავტორთა წარმატებად ვერ ჩაითვლება. ეს ავტორები გამოცდილი მწერლებია, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მწერლის ყოველი ნაწარმოები თანაბარი წარმატების საწინდარი ვერ იქნება... დავით კვიციანიძის მოთხრობა „კაცი ჯოჯოხეთიდან“ (6) გვაცნობს ტრაგიკულ ამბავს გოგი ტურბელაძისა, რომელმაც ინვანია ომის, ტყვეობის, პარტიზანობისა და ბოლოს სამშობლოში კვლავ უსამართლო სასჯელის მძიმე ხვედრი. ავტორი დანვრილებით გვამზადებს ძნელ ბედთან შესახვედრად. მოთხრობაში ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ, გულწრფელი თუ ვიქნები, ამ ამბავმა ოდნავადაც ვერ ამაღელვა. თუმცა პეტიტივით აწყობილმა ექსპოზიციამ, სათხარზე გასულ ორ გლეხს რომ შეეხება, უფრო მაღალი რანგის ნაწარმოებთან შესახვედრად განმანყო. რაც შეეხება საკუთრივ მოთხრობის ტექსტს, მიუხედავად ტრაგიკული ამბების ჩამოთვლისა, მას აკლია ექსპრესია, ემოციურობა, უბრალო მოყოლა კი მკითხველზე თუნდაც იმიტომ არ მოქმედებს, რომ ანალოგიური ამბები უკვე მრავალგზის წავიკითხავს... ომის თემა, თუ არ ვცდები, ერთი უმთავრესია პატივცემული ავტორის შემოქმედებაში. ამ მხრივ მწერლის პროზა საკმაოდ პოპულარულია. ვფიქრობ, ეს მოთხრობა არაფერს მატებს მწერალს, რადგან მის სტრიქონებში ჯოჯოხეთზე მხოლოდ ლაპარაკია, გოგირდის სუნი კი არ იგრძნობა... ამავე ნომერშია დაბეჭდილი ზურაბ გო-

გიას მოთხრობა „როზალინა“. პოლიტიკატორდელ მიხეილ სიდამონიძეს ვაგონის ერთადგილიან საკანში მეძავი როზალინა შეუგდეს. ამ ამბავს პიკანტურს ვერ უწოდებ, რადგან ეს იყო ბინძური პროვოკაცია. სიდამონიძემ უკიდურესი თავშეკავება გამოიჩინა, თუმცა მისი ქცევა სრულიად გაუგებარი იყო სხვა პატიმრებისათვისა და თვით მეძავი როზალინასთვის... მკითხველზეც ეს ამბავი საორჭოფოდ მოქმედებს... აქვეა როსტომ ბეჟანიშვილის „ესკიზები ჯგუფური პორტრეტისათვის“. აი, ერთი ესკიზი: „სიჭაბუკეში ისიც იყო მემამოხე. ისიც წერდა პაროდებს დამყაყბულ წესებზე და მემჩანებზე. ახლა მან ქონი მოიგდო, იმიტომ რომ სარფიანი თანამდებობა იშოვა და მის დაკარგვას ურჩევნია ცოლ-შვილი დაკარგოს. ამიტომ არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს დაუფიქრებლად. არ მალავს, რომ შეშინებული კურდღელია. სამაგიეროდ გამძლარია და ყოველ დილით, მძლოლი რომ შავ „ვოლგის“ კარებს გაუღებს, მასზე ბედნიერი კაცი ქვეყნად არავინაა...“ ამგვარი უსახელო, ანონიმური ესკიზები მძივივითაა ასხმული, მაგრამ მთლიანობის შთაბეჭდილებას მაინც ვერ ახდენს, მკითხველს ეკარგება დედააზრი.

დაბოლოს, მინდა შევჩერდე კიდევ ერთ ნაწარმოებზე:

„მე ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს!..“

„ბევრჯერ შევხვედრივარ და ავდევენებივარ.“

როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუვლიდი გარშემო, და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვე, ფეხისწვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქით...

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავწყნარდი და თვალი კედლებსა და თალებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი. ტაძარში ტაძარი დამხვდა და ეს ტაძარი კიდევ მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა...“

ეს ციტატა ვახტანგ ჯავახაძის აპოლოგიიდან ამოვიწერე. აპოლოგიას „უცნობი“ ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი წუთითაც არ შორდება დოკუმენტს, ფაქტს, მაინც მიმაჩნია, რომ ეს ნაწარმოები უაღრესად მხატვრულია, იგი მხატვრული პროზის კუთვნილებაა. ადრე ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რევაზ თვარაძის წიგნმა გაკლაკტიონზე, დიდი ინტერესით წავი-

კითხე ნოდარ ტაბიძის ნიგნიც. ჩემი აზრით, ისინი იყო პირველი ცდები ჭეშმარიტებასთან მიახლოებისა. ესეც ჭეშმარიტებასთან მიახლოებაა, რადგან რაც უნდა ღრმად გავიგოთ გალაკტიონი, მისი ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია. ჯავახაძის თხრობას ახლავს გულშიჩამწვდომი ინტიმი. ავტორიც კარგად გრძნობს, რომ გვიყვება გენიალურ ბავშვზე და ამიტომაც ყოველი სტრიქონი სათუთი და თბილია. და თუ ხანდახან ელიმება, მხოლოდ მაშინ, როცა დიადის გულუბრყვილობას ნაანყდება. მთელი ტექსტი დანერილია ღიმილიანი ცრემლით ან ცრემლიანი ღიმილით. აქ ყოველ ნიუანსს ეძლევა მნიშვნელობა, რადგან გენიოსის ცხოვრებაში არ არსებობს უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი. ამ აპოლოგიას მე დავარქმევდი მაღალ ტრაგედიას, ოღონდ ოპტიმისტურს, რადგან დიადს, თუგინდ კომიკური ნილაბი ჰქონდეს, ყოველთვის ახლავს ტრაგიკული... ოპტიმისტური კი იმდენად, რამდენადაც გალაკტიონის ტანჯული სული ისეთ სიმაღლეებს ეზიარა, რაიც ძნელად მიიწვდომება.

აპოლოგიის ავტორმა კარგად იცის გალაკტიონის ფასი, ფართოდ გაუაზრებია დღევანდელი პოეზიის ავ-კარგი. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი დასკვნები... „შეიძლება პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ვისაც გალაკტიონის სხივი არ გაჰკარებია, ღირსეულიც არაფერი შეუქმნია...“ ვახტანგ ჯავახაძე, თვითონაც თანამედროვეობის ერთი თვალსაჩინო პოეტი, პოეზიის მერმისს ასე ხედავს: „მომავალ ქართველ კლასიკოსს ერთი სახელი ერქმევა: ანტიგალაკტიონი...“ დაბოლოს, „მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!“

ვფიქრობ, ვახტანგ ჯავახაძის აპოლოგია „უცნობი“ გამორჩეულია არათუ „განთიადის“ პუბლიკაციებში, არამედ საერთოდ გასული წლის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ „განთიადის“ 1987 წლის პროზა მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა. აშკარა ნუნჩი მე არ შემხვედრია. სამწუხაროდ, მკითხველთა ყურადღების ცენტრში იგი ნაკლებადაა. ამ წლიდან პირველად მოენყო ხელმოწერა, რითაც იგი უფრო ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის.

კედელში ჩაშენებული ქვა

„ვერ დავწერე ეს ნიგნი ისე, როგორც მინდოდა“, — ანოტაციაში თქმული სიტყვები მარტო ავტორის თავმდაბლობას როდი მონიშნავს, მას ვერც თვითკრიტიკით კოპნიაობას დავაბრალებთ. ნოდარ წულეისკირს საკუთარი ნაღვანისათვის უმაღლესი საზომი მიუყენებია, დიდ წინაპრებს „ვერ გავეჯიბრეო“ დაუსკვნია და უკმარისობის გრძნობა ვერ დაუფარავს. ეს ის უკმარისობაა, ჭეშმარიტ შემოქმედს მუდამ თან რომ ახლავს, სულს უშფოთებს, მაგრამ ვისაც ლიტერატურა ბრძოლის ასპარეზად აურჩევია, ის უკან ვერ დაიხევს, ისევ და ისევ დაადგება თავის გოლგოთას, ისევ და ისევ შეეცდება გადალახოს ზღუდე, რომლის მიღმა სრულყოფილება ეგულება. უკმარისობის ეს გრძნობა სასარგებლოა მწერლისათვის, რადგან მას მუდამ საბრძოლველად განაწყობს, აბსოლუტური სრულყოფილება კი, ალბათ, მიუღწეველი რამ არის, მის იქით ხომ გასაკეთებელი არაფერი დარჩებოდა.

იმთავითვე მინდა ვთქვა, ვერ ვიქნები ავტორივით მკაცრი. ამ ნიგნში შესულ რომანსა და ნოველებს უკვე იცნობს ქართველი მკითხველი. მათ საკმაოდ საპატიო ადგილი უკავიათ დღევანდელ ქართულ პროზაში. რომანი „თუთარჩელა“ არაერთხელ გამხდარა კრიტიკოსთა მსჯელობის საგანი, მრავალგზის აღინიშნა მისი ლიტერატურული ღირსებები. ამჯერად კი მინდა ნიგნში შესულ ნოველებზე ვილაპარაკო.

როდესაც მწერალ ნოდარ წულეისკირზე ვფიქრობ, უმაღლესი თვალწინ დამიდგება მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნოველის გმირი — პენსიაზე გასული მასწავლებელი პანტე. მხედველობაში არა მაქვს ნაწარმოების პერსონაჟისა და ავტორის გაიგივება; მაგრამ ამ პერსონაჟში არის რაღაც პირადული, გამორჩეული, ფიქრში ნალოლიავეები. მეჩვენება კიდევ, რომ მწერალს აქვს თავისი „აღმაშენებლის ქვა“, დიდი რუდუნებითა და გულმოდგინებით ცდილობს ჩვენი ლიტერატურის კედელში მის ჩაშენებას. ალბათ ამიტომაცაა, რომ ნიგნს გარეკანზე აწერია ნოველის სახელწოდება: „დავით აღმაშენებლის ქვა“.

პანტე მასწავლებელი მავანთა თვალში ერთი ახირებული პიროვნება ჩანს. ის კი არა, ზოგიერთები „ინტრიგანის, კარიერისტის, ცრუ მოღვაწის სახელსაც აბრალებენ. შვილსაც კი საყვედური ჰკადრა, „ოხვამეკარი... შემოაკავე და შიგ შენი ძროხის საბალახო და სადგომი გამართე“. ყოველივე ეს პანტეს სწყინს, მაგრამ ბერიკაცი ნაბიჯითაც კი არ თმობს თავის პრინციპულ პოზიციას. მას მიაჩნია, რომ ოხვამეკარში დაგდებული ქვა დავით აღმაშენებელმა მოიტანა თავისი ხელით. ამიტომ იგი უნდა შევეუნარჩუნოთ შთამომავლობას. ის არ ერიდება ხარჯებსა და ახლობლებთან კონფლიქტსაც, ჯიუტად ცდილობს ოხვამეკარში კვლავ ჩაადუღაბოს იქიდან ჩამოვარდნილი ქვა. შეისრულებს კიდეც ნადილს, მაგრამ ამ საქმეს შეენიერება. ქვის ჩაშენება მოხუცი მასწავლებლისათვის იგივეა, რაც მტრის წინააღმდეგ ხმლის ქნევა ჩვენი შორეული წინაპრისათვის. „პანტემ პირველმა იძრო ხმალი. პირველმა შესძახა მცირე სპას „ჰკა მაგასო“, ე. ი. მოხდა გმირობა. პანტე გმირული სულიერი წყობის ადამიანია. ის დგას თავისი ერის ინტერესთა სადარაჯოზე. რასა კვირველია, პანტეს ომი ოდნავადაც ვერ შეედრება დიდგორის ბრძოლას, მაგრამ პანტე მასწავლებელი იმ დროს რომ დაბადებულიყო, მაშინაც თავისი მოვალეობის ერთგული იქნებოდა, რადგან ეს ერთგულება მისი პიროვნული თვისებაა. ამას სხვებიც კარგად გრძნობენ. პანტეს ცოლი ნათელა მაინცდამაინც ვერ ჩასწვდომია მეუღლის ახირების მიზეზს, მაგრამ ინსტინქტურად გრძნობს ქმრის სიმართლეს და შეეხვეწება: „მე მაპატიე, ანდრეს აპატიე, მთელ ქვეყანას აპატიე...“

პანტეს გმირობაში არაფერია უჩვეულო. არც პანტეა ქვეყნისაგან გამორჩეული დევგმირი. სოფლის ერთი რიგითი მასწავლებელი გახლდათ და პენსიონერიც ისეთია, როგორიც ათასი სხვა. იქნებ ამიტომაცაა მომხიბლავი მისი სიჯიუტე და ახირებულობა. პანტეს ნაირთა უჩინარი ფუსფუსი რომ არა, შეიძლება საკუთარი წარსული დაგვაინყდეს, საკუთარ მეს ველარ ვცნობდეთ, მომავალი არ გვანუხებდეს. პანტე რომ დაილუპა, ის ოხვამეკარის ეზოში არ დაასაფლავეს. შვილის აზრით, „არ იყო საჭირო მეტიჩრობა, მამამისი ჩვეულებრივი, რიგითი პედაგოგი იყო და ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის სიკვდილით მოკვდა. სადაც ყველა, ისიც იქ უნდა დაესაფლავებინათ“. „ჩვეულებრივისა“ და „რიგითის“ ასეთი დაუჩინებელი ხაზგასმა ნაწარმოებს განზოგადების ხარისხს მატებს.

პანტე მასწავლებლის მოწინააღმდეგენიც ჩვეულებრივი არიან. ზოგიერთი მათგანი, თუნდაც პანტეს ნამოწაფარნი ვაჟო და ბუჭუ ბოროტმოქმედთა სიაში არც ჩაითვლებიან. ისინი უფრო ვითარების მსხვერპლნი არიან. მათ გულწრფელად სჯერათ, რომ პანტე მასწავლებელი „აფრენს“. ეს ახალგაზრდები ვერ ასულან პანტეს მისწრაფებათა გაგებას და არც ცდილობენ ამას. მათ თავის დროზე არავინ ასწავლა მაღალი ზნეობრივი პრინციპები, საზოგადოებრივის პიროვნულზე მაღლა დაყენება, პატივისცემა საკუთარი წარსულისადმი. თუმცა ნოველაში ამაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ აქ, ალბათ, პანტესაც მიუძღვის ამაში ბრალი. ისიც ხომ მასწავლებელი იყო. ვაჟოსა და ბუჭუსნაირი ტიპები ცხოვრების თვითდინებას მიჰყვებიან და ხშირად მართლაცდა ბოროტმოქმედთა (თუნდაც დათიკო ვასილიჩის) იარაღი ხდებიან.

დათიკოს შესახებ ჩვენ თითქმის ვერაფერს ვგებულობთ, გარდა იმისა, რომ ის დიდი თანამდებობის კაცია, ფულიანიცაა, იმდენად ძლევა მოსილია, რომ მაინცდამაინც ამ ქვის დარდით არ მოკვდება: „დათიკო ვასილიჩის ის ქვა შემდეგ არასოდეს გახსენებია, არც მისი კედელში ჩაშენების ამბავი გაუგია. უკეთესი ქვა ჩამოუტანია საიდანაც და ბუხარი მოუპირკეთებია“. ამ ქვას კი, ჩვენ ხომ ვიცით, ადამიანის სიცოცხლე შეენიერა. აქ ნამოგვეჭრება კითხვა. შემთხვევით ხომ არ ჰქვია ამ პერსონაჟს დავითი? (ისე შორს არ წავალ, რომ მამის სახელსაც საგანგებოდ ხაზი გავუსვა!). დიდი დავით აღმაშენებლის სეხნიას (ამასაც „ასაშენებელი“ აქვს, ოლონდ საკუთარი ბუხარი) „ძლიერება“ კომიკურია. დიდი დავითის სახელში საქართველოს მთელი წარსულია გაიგივებული. მეორე დავითი კი პირველის ანტიპოდი, ერის ისტორიის თვალსაზრისით სრული არარაობაა. შეიძლება ეს პერსონაჟი სოციალურად იმდენად საშიში არც იყოს, რამდენად სხვა რიგის ადამიანები, ვინაც ამ ქვეყნის ავი და კარგი მშვენივრად იციან, მაგრამ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სინდისზე თვალს ხუჭავენ. „ჩემი შვილი დაწრიალებს ტყემალნაჭამი ძაღლივით, ჩემია მკვდარი და რა ვქნა?“ — გულისტკივილით ამბობს პანტე მასწავლებელი თავის შვილზე ანდრეზე, ვისაც „დიდი კაცების“ გაბრაზება ტყვიასავით აშინებს. ანდრე და მისთანები რომ არა, დათიკოებს რა გაახარებდა ამქვეყნად?

ნოველა „დავით აღმაშენებლის ქვა“ მრავალნახნაგოვანი ნაწარმოებია. მინდა გამოვყო რამდენიმე საკითხი: მთავარი პერსონაჟი სიკეთეს ემსახურება, თუმცა მისი მოქმედება სხვათა თვალში სასაცილოც კია; ნოველის მამხილებელი პათოსი (დათიკო ვასილიჩი, ანდრე და სხვ.); ავტორისეული „სერიოზული იუმორი“... ეს საკითხები იმიტომ გამოვყავი, რომ სხვა ნოველებში ამ სამიდან ხან ერთი ტენდენციაა წამყვანი, ხან მეორე...

ნიგნის ერთ-ერთ შესანიშნავ ნოველად მიგვაჩნია „ბარკლაი დე ტოლის სიზმრები“. ამ ნოველის მთავარი გმირიც სიმპათიური მოხუცია — დიმიტრი ბარკალაია. ყოფილ მამაც მეომარს სამსახურში ბარკლაი დე ტოლი შეარქვეს, „შეარქვეს და იმ დღესვე პენსიაში გავიდა“. შეიძლება ვიღაცამ სრულიად უბოროტოდ იხუმრა, ბერიკაცის გვარს მიამსგავსა ეს მეტსახელი, მაგრამ დიმიტრიმ ეს დიდ შეურაცხყოფად მიიღო. „დიმიტრის ელდა ეცა. ნეტავ მინა გასკდომოდა და აქ არ მოსულიყო. „ნუთუ მთელი თბილისი მეძახის ბარკლაი დე ტოლის?“ ცივმა ოფლმა გადაასხა“. ერთი შეხედვით გაუგებარი უნდა იყოს უწყინარი ხუმრობის ასე მიღება. ბარკლაი დე ტოლი ხელწამოსაკრავი ისტორიული პიროვნება როდი იყო, მაგრამ დიმიტრიმ იცის თავისი ფასი. მას ბარკლაი დე ტოლად კი არა, ნაპოლეონადაც არ უნდა ყოფნა. „ამხანაგო ნაპოლეონ! მე არასოდეს არ ვყოფილვარ შენი მსგავსი, სურვილიც კი არ მქონია ნაპოლეონი ვყოფილიყავ!“ ასეთი კაცისათვის მეტსახელი მართლაც დამამცირებელი უნდა ყოფილიყო. მამ რატომ გაიმეტეს იგი? ან რატომ ისჯება ყოჩალი ჯარისკაცი დიმიტრი ბარკალაია ერთიმეორეზე უცნაური, თავზარდამცემი, გაუკუღმართებული სიზმრებით? ხომ არასოდეს უღალატნია დიმიტრის თავისი მრწამსისათვის? თითქოსდა მუდამ პრინციპულია მოხუცი ვეტერანი. სიკვდილის ბოლო ნუთამდე მას თან სდევს ომის მოგონებები. სიზმარშიც ახსენდება ფრონტის მეთაური პრეობრაჟენსკი, მინსკთან ბრძოლაში რომ დაიღუპა. ერთხელ ხარკოვშიც გაემგზავრა და მოინახულა ფრონტელი მეგობარი ფედია, უფეხო, გალოთებული ინვალიდი... მამ რა დააშავა დიმიტრი ბარკალაიამ?.. მან ტარანი სთხოვა ჭანჭალეიშვილს! ლომსა და ტყემალს უხდებოდა, ზედაც თუ ადესას დააყოლებდნენ. თითქოსდა რა დიდი ცოდვა ეგ იყო? ჭანჭალეიშვილთან სათხოვართ მისვლამ დიმიტრი ჩაახედა მის-

თვის სრულიად უცხო, ჭუჭყიან ორმოში, სადაც ჭანჭალეიშვილი, თათეიშვილი, სორდია, რუბენა და მისთანები ფულის ხვეჭითა და „ჩანყოებით“ არიან დაკავებულნი. არამარტო ჩაიხედა, ჭუჭყის ნაწილი თან გამოიყოლა. რა გახდა ეგ ორი მანეთის ტარანი? სხვისთვის არაფერი, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცნობთ დიმიტრის პიროვნებას! დიმიტრი ბარკალაიას კინალამ ჭკუა შეერყა, როდესაც მისდამი დაქვემდებარებულმა ჯარისკაცებმა თავი მარჯვნივ კი არა, მარცხნივ მიაბრუნეს. ომის მძიმე დღეებში დიმიტრი ბარკალაია თითის ოდენადაც არ გადაუხვევდა ჯარისკაცისა და მოქალაქის წმინდა მოვალეობას. ახლაც კი, სიკვდილის პირას მისული, ტარანთან ბრძოლაში გართული, იმასლა დარდობს, „შტაბში რას იტყვიანო“. ამიტომაც, რომ ერთი ციციქა ტარანი მის წარმოსახვაში უზარმაზარ ურჩხულად გადაიქცა. დიმიტრისათვის ჭანჭალეიშვილთან მისვლა ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც სტალინგრადის ბრძოლის დროს ზურგში კარტოფილის ჭამა: „სტალინგრადში საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალიზმის ბედი წყდება და სახელგანთქმული მეთაური, ორდენოსანი დიმიტრი ბარკალაია სამზარეულოში კარტოფილს თლის, ხარშავს და მიირთმევს, თანაც თვალეებს აცეცებს, ვინმემ არ დამინახოს, სამზარეულოში რომ ვიმალებიო“. ეს სიზმარი იყო, მაგრამ ჭანჭალეიშვილი და ტარანი ცხადი გახლდათ. აქედან შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე მეტსახელი „ბარკლაი დე ტოლი“ იქნებ არც იყო უწყინარი ხუმრობა, იქნებ მაშინაც გადახდა დიმიტრის რალაც „ტარანისმაგვარი“.

დიმიტრი ბარკალაია ვერ აღმოჩნდა პანტე მასნავლებელივით თანმიმდევრულად პრინციპული. წინა ნოველისაგან განსხვავებით ეს ნოველა უფრო მძაფრი იუმორითაა დაწერილი, რაც ხანდახან აშკარა სატირაში გადადის. ამავე დროს თხრობა სერიოზულია, თვით ამ სერიოზულობაშია ფარული ირონია ჩამარხული, მაშინაც კი, როცა სიკვდილის სცენას აღწერს: „როცა დიმიტრიმ ეს უცნაური, ახალი, ჯერ არნახული და არგაგონილი ქვეყანა იხილა, რა თქმა უნდა, ესეც სიზმარი ეგონა. ღრმად დარწმუნებული, დამშვიდებული მოკვდა. „ახლა გავიღვიძებო“, — უკანასკნელ ნუთამდე ასე ფიქრობდა“.

სიმართლისათვის კიდევ ერთ მეზობლს გვაცნობს ნოველა „ციციერონა“. დიმიტრი ბარკალაიას მსგავსად ერთ-ერთი დაწესე-

ბულების ბუხჰალტერს ძია ვანოსაც მიეკერა მეტსახელი — ამჯერად „ციცერონა“. ძია ვანო ჩვენი ცხოვრების განანესის ოდნავ დარღვევასაც ვერ ითმენს. სადაც კი სიმრუდეს დაინახავს, ბრძოლაში თავგამოდებით გადაეშვება და არაფერს ანგარიშს არ უნევს. ასეთი დაუდგარი ადამიანი ერთი შეხედვით თანაგრძნობას უნდა ინვევდეს, მისი კი ვერავის გაუგია, ყველანი დასცინიან, მის მართალ სიტყვას არაფრად აგდებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ძია ვანო წვრილმანებს დასდევს კუდში. მას არ ძალუძს ცხოვრებაში უამრავი შეუსაბამობიდან შეარჩიოს უმთავრესი, უფრო მნიშვნელოვანი და იმის წინააღმდეგ გაილაშქროს. მეორეხარისხოვან დარღვევასთან ყოველწუთიერი შეტაკება კი უარეს შედეგს იძლევა. ძია ვანო სამართლიანად შეეკამათა ავტობუსის მძღოლს, მაგრამ ამან მთელი ტრანსპორტის გაჩერება და უამრავი ხალხის მოცდენა გამოიწვია. ამიტომაც, რომ კეთილი ქმედების საპასუხოდ ის მუდამ შეურაცხყოფას იღებს. ფეხბურთის ერთმა გულშემატკივარმა ძია ვანოზე თქვა: „ყველაფრის მცოდნე მოდის, ციცერონი მოდის, ახლა ყველას გაგვაჩუმებსო...“ გულშემატკივრებს სიტყვა „ციცერონი“ მოეწონათ. ბოლო შეუცვალეს, ვანოს „ციცერონა“ შეარქვეს და მისი ავტორიტეტი გულშემატკივრებში დაეცა, ნელ-ნელა მათ თვალში ვანო დადაბლდა და ბოლოს სულ არაფრად თვლიდნენ... „ვანო-ციცერონა“ ღრმად შეურაცხყოფილი, მაგრამ თავისას არ იზლის... ერთხელ ძია ვანომ მტკვრიდან ქალი ამოიყვანა, დახრჩობას გადაარჩინა. ქალი მთვრალი აღმოჩნდა, აგინებდა და ლანძღავდა გადამრჩენელს. „ვანო ცოცხალ-მკვდარი გაუდგა გზას შინისაკენ, გული კვლავ ტკიოდა...“ აქამდე ჩვენც გვაცინებდა ციცერონას თავგადასავლები, მაგრამ აქ უნდა შევჩერდეთ. დიდია თუ მცირე სიმართლე, ძია ვანო ხომ მუდამ მის მხარეზე იდგა! ბოლოს და ბოლოს მან ადამიანი იხსნა. ამიტომაც მისი ყოველდღიური თავდადება დასაფასებელი. ნოველის ბოლო ფრაზით ციცერონას ქვეყნის ადამიანობა გამოიკვეთა, ჩვენც შევიგრძენით ამ პატარა კაცის არსებობის ტრაგიზმი: „ვანო მძიმედ მიაბიჯებდა ნახევრად ჩაბნელებულ ქუჩაში და იმ ქალის საზარელი ხმა თან მისდევდა, თითქოს ჯილდოდ შინ მიჰქონდა“. დიხაც, გადარჩენილი ლოთის ლანძღვა-გინება, დამამცირებელი მეტსახელი, ცემა-ტყევა სტადიონზე, კრებაზე პარტკომის მდივნის ნერვულო-

ბა, დირექტორის ნაძალადევი ხუმრობა, ყოველივე ეს ჯილდოა იმ კაცისათვის, ვინაც იქ ეძებს სიმართლეს, სადაც კი შეუძლია.

„კმარა, დავჯერდეთ იმას, რაც გვაქვს...“ — გამოუცხადა მანუჩარმა ცოლს და დედას. ნოველა „შეჩვევის“ გმირი საკმაოდ ნიჭიერი შემოქმედია, ამასთან უაღრესად პატიოსანი ადამიანიცაა, მაგრამ პანტე მასწავლებლისაგან განსხვავებით ცხოვრებას არ ირთულებს. იგი „ეჩვევა“; ეჩვევა თავის დაბადების დღეზე სტუმართა გულისამრევ ოხუნჯობებსა და ღრიანცელს; პროტესტს არ აცხადებს, როცა ეუბნებიან, „ნატუსიას შვილს“ მიეხმარეო, თუმცა ამ უკანასკნელმა კინალამ მთელი სოფელი დაცოფა; ეჩვევა, რომ მის ბინაში უცხო კაცი ცხოვრობს და მის ახალგაზრდა ცოლს თვალებითა ჭამს... ასეთი წვრილმანებს როგორ არ მიეჩვევა, როცა ყოველლამ თავი ესტუმრება და ამასაც კი მიეჩვია. ნაცარქექიასი არ იყოს, მას ფიქრი უყვარდა: „ვერც ოჯახური ტკბილი ცხოვრება, ვერც შემოქმედება, ვერც სხვა მინიერი სიკეთე იმდენ სიხარულსა და ბედნიერებას ვერ მიანიჭებდა, რამდენსაც სულ უბრალო რამ — ეს თავისუფალი ფიქრი ჰგვრიდა...“ თავი, ალბათ, იმიტომ შემოეჩვია, იქნებ ეს კაცი ადგილიდან დავძრა, თითი გავანძრევი-ნო, ქოში მაინც მესროლოსო, მაგრამ „რამდენიც უნდა, იმდენი მეჩვენოს, ფიქრს ვერ მოვიშლი“ — ფიქრობდა მანუჩარი და თავის ლამაზ სამყაროში, როგორც ზღაპარში, ისე ცხოვრობდა“. მანუჩარი ბუნებით კეთილი ადამიანია, მაგრამ მისი სიკეთე ბოროტებასთანაა წილნაყარი, თავისი პასიურობით, შემგუებლობით, ის ბოროტებას უხსნის გზას.

მწვავე მამხილებელი ხასიათისაა სატირული ნოველა „წვეულება“. ვერ ვიტყვით, რომ მისი გმირები განსაკუთრებული ორიგინალობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ყოველი მათი სიტყვა, მიხრამოხრა საქმოსნებს ავლენს. ესენი წმინდა წყლის მტაცებლები არიან. მათ არავითარი სხვა გრძნობა არ გააჩნიათ, გარდა შურისა და ბევრის მოხვეჭის სურვილისა. ნოველის გმირებს შორის თურამენაირი ურთიერთისმპათია შეინიშნება, ესაა სოლიდარობა გათახსირებული ადამიანებისა, რომლებიც ამორალურ გზას დასდგომიან და ყველა თანაბრად ელის ვაითუ „დამიბარონო“. სოგრას მდიდრულმა საპირფარეშომ გადარია ნაცნობ-მეგობრები. ისინი ვერ გარკვეულან, მართლაც ბაჯალლო ოქროსია იგი თუ არა. არც მკითხველი-

სთვისაა ეს საკითხი საინტერესო. უფრო მნიშვნელოვანია ამ სუ-
ლით მწირი ადამიანების ფსიქოლოგია. ისინი რიგრიგობით მიცუნ-
ცულებენ საპირფარეოსაკენ თავიანთი შურით აღსავსე ვარაუდის
შესამომნებლად. ამ შურმა იმსხვერპლა ერთ-ერთი სტუმარი —
ლენტო. მან „კარგა ხანს უჩხიკინა, მართლაც ფრჩხილისოდენა ოქრო
აატყავა. აატყავა თუ არა, მაშინვე პირში იტაცა და კბილი დააჭირა“.
ამ დროს კარი გამოაღეს. ლენტოს „ელდა ეცა და... საბედისწერო
გამოდგა ეს ელდა. ფრჩხილისოდენა ოქრო სასულეში გადასცდა“.
ლენტოს ვერაფრით უშველეს...

ავტორის მახვილი იუმორი ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა
ორ ნოველაში — „ლობიოჭამიების სასიძო“ და „აბრაგიას სიკვდი-
ლი“. ჭვატისა და მზევინარის უბადლო სიყვარულის ამბავმა არ შე-
იძლება მკითხველს ღიმილი არ მოჰგვაროს. „ლობიოჭამიების სა-
სიძოს“ თბილი იუმორი, ავტორის კაცთმოყვარეობა ნოველის ყოვე-
ლ ფრაზაში ჩანს. ნატურიდან გეგონებათ ამ ნოველის პერსონ-
აჟები გადმოხატული. მათი დიალოგი, გარეგნობა, ფსიქიკა ზედ-
მინუნით ბუნებრივი და ჩვეულებრივია, მაგრამ ამავე დროს ორიგ-
ინალურიცაა... აბრაგია ბატის სახელია. ნოველაში მოთხრობილია
აბრაგიას ვაჟკაცური ცხოვრებისა და დაღუპვის ამბავი. ბატის
მამაცური თავგადასავლები არ შეიძლება ღიმილის გარეშე ჩავი-
კითხოთ, მაგრამ მისი სევდიანი დაღუპვა გულწრფელად გვწყინს.
„ორი დღე-ღამე ებრძოდა მშიერი, სისხლისაგან დაცლილი ბატი
სიკვდილს, ბოლოს ძალა სულმთლად გამოელია, გაყურდა და სიკ-
ვდილი ძილივით მიეპარა“. ესეც ავტორისათვის დამახასიათებ-
ელია. მისი იუმორი არასოდეს არაა თვითმიზნური, აქ ღიმილს ხშირ-
ად სევდა ენაცვლება.

თემატურად განზე დგას ნოველა „სისატურა“. პატარა ბონდო
გარდაცვალების მეორე დღესვე უნდა დაკრძალონ, მაგრამ ახალ-
გაზრდა დედა თოლისქვამი არაფრით არ თმობს. ღამით მოიტა-
ცებს ბავშვის ცხედარს და ტყეში გაიქცევა. ტყეში ტურები ვაჰკი-
ვიან, დედა კი ბავშვს უნანავებს. ასე იქმნება ხალხური სიმღერა
„სისა ტურა“. სიმღერაში გართული ქალი ბავშვს ძუძუს მოაწოვებს.
ბავშვი გაცოცხლდება. შეიძლება მსგავსი ამბავი მომხდარიყო?
უამრავ ხალხურ გადმოცემებზე რომ არაფერი ვთქვათ, არც მე-
დიცინა გამორიცხავს ასეთ შემთხვევებს. ამჯერად ამას არა აქვს

მნიშვნელობა. ნოველაში მოთხრობილი ამბავი დამაჯერებელია.
თუმცა არც ლეგენდურობასაა მოკლებული. აი, თუნდაც ბოჩიასა
და თოლისქვამის უცაბედი სიყვარულის სცენა. ასეთ სულსწრა-
ფობას მხოლოდ ის ამართლებს, რომ ამბავი ხალხურ თქმულებას
უახლოვდება. თქმულებებში კი ყველაფერი უფრო იოლად ხდება,
ვიდრე ცხოვრებაში. თოლისქვამისათვის ასეთი აჩქარება ბუნებრივი
ჩანს. ეს მისი პიროვნული ხასიათიდან გამომდინარეობს. „გათხოვე-
ბა ხომ არ გიკითხავს ჩემთვის? — უთხრა დედამ თოლისქვამს, —
არც გამოთხოვების დროს გაგხსენებია მშობლები“. მართლაც,
თოლისქვამი ყოველივეს აკეთებს თვითნებურად, ინსტინქტს აყო-
ლილი, აფექტის მდგომარეობაში. აფექტურია მისი უცაბედი „გათ-
ხოვება“, ქმრის ოჯახში მისვლა, უკან „გამოთხოვება“, შვილის
დაკრძალვასთან დაკავშირებული ამბები და სხვ. ამ ნოველის არსე-
ბობას სწორედ რომ თოლისქვამის პიროვნული განუმეორებლობა
ამართლებს...

„ჯურგუს თურებს თავს დიდი უბედურება დაატყდათ — გარ-
დაეცვალათ ექვსი თვის ბავშვი, თოლისქვამის ერთადერთი შვილი,
პატარა ბონდო...“ ნოველის პირველსავე ფრაზას უცბად შევყა-
ვართ საქმის ვითარებაში. ამ ერთ წინადადებაში იმოდენა ინფორ-
მაციაა, რომ ფაქტიურად ნოველის ნახევარს მოიცავს. ასეთი წინა-
დადების შემდეგ თხრობაც მჭიდრო და მეორეხარისხოვანი დე-
ტალებისაგან განტვირთული უნდა იყოს. ძირითადად ეს ასეა, თუ
არ ჩავთვლით ნოველის მეორე ნახევარს, რომელიც, ალბათ, მეტ
დახვეწას საჭიროებს. გავიხსენოთ, მაგალითად, თათბირი ბავშ-
ვის დაკრძალვის თაობაზე. „ბავშვი არ ვიტიროთ და თქვენისთანა
გადაყრუებული ბებრები ვიტიროთ?“ — შეუტყვეს თოლისქვამი მე-
ზობლებს. გამწარებულ დედას ეპატიება მსგავსი სიტყვები, მაგრამ
მამის პასუხი არ უნდა იყოს მაინცდამაინც სწორი: „არ გესმის, რას
ტატყანებ დედაკაცი!“ სხვა რომ არ იყოს, მამა ასეთი ასაკის შვილს
„დედაკაცს“ არ უწოდებს. აი, თოლისქვამი ეფერება ბავშვს და უმ-
ღერის სახელდახელოდ შეთხზულ „სისა ტურას“. თანდთან შეჰყვა,
ცხედარს ძუძუც კი მისცა. ყველაფერი ეს კარგადაა მოთხრობილი,
მაგრამ ვფიქრობ ზომიერება ოდნავ დარღვეულია. დედამ ძუძუ უნდა
ანოვოს გაციებულ პირმშოს და ამ დროს ხაზგასმით არ უნდა წარ-
მოგვეჩინა ხორციელი სურათი: „გათქვირული დიდი ძუძუებით

ზედ გადაემხო“, „რძით სავსე ძუძუები, აფუებული ახალგაზრდული მუცლით“ და სხვ. ასეთი თხრობის დროს სხვა უზუსტობაც შეიძლება გაიპაროს. ბავშვმა პირი ოდნავ აამოძრავა. „თოლისქვამს მაინც არ ასვენებდა წინათგრძნობა“. აქ წინათგრძნობაზე უფრო „იმედი“ ითქმოდა, რადგან ქალმა ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი შეამჩნია. ბოლო ნაწილი, სადაც აღწერილია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა სოფელზე ბავშვის გაცოცხლებამ, უკვე ვერაფერს მატებს ძირითადადამბავს.

ზემოგანხილული ნოველები, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ჩვენს ყურნალ-გაზეთებში. მკითხველმა ისინი თბილად მიიღო. პოპულარულ რომანთან ერთად ამ ნოველების თავმოყრამ კეთილი სამსახური გაუწია ქართული პროზის მოყვარულებს.

ინსცენირება

„ყვითელი მთვარე ნელ-ნელა ამოცურდა და საკალანდარიო თეთრ ბურუსში გახვია, თითქოს მელნის ტბაში რძე ჩაიღვარა. თუთარჩელა თეთრი მთიდან დაიძრა...“ მარადიულ მდუმარებას მხოლოდ და მხოლოდ ტყაშმაფა-ციას სასონარკვეთილი კივილისა და ოდოია-ოჩოკოჩის ვნებიანი ღმუილის ათასწლოვანი ექო თუ არღვევს. შიშნეული მკითხველი თანდათან იძირება მითიურ პირველყოფილებაში, კრთომით ითქვიფება მთვარის სხივებით გამსჭვალულ მდუმარე ცისქვეშეთში და ჩუმად ჩურჩულებს: „კაპუნია, სქანი სახელი ხვამილი...“ ხმადაბლა იმეორებს წარმართულ ლოცვას, რადგან არ შეიძლება უხეში, დისონანსური ხმებით დაარღვიო თუთარჩელა ღამის მყუდროება... „ადრე, ამ მიდამოებში იდუმალ სიჩუმეს, გასაოცარ, თითქოს დამუხტულ სიმშვიდესა და სიწყნარეს, როგორც უეცარი აფეთქების ხმა, ჯაჭვების ჟღარუნით არღვევდა. სოფლის ბოლოს, მაღალი გვიმრებიდან ჯაჭვის ჟღარუნით გამოდიოდა ერთი წვეროსანი. გვიმრები ისე ირხეოდნენ, თითქოს კაცი ტანიწყალში მოტოპავდა. წვეროსანი მაღალი იყო, ტარანივით ხმელი, ექიმური თეთრი ხალათი ეცვა. ხალათის ქვემოდან ჯაჭვები მოუჩანდა. ჟღარუნით ნელა მიაბიჯებდა. გაბურღული თმანვერი, უაზრო თვალები და ეს ჯაჭვები მნახველს თავზარსა სცემდა...“ მკითხველის ინტერესი გაცხოველებულია, მისი განცდა მაღალ რეგისტრს აღწევს. მაგრამ აქ ავტორს ზომიერების გრძნობა არ ღალატობს და მითოლოგიური სიმაღლეებიდან დროზე გადადის დღევანდელ სინამდვილეზე. ჩვენ წინაშე თანდათან გადაიშლება გიორგის, ანინას, გვაჩის, მთელი საკალანდარიოს ცხოვრებისეული დრამა. ყოველივე აქ რეალურია, ყოველივე ნამდვილია, მაგრამ ყოველივე ისევე და ისევე მსჭვალავს თუთარჩელა; უამრავი ძაფითაა ერთმანეთში გადახლართული წარმართული ღმერთების პანთეონი, ჰეკატეს ბალი, ძველი მაგია და დღევანდელობა, ყოველდღიური ცხოვრების ავ-კარგი, ადამიანის სულში ფესვგადგმული სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და ღალატი, მონანიება და პატიება...

და აი, ნოდარ წულეისკირის რომანი „თუთარჩელა“ ინსცენირებულია. იგი დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში (რეჟისორი ნანა ხატისკაცი, მხატვარი მ. ჭავჭავაძე, კომპოზიტორი ი. კეჭავაძე).

საერთოდ, ბოლო წლებში მომრავლდა ინსცენირებული რომანები. ეს ფაქტი თეატრების რეპერტუარების სიმწირით თუ აიხსნება. თანამედროვეობაზე შექმნილი დრამატურგიული ნაწარმოებების უქონლობის გამო ისინი მიმართავენ გახმაურებული რომანის ინსცენირებას, რასაც ხშირად მოსალოდნელი შედეგი ვერ მოაქვს. რომანის ჟანრი იმდენად თავისთავადია, მისი პიესად გადაკეთება თითქმის შეუძლებელია, თუ, რასაკვირველია, ვერ შეველევიტ მის მაღალ მხატვრულ ღირსებებს. მწერალი თვით განაგებს თავისი ნაწარმოების ჟანრობრივ ბედ-იღბალს. მან მოაზრებულ მასალას იმ ჟანრის სამოსელი უნდა შეურჩიოს, სადაც მაქსიმალურად შეძლებს ჩანაფიქრის ხორცშესხმას. რომანისთვის განკუთვნილი მასალა ძნელად გადაკეთდება პიესად და პირიქით (ეს არ გამორიცხავს გამონაკლისის არსებობას. ასეთი გამონაკლისია, მაგალითად, ნოდარ დუმბაძის რომანები. ისინი იმთავითვე დრამის ზღვარს უახლოვდებიან). ალბათ ამიტომაცაა, რომ უკანასკნელ წლებში გახმაურებული რომანების არც ერთი დადგმა არ გადაქცეულა თეატრალური სეზონების მოვლენად. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ შეწყდეს მსგავსი პრაქტიკა. საჭიროა მეტად გავითვალისწინოთ ნაწარმოების ჟანრობრივი სპეციფიკა.

უპირველეს ყოვლისა, დავსვით კითხვა: რა მიზნით ხდება რომანის ინსცენირება? თუ ეს მარტო რეპერტუარის შესავსები საშუალებაა, ასეთი პრაქტიკა კარგ შედეგს ვერც მოგვცემს. მაქსიმუმი, — შეიძლება წარმოვადგინოთ რომანის მოკლე შინაარსი. ეს მიზანი კი ვერ ამართლებს განუულ ხარჯებს, ვერც სულიერსა და ვერც მატერიალურს. ინსცენირების დროს, ცხადია, რომანის ყველა დეტალი ვერ გადავა სცენაზე. აქ, ეტყობა, ორი ურთიერთსაპირისპირო პირობა უნდა იქნეს დაცული. ერთი მხრივ, პიესა თავისთავად დამოუკიდებელი და დასრულებული ნაწარმოები უნდა იყოს. ჟანრობრივი სხვაობა უცილოდ გამოიწვევს პიესისა და რომანის ერთმანეთისაგან დაშორებას. ამასთან, პიესის მხატვრული ღირებულება არ უნდა ჩამოუვარდებოდეს რომანის მხატვრულ ღირე-

ბულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ თანხმდება რომანის ავტორი მის დადგმაზე. მეორე მხრივ, თუ პიესა წარმოადგენს რომანის ინსცენირებას და არა სხვა რამეს, შესაძლებლობის ფარგლებში ის უნდა მისდევდეს თავის პირველწყაროს, მან სცენაზე ერთხელ კიდევ უნდა დაგვანახოს ის ძირითადი, რისი გულისათვის შეიქმნა საკუთრივ ეს რომანი. მაგრამ, ამასთანავე, ეს არ უნდა იყოს უბრალო ილუსტრაცია, არამედ ნაწარმოები, რომელიც ხელახლა განგვაცდევინებს უკვე ნაკითხულს, თანაც უფრო ღრმად. რომანის მხატვრული დონიდან თუნდაც ერთი საფეხურით ჩამოსვლა მაყურებლის სკეპსის ინვევს, მის თვალში მარცხად მიიჩნევა.

* * *

ავანსცენაზე გამოდის თალხში ჩაცმული ტატუ (ს. ყანჩელი) და ომში დაღუპულ ალზე მოთქვამს. მოდიან მეზობლის ქალები, ტატუს ეხმარებიან მზადებაში. დღეს მისი შვილი გიორგი (გუგუ) (ყ. ლოლაშვილი) და ლამაზი რძალი ანინა (ნ. ფაჩუაშვილი) ჩამოდიან. შეხვედრის სცენა. გუგუ რეჩიტატივით გვიყვება ქალაქის უთავბოლო ცხოვრების ამბავს (გაზეთებიდან ამოკრეფილი ციტატების კომპილაციით). მოდის გვაჩი (ა. მახარაძე). ანინასა და გვაჩის შეხვედრა იმთავითვე გვაგრძობინებს, რომ ქალ-ვაჟს შორის ამურის ძაფებია გაბმული. სუფრას მიუსხდებიან. გვაჩისა და გიორგის მეგობრული საუბარი უფრო მძაფრ ჩხუბს ემსგავსება და ორივე გადაკვრით გადმოგვიშლის თავის ცხოვრებისეულ კრედოს, თანაც მაღალ წარმართულ ღმერთებს იმონებენ. ვითარება იძაბება...

ძალზე მოკლედ შევეცადე გადმომეცა პირველი მოქმედების პირველი ნახევრის შინაარსი. იქნებ ცოტა ირონიულიც გამომივიდა, თუმცა ამის საბაზი ნაკლებად მქონდა. ცხადია, რომანში სხვანაირადაა ყოველივე ეს წარმოდგენილი, მაგრამ პიესის მსგავსი დასაწყისი საინტერესოდ მომეჩვენა. რომანში თანდათანაა შემზადებული გუგუსა და გვაჩის შუღლი. მკითხველს, ალბათ, ახსოვს

რომანის სიუჟეტური კოლიზიები: ტატუ ემზადება შვილისა და როძლის დასახვედრად...*

ამ ადგილიდან რომანის ნახევარი ისე გაივლის (თეთრი მთის ამბებამდე), რომ გუგუს ექვნიანობის საბაბი არცა აქვს. თანაც არც ანინა აძლევს მკითხველს მსგავს საბაბს. გვაჩი კი შეყვარებულ, მაგრამ თავშეკავებულ რაინდად გვესახება, რომელიც ხანდახან სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს ექსცენტრული გამოხედომებით (ორგზის დაჩოქება ანინას წინაშე). ინსცენირების ავტორები სწორად მოიქცნენ, რომ ამ ამბების ერთგვარი კონცენტრირება მოახერხეს დასაწყისშივე და ამით ნიადაგი მოამზადეს რომანის ძირითადი მოქმედების განვითარებისათვის. ძირითადი სიუჟეტური ხაზი კი გახლავთ სწორედ გუგუ-ანინა-გვაჩის სამკუთხედში გაშლილი დრამა, რაც რომანის ფურცლებზე ჭეშმარიტ ტრაგიზმამდე ადის. დანარჩენი სიუჟეტური განტოტებანი ფონს ქმნიან ამ მთავარი ხაზისათვის. თავისთავად საინტერესოა ძმები კალანდარიების ქიშპი, გუჩას სიკვდილი, დატირება, სასაფლაოზე მომხდარი ჩხუბი და სხვა; ისინი გვისურათხატებენ ჩვენი ცხოვრების მრავალ, ნეგატიურ მხარეს, დრომოჭმულ ტრადიციებს, გადაგვარებულ პიროვნებებს, რომელთა სულმდაბლობა შემზარავია, ოღონდაც ყოველივე ეს მხოლოდ ფონია და ძირითადი ტენდენციების გასაძლიერებლად საჭირო.

როდესაც ჟ. ლოლაშვილი და ა. მახარაძე სკამზეც კი ადიან და მგზნებარედ მოუხმობენ ღმერთებს, თავზარდაცემული ანინა კი მათ დამშვიდებას ცდილობს, სპექტაკლის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტონუსმა მაქსიმუმს მიაღწია. ამის შემდეგ კი თითქოს მსახიობებიც დაილაღნენ და სპექტაკლის ავტორებიც. ამ წუთიდან მოქ-

* აქ რომანის მიმართაც მქონდა ორი მცირედი შენიშვნა, რაც ოდნავადაც ვერ ამცირებს ჩემს ინტერესს ამ შესანიშნავი ნაწარმოებისადმი. ერთგან ტატუზე წერია: „წინვანაში გადასული გონს მოეგო“. სიტყვა „წინვანა“, ჩემი აზრით, უფრო შეეფერება მაღალინტელექტუალური პიროვნების სულიერ მდგომარეობას. მაგალითად, საკუთრივ გუგუს განცდას, როცა ის ჯაჭვებსახმული ჯორკოზე ზის და თუთარჩელას უყურებს, დიასახლისის ჩვეულებრივი გარინდების აღსანიშნავად კი ის ზედმეტი ჩანს. „ლომის ამოგებას შეუდგა“ — ეს ხდება სტუმრების ჩამოსვლამდე. ნებისმიერი დიასახლისი ნელცეცხლზე გააჩერებდა ლომს, რათა სტუმრებისათვის ცხელი მიერთმია.

მედება მოდუნებულია, მას შიგადაშიდ მეზობელი ქალების მიერ ეთნოგრაფიული პასაჟების გათამაშება თუ აცოცხლებს.

პირველი მოქმედების მეორე ნახევარი მთლიანად მთავარ პერსონაჟთა „შრომით საქმიანობას“ გამოსახავს. გუგუ („კარგი ექიმი“), ანინა (არც ჩანს როგორი ექიმი, ასისტენტივით კუდში დასდევს ქმარს) და გვაჩი („ცუდი ექიმი“, უგულო, გამფლანგველი და ა. შ.), გუგუს დაჟინებით, წესრიგს ამყარებენ სოფლის საავადმყოფოში. ამ საქმეში მათ ეხმარება ოთხი თეთრხალათიანი ანგელოზი. თუმცა პროგრამაში წერია „ხატის ქალები“, ესენი ჩვეულებრივი მოწყალეების დებია. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ავადმყოფ გუგუს უმღერიან მეგრულ სიმღერას „ირული, ირული, ირული, ჩქიმდა...“, სხვანაირად არსად ჩანს მათი „ხატის ქალობა“. ეს ოთხეული ხანდახან გამოდის სცენაზე და ცდილობს „გამოაღვიძოს“ კალანდარიები. სიმბოლო პრიმიტიულამდე გამჭვირვალეა: საკალანდარიო ეს არის ჩამორჩენილი, დახვავებული, კონსერვატიული სამყარო და გუგუსნაირმა მოწინავე ადამიანებმა ის უნდა „გამოაფხიზლონ“, ცივილიზაციის მიღწევებს აზიარონ. საავადმყოფოში წესრიგის დამყარების პროცესი („ხატის ქალები“ სოფელში აგროვებენ საავადმყოფოდან ნაღებულ თეთრეულს და ჭურჭლეულს, ექიმები ავსებენ ანკეტებს და სხვ.) ავტორებმა საბაბად გამოიყენეს მოქმედებაში სხვა პერსონაჟების შემოსაყვანად. ესენია გუჩა (ე. მაღალაშვილი), პართე (ბ. ზაქარიაძე), კოკი (ბ. წიფური), დორო (გ. გეგეჭკორი), კვეკვესიხე (მ. მაღლაკელიძე), პარტყუ (ე. სახლთხუციშვილი), დომე (გ. თალაკვაძე, გ. კიკნაძე), ზეკია (ვ. ნინიძე), თადა (თ. გოგინაიშვილი). თუმცა პროგრამაში დიდკოსტაცაა დასახელებული (რომანში ხომ იგი ერთ-ერთი წამყვანი, თანაც დადებითი პერსონაჟია), ვერაფრით მოვახერხე საერთო მასაში მისი „აღმოჩენა“... მთელი სცენა სასამართლო დაკითხვას უფრო ემსგავსება, ვიდრე ექიმისა და პაციენტების საუბარს. რამდენად ბუნებრივია და მშვენიერი რომანის მიხედვით გიორგი კალანდარიას ყოველი კონტაქტი თანასოფლელებთან, იმდენად ხელოვნური ჩანს ეს ამბავი სპექტაკლში. რომანში გიორგისა და მისი პაციენტების თუ მეზობლების ურთიერთობა არასოდეს იწვევს ზერეულ სიცილს. გახსოვთ, ალბათ, ჰეკატეს ბაღში ძმები კალანდარიების კინკლაობა. ეს მდაბალი შურიანობა, ღვარძლი და ბოლმა მკითხველის სევდას უფრო

ინვესსიას, ანდა ამბავი, როცა სოფლელ დედაკაცს დაავინყდა ბავშვისთვის წყალი დაეღვინებინა, რაც უბოროტო ღიმილს მოგვგვრის. რომანში უამრავია ნატიფი იუმორი, მაგრამ ავტორს არასოდეს ავინყდება ის ძირითადი ტრაგიკული ძარღვი, რომელსაც უნდა მისდევდეს მოქმედების განვითარება.

პიესაში კი სათითაოდ გამოსული გმირები ერთმანეთს ლანძღვენ, მაყურებლის სიცილის გამონწვევას ცდილობენ. მართალია, ამ გზით ავტორტრეტებს ქმნიან, მაგრამ მოქმედება დაქუცმაცებულია, ცალკეული მონოლოგებისაგან შედგება და შეკრული არაა. გაუგებარია ზოგიერთი პერსონაჟის როლი, თუნდაც კვეკვესიხესი. უფრო სწორად, მას აკისრია ერთადერთი როლი, გააცინოს მაყურებელი (რასაც მსახიობი კარგად ახერხებს) და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნოს გიორგი ექიმის ძლიერებაში (ბერნი ქალის განკურნება ქრისტეს სასწაულს უფრო ჰგავს), სხვანაირად კი ძირითად სიუჟეტთან მას არაფერი აქვს საერთო. ამ დროს კი პერსონაჟთა მთავარი სამეული იძულებულია უმოქმედოდ იჯდეს და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ყურებით გაერთოს. ვისაც რომანი წაუკითხავს, გრძნობს, რომ სასაუბრო ტექსტი აქა-იქა რომანიდან ამოგლეჯილი და ერთად თავმოყრილი, რის გამოც ნაძალადევი ლოგიკას ეწირება ბუნებრიობა (ხშირად რომანის ერთი პერსონაჟის ნათქვამი მეორეს მიეწერება და ა. შ.). მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ აქ ყველაფერი რიგზეა, საავადმყოფოს სცენა მშვენიერი, სასაცილო და ჭკუის სასწავლებელი გამოგვივიდა. ამ შემთხვევაშიც მას უარყოფითი მომენტი ახლავს. ამდენი გმირის რიგრიგობით შემოყვანამ გამოიწვია ძირითადი ინტერესების გადანაცვლება. თუ რომანის თანახმად, ძირითადი ხაზი გუგუ-ანინა-გვარჩის სამეულზე გადის, პიესის მოქმედების ცენტრში აღმოჩნდნენ ძმები კალანდარიები, ხოლო მთელი სპექტაკლის ცენტრალური კულმინაციური წერტილია გუჩას სიკვდილი. დაირღვა წონასწორობა. პრიორიტეტი მოიპოვა თუმცა მნიშვნელოვანმა, მაინც მეორეხარისხოვანმა. ამიტომ კონფლიქტი გვარჩისა და გუგუს შორის ნაკლებ გამოკვეთილია ძმები კალანდარიების კონფლიქტთან შედარებით.

მეორე მოქმედებაში კვლავ გუგუს საექიმო პრაქტიკის დემონსტრირება ხდება. გიორგი კალანდარია ჰეკატეს ბაღში* ჯერ მონყალების დებს (ე. ი. „ხატის ქალებს“) ორიოდ სიტყვით მოძღვრავს,

რასაც ისინი ირონიულად აშარჟებენ, მერე მოხუც ავადმყოფს სუფთა ჰაერზე გორგოლაჭებიანი საკაცეებით დაასეირნებენ. პერსონაჟებს ფაქტობრივად სალაპარაკო შემოღევიათ. აქ და ზოგიერთ სხვა ადგილას ნებისმიერ პერსონაჟს შეიძლება ვათქმევინოთ გიორგისნაირად: „სიტყვები დაგვარგე!“ ავადმყოფ მოხუცებთან მსგავსი საუბრები რომანში სხვა მიზეზითაა გამოწვეული. იქ გუგუს წონასწორობა დაკარგული აქვს და ჯერ კიდევ ხავსს ეჭიდება, ამ საქმიანობით საკუთარ თავს უმაღლავს სანუხარს. ჩვენ ვუსმენთ გუგუსა და მოხუცების უბრალო საუბარს, ზოგჯერ უკბილო ხუმრობასაც, მაგრამ ამის უკან ვგრძნობთ გუგუს უზარმაზარ გულისტკივილს, რაც წიგნის ყოველ მომდევნო გვერდზე იზრდება, სანამ გუგუ ერთ დღეს ანინას ეტყოდეს: არ შემიძლია შენთან ცხოვრებაო...

საკმაოდ საინტერესოა გუჩას დატირების სცენა, ჩხუბი საფლავის მიწის გამო. სპექტაკლის ავტორთა ერთგვარი აღმოჩენაა, როცა გუგუ უცებ იფეთქებს, კოკის ნაჯახს წაგლეჯს და თითქოსდა ერთი დანახვით უდანაშაულო გვარჩის დაედევნება, ბოლო წუთს კი დასარტყმელად ვერ გაიმეტებს და ნაჯახს ფიცარში ჩაარჭობს. რომანიდან ჩვენ გვახსოვს გუგუს განცდები, როდესაც გამწარებული ნაჯახს ლესავს, კვლავ და კვლავ ფიქრობს შურისძიებაზე, გვარჩის სახლის აივანზე ნაჯახშემართული დგას ღამით, მერე კი შეეშინდება და შინ გაიქცევა. ეს მომენტი მოხერხებულადაა ჩართული სასაფლაოზე ჩხუბის სცენაში და ამან ორი სიუჟეტური ხაზი თითქოს გააერთიანა, მაგრამ დარღვეული წონასწორობა მაინც ვერ აღდგა.

„გვარჩი იყო მაღალი, მხარბეჭიანი, ძვალმსხვილი კალანდარია. მისი მუხლებზე დავარდნა ნაქცევას უფრო ჰგავდა“ - ამ ერთ წინადადებაში ყველაფერია ნათქვამი. გვარჩიმ ხუმრობანარევი სერიოზულობით მუხლი მოიყარა ანინას წინაშე და ძაღლის მოსვრილზე კი მოხვდა. ჩვენ თავიდანვე ვხვდებით, თუ რაოდენ შეყვარებულია გვარჩი. მაგრამ რომანში იგი ერთგვარად თავშეკავებული კაცია. და თუ არა თეთრ მთაზე გამოჩენილი „საოცრება“, იქნებ არც გამჟღავნებულყოფი მისი ეს დიდი სიყვარული. გვარჩის „ნაქცევა“, მისი ღალატი, მართალია, დიდი ხნის სიყვარულის შედეგია, მაგრამ მოვ-

* ჰეკატეს ბაღისა და საერთოდ წარმართული ამბების ფუნქცია სპექტაკლში გაურკვეველია. იგი ხელოვნურადაა რომანიდან გადმოტანილი.

ლენათა ლოგიკურმა განვითარებამ გამოიწვია. ამავე დროს, ანინას დანაშაული უფრო მისატყვებელია. მას გიორგი უყვარს, ლატზე არც უფიქრია, მაგრამ ნუთიერმა ცდუნებამ გზა-კვალი აუბნია, წინააღმდეგობა ვერ გაუწია გვაჩის.

სპექტაკლში კი საქმე უფრო მარტივადაა წარმოდგენილი. გვაჩისა და ანინას პირველივე შეხვედრა უფრო შეყვარებულთა შეხვედრას ჰგავს. მერე კი მოქმედების მსვლელობაში ავტორები ერთ შემთხვევასაც არ უშვებენ, რომ დაგვარწმუნონ, რომ ანინამ და გვაჩიმ, თუ ფიზიკურად არა, ფიქრში მაინც კარგა ხანია უღალატეს გუგუს. ამიტომაც, როდესაც გვაჩი გუგუს ეუბნება, მე ცუდი კაცი ვარ, რადგან შენს ცოლს გაქცევა შევთავაზეო, აქაც სიტუაციის გამარტივება, გაერთხაზოვნება გვაქვს. ჯერ ერთი, რომანიდან ჩვენ მეტი ვიცით და ძალაუბრებურად მოველით „ნამდვილ დანაშაულს“; მეორე მხრივ, ანინა ისე გაურბის გუგუს რისხვას, ყოველნაირად ჩანს, თანახმა იყო გვაჩისთან გაქცევაზე. თვით გუგუს რეაქციაც არაფრის მთქმელია. გაქცეული ცოლი აქ მომიყვანეო, გვაჩის უბრძანებს. ის კი ხელზე ატატებულს მოუყვანს. აქ ვითომ რომანის ის პასაჟია გადმოღებული, როცა გვაჩის თეთრ მთასთან ხელზე ატატებული ანინა მიჰყავდა, მაგრამ ქმრის წინაშე მისი ცოლის ასე ტარება გაუგებრობასაც კი ბადებს. გასაგებია, რომ აქ ავტორები სიმბოლოებით გვესაუბრებიან, მაგრამ ეს სიმბოლოები სწორად ვერ გვიხსნიან მთავარი გმირების ხასიათებს.

რომანის ერთი უძლიერესი ადგილია „საწყალი გუგუ კალანდარიას“ განდგომა. „ერთი შეხედვით ვერ იფიქრებდით, თუ ეს კაცი შეშლილი იყო. გარდა ჯაჭვების ასხმისა, არაფერი ჰქონია გიჟური, უფრო ახირებული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა“.

მკითხველს კარგად ახსოვს ის ადგილი, როცა ანინა ბრუნდება თეთრი მთიდან და დარბაზში სავარძელში ჩამჯდარი გიორგი დახვდება. ამ ნუთიდან იწყება გიორგის ჭეშმარიტი გოლგოთა. იგი თანდათან ემზადება თვითგვემისათვის, რადგან მხოლოდ ამაში ხედავს სულის განწმენდის საშუალებას. და აი, გიორგი ჯაჭვებს აისხამს და ადამიანებს ზურგს შეაქცევს. ის თუთაშია — მთვარისაა, მხოლოდ თუთარჩელა ღამეს გამოდის გარეთ და წამებით ღმერთს ეტოლება.

გუგუს ამ თვითგვემამ რომანი ისეთ სიმალლემდე აიყვანა, რასაც ის უიმისოდ ვერ მიაღწევდა. სპექტაკლის ავტორებმა კი თავი

გაიღარიბეს და მსახიობსაც ხელიდან გამოაცალეს მართლაც და მნიშვნელოვანი როლი. იქნებ ვერ განესახიერებინა ჟანრი ლოლაშვილს გუგუს შინაგანი კატარსისის რთული პროცესი, მაგრამ ვინმემ შესთავაზა? რასაკვირველია, ძნელია სცენაზე წარმოადგინო სულის ტანჯვა, როცა გარეგნულად ეფექტური არაფერი ხდება. თუმცა იმაზე ეფექტური რა იქნება, კაცმა რომ ჯაჭვი აისხას, საცვლების ამარა, წვერგაბურძენული დადიოდეს... თანაც ამან თანაგრძნობა და გულისტკივილი უნდა გამოიწვიოს და არა სიცილი. ძნელია, ძალიან ძნელია აქ ყველაფრის გამოზომვა. შეიძლება მსახიობს ჰამლეტური სიმალლე დასჭირვებოდა, მაგრამ თუ ასეთ სიმალლეს გაექცეოდნენ, მაშინ ღირდა კი რომანის ინსცენირება?

სპექტაკლში კი ვიგებთ, რომ გუგუ ჩაიკეტა, ყველას გაებუტა. ტატუ კარებთან უზის, მოთქვამს, ეხვეწება კარი გამიღეო, კაი ხუმრობაზე კი შიგადაშიგ ელიმება კიდეც (მაპატიოს ქალბატონმა სალომემ). მოდიან მეზობლები, წუხან. საერთო აზრს ყველაზე უკეთ კოკი კალანდარიას გამოთქვამს: ცუდები ვართ, ბატონო, მისი ღირსნი არა ვართ და იმიტომ შეგვაქცია ზურგი, მაღაღეც გუგუო! ასე გადაიქცა რომანის მაღალი დედააზრი ჩვეულებრივ ბუტიობად. მართალია, გუგუ გუჩას მოჩვენებასთან საუბარში გვატყობინებს, ავადა ვარო, მიყვარხარ გუჩა ბიძაო, — იმასაც ეუბნება სიცოცხლეში ბოლმადქცეულ ადამიანს, მაგრამ ყოველივე ეს იოტის ოდენადაც ვერ უახლოვდება რომანში წარმოსახულ გუგუს სულიერი განცდის პანორამას.

რომანის ბოლოს ანინა გუგუს შეიტყუებს თავის ოთახში და ფრთხილად ცდილობს გამოიყვანოს სულიერი კრიზისის მდგომარეობიდან.* ეს ნაწილი ანინას ბრძოლისა და გამარჯვების ამაღელვებელი ამბავია. სპექტაკლშიც თითქოს ასეა, მაგრამ ბევრად უფრო კუდმოკვეცილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ანინა ტატუს თხოვნით შედის გუგუს ოთახში და იქიდან გამოჰყავს იგი. გაუგებარია, რატომ აქამდე არ შევიდა და არ გამოიყვანა, ამდენი ძალა თუ ჰქონდა. გონსმოსული გუგუ გამოდის და ყველას აპატიებს თავთავი-

* უნდა ითქვას, რომ მთლიანად მშვენივრად დაწერილ ამ სცენაში ხანდახან ანინას პრაქტიკული მოსაზრებები მთელი სცენის მაღალესთეტურ აღქმას ხელს უშლის, თუმცა ამ მოსაზრებებს რეალურობის ბეჭედი აზის. თვით ორი სულის ეს ამაღელვებელი შეხვედრა პრაქტიციზმზე მაღლა დგას და სტიქიის ზღვარს უახლოვდება.

ანთ დანაშაულს. ნამეტანი გაუბრალოებული ხომ არ არის ასეთი ინტერპრეტაცია? მშვენიერი სანახაობაა, როცა სპექტაკლის მონაწილენი ჩიჩილაკებით ხელში გამოდიან და თითქოსდა პატივბას შესთხოვენ გუგუს, მაგრამ ამ სცენას უკვე არ შეუძლია გამოასწოროს რომანისადმი მიყენებული ზარალი.

* * *

მაინც რა მიგვაჩნია რომანის დრამატურგიული ინტერპრეტაციის ძირითად ნაკლად? ძმები კალანდარიების წინა პლანზე წამოწვევამ რომანის ორიგინალური ჩანაფიქრი უკანა პლანზე გადასწია. მივიღეთ ერთგვარად მამხილებელი პიესა. იქნებ აჯობებდა მთელი პიესის აგება ძმების კონფლიქტზე. თავისთავად ხომ კომიკური სიტუაციაა. სამი ძმა ცდილობს ხელში ჩაიგდოს მოხუცი მამა, რათა მისი სიკვდილის შემთხვევაში ხელი მოითბოს გადასახურავი ფულით. მაგრამ მაშინ უნდა დაწერილიყო კომედია, რომელსაც რომანთან არაფერი ექნებოდა საერთო. სხვა ამბებთან გაჯერებული ეს სიტუაცია კი ავინროებს ძირითად ამბავს და თვითონ არაფერ ორიგინალურს არ იძლევა. მსგავსი პერსონაჟები და სიტუაციები უკვე მრავალჯერაა ნაჩვენები ლიტერატურასა და ხელოვნებაში, თანაც ხშირად უფრო ძლიერაც.

რომანში, როგორც უკვე ითქვა, მთავარია გიორგი-ანინა-გვარჩის სამკუთხედის პერიპეტიები. ჩვენ მხედველობაში მარტო გარეგნული მოვლენები არა გვაქვს, არამედ სულიერ განცდათა წარმოსახვა. რომანის მორალურ-ესთეტიკური დედააზრი მრავალ საკითხს მოიცავს. ერთი თვალის გადავლებით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აქ მთავარია ღალატი. ანინამ და გვარჩიმ უღალატეს გიორგი კალანდარიას, რამაც ამ უკანასკნელის ღრმა სულიერი კრიზისი გამოიწვია. სინამდვილეში არც ეს არის მთავარი. ანინამ მოინანია დანაშაული და გიორგიმ აპატია მას, მაგრამ აპატია მხოლოდ სიტყვიერად. ამით ანინაც მოატყუა და საკუთარი თავიც. სულში კი შურისძიების სურვილი ჩარჩა. მის ამ განცდას აძლიერებს სხვა ადამიანთა ბოროტებისა და უკეთურების ხილვა. ეს პროცესი არაა სწორხაზოვანი. გიორგი მრავალ ეტაპს გაივლის, სანამ გადაიქცეოდეს „საწყალ გუგუდ“, სან-

ამ შეიგრძნობს, რომ მას თურმე არ ძალუძს პატიება. ის ისეთივე ცოდვიანია, როგორც ყველა სხვა ადამიანი. მისი დანაშაულიც სხვა ადამიანთა დანაშაულს არათუ უტოლდება, უფრო დიდია. მის ინტელექტუალურ სულში თურმე ჯერ კიდევ ბევრია წარმართული, რაც მას ნაჯახსაც კი ააღებინებს ხელში. მრავალი ბოროტება და დანაშაულია ამ რომანში ნაჩვენები. კალანდარიები საკუთარ მამასაც ყიდიან, მზად არიან ერთმანეთი ამოხოცონ და სხვა, მაგრამ გიორგის დანაშაული ყველაზე მძიმეა, ყველაზე მიუტევებელია. თუ ადამიანმა არავის არაფერი აპატია, მაშინ არ იცხოვრება ამ ქვეყანაზე. მსაჯულის უფლება კი მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს, ვინც პიროვნულად სპეტაკი და წმინდაა... გიორგიმ ეს გაითვითცნობიერა და სულის განსანმენდად ირჩია ერთადერთი სწორი გზა — თვითგვემა. ამიტომ იგი ჯაჭვს ისხამს და განმარტოვდება. „საწყალი გუგუ“ ადამიანებს მხოლოდ მას შემდეგ უბრუნდება, როდესაც მისმა სულმა ამოსცალა ტანჯვის სრული საწყაო. აი, ეს არის ამ რომანის ძირითადი მონაპოვარი, ეს ავლენს მის ორიგინლობას. სპექტაკლში კი ეს პრობლემა მხოლოდ მინიშნებულია და მეორე პლანზეა. უფრო სწორად, აქ განაწყენებული გუგუ საკუთარ თავს კი არ ისჯის, სხვებსა სჯის, თითქოს გვეუბნება, მე კარგი ბიჭი ვარ, თქვენ კი ცუდები ხართ. ჯილდოსაც კი იღებს მსაჯულის ამ პოზიციის გამო: „მალადეც გუგუო!“ — კოკი კალანდარია წამოიძახებს.

რომანის ასეთმა ინტერპრეტაციამ პერსონაჟთა სახეებიც სხვანაირი რაკურსით გვიჩვენა. სპექტაკლში დაკავებულ მსახიობებს ჩვენი წარდგენა არ სჭირდებათ. მასში, თუ არ ვცდები, რესპუბლიკის ხუთი სახალხი არტისტი და ათი დამსახურებული არტისტი მონაწილეობს. მათი მაღალი პროფესიონალიზმი ეჭვს არ იწვევს. ისინი კეთილსინდისიერად ანსახიერებენ თავიანთ როლებს, მაგრამ თვით დრამატურგიული მასალა მათ არ აძლევს ნიჭიერების ფართო გამოვლენის საშუალებას.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჟანრი ლოლაშვილი ექსპრესიულად ასრულებს გიორგის როლს. ოლონდაც, მისი გიორგი რომანის გიორგის, ალბათ, სახელით, გვართა და პროფესიით თუ ჰგავს. ამ კაცს მოზეზრებია ქალაქური ცხოვრება და ახალგაზრდა ცოლითურთ სოფელში ჩამოდის, რაზეც თვითონ გვიყვება გაზეთებიდან ამოკრეფილი სიტყვიერი კომპილაციის მეშვეობით. ამას

არტისტულად ახერხებს, მაგრამ თვით პერსონაჟის ანტიპათია ქალაქის მიმართ დამაჯერებელი არ არის. სხვათა შორის, ჩვენს ლიტერატურაში რატომღაც გავრცელდა პერსონაჟები, რომელნიც ქალაქს ცერად უყრებენ, თითქოსდა არ შეიძლება ადამიანს ქალაქი სულაც არ სძულდეს, მაგრამ სოფელში არჩიოს ცხოვრება. ჩამოსვლის პირველი წუთიდანვე გიორგი ირონიულად ელაპარაკება ცოლს. ეტყობა, ეშინია ლამაზმა ქალაქელმა არ დასცინოს სოფლურ ყოფას, თუმცა ანინა ამის საბაბს არ იძლევა. შემდგომ, სპექტაკლის გაშლის კვალობაზე ჟანრი ლოლაშვილი თამაშობს მოცუვებული ქმრისა და, ნუ დაგვავიწყდება, „კარგი ექიმის“ როლს. „კარგი ექიმის“ საქმიანობა სქემატურია და მსახიობს საშუალება არა აქვს ჭეშმარიტი შინაგანი წვა გამოავლინოს. მისი აფექტური ჭიდილი გვაჩისტან, რითაც სპექტაკლი იწყება, შემდგომ თითქოს ქრება, მინავლულია, თუმცა კვლავ ამოტივტივდება სასაფლაოზე ჩხუბის სცენაში. მსახიობი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, რასაც მწირი დრამატურგიული მასალა იძლევა მთლიანი სახის ჩამოსაყალიბებლად და მისი ბრალი არ არის, რომ სპექტაკლის გიორგი რომანის გიორგის ლანდია.

გვაჩი (მსახიობი ა. მახარაძე) „ცუდი ექიმია“, გამაფლანგველიცაა, მოლაღატეც, საციხო კაციც და ა. შ. რომანის გვაჩი სოფელს იმიტომ ტოვებს, რომ სიყრმის მეგობარს უნებლიეთ უღალატა. სპექტაკლის გვაჩი კი თითქოს კოპნიაობს თავისი დანაშაულით, არც ცდილობს დამალოს თავისი გრძნობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობს დამაჯერებლად „უყვარს“ ანინა. ასეთმა სწორხაზოვანმა ინტერპრეტაციამ გააღარიბა არა მარტო სახე, არამედ მთელი სპექტაკლიც. „ცუდი გმირისა“ და „კარგი გმირის“ დაპირისპირება იმთავითვე ნათელია და მთელი ჩვენი სიმპათია, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, „კარგი გმირის“ მხარეზეა. ჩვენ წუთითაც არ ვცდილობთ რაიმე გამართლება მოვუპოვოთ ამ გარეწარს, მაშინ როცა რომანის გვაჩისათვის სიყვარული და ლალატი სულიერ ტრაგედიადა აღიქმება.

ყველაზე მეტად მაინც ანინას სახემ იზარალა. რომანის გმირი ქალი არის ლამაზი, სათნო, წმინდა არსება. მას თავდავიწყებით უყვარს თავისი გუგუ. ამიტომაც გამოსდია სოფელში. კომფორტული ქალაქიდან გადმოსახლებას მის სულში არავითარი კრიზისი არ გამოუწვევია. ის პედიატრია და პირველი დღიდანვე მთელი

სოფლის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამ ჰარმონიული პიროვნების სახე ჩვენთვის უნებლიე ცოდვის შემდეგაც არ კნინდება. ადამიანურია მისი შიში. ბუნებრივია, რომ ის ცდილობს „ლალატი“ დაუშალოს ქმარს და მაინც პატიებას შესთხოვს. ტრაგიკულია ანინას განცდები, როცა ის გუგუს გამოიშინა და ცალკე დასახლდა. შემზარავია სცენა, როცა ანინამ თავის ჩამოხრჩობა მოინდომა და შვილმა გადაარჩინა. ამ დროსაც კი ანინას სოფლის ჭორი არ მოსცხვებია. ანინამ ტანჯვით გამოისყიდა დანაშაული, მორალური უფლება მოიპოვა კვლავ დაბრუნებოდა გიორგის და გადაერჩინა იგი. სპექტაკლის ანინა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ფაჩუაშვილი) მხოლოდ გარეგნული მშვენიერებით თუ ჰგავს თავის რომანულ პროტოტიპს. თავიდანვე იგრძნობა, რომ დიდად არაა გახარებული სოფელში ჩამოსვლით. არც აინტერესებს კალანდარიების ისტორია. მას ალერსი სწყურია და სანამ გუგუ აღტაცებული უყვება საკალანდარიოს ამბებს, გულგანყალებული ოხრავს. როგორც ექიმი, უფრო ქმრის ასისტენტსა ჰგავს, კუდში დასდევს თავის ქმარ-ექიმს და დამოუკიდებლად არაფერს აკეთებს. ანინასა და გვაჩის ზედმეტად ტემპერამენტიანი შეხვედრა უხერხულობის შეგრძნებასაც კი ბადებს. ჩვენ ვიცით, რომ ანინას არ უყვარს გვაჩი. გარკვეულ სიტუაციაში ჩავარდნილი ქალი ააღელვდა და აცდუნა ძლიერი მამაკაცის სიახლოვემ. სწორედ ამ ცოდვისათვის იტანჯა სულიერად. არც მანამდე, არც შემდგომ ანინას გუგუს სიყვარული არ განელვებია. სპექტაკლის ანინა კი გვაჩის დანახვისას პირდაპირ ჩაეკონება ქმრის მეგობარს და შემდგომაც ქალ-ვაჟი წამდაუნუნუმ თვალებით ჭამენ ერთმანეთს. ამიტომაც დაუჯერებელია ანინას გულშემოყრა თუ ტირილი, როცა ის გვაჩის ხელში აყვანილი მიჰყავს. სპექტაკლის ანინას თუ გუგუ ჯერ კიდევ უყვარს, მაშინ მისი ზნეობა საეჭვოა, რადგან გვაჩისთან ყოველი შეხვედრა გვიმტკიცებს მათს ურთიერთლოცვას. ლოგიკის თანახმად, მას უარი არც უნდა ეთქვა გვაჩისთან ერთად გაქცევაზე. მით უმეტეს არავითარი მორალური უფლება არ ჰქონდა „გამოეჯანმრთელებინა“ სულით დაავადებული „სანყალი გუგუ“. ანინას სახის ასეთ გაღარიბებაში მსახიობ ქალს ვერ დავადასაშაულებთ. მან ის როლი ითამაშა, რაც შესთავაზეს.

იქნებ ახალი და ორიგინალური არაფერია გუჩას, პართესა და კოკის სახეებში, მაგრამ მსახიობებმა (რესპუბლიკის სახალხო არტისტები ე. მაღალაშვილი და ბ. ზაქარიაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ნიფურია) ისინი შესანიშნავად წარმოგიდგინეს და ფაქტობრივად სპექტაკლი გადაარჩინეს. მათი ცოცხალი იუმორი და სამსახიობო ტექნიკა მაყურებელთა მხიარულ რეაქციას იწვევს. როგორც ყოველთვის, მშვენიერია გ. გეგეჭკორი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დორო არაფერს მატებს მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა გალერეას, რადგან თვით დოროს ფუნქცია სპექტაკლში უმნიშვნელოა. რესპუბლიკის სახალხო არტისტის ს. ყანჩელის ლამაზი ხმა და უნაკლო თამაში დიდ სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს, ოღონდაც ტატუს მწუხარება მაინც ვერ ადის ქეშმარიტ ტრაგიზმამდე. თუმცა ეს იმითაა გამოწვეული, რომ სპექტაკლის ავტორებმა თავი აარიდეს ტრაგიკულის მეტად წარმოჩენას.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მხატვრობასა და მუსიკაზე. მხატვარმა მ. ჭავჭავაძემ უბრალო, მაგრამ მეტყველი გაფორმება შემოგვთავაზა. ზევიდან ჩამოშვებული თეთრი თოკები, ეს მთვარის სხივებია. შთამბეჭდავია წარმართული კერპები. თავს მაინც ვერ შევიკავებ შენიშვნისაგან: წარმართული ღმერთები სპექტაკლში მხოლოდ სალაპარაკო თემაა, სხვა ფუნქცია მათ აქ არა აქვთ. გუგუს ტანჯვის პერიოდში კი მისი განცდების გადმოსაცემად თოკების სითეთრე არ კმარა. იქ მთელი სამყაროა თეთრი, სითეთრე თვით გუგუს სულშია. თეთრი ფერის მოძალებას იქნებ მეტად გაესვა ხაზი გუგუს სულიერი ტკივილებისათვის და განემარტა სპექტაკლის სახელწოდებაც. ი. კეჭალაძის მუსიკა მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორს ეყრდნობა. სპექტაკლში ის თავის დანიშნულებას ასრულებს. ოღონდაც, ბოლო დროს მომრავლდა სულ რამდენიმე მეგრული მელიოდის მუსიკალური ინტერპრეტაციები, მაშინ როცა უფრო ღრმა მუსიკალური შრეების მოძიება ალბათ მომავლისთვისაა გადადებული.

კიდევ ერთი პატარა შენიშვნა, რომელიც მარტო ამ სპექტაკლის მიმართ როდი ითქმის. თეატრების სცენებიდან ბოლო დროს კოლორიტის შესაქმნელად ხშირად ისმის მეგრული დიალოგი. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მსახიობები მეგრულ ფრაზებს ამახ-

ინჯებენ, ან განგებ, მაყურებლის გასაცინებლად, ან ენის უცოდინარობის გამო.

რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმატებები დიდად გვახარებს. თეატრის ყოველი გამარჯვება მთელი ეროვნული კულტურის გამარჯვებაა. და მაინც, ცალკეულ მარცხზე თვალის დახუჭვაც არ იქნებოდა სწორი.

„დილის გაზეთი“, 2 აპრილი, 1996.

**„დღეს ჩვენი სახლი ფიქრმა დაღალა...“
(ალექსანდრე საჯაიას 80 წლისთავის გამო)**

ჩემი წიგნის კარადაში ერთი სურათია. ორი-სამი წლის ბიჭუნა ჯორჯოზე ჩამომჯდარა და ფართოდ გახელილი თვალებით შემოგვეყურებს. მის ამ შემოხედვაში ამოიკითხება ცნობისმოყვარეობა, ფიქრიანობა, ბავშვური გულუბრყვილობა. „ვინ არის ეს პატარა?“ — მეკითხება მავანი სტუმარი. პასუხს ვუგვიანებ, რადგან ამ სურათზე გამოსახულ ბავშვს დღეს ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა. „და დავიჯერე, რომ ჟამმა თუნდაც ჩქარა გარიყოს წლების ფურცლები, ჩვენ არასოდეს არ მოვხუცდებით!“ — ასე დაწერა მან 1935 წელს და თითქოს საკუთარი მომავალი იწინასწარმეტყველა. მართლაცადა, წლების ფურცლები ჟამმა გარიყა. პოეტი ვერ მოესწრო სიბერეს. თვითონაც და თაობის სხვა არაერთი თანამოკალმე „ჭაბუკებად დარჩნენ მარად“.

ზუგდიდიდან არც ისე შორს, სოფელ ოდიშში (ყოფილ ლედგე-ბიეში), საიდანაც მწვანე გორაკები იწყებენ აღმასვლას სამეგრელოს მთებისაკენ, პატარა ეზოში დაბალ ბოძკინტზე შემდგარა პოეტის მომცრო ოდა-სახლი. აქედან არც ისე შორი აღმართია სოფლის სასაფლაომდე, ისევე მოკლე, როგორც მისი „უხანო“ სიცოცხლე. მაღალ გორაკს თავზე საუკუნოვანი ხეები გვირგვინად ადგას... „შევდივარ მწვანედ დაბინდულ ტყეში...“ აქ, ამ ხეთა ჩეროში, საგვარეულო განსასვენებელში 1944 წელს დაუკრძალავთ ჭაბუკი, რომელიც თავისი პატარა კრებულით მარადისობას ეზიარა.

ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ, პატარა ოდის აივანზე ვიდექით თბილისისა და ზუგდიდის საზოგადოების წარმომადგენლები. მთელი სოფელი მოაწყდა ეზო-გარემოს. გავმართეთ „ლონისძიება“, მუზეუმის გახსნის ცერემონიალი. ბევრი ლამაზი სიტყვაც ვთქვით, უხვად ვიპურმარილეთ... ერთნი გულუბრყვილოდ ხარობდნენ, მეორენი პრაგმატულად ხელს ითბობდნენ. სამწუხაროდ, ამ ზარ-ზეიმმა ვერ უშველა იმას, რომ პატარა ოდას ძველებურად აწვიმდა... პოეტი სულის მსახურია, სულის მსახური ვერაფერს მოიხვეჭს,

გარდა ტანჯვისა, მაგრამ მის სახელს ხშირად მიეტმასნებიან მავანი, ამ სათუთი და ზნეობრივი წყაროდანაც რომ ძალუძთ ხელის მოთბობა.

ალექსანდრე საჯაიამ თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ერთადერთი რამ მოიხვეჭა — „სხვა არაფერი, სიმღერის გარდა, მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი...“ ესეც ბოლომდე არ დასცალდა, ცოტა მოასწრო, მაგრამ, რაც მოასწრო, იმას პოეზიის ღმერთმა ალბათ თავისი კვერთხი შეახო. ის, რაც ამ პატარა კრებულშია მოთავსებული, ახალგაზრდა, კეთილშობილი და ნატიფი სულის გამოვლენაა. ეს სადა და ნათელი სტრიქონები პოეტის შთაბეჭდილებათა თანაზიარსა გვხვდინან. „სხივი ცვივა, თითქოს ოქროს ფიფქია, ირგვლივ მზე და სიყვარულის დღეობა...“, „ვიცი, თუ ახლა ნისლი ირღვევა, ფითრდება ღამე თმაგიშრიანი...“, „ზღვის ღელვა — ლურჯი კაბის შრიალი, ზღვის მსხვრევა — თეთრი ხელების ტაში...“, „პირველი ფიფქი რა მორცხვი არი — შუბლზე დამეცა და გაქრა უცებ...“ ამ ლექსებიდან თითქოს წარსულის ბურუსიდან გამოიკვეთება დედის, მამის, ახლობლების ხატი, მთისწინა კოლხეთის ცა და მიწა, სურნელება გაზაფხულის ნიავისა და ახალი თოვლის თეთრი ელვარება... „ჩემი და თეთრი თოვლის ქალია და უყვარს მარტო თოვლი და თოვა...“, „გაგხედავ განზე და ვილაც ბავშვის შავი თვალები შემომანათებს...“ ჭაბუკი კოკის ლექსები სიყვარულის ნადილით არის გაჯერებული: „წელს უთუოდ წერწეტა ლერწამს შევეუყვარდები...“, „დღეს სიყვარულის წკრიალებს ზარი, განათდა სული, როგორც ტაძარი...“, „შენი ბაგენი ალუბლებს ჰგავდნენ, მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ...“, „ნეტავ ჩემი ქნა ის ქალი...“ — ამ ბავშვურ-მიამიტურ ოცნებას ვერ ამცრობს ფრაზა „კომკავშირელი ვიყავი“, რადგან „კომკავშირელი“, „საბჭოთა“ დროის გამოვლენა იყო. სხვანაირი ხედვა იმ ასაკისა და გარემოცვის ახალგაზრდას არც ექნებოდა. ამ სიტყვებშიც იგი გულწრფელია.

მძიმე წლები გადავიტანეთ და ახლაც მძიმე ჟამი გვიდგას! ამ არეულმა დრომ ზედაპირზე ამოატივტივა ქვენა გრძნობები, რაც, საზოგადოდ, ადამიანს ახასიათებს. გაუსაძლისმა ყოფამ სიკეთე დაამცრო და ბოროტი ალაზევა. ადამიანთა დიდი ნაწილი განუდგა პოეზიას, პოეზიასთან მიახლოება კი ღვთაებრივთან, სიკეთესთან მიახლოებაა... „დღეს ჩვენი სახლი ფიქრმა დაღალა...“ დიას, ჩვენი

დიდი სახლი, ჩვენი სამშობლო „ფიქრმა დალალა“. იგი გადარჩენის სურვილით არის შეპყრობილი. გადარჩენა კი პოეზიის, სიკეთის გარეშე შეუძლებელია. ალექსანდრე საჯაიას პოეზია ერთი სანთელია, რომელიც წარსულის წყვდიადიდან გამოანათებს. ის არ უნდა ჩაქრეს, ის მარადის უნდა გვინათებდეს. სამყაროს შავი უფსკრულეთიდან შორეული ვარსკვლავის შუქს მოაქვს ამბავი და ჩვენ ვგებულობთ თუ რა ასაზრდოებს მის ნათელს. ასევე გარდასულ დროთა პოეტურ სინათლეს მოაქვს იმჟამინდელი სურვილები და ტკივილები, რაც თანაზიარია დღევანდელი სურვილებისა და ტკივილებისა...

გვახსოვდეს პოეტი!

„ქალთა გაზეთი“, თებერვალი, 1997.

ნაცნობი უცნობი

თომას მანის „ჯადოსნური მთის“ მთავარ გმირს ჰანს კარსტორპს შეუყვარდება მადამ შოშა. ამ რომანტიკულ სიყვარულს იგი მთელი შვიდი წელიწადი დაუმონებია, მაგრამ მათი ურთიერთობა ვერ გასცდა ოცნებათა სფეროს. ჰანს კასტორპი მხოლოდ ერთხელ დააჯილდოვეს უცოდველი ამბორით. მადამ შოშა გამოჩნდა სადღაც „კავკასიიდან“ და ასევე უკვალოდ ქრება ჰანს კასტორპის ცხოვრებიდან. ჭაბუკმა ამ შვიდი წლის მანძილზე, ცხადია, ვერა და ვერ შეიცნო მადამ შოშა და საზოგადოდ ქალი... ამ ამბის მოტანა ერთგვარი პარალელისათვის დამჭირდა. ერთმა მკითხველმა საყვედური ბრძანა: თქვენო, ქართველმა მწერლებმა არ იცით, რა არის ქალიო. თქვენს წიგნებში მხოლოდ კაცები აქტიურობენ, მოქმედებენ, ცხოვრობენ, ქალები კი ფერმკრთალი ლანდებივით გამოიყურებიანო. „ლანდები“, რა თქმა უნდა, ზედმეტად მკაცრადანათქვამი, მაგრამ ისე, რომელიმე მოანგარიშე რომ დავსვათ და დავითვალოთ კაცი-პერსონაჟი და ქალი-პერსონაჟი (ლაპარაკია ისეთ პერსონაჟებზე, რომელთა სახელები დრო-ჟამს უძლებენ!), მართლაც ბალანსი მამაკაცებისაკენ გადაიხრება. ამას, ცხადია, თავისი ახსნა აქვს. ლიტერატურამ იცის დიდად სახელმძღვანელო მწერალი ქალები, მაგრამ ძირითადად მაინც მწერლობის ჭაპანს მამაკაცები ეზიდებიან. და თუ მწერლობა, ალბათ, ესაა ავტორის მიერ საკუთარი თავის შეცნობა, ბუნებრივია, მწერალი კაცები უმეტესად პერსონაჟ კაცებში ახორციელებენ თავიანთ ჩანაფიქრს. შესაძლებელია სხვანაირი ახსნაც: დღიდან მატრიარქატის დასასრულისა, კაცები სოციალურად უფრო აქტიურნი არიან, კაცი-პოლიტიკოსი, კაცი-მეომარი, კაცი-მოგზაური და ა. შ. უფრო აქტიურად აგებს ისტორიის სასახლეს და ამ უსასრულო ქმნადობის პროცესში კაცი უმთავრესად მიზეზია, ქალი — მიზანი... ამიტომაც, ვთქვათ, არგონავტები აგებენ არგოს, მოგზაურობენ კოლხიდისაკენ, მოიტაცებენ ოქროს ვერძს, აქ სიუჟეტში ჩაერთვება ქალი — მედეა და ფათერაკიანი თავგადასავლები ტრაგიკული

ფინალით მთავრდება... ეს სქემა სხვადასხვა ვარიანტებად მილიონჯერაა გათამაშებული. თუნდაც ტროის ათნლიანი, სისხლისმღვრელი ომი. მიზანი ქალია — ელენე. ჰომეროსი კი ძირითადად უმღერის აქილევის მძვინვარებას. ელენე ჩვენს თვალწინ გაივლებს ვითარცა ძნელად მისაწვდომი ჯილდო. ზღვა სისხლი უნდა დაიქცეს ამ ქალის ხელში ჩასაგდებად... აქ იმის თქმა სულაც არ მინდა, თითქოს ქალი-პერსონაჟი „ლანდია“... მედეა, ანტიგონე, ელექტრა, კლიტემნესტრე — ანტიკური სამყაროს მითოლოგიზირებული ქალები ტოლს არაფერში უდებენ მამაკაცებს (ოლიმპოს ქალღმერთები ზევსის სხვა შვილების დარად მართავენ სამყაროს სტიქიონებს)... შუა საუკუნეებში ქალის სოციალური როლის გაძლიერება ლიტერატურაშიც აისახება. ტრისტან და იზოლდას, პოლი და ვირჟინის მსგავსი სასიყვარულო თავგადასავლების მონაწილენი, ბუნებრივია, თანაბრად გამოკვეთილი პარტნიორები არიან... შექსპირის ნაწარმოებებში ქალები მხოლოდ სიყვარულის ობიექტები როდი ბრძანდებიან, ისინი მამაკაცებთან ერთად ჩართულან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინტრიგებში, იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის. მსოფლიოს სხვადასხვა ლიტერატურებში ქალი უფრო მეტ ადგილს იკავებს, მაგრამ მაინც რა ადგილია ეს? მთავარი ის ხომ არაა, თუ რამდენი ქალი-პერსონაჟია. მთავარი ისაა, თუ რამდენად არიან ეს პერსონაჟები ქალები, რამდენადაა მათს არსებაში დანახული ქალის ჭეშმარიტი ბუნება. დანტეს ბეატრიჩე ხომ უფრო სიმბოლოა, ანგელოზადქცეული არსებაა, სულთა სამყაროს მობინადრეა...

რომანის დაბადებამ (ნამდვილი რომანი ხომ ფრანგებმა გვარუქეს) ქალი მითოსიდან და სიმბოლოდან ცოცხალ არსებად აქცია. უქალეზო რომანი, ალბათ, ვერც მიიჩნევა რომანად, რომანის ძირითადი შინაარსი ხომ ქალისა და კაცის ურთიერთობაა. ამიტომ ღირსეული რომანი რომ დაინეროს, მწერალი უნდა იცნობდეს ქალს. ყველაზე უკეთ ქალის ბუნებას, ალბათ, ფრანგი მწერლები იცნობდნენ. ბოლოს და ბოლოს ეს არცაა გასაკვირი. ისეთი მწერლები, როგორც მოპასანია, შეიძლება ითქვას, ქალის ბუდეურებში გათვითცნობიერდნენ. ზოგიერთი მწერალი ქალის ბუნებას უფრო ღრმად სწვდება, ვიდრე მამაკაცისას, თუმცა დიდი მწერლების შემოქმედებაში ეს უთანაბრობა დაძლეულია. აი, თუნდაც, ლევ

ტოლსტოის ნატაშა რასტოვა! სიყმანვილე, პირველი გატაცებანი, ფათერაკიანი სასიყვარულო შემთხვევა, ტრაგედია, რაც ომსა და ანდრეი ბალკონსკის დაღუპვას მოჰყვება, მონანიება, ფინალში კი პიერ ბეზუხოვის მეუღლეობა, — ყოველ ამ ეტაპზე მწერალი აღწევს უდიდეს ბუნებრიობას... ანდა „ანა კარენინა“ გავიხსენოთ, ან მასლოვა „აღდგომიდან“... ასევეა დოსტოევსკის პერსონაჟი ქალები, გამორჩეულად კი პატარა გოგონები, რომელთა სულის შემძვრელი ბავშვური ტანჯვანი და გზნებანი მკითხველის გულზე იარას ტოვებს... დიახ, რუსი კლასიკოსი მწერლები კარგად იცნობდნენ ქალებს, რადგან ისინი კარგად იცნობდნენ საერთოდ ადამიანს, ესმოდათ მისი სევდა და ტკივილი ამ უსაზღვრო და მოუწყობელ სამყაროში...

ამ თვალსაზრისით იქნებ არც ქართული ლიტერატურის წიაღში ჩახედვაა უინტერესო. უპირველესი ქართული მოთხრობა ხომ ქალზეა დაწერილი. ოლონდაც, აგიოგრაფი ავტორისათვის ამ შემთხვევაში მთავარი სულაც არაა ის, რომ შუშანიკი ქალია. მისთვის მთავარია ქრისტეს რწმენისათვის ტანჯული სულის ჩვენება... თამარის ზეობის ხანაში ბუნებრივია თინათინისა და ნესტან-დარეჯანის გამოჩენა. ეს ხელმწიფე ქალები მამაკაცთა დარად ქვეყნებს მართავენ და იბრძვიან... „ვისრამიანის“ ტიპის სამიჯნურო რომანებში პარტნიორები ერთ სტილში მოქმედებენ, სიყვარულისაგან ველად გაჭრა იქნება თუ მოთქმა-ვაება და ტირილი. სხვა სარაინდო რომანებში ქალებს შეუძლიათ ციხეკოშკზე ცოცხალი ხარის აზიდვა, ანდა დევგმირებთან ჭიდილი. რომანტიკოსებისათვის ქალი სევდიანი ტრფობის საგანია... გასულ საუკუნეში, სამწუხაროდ, ქართული რომანი არც შექმნილა. პროზა უმთავრესად მოთხრობის ფანრში თავსდებოდა (აქ, რა თქმა უნდა, ვრცელი მოთხრობაც იგულისხმება, რასაც რუსები „პოვესტს“ უწოდებენ). მათში ქალი-პერსონაჟი ორი რაკურსით იყო დანახული: ქალი-პატრიოტი, სამშობლოსათვის თავდადებული, საზოგადო საქმეების გამრიგებელი, მეომრის დედა, ერის სიმტკიცისა და ნების გამომხატველი და ქალი, სოციალურად დაჩაგრული არსება, რომელსაც ლუკმაპური ვერ უშოვია („თინას ლეკური“ ანდა „მაგდანას ლურჯა“ და მისთანანი). ქალის როლის ასეთი გააზრებაც, რა თქმა უნდა,

კანონიერია, თვით ცხოვრების მიერაა ნაკარნახევი, მაგრამ ხედვის რაკურსის ორად ორ ფოკუსში თავმოყრამ გაალარბა ლიტერატურა...

ქართული რომანი მეოცე საუკუნის პირმოა. მასში აისახა ჩვენის საზოგადოების რთული და წინააღმდეგობით სავსე ცხოვრება. მაგრამ შევხედოთ ამ რომანებს ჩვენთვის საინტერესო კუთხით. მოვიძიოთ რომანი, რომლის ცენტრალური ფიგურა ქალი იქნება. მხედველობაში მაქვს ისეთი პერსონაჟი, რომლის გასახსენებლად მხსიერების დაძაბვა არ დაგვჭირდება. ვინმემ რომ გვთხოვოს პერსონაჟი-კაცების ჩამოთვლა, უმალ ჩამოვარაკრავებთ: თარაშ ემხვარი და არზაყან ზვამბაია, გიორგი მეფე და არსაკიძე, ჯაყო და კვაჭი, ბათა ქექია და გვადი ბიგვა, დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია... ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება და კაცების საკმაოდ შთამბეჭდავი გალერეა წარმოგვიდგება. მაგრამ ქალები?.. ალბათ ყველაზე მეტად შორენა მოაგონდება მკითხველს... „ქალის ტვირთი“? „ჯარისკაცის ქვრივი“? მხოლოდ დიდად განაფულ მკითხველს გაახსენდება ამ წიგნების მთავარ პერსონაჟთა სახელები. ამით ამ წიგნების დამცრობა კი არ მსურს, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ სულ თითო-ორო-ლა რომანი არსებობს, რომელთა ცენტრალურ პერსონაჟად მწერლებმა ქალები აირჩიეს, მაგრამ ეს პერსონაჟები ოდნავადაც ვერ მიუახლოვდნენ თუნდაც იმავე მწერლების მიერ შექმნილ მამაკაცთა პორტრეტებს (სხვათა შორის უკეთესი ვითარებაა მკირე ჟანრის ნაწარმოებებში: „თავსაფრიანი დედაკაცი“, „თავადის ქალი მათა“...). ხშირად მამაკაცის მიერ შეთხზულ ქალის პორტრეტს კაცური შტრიხები ახლავს, და თუ მწერალი ქალია, მისი პერსონაჟი-კაცები ქალურად აზროვნებენ.

ჩვენ, კაცები, ვიცნობთ და კიდევ არ ვიცნობთ ქალებს. ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო შელაპარაკება: ახალგაზრდა ცოლქმარი ჩხუბობს. ქმარი დინჯად, ლოგიკის მოშველიებით ცდილობს ცოლის დარწმუნებას თავის სიმართლეში. ცოლის პასუხი: კი, სიტყვით შენ მართალი ხარ, მაგრამ სინამდვილეში მე ვარ მართალი. ალბათ ეს ასეცაა, რადგან ქალი ამ შემთხვევაში ლოგიკას ქალური ემოციით უპირისპირდება. ორ ადამიანს თითქოს არ ესმის ერთმანეთის. ისინი სმენადობის სხვადასხვა რეგისტრზე გახლავან აწყობილნი.

რალა სხვა მწერლებს ვუკირკიტო. თუ ეს ზედმეტ თავდაჯერებაში არ ჩამომერთმევა, საკუთარი სამზარეულოს კარს შევალე.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც კალამი მიჭირავს და, ბუნებრივია, ჩემს ოპუსებში უამრავი ქალი ცოცხლობს. დღევანდელი თვალსაწიერიდან უფრო ნათლად ვხედავ ამ პერსონაჟების ნაკლსა და ლირსებებს, მაგრამ რაიმეს შეცვლა უკვე შეუძლებელია. თუნდაც იმისი, რომ ჩემი საყვარელი გმირი ქალები სიყმანვილისდროინდელი ოცნებების ანარეკლი უფროა, ვიდრე რეალური თვისებებით დაჯილდოებული ადამიანები... ისინი იმ დროიდან მოდიან, როცა ბავშვის წარმოსახვაში იბადება ზღაპრული პრინცესა. მეოცნებე ადამიანისათვის სივრცისა და დროის უკიდევანობა არაფერია, იგი ნებისმიერ ზღვარს იოლად ძლევს. ამიტომაც, წარმოსახული პრინცესაც მართალი შტრიხებით იმოსება. ყოველი მომდევნო გატაცების საგანში ჩვენ ვეძებთ იმ პირველი პრინცესას ნაკვთებს, თუმცა რეალური ცხოვრება მსგავს ფანტაზიებს აცამტვერებს. როდის უნდა დამთავრდეს წარმოსახვის ეს თამაში? მწერლისათვის ბავშვობის ასაკი თითქმის არასოდეს მთავრდება და მისი ზღაპრული ფერია უკვე დაცოლშვილებულ და ბაბუადქცეულ მწერალს მუდამ თან ახლავს. ჩემი ერთ-ერთი რომანის („მკვდარი სახლი“) გმირი ვერონიკა ცამეტი წლისაა და იგი მარადის ცამეტისა რჩება. იგი მთავარი პერსონაჟის პაპუნა ჭყონიას სიყმანვილისდროინდელი ოცნებების ნაყოფია და ამიტომ დაბერება არ უწერია. ამ ოცნებამ პაპუნა გადაარჩინა, სწორედ ვერონიკას ამოჰყავს იგი არყოფნიდან ყოფიერებაში.

მწერალს სურს შექმნას იდეალური გმირის პორტრეტი. იდეალური, აბსოლუტურად სრულყოფილი ადამიანი ერთია — ძეღვთისა. ადამიანში შეიძლება სახლობდეს ღვთიური სული, მაგრამ ამავე დროს იგი ხომ ბიოლოგიური არსებაა და ამიტომაც მასში იმთავითვე ჩადებულია ცოდვის შესაძლებლობა. პერსონაჟის იდეალიზირება იწვევს ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებისაგან მის გათავისუფლებას. თვალისმოძრელ სინათლეში კი ჩვენ ვერაფერს დავინახავთ. „მარადი მხედარის“ პერსონაჟი მზია იდეალური პიროვნებაა და ამიტომაც უფრო სქემატური და არაბუნებრივი გამომივიდა, ვიდრე მეორე პერსონაჟი მაცაცუნა, რომელსაც ცოდვისაკენ ლტოლვა უხვად მომადლებია. იმისი თქმა მინდა, რომ ამ იდეალიზირებულ ქალთა გარდა რეალური ქალების დახატვაც ვცადე, მაგრამ ჭეშმარიტი რეალობისაკენ მხო-

ლოდ ნაბიჯი გადავდგი. რეალობიდან მოსული პერსონაჟი-ქალე-
ბი მართალია დაშორდნენ იდეალურ ფიგურებს, მაგრამ ნაკლებად
მრავალნახნაგოვანნი არიან, ვიდრე პერსონაჟი-მამაკაცები.

ეს ხდება ჩვენი ცოდნის დეფიციტის გამო. ჩვენი ნაცნობი ქალე-
ბი ჩვენთვის, ქართველი მამაკაცებისათვის მხოლოდ ნაწილობრივ
არიან ნაცნობნი. ჩვენი ცოდნის მიღმა იმალება ტერა-ინკოგნიტა,
სამყარო, რომლის შეცნობა შეუძლებელი არაა, მაგრამ გარკვეუ-
ლი ძალისხმევა საჭიროა. უცნობ ტერიტორიაზე სამოგზაუროდ
ვერ ნახვალ, თუ სათანადოდ ვერ შეემზადები.

ამ ესეს მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რა მნიშვნელობა აქვს,
ნიგნის მთავარი პერსონაჟი ქალი იქნება თუ კაცი, მთავარია, ნიგ-
ნი იყოს საინტერესო, ამის დამწერი რა თავს იტკიებს, ქალი და
კაცი რამ გაყო, ორივე ღვთის გაჩენილიაო... ალბათ ეს ასეცაა, მაგ-
რამ ნიგნის სახელგანთქმული პერსონაჟები რეალურად არსებულ
ადამიანთა დარად (ზოგჯერ კი უფრო მეტადაც!) ზემოქმედებენ
ჩვენზე. ისინი მუდამ ჩვენს გვერდით არიან, გზას გვიკვლევენ
ცხოვრების ლაბირინთში. ამიტომაც სასურველია, რომ ამ გალერე-
აში გაიბრწყინოს ქალმა-დედამ, ქალმა-დამ, შვილმა, მეგობარმა,
სატროფომ, უბრალოდ ქალმა... ამ სიტყვებს მანერინებს იმედი იმი-
სა, რომ ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდება ავტორი, რომელ-
საც ძალუძს თავისი ქალი-პერსონაჟი გვერდით ამოუყენოს მაღამ
ბოვარსა და ანა კარენინას.

ნიკოლოზ ავალიშვილი*

*მრავალგვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ად-
ამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია
საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა და ვინ როგორ
უძღვება. თითონ საქმის მეტნაკლებობა აქ არაფერ შუაშია,
დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიმართოს,
იმას ჩასჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და
უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და
ამისით კი ყოველი პატარაც დიდი.*

ილია

არიან ადამიანები, რომელთა ღვანლი ერთბაშად არ გეცემათ
თვალში. მთელი თავიანთი სიცოცხლე ისინი უპრეტენზიოდ იღვ-
ნიან ერის საკეთილდღეოდ, წვეთ-წვეთობით ამდიდრებენ ეროვნულ
კულტურას. ლიტერატურული პროცესი მარტო გენიოსთა სახე-
ლებისაგან არ შედგება. ბუნებრივია, რომ მკვლევართა ყურადღებას
ბრწყინვალე მწვერვალები უფრო იპყრობენ, რადგანაც ისინი შორი-
დან მოჩანან და მათ ბევრი ხედავს, მაშინ როდესაც ზოგიერთ პატა-
რა გორაკს სახელიც კი დაჰკარგვია. „ცხოვრების დიად ტალღათა-
გან, რომელთაც მარგალიტებთან ერთად სხვადასხვა ნალექიც
მოაქვთ, ჯერ კიდევ ვერ გამოგვიკრეფია ეგ „თვალნი პათიოსანნი“
და ხალხის გულზე ტურფა მძივებად ვერ ჩამოგვიკიდნია“, ** —
გულისტკივილით აღნიშნავდა თავის დროზე შალვა დადიანი.

მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურა და
კულტურა დამშვენებულია ისეთი სახელებით, როგორებიც არიან
ილია და აკაკი, ვაჟა და ივანე მაჩაბელი და სხვ., მაგრამ ჩვენი ერის
ლიტერატურისა და კულტურის განვითარების პროცესი მთლია-
ნობაში წარმოუდგენელია ისეთი მოღვაწეების გარეშე, როგორე-
ბიც იყვნენ ანტონ ფურცელაძე და ივანე კერესელიძე, დიმიტრი

* ეს ტექსტი ავტორის სადიპლომო ნამუშევარია; იბეჭდება შემოკლებით.

** შალვა დადიანი, „დროება“, 1909, 42 — 43.

ციფიანი და პეტრე უმიკაშვილი, ავქსენტი ცაგარელი და პლატონ იოსელიანი... ამ პროცესის წარმოდგენა შეუძლებელია აგრეთვე ნიკო ავალიშვილის სახელის გარეშე.

ნიკო ავალიშვილი, უპირველეს ყოვლისა, იყო ქვეყნის მოამბე, ადამიანი, რომლისთვისაც ერის ინტერესები წმიდათაწმიდას წარმოადგენდა. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ის მზად იყო ეკეთებინა ყოველგვარი საქმე, დიდი თუ პატარა, ოღონდ დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ეს საქმე ოდნავ მაინც წასწევდა ერს წინ კულტურულად ან მატერიალურად.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მას ხელიდან არ გაუვდია კალამი და ცოცხალ მატთანად გადაქცეული, ისევ და ისევ ეჭიდებოდა გოლიათს და რა ვუყოთ, რომ გოლიათთან ამ ჭიდილში იგი ყოველთვის ვერ გამოდიოდა გამარჯვებული. ისიც შესაძლებელია, რომ მან იმდენის გაკეთება ვერ შეძლო, რამდენზედაც გული ერჩოდა, მაგრამ კვლავ ილიას სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ეგებ მისი ამაგი „დიდი არ იყოს, მაგრამ დიდი იყო გული, საცა ამისთანა სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზრდილა“.

* * *

ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი დაიბადა 1844 წლის 4 ივლისს (ახალი სტილით 16-ს) სოფ. საგარეჯოში, სასულიერო პირის ოჯახში. 1852 წელს იგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. 1857 წელს სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა და თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა.

1862 წელს 18 წლის ნიკო მოსკოვს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, სადაც მომდევნო წელს თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ნიკო ავალიშვილი ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“, შემდეგ გ. წერეთელმა მუდმივ თანამშრომლად მიიწვია „სასოფლო გაზეთში“. 1869 წლის მარტიდან ნიკო ავალიშვილი სცემდა ჟურნალ „მნათობს“ (გამოდიოდა 1873 წლამდე).

1872 წლიდან 1912 წლამდე მსახურობდა საინტენდანტოში. სამსახურებრივი მივლინებით იმოგზაურა შორეულ აღმოსავლეთში, მოიარა მთელი მანჯურია და ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი.

ნიკო ავალიშვილი ეწეოდა ფართო მთარგმნელობით საქმიანობას. მან თარგმნა სერვანტესის „დონ კიხოტი“ (ამაზე ვრცლად ქვემოთ ვილაპარაკებთ), აგრეთვე, შილერის დრამები: „ვილჰელმ ტელი“, „ფიესკოს შეთქმულება“, „ყაჩაღები“, „ორლეანელი ქალწული“, „მარიამ სტიუარტი“ (იგი შილერის დრამების პირველი ქართველი მთარგმნელია), სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“, ჰ. სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ“ (გამოქვეყნდა 1964 წელს) და სხვა მრავალი მხატვრული და მეცნიერული ნაშრომი.

მნიშვნელოვანია ნიკო ავალიშვილის ორიგინალური თხზულებები. იმდროინდელი პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებშიც იგი მსჯელობდა ერის წინაშე მდგარ საჭიროებებზე.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვიდან ჩამოსვლის დღიდანვე ნიკო ავალიშვილი ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული თეატრის აღსადგენად. მაშინ, უთეატრობის პირობებში, კერძო ინიციატივით იდგმებოდა ცალკეული სპექტაკლები, რამაც ერთგვარად შეამზადა მუდმივი დასის შესაქმნელად საჭირო პირობები. 1877 წლის 12 მაისს შედგა ქართული წარმოდგენა, რომელშიც აკაკი წერეთელი და ნიკო ავალიშვილი მონაწილეობდნენ. შემდგომში ნიკო ავალიშვილის თაოსნობით დაიდგა არაერთი სპექტაკლი თვით 1879 წლამდე, როცა მუდმივი დასი დაარსდა. ნიკო ავალიშვილი დასშიც მონაწილეობდა როგორც მსახიობი, რეჟისორი, ადმინისტრატორი და სხვ.

1912 წელს ნიკო ავალიშვილი პენსიაზე გავიდა, მაგრამ დასვენებას იგი არ აპირებდა. „თავის სიცოცხლის მიწურულში, ყველა-საგან პატივცემული, ერის წინაშე ვალმოხდილი და ნაამაგდარი, იგი ერთგვარი ენციკლოპედია, ან როგორც იტყვიან, ცოცხალი მატთანე იყო, ყველასათვის ხელმისაწვდომი, სასარგებლო და სანდო და ისიც არავისთვის იშურებდა თავისი ცოდნის, დიდი გამოცდილების გაზიარებას“.*

ნიკო ავალიშვილი გარდაიცვალა 1929 წლის 17 სექტემბერს.

* სოლომონ ცაიშვილი, „ნიკო ავალიშვილი“, გვ. 49.

1. ნიკო ავალიშვილის საზოგადოებრივი შეხვედრები

სასულიერო სემინარიაში ქართული ენა და კულტურა ფაქტობრივად იდევნებოდა. სემინარიის ხელმძღვანელობა ამკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდა. მიუხედავად ამისა, ნიკო ავალიშვილი აღიზარდა როგორც საქართველოს მგზნებარე პატრიოტი, მისი ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის მოტრფიალე, ერის ქირ-ვარამის გამზიარებელი. უფროსი ძმის, დავითის ოჯახში, სადაც ნიკო იზრდებოდა, იმ დროს თავს იყრიდა ერთი მოწინავე ნაწილი ინტელიგენციისა. 13 წლისა იყო ნიკო, როცა გაიცნო გიორგი ერისთავისდროინდელი თეატრის მსახიობები მეიფარიანი და ზეინკალოვი. მათგან გაიგო ქართული თეატრის თავგადასავალი, მისი დაშლის მიზეზები და ის გასაჭირი, რომლის წინაშე ქართული კულტურა იდგა უთეატრობის გამო. აქედან გამოიკვეთა მისი სიყვარული ქართული თეატრისადმი, რაც მას სიკვდილამდე გაჰყვა.

მოსკოვში ჩასული ნიკო ავალიშვილი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შეისწავლოს, რათა შემდგომ სამშობლოს გამოადგეს.

როდესაც კარაკოზოვის საქმის* მონაწილემ, მისმა სემინარიისდროინდელმა მეგობარმა ჩერქეზიშვილმა შესთავაზა მასთან ერთად მიეღო მონაწილეობა შეთქმულებაში, ნიკო ავალიშვილმა პასუხში ფაქტობრივად ცხოვრების მთელი პროგრამა დაუპირისპირა: „ყველა ნასწავლი ქართველი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს, მისი ერის გონებრივად და ქონებრივად წინასწანევად უნდა იშრომოს, რათა თავის დროზედ, თავისი უფლების მოთხოვნა თამამად შეეძლოს; ამასთან რუსეთი განათლებული ხალხით მდიდარია, ორიოდე ქართველის დაუხმარებლადაც გაუძღვება თავის საქმეს; საქართველო კი ღარიბია განათლებული ხალხით. გასაკეთებელი საქმე კი ბლომად გვაქვს, ამიტომაც ყველა ჩვენგანი ჩვენს ქვეყანაშივე უნდა დატრიალდეს და ჩვენი ერის საკეთილდღეოდ იმუშაოს“.**

* კარაკოზოვი იმპერატორზე თავდასხმის მოწყობის გამო ჩამოახრჩვეს პეტერბურგში, მარსის ველზე.

** ლიტ. მუზ., ხ — 22570, გვ. 4.

ნიკო ავალიშვილი ტიპური სამოციანელია. ის იზიარებს ყველა იმ პროგრესულ იდეას, რაც ჩვენმა „თერგდალეულებმა“ რუსი და ევროპელი განმანათლებლების გავლენით შეითვისეს და შეეცადნენ ქართული სინამდვილისათვის მიესადაგებინათ.

ნიკო ავალიშვილი რომ სამოციანელ პროგრესულ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, ამას ბევრი მტკიცება არ ჭირდება. მისმა „მნათობმა“ პირველსავე ნომერში გამოაცხადა, რომ ის „საქართველოს მოამბის“ საქმის გამგრძელებელია და ახალი თაობის მოთავე. ამ განცხადების სერიოზულობას მონიშნავს ჟურნალის აზრი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე: „ბევრი უკეთესი, რაც კი რამ დაწერილა ქართულად, იპოვება „საქართველოს მოამბეში“ და სხვათა შორის ეკუთვნიან უფ. ილ. ჭავჭავაძის კალამს, რომელმაც თავისი მოთხოვნებით, ლექსებით და სხვა და სხვა სტატიებით დაგვიმტკიცა თავისი ნიჭი და ნამდვილი ტალანტი და იმდენად უფრო დიდად ვაფასებთ მისს თხზულებაებს, რამდენათაც უგუნური კრიტიკოსები ცდილობენ იმათ დამცირებას“.*

ამიტომაც არ შეიძლება „მნათობი“ და მისი რედაქტორი ნიკო ავალიშვილი გადავიყვანოთ კონსერვატორთა რიგში, როგორც ეს ეგონა, მაგალითად, სოფრომ მაგლობლიშვილს: „მაშინდელს ჩვენს მწერლობას ორი მიმართულება ჰქონდა; ერთი იყო კონსერვატიული „მნათობის“ გარშემო, II პროგრესული „დროება-კრებულის“ გარშემო“.**

ეს აზრი გამოითქვა „მნათობის“ ცხარე კამათის გამო „დროებასთან“, რაც ზოგჯერ ურთიერთლანძვამდე მიდიოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა „მნათობში“ თანამშრომლობა დაიწყო ანტონ ფურცელაძემ, საკმაოდ თავდაუჭერელმა პოლემისტმა. მაგრამ იმ ეპოქაში უამრავი ასეთი ფაქტია ცნობილი, როდესაც წვრილმან, ზოგჯერ პიროვნულ ამბებს აყოლილი მოკამათები ერთმანეთს სიტყვების კორიანტელით ანადგურებდნენ, თუნდაც ისინი ერთი და იმავე მიმდინარეობის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. ამისი თვალსაჩინო მაგალითია თვით ნიკო ავალიშვილისა და ანტონ ფურცელაძის ურთიერთობა. თავის დროზე „ცისკარმა“

* „მნათობი“, 1869, მარტი, გვ. 9 (ინაშვილის სტატიიდან).

** ლიტ. მუზ., ხ — 3851 (უპაგინაციო ფურცელი).

ნიკო ავალიშვილის შედგენილი „კალენდარი“ გამოსცა. ეს გამოცემა ანტონ ფურცელაძემ გააკრიტიკა. ნიკო ავალიშვილმა პასუხი გასცა. ასეთმა ახალგაზრდამ როგორ გამიბედაო და ანტონ ფურცელაძემ უარესი წერილი დანერა. ნიკო ავალიშვილმა პასუხად „ცისკარში“ გამოაქვეყნა სტატია „თბილისელი დონ-კიხოტი და იმისი გამოლაშქრება „დროებაში“, სადაც სხვათა შორის წერდა: „ჩემთვის „უფ. ანტონ ფურცელაძე“ და „დონ-კიხოტ თბილისელი“ ერთსა და იმავე პირს შეადგენენ“.* არ გასულა ორიოდე წელი და ნიკო ავალიშვილის ჟურნალის ფურცლებიდან იგივე ანტონ ფურცელაძე თავს ესხმოდა „დროებას“. ასე რომ, ჟურნალისა და მისი რედაქტორის კონსერვატიულობის დასამტკიცებლად ეს არგუმენტი არ კმარა. ამაზე თვითონ ნიკო ავალიშვილი წერდა ზემოხსენებულ ხელნაწერში: „იმ დროს ჩვენი მწერლობა 60-იანი წლების აზრთა დენის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ჩემი აზრით არავითარი განსაკუთრებული მიმართულება არ არსებობდა მაშინ ქართულ მწერლობაში, გარდა პროგრესულისა; ყველა მწერალი თავის შეძლებისა და გვარად იმას სწერდა, რაც საქართველოს გამოფხიზლებისათვის და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იყო საჭირო“. რასაკვირველია, აზრს, რომ მხოლოდ პროგრესული მიმართულება არსებობდა, რადგან ყველას სიკეთე სურდა, არ შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მათი ავტორი მტკივნეულად განიცდიდა თავის „კონსერვატიულობას“.

მეორე მიზეზი ასეთი ბრალდებისა იყო დიმ. ბურიევის ლექსი: „ხსენება საკვირველისა განთავისუფლებისა განსაცდელისაგან ხელმწიფე იმპერატორისა, 4 აპრილს, 1865 წელსა“, როდესაც „ემმაკის წარგზავნილებმა“ ბომბი ესროლეს მის იმპერატორულ უდიდებულესობას. ესაა ლოიალური ქვეშევრდომის ლექსი, მდარე და ყალბი პათოსით სავსე. იგი მართლაცდა არ შეეფერებოდა „საქართველოს მოამბის“ გზის გამაგრებელ ჟურნალს. ეს ლექსი კი მის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა. თვით ნიკო ავალიშვილი გრძნობდა, რომ მისი დაბეჭდვა შეცდომა იყო. „ერთად ერთი ლექსი აქვსთ თითზედ დახვეული „მნათობის“ მონინალმდეგეებს, მაგ-

რამ იგი შემთხვევითია და სასტიკი ცენზურის ხანაში, ჟურნალისათვის ვერც კონსერვატიულობის და ვერც პროგრესიულობის დასამტკიცებლად გამოდგება“.*

უფრო მეტიც, ნიკო ავალიშვილი აქტიურად იბრძოდა პროგრესული წრეების დასაცავად კონსერვატიული ძალებისაგან. მათა და შვილთა ბრძოლაში იგი მთლიანად შვილთა მხარეზე დადგა. ჟურნალ „მნათობში“ 1872 წელს გამოქვეყნდა სტატია „ვინ სტყუის? (ჩვენი ეხლანდელი ძველი და ახალი თაობა)“, რომლის ავტორი წერდა: „თითქმის მთელი ჩვენი ეხლანდელი ძველი თაობა სამართლიანად შეიძლება შევადაროთ ისეთ მშობლებს, რომლებმაც გაუყიდეს და შეუჭამეს თავიანთ მემკვიდრეებს ყოველი საცხოვრებელი და დასტოვეს ისინი ქვეყანაზედ უნუგეშოდ“.** შეიძლება, ზედმეტად მკაცრადაა ნათქვამი, მაგრამ ჟურნალის გამომცემელთა აზრი აქ ნათელია.

ნიკო ავალიშვილი იყო ტიპური განმანათლებელი. ხედავდა რა ხალხის მასების დუხჭირ ცხოვრებას, უკულტურობას, ჩამორჩენილობას, ეროვნულ ჩაგვრას, ის ცდილობდა მდგომარეობა გამოესწორებინა ხალხში კულტურის, ცოდნა-განათლების დანერგვის გზით. აქეთკენ იყო მიმართული მთელი მისი ენერჯია და გულისყური. ამიტომ ქმნიდა იგი თეატრს, სცემდა ჟურნალს, თარგმნიდა მონინავე იდეების შემცველ ნაწარმოებებს და ისეთებსაც, გლახურ მეურნეობას რომ დააყენებდნენ აღმავლობის გზაზე. მას არ გააჩნდა რამენაირი პროგრამა სოციალური ურთიერთობების შესაცვლელად. ის ნუხდა მემამულეთა უძლურებაზეც, რადგანაც საზოგადოების ყოველი წევრის სიმდიდრე მთელი ქვეყნის სიმდიდრედ მიაჩნდა. 1914 წელს დანერა კიდევ სტატია „მემამულეთა საყურადღებოდ“, რომელიც „სახალხო გაზეთს“ გაუგზავნა. ამ სტატიაში ავტორი იხილავს მემამულურ მეურნეობას და მისი დაცემის მიზეზებს. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მამულები და ტყეები ვარდება უცხოელთა ხელში და მოუნოდებს მემამულეებს ყაირათიანად, მეცნიერების მიღწევების საფუძველზე აწარმოონ მეურნეობა. ამ შემთხვევაში და ყველა სხვა ადგილას, იგი,

* „ცისკარი“, 1867, აპრილი, გვ. 13.

* ლიტ. მუზ., ხ — 3851 (უზაგინაციო ფურცელი).

** „მნათობი“, 1872, ივნის-ივლისი, გვ. 11.

რასაკვირველია, ვერ სცილდება წვრილბურჟუაზიულ-მესაკუთრულ წარმოდგენებზე მალა და მისი რეფორმისტული იდეები ობიექტურად გულისხმობენ ჯერ კიდევ აღმავალი კაპიტალიზმისათვის გზის გაკაფვას.

რა მიმართებაში შეიძლება ყოფილიყო ნიკო ავალიშვილი სოციალისტურ იდეებთან, რომლებიც საუკუნის მეორე ნახევარს მოდაშიც კი იყო? მისი გამონათქვამებიდან არსად ჩანს, რომ იგი შორს წასულიყო უტოპიური სოციალიზმიდან. უფრო სწორი იქნება დასკვნა, რომ ეროვნული პრობლემებით შეწუხებულისათვის, რომელსაც ერი ერთიანად მიაჩნდა და კლასებზე არც უმსჯელია არასოდეს, სოციალიზმის პრობლემა ინტერესთა გარეთ დარჩა. ამ მხრივ საინტერესოა ჯონ სტიუარტ მილის თხზულების „ქალების განთავისუფლება“ სქოლიოში მოცემული განმარტება სიტყვისა „სოციალიზმი“. ეს „არის ფილოსოფიური სწავლა, რომელსაც საგნად აქვს გამრავლება საზოგადოების ღონისძიებათა, რომ მთელმა კაცობრიობამ მიაღწიოს თანასწორ კმაყოფილებას და ბედნიერებას. სოციალიზმი ასწავლის: სიკეთეს, წარმატებას და თანასწორობას, ასწავლის აგრეთვე, რომ სუფევდეს მართლმსაჯულება, გონიერება და თავისუფლება. სოციალისტს ეძახიან ყველას, ვინც კაცობრიობის ანუ საზოგადოების ბედნიერებისათვის ცდილობს და ყველა ამ აზრით მომხდარი დაწესებულება არის სოციალური დაწესებულება“.*

შესაძლებელია, რომ ეს ამ სიტყვის პირველი განმარტებაა საქართველოში, მაგრამ რაოდენ ბუნდოვანია იგი.

1869 წლის სექტემბერში ნიკო ავალიშვილმა გადამწყვიტა დაენერა „ქართული თეატრის ისტორია“. მისი პირველი ნაწილი დაბეჭდა კიდევ „მნათობში“. მეორე ნაწილი არ დაბეჭდილა, რადგანაც „მისი ზოგი ადგილი ცენზორს არ მოეწონა“.**

ამ სტატიაში ნიკო ავალიშვილი ეხება ყველა იმ მნიშვნელოვან ამბავს, რაც მოხდა XIX ს-ის I ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „ამ საუკუნის დასაწყისით საქართველოს ცხოვრება ახალ ხანაში, დამოუკიდებელ, თავისუფალ ცხოვრებიდან

* „მნათობი“, 1869, მაისი-ივნისი.

* ლიტ. მუზ., ხ — 3836, გვ. 1.

მონურ ცხოვრებაში გადავიდა“ — წერს ავტორი.* ცხადია, ასეთ ფრაზას ცენზორი არ გაუშვებდა. „მართალია, გაჩნდნენ აქ უკმაყოფილონი, ბჭობდნენ ახალი ცხოვრების შეუფასებლობაზედ, სიტყვითგან საქმეზედ აპირებდნენ გადასვლას, მაგრამ ერთი მუჭა ხალხი იყო, ამასთან „ციხე შეგნიდგან გაუტყდათ“ და ისინიც ექსორით შორს ქვეყნებში იყვნენ დაქსაქსულნი“.** ეს სიტყვები 1832 წლის შეთქმულებაზეა ნათქვამი. ეტყობა, ავტორი თანაუგრძობდა შეთქმულებსა და მათ იდეებს.

ნიკო ავალიშვილი ვერ მოატყუა ვორონცოვის ლიბერალურმა პოლიტიკამ. იგი მიხვდა, რომ, მიუხედავად ლმობიერებისა, ეს პოლიტიკაც იმავე ცარიზმის პოლიტიკა იყო, ქართველი ხალხის სულიერი დამონებისათვის გამიზნებული.

„თ. ვორონცოვის მთავარმართებლად დანიშვნისთანავე მთავრობის მიმართულება შეიცვალა. ეს სულ სხვა ჯურის გამგებელი იყო. მან, მეტად გამჭრიახი გონებისამ, იმ რიგად დაიწყო საქართველოს მართვა, რომ დაბოლოებითაც ანადგურებდა მას და მადლობასა და ქებასაც იმსახურებდა მისგან. ქართველების უმეტესობას ჭკუა-გონებას იქამდის უბნელებდა, რომ ვერ შეეგნეს იმის გამანადგურებელი პოლიტიკა; ბევრს აქამდის ვერ შეუგნია და ბევრისთვის იქნება იმ საუკუნეშიაც გადავიდეს ესეთი შეუგნებლობა“***

ასეთი იყო ნიკო ავალიშვილის შეხედულება ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ იგი არ ყოფილა ბრმა პატრიოტი, არც უცხო ერების მოძულე. მას კარგად ესმოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო რუსული და ევროპული კულტურების მიღწევებთან ქართველი ხალხის ზიარება. მთელი მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა ხომ ამის ნათელი დადასტურებაა. ამ საკითხზე მას სპეციალური სტატიაც კი დაუწერია 1905 წლის 20 ივნისს. სტატიას ეწოდება „პატრიოტიზმი თუ კოსმოპოლიტიზმი“****

* იქვე, გვ. 18.

** იქვე.

*** ლიტ. მუზ., ხ — 3836, გვ. 18.

**** ლიტ. მუზ., ხ — 3847.

„მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალული ადამიანისათვის სხვა ერის სიყვარული აუცილებლად არის“ (გვ. 115); „მამულიშვილი სხვა ერის სიკეთეშია ცხედავს თავის ერის სიკეთეს, და თუ იმის მამულიშვილობა ყალბი არ არის, მის გულში სხვა ერის სიძულვილს ადვილი არა აქვს“ (გვ. 122); „კოსმოპოლიტება საზოგადოდ ადამიანის სიმანხიწეა, ხოლო კერძოდ, ჩვენისთანა ერისათვის — გადაგვარება და ერის ღალატია“ (იქვე). აი, ასეთი პირდაპირ აფორიზმებად ნათქვამი სიტყვებით ავლენს ნიკო ავალიშვილი თავის შეხედულებას ამ საკითხზე და მართლაც მის საკმაოდ მდიდარ არქივში ვერ მოიძიებთ თუნდაც ერთ სიტყვას, რომელიც ოდნავ მაინც შელახავს რომელიმე დიდი თუ პატარა ერის გრძნობასა და თავმოყვარეობას.

საინტერესოა ნიკო ავალიშვილის აზრი ენაზე. მისთვის მშობლიური ენა არის მისი ხალხის სახე. ენის გარეშე არ არსებობს ხალხი, არ არსებობს მისი კულტურა. ენის დაცვა საკუთარი მეობის დაცვაა, ერის დაცვაა და იგი ყოველი პატიოსანი მამულიშვილის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ნიკო ავალიშვილი მოითხოვს ქართული ენის დაცვას რუსული სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, ბარბარიზმების განდევნას, მეცნიერული გრამატიკის შექმნას.

ეს ის ეპოქაა, როდესაც ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკს“.*

მსჯელობაში ენის შესახებ ნიკო ავალიშვილმა ერთგვარად დაიხია, განსაკუთრებით ბოლო დროს. მისი აზრით, წინათ „უკეთესი“ ენა გვექონდა, რადგანაც მას ოჯახებში და ხელნაწერების საშუალებით ვსწავლობდით. ახლა კი იმდენი რუსულად განსწავლული ხალხი ჩაერია ლიტერატურულ პროცესში, რომ ენა აიძვრა. მისი შეხედულებების დადასტურება კონსპექტი მოხსენებისა, რომელიც მან წარუდგინა ქართველ მწერალთა ყრილობას 1917 წლის 7 ოქტომბერს.**

* ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 39.

** ლიტ. მუზ., ხ — 3870.

„თანდათანობით დავიწყეთ რუსულად ფიქრი და ქართულად წერა, რის გამოც წინადადებებს ხშირად სიტყვების დალაგება ქართული აღარა აქვს“ (გვ. 11). დღეისათვისაც საჭირობოროტო აზრია, მაგრამ ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „მერე ზოგი ქართული ასოები გვეჩოთირნენ (ალბათ იმიტომ, რომ რუსულში ასეთი ასოები არ იყვნენ), — და გავდევნეთ ისინი...“ აქ ლაპარაკია იოტაზე და უზგუზე, რომელიც თავის დროზე განდევნა ილია ჭავჭავაძემ.

ამ განცხადების ფონზე სულაც არაა გასაკვირი, რომ თარგმანების ბოლო რედაქციებში ნიკო ავალიშვილი წამდაუნუმ ხმარობს ასო ქ-ს, რომელიც ერთ დროს უარყო და მერე ისევ აღადგინა ილია ჭავჭავაძემ: მაგ., „მაქსიმელიანე, ჭონ მოორი, მფლობელი გრაფი“.

ბარბარიზმების წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა, მაგრამ ნიკო ავალიშვილმა აქ ვერ აუღო ალლო ენის განვითარების ტენდენციებს და უკუაგდებდა ისეთ საერთაშორისო სიტყვებსაც, რომლებიც შემდგომ მაინც შეესისხლხორცნენ ქართულ მეტყველებას: მაგ., პროდუქტი, ინდუსტრია, მასიური, ინსტრუმენტი და სხვ.

2. ჟურნალი „მნათობი“*

მოსკოვიდან ნიკო ავალიშვილი დიდი იმედებით დაბრუნდა. ჯერ იყო და „ცისკრის“ შესყიდვა და განახლება ჰქონდა განზრახული, მაგრამ იმთავითვე ნათელი გახდა, რომ ეს შეუძლებელია. დასაწყისში იმით დაკმაყოფილდა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დროებაში“ დაიწყო უსასყიდლოდ თანამშრომლობა. შემდეგ „სასოფლო გაზეთში“ იმუშავა რედაქტორის მოადგილედ. ბოლოს, „ცისკარშიც“ თანამშრომლობდა ერთხანს, თუმცა ამ ჟურნალის პოზიცია მას ზედმეტად კონსერვატიულად მიაჩნდა და მის გამოსწორებას იმავე თანამშრომლების ხელით შეუძლებლად თვლიდა.

* ჩვენი ნაშრომი შესრულებულია 1970 წ. ჟურნ. „მნათობი“ მოგვიანებით თავის საკანდიდატო დისერტაციაში შეისწავლა მ. ძაძამიაძე.

„ცისკარმა“ პირველად მისი „ქართული კალენდარი“ გამოსცა. 1867 წელს კი ჟურნალში (7 — 8) ნიკო ავალიშვილმა გამოაქვეყნა სტატია „მცხეთა, სვეტიცხოვლობა და რამდენიმე აზრი შესახებ დღეობაებისა“. იგი „ერთგვარი მოხდენილი დაკვირვებაა იმდროინდელს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამავე დროს ეს აღწერა ერთგვარი წყაროც არის საკითხით დაინტერესებული მკვლევარისათვის, რადგან მასში დაწვრილებით არის ასახული და გამოცემული ამ სახალხო დღეობის სახე, შინაარსი და მისი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრების შეცნობისათვის“.*

ამ და სხვა თხზულებების მეშვეობით ნიკო ავალიშვილი გაიცნო მკითხველმა საზოგადოებამ და ცხადი გახდა, რომ იგი არ იყო შემთხვევითი პიროვნება ჟურნალისტიკაში. და თუმცა მაშინ, როდესაც „მნათობს“ გამოცემულ-რედაქტორი გახდა, სულ ოცდახუთი წლის იყო, მაინც საკმაო გამოცდილება ჰქონდა დაგროვებული.

თუ რამდენად ძნელი იყო იმ დროს რედაქტორის საქმე, მოწმობს იპოლიტე ვართაგავას სიტყვები. მართალია, ისინი ილია ჭავჭავაძეს ეხება, მაგრამ ილია უფრო დიდი მასშტაბისა და ავტორიტეტის მოღვაწე იყო და შედარებით უნდა გაადვილებოდა საქმიანობა. „ქართული გაზეთის გამოცემა ილიას რედაქტორობის დროსაც ადვილი საქმე არ იყო, — წერს მკვლევარი, — რედაქტორს უნდა გაეველო მეტად ეკლიანი გზა. ჩვეულებრივი სიღარიბე სულს უხუთავდა რედაქციას. რედაქციის ორიოდ მუდმივი თანამშრომელი შიმშილსა და წყურვილს განიცდიდა. გაზეთის თანამშრომელნი ჰონორარს არ იღებდნენ. რუსის მოხელეები ქართველ პატრიოტებს მტრულად უყურებდნენ. გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი თავად-აზნაურობა გაზეთის მიმართ უბრალო გულგრილობას როდი ჯერდებოდა, პირიქით, კილავდნენ და ლანძღავდნენ ქართულ გაზეთს, მის მუშაკებს. საშინელი და სახიფათო იყო მაშინდელი ცენზურა, რომელიც ყოველ დღე მაჯლაჯუნასავით გულზე აწვა გაზეთს“.**

* სოლ. ცაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

** იბ. ვართაგავა, XIX ს. ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბ., 1957, გვ. 97.

თუ ასე ითქმოდა ილიას გაზეთზე, მით უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო ნიკო ავალიშვილის ჟურნალის ბედი და მართლაც იგი გამოდიოდა ისეთ პირობებში, თითქოს ყოველი ნომრის შემდეგ სულს ლაფავდა და ბოლოს ოთხი წლის „ცოდვილის“ (აკაკის სიტყვებია) შემდეგ დაიხურა.

ჟურნალი უნდა გამოსულიყო 1869 წლის იანვრიდან, მაგრამ ხელისმომწერთა სიმცირისა თუ სხვა მრავალი მიზეზის გამო (უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, უფულობა იყო), მან ორი თვით დაიგვიანა და პირველი ნომერი მხოლოდ მარტში გამოვიდა. მერეც მუდამ იგვიანებდა, ხშირად ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა წყვილი ნომერი, მაგ., მაისისა და ივნისისა, ივლისისა და აგვისტოსი და ა. შ. ერთხელ კი რამდენიმე თვე სულ არ გამოსულა. ასე მოაღწია 1872 წლის ბოლომდე და უკვე წელი ვერ აითრია.

რა არის უმთავრესი მიზეზი „მნათობის“ ხელის მოცარვისა? მიზეზი იგივეა, რაზეც ლაპარაკობს იბ. ვართაგავა ზემომოყვანილ ციტატაში. „მნათობს“ არასოდეს ჰყოლია 200-ზე მეტი ხელისმომწერი; ცხადია, ეს იმდენად უმნიშვნელო შემოსავალს მოიტანდა, რომ გამოცემის ხარჯებს ვერ დაფარავდა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისმომწერთა დიდი ნაწილი ფულის გადახდას აგვიანებდა. სოლ. ცაიშვილს თავის მონოგრაფიაში მთლიანად მოჰყავს ნიკო ავალიშვილის წერილი რაფიელ ერისთავისადმი: „როგორც მოგეხსენებათ, „მნათობი“ ჯერ ნორჩია და მასთან მის მოთავეს არაფერი ხმა არაა ჰქონდა გავარდნილი მის გამოცემამდის. ხომ მოგეხსენებათ, ჩვენში გარედან სინჯავენ ყველა ნივთს, ამის გამო „მნათობი“ ამ პირველშივე, საზოგადოების თანაგრძნობას ვერ მოიპოვებდა. ამასთან არც ბევრი ვინმე დამხმარე ჰყავდა მას; და ყველა ამ გარემოებამ გაუჩინა „მნათობს“ სულ 156 ხელისმომწერი, რომელთა შორის თითქმის მესამედს ჯერ ფული არ შემოუტანია (შარშანდელს მოგახსენებთ). ამოდენა ჟურნალის გამოცემისათვის, რალა თქმა უნდა, რომ ძალიან მცირედი შემოსავალია. ეს რიცხვი ზარალის მეტს არას მძღვეს მე. „მნათობის“ არსებობისათვის კი უეჭველად საჭიროა ამაზე ორჯერ მეტი ხელისმომწერი მაინც...“ *

* სოლ. ცაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

ჟურნალი წლის ბოლოს ყოველთვის ურთავდა ხელისმომწერთა სიას. მათ შორის მუდამ იხსენიებოდა რიგი გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რაც, ცხადია, მას ავტორიტეტს ჰმატებდა. ამ სიაში მოიხსენიებიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრ. ორბელიანი, გრ. დადიანი, დიმ. ყიფიანი, პლ. იოსელიანი, ი. გოგებაშვილი, ეპისკოპოსი გაბრიელი, ან. ფურცელაძე, გ. კალანდარიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ლ. მელიქიშვილი, გრ. რჩეულიშვილი, პ. უმიკაშვილი და სხვ., მაგრამ მარტო ხელის მოწერა რას უშველიდა.

ჟურნალის უბედობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს უმკაცრესი ცენზურაც, თუმცა იგი გადამწყვეტი არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც იმავე ცენზურის პირობებში უხდებოდა არსებობა სხვა პერიოდულ გამოცემებსაც. ჟურნალში გამოქვეყნებულ პრობლემურ სტატიებში თვალნათლივ ჩანს ცენზორის ხელი, ე. წ. „მელოტი“ ადგილები, სადაც წერტილებითაა აღნიშნული ამოგდებული ბნკარები. ამ ადგილების აღდგენა ახლა უკვე ძნელია, რადგან ყველა ხელნაწერი არ შემონახულა და თუ შემონახა კიდეც, საგანგებო შრომას მოითხოვს.

რა მიზანს ისახავდნენ „მნათობის“ გამომცემელი და როგორ შეასრულეს მათ ეს მიზანი?

ჟურნალს ეპიგრაფად ჰქონდა ილიასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები:

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“.

ამ ეპიგრაფებიდან ჩანს ჟურნალის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მრწამსი. ჟურნალს თავის უმთავრეს მოვალეობად მიანდა ხალხისათვის თვალის ახელა, მომავლის გზის ჩვენება.

პირველსავე ნომერში (1869 წ., მარტი) გამოქვეყნებული კიევის უნივერსიტეტის მაშინდელი სტუდენტის ნიკო ინაშვილის სტატია: „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი“. ახალგაზრდა პუბლიცისტი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვისაც ჭირივით ეჯავრებოდათ ყოველგვარი ქართული და მით უფრო ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე იმ ბრმათა წინააღმდეგ, რომელთაც ხელი ჩაუქნევიათ, მაინც არაფერი გამოგვივო და ამ ახალ ჟურნალსაც

დალუპვას უწინასწარ-მეტყველებდნენ. მერე და რა ვუყოთ, — ამბობს ინაშვილი, — ჩვენთან რა გასაკვირია, განვითარებულ ქვეყნებშიც ასე ხდება. მაგრამ დიდხანს იცოცხლებს ჟურნალი თუ მცირე ხანს, მისი არსებობა უკვე კულტურული ფაქტია, მოვლენაა ერის ცხოვრებაში. „ამისათვის არის კიდეც ეხლა საჭირო ჟურნალი, რომ იმან შეიყვანოს ხალხი თავის ცნობაში, ახსნას და შეიმუშავოს ის კითხვანი, რომელნიც ყველაზედ მომეტებულად შეეხებიან ხალხის ცხოვრებას, მის სათნოებას, კეთილდღეობას და სხვა. ჟურნალი უნდა იყოს წარმომადგენელი უკეთესის და უბრძენის მოქალაქეებისა. იგი უნდა ჰქადაგებდეს იმ აზრებს, აღვიძებდეს იმ გრძნობებს და იმ გულისტემით, რომლებსაც შეეძლოთ მოგვცენ ჩვენ თვით უკეთესნი მოქალაქენი და მოამზადონ იმათი გული სარგებლობისათვის, რომელსაც აქვს სახეში ხალხის კეთილდღეობა და დიდება, არა დიდება დაფუძნებული გარეგანს სიბრწყინვალეზედ, არამედ დიდება პატიოსნებისა, სიბრძნისა, სათნოებისა და გენიოსებისა. ერთი სიტყვით ჟურნალი უნდა შეიქმნეს გონების მოძრაობის ცენტრად“.* ამ ვრცელი ციტატის აზრი ერთი წინადადებით რომ ვთქვათ, ჟურნალს ეკისრებოდა ერის განმანათლებლის მისია. 60 — 70-იანი წლებისათვის განმანათლებლური იდეები ხომ ჰაერში ეკიდა და პროგრესულად განწყობილი ახალგაზრდობა მათ გვერდს ვერ აუვლიდა.

უფრო ქვევით ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს იმ დროსათვის უკვე დახურულ „საქართველოს მოამბეს“ და „მნათობს“ მისი საქმეების უშუალო გამგრძელებლად თვლის. ყველაფერი კარგი, რაც დაწერილა, ილიას დაუწერია, ყველა პროგრესული იდეა კი „საქართველოს მოამბეს“ უქადაგნია და ანი „მნათობიც“ ამ გზით წავაო. აქვე ის ილიას იცავს კონსერვატიული ძალების გამობდომისაგან.

ნიკო ინაშვილის სტატიაზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ მისი შეხედულებანი ჟურნალის როლზე, მიმართულებაზე, მიზანზე, არ განსხვავდებოდა ნიკო ავალიშვილის შეხედულებებისაგან.

ჟურნალის მეორე ნომერში თვითონ რედაქტორის სტატიაც დაიბეჭდა: „მნათობზედ“. ავტორის აზრით, „საქართველოს მოამბის“ მოსპობის შემდეგ ჩვენ არა გვექონია რიგიანი ჟურნალი „ცი-

* „მნათობი“, 1869, მარტი, გვ. 8.

სკრის“ გარდა. „ესეც აღასრულებს თავის დანიშნულებას თუ არა — ამაზედ სჯავს მივანდობთ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას“. * თუმცა თვითონ ნიკო ავალიშვილი თანამშრომლობდა ერთ დროს „ცისკარში“, მაგრამ „იგი მას თვლის უკვე ცხოვრებიდან ჩამორჩენილ გამოცემად, რომელიც თავის თანამედროვეობის სიმალლეზე ვერ დგას. მისი აზრით საზოგადოება მუდმივ მოძრაობაშია, რაც ბუნების კანონია“. ** „მოძრაობას კი ყოველთვის წარმატება მოსდევს; სიცოცხლე სხვა სიცოცხლეს ჰბადებს, დროის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ირკვევს გზას წინსვლისათვის... საზოგადოების ამ არსებობისა და სიცოცხლის წარმომადგენელი სხვათა შორის არის ლიტერატურაც და ხშირად არა თუ მარტო წარმომადგენელი, არამედ ხელმძღვანელიც“. *** „ცისკარს“ სწორედ ეს უძრაობა, უაქტიურობა, კონსერვატიულობა დაენუნებოდა.

„მნათობი“ სულ სხვა ტიპის გამოცემა უნდა ყოფილიყო (მართალია, მას იმთავითვე უკიჟინეს, სხვა გამოცემების დასაქცევად არისო შექმნილი). „მიზანი „მნათობისა“, რომ ბევრი სიტყვები არ ვიხმართ, ის არის, რომ ემსახუროს ჭეშმარიტებას, ესე იგი ზრუნავდეს ჩვენი საზოგადოების ნამდვილი სარგებლობისათვის და მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ამასთან ფრიადი მისი სურვილი ისიც არის კიდევ, რომ უმეგობროს ყველა რიგიან გამოცემას, და თუ ოდესმე საზოგადოებისვე სარგებლობისათვის, და არა რომელიმე გამოცემის დამხობისათვის და კონკურენციისათვის... გარნა ყველა გვარის დაძალადებული დამხობა ბოროტებაა, „მნათობი“ კი კეთილისათვის არის დაარსებული“. **** შემდეგ ავტორი თავმუშავეებლად ეპაექრება იმ სტატიათა ავტორებს, რომელნიც დაიბეჭდა ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის გამო. ზოგიერთები „მნათობს“ უსაყვედურებდნენ, რომ მას სურდა ხელისმომწერლების წართმევა უკვე არსებული პერიოდული გამოცემებისათვის და ამით კონკურენცია გაენია მისთვის. „რა კონკურენცია შეიძლება, ჯილდო არაფერიაო“, — დასძენს გულისტკივილით

* „მნათობი“, 1869, აპრილი, გვ. 1.

** სოლ. ცაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

*** „მნათობი“, 1869, აპრილი, გვ. 1.

**** „მნათობი“, 1869, აპრილი, გვ. 6.

ნიკო ავალიშვილი. მართლაცდა იმ დროს ჟურნალის გამომცემი პირი ვერაფერს შეიძენდა, გარდა მომქანცველი შრომისა და ვალეზისა.

ამ სტატიას მოსდევს რედაქტორ-გამომცემლის მიერ შედგენილი პროგრამა, რომელიც შემდეგ ნომრებშიც იბეჭდებოდა: „სამეცნიერო განყოფილებაში იქნებიან: **ა.** ისტორიული სტატიები. **ბ.** ბუნების მეცნიერებებიდან სტატიები, საზოგადო ცხოვრებაში გამოსაადეგი. სალიტერატურო განყოფილებაში იქნებიან: **გ.** რომანები, მოთხრობები, დრამული თხზულებანი, ამბები და სურათები — ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული ანუ უცხო ცხოვრებიდან გადმოღებული. **დ.** კრიტიკა და ბიბლიოგრაფიული სტატიები. **ე.** სხვადასხვა საგნის შესახები სტატიები. **ვ.** ლექსები და დამატებაში იქნებიან: **ზ.** სხვადასხვა ენებიდან ნათარგმნი რომანები, მოთხრობები და დრამული თხზულებანი“.*

როგორღა შეასრულა ეს პროგრამა-დაპირება რედაქციამ? იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ყველაზე უფრო სუსტი ის ნაწილი აღმოჩნდა, რომლისთვისაც ძირითადში აარსებენ ლიტერატურულ ჟურნალს. ესენია სალიტერატურო განყოფილების **გ** და **ვ** ნაწილები, ე. ი. ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა. ეს ნაკლი ახასიათებდა ბევრ იმდროინდელ გამოცემას. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი რედაქტორები ბეჭდავდნენ თითქმის ყველაფერს, რასაც კი მოიძიებდნენ. „მნათობი“ ამ შემთხვევაში სხვაზე უარეს მდგომარეობაში არ იყო, რადგანაც ზოგჯერ მის ფურცლებზე ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების ნაწარმოებებიც ქვეყნდებოდა.

სოლომონ ცაიშვილი თავის მონოგრაფიაში ჩამოთვლის ავტორებს, რომელნიც თანამშრომლობდნენ „მნათობში“. მათ შორის მოხსენებულია ილია ჭავჭავაძეც. ** უნდა ითქვას, რომ თვით ნიკო ავალიშვილი მოელოდა ილიას თანამშრომლობას. იმედი გვაქვს ილიასა და აკაკის დახმარებისაო, „რადგან იმათ მწერლობას სხვა ორგანო ვერ მოათავსებს“. *** მაგრამ რატომღაც ილიამ ან არ მოიხურვა, ან ვერ მოახერხა და მას ჟურნალში არაფერი დაუბეჭდავს.

* „მნათობი“, 1869, აპრილი, გვ. 6.

** სოლ. ცაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

*** „მნათობი“, 1869, აპრილი, გვ. 7.

აკაკი წერეთელი ივლის-აგვისტოს გაერთიანებული ნომრიდან დაწყებული სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს, მაგ., „ზოგიერთების ლოცვა“, „პასუხი ჭალადიდელისადმი“, „ზღაპარი (ყმანვილთათვის)“, „პასუხი მაცდურს“ და ა. შ. ამიტომ 1871 წლის თებერვლის ნომერში აკაკი წერეთელი მუდმივ თანამშრომელთა სიაშია მოხსენებული.

დიდი ამაგი დასდო „მნათობს“ ანტონ ფურცელაძემ. იგი ნიკო ავალიშვილს დაუმეგობრდა და მისი ჟურნალის წამყვანი თანამშრომელი გახდა. აქ გამოაქვეყნა მან თავისი უმთავრესი რომანები და მოთხრობები: „მართა“, „მაცი ხვიტია“, „ჩვენებური საქმის ბოლო“, „ქიტესა“ და სხვ., ტრაგედია „დიდი მოურავი“.

ამ ავტორების გარდა ჟურნალში ქვეყნდებოდა ფაზელის (მამია გურიელი), ნ. ორბელიანის, ი. ბაქრაძის და სხვა ამათზე უსუსური პოეტების ლექსებიც.

ჟურნალმა ფართოდ გაუღო კარი დრამატული ჟანრის ნაწარმოებებს, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმანსაც, რადგანაც „მას მთავარ მიზნად ქონდა დასახული ქართული სცენის მომსახურება შესაფერი რეპერტუარის მოწოდებით“. აქ დაიბეჭდა შემდეგი პიესები: „დიდი მოურავი“ (ანტ. ფურცელაძისა), „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარზე უმძლავრესია“ (რაფ. ერისთავისა), „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, იგიც მოუმატესო“ (გრ. თარხან-მოურავისა), „ბედნიერი ქორწილი“ (ალ. ცხვედაძისა), „სინათლე თავისას გაიტანს“ (ვანო ბარათაშვილისა) და სხვ. თარგმნილი პიესებიდან კი მოლიერის „სგანარელი ანუ ქმარი, რომელსაც ჰგონია, ცოლი მღალატობსო“ (თარგმ. ნ. ავალიშვილისა), შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ (თარგმ. დიმ. ყიფიანისა) და სხვ.

რადგანაც თარგმანს შევეხეთ, უნდა ითქვას, რომ ჟურნალის მოცულობის დიდი ნაწილი სწორედ თარგმანმა წაიღო. ზემოჩამოთვლილი პიესების გარდა აქ დაიბეჭდა ბევრი პროზაული ნაწარმოები და ლექსი, სხვადასხვა ხასიათის თხზულებები. მათ შორის მოსახსენებელია: ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის სიმღერა“ (თარგმ. ი. ბაქრაძისა), „დონ ჟუანი“, სალტიკოვ-შჩედრინის „ამბავი თუ ერთმა გლეხმა ორი გენერალი როგორ გააძლო“, „ველური მებატონე“, ჯონ სტიუარტ მილის „ქალების განთავისუფლება“, მასეს „ლუკმა პურის ამბავი“... ცალკე აღნიშვნის ღირსია სერვანტესის „დონ კიხოტი“.

დიდი ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე მეცნიერულ ლიტერატურას. იბეჭდებოდა მასალები საქართველოს ისტორიისათვის. პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის „ასპინძის ომი, 1770 წ.“ შემდეგში რეგულარულად ქვეყნდებოდა დიმ. ბაქრაძის, ინგილო (დიმ.) ჯანაშვილის, ალ. ორბელიანის, ნიკო ცხვედაძის, გ. ნყალტუბელის (იოსელიანის), ს. გამრეკელისა და სხვათა საინტერესო გამოკვლევები, ნარკვევები და სტატიები. რეგულარულად ქვეყნდებოდა სიგელ-გუჯრები და სხვა ხელნაწერები.

საინტერესო თხზულებებსა და დოკუმენტებს გარდა ჟურნალში თავსდებოდა აგრეთვე პედაგოგიური თხზულებანი (კომბის „ბავშვის მოვლა“, ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანისა და პირველი საკითხავი წიგნის“ მეორე გამოცემის ვრცელი მიმოხილვა და სხვ.), წერილები მეურნეობაზე (ამ მხრივ აღსანიშნავია „ჩინეთის მეურნეობა“ ა. გაბაშვილისა), ბუნების მეცნიერებებიდან და ა. შ. ცხადია, ესენი ერთნაირი ღირსებისა არ იყო. მათ შორის ისეთებიც გვხვდება, სადაც არავის გააკვირვებს ასეთი კურიოზული ფრაზა: „ველური ხალხისათვის არა თუ რკინისგზა, არამედ ბილიკი გზაც არ არის საჭირო. ის ტყე-ტყე დაძვრება“.*

ჟურნალში დიდი ადგილი ეჭირა პუბლიცისტურ თხზულებებს, რომელნიც ეხებოდნენ ყველა იმ საჭირობოროტო საკითხს, რასაც იმდროინდელი ცხოვრება წამოჭრიდა. ეს იყო ბატონყმობის გადავარდნა, რეფორმის საკითხები, ქალების ემანსიპაცია, სწავლა-განათლება, საზოგადო საქმეების წარმოება, ეკონომიკური პრობლემები და მრავალი სხვა.

საგანგებო ყურადღება ეთმობოდა თეატრის პრობლემებს, რადგანაც ნიკო ავალიშვილსა და მის მეგობრებს ერთი ნუთითაც არ ავიწყდებოდათ ქართული თეატრის აღდგენის საქმე.

ჟურნალში გამოქვეყნებული თხზულებებიდან ნაწილი ეკუთვნოდა საკუთრივ ნიკო ავალიშვილის კალამს. ის არ იყო უბრალოდ რედაქტორი, კალმითაც ბევრს შრომობდა და, თუ მოცულობით განვსაზღვრავთ, არც თუ ისე მცირე გაუკეთებია. დიდი წილი თარგმნილი ან გადმოქართულებული ნაწარმოებისა მას ეკუთვნის.

* გზებისა და ბოგირების მნიშვნელობა, „მნათობი“, 1870, მარტი, გვ. 61.

მისივე დაწერილია თითქმის ყველა სარედაქციო მასალა, რომელთა უმრავლესობა ჩვეულებრივ ან ხელმოუწერლად ან ფსევდონიმით იბეჭდებოდა. ის აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარ პოლემიკაში, ეხებოდა ეს თეატრს, ენას თუ „დროებასთან“ მორიგ შეტაკებას. ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურაშიც მოუსინჯავს კალამი, თუმცა არც თუ დიდი წარმატებით.

„მნათობის“ რედაქცია დიდ ყურადღებას აქცევდა ენის საკითხს. იგი ცდილობდა, რომ ჟურნალის ენა ყოფილიყო დახვეწილი, გამართული. დაკვირვებული თვალი ახლა უამრავ შეცდომას შეამჩნევს მის ენაში, მაგრამ თავის დროზე იგი ამ მხრივ სხვა გამოცემებს სჯობდა. გრ. ორბელიანი, რომელიც გაზეთ „დროების“ ენას წუნობდა, მისტიროდა ჟურნალ „მნათობისა“ და „კრებულის“ დახურვას. ერთ გვიანდელ ლექსში მან მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მას უკვე აღარ ესმის ხმა „ცისკრისა“ და დაბნელდა უდროოდა „მნათობიც“, რომ „კრებული“ მარილქებული დაგვარგეთო.* ჟურნალმა საგანგებო სტატიაც კი გამოაქვეყნა მშობლიურ ენაზე. ესაა მ. ქიქოძის „ენის წარმოებაზე და მის მნიშვნელობაზე ხალხისათვის“.** „ენა არის დაუფასებელი საუნჯე ხალხისა. იმაში ვხედავთ, იმისგან გამოვიცნობთ ხალხის ჭკუას, გონებას, სოციალურს, პოლიტიკურსა და ზნეობითს მდგომარეობას“ — წერს ავტორი. ეს მაღალი შეგნება აიძულებდა „მნათობის“ გამომცემლებს სათუთად მოქცეოდნენ ენას, რასაკვირველია, მათი შესაძლებლობისდა მიხედვით.

გაფორმების მხრივაც ჟურნალი სხვა გამოცემებს არ ჩამოუვარდებოდა. იგი „გარეგნულადაც და შინაასითაც უკეთესი იყო მაშინდელს „ცისკარზე“***

1969 წელს შესრულდა „მნათობის“ დაარსების 100 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა პროფ. ი. ბოცვაძის ვრცელი სტატია „ერთი საუკუნისა“,**** სადაც იგი მაღალ შეფასებას აძლევს „მნათობის“ როლს ქართული

* გრ. ორბელიანი, ლექსები, 1957, გვ. 74.

** „მნათობი“, 1869, ივლის-აგვისტო.

*** ნიგნის მეგობარი, 1 — 2, გვ. 104.

**** „კომუნისტი“, 1969, 25 ოქტ.

აზროვნების ისტორიაში და ნიკო ავალიშვილს „გულმხურვალე მამულიშვილს“ უწოდებს. „მნათობი“ არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე გარკვეული მიმართულების გამომხატველ ორგანოს. მასში თავი იჩინა როგორც ხალხოსნურმა მსოფლმხედველობამ, ისე უტოპიურ-სოციალისტურმა შეხედულებებმა და ქართველ სამოციანელთა პროგრესულმა იდეებმა“, — წერს ი. ბოცვაძე. ამასვე ასკვნიდა უფრო ადრე სოლ. ცაიშვილი. მისი აზრით, ჟურნალი XIX საუკუნის 60 — 70-იანი წლების „ქართულ პრესაში ერთ-ერთი მონაწილე იდეების შემცველ გამომცემად უნდა ჩაითვალოს, როგორც პროგრესულ-ხალხოსნური მიმართულებისა და უტოპიური სოციალისმის მქადაგებელი“.*

ამრიგად, „მნათობმა“ ხანმოკლე არსებობისდა მიუხედავად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ეპოქის პროგრესული აზროვნების განვითარებაში.

3. ნიკო ავალიშვილი და სერვანტესის „დონ კიხოტი“

ლიტერატურული პროცესი წარმოუდგენელია სხვადასხვა ხალხების ლიტერატურათა ურთიერთობის გარეშე. მხოლოდ იმ ხალხის მწერლობამ შეიძლება მიაღწიოს შემოქმედებით მწვერვალს, რომელიც ეზიარება მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს. ამ მხრივ ქართულ ლიტერატურას დიდი ტრადიციები აქვს. საკმარისია დავასახელოთ ექვთიმე და გიორგი ათონელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, „ვისრამიანის“, „როსტომიანის“ და სხვათა მთარგმნელები და ა. შ. გასული საუკუნის სამოციანელებმა ამ კეთილშობილურ საქმესაც მიაქციეს სათანადო ყურადღება, ყოველი მათგანი ცდილობდა ამ მხრივაც სარგებლობა მოეტანა თავისი ერისათვის. რასაკვირველია, ყველა მთარგმანი ვერც მაშინ აღწევდა მიზანს და ვერც ახლა, მაგრამ ამ პროცესს მთლიანობაში თუ ავიღებთ, გასული საუკუნის მთარგმნელებმა დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ეროვნულ ლიტერატურასა და კულტურას.

* სოლ. ცაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

ნიკო ავალიშვილი მთარგმნელთა იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელსაც ამშვენებდნენ ივანე მაჩაბლის, გრ. ყიფშიძის, ივ. მაჭავარიანის, ივ. ახალშენიშვილის, ი. ალადაძის, თ. სახოკიას, ალ. ნიკიტინის, გრ. ვოლსკის, გ. ქიქოძის, არ. ჭუმბაძის სახელები. „მთარგმნელთა ამ პლეადამ უცხოური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, მსოფლიო მწვერვალთა სულიერი შემოქმედების უჭკნობი ქმნილებანი მშობლიურ ქართულ ლიტერატურას შეაუღლეს, ქართულ ენას შეუსისხლხორცეს, ქართველისათვის გააეროვნულეს, გაამშობლიურეს და ამით მშობლიური ლიტერატურა და ენაც გაამდიდრეს, შეავსეს და გაამრავალფეროვნეს, სხვა დიდ ერთა დიდ ლიტერატურას გვერდით ამოუყენეს, ქართველი მკითხველი დაანაფეს მსოფლიო კლასიკოსთა მხატვრულ სიტყვას და ამით დიდ, მაღალ ჰუმანიურ და მონინავე აზროვნებას აზიარეს“, — ასეთ შეფასებას აძლევდა მკვლევარი სოლ. ცაიშვილი მთარგმნელთა დიდ ღვაწლს და იქვე დასძენდა: ივ. მაჩაბლის, გრ. ყიფშიძის, ნ. ავალიშვილის და სხვათა „დახვეწილი ქართული ენა, სტილი, გემოვნება, თარგმნის ხერხები, მშობლიური ენის ნიუანსების, ხატოვან სახეთა და ფიგურალურ თქმათა დაცვა, ორიგინალურამდე მიღწეული საერთო ელფერი თხრობისა ან ცალკეული თქმისა, რომელიც მკითხველს ხშირად ავიწყებს ხოლმე ნაწარმოების უცხოურ წარმოშობას, ის თვისებებია, რომლითაც ეს მთარგმნელები წარმოგვიდგებიან როგორც მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატები“.*

ამ მოსაზრების სრული ილუსტრაციას წარმოადგენს ნიკო ავალიშვილის მიერ თარგმნილი „დონ კიხოტი“.

ოცი წლის ნიკო ავალიშვილმა სერვანტესის გენიალური თხზულების თარგმნა მოსკოვში დაიწყო. „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედისათვის ცოცხალი სინამდვილე. მთარგმნელის შემოქმედებითი მეთოდი შეესაბამება მის მსოფლმხედველობას. მთარგმნელი ასახავს თავისი მსოფლმხედველობის შესაბამისად შერჩეული დედნის მხატვრულ სინამდვილეს ამ უკანასკნელის შინაარსისა და ფორმის ერთიანობაში, მთელისა და ნაწილის ურთიერთობაში“, — წერდა გ. გაჩეჩილაძე.**

* ჟურნ. „მნათობი“, 7, 1974.

** გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1966, გვ. 170.

აქედან, უკვე იმასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ რა ნაწარმოებს შეარჩევს მთარგმნელი სათარგმნელად. ნიკო ავალიშვილმა მთელი თავისი სიცოცხლის საქმედ გაიხადა „დონ კიხოტის“ სრულყოფილი თარგმანის მიწოდება ქართველი მკითხველისათვის და ამ საქმეს თავისი სიცოცხლის ყველზე საუკეთესო წლები შეაღია.

* * *

სერვანტესსა და მის გმირებს ქართველი საზოგადოება ბევრად უფრო ადრე იცნობდა, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა მისი ქართულად ამეტიყველება. ჩვენი მონინავე საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ჩვეულებრივ განათლებას ღებულობდნენ რუსეთსა და ევროპაში, „დონ კიხოტს“ ეცნობოდნენ უმთავრესად რუსულ და ფრანგულ თარგმანებში.

მე-17 — 18 საუკუნეებში, ჩვენი ბედუკუდმართი ისტორიის გამო, ქართული საზოგადოების ყურადღება მთლიანად მიჰყრობილი იყო ერის დაღუპვისაგან ხსნის საკითხისადმი და მას არ ეცალა დასავლეთ ევროპის ლიტერატურული მოვლენებისათვის თვალის სადევნებლად.

მე-19 საუკუნეში ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ქართული კულტურა გაჩანაგებული იყო და საჭირო გახდა ტიტანური შრომის განწევა მის აღსადგენად. მიუხედავად ამისა, ქართულ საზოგადოებას კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერის სულიერი განვითარებისათვის სხვა ერების კულტურებთან ზიარებას. ამიტომაც ექცეოდა დიდი ყურადღება თარგმანის საქმეს. ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით გასული საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ „დონ კიხოტის“ რიგი ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. მიხეილ კოლცოვისა არ იყოს, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის დიდმა კულტურებმა იმდენად დაატყვევა ჩვენი გულისყური, რომ მათ მიღმა გამოგვრჩა ესპანეთის არა ნაკლებ დიდი კულტურა.

1867 წლის 14 აპრილის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი იყო პატარა შენიშვნა: „სერვანტესის „დონ კიხოტის“ გამოცემებისა და თარგმანების რაოდენობა“. შენიშვნის ავტორი ჩამოთვლის, თუ რამდენჯერ და რა ენებზეა გამოცემული „დონ კიხოტი“ და გულისტკივილს გამოთქვამს, რომ მისი ქართულად თარგმნა ჯერ

კიდევ მომავლის საქმეაო. თვით ასეთი შენიშვნის დაბეჭდვაც მოწმობს, რომ ამ წიგნის ნაკლებობას კარგად გრძნობდნენ ქართული კულტურის მესვეურები.

ამ დიდი ეროვნული საქმის შესრულება წილად ხვდა ნიკო ავალიშვილს.

მართალია, „დონ კიხოტის“ მთლიანად დაბეჭდვა ვერ მოხერხდა გასული საუკუნის საქართველოში, მაგრამ ნიკო ავალიშვილისეულმა თარგმანმა გარკვეული როლი შეასრულა. ქართველ საზოგადოებას საშუალება მიეცა ნაწილობრივ მაინც გასცნობოდა მას.

„დონ კიხოტი“ ისე შეეცინა ხალხს, რომ იგი გახდა ჩვენი საკუთრება, ჩვენი სულიერი სამყაროს ნაწილი. ამიტომ გასაგებია ქართველთა ინტერესი არა მარტო ნაწარმოების, არამედ მისი ავტორის მიმართაც. მწერალმა ნიკო ავალიშვილმა, რომელმაც დიდი ღვაწლი გასწია „დონ კიხოტის“ ქართული თარგმანის ტექსტის საბოლოოდ დადგენისათვის, დაწერა და პირველად 1941 წელს გამოსცა წიგნი „სერვანტესის ცხოვრება“.

* * *

„დონ კიხოტის“ თარგმანს ნიკო ავალიშვილმა დაიწყო 1864 წელს, მოსკოვში ყოფნის დროს. რაკილა ესპანური ენა მან არ იცოდა, ბუკინისტებთან უშოვნია ამ წიგნის რუსული გამოცემა. თვით რუსეთში „დონ კიხოტი“ მრავალგზის ითარგმნა. 1815 წელს გამოქვეყნდა ფლორიანის ფრანგული გამოცემიდან თარგმნილი ტექსტი. ეს წიგნი დასახელებული არ არის რუბაკინის ბიბლიოგრაფიაში და ჩვენ არ ვიცით პირველი გამოცემა იგი, თუ მანამდე არსებობდა სხვა გამოცემა. შემდეგ წიგნი უშუალოდ ესპანურიდან უთარგმნია მასალსკის და ორ ნაწილად გამოუქვეყნებია 1838 წელს. კრიტიკამ მას მაღალი შეფასება მისცა (რუბაკინი არც ამ წიგნს ასახელებს). 1866 წელს დაიბეჭდა კარელინის თარგმანი, რომელიც ფრანგულიდან შესრულდა. იგი შემდგომში ბერჯერ გამოიცა და ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად ითვლება. 1864 წელს ნიკო ავალიშვილს, ცხადია, ჯერ კიდევ ხელი არ მიუწვდებოდა კარელინის თარგმანზე და მას უსარგებლია მასალსკის თარგმანით.

ჟურნალ „მნათობის“ გამოცემის დროისათვის (1869) ნიკო ავალიშვილს მოუხსნია პირველი წიგნის დიდი ნაწილის თარგმანა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს პირველი თარგმანი მოკლებულია სრულყოფილებას. და მაინც დაკვირვებული თვალი ადვილად იგრძნობს ნამდვილ შემოქმედს, რომელიც ძირითადად კარგად უღებს ალლოს ნაწარმოებს და ენაწყლიანი ქართულით ლაღად ყვება ამბავს (მაგალითად, პირველივე თავი ასე იწყება: „ერთი ლამანჩის მაზრის სოფელში, — სახელის მოგონება მეზარება, — დიდი ხანი არც არის ცხოვრობდა ერთი გუდა-ცარიელი აზნაური, რომელსაც არა ებადა-რა; მხოლოდ თაროზედ ეგდო დაჟანგებული შუბი, კუთხეში ეყუდა მამა-პაპის დაძველებული ფარი, მერე ჰყავდა ჯაგლაგი ცხენი და რამდენიმეც ჩათლახი მეძებრები...“).

გავიხსენოთ, რომ ნიკო ავალიშვილი ამ დროს ოცი წლის ჭაბუკი იყო.

„დონ კიხოტის“ ეს თარგმანი ქვეყნდებოდა ჟურნალ „მნათობში“, მაგრამ ამ ჟურნალს დიდხანს არ უარსებია (დაიხურა 1871 წ.) და მთარგმნელმა მხოლოდ 32 თავის დაბეჭდვა მოასწრო.

1869 წელს ნიკო ავალიშვილს ცალკე წიგნად გამოუცია „დონ კიხოტის“ პირველი ნაწილის შემოკლებული ტექსტი. ამ გამოცემას ჩვენ ვერ მივაგენით.

„დონ კიხოტის“ მთელი ტექსტის თარგმანს ავალიშვილმა მხოლოდ 1882 წელს დაამთავრა. როგორც თვითონ მთარგმნელი 1906 წლის გამოცემის შესავალში ამბობს, მას იმედი არ ჰქონდა, რომ შეძლებდა რომანის გამოცემას და ამიტომ არ ჩქარობდა შრომის მოთავებას.

მე-19 საუკუნის მიწურულისათვის უკვე უამრავი რუსული გამოცემა არსებობდა. გარდა კარელინის გამოცემებისა (1881, 1895, 1901 წწ.), გამოქვეყნდა მურახინის, ბასანონისა და სხვათა თარგმანები. ხოლო ვატსონის თარგმანი, რომელსაც საუკეთესოდ თვლიან, გვიან გამოვიდა, მაშინ როდესაც ქართული თარგმანი უკვე დაბეჭდილი იყო.

ნიკო ავალიშვილმა თავისი თარგმანი შეადარა კარელინის თარგმანის ტექსტს და მის მიხედვით ძირფესვიანად გადაამუშავა. კარელინის რუსული თარგმანი დედანს ბწკარედის სიზუსტით გასდევს, მაგრამ შემოქმედის ხელი ნაკლებ ატყვია. უკვე თავიდანვე

მთარგმნელს არა აქვს საჭირო კილო აღებული. ყოველივე ამის გამო, ნიკო ავალიშვილმა ჩატარებული მუშაობა საკმარისად არ ჩათვალა. ჩრდილოეთ კავკასიაში ყოფნის დროს შემთხვევით შეხვდა ფრანგული ენის ზედმინევენით მცოდნე ალექსანდრე სარაჯიშვილს, რომელსაც თან ჰქონდა „დონ კიხოტის“ ვიარდოსეული ფრანგული თარგმანი. ნიკო ავალიშვილმა სარაჯიშვილის დახმარებით თავიდან ბოლომდე შეადარა ახლადგადამუშავებული ტექსტი ფრანგულ თარგმანს.

მთარგმნელი ოცნებობდა მალე დაებეჭდა წიგნი, რათა სერვანტესის იუბილესათვის გაეგზავნა მადრიდს (1905), მაგრამ ეს ოცნება ვერ განახორციელა. წიგნი (პირველი ნაწილი) მხოლოდ მომდევნო, 1906 წელს გამოსცა წიგნების გამომცემმა „ქართველთა ამხანაგობამ“.

თარგმანის ეს მეორე რედაქცია მისდევს კარელინის რუსული თარგმანის ტექსტს, მაგრამ მისი ზუსტი ასლი არ არის. ნ. ავალიშვილს ალაგ-ალაგ გამოტოვებული აქვს ფრაზები და წინადადებები, რომლებიც თარგმნა და შემდგომ ტექსტში ჩაუმატა ნიკო ავალიშვილმა.

თარგმანის მეორე რედაქციაში ტექსტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. ნიკო ავალიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უამრავი მისი ფრაზა და გამოთქმა უნაკლო ქართულია. ამ გამოთქმათაგან ბევრი ნამდვილ მიგნებას წარმოადგენს. ვერც ესპანურად, ვერც ფრანგულად და რუსულად უკეთესად ვერ იტყვით ასეთ რამეს: „მტრედის ტაბაკათი ჩაიკოკლოზინებდა ხოლმე ყელს“; „ემმაკმა გვიხიმანდროს“; „თითლიბაზური სახე“; „ამ ამბის ალიანჩალიანი“; „დევთა სინსილის განყვეტა“; „ნეტავ რად იჩოლფოტებ თავს?“ „საგულისგულო“; „სამიჯნურო ხიმანწკობა“; „ქერის ორმოში ვიმყოფებით“; „თაღლითობისა და ცრუპენტელობის საკუჭნაო“; „ჭკუაზე თხლად ბრძანებულა“; „სამოთხეში ადგილი დამეკვეთოს“ და ა. შ. მარჯვედ ხმარობს ნიკო ავალიშვილი ქართულ ანდაზებს: „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“, „რაც ალხანა, ის ჩალხანა“ და სხვ. ყველაფერი ეს ახლა უკვე აღარ გვაკვირვებს, მაგრამ თავის დროზე ამან ბევრი შემატა ქართულ სალიტერატურო ენას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს რომანი ნიკო ავალიშვილს მეორეჯერ უთარგმნია და საბოლოოდ მიუღია ისეთი ტექსტი, რო-

მელიც არაფრით ჩამოუვარდება იმდროინდელ საუკეთესო რუსულ თარგმანებს. მაგრამ მთარგმნელი აქაც არ შეჩერებულა. იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა „დონ კიხოტის“ ტექსტზე, ბევრი ადგილი დააზუსტა და ჩაასწორა. ამ ჩაასწორებათა ნაწილი ნიკო ავალიშვილმა „დონ კიხოტის“ შემდგომ გამოცემებში შეიტანა.

* * *

როგორც კი პირველი ნაწილი დაიბეჭდა, ამით ნახალისებულმა ნიკო ავალიშვილმა დაუყოვნებლივ მოჰკიდა ხელი წიგნის მეორე ნაწილის მომზადებას. 1907 წელს მან იგი ვატსონის რუსულ თარგმანს შეადარა და სათანადოდ შეასწორა. მაგრამ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ვერ შეძლო თავისი ოცნების განხორციელება და „დონ კიხოტის“ მეორე წიგნი ვერ გამოსცა.

1929 წელს სახელგამმა, მ. აბრამიშვილისა და კ. გაგუას რედაქციით, სერვანტესის რომანი შემოკლებული სახით დაბეჭდა. მასში მხოლოდ ძირითადი თავგადასავლებია მოთხრობილი. ამავე გამოცემის უფრო ვრცელ გამეორებას წარმოადგენს 1938 წელს საბლიტგამის მიერ გამოცემული „დონ კიხოტი“ (ა. ჭუმბაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით).

1906 წელს საქართველოში განხორციელებულა „დონ კიხოტის“ კიდევ ერთი გამოცემა. ვინმე დ. ყ.-ს გაუკეთებია შემოკლებული თარგმანი სერვანტესის „მოთხრობისა“ და ქუთაისში დაუბეჭდავს 146 გვერდიანი წიგნი. იგი საყმანვილოდაა გამოცემული, დაწერილია მსუბუქი ენით და მხოლოდ სასაცილო ამბებია მოცემული. თხრობა ბოლომდეა მიყვანილი. ეტყობა, რუსულიდანაა გადმოქართულებული.

* * *

„დონ კიხოტის“ თარგმანის ტექსტის საბოლოო დახვეწასა და გაუმჯობესებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სერვანტესის ქართველ ბიოგრაფს ნიკო ავალიშვილს. მან ავალიშვილისეული „დონ კიხოტი“ სიტყვა-სიტყვით შეადარა ბ. კრჟევესკისა და ა. სმირნოვის რუსულ თარგმანს, რომელიც დღეს საუკეთესოდაა მიჩნეული და რამდენიმეჯერ გამოიცა რუსეთში. ამასთან, ნ. ავალიშვილმა არა მარტო

რედაქტირება გაუწია ნიგნს, არამედ თავიდან ბოლომდე ჩაასწორა, ბევრი ადგილი კი საფუძვლიანად გადააკეთა.

რომანის ახლად დადგენილი ტექსტის პირველი ტომი (ნ. აგიაშვილის რედაქციით) საბლიტგამმა გამოსცა 1951 წელს, მალე მას მეორე ტომიც მოჰყვა. ყველა დანარჩენი გამოცემა, მათ შორის უკანასკნელიც, რომელიც სერვანტესის ოთხტომეულის პირველ ორ ტომში დაიბეჭდა, იმეორებს ნიკა აგიაშვილის მიერ დადგენილ ტექსტს.

ამ ახალი გამოცემის სიავეკარგეზე ნათელ წარმოდგენას მოგვცემს მისი შედარება ავალიშვილისეულ ტექტებთან (1906 წლის გამოცემისა და გარდაცვალების წინ ჩასწორებულ ტექსტთან). აქ ვრცელი ამონაწერის გაკეთების საშუალება არა გვაქვს. ამიტომ მხოლოდ ორიოდე მაგალითით დავკმაყოფილდებით. აი, მაგალითად, ფრაგმენტი 1906 წლის გამოცემის პროლოგიდან:

„მოცლილო მკითხველო, დაუფიცებლად დამიჯერებ, თუ როგორ მსურს ეს ჩემი ნიგნი, ჩემი ჭკუა-გონების შვილი, იყოს ყველა ნიგნზე მშვენიერი, ყველაზე სასიამოვნო საკითხავი და გონივრული, ხელიხელსაგომანებელი და უნაკლო თხზულება, როგორც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგრამ განა შემეძლო ბუნების კანონებს წინაღობა მომი? ნათქვამია: როგორც მამა, — ისეთი შვილიო“.

ნიკო ავალიშვილმა ეს ადგილი საბოლოოდ ასე ჩასწორა:

„მოცლილო მკითხველო, დაუფიცებლად დამიჯერებ, რომ ძალიან მსურს ეს ჩემი ნიგნი — ჩემი ჭკუა-გონების შვილი — ყველა ნიგნზე მშვენიერი იყოს, ყველაზე მხიარული და ყველაზე მსჯელობიანი, როგორც კი ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს. მაგრამ განა შემეძლო ბუნების კანონი დამერღვია, რომლის ძალით ყველა თავის მსგავსს შეიქმს...“

ამ ფრაგმენტებს შორის სტილისტურად დიდი სხვაობაა. ნიკო ავალიშვილი ცდილა ტექსტის დედანთან დაახლოებას, მაგრამ ზოგჯერ ამის შედეგად ფრაზის სიმშვენიერე დაკარგულა. მაგალითად, ტექსტს არაფერ უშლიდა „ხელიხელსაგომანებელი“.

ნიკა აგიაშვილს, სადაც კი შესაძლებელი იყო, გაუთვალისწინებია ნიკო ავალიშვილის ჩასწორებები და უცდია ფრაზის საბოლოო დახვეწა:

„მოცლილო მკითხველო, დაუფიცავადაც დამიჯერებ, რომ ძალიანა მსურს ეს ჩემი ნიგნი, ყველა ნიგნზე მშვენიერი იყოს, ყვე-

ლაზე სასიამოვნო საკითხავი და ყველაზე უნაკლო თხზულება. ეს ჩემი ჭკუა-გონების შვილია, მაშ ცუდი რათ მენდომება ამისთვის. მაგრამ შემეძლო ბუნების კანონებს წინაღობა მომი? ნათქვამია, როგორც მამა, ისეთი შვილიო...“

1906 წლის გამოცემაში, ცოტა ქვემოთ, ვკითხულობთ:

„უკეთესი რა დაიბადებოდა საპყრობილეში, სადაც ვაი-უბედურების მეტი არა არის-რა, სადაც ყოველგვარ სიდუხჭირეს დაუდევს თავშესაფარი და სევდა და ვარამს დაუსადგურებია?“

შემდგომში მთარგმნელს ეს ფრაგმენტი გადაუკეთებია და შედეგი, ვფიქრობ, უფრო ცუდი მიუღია:

„როგორც თავში მარტო საპყრობილეში ჩასახულს შეიძლება მოუვიდეს, სადაც ყველა გვარი შენუხება სადგურობს და ყველა სამწუხარო ხმაურობა თავის ბინას იკეთებს...“

აგიაშვილის ტექტში კი უბრალოდ არის ნათქვამი:

„საპყრობილეში, სადაც ვაი-უბედურების მეტი არა არის-რა, უკეთესი რა დაიბადებოდა?“

* * *

იბადება კითხვა: როგორია ქართული თარგმანის მიმართება დედანთან? ჩვენ ქართული თარგმანის ცალკე ადგილები შევადარეთ ესპანურ ორიგინალს.

ავილოთ რამდენიმე ფრაგმენტი პირველი და მეოთხე თავებიდან (ჯერ მოგვყავს ბნკარედი, მერე ქართული თარგმანის ტექსტი);

„თავისი მამულის (შემოსავლის) მესამედს ის ხარჯავდა იმაზე, რომ ძროხის ხორცის ოლას უფრო მიირთმევდა, ვიდრე ცხვრისას, ვინეგრეტს — თითქმის ყოველ მწუხრზე და ვნების (?) შაბათობით, ოსპის შეჭამადს — პარასკეობით, კვირაობით კი — დამატებით, მტრედს“.

„ეს იდალგო ძალიან უბრალო ცხოვრებას ენეოდა: ბევრჯერ სადილად ძროხის ხორცის ოლასა ჭამდა. ცხვრის ხორცს კი იშვიათად მიირთმევდა, თითქმის ყოველ ვახშმად ვინეგრეტს გიახლებოდათ, შაბათობით ქონიან ტაფამწვარს, პარასკეობით ოსპის შეჭამადს და კვირაობით კი, სხვა ჩვეულებრივი სანოვავის გარდა, მტრედის ტაბაკას, — ამას უნდებოდა მისი შემოსავლის სამი მეოთხედი“.

აქ ესპანური ტექტის გაქართულების პროცესი თვალსაჩინოა. აზრობრივი სხვაობა თითქმის არ არის. მთარგმნელები კარგად იყენებენ ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობებს დედნის სულის გადმოსაცემად. ქართულისათვის დამახასიათებელია ზმნების სიმრავლე. თუ დედანში მხოლოდ ორი ზმნაა, თარგმანში უკვე ხუთია. ამას ისიც ემატება, რომ თურმე შაბათობით დონ კიხოტი ქონიან ტაფამწვარს მიირთმევდა (რუსულად თარგმანში იყო `Кушания скорби и сокрушения) და კვირაობით უბრალოდ მტრედს კი არა, „მტრედის ტაბაკას“... სხვა წვრილმან ნიუანსებზე არაფერს ვიტყვით.

„სახლის გამგებლად ჰყავდა ორმოცს გადაცილებული ქალი; ერთი დისწული (ან ძმისწული) გოგო, რომელსაც ოცი არ შესრულებოდა და ერთიც მსახური ბიჭი, რომელსაც ჯაგლავის შეკაზმვა, აგრეთვე ბალის სასახლავით მუშაობა ეკისრებოდა“

„მასთან ცხოვრობდნენ: ერთი ორმოც წელს გადასული სახლის გამგებელი მანდილოსანი, ერთი დისწული ქალი — დაახლოებით ოცი წლისა და ერთიც მსახური ბიჭი — შინ და მინდვრად სამუშაოდ; ამ ბიჭის მოვალეობა იყო ბებერი ცხენის შეკაზმვა და ბაღში სასხლავის ხმარება“.

აქაც იგივე ვითარებაა. სხვაობად ხომ არ ჩავთვლით იმას, რომ დონ კიხოტს უბრალოდ ქალი კი არა, „მანდილოსანი“ ემსახურებოდა (ეს ერთი შეხედვით უბრალო დეტალი მიგვანიშნებს იმ მდგომარეობაზე, რომელიც ამ ქალს უჭირავს ჩვენი იდალგოს სახლში. ეს სიტყვა გვიჩვენებს, რომ ის მართლაც „სახლის გამგებელია“ და არა სხვა რამ).

„...სადაც ხშირად აღნიშნული იყო შემდეგი: „მსჯელობათა, რომლითაც თქვენ ჩემთა სჯათა განსჯით, ეგ ზომ აქვთ გავლენა ჩემთა განსჯათა ზედა, რომ მე განუსჯელად განვსჯი თქვენს მშვენიერებას“.

ამ ფრაგმენტის ბნ.კარედი არ მოგვყავს. ვითომდა ფელისიანო დე სილვას თხზულების ამ ნაწყვეტის სიტყვა სიტყვით სხვა ენაზე გადატანა შეუძლებელია. მაგრამ რაოდენ ოსტატურად შეუთხზავთ მთარგმნელებს იგი. მნიშვნელობა არა აქვს სიტყვის მასალით რამდენად უახლოვდება დედანს ეს ფრაზა. იგი თავისი უაზრო რახარუხით ზუსტად დედნის ბადალია.

„ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს — უპასუხა დონ კიხოტმა — რადგანაც აღდუდოსაც შეუძლია გახდეს რაინდი; მეტს ვიტყვი, ყოველი ადამიანი მისი საქმეების შვილია“.

„ეგ არაფერი — შენიშნა დონ კიხოტმა — აღდუდოებიც შეიძლება ისეთივე რაინდები იყვნენ, როგორც ყველა სხვები არიან, იმიტომ რომ ჩვენი სახელი კი არ გვაპატიოსნებს, არამედ საქმენი ჩვენი გვანიჭებენ ღირსებას: ყველა ჩვენთაგანი თავის საქმეთა შვილია“.

ამ შემთხვევაში ქართული ტექტი უფრო ვრცელია, რადგანაც მას დამატებული აქვს ეფექტური ფრაზა: „ჩვენი სახელი კი არ გვაპატიოსნებს, არამედ საქმენი ჩვენი გვანიჭებენ ღირსებას“. ეს ფრაზა თუმცა წმინდა ქართულია, იგი დონ კიხოტის ხასიათს კარგად ესადაგება.

ჩვენ შეგვეძლო გაგვეგრძელებინა მსგავსი ანალიზი, მაგრამ ამ ორი თავიდან ის ფრაგმენტებილა ვიკმარეთ, რომლებიც დედნის ტექსტიდან მეტ-ნაკლებ სხვაობას გვიჩვენებენ. სხვა შემთხვევაში კი, უმცირესი ნიუანსური ხასიათის განსხვავებას თუ არ ჩავთვლით, თარგმანი აზრობრივად კარგად მისდევს დედანს. რომანის სხვა ნაწილების ანალიზმაც დაახლოებით ასეთივე სურათი უნდა მოგვცეს.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 13 ივლისი, 1984 .

„ვალიარებ, რომ ვცხოვრობდი...“

(პაბლო ნერუდას დაბადების 80 წელი)

1973 წლის სექტემბერი, ჩილეს რესპუბლიკის ისტორიის ტრაგიკული ფურცელი... სექტემბრის დასაწყისში ჩილეს სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მიატოვა დაგეგმილი მანევრები და მოულოდნლად დაბრუნდა ვალპარაისოში. უთენია ამუშავდა რადიოსადგური: „დილა-მშვიდობისა, მეგობრებო, სანტ-იაგოში წვიმა მოდის! თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ, ფანჯრებში გაიხედავთ და დაინახავთ, რომ ცა მონმენდილია... ეს იყო ხუმრობა, მეგობრებო!..“ დიახ, ხუმრობა! პრეზიდენტის სასახლესთან სატელეფონო კავშირი განწყდა. ვალპარაისო არ პასუხობს. დაიწყო სამხედრო-ფაშისტური პუტჩი. სატანკო კოლონები ისე შედიან სანტ-იაგოში, როგორც მტრულ ქალაქში დამპყრობი ჯარი. იგი ხომ წინასწარ იყო განმენდილი კონსტიტუციის ერთგული ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან. ავტომატით შეიარაღებული პრეზიდენტი გმირულად იცავს სასახლეს. ავტომატი და სატანკო ქვემეხები! კონსტიტუციური პრეზიდენტი „ლა მონედას“ ნანგრევებში იღუპება. ეს იყო 11 სექტემბერს... ამ დროს კი თავის სახლში, ისლა-ნეგრაზე კვდებოდა ჩილესა და მთელი ლათინური ამერიკის უდიდესი პოეტი პაბლო ნერუდა. კვდებოდა იმიტომ, რომ პოეტის გულმა ველარ გაუძლო ამ მუხანათურ ლალატს, ოცნებებისა და იმედების მსხვერველს. პრეზიდენტის მკვლელობიდან 12 დღე იცოცხლა მხოლოდ. მიიცვალა 23 სექტემბერს. სიკვდილის წინ კი მდივანს კარნახობდა ბოლო სტრიქონებს ნაწარმოებისა — „ვალიარებ, რომ ვცხოვრობდი!“ პოეტის უკანასკნელი სიტყვები, ეს იყო ჯალათი გენერლის მხილება. მისთვის ფაშისტებს იმ დღეს ტყვია არ უსვრიათ. ვერ მოასწრეს! მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ პაბლო ნერუდა ფაშისტურმა ამბოხებამ მოკლა. ამაში არის ლოგიკა, ყველგან და ყოველთვის ფაშიზმი კლავს პოეზიას, კულტურას, თავისუფლებას!

ნეფტალი რიკარდო რეიეს ბასუალტო დაიბადა 1904 წელს სამხრეთში, პატარა ქალაქ ტემუკოში. ეს ის მხარეა, რომელსაც ანტარქტიდის ცივი სუნთქვა სწვდება, ნაპირებთან დიდი ოკეანე არასოდეს მშვიდდება, ზეცა კი მუდამ მოღრუბლულია და კოკისპირული წვიმები თითქოს არასოდეს წყდება. „არაუკარია, სტიქიის მუხნარის ერთო ტოტო, სასტიკო სამშობლოვ... მარტოსულო შენი წვიმების სამეფოში!..“ ეს ის მხარეა, რომლის მტრულ მიწებზე გაიშალა არაუკანელთა გმირული ეპოპეა, როდესაც საუკუნეების მანძილზე არაუკანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ესპანელ დამპყრობლებს, რაც ასე ამალღებულად აისახა ალონსო დე ერსილია-ი-სუნიგას სახელგანთქმულ „არაუკანიაში“. ბუნებრივია, მომავალი პოეტის სულზე არ შეიძლებოდა კვალი არ დაემჩნია კაუპოლიკანის, კოლოკოლოს, ფრესიას და სხვათა გმირულ სახელებს.

ნეფტალი რეიესმა პირველი ლექსები 14 წლის ასაკში გამოაქვეყნა. თავისი სადებიუტო ციციქნა კრებული კი 1921 წელს გამოსცა და მისი სახით პოეზიის მოყვარულთ ნაზრუდგა საკუთარი გზის მაძიებელი, იმედისმომცემი პოეტი. კრებულს გარეკანზე სრულიად უცნობი სახელი — პაბლო ნერუდა ეწერა. ნერუდა — ამ გვარს ნეფტალი რეიესი დაესესხა ჩეხ პოეტს იან ნერუდას — უპოვართა და ჩაგრულთა დამცველს, პაბლო კი იმიტომ აირჩია, რომ ეს არის საყოველთაოდ გავრცელებული სახელი ლათინურამერიკელისა, პროლეტარისა და მინის მუშისა, რადგან იგი წარმოიშვა თვით „პუებლოსაგან“, რაც „ხალხსა“ და „სოფელს“ ნიშნავს.

ლათინური ამერიკის პოეზიას არასოდეს კლებია მნიშვნელოვანი პოეტური სახელები, მაგრამ 1916 წელს რუბენ დარიოს გარდაცვალების შემდეგ არსად ჩანდა ერთპიროვნული ლიდერი, ვინაც პოეზიის მეფის გვირგვინს დაიდგამდა. რუბენ დარიოს შემოქმედებამ კოლოსალური ზეგავლენა მოახდინა მთელი ესპანურენოვანი პოეზიის განვითარებაზე. ამ მხრივ მას ალბათ ბადალი არ მოეძებნება ლათინური ამერიკის ლიტერატურების ისტორიაში, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ პაბლო ნერუდას პოეზია უფრო ახლოსაა იმ მიწასთან, იმ ხალხთან, რომელმაც იგი შვა. პოეტის ძლიერმა ინტელექტმა თითქოსდა შეისრუტა მთელი ის პოეტური და არამარტო პოეტური გამოცდილება, რაც იმ დროისათვის კონტინენ-

ტის ლიტერატურამ დააგროვა. ეს ის პერიოდია, როცა პოეზიაში გაბატონდა უამრავი ავანგარდისტული მიმდინარეობა. რუბენ დარიოსა და მისი მიმდევრების გატაცებები თეთრი გედებით, არისტოკრატი ქალებით, ვერსალითა და სამეფო ბუდუარებით თანდათან მოძველდა, მაგრამ პოეტთა დიდ უმრავლესობაზე მაინც განაგრძობდა ზეგავლენას. რა თქმა უნდა, უმეტესობას არ ეყოფოდა პოეტური ნიჭიერება და ტემპერამენტი, რათა ასეთი აქსესუარების გამოყენებისას თავი დაეღწია გენიალური რუბენ დარიოს ეპიგონობისაგან. პაბლო ნერუდაც, თავისი სიყმანვილის პერიოდში, ძიების გზაზეა და, ცხადია, მანაც გაიარა ის გზა, როცა ბოდლერისა და არტურ რემბოს გამოცდილება უნდა გაეთავისებინა. მერე მისი პოეტური ხედვის არეში აღმოჩნდნენ მაიაკოვსკი და უოტ უიტმენი. ყველაფერი ეს იხარშებოდა იმჟამინდელ აურაცხელ მიმდინარეობათა ქურაში, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მაინც ზემოქმედებდნენ ახალგაზრდა პოეტზე, თუმცა განსხვავებით სხვათა და სხვათაგან ვერავითარმა „იზმმა“ ვერ ჩაახშო მისი პოეტური ტემპერამენტი. პირველმავე კრებულებმა „ბინდუნდი“, „სიყვარულის ოცი პოემა და სასონარკვეთილების ერთი სიმღერა“, „საცხოვრებელი ადგილი — დედამინა“ და სხვ. მკითხველ საზოგადოებას დაანახვა, რომ დაიბადა, როგორც არტურო ტორეს-რიოსეკო წერს, „უზარმაზარი ნიჭის პოეტი, შესაძლებელია უნიჭიერესი ესპანური ამერიკის ახალგაზრდა პოეტებს შორის“.

უკვე სახელმძღვანელო პოეტი პაბლო ნერუდა დიპლომატიურ სამსახურში მიიწვიეს. ესეც ტრადიციული გზაა სახელმძღვანელო ლათინურამერიკელი პოეტებისათვის. რუბენ დარიოც ხომ იყო ელჩი ესპანეთის სამეფო კარზე, გაბრიელა მისტრალი მექსიკაში და ა. შ. ამან პოეტს შესაძლებლობა მისცა მოეარა მთელი მსოფლიო, თავდაპირველად აღმოსავლეთი — ჩინეთი, ინდოეთი, სხვა ქვეყნებიც, მერე დასავლეთი — იყო კონსული ესპანეთში, მექსიკაში, დიდხანს იცხოვრა პარიზში...

მისი პოეტური ტექნიკა უფრო დაიხვეწა. არტურო ტორეს-რიოსეკო თვლიდა, რომ „თავისი ტექნიკით ნერუდა სიურეალისტიკა, მის ლექსებში გამოყენებულია ამ სკოლის ყველა ფორმალური რესურსი. მაგრამ თავისი ტემპერამენტით ის რომანტიკოსია. ამ ანტინომიიდან ამოდის ნერუდას პოეზიის თვალმისაცემი თვისე-

ბები: მდიდარი ლექსიკა, დაუოკებელი სიმბოლიკა და ანტიპოეტური მეტაფორები, ყოველივე ამით გამოიხატება მწუხარებითა და სასონარკვეთით აღსავსე სულის ჭმუნვა...“ ეს სიტყვები ძირითადად წარმოგვიდგენენ ნერუდას შემოქმედებას 20-იან წლებსა და 30-იანი წლების დასაწყისში. ამ დროს პოეტი უმთავრესად სიკვდილსა და წარმავალობაზე ფიქრითაა შეპყრობილი. როგორც თვითონ უთქვამს, იგი სწავლობდა „სიკვდილის ლექსიკონს“.

„როცა პაბლო ნერუდას შემოქმედების ამ პერიოდზე ვფიქრობ, — ნერდა ილია ერენბურგი, — მე ვეკითხები საკუთარ თავს: რატომაა, რომ ეს კაცი, ვისაც ასე მგზნებარედ უყვარდა სიცოცხლე, წინ მხოლოდ არყოფნას ხედავდა? ეს არ შეიძლება ავხსნათ ლიტერატურული გატაცებებით: ის არასოდეს იხედებოდა სიმბოლიზმის უკანასკნელ ეპიგონთა ლატაკურ პანოპტიკუმში; ის ამბობდა: „მე ვწერ მხოლოდ იმაზე, რასაც ვხედავ, და ღმერთმა დამიფაროს მონაგონისაგან!“ ოციანი წლების მიწურულისა და ოცდაათიანი წლების დასაწყისის პაბლო ნერუდას ლექსებში სიკვდილი რეალური იყო — ეს იყო იმ სამყაროს კვდომა, რომელსაც იგი მუდამ აკვირდებოდა და რომელთანაც დაკავშირებული იყო ათასი სხვადასხვა ძაფით... მისი რთული ლექსები თავისი ტრაგიზმით შეძრავდა გულებს...“ სამაგალითოდ იკმარებს ლექსის „მხოლოდ სიკვდილი“ მურმან ჯგუბურიასეული თარგმანი: „სანთლების შუქზე ვხედავ ხანდახან მხოლოდ კუბოებს, წვანან კუბოში მიცვალებულნი: ქალები, მკვდარი ნაწნავებით, პურისმცხობელნი, ანგელოზზე მეტად გაფითრებულნი, ფიქრიანი შინაბერები, ნოტარიუსებს რომ გაჰყვნენ ცოლად, ვხედავ კუბოებს, აღმა მიმავალ მდინარეებს, სანთლების შუქზე რომ გაბერილან მოთქმა-გოდებით, დარდით, ყმუილით... რა ვქნა, არ ვიცი, და წკვარამში ვერაფერს ვხედავ. მაგრამ მგონია, რომ მოტირალი, დაბინდული იის ფერია, რადგან სიკვდილი, ვიცი, მწვანეა და შემოხედვაც მწვანეა მისი, გაჯერებული იის ფოთლების მარადისის სინოტივეთი, ბობოქარ ზამთრის ფერადოვნებით...“

ის, რაც 1973 წლის 11 სექტემბერს მოხდა სანტ-იაგოში, ერთხელ უკვე იყო ესპანეთში — 1936 წელს, როცა სეუტის რადიომ გადასცა — „ესპანეთზე უღრუბლო ცაა!“ ამით დაიწყო ფაშისტური ამბოხი და ფრანკომ მაროკოდან გადმოსხა თავისი აფრიკული

კორპუსი. დაინყო სამოქალაქო ომის ეპოქა, პირველი სისხლისმღვრელი ომი ფაშიზმთან. რესპუბლიკის მხარეზე დადგა მთელი პროგრესული კაცობრიობა, დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი. მადრიდში ჩამოვიდნენ მოხალისეთა ინტერნაციონალური ბრიგადები. პაბლო ნერუდა ამ დროს თავის ქვეყანას წარმოადგენს ესპანეთში. მისი სახლი მადრიდში საკრებულოა ანტიფაშისტი მწერლებისა და კულტურის მოღვაწეთათვის. პაბლო ნერუდას უახლოესი მეგობრებია ფედერიკო გარსია ლორკა, რაფაელ ალბერტი... ლორკას დალუპვამ შეაძრწუნა პოეტი. იგი მთლიანად, მთელი თავისი არსებით, პოეტური მგზნებარებით ჩაება ბრძოლაში და, რა თქმა უნდა, პოეტის დაუცხრომელი სული ვერ ეტეოდა დიპლომატის „ნეიტრალურ“ ოქროსგალუნებიან სამოსში. „თქვენ მეკითხებით: სად გაქრა იასამანი, სადაა ყაყაჩოებით დამშვენებული მეტაფიზიკა, სადაა წვიმა, სიტყვებს რომ ჩამოანიკნიკებს, სავსეებს პოეზიითა და ჩიტებით? მე მოგიყვებით, რაც გადამხდა... ყაჩაღები მაროკოელებით და თვითმფრინავებით, ოქროსბეჭდიანი და ჰერცოგისქალებიანი ყაჩაღები, ბერები, გზას რომ ულოცავენ მკვლელებს, მოვიდნენ, და ქუჩებში ბავშვების სისხლი აწანწკარდა, ისე უბრალოდ როგორც ბავშვების სისხლი...“

დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევა პაბლო ნერუდას არავინ აპატია და ჩილეს მთავრობამ იგი მადრიდიდან გაიწვია. დედამიწის მეორე ნახევარსფეროში დაბრუნებულ პოეტს ნუთითაც არ ავიწყდება სისხლით დაცლილი რესპუბლიკა. ასე დაიბადა კრებული „გულში ესპანეთი“. იგი უმაღვე ითარგმნა სხვადასხვა ენაზე და დაიბეჭდა მრავალ ქვეყანაში. ილია ერენბურგი იხსენებს, რომ 1938 წლის 7 ნოემბერს, მადრიდის დაცემის მესამე წლისთავზე, დამარცხებული რესპუბლიკის უკანასკნელ ზღუდეზე მებრძოლებმა გამოსცეს ეს წიგნი და ასეთი წარწერა გაუკეთეს: „დიდმა პოეტმა პაბლო ნერუდამ (გარსია ლორკა ამბობდა, რომ რუბენ დარიოს სიკვდილის შემდეგ იგი ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტიაო) ომის პირველი რამდენიმე თვე ჩვენთან გაატარა. შორს, ზღვათა მიღმა, თითქოს ლტოლვილმა, მან დაგვიწერა ეს წიგნი. აღმოსავლეთის არმიის სამხედრო კომისარიატი ხელახლა სცემს მას ესპანეთში. რესპუბლიკის ჯარისკაცებმა თავისი ხელებით დაამზადეს ქალაქი, ააწყვეს და დაბეჭდეს იგი. დაე, ჩვენმა მეგობარმა პოეტმა ეს ცნობა ჩათვალოს ვითარცა

მიძღვნა“. წიგნი, ალბათ, დააკმაყოფილებდა ესტეტიკითხველსაც, მაგრამ მას კითხულობდა რიგითი ჯარისკაციც, გლეხიც, ყველა ანტიფაშისტი, ყველა რესპუბლიკელი. „თქვენ მეკითხებით, რატომ არაფერს ვამბობ ოცნებებზე, ფოთლებზე, ჩემი ცხოვრების დიდ ვულკანებზე? შეხედეთ: ქვაფენილზე სისხლია. შეხედეთ: სისხლია ქვაფენილზე!“

დაუდევარი პოეტი და დიპლომატი ჩილეს მთავრობამ ამჯერად მექსიკაში დანიშნა კონსულად. პაბლო ნერუდას სახელი უკვე მსოფლიოს ყველა კუთხეში იყო ცნობილი. მისი პოეტური სიტყვა ფასობდა, მის აზრს ანგარიშს უწევდნენ პოლიტიკური ლიდერებიც. პაბლო ნერუდას მღელვარე გული მთელი პლანეტის ტკივილებს იტევდა. ევროპის ცენტრიდან შორსაა მეხიკო, მაგრამ პაბლო ნერუდა ყოველი თავისი ნერვით დაკავშირებული იყო იმ ისტორიულ ბატალიებთან, ევროპაში რომ გაიმართა. სტალინგრადი გახდა პაბლო ნერუდას პოეტური მუზა. 1942 წელს სტალინგრადის გმირულ ბრძოლებს მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. აქ უნდა მომხდარიყო ძირეული გარდატეხა, აქ უნდა გადაემსხვრიათ ფაშიზმისათვის ხერხემალი, მთავრობათა მეთაურებიდან რიგითი ჯარისკაცამდე ყველამ იცოდა, მეორე მსოფლიო ომის ბედი რომ სტალინგრადში წყდებოდა. პაბლო ნერუდამ კვლავ დაარღვია დიპლომატიური ეტიკეტი. მეხიკოს ქუჩებში გამოჩნდა უჩვეულო აფიშა, მასზე დაბეჭდილი იყო „სიყვარულის სიმღერა სტალინგრადს!“ ეს იყო ამაღლებული ჰიმნი, მიძღვნილი სტალინგრადის გმირული დამცველებისადმი. ამას შემდგომ მოჰყვა მეორე — „სიყვარულის ახალი სიმღერა სტალინგრადს!“: „დაე, ყველამ იცოდეს, რომ ერთგულების ფიცი დამიდვია! თუმც არ ვყოფილვარ შენს ჯარისკაცებს შორის, მიყვარხარ ჯარისკაცული სიყვარულით. შენთვის შევქმენი ეს ხელყუმბარა — სიყვარულის ეს სიმღერა, სტალინგრადო!“

ფაშიზმი დამარცხდა. მსოფლიო ვითარება კარდინალურად შეიცვალა... ეიფორიის პირველი წლები, მსოფლიო ძმობის ფიცილი... მაგრამ იყო პირველი ატომური აფეთქებები ხიროსიმასა და ნაგასაკში, ჩერჩილის ცნობილი სიტყვა ფულტონში, ცივი ომის წლები, რომელმაც ევროპა ორ ბანაკად გაყო...

ჩილეს რესპუბლიკა შორსაა, კონტინენტის განაპირას. თითქოს მსოფლიოს ცივი ქარები გვერდს უვლიან. ქვეყნის წინაშე დემოკრატიზაციის ნათელი პერსპექტივები იშლება. პაბლო ნერუდამ 1945 წლიდან საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი კომუნისტურ პარტიას. სახელგანთქმული პოეტი გვარჯილის საბადოების მუშებმა სენატორად აირჩიეს. იგი არაფერს აკეთებდა სანახევროდ, ვალის მოხდის მიზნით. პაბლო ნერუდა პოლიტიკურ მოღვაწეობაში მთელი თავისი ენერჯით ჩაეფლო... ამ დროს ახლოვდება მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური თარიღი — პრეზიდენტის არჩევნები. გამოჩნდა პიროვნება — გონსალეს ვიდელა, კაცი, ვინაც ქვეყანას საჯაროდ აღუთქვა აგრარული რეფორმა, მუშათა ინტერესების დაცვა. კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ვიდელას. პაბლო ნერუდას უზარმაზარი ავტორიტეტი სჭირდება მომავალ პრეზიდენტს. ისინი ხშირად ერთად გამოდიან აუდიტორიის წინაშე. პოეტის მგზნებარე სიტყვები დივიდენდებს უხვეჭენ კანდიდატს. ბოლოს არჩევნები შედგა... გამარჯვება!.. გონსალეს ვიდელა პრეზიდენტია. მთავრობის წევრი ხდება სამი კომუნისტი. ხორციელდება რეფორმები... მაგრამ ცივი ომის სუნთქვამ აქამდეც მოაღწია. მემარჯვენე ძალების ზეგავლენით პრეზიდენტი გადაუდგა საკუთარ დაპირებებს, უღალატა საერთო საქმეს და ფარული გადატრიალება მოახდინა. ქვეყანაში შემოიღეს რეპრესიული კანონები, აიკრძალა კომუნისტური პარტია, დაიწყო მემარცხენე ძალების დევნა.

რა თქმა უნდა, პაბლო ნერუდა პირველი აღმოჩნდა მოლალატე პრეზიდენტის გზაზე. მან გამოაქვეყნა ღია წერილი, სადაც ამხილა გონსალეს ვიდელა. ამას არავინ შეარჩენდა. პოეტმა ეს კარგად იცოდა და საჯაროდ განაცხადა, მე თუ მომკლეს, ჩემი მკვლეელი გონსალეს ვიდელა იქნებაო.

განრისხებულ პრეზიდენტს საბაბილა ჭირდებოდა. გადაწვეს პაბლო ნერუდას სახლი, განადგურდა უნიკალური ბიბლიოთეკა, თვითონ მას კი სახელმწიფო ღალატი დააბრალეს. და აი, 1948 წლის 6 იანვარს პოეტი სიტყვით გამოდის პარლამენტში. ეს სიტყვა შეიძლება მივიჩნიოთ ვაჟკაცობისა და თავდადების ეტალონად. პაბლო ნერუდამ დამაჯერებლად, დასაბუთებულად აუწყა პარლამენტარებსა და მთელ მსოფლიოს, რომ გონსალეს ვიდელა არის ჩილეს

რესპუბლიკის მოლალატე. არც იმას შეუშინდა პოეტი, რომ განედიდებინა აკრძალული, დევნილი პარტია, რომლის წევრებს მაშინ ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ყრიდნენ: „ჩვენი პარტია უკვდავია. ის დაიბადა ხალხის ტანჯვის საპასუხოდ და ეს დევნა მხოლოდ ამალღებს მას!“

პოეტის სიცოცხლე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. იგი იატაკქვეშეთში გადაიმალა. დევნილი პოეტის სევდასა და სულიერ მხნეობას კარგად გამოხატავს არჩილ სულაკაურის მიერ თარგმნილი „ლტოლვილი“: „შუა ღამეში, სიცარიელე, იერს რომ მიცვლის, მწარე ცრემლიდან ქალაქადმდე, ამ ტანჯვის წლებში, მივდივარ, უკან მომდევს მდევარი. მე ლტოლვილი ვარ...“ „და ყოველ ღამეს, როს ედებოდა მწუხრი ჩილეს სანაპიროებს, მარტოობის ჟამს, კარით კარამდე მივდიოდი ასე ლტოლვილი. და სხვა სახლები და სხვა ხელები მშობლიურ მიწის ყოველ მტკაველზე მეგებებოდნენ ღამით ნიადაგ... იქ მე მელოდა ჯამით ულუფა, იქ მე მელოდა კეთილი გული. ყოველი კარი ჩემი იყო, მეუბნებოდნენ: „შემოდი, ძმაო“. ამ დროს ჩემს მამულს ისევ თელავდნენ. ასე სწურავენ ყურძენს ფეხებით“.

სწორედ დევნის ამ წლებში დაიწერა პაბლო ნერუდას უმთავრესი წიგნი — „საყოველთაო სიმღერა“. თხუთმეტი თავისაგან შემდგარ ამ პოეტურ წიგნში გადაშლილია ამერიკის ფართო პანორამა: მისი ბუნება, მთები და მდინარეები, ამაზონით დაწყებული და პატარა ბიო-ბიოთი დამთავრებული, მისი მცენარეები და ცხოველები, მისი ქალაქები და სოფლები; აქ გადმოცემულია კონტინენტის გმირული ისტორია; ჩვენ წინაშე წარმოსდგებიან კაუპოლიკანი, ტუპაკ ამარუ, კუაუტემოკი, ლაუტარო, განმათავისუფლებლები, ლინკოლნი; მისი ადამიანები: მუშები, გლეხები, ხელოსნები; პირსისხლიანი დიქტატორები და უზურპატორები; დიდი ოკეანეები, კონტინენტის ნაპირებს რომ ევლებიან. ყოველივე ამაში ჩანს უღია თვით პოეტის ლტოლვილი სული, მისი თანამედროვენი, ახლობლები და მტრები... და უპირველესი მტერიც — გონსალეს ვიდელა: „შენ რას დააკლებ, წყეული, ჰაერს, ან რაც მიწიდან აღმოცენდება, — ჰყვავის, სდუმს, მხედავს და მელოდება, თან გასამართლებს, ვით მოლალატეს? ეს შეიძინე, შენ ამისათვის ყოველ წამში იხდი საფასურს. შენ სვამ ციხეში ხალხს, აწამებ, ასახლებ

კიდევ, ჩქარობ, მოსყიდულს არ დაუნყოს სინდისმა ქენჯნა, ველარ იძინებ, მე კი შენ გვერდით ჩილეს გულში ვცხოვრობ ლტოლვილი...”

რაც გინდა კარგი იყოს თარგმანი, ძნელია ამ მცირედი ნაწყვეტებით სრული წარმოდგენა შეგვექმნას პაბლო ნერუდას პოეტურ ტალანტზე. მისი ფრაზა ფოლადივით მტკიცეა. წიგნის ყოველ სტრიქონში იგრძნობა პოეტის მგზნებარება, თითქოს სულში უქრობი კოცონი უნთია. ყოველი გვერდიდან ხან ნაზი ალერსი მოგელამუნება, ხან მძაფრი სიძულვილი ამოზავთდება, სიყვარული და სიძულვილი, ორი ძირითადი, წყალუხვი მდინარე მიედინება ამ რთული წიგნის სიღრმეებში...

ჩილეს ხალხის ბრძოლა დემოკრატიზაციისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის არ შეწყვეტილა და, აი, 1958 წელს იბანიეს დელ კამპოს მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა ანტიკომუნისტური კანონი. ჩილეში დაბრუნდნენ პოლიტიკური ემიგრანტები. სამოციან წლებში ჩამოყალიბდა სახალხო ერთობის ფრონტი, რომლის კანდიდატმა სალვადორ ალიენდემ 1964 წლის პრეზიდენტის არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. პრეზიდენტი გახდა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ფრეი. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების უკუქცევა შეუძლებელი იყო და ფართო მასების ზეგავლენით დემოკრატიისა და კონსტიტუციური თავისუფლების პრინციპები უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

ემიგრაციიდან დაბრუნებული პაბლო ნერუდა იმთავითვე ენერგიულად ჩაერთო პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. მისი ბინა სანტ-იაგოში ერთგვარი ლიტერატურულ-კულტურული ცენტრი გახდა. მომდევნო წლებში პოეტი უფრო ხშირად ისლა-ნეგრაში მუშაობდა. აქ, ზედ ოკეანის პირას ჰქონდა სახლი, მშვენიერი ბიბლიოთეკა, ნიჟარების კოლექცია... ამ სახლში მას სწვევია არაერთი გამოჩენილი პოეტი, მწერალი, კულტურული და პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ისლა-ნეგრაში პაბლო ნერუდას ესტუმრა ჩვენი საყვარელი პოეტი იოსებ ნონეშვილიც, რომელზეც ჩილელმა პოეტმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ხშირად დიდი პოეტებიც ვერ უძლებენ მძიმე ტვირთს, ათეული წლების მანძილზე დაძაბულ შემოქმედებით შრომასა და პოლიტიკურ ბატალიებს. ასაკთან ერთად ადამიანი უფრო იოლად იღლე-

ბა. მისი კალამი, ადრე რომ მძაფრი იყო, თანდათან სუსტდება, იცლება ახალგაზრდული ვნებისაგან. ასეთი რამ ვერ ითქმის პაბლო ნერუდას მიმართ. სიკვდილის სარეცლამდე მის პოეტურ მუზას ერთხელაც არ შეუსვენია, მის ლექსს ეტყობოდა მხოლოდ და მხოლოდ მეტი გამოცდილება, მაგრამ არ დასტყობია ასაკი, ენერგიის ნაკლებობა, მისი პოეტური გზა — ესაა უწყვეტი აღმასვლა. 50-იან წლებში შექმნა პაბლო ნერუდამ შესანიშნავი წიგნები: დღიური „ვენახები და ქარები“, „პირველადი ოდების“ სამტომეული, კრებულები „ესტრავაგარიო“, „ცურვა და დაბრუნება“... 60-იან წლებში — „სიყვარულის ასი სონეტი“, „ჩილეს ქვები“, „ჩილეს ფრინველები“, „საცერემონიო სიმღერები“, ავტობიოგრაფიული პოემა „ისლა-ნეგრას მემორიალი“, პიესა „ხოაკინ მურიეტას სიკვდილი“ და სხვა. ამავე დროს პოეტს არ შეუწყვეტია პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. არაერთგზის იქნა არჩეული სენატში, კომუნისტურმა პარტიამ ორჯერ დაასახელა მისი კანდიდატურა პრეზიდენტის არჩევნებზე, თუმცა სოციალისტურ პარტიასთან შეთანხმებით ორივეჯერ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, რათა გზა გაეკავა სალვადორ ალიენდესათვის. წლების მანძილზე ის იყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი. მიღებული ჰქონდა ხალხთა შორის მშვიდობის დაცვისათვის საერთაშორისო ლენინური პრემია, დაბოლოს, ის გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი.

დედამიწის არც ერთ კუთხეში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც პაბლო ნერუდა არ გამოეხმაურა. პოეტს ახარებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობათა წარმატებები. მრისხანედ ამხელდა ათასი ჯურის დიქტატორებს, მედროვეებს, უზურპატორებს... თანაუგრძნობდა და იცავდა ვიეტნამელი ხალხის გამირულ ბრძოლას... განსაკუთრებით ეამყებოდა კუბის რევოლუცია და მას არაერთი ლექსი მიუძღვნა. მისი იმდროინდელი ლექსები ხანდახან დღევანდელი, ცინცხალი პოლიტიკური ამბების გამოხმაურება გვეგონება. აი, გივი ძნელადის მიერ თარგმნილი „სალვადორი, სიკვდილი...“: „კვლავ დააბოტებს სალვადორში სიკვდილის ჩონჩხი, გლეხების სისხლში მოთხვრილია ხელები მისი... შმაგმა ქარებმა ვერ ააშრო შარაზე სისხლი, ადამიანი იტანჯება სულით და ხორციით... უგულო რეგვენს, უღმერთოსა და უცხვირპიროს, ხალხის გამყიდველს, ხალხის ჯალათს ჰქვია — მარ-

ტინეს. იღვრება სისხლი და მლაშეა პური და ღვინო; თავისუფლება ყაჩაღებმა დააპატიმრეს... თავისუფლება დღის სინათლეს იხილავს მალე!..“ აქ საკმარისია მარტინესი შეიცვალოს სხვა გვართ და მრავალტანჯული სალვადორის დღევანდელი ცხოვრება წარმოგვიდგება თვალწინ.

სწორედ ამიტომაა სძულთ პოეტი მშვიდობისა და პროგრესის მტრებს. სექტემბრის იმ თვეს, როცა ორი დიდი ადამიანი დაკარგა ჩილემ, ხუნტის ჯარისკაცები შეიჭრნენ პაბლო ნერუდას ბინებში სანტ-იაგოსა და ისლა-ნეგრასში. პოეტის ცხედარი ჯერ კიდევ გაცივებულიც არ იყო, პუტჩისტებმა იავარყვეს მისი ბიბლიოთეკა, კოლექციები, ხელნაწერები... პაბლო ნერუდას პოეზიის მოყვარულებს ნება არ დართეს პატივი მიეგოთ პოეტის ნეშტისათვის... მათ მკვდრისაც ეშინოდათ... ათწლიანი ღამე ჩამოწვა... ისევ ციხეები, საკონცენტრაციო ბანაკები, უგზოუკვლოდ დაკარგული ახლობლები, საიდუმლო სასაფლაოები, ლტოლვილთა უსასრულო ნაკადი... შიმშილი, უმუშევრობა, სასტიკი პოლიციური დევნა... ოღონდაც, პაბლო ნერუდას სახელს ვერავითარი პოლიტიკური ცენზურა ნაჯახითაც ვერ ამოკაფავს. მის უბრალო საფლავთან, სანტ-იაგოს გარეუბანში, ყოველ წელიწადს, 23 სექტემბერს, რეპრესიების მიუხედავად, თავს იყრიან მისი პოეზიის მოყვარულები, ჩილეს პატრიოტები.

წიგნში „საყოველთაო სიმღერა“ ერთი თავი ეძღვნება აბრამ ლინკოლნს — „დაე, გაიღვიძოს ტყისმჭრელმა“. მუხრან მაჭავარიანისა და გივი ძნელაძის მიერ თარგმნილი ამ თავიდან მინდა მოვიყვანო ერთი ნაწყვეტი:

*„მაგრამ... მე ახლა თქვენ დროებით გემშვიდობებით
და ვუბრუნდები საოცნებო მშობლიურ მხარეს.
დიდი ხანია არ მინახავს პატაგონია,
სადაც გრივალი ოკეანის ზვირთებს აგორებს.
მე ვარ პოეტი.
მე მიყვარს ყველა.
უცხო მინაზე ხეტიალი მიხდება ხშირად...
ჩემს სამშობლოში ციხეები სავსეა ხალხით, —
მართლმსაჯულება იქ ჯალათთა ხელშია ახლა.
მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც —*

*მშობელ მინაზე მე ღრმადა მაქვს გადგმული ფესვი
და თავზე მეტად მიყვარს ჩემი საწყალი მინა.
ერთი სიცოცხლე კი არადა ასიც რომ მქონდეს,
ასივეს ერთად შევნირავედი სამშობლოს ჩემსას.
კიდევ ასჯერ რომ შემძლებოდა გაჩენა ქვეყნად,
იმავე მინაზე ვისურვებდი შობას ასჯერვე;
მინაზე, სადაც ოკეანის ნავარდობს ქარი.
სადაც ფოლადის რიხიანი ზარები რეკენ.
ნუ ფიქრობთ ჩემზე.
ვიფიქროთ ხალხზე;
კაცობრიობის მომავალზე ვიფიქროთ, ძმებო!“*

დადგება დრო და ნეფტალი რიკარდო რეის ბასუალტო, პაბლო ნერუდა დაუბრუნდება თავის ჩილეს. იგი გაივლის სანტ-იაგოსა და ვალპარაისოს ქუჩებში, ეწვევა გვარჯილის მალაროებს, სადაც წვიმა არასოდეს მოდის, და არაუკანიას, სადაც წვიმა არასოდეს წყდება... შევა იგი ყოველი გლეხის ქოხში, ყოველი მუშის ღარიბულ ბინაში, მისი ლექსის სტრიქონები იქცევა ხელყუმბარად და საბრძოლო დროშად... პოეტი არასოდეს კვდება!

არტურო ტორეს-რიოსეკო და მისი წიგნი

(წინათქმა წიგნისა „იბერიული ამერიკის დიდი ლიტერატურა“)

არტურო ტორეს-რიოსეკო დაიბადა სამხრეთ ჩილეში, 1897 წელს. რესპუბლიკის ისტორიაში ამ მხარემ საკმაოდ მნიშვნელოვანი და თავისებური წვლილი შეიტანა. იგი არაუკანელთა გმირული ეპოპეის ასპარეზი იყო, რაც ასე ბრწყინვალედ აისახა ერსილიასა და დე ონიას პოემებში. მეოცე საუკუნეში კი ჩილესა და მთელი ლათინური ამერიკის ლიტერატურას სამხრეთ ჩილემ მისცა ორი დიდი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატები — პაბლო ნერუდა და გაბრიელა მისტრალი. ა. ტორეს-რიოსეკოს სიყმაწვილე დაემთხვა რევოლუციურ ძვრებს ჩილეს საზოგადოებაში, რისი შედეგიც იყო სახალხო ფრონტის გამარჯვება 30-იანი წლების ბოლოს. ამ მოვლენებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ტორეს-რიოსეკოს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მას სამუდამოდ შერჩა დემოკრატიული იდეებისადმი რწმენა, ლათინური ამერიკის კულტურის სიყვარული, თანაგრძნობა მემარცხენე იდეოლოგიისადმი, თუმცა მარქსისტი არ ყოფილა.

ტალკის ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ტორეს-რიოსეკო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში ეუფლებოდა გერმანული და ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობას. შემდეგ გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მუშაობდა მინესოტის, ტეხასის, კოლუმბიის, სტენფორდისა და, ბოლოს, კალიფორნიის უნივერსიტეტებში. აქ 1928 წლიდან სათავეში ედგა ლათინური ამერიკის ლიტერატურის კათედრას. მიუხედავად ამისა, იგი თავს ლათინური ამერიკის მოქალაქედ გრძნობდა და სამშობლოსთან კავშირი არასოდეს გაუნწყვეტია. ნახევარი საუკუნის თავდადებული შრომის შედეგია ათობით წიგნი, რომელიც რეგულარულად იბეჭდებოდა არგენტინაში, ჩილეში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში. მეცნიერის ნაშრომთაგან უფრო მნიშვნელოვანია: „რომანი ესპანურ ამერიკაში“ (1939), „ესპანურამერიკული ლიტერატურის ანთოლოგია“, „ამერიკის თანამედროვე რომანისტიები“ (1939), „წერილები

ლათინურამერიკულ ლიტერატურაზე“, „ესპანური ამერიკის სახელგანთქმული რომანისტიები“ (1941 — 1943). სხვა ენებზე ითარგმნა და მრავალგზის გამოიცა „იბერიული ამერიკის დიდი ლიტერატურა“ (ჩვენ მიერ რუსული გამოცემიდან ითარგმნა და ქართულად გამოსცა თსუ-ს გამომცემლობამ 1983 წელს). 1964 წელს ტორეს-რიოსეკომ გამოაქვეყნა კიდევ ერთი წიგნი „იბერიული ამერიკის ლიტერატურული პანორამა“, რის შემდეგაც მეცნიერს დიდხანს არ უცოცხლია.

ნაშრომს La Gran Literatura Iberoamericana ა. ტორეს-რიოსეკომ მრავალი წელი შეაღია. მანამდეც არაერთი ლიტერატურათმცოდნე ცდილობდა დაენერა ლათინურამერიკული ლიტერატურის ერთიანი, ყოვლისმომცველი ისტორია, მაგრამ რაიმეს გამოტოვების შიშით, ან სხვადასხვა მიმდინარეობათა სქემატურ აღწერას ღებულობდნენ, ან მწერალთა ერთგვარ ნუსხას. მართლაცდა შეუძლებელია ამდენი ლიტერატურული მოვლენის ერთ წიგნში მოთავსება. გაბრიელა მისტრალი ასე წერდა ტორეს-რიოსეკოს ნაშრომზე: „ძნელზე ძნელია ჩვენზე ჭეშმარიტი ინფორმაციის შეგროვებაც კი. ტორეს-რიოსეკო მრავალი წლით ჩაიკეტა ამერიკის წიგნთსაცავებში; იგი თავისი წერილებით კუდში დასდევდა ლიტერატორებს... ნთქავდა ასობით ლიტერატურულ ჟურნალს და გადაადნობდა თავის ქურაში, ვითარცა ცოლ-ქმარი კიურები, რომლებიც ტონა ნედლეულის გადამუშავებით გრამ რადიუმს იღებდნენ; მწერლებთან მისი საუბრები ზეპირი ცნობების მთელი არქივია...“ მასალის მოცულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი წიგნის დაწერის დროს მეცნიერს უნდა გადაეღახა გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერი — უნდა დაეძლია ტრადიციული შეხედულება ლათინურამერიკული ლიტერატურის ეპიგონურ, მეორეულ ხასიათზე. ბევრი მეცნიერი ლათინური ამერიკის ესპანურენოვან ლიტერატურას ესპანური ლიტერატურის განშტოებად მიიჩნევდა, ხოლო ბრაზილიურ ლიტერატურას — პორტუგალიური ლიტერატურის განშტოებად. ა. ტორეს-რიოსეკოს წიგნში, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა სხვა ლიტერატურების გავლენებს, მაგრამ ავტორი ყველგან ცდილობს წარმოაჩინოს საკუთრივ ეროვნული მონაპოვარი, ის ორიგინალური წვლილი, რაც კონტინენტის ლიტერატურამ შემოიტანა მსოფლიო ლიტერატურის საგან-

ძურში. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა — ესაა კონტინენტური ერთობისა და ეროვნული განსხვავების პრობლემა. კოლუმბიელი ხოსე სალამეა წერდა: „ევროპელისათვის ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები განლაგებულია ერთ კონტინენტზე, რომ მათ ერთი ისტორიული წარმომავლობა აქვთ, რომ აქ ერთსა და იმავე რწმენას მისდევენ, ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე, შეიძლება გადამწყვეტი საბუთი აღმოჩნდეს საერთო, ლათინურ-ამერიკული კულტურის არსებობის დასამტკიცებლად. მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით ისტორიას და ყოველი ამ ქვეყნის თავისებურებას, აღმოვაჩინებთ, რომ შეხედულება ლათინურ ამერიკაზე, როგორც ერთსახოვან კონტინენტზე, ფრიად ზედაპირულია“. ამას ერთგვარად უპირისპირდება თუნდაც მიგელ ანხელ ასტურისას აზრი: „ამერიკის კონტინენტის ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის, ზუსტი მეცნიერების ან ფილოსოფიის შესწავლის დროს სერიოზულ შეცდომას ჩაიდენს ის, ვინც არ აანალიზებს ერთიანს, ზოგადს ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ყოველი ქვეყნის კულტურის განხილვა ცალ-ცალკე“. აზრთა ეს დაპირისპირება სხვა მოღვაწეებთან ხანდახან მეტად პოლემიკურ ხასიათს იღებს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია პრობლემის რთული დიალექტიკა. არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ ყოველი ქვეყნისა და ლიტერატურის თავისებურებებზე, მაგრამ ამ ქვეყნებს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ მათი ხელოვნური განცალკევება ცალოგიკური იქნებოდა. დღეს ამ პოზიციაზე დგას ლიტერატურათმცოდნეთა უმრავლესობა.

ტორეს-რიოსეკოს წიგნი ამ მხრივ უდავოდ საინტერესოა. შეიძლება გამოითქვას რამდენიმე არსებითი შენიშვნაც. ლათინური ამერიკის ისტორია და კულტურა ყალიბდებოდა სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული საწყისებიდან, რომელთაგან ძირითადია იბერიული (ესპანურ-პორტუგალიური), ინდიელთა და აფრიკული. ჩვენს საუკუნეში ამათ დაემატა ემიგრანტთა მრავალრიცხოვანი ნაკადი ევროპის სხვა ქვეყნებიდან (იტალიელები, ფრანგები, გერმანელები) და აზიიდან (ინდოელები, იაპონელები, ჩინელები, ინდონეზიელები და სხვ.). ყოველივე ამან მოგვცა ეროვნებათა ფორმირების მეტად თავისებური სურათი. ტორეს-რიოსეკო თუმცა გამოყოფს,

მაგალითად, „შავ პოეზიას“, მაგრამ პრობლემა — „შავკანიანები და ლიტერატურა“ ბევრად ფართო მასშტაბისა და მნიშვნელობისაა, ვიდრე ეს წიგნშია წარმოდგენილი. განიხილავს ავტორი ე. წ. ინდიენისტურ ლიტერატურასაც, მაგრამ წიგნში ნათქვამი მხოლოდ წვეთია ზღვაში. სამწუხაროდ, მასში ასახვა ვერ პოვა კოლუმბამდეღმა ლიტერატურამ, რომლის გავლენა ლათინური ამერიკის ლიტერატურულ პროცესებზე, განსაკუთრებით „ახალ რომანზე“, განუზომელია. ტორეს-რიოსეკოს სამართლიანად საყვედურობდნენ ამ ნაკლს. თვით ავტორმა წიგნის ერთ-ერთი ბოლო გამოცემის შესავალ წერილში განიხილა აცტეკთა პოეზია. ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელება მას არ დასცალდა. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ კოლუმბამდეღი ლიტერატურა. მკითხველს ეს გაუადვილებს ლათინური ამერიკის ლიტერატურული პანორამის წარმოდგენას.

ევროპელთა ექსპანსიამ შეწყვიტა ამერიკის ხალხთა ბუნებრივი განვითარება. ახალ ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით შემოჭრილ კონკისტადორებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ რა უჩვეულო და დიდებულ კულტურულ ფენომენს დაუსვეს წერტილი. კორტესი განცვიფრებული დარჩა ტენოტიტლანის სიმდიდრითა და მშვენიერებით, რამაც, სამწუხაროდ, დამპყრობლებს უფრო გაუღვივა მადა.

კოლუმბის აღმოჩენამდე ამერიკის კონტინენტზე ცხოვრობდა 12-დან 40 მილიონამდე კაცი. აქ თანაარსებობდნენ განვითარების სრულიად სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ტომები, ქვის ხანიდან დაწყებული სახელმწიფოებრივ ფორმაციებამდე, სამეფო აბსოლუტიზმის კარს რომ უკაკუნებდნენ. ამ უჩვეულო სამყაროში დღესაც პოულობენ ჯუნგლებში დაკარგულ ცალკეულ ტომებს, დიდად რომ ვერ ასცილებიან პირველყოფილ ხანას; ხანდახან კი მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება ახლად აღმოჩენილი ქალაქი ანდა ლეგენდარული ხალხების მიერ ოდესღაც შექმნილი გრანდიოზული პირამიდა.

კონკისტის პერიოდში კონტინენტზე მოსახლე ტომები, განვითარების დონის მიხედვით, შეიძლებოდა ორ ჯგუფად დაგვეყო.

პირველ ჯგუფში აღმოჩნდებოდნენ მომთაბარე მონადირეები, ან ის ტომები, რომლებიც პრიმიტიულ მინათმოქმედებას ეწოდნენ. ასეთებია, მაგალითად, ცეცხლოვან მინაზე მცხოვრები ონა, იაგანები, ალაკალუფები; პატაგონიაში — ტეხულჩე; პარაგვაიში, ჩრდილოეთ არგენტინასა და სამხრეთ ბრაზილიაში — გუარანი; აღმოსავლეთ ბრაზილიაში — ტუპი და აუე; ამაზონის აუზში, სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთსა და ანტილიის კუნძულებზე — აროვაკები, კარიბები; ცენტრალურ ამერიკაში — ჩოლო, კუნა, ლენკა და სხვ. მექსიკაში — პიმა, იაკები, მაიო კორა, ვიროლი, ოტომი და სხვ. მეორე ჯგუფში კი უნდა შეგვეყვანა ის ხალხები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს სახელმწიფოებრივი ფორმაციები, შექმნეს განსაცვიფრებელი კულტურები. ესენია: აცტეკები — მექსიკაში, მაია — იუკატანის ნახევარკუნძულზე, ინკები — პერუში, ჩიბჩა — ჩრდილოეთ კოლუმბიაში. ამ ხალხებიდან მხოლოდ სამს ჰქონდა დამწერლობის ჩანასახები. აცტეკები ინფორმაციის გადასაცემად ნახატებს ხმარობდნენ. მაიამ შექმნა იეროგლიფური დამწერლობა. ინკებს შეეძლოთ თოკებზე ნასკვების გაკეთებით ინფორმაციის გადაცემა. პერუელი ვიქტორია დე ლა ხარა ირწმუნება, რომ ინკების თიხის ჭურჭლებზე შემორჩენილი ნახაზები თავისებური დამწერლობაა და მან თითქოს შეძლო მათი ნაკითხვა.

ამერიკის ხალხებში ლიტერატურა ძირითადად ვითარდებოდა ზეპირი გადაცემების გზით. ამერიკის აბორიგენტთა ფოლკლორი როგორც ჟანრობრივად, ისე შინაარსობრივად მრავალფეროვანია და მათში აისახა სხვადასხვა ხალხების სულიერი ცხოვრება. ზოგ ხალხებთან ჩამოყალიბდა მითური თქმულებები, სადაც ახსნილია სამყაროს გაჩენის, სიცოცხლის არსის და სხვ. პრობლემები. ამერიკელ ინდიელთა მითები დასახლებულია კეთილი და ბოროტი ღმერთებით, ცის, მიწის, მნათობთა, ცხოველთა, მცენარეთა და ა. შ. მბრძანებლებით. აცტეკთათვის მზეს ასახიერებს უცილოპოჩტილი, მისი ძმებია — სენცონუიცნუა (ვარსკვლავები) და კოიოლშაუსკი (მთვარე). მითებში აისახა ტომთა შორეული წარსული. მაგალითად, ასეთია მითი ქალაქ მეხიკოს დაარსებაზე: ერთ ქურუმს სიზმარში გამოეცხადა ღმერთი და უბრძანა: ტომი აპყარე და გზას გაუდექით, სანამ იპოვიდეთ ტბას, რომლის შუაგულში იქნება კუნძული, კუნძულზე — კაქტუსი, კაქტუსზე — არწივი, გველი რომ უჭირავს

კლანჭებში. აი, იქ უნდა ააშენოთ ქალაქიო. აიყარა აცტეკთა ტომი, წამოიღეს თავიანთი კერპები, წინაპართა ძვლები, აკვნები, წამოიყვანეს ცოლები და შვილები. მრავალი წელი მოდიოდნენ და გზას ომებით იკაფავდნენ. მოკვდა ის ქურუმი, მერე სხვებიც. დაბოლოს, მათ დაინახეს ტბა. შუა ტბაში იყო კუნძული, კუნძულზე — კაქტუსი, კაქტუსზე არწივი იჯდა და კლანჭებში გველი ეჭირა. ესაა ჩვენი სამშობლო, — თქვეს აცტეკებმა და შეუდგნენ ქალაქის მშენებლობას. და დაარქვეს მას პირველი ქურუმის სახელი — „მეხიტლი“. ამ თქმულებაში აშკარად ჩანს ტომთა მიგრაციის გამოძახილი. ცნობილია, თუ რა ცუდი სამსახური გაუწია აცტეკებს კეტცალკოატლის მითმა. კეთილი ღმერთი კეტცალკოატლი თეთრკანიანი და წვეროსანი იყო. მან ადამიანებს ასწავლა მინათმოქმედება და სხვ. მერე კი აღმოსავლეთით გაუჩინარდა, თან დაიბარა, ოდესმე კვლავ მოვალო. როცა კონკისტადორები მექსიკის სანაპიროზე გადმოსხდნენ, აცტეკებმა ისინი კეტცალკოატლის გამოგზავნილებად მიიჩნიეს.

ლიტერატურული ჟანრებიდან სხვაზე მეტად გავრცელებული იყო პოეზია. იგი ჩამორჩენილ ტომებშიც ვითარდებოდა. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხებისათვის პოეზიას უფრო „პრაქტიკული“ მისია ეკისრებოდა. ის ადამიანებს უნდა დახმარებოდა შრომით საქმიანობაში, ნადირობაში, ღმერთებთან საუბრის დროს, შეყვარებულის გულის მოგებაში. კოფანის ტომის (კოლუმბია და ეკვადორი) შეყვარებული გოგონა ასე გამოხატავს თავის გულისნადებს: „მე ვიფურჩქნები, ვით გუარანგოს ლამაზი ბუჩქი, მაგრამ ქარმა დამაგლიჯა ყვავილი და ფოთლები, მინაზე ცვივა დამტვრეული ჩემი ტოტები, ხმება და ასე — მე და ჩემი რჩეული — სიყვარულისაგან დაშრეტილი დავიარებით“. გუარანელი ინდიელი გვალვამ შეანუხა, მდინარე ამომშრალა და ჩვეულებრივ ვერ თევზაობს. მას შეიძლება ჩიტუნა სირიკომ უშველოს. სირიკოს უყვარს ნესტი, წინასწარ გრძნობს წვიმის მოახლოებას და ამღერდება. გუარანს მიაჩნია, რომ ეს სირიკომ მოიყვანა წვიმა: „იმღერე, უკვდავო, სირიკო! ის მდინარე, სადაც ვთევზაობდი, ახლა მთლად დაშრა, იმღერე, უკვდავო სირიკო! როცა გადაიფრენ იმ ბილიკებზე, მდინარის პირას რომ ჩამორბის, თვალი ფართოდ გაახილე, ო, უკვდავო სირიკო!“ გუარანის ტომს უზარმაზარი ტერიტორიები

ეჭირა. ზოგიერთი მკვლევარი მათ უძველეს ხალხად თვლის. თვით გუარანიც ალბათ ასე ფიქრობს, რაც გამოთქვა კიდეც ლექსად: „დიდი ხნით ადრე, ვიდრე საგნები გაჩნდებოდა, უკვე არსებობდა ჩემი დიადი წინაპარი, — ჯერაც დედამინამ თავისი გზა ვერ იპოვა, — უკვე არსებობდა ჩემი დიადი წინაპარი, და დედამინა გაჩენილი ჯერაც არ იყო, ჯერაც ტყეს იგი არ დაეფარა, უკვე მაშინ ცხოვრობდა ჩემი დიადი წინაპარი“.

რაც შეეხება უფრო განვითარებულ ხალხებს, პოეზია მათ საკმაოდ მაღალ დონეზე აიყვანეს. ოღონდაც, პოეზიის დიდი ზღვიდან კონკისტასა და დროს ცოტა რამ გადაურჩა. მაგალითად, ცნობილია, რომ კათოლიკე ბერმა დიეგო დე ლანდამ 1562 წელს ქ. მანში უზარმაზარ კოცონზე დაწვა მაიას წიგნები. რუსი მკვლევარი ი. ზუბრიცკი წერს: „დაპყრობათა სასტიკი ქარიშხლის შემდეგ ცალკეული ყვავილები კი არა, მხოლოდ დაგლეჯილი ფოთლები, დაღწეული ტოტები და მიწიდან ამოთხრილი ფეხებიცაა დარჩა ძველი ინდიური პოეზიის ბალისაგან. რაც ვერ მოახერხა ქარიშხალმა, მოამთავრა საუკუნო ჩაგვრამ და კათოლიკურმა ფანატიზმმა. და მაინც სიკვდილისა და განადგურების ძალა არ ყოფილა უსაზღვრო“. ამაში ადვილად დაგვარწმუნებს შემორჩენილი მასალის თუნდაც ზედაპირული მიმოხილვა.

უნდა ითქვას, რომ ბევრ ხალხში არ არსებობდა თვით ცნება „პოეზია“. ნაუტლის (აცტეკთა) ენაზე „პოეზია“ გამოიხატებოდა სიტყვებით „სიმღერა“ და „ყვავილები“. ამასთან, სიტყვა „ყვავილი“ ხშირად სიტყვა „ადამიანის“ სინონიმიც იყო. აქედანაა სულიერი კავშირი ამ მოვლენებს შორის — „ყვავილი-ადამიანი“ ესაა პოეზია. პოეტური ფენომენის არსი აცტეკებს შესანიშნავად ესმოდათ: „დიდებას, სახელს ის მოიხვეჭს, ბრილიანტივით ვინაც სიტყვას დაამუშავებს...“ ანდა ასე: „იმღერე, ჭაბუკო! შენი ფარი სხვია მზისა. აღმოაცენე შენ ყვავილი, ვით ცისარტყელა ნორჩი, ცაზე, სიტყვები — ძვირფასი განძი შენი — გულში სიხარულს გვინერგავენ“.

სამწუხაროდ, ისტორიას არაფერი შემორჩა კონკრეტულ პოეტებზე. აცტეკთა თითქმის მთელი პოეზია ანონიმურია. ანაუაკაში (ასე ეძახდნენ აცტეკები მექსიკას) იმ დროს გაბატონებული მსოფლმხედველობა ცხოვრების ამაოებას ქადაგებდა. მისი ერთ-ერთი იდეოლოგი გახლდათ უეხოტციკის ოლქის მმართველი ტო-

ჩიგუიციინ კოიოილჩიუკი. მისი აზრი აცტეკ ანონიმ პოეტს ასე გადმოუცია: „ასე ამბობდა ტოჩიგუიციინი, ასე ამბობდა კოიოილჩიუკი: ჩვენ მოვდივართ ამ ქვეყნად მხოლოდ იმისთვის, რომ ზმანებაში ჩავიძიროთ. სიცრუეა, სიცრუეა, რომ სიცოცხლისათვის ჩვენ მოვდივართ, მწვანე გაზაფხულს ჰგავს ჩვენი ბედი: ჩვენი გული აღმოაცენებს ჯეჯილს, ჩვენი სხეული ბადებს ყვავილებს, მაგრამ გულიც და სხეულიც ჭკნებიან! ასე ბრძანა ტოჩიგუიციინმა“. ეს პესიმისტური მოტივები განავითარა ქ. ტესკოკოს მმართველმა ნესაუალკოიტლმა (1402 — 1472) „ნუთუ სიმართლეა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დედამინაზე? დედამინაზე ჩვენ არა ვართ მარადიულნი? დედამინაზე თურმე ვცხოვრობთ მხოლოდ დროებით, თვით იასპიცი ქუცმაცდება, თვით ოქროც კი მტვრად იქცევა, თვით კეტცალის ბუმბული ხუნდება, დედამინაზე ჩვენ არა ვართ მარადიულნი, დედამინაზე ჩვენ მოვსულვართ მხოლოდ დროებით“. მაგრამ ნესაუალკოიტლი პესიმიზმში მთლად თანმიმდევრული არ არის. მას აეჭვებს პრობლემა, არის თუ არა „იქ“ რამე: „ყვავილები თუ მიდიან სიკვდილის სამეფოში? მართალია, ჩვენ მივდივართ, მართალია, ჩვენ მივდივართ! მაგრამ სად მივდივართ? ოჰ, საითკენ მივდივართ? იქ ჩვენ მკვდრები ვართ თუ კვლავ ცოცხლები? მოვა კი სიცოცხლე კვლავ ჩვენთვის იქ?“ სხვა ლექსში პოეტი აშკარა უპირატესობას ანიჭებს ამქვეყნიურ ცხოვრებას: „მხოლოდ აქ, მხოლოდ აქ, დედამინაზე, იფურჩქნება და სურნელს აფრქვევს ყვავილი, მხოლოდ აქ გვაგებს ჩვენ მუსიკა ბედნიერებით, და სიმღერაში (შენ) ეძიე სიხარული!“

მაიას ლიტერატურის ტრაგიკული ბედი ზევით მოვიხსენიეთ. ფანატიკოსი ბერის ცეცხლს ვერ გადაურჩა ბევრი რამ, მაგრამ რაც გადარჩა, ისიც თვალნათლივ გვისურათებს მაიას პოეზიის ხასიათს. სამაგალითოდ მოგვყავს ერთი ლექსის ბნკარედი, სადაც აღწერილია ჭაბუკის მსხვერპლად შეწირვა. მსხვერპლად ყოველთვის საუკეთესოს და მშვენიერს სწირავდნენ. ომის დროს რიგით მეომრებს მონებად აქცევდნენ, დიდებულთ კი მსხვერპლად სწირავდნენ, რაც მათთვის ერთგვარი პრივილეგია იყო. ასეთი გზით იმქვეყნად გადასახლება ბედნიერებად ითვლებოდა. ამიტომ მსხვერპლად შესანიშნავი პიროვნება პატივისცემისა და ყურადღების ცენტრში ჰყავდათ. ამ ლექსში აღწერილია მსხვერპლშენიერვის ცერე-

მონიალი: „შენ სამჯერ ნაზად შემოტრიალდი ფერადოვანი ბოძის ირგვლივ. მასზე ყრმა არის მიკრული მაგრად, მამაცი ყრმა, ვისაც ქალი არ უგემნია. შენ პირველივე წრის შემდეგ აიღე მშვილდი და დაუმიზნე პირდაპირ გულში ყრმას, მსხვერპლს უმანკოს, ოღონდ თავს ძალა არ დაატანო, ისრით არ მოკლა შენი მსხვერპლი, უცბად ნუ მოჰკლავ. მსუბუქად უნდა დაჭრა იგი, რათა იტანჯოს და ენამოს ძალიან დიდ ხანს. ასე გვიბრძანა მშვენიერმა ღმერთმა ყოველის, ასე გვიბრძანა მეუფემან სიცოცხლისა. როცა კვლავ ნაზად შემოურბენ ირგვლივ სამსხვერპლოს, მეორედ დასჭერ — ნუ იშურებ გარჯას და შრომას, რათა მშვენიერ იმ სხეულზე იფურჩქნებოდეს იგი ჭრილობა, ვით ნათელი ღიმილი ცისა!“

ინკების უზარმაზარი სახელმწიფო აერთიანებდა სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთის უდიდეს ნაწილს. მშვენიერი ტაუანტი-ინსუიუს (ასე ეძახდნენ ისინი თავიანთ სამშობლოს) გზები დღესაც ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული. საკსაიუამანისა და მაჩუ-პიკ-ჩუს გრანდიოზული ქვის ნაგებობანი მუდამ განაცვიფრებს მნახველს თავისი მასშტაბებითა და მშენებელთა უზადო ოსტატობით. ინკების პოეზიაც ორიგინალურია და მრავალფეროვანი. პოეტური ჟანრებიდან გამოირჩევა ხაილი. ეს სიტყვა შეიძლება ითარგმნოს როგორც ოდა, ჰიმნი, დითირამბი. ხაილის ჟანრში იქმნებოდა რელიგიური ჰიმნები, ლოცვები, რითაც ინკები მიმართავდნენ მზეს, მთვარეს, უმაღლეს ღვთაებას — ვირა კოჩას, „ამქვეყნიურ ღმერთს“ ინკას: „სიცოცხლის ფუძევე, ო, ვირა კოჩა! მარად ჩვენთვის ახლობელო, სამოსლის პატრონო, დამბადებელო ნათებისა! ღმერთო-შემოქმედო! ღმერთო-დამცველო! საგანთა შემქმნელო მათი სახელის წარმოთქმით: „დაე, ეს იყოს მამაკაცი, დაე, ეს იყოს დედაკაცი!“ არსება, შექმნილი შენ მიერ, ვინაც ფეხზე შენ დააყენე, დაე, ცხოვრობდეს თავისუფლად, ნუ შეხვდება მას გაჭირვება, ო, ვირა კოჩა! სად იმყოფები? სამყაროს გარეთ? სამყაროს გვერდით? სამყაროს ცენტრში? ღრუბლებს შორის? აჩრდილთა შორის? მომისმინე მე, ხმა გამეც მე, ციური ოკეანის სიღრმეებიდან“.

ინდიელთა ლიტერატურის თუნდაც ზედაპირული გარჩევის დროსაც გვერდს ვერ ავუვლით ორ მნიშვნელოვან ნაწარმოებს — დრამებს „რაბინალ-აჩისა“ და „აპუ ოლიანტაის“.

„რაბინალ-აჩი“ მაიას ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლია. ეს სამმოქმედებიანი დრამა შექმნილია კიჩეს ენაზე. ბალამ-აჩის შვილი გმირი კეჩე-აჩი ქალაქ კუნენიდან 260 დღე ებრძვის ქალაქ რაბინალის მმართველის ხობტოხის შვილს რაბინალ-აჩის. კეჩე-აჩი მარცხდება. მას ატყვევებენ და დრამაც აქედან იწყება. ტყვე ჭაბუკს შეუყვარდება ხობტოხის ქალიშვილი. არც სასიამოროა წინააღმდეგი, მაგრამ ერთი პირობის შესრულებას მოითხოვს, ტყვემ უნდა დაივინყოს სამშობლო. მამაც კეჩე-აჩის ღალატი არ შეუძლია და მას მსხვერპლად შესწირავენ. სასიკვდილოდ განწირული მეომარი ამაღლებული სიტყვებით გადმოსცემს თავის განცდებს: „მე ვხედავ ფლეიტებს და დოლებს. შეძლებენ ისინი ისეთ ბგერათა წარმოქმნას, რომ შეეძაროს მშობლიური მიწის მუსიკას? მაშ, დაუკარით, მინდა ფლეიტის ნაზმა ბგერამ უცბად ჩაახშოს მოულოდნელი დაგადუგი დიდი დოლისა. ამ უცხოელთა ფლეიტის და დოლების ბრაგუნს, დაე, აჰყვეს ფლეიტა ჩემი და დოლი ჩემი! დაე, დაუკრან საცეკვაო, განწირული მსხვერპლის გულისათვის, ჩემს მშობლიურ ველ-მინდვრებზე, ჩემს მთებსა და სოფლებში, დაე, მიწამაც გაიგოს, რა მხიარულია ეს საცეკვაო, დაე, ზეცამ გაიგოს, რა მრისხანია ეს ცეკვა. მე თავს განზე გადავხრი. ჩამოვუვლი (სარიტუალო) ცეკვას, ფეხებით რთულ რიტმს, ტყაპატყუპით გამოვსახავ. მენვივნენ ჩემი მსახურნი და აგერ ცეკვავენ, მენვივნენ მშვენიერნი ასულნი და აქ მდებლობე ცეკვავენ. ოჰ, ფლეიტებო და დოლებო! დაე, დარჩეს თქვენთან, მიწაც და ზეცაც, დაე, მარადის იყოს თქვენთან!“

„რაბინალ-აჩის“ წაკითხვა და მით უფრო დადგმა ერთგვარ ტექნიკურ სიძნელეს აწყდება. დიალოგი აგებულია შემდეგნაირად: პერსონაჟი იმეორებს მეორე პერსონაჟის ნათქვამს და მხოლოდ მერე ამბობს თავის აზრს. ახლა მეორე გაიმეორებს პირველის ნათქვამს და გააგრძელებს თავის აზრს. ეს დაუსრულებელი გამეორებები ართულებს და აბუნდოვანებს ამბავს.

„აპუ ოლიანტაი“ ანონიმური დრამაა. როგორც გარსილასო დელა ვეგა (ინკა) გადმოგვცემს, ეს დრამა იდგმებოდა პირველი ინკას კარზე. სამმოქმედებიანი დრამა ეყრდნობა ლეგენდას: თურმე ოლიანტაის მზის ერთ-ერთი ქალიშვილი შეუყვარდა, რის გამოც სიკვდილი მიუსაჯეს. ოლიანტაი ციხეში გამაგრდა. ინკამ შეძლო ღალატით ციხეში შეჭრა. ოლიანტაი გმირულად იბრძოდა, მაგრამ

დამარცხდა და უფსკრულში გადაეშვა. ლეგენდისაგან განსხვავებით, დრამა კეთილად მთავრდება. ანტიზეიუს პროვინციის მმართველს ოლიანტაის შეუყვარდა ინკა პაცაკუტელის („სამყაროს გარდამქმნელი“) ქალიშვილი კოილური („ბედნიერი ვარსკვლავი“). ოლიანტაი სახელოვანი სარდალი და მრისხანე მეომარია. ამიტომ იმედი აქვს, რომ ინკა თავის ქალიშვილს მიათხოვებს. ერთხელ, როდესაც დიდი ომისათვის ემზადებოდნენ, ოლიანტაი გამოუტყდება ინკას. ინკა განრისხდება. ოლიანტაი გაიქცევა პროვინციაში და იქ აჯანყებულებს ჩაუდგება სათავეში. ისინი მას ინკად ირჩევენ. მის წინააღმდეგ გაგზავნილ განანზუიუს პროვინციის მმართველს რუმინიაგუის („ქვის თავი“) ოლიანტაი დაამარცხებს. გაბოროტებული ინკა თავის ქალიშვილს მინისქვეშეთში ჩაამწყვდევს და სასიკვდილოდ განირავს. კოილურს უჩნდება გოგონა იმა სუმაკი („რამშვენიერია?“). მას ჩუმად ზრდიან. ამასობაში გაივლის თორმეტი წელიწადი. წამოზრდილი იმა სუმაკი მინისქვეშეთში აღმოაჩენს თავის დედას. ქალი სიკვდილის პირასაა მისული. მოხუცი ინკაც მიიცვალა და მისი ადგილი დაიკავა შვილმა იუპანკიმ. ამასობაში სარდალი რუმინიაგუი, ვითომდა ახალ ინკას გამოვექცეო, თავს შეაბრალებს ოლიანტაის. რელიგიური ზეიმის დროს, როცა ოლიანტაი და მისი ჯარისკაცები მთვრალნი ძილს მიეცემიან, რუმინიაგუი ციხის კარს გააღებს და აჯანყებულებს დაატყვევებს. იმის მაგიერ, რომ მეამბოხენი სიკვდილით დაესაჯა, ინკა იუპანკი ოლიანტაის თავის შემცვლელად დანიშნავს. ამ დროს დარბაზში შემოიჭრება იმა სუმაკი და ინკას შესჩივლებს, დედა მიკვდებო. საშინლად დასუსტებულ კოილურში ოლიანტაი შეიცნობს მეუღლეს, ინკა იუპანკი კი დას, რომელიც დაღუპული ეგონა. ყველანი ბედნიერნი არიან. ამიერიდან პატარა იმა სუმაკს დაარქმევენ კოილურ სუმაკს („მშვენიერ ვარსკვლავს“).

საინტერესოა ამ დრამის პერსონაჟები. კოილური ინკების ჯულიეტას მოგვაგონებს, ისე ღრმა სინაზითაა აღსავსე ყოველი მისი სიტყვა. განსაკუთრებით გამოირჩევა ოლიანტაის მსახური პიკი ჩაკი („რწყილის ფეხი“). ის აშკარად ავანტიურისტული მოთხრობის გმირებს მოგვაგონებს, თუნდაც ლასარილიოს: ხუმარა, მშიშარა, მამაცი, ერთგული, ხარბი, ენამოსწრებულები და ა. შ.

კოლუმბამდელი ლიტერატურის მწვერვალი და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია მია-კიჩეს

ენაზე შექმნილი „პოპოლ-ვუხი“. ამ ნაწარმოებს მეცნიერები „ავესტასა“ და ბიბლიური „დაბადების“ წიგნს ადარებენ.

„ეს არის ამბავი იმაზე, როცა ყოველივე იყო შეუცნობადი, ყოველივე იყო ცივი, ყოველივე იყო მდუმარე; ყოველივე იყო უძრავი, წყნარი; და ცისიერი სივრცე იყო ცარიელი.“

ეს არის პირველი ამბავი, პირველი მოთხრობა. არ იყო არც კაცი, არც ცხოველი, არც ფრინველი, თევზი, კიბორჩხალა, ხე, ქვა, გამოქვაბული, ხევი, ბალახი, არ იყო ტყე; არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ ზეცა.

მინის ზედაპირი ჯერაც არ გაჩენილა. იყო მხოლოდ ცივი ზღვა და დიადი სივრცე ზეცისა.

ჯერაც არ იყო შეერთებული, არაფერს შეეძლო ხმაურის ატეხვა, არ იყო არაფერი, რაც შეძლებდა ემოძრავა, ან ეცახცახა, ან ეხმაურა ზეცაზე.

არ იყო არაფერი, რაც კი იარსებებდა, რასაც შეიძლებოდა არსი ჰქონოდა; იყო მხოლოდ და მხოლოდ ცივი წყალი, მშვიდი ზღვა, მარტოდმთენილი და წყნარი. არ არსებობდა რამე.

ბნელ უკუნში, ღამეში იყო მხოლოდ უძრავობა, მხოლოდ მდუმარება...“ — ასე იწყება „პოპოლ-ვუხი“, კიჩეს ხალხის წმიდათაწმიდა წიგნი, მითოლოგიური ეპოსი, რომელიც შეიცავს სამყაროსა და ადამიანების ყოფიერების ახსნას. ამ უზარმაზარ ნაწარმოებში შეიძლება პირობითად სამი პლასტის გამოყოფა: უძველესი მითოლოგია — შეიცავს კოსმოლოგიურ ნარმოდგენებსა და ისტორიამდელი პერიოდის უნივერსალურ ინტერპრეტაციას; „კიჩე-ტოლტეკური“ — ტყუპი ძმების ციკლი და „კიჩე-გვატემალური“ — ისტორიული პერიოდი. ეს პლასტები ერთმანეთშია გადახლართული, ტყუპი ძმების ციკლი შუაში ყოფს პირველ ციკლს და ა. შ. საკუთრივ ეპოსი ოთხ ნაწილად იყოფა.

სამყაროს შემქმნელები იყვნენ ღმერთქალი ტეპევი და ღმერთები კუკუმაცი და ხურაკანი. ისინი შეიყარნენ მარადიულ ოკეანეში და ერთხმად დაიძახეს „მინა!“ — გაჩნდა მინა. მერე ღმერთებმა შექმნეს მთები, დაბლობები, მცენარეები და ცხოველები. ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ ლაპარაკი და ღმერთების თაყვანისცემა. ამიტომ თიხისაგან მოზილეს ადამიანები. მაგრამ ძალიან რბილი და უჭკუო გამოუვიდათ და ღმერთებმა საკუთარი ნახელავი მოსპეს. მოუხმეს სხვა ღმერთებს — შპიიაკოკსა და შმუკანეს. მათ კაცი ციტეს ხისა-

გან გამოთალეს, ქალი კი ლერწმისაგან. ადამიანებმა დაიმორჩილეს ცხოველები, მაგრამ დაავინყდათ ღმერთები. განრისხებულმა ღმერთებმა მოავლინეს ქარიშხალი, წყალდიდობა და ხის ადამიანთა მოდგმა მოსპეს. ცოტა ვინმე თუ გადაურჩა ამ უბედურებას, ამათგან პატარა მაიმუნები გაჩნდნენ. აქ ეს ამბავი წყდება და ეპოსის მესამე ნაწილში კვლავ გრძელდება. ღმერთებმა მესამე თაობის ადამიანები გააჩინეს, ამჯერად სიმინდის მარცვლისაგან. ჯერ ოთხი მამაკაცი შექმნეს, მერე ოთხი ქალი, ახლადშექმნილები მეტად ჭკვიანები აღმოჩნდნენ, ამიტომ ღმერთებმა ნისლი ჩამოუშვეს და მას შემდეგ ადამიანთათვის ბევრი რამ საიდუმლოა.

ტყუპების ამბავი პირველ ნაწილში იწყება. მეორე ნაწილში მოთხრობილია ტყუპების მამისა და ბიძის თავგადასავალი. ხუნ-ხუნ-ახპუ და ვუკუბ-ხუნ-ახპუ თამაშის დროს ძალიან ხმაურობდნენ და მკვდართა მეფის შიბალბას ყურადღება მიიპყრეს. შიბალბამ ახალგაზრდები ბურთის სათამაშოდ მიიწვია. მათ ერთობ რთული და საშიში გზა მოელოდათ. ერთ ადგილას თოჯინა იდგა. ჭაბუკებმა კი შიბალბად მიიჩნიეს და თავი დაუკრეს. მეორე ადგილას გავარვარებული ქვის სკამი მოელოდათ და ა. შ. მოკლედ, ხუნ-ხუნ-ახპუმ და ვუკუბ-ხუნ-ახპუმ გამოცდა ვერ ჩააბარეს. ჭაბუკებს თავები მოჭრეს და გოგრის ხეზე დაჰკიდეს. ხე ნაყოფით დაიფარა. მოვიდა შიბალბას ცნობისმოყვარე გოგო შკიკი. ხუნ-ხუნ-ახპუს თავმა ხელისგულზე დაანერწყვა და შკიკი უმაღვე დაფხმძიმდა. შინ დარჩენა საშიში იყო და შკიკი მამის სახლიდან ქმრის ოჯახში გაიქცა.

ეპოსის პირველ ნაწილში იწყება ხუნ-ხუნ-ახპუს შვილების ამბავი. მიწაზე ცხოვრობდა ვუკუბ-კაკიში. სხეული ოქროსი, ვერცხლისა და პათიოსანი თვლებისა ჰქონდა. ერთი ქედმაღალი, ტრახახა და უზრდელი ვინმე იყო და ღმერთებს შესძულდათ. ღმერთებმა ტყუპები ხუნ-ახპუ და შბალანკე გაგზავნეს მის წინააღმდეგ. ვუკუბ-კაკიში ამ დროს ხეზე ასულიყო და ხილს კრეფდა. ხუნ-ახპუმ ჩაჰბერა მილს და ისარი სტყორცნა (ინდიელები ისრის სატყორცნად ჩასაბერ მილს იყენებდნენ). ვუკუბ-კაკიში ხიდან ჩამოვარდა და თავდამსხმელებს შეებრძოლა. ხუნ-ახპუს მკლავი მოგლიჯა და გაიქცა. ტყუპები მის კვალს დაადგნენ. გზაზე ბებერი ჯადოქარი გაიცნეს, მისი დახმარებით გარეგნობა შეიცვალეს და ვუკუბ-კაკიშს ესტუმრნენ, თავი კბილის ექიმებად გააცნეს. ვუკუბ-კაკიშს

კბილები ამოუღეს და სიმინდის მარცვლები ჩაუსვეს. ვუკუბ-კაკიში იღუპება. ხუნ-ახპუ კი ჯდოქარმა მოარჩინა. შემდეგ ტყუპები შეებრძოლნენ ვუკუბ-კაკიშის შვილებს სიპაკნასა და კაბრაკას და ისინიც დაამარცხეს. ამ დროს ტყუპებმა შეიტყვეს მამისა და ბიძის დაღუპვის ამბავი (მეორე ნაწილშია მოთხრობილი) და შიბალბასთან გაემგზავრნენ. მრავალი განსაცდელი გადაიტანეს, სისხლის მდინარე გადაცურეს, გაიარეს სიცივის სახლი, იაგუარების სახლი, ცეცხლის სახლი და სხვ. ბოლოს ღამურების სახლში მოხვდნენ. ტყუპები ჩასაბერ მილებში ჩაიმაღნენ. მთელი ღამე იძინეს. გამთენიისას ხუნ-ახპუმ თავი გამოყო, უმაღვე ღამურამ ფრთა გაჰკრა და თავი წააცალა. შბალანკემ ძმას თავის მაგიერ კისერზე კუ დაადგა. დილით გაიმართა ბურთის თამაში. შიბალბას კურდღელი ბურთად მოეჩვენა და იმას გამოუდგა. შბალანკემ დრო იხელთა და ხუნ-ახპუს კუ კვლავ თავით შეუცვალა. შეჯიბრებაში ტყუპები მუდამ იმარჯვებდნენ, მაგრამ შიბალბამ მაინც გადაწყვიტა მათი დაღუპვა. საამისოდ გაახურეს დიდი ღუმელი. ტყუპები მიხვდნენ, ვერ გადავრჩებითო და ცეცხლში გადახტნენ. მათი ძვლები დაფქვეს და წყალს გაატანეს. იქ ტყუპები კვლავ გაცოცხლდნენ და შიბალბასთან მობრუნდნენ. განცვიფრებულ შიბალბას აუხსნეს, მკვდრის გაცოცხლება შეგვიძლიაო. შიბალბამ სთხოვა, მომკალით და გამაცოცხლეთო. ტყუპებმა მოკლეს შიბალბა და აღარ გააცოცხლეს. ამის შემდეგ მათ დაიმორჩილეს შიბალბას ხალხი და ამიერიდან მექოთნეობა მიუსაჯეს.

ეპოსის ბოლო ნაწილი ასახავს ტომთა მიგრაციას, ტაძრებისა და ქალაქების მშენებლობას და სხვ.

კოლუმბამდელმა ლიტერატურამ ხელახალი სიცოცხლე იბერიულ-ამერიკულ ლიტერატურაში პოვა. კონტინენტის მწერლები თავისი ეროვნული საწყისების ძიებისას ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ ინდიელთა ძველ ლიტერატურას. მკითხველი ამას ადვილად შეამჩნევს წინამდებარე ნიგნშიც. 60 — 70-იანი წწ. ლათინური ამერიკის მწერლობაში წამყვანი გახდა ე. წ. „ახალი რომანი“. ისეთი მწერლების შემოქმედებამ, როგორიც არიან ალფეო კარპენტერი, მიგელ ანხელ ასტურიასი, ხუან რულფო, კარლოს ფუენტესი, მარიო ვარგას ლიოსა, როა ბასტოსი, ხულიო კორტასარი, ჟორჟე ამაღუ, ჟოზე გიმარაენს როზა, გაბრიელ გარსია მარკესი, მსოფ-

ლიო სახელი მოიხვეჭა. „ახალი რომანის“ ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისება სწორედ ის არის, რომ მან შემოქმედებითად აითვისა კოლუმბამდელი ლიტერატურის მიღწევები. სამწუხაროდ, ა. ტორეს-რიოსეკოს არ დასცალდა, წიგნში მოეთხრო ლათინურამერიკული „ახალი რომანის“ მონაპოვართა შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. ლათინურ ამერიკაში ლიტერატურა, გარდა ესპანურისა და პორტუგალიურისა, ვითარდებოდა სხვა ენებზეც. ეს განსაკუთრებით ეხება კარიბის აუზის ზოგიერთი ქვეყნის ლიტერატურას. ინგლისის, საფრანგეთის და ჰოლანდიის ყოფილ კოლონიურ სამფლობელოებში ლიტერატურები ჩამოყალიბდა მეტროპოლიათა ენებზე, აგრეთვე ადგილობრივ კრეოლურ კილოკავებზე. ინგლისურენოვანი ლიტერატურები ვითარდება იამაიკის რესპუბლიკაში (ცნობილი მწერლებია ვ. რიდი, ჯ. ხირნი, ო. პატერსონი, კ. მაკ-კეი და სხვ.), ტრინიდადისა და ტობაგოს რესპუბლიკაში (გამოირჩევა ს. სელვონის, ვ. ს. ნეიპოლის, მ. ენტონის, ე. ლავლესის, ო. ხანას რომანები, პოეტთაგან მნიშვნელოვანია ს. ტელემაკი, ი. როუჩი, დ. უოლკოტი და სხვ.), გაიანის რესპუბლიკაში (ქვეყნის გარეთაც ცნობილი გახდნენ მწერლები: ა. ჯ. სეიმური, მარტინ კარტერი, ედუარდ რიკარდო ბრეტუაიტი), ბარბადოსის რესპუბლიკაში (აღსანიშნავია ხილტონ ვოგანისა და პიტერ ბლეკმანის პოეზია); საკმაოდ მნიშვნელოვანია ჰაიტიის ფრანგულენოვანი ლიტერატურა (მსოფლიო სახელი მოიხვეჭა ჟაკ-სტეფან ალექსისის რომანებმა „კეთილი გენერალი მზე“, „ხეები-მუსიკოსები“ და სხვ. აგრეთვე ომის შემდგომი წლების ყველაზე დიდმა პოეტმა რენე დეპესტრმა), უფრო ნაკლები მასშტაბისაა გვადელუპისა და მარტინიკის ფრანგულენოვანი ლიტერატურები; ჰოლანდიურენოვანი ლიტერატურები ვითარდება ანტილიის კუნძულებზე და სურინამში (გამოირჩევა პროზაიკოსი ქალი ბუა ვიანენი), სადაც წერენ აგრეთვე სურინამის, თამილურ, ინდონეზიურ, ჰინდი, სარამაკის და კრეოლურ (ჯიუ) ენებზე. ამ ლიტერატურებს ბევრი რამ აქვთ საერთო ლათინური ამერიკის სხვა ლიტერატურებთან.

საჭიროა გამოითქვას ორიოდ სხვა შენიშვნაც. კოლონიურ ლიტერატურაზე მსჯელობისას ა. ტორეს-რიოსეკო ერთგვარად არბილებს კონკისტადორთა სისასტიკეს. აქ წარმოდგენილი ქრონიკებიდანაც კი ჩანს, თუ რა ცეცხლითა და მახვილით გადაიარეს დამპყრობლებმა კონტინენტზე — დაინგრა ბრწყინვალე ქალაქები, განადგურდა აცტიკებისა და ინკების უდიდესი ცივილიზაციები,

და მონებულ იქნა მკვიდრი მოსახლეობა. ინდიელები ხვედრს ვერ შეურიგდებოდნენ. კუაუტემოკის ბრძოლა მექსიკაში, ტუპაკ ამარუს აჯანყება პერუში, არაუკანელთა გმირული ეპოპეა ამ დიადი ბრძოლის მხოლოდ ცალკეული ფურცლებია. ამიტომაც უსამართლოა შენიშვნა ბარტოლომეო დე ლას კასასის მიმართ, ვისაც ავტორი ფერთა გამუქებას აბრალებს.

ერთგვარად შეზღუდულადაა წარმოდგენილი რეალისტური მიმდინარეობანი. ალბათ ამიტომაც, რომ კუბის დიდ პოეტს ხოსე მარტის ის ეთვლება ღირსებად, რომ მოდერნიზმის ერთ-ერთი წინამორბედი, ხოლო მისი რეალისტური ლირიკა არცაა გარჩეული. ან გარდაცვლილი კუბელი ლიტერატორის ხუან მარინელიოს აზრით კი, ხოსე მარტი „თანამედროვე ლიტერატურის რეალისტური მიღწევების საძირკვლის ჩამყრელია, რითაც ის გამოირჩევა მოდერნისტებისგან და მათზე მაღლა დგას“.

წიგნის ბოლო ნაწილში თხრობა ერთგვარად დაქსაქსულია და მკითხველს უჭირს საერთო კონტინენტური ლიტერატურული მიმდინარეობებისა და მოვლენებისათვის თვალის მიდევნება. მიუხედავად ამისა, მკითხველის წინაშე გადაიშლება ცოცხალი პანორამა გრანდიოზული ლიტერატურისა, რომელიც დასახლებულია უჩვეულო ადამიანებითა და სავსეა შთამბეჭდავი ამბებით.

წიგნში ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია 60-იან წლებამდეა მოყვანილი. ბოლოს დართულ „კომენტარებში“ დაინტერესებული მკითხველი იპოვის კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნის 60 — 70-იანი წწ. ლიტერატურათა მიმოხილვას. წიგნზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ესპანისტებისა და ლათინურამერიკანისტების ვ. კუტიეშიკოვას, ლ. ოსპოვაცის, ი. ტერტიერიანის, ე. გალპერინის, რ. კინჟალოვის და სხვათა შრომები.

იბერიული ამერიკის თანამედროვე ლიტერატურა და „ახალი რომანი“

ქრისტეფორე კოლუმბის კარაველები ახალ ქვეყანას რომ მიადგნენ, მათ იქ ცარიელი მიწები როდი დახვდათ. ესპანელმა და პორტუგალიელმა კონკისტადორებმა დაიპყრეს უზარმაზარი კონტინენტი, სადაც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი უამრავი ტომი ცხოვრობდა. ზოგიერთმა მათგანმა თავისებური, ორიგინალური ცივილიზაცია შექმნა. აცტეკთა, მაია-კიჩეს, ინკების და სხვა ხალხთა კულტურის მიღწევები ვერ ამოძიკვეს ვერც კონკისტადორებმა, ვერც ფანატიკოსმა ბერებმა, ვერც საუკუნო ჩაგვრამ. კოლუმბამდე ეპოქაში განვითარდა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგები. რაც შეეხება ლიტერატურას, ინდიელთა ფოლკლორი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. კოლუმბამდელი ეპოქის თვალსაჩინო მიღწევაა აცტეკთა პოეზია, მაია-კიჩეს ხალხის დრამა „რაბინალ აჩი“, ინკების დრამა „ოლიანტაი“ და მთელი კონტინენტის უთვალსაჩინოესი ნაწარმოები „პოპოლ-ვუხი“, რომელიც მაია-კიჩეს ენაზეა შექმნილი და ზოგიერთი მკვლევარი „ავესტასა“ და „დაბადების“ ნიგნს უტოლებს.

კონტინენტის დაპყრობათა ეპოქამაც შექმნა თავისი ლიტერატურა: ქრონიკა და ეპიკური პოეზია. ასეულობით ქრონისტებს შორის წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით გამოირჩევა ბერნალ დიასის „ახალი ესპანეთის დაპყრობათა ნამდვილი ისტორია“. რაც შეეხება ეპოსს, კონკისტას ჰყავდა თავისი დიდი ეპიკოსები. ესენი არიან „არაუკანას“ ავტორი — ჩილეელი ალონსო დე ერსილია და ბრაზილიელი ჟოზე დე სანტა რიტა დურანი, რომლის „კარამურუს“ კამოენსის „ლუზიადას“ ადარებენ. კოლონიურმა ეპოქამ დაბადა ესპანურენოვანი ლიტერატურის ორი გენიოსი მექსიკელები: დიდი დრამატურგი ხუან დე ალარკონი და მონაზონი ქალი ხუანა ინეს დე ლა კრუსი.

XIX საუკუნის დასაწყისში კონტინენტის განთავისუფლები-სათვის ბრძოლამ ხელი შეუწყო ლიტერატურაში რომანტიზმის

ჩამოყალიბებას. ამ მიმართულების წამყვანი ლიტერატორები არიან ბელიო, ერედია და ოლმედო, მაგრამ რევოლუციური რომანტიზმის ჭეშმარიტი მწვერვალი გახდა დომინგო ფაუსტინო სარმიენტო, ვისაც ეკუთვნის უკვდავი ნიგნი „ფაკუნდო“ ანუ „ცივილიზაცია და ბარბაროსობა“. ევროპული რომანტიზმის ზეგავლენის შედეგია ხორხე ისაკსის მშვენიერი ნიგნი „მარია“.

უნდა ითქვას, რომ ლათინური ამერიკის მწერლები ევროპელი და ჩრდილო-ამერიკელი ლიტერატორების უდიდეს ზეგავლენას განიცდიდნენ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა ეპიგონობას, რადგან მათი საუკეთესო ნაწარმოებები კონტინენტის ხალხთა სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტი გამოხატულება იყო.

ნამდვილად ადგილობრივი მოვლენა იყო გაუჩოს ლიტერატურა, რომელსაც ფესვები ხალხურ პოეზიაში აქვს გადგმული. გაუჩოს პოეზიის მწვერვალია ხოსე ერნანდესის „მარტინ ფიერო“, გაუჩოს თეატრისა — ფლორენსიო სანჩესის დრამატურგია, ხოლო რომანის ჟანრში სხვა მწერლებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა რიკარდო გუირალდესის „დონ სეგუნდო სომბრა“.

1888 წ. ჩილეში გამოქვეყნდა ნიკარაგუელი პოეტის რუბენ დარიოს ნიგნი „ლაჟვარდი“. აქედან იწყება ახალი, „მოდერნისტული“ მოძრაობა, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მთელ ესპანურენოვან ლიტერატურაზე. ამ მიმართულების წამომწყებთა შორის არიან კუბელი ხოსე მარტი, მექსიკელი გუტიერეს ნაგერა, კოლუმბიელი სილვა და სხვ. რუბენ დარიოს შემდეგ კი „მოდერნიზმის“ დროშის ქვეშ დადგნენ მექსიკელი ნერვო, კოლუმბიელი ვალენსია, პერუელი სანტოს როკანო, ბოლივიელი ხაიმეს ფრეირე, ურუგვაელი ერერა-ი-რეისიგი, არგენტინელი ლუგონესი; პროზის ჟანრში კი — ვენესუელელი დიას როდრიგესი და ურუგვაელი როდო. მოდერნიზმის შემდგომ განვითარებას ნარმოადგენს ე. წ. მუნდონოვიზმი.

XX ს. ლათინური ამერიკის პოეზია უაღრესად მრავალფეროვანია, პოეტთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. უდიდესი პოპულარობით სარგებლობს სამი ქალის — გაბრიელა მისტრალის, ხუანა დე იბარბურუსა და ალფონსინა სტორნის შემოქმედება. მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს პაბლო ნერუდამ, სესარ ვალიეხომ, ნიკოლას გილიენმა, ბრაზილიელ პოეტთაგან — ჟორჟი დე ლიმამ, მარიო დე ანდრადემ და სხვ.

და მაინც ლათინური ამერიკის ჭეშმარიტი სახე რომანში აისახა. რომანის ჟანრმა XX ს-ში უდიდეს განვითარებას მიაღწია და იგი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. უმთავრესად აქ ვითარდება რეალისტური მიმდინარეობანი (ჩილეელი ალბერტ ბლესტ განა, არგენტინელი მანუელ გალვესი და სხვ.). საზოგადოდ რომანის განვითარებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინეს ხოსე ეუსტასიო რივერას „მორევმა“, რომულო გალიეგოსის „დონა ბარბარამ“, მარიანო ასუელას „ისინი, ვინც ქვევით არიან“, ხორხე იკასას, სირო ალეგრის და სხვათა ინდიხენისტურმა რომანებმა. ასევე ბრაზილიელი ერის ჭეშმარიტი გენია სხვაზე მეტად ბრაზილიურ რომანში გამოვლინდა. ბრაზილიას წინა საუკუნეშიც (XIX) ჰყავდა მნიშვნელოვანი რომანისტები — ჟოზე დე ალენკარი, ბერნარდო და სილვა გიმარაენსი, ფრანკლინ ტავორა, აფონსო დ'ესკრანიოლი, ალუიზო აზევედო, რაულ პომპეია, ე. მ. ინგლეზ დე სოუზა, ეუკლიდეს და კუნია, გრასა არანია და სხვ. მათ გზას აგრძელებენ XX საუკუნის რომანისტებიც, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი ძნელია: დომინგოს ოლიმპიო და ალფონსო ენრიკე დე ლიმა ბარეტო, ჟოზე ლინს დო რეგო და ერიკო ვერისიმო, ჟოზე ამერიკო დე ალმეიდა და ჟორჟე ამაღუ, გრასილიანო რამოსი და მრავალი სხვ. ეს მშრალი ჩამოთვლა მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რათა მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შეგვექმნა იმ ლიტერატურულ ფუნდამენტზე, რასაც ძირითადად ეყრდნობა ლათინური ამერიკის თანამედროვე ლიტერატურა.

* * *

XX საუკუნის შუა წლებში ლათინური ამერიკა წინააღმდეგობებით აღსავსე, პარადოქსების კონტინენტი იყო, სადაც ყველაფერი დულდა, ვითარდებოდა, იცვლებოდა. მეორე მსოფლიო ომმა და ომის შემდგომმა პერიოდმა იგი ნედლეულის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ გადააქცია. ზოგიერთ ქვეყანაში განვითარდა ინდუსტრია (მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა), გაძლიერდა ეროვნული ბურჟუაზია, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა რასებისა და ერების შერწყმა, გაჩნდა თანამედროვე ქალაქები, უზარმაზარი მეგაპოლისები. ამან კიდევ უფრო წარმოაჩინა კონტინენტის სოციალური ნყლული, კატასტროფული სხვაობა ფანტასტიკურ სიმდიდრესა და

არანაკლებ ფანტასტიკურ სიღარიბეს შორის. ლათინურ ამერიკაში თანდათან მომნიჭდა რევოლუციური სიტუაცია. კუბის რევოლუციამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ამ პროცესზე. 60-იან წლებში ლათინური ამერიკის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებდნენ პარტიზანები. ერნესტო ჩე გევარას ეპოპეა ბოლივიაში ჩვენი დროის მითოსად იქცა. სალვადორ ალიენდეს გაპრეზიდენტებამ მემარცხენეთა გაძლიერება გამოიწვია, მაგრამ ამას სამხედრო გადატრიალებები მოჰყვა და მრავალ ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დამყარდა.

ასეთ ვითარებაში არც მწერლები დარჩენილან განზე. ისინი აქტიურად ებმებიან პოლიტიკურ ბრძოლაში. პაბლო ნერუდას მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სალვადორ ალიენდესათვის... 1974 წ. იანვარში, თავისი ბოლო წიგნის წინასიტყვაობაში პოეტი წერდა: „მე არა მაქვს სხვა არჩევანი! ჩემი სიმღერა არ დაინდობს ჩემი ხალხის მტრებს, ის მტკიცეა, ვითარცა არაუკანული ქვა. იქნებ მას წამიერი სიცოცხლე უწერია, მაგრამ მე ხელს ვკიდებ უძველეს პოეტურ იარაღს — სიმღერასა და პამფლეტს. როცა მტრის განიარაღება სურდათ, მათ იყენებდნენ კლასიკოსებიც და რომანტიკოსებიც. მაშ, მოემზადეთ, მე გესვრით!“ 1952 წ. გვატემალაში ხაკობო არბენასის დემოკრატიულ მთავრობას ინტერვენციის საფრთხე ემოქრებოდა. მიგელ ანხელ ასტურიასმა სასწრაფოდ დატოვა პარიზი და ყველაფერი იღონა, რათა ინტერვენტებისათვის სალვადორის რესპუბლიკის მხრიდან გადაეკეტა გზა. მწერლის მაღალმა ავტორიტეტმა გაჭრა კიდეც. საუბედუროდ, იანკის დაქირავებულთა ჩარევას არბენასის მთავრობის დამხობა და სისხლიანი ტერორი მოჰყვა.* „როცა გვატემალაში რევოლუცია დროებით დამარცხდა, — იხსენებდა ასტურიასი, — ხალხის მტერთა მხარეზე გადაბარგდა მავანი ადვოკატი, ექიმი, ინჟინერი, მაგრამ ამ ადამიანთა შორის არ იყო არც ერთი მწერალი; ვერ მოიძებნა თუნდაც ერთი გვატემალელი მწერალი და პოეტი, ვინც „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ წყალობას დაჰხარბებოდა. ლიტერატორებმა ამჯობინეს განდევნის სიმწარე და უცხოეთში ნახევრადმშიერი არსებობა. ინარჩუნებდნენ რა მოქმედების თა-

* ამ ტრაგედიას ეხება მ. ანხელ ასტურიასის წიგნი „უიკენდი გვატემალაში“.

ვისუფლებას, ისინი თვლიდნენ, რომ შეძლებდნენ ხალხის ინტერესების აქტიურად დაცვას, იმპერიალიზმისა და მისი აგენტების ბოროტმოქმედებათა მხილებას. ჩვენ გვინდა ჩვენი ნაწარმოებები ბრძოლის იარაღად გადაიქცეს!“

ლათინური ამერიკის მწერალი, თუ ის კონფორმისტი არ არის, ცხოვრობს ფრონტზე. ამასწინათ ურუგვაელმა მარიო ბენედეტიმ გამოსცა ანთოლოგია — „დალუპულთა პოეზია“, სადაც შეიყვანა ბრძოლის ველზე ბოლო დროს დაცემული 28 ლათინურამერიკელი პოეტი. „ვარ ინდიელი ათასი წლის, დიად სიზმართა მჩხიბავი“, წერდა გვატემალელი რობერტო ობრეგონ მორალესი, ვინაც 30 წლის ასაკში 1970 წელს მოკლეს დიქტატურის აგენტებმა... „მე არ დავცინი სიკვდილს, უბრალოდ... არ მეშინია მოგვკვდე ფრინველთა და ხეთა შორის...“ — თითქოს წინათგრძნობამ დააწერინა პერუელ ხავიერ ეროს, ვინაც 21 წლის ასაკში, ხუთ ამხანაგთან ერთად, დაიღუპა პუერტო-მალდონადოში, ბოლივია-პერუს საზღვარზე. ამ პოეტზე თქვა მისმა თანამემამულემ სესარ კალვომ: „ცოტას თუ შეუძლია მის მსგავსად სხვათა ტანჯვა საკუთარ ტანჯვად გადააქციოს“; ხოლო მარიო ვარგას ლიოსამ გულისტკივილით დასძინა: „რამდენად სასტიკი და შავბნელი უნდა იყოს სილატაკე, რამდენად სისხლიანი და წარმოუდგენელი — უსამართლობა, რომ ამ ბიჭუნამ... უცებ გადაწყვიტა პარტიზანი გამხდარიყო. როცა ისეთი ადამიანი, როგორცაა ხავიერ ერო, გადაწყვეტს, იარაღის ხელში აღების დრო მოვიდაო, ეჭვი არ მეპარება, რომ მივალნიეთ „საშინელებათა აპოგეას“, როგორც იტყოდა მეორე დიდი წამებულის პოეტი — მიგელ ერნანდესი...“ სხვა ოცდაექვსი პოეტის ბიოგრაფიაც ასევე მოკლე და გულდასაწყვეტია. ამიტომაცაა, რომ სახელგანთქმულ ლიტერატორთა დიდი უმრავლესობა მრავალი წელი ემიგრაციაში ცხოვრობს. ჩილელმა პაბლო ნერუდამ, გვატემალელმა ასტურისამა სიცოცხლის დიდი ნაწილი ევროპაში გაატარეს; მექსიკელი კარლოს ფუენტესი, არგენტინელი ხულიო კორტასარი, ურუგვაელი მარიო ბენედეტი პარიზში ცხოვრობენ; პერუელი მარიო ვარგას ლიოსა — ლონდონში; კოლუმბიელი გაბრიელ გარსია მარკესი — ბარსელონაში და ასე უსასრულოდ.

მიუხედავად ამისა, დღეს ყოველ ნაბიჯზე ისმის ლაპარაკი ლათინური ამერიკის ლიტერატურის „ბუმზე“. XX საუკუნის ლიტ-

ერატურამ კონტინენტზე არაერთი მსოფლიო სახელის მწერალი დაბადა. სამწუხაროდ, საკუთრივ ლათინურ ამერიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე ლიტერატურის ფართო ზეგავლენას ხელს უშლის მასობრივი უნიგნურობა. მწერალი ხოსე ედვარდსი წერს: „ჩვენთვის ძნელია ვილაპარაკოთ ლათინური ამერიკის ლიტერატურის „ბუმზე“, ძნელია იმიტომ, რომ ჩვენ, მწერლებმა, სხვაზე უკეთ ვიცით — კონტინენტის დიდი ნაწილისათვის ჩვენი ნაწარმოებები მიუწვდომელია“.

და მაინც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან ახალ-ახალი მწერლები, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში კალამი იარაღად რომ გადაუქცევიათ. მწერალი ბენხამინ კარიონი აცხადებს: „ჩვენმა კონტინენტმა პასუხი უკვე მოძებნა: დაე, ნუ გვინევენ ექსპლუატაციას, დაე, სამართლიანად შეისყიდონ ჩვენი ნედლეული — ყავა, ბანანი, ნავთი, სპილენძი, კალა. დაე, ნუ გვატყუებენ! დაე, დამთავრდეს ეს კოლონიური (ანდა „კოკა-კოლონიური“, როგორც მას უწოდებს ბოლივიელი პოეტი პედრო სალინასი) ეპოქა, როდესაც უფრო მძიმედ ვიჩაგრებით, ვიდრე ეს იყო ესპანელთა ბატონობის ეპოქაში“.

* * *

ლათინური ამერიკის ბოლო წლების პოეტური პანორამის დახატვა თითქმის შეუძლებელია. ათასობით კრებულსა და უთვალავ ლიტერატურულ ჟურნალში გაბნეულ ლექსთა ზღვაში გარკვევას, ალბათ, დრო და დისტანცია სჭირდება. არა მარტო პოეტების, არამედ სხვადასხვა მიმართულების, სკოლის, დაჯგუფების კლასიფიცირებისას კარგად გათვინობიერებულ ლიტერატურათმცოდნესაც შეიძლება თვალი აუჭრელდეს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ლათინური ამერიკის პოეზია კონტინენტის განთავისუფლების სამსახურში დგას.

უნდა ითქვას, რომ „ახალი რომანის“ საყოველთაო დიდებამ დაჩრდილა თანამედროვე პოეზია. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ პროზა უფრო ადვილად იტანს თარგმანს და ამიტომ ახალი, ორიგინალური რომანი სწრაფად იპყრობს მკითხველთა ყურადღებას. 60 — 70-იანი წლების „ახალი რომანის“ გარკვეული თვისებები ჯერ პოეზიაში აღიბეჭდა. ზანგთა და ინდიელთა მითოსის ის ძლიერი

ნაკადი, რომელიც ასე ორგანულად შეერწყა „ახალი რომანს“, პოეზიაშიც აკეთებს თავის საქმეს. პაბლო ნერუდას „საყოველთაო სიმღერა“ სწორედ ინდიელის სულის ჭეშმარიტი აღსარებით იწყება. ინდიელი კონტინენტის შვილია, ამიტომაც წაწარმოების ფესვები გასცდა ჩილეს, მან მთელი კონტინენტი მოიცვა. სესარ ვალიეხოს შემოქმედებაში ინდიელის სული შერწყმულია რაფინირებულ პოეზიასთან. ოქტავიო პასი ლექსს ავსებს მექსიკური ფოლკლორით, უფრო კოლუმბიდელი დროისა, ცდილობს რა აცტეკთა და მაიას მხატვრული ხედვა ახალ ფორმებში მოაქციოს.

საუკუნის დასაწყისში რუბენ დარიოს უთქვამს: „მე არა ვარ ხალხის პოეტი, მაგრამ ვიცი, იძულებული შევიქნები მასთან მივიდე“. პაბლო ნერუდამ კი მაღლობა გადაუხადა პოეზიას, რადგან იგი აიყვანა „უბრალო ადამიანამდე“. ძნელი არ არის აქ განსხვავებული პოზიცია დავინახოთ. პოეზია ძირითადად ამ ორი მიმართულებით ვითარდებოდა. თანაც პირველ მათგანს თვით ცხოვრება აიძულებდა გამოსულიყო „სპილოს ძვლის კოშკიდან“.

ბოლო ათწლეულების პოეტური მწვერვალი კვლავ პაბლო ნერუდას შემოქმედება იყო. ავტორი „საყოველთაო სიმღერას“ თავის „ყველაზე სქელტანიან და ცეცხლოვან ნიგნს“ უწოდებდა. ცეცხლი კი მის ნიგნებს არასოდეს ჰკლებია. 60-იან წლებში წინანდებურად ზედიზედ გამოდიოდა გასაოცარი პოეტური კრებულები, გასაოცარი, რადგან მათ ავტორს ნიჭიერება და გზნება ოდნავადაც არ შენელებია. მისი თვალსაწიერი მოიცავდა უკიდევანო სივრცეებსაც და ადამიანის სულის ყველაზე დაფარულ ნიუანსებს. პაბლო ნერუდა აპოეტურებდა ყველაფერს, რასაც კი კალმით შეეხებოდა, ისეთ საგნებსა და მოვლენებსაც კი, რაც მანამდე პოეზიის გარეშე იდგა. მას არასოდეს ავიწყდებოდა პური, მინა, მცენარე, ფესვები, სიყვარული... და ასე, სიცოცხლის ბოლო წუთამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან. ფაშისტურმა პუტჩმა და პრეზიდენტ ალიენდეს დაღუპვამ პაბლო ნერუდასაც მოუსწრაფა სიცოცხლე. პუტჩისტებს მიცვალებულისაც ემინოდათ და იმ ტრაგიკულ დღეებში გააოხრეს პოეტის ბინა სანტ-იაგოში და ისლა-ნეგრაში, სადაც მრავალი წელი ფრიალებდა პაბლოს შტანდარტი (მასზე გამოსახული იყო წრე და ორი თევზი იმ წრეში).

„დიდი პლები, სახალხო პოეტი, გამჭვირვალე, ვითარცა ბროლი, თანაც ღრმა სიბრძნით აღსავსე“, — ამ თბილი სიტყვებით მოიხსენია პაბლო ნერუდამ ნიკოლას გილიენი. რევოლუციის შემდეგ ნიკოლას გილიენი შემოქმედებით აღმავლობას განიცდის. პოეტმა ძველ სალექსო ფორმებს ახალი თვისებები შესძინა. მის ლექსებში კვლავ გამოჩნდა სონი. 1964 წ. გამოცემულ პოეტურ ნიგნში „რა მაქვს“, გმირი „ხუან არავინ“ გადაიქცა ახალ პერსონაჟად — „ხუან ყველა“. გილიენის ლექსს მიეცა მკვეთრი სააგიტაციო მიმართულება, რამაც განსაზღვრა სონების ფორმაც. ის უფრო ოპერატიული და პოლიტიკურად მძაფრია. ამის თაობაზე შეიძლება კუბელი კრიტიკოსისა და პოეტის რობერტო ფერნანდეს რეტამარის სიტყვები მოგვეყვანა, თუმცა იგი ითქვა შესანიშნავი კუბელი პოეტის ფაიად ხამისის მიმართ: „მე არ ვამტკიცებ, რომ ყველა ლექსი, სადაც ფაიად ხამისმა უმღერა კუბის ახალ სინამდვილეს, აუცილებლად ათი წლის წინათ დაწერილზე უკეთესია, მარტოობაზე, შიმშილსა და შიმშილზე რომ გაჰკვივან. მაგრამ მე ეს არ მაკვირვებს. საუკუნეების, ათასწლეულების მანძილზე ჩვენი ხმა ეჩვეოდა მარტოობას, სილატაკესა და ყველაფრის უარყოფას. და მხოლოდ ახლახან დავიცნეთ სწავლება იმისა, რომ ცხოვრებას ვუთხრათ „კი!“

კონტინენტის პოეტური გეოგრაფია უამრავ უჩვეულო და საინტერესო სამყაროს წარმოგვიდგენს. აქ მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. აი, მაგალითად, კოლუმბიელი ლეონ დე გრეიფი! „დღეს არავინ იცის, რა და როგორ დაწეროს ლეონ დე გრეიფზე“ — ამტკიცებს ერთი კრიტიკოსი. კოლუმბიელი ხაიმე დუკე წერს: „დე გრეიფის ლირიკის რეგისტრი თითქმის ამოუწურავია. მასში შეიძლება აღმოვაჩინოთ ყველა ტრადიცია, დაწყებული პეტრარკასა და რომანსეროდან, ხოლო უფრო ღრმად თუ ჩავხედავთ, იაპონური, ჩინური და ანტიკური პოეტიკიდან უახლოეს „ავტომატურ“ ხელწერამდე; მაგრამ არც ერთ ამ ეტაპზე იგი არ ჩერდება...“ პოეტი ზოგიერთ მკითხველს XX საუკუნის გონგორადაც კი მიაჩნია. ის ესპანური ლექსის რეფორმატორად ითვლება. ლეონ დე გრეიფი ვირტუოზულად ხმარობს ლექსიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს, ავლენს სახეთა გასაოცარ სიმდიდრეს, მრავალპლასტიან ასოციაციებს; ფლობს ძველესპანურ დიალექტებსა და კოლუმბიის ქუჩების ჟარგონს. დე გრეიფის ლექსები საოცრად მუსიკალურია. უფ-

რო სწორად მათში აზრი და მელოდია ერთურთსაა შერწყმული. ამას მიგვანიშნებს თუნდაც მისი ნაწარმოებების დასახელება: „სონატინა ლა-ბემოლი“, „ფანტაზია სოლ-მაჟორი“, „სონატინა ფორტეპიანოსა და ფლეიტისათვის“... ხორხე სალამეას ეკუთვნის სიტყვები: „თუ გრეიფს დღეს უკავია ესპანურენოვანი პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტახტი, თუ მისმა შემოქმედებამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა... ეს აიხსნება მარტო იმ ფაქტით, რომ ჩვენს წინაშეა ბრწყინვალე ერუდიტი-ვერსიფიკატორი და ენის ოსტატი... დე გრეიფის დამსახურება ისაა, რომ იგი ზუსტი და ჭეშმარიტი პოეტური სამყაროს შემქმნელია, — არა მარტო სიმბოლური სამყაროსი, არამედ ლექსებში გასაგნებულისა“.

კონტინენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტია მექსიკელი ოქტავიო პასი. პოეტს არა სწამს ის შემოქმედი, ვინც „უყურებს, როგორც ხედავს“, ე. ი. პასიური მჭვრეტელია. შემოქმედმა უნდა „შეცვალოს ადამიანი“. ყოველი კონკრეტული ადამიანი არის სოციალურ-ისტორიულ ვითარებათა ჯამი. ამიტომ მისი შეცვლით ჩვენ ვცლით სამყაროს. ეს იდეა ეგზისტენციალურად გაგებულ სიურრეალისტური პროგრამის ერთ-ერთი თეზისი იყო. მოგვიანებით თვითონ პოეტი წერდა: „იმისათვის, რომ შევცვალოთ ადამიანი, საჭიროა შევცვალოთ ჯერ საზოგადოება და სამყაროც. ბურჟუაზიული საზოგადოება უნდა დავამსხვრიოთ. საზოგადოდ ადამიანი და ადამიანი-პოეტი მხოლოდ მაშინ გახდებიან საკუთარი ბედის გამგებელნი...“ ოქტავიო პასის პოეზია აზრის პოეზიაა. იგი ხშირად ხმარობს შინაგან მონოლოგს. პოეტი ფართოდ იყენებს ძლიერ და დაძაბულ რიტმებს. მის ლექსებს ახასიათებს მდიდარი მეტაფორები. პასის თეთრმა ლექსმა მომდევნო თაობების პოეტებზე მოახდინა გავლენა.

შეიძლება არაერთი მნიშვნელოვანი შემოქმედის დასახელება. მექსიკელები: კარლოს პელისერი, ბერნარდო ორტის დე მონტელიანო, ხოსე გოროსტისა, ხაიმე ტორეს ბოდე, ხავიერ ვილიაურუტია, სალვადორ ნოვო... კუბელები: ემილიო ბალიაგასი, ეუხენიო ფლორიტი, ხოსე ლესამა ლიმა, გასტონ ბაკერო, ოქტავიო სმიტი... ვენესუელელები: ხოსე რამონ ერედია, კარლოს აუგუსტო ლეონი, ხუან ლასკანი, მიგელ ოტერო სილვა... კოლუმბიელები: რაფაელ მანია, გერმან პარდო გარსია, ანხელ მონტოია... კონტი-

ნენტური მასშტაბის პოეტი — ეკვადორელი ხორხე კარერა ანდრადე, პერუელები: ხოსე მარია ეგურენი, ხუან პარა დელ რიეგო... ბოლივიელები: რიკარდო ხაიმეს ფრეირე, ფრანც ტამაიო... ჩილელები: პედრო პრადო, უმბერტო დიას კასანუევა, ხულიო ბარენჩეა, ნიკანორ პარა... არგენტინელები: ხორხე ლუის ბორხესი, ედვარდო გონსალეს ლანუსა, სილვია ოკამპო... ბრაზილიელები: მანუელ ბანდეირა, ემილიო მოურა, კარლოს დრუმონდ დე ანდრადე, გილიერმო დე ალმეიდა, ვინისიუს დე მორაესი და ა. შ. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მომდევნო თაობებში ჯერ არ გამოჩენილა პოეტი, ვინც პაბლო ნერუდას მსგავსად დედამიწის ყველა კუთხეს მიაწვდენდა ხმას, არ გამოცემულა ლექსთა კრებული, „ლაჟვარდის“ მსგავსად საეტაპო რომ გახდებოდა ესპანურენოვანი პოეზიისათვის. „ახალი პოეტები არა მარტო წყვეტენ კავშირს ტრადიციასთან, არამედ, პირიქით — ამდიდრებენ მას“, — ამტკიცებს მარტო ბენედეტი. ბევრ ქვეყანაში პოეტები ეძებენ საკუთარ, ეროვნულ გზას (მექსიკაში, ჩილეში, ურუგვაიში...). ზოგიერთი ქვეყნის პოეზიას კი წარსული წარმატებები კვებავს და ეპიგონობის პერიოდისათვის თავი ვერ დაუღწევია. ზემოთ მოხსენიებული რობერტო ობრეგონ მორალესი, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ გვატემალელები ცდილობენ ინდიელთა ფოლკლორიდან „ამოსვლას“, მაგრამ უცხოურ გავლენაში ვარდებიან (ასტურიასისი გარდა); პერუელი პოეტები კი მიდიან, მიდიან, მაგრამ როცა წუთით შეისვენებენ, აღმოაჩენენ, რომ თურმე ჯერაც ვერ გასცილებიან სესარ ვალიესოს გიგანტურ აჩრდილს...

* * *

უდიდესი წვლილი, რაც 60 — 70-იანი წწ. ლათინურამერიკულმა ლიტერატურამ შესძინა მსოფლიო ლიტერატურას, ესაა „ახალი რომანი“. თვით ეს ტერმინი პირობითია. ახალი ლიტერატურული ფენომენის აღსანიშნავად სხვა ტერმინებსაც ხმარობენ: „მაგიური რომანი“, „ჰალუცინაციური რომანი“ და სხვ. ამ რომანებს მსოფლიო ლიტერატურული კრიტიკა უმაღლესი კატეგორიებით აფასებს. ერთი ესპანელი ლიტერატურათმცოდნე იმასაც კი ამტკიცებს, რომ დღეს ეს პროზა უფრო გამოგვადგება სამაგალითოდ, ვიდრე ფრანგული და ინგლისური.

„ახალი რომანის“ ბრწყინვალე აღმავლობას, ბუნებრივია, თავისი მიზეზები აქვს და ეს მიზეზები მრავალნაირია. უპირველეს ყოვლისა, მას ბიძგი მისცა კონტინენტზე ეროვნული თვითშეგნების სწრაფმა ზრდამ, სხვადასხვა რასებისა და ეროვნებების შერწყმამ, სოციალური კრიზისის გამწვავებამ. ურუგვაელი ანხელ რამაწერს: „ჩვენ უბრალოდ XX საუკუნეში როდი ვცხოვრობთ, ჩვენს სინამდვილეში თანაარსებობს ყველა ეპოქა, დაწყებული ყველაზე ძველიდან, ყველაზე პრიმიტიულიდან — ფეოდალური, გვაროვნული, კაპიტალისტური, თანამედროვე, სუპერთანამედროვე, ინდუსტრიული და, საბედნიეროდ, რევოლუციურიც“. ამ სიტუაციამ დიდი სულიერი ძვრები გამოიწვია. აქამდე ლათინური ამერიკის ლიტერატურის მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა და ტენდენცია არცთუ იშვიათად სხვა მხარეებიდან მოსული და ადგილობრივ ვითარებასთან შეზრდილი რამ იყო. ამიტომაც პერიფერიის კულტურულ-ლიტერატურული ფაქტი იშვიათად თუ სცილდება პირველწყაროს სიმაღლეს. სამაგალითოდ გამოდგებოდა თუნდაც ლათინურამერიკული მოდერნიზმი, რომელმაც უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა მთელ ესპანურენოვან ლიტერატურაზე. მართალია, იგი ლათინურ ამერიკაში ჩაისახა, მაგრამ თავისი არსით ევროპული მოვლენა იყო. XX საუკუნეში ლათინურამერიკელებმა თითქოსდა მოიშორეს ერთგვარი მეორეხარისხოვნობის კომპლექსი. ოქტავიო პასის სიტყვები, — ჩვენ, მექსიკელები, პირველად გავხდით კაცობრიობის თანამედროვენიო, — მთელი კონტინენტის ლიტერატურაზე ვრცელდება. ამრიგად, ლათინურამერიკელმა ლიტერატორებმაც იგრძნეს, რომ მათაც შეუძლიათ კაცობრიობას შესთავაზონ ორიგინალური, სამაგალითო ნაწარმოებები. საკუთარ ძირებზე დაყრდნობით განსაკუთრებულისაკენ სწრაფვა არ უნდა გავიგოთ როგორც ლიტერატურული იზოლაციონიზმი. კოლუმბიელმა ხაიმე მებია დუკემ თქვა: „გზა, რომელიც გაიარა ევროპულმა რომანმა „დონ კისოტიდან“ „ჯადოსნურ მთამდე“ ჩვენთვის დახურული იყო“, ე. ი. კონტინენტის ლიტერატურას, რიგი თავისებურების გამო, არ შეეძლო გაემეორებინა ევროპული ლიტერატურის გზები და პერიპეტიები. მაგრამ მან აითვისა ყოველივე ის, რაც აქამდე შექმნილია ევროპაში და ზოგიერთ სხვა რეგიონშიც. ფაქტია, რომ „ახალი რომანის“ შემქმნელი ზოგიერთი მწერალი მაშინ

ინყებს მოღვაწეობას, თანაც უმთავრესად ევროპაში, როცა ევროპულმა რომანმა ახალი გზების ძიება დაიწყო და სხვა მრავალ გზას შორის მითოსის გზაც მოსინჯა. სწორედ პარიზში მიჰყო ასტურიასმა „პოპოლ-ვუსის“ ხელახლა თარგმნას ხელი, აქ დაწერა და გამოაქვეყნა „გვატემალური ლეგენდები“. თავის მხრივ, ახალგაზრდა კარპენტერის მიერ შავკანიანთა ფოლკლორის გამოყენების პირველმა ცდებმა ევროპელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია... ოღონდაც, ამ შემთხვევებში ევროპელთა პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

აქ ისმის საკითხი იმაზე, თუ რა აქვთ საერთო ამ მწერლებს და რა ასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყოველი მათგანი ხაზს უსვამს კონტინენტური ერთიანობის პრინციპს. ალექსო კარპენტერი ამტკიცებს: „ჩვენ გვაქვს საერთო პრობლემები, საერთო მიზანი, დაბოლოს, ჩვენ გვაქვს ერთიანი წარსული, საერთო ფესვები...“ გაბრიელ გარსია მარკესი კი აცხადებს: „ჩვენ ყველანი ვწერთ დიდ რომანს ლათინური ამერიკის ადამიანებზე“. მართლაც ბევრი რამ საერთო დაიძებნება ამ მწერალთა შემოქმედებაში, მაგრამ სხვაობაც დიდია და ეს სხვაობა მარტო მწერლის ინდივიდუალობით როდია გამოწვეული. არც იმით, რომ, მაგალითად, ასტურიასი ინდიელის თვალთ უყურებს სამყაროს, კარპენტერი კი შავკანიანისა. თვით საყრდენი, ამოსავალი ამ მწერალთათვის სხვადასხვა ეროვნული ტრადიცია აღმოჩნდა. ამიტომაც ძნელია, მაგალითად, გარსია მარკესის შემოქმედების შედარება კორტასარის შემოქმედებასთან.

ამ საკითხზე კარგა ხანია კამათობენ ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები. მარიო ვარგას ლიოსამ დაწერა ვრცელი ნაშრომი გაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედებაზე. ადგილობრივი ლიტერატორებიდან მის წინამორბედად მან მხოლოდ ხორხე სალამეა დაასახელა, ევროპელთაგან და ჩრდილოამერიკელთაგან კი სოფოკლესა და რაბლესთან დაწყებული ფოლკლორამდე საკმაოდ გრძელი სია გამოუვიდა. ამის საპასუხოდ რუსი ლიტერატორი ე. ზემსკოე წერს, ყოველი ამ მწერალთაგანი ძირითადად საკუთარ ფუნდამენტს ემყარებაო: „ხულიო კორტასარი უდავოდ უკავშირდება არგენტინულ-ურუგვაული პროზის ტრადიციებს, ხუან რულფოსა და კარლოს ფუენტესის შემოქმედება — „მექსიკის რევო-

ლუციის“ თავისებური ექო და ნაყოფია, გარსია მარკესი მჭიდრო-დაა დაკავშირებული „ტელერისტულ“ პროზასთან და კოლუმბია-ვენესუელის რაიონის „მწვანე ჯოჯოხეთის“ რომანთან, ხოლო ვარ-გას ლიოსა — პერუს რომანისტების ტრადიციებთან“. ამასთან, ცხადია, „ახალი რომანი“ თავისებრივად განსხვავდება თავისი წინამორბედებისაგან. მარო ბენედეტის აზრით, თუ პოეზია ტრადიციას აგრძელებს, პროზამ, პირიქით, წარსულთან კავშირი განწყვიტა: „რომანისტების იმ დიადი თაობისათვის, რომელთა შორის შეიძლება მოვიხსენიოთ რომელო გალიეგოსის, რიკარდო გუირალდესის, ხოსე ეუსტასიო რივერას სახელები, მთავარი მოქმედი გმირი იყო ბუნება — სელვა რივერასათვის, სავანა გალიეგოსისათვის, პამპა გუირალდესისათვის. ადამიანი მხოლოდ ბუნების ნაწილი იყო... ახალი თაობის მწერლებმა კი პროზაში შემოიტანეს დიდი ცვლილება. მასში მთავარი ადგილი დაიკავა ადამიანმა“.

ლიტერატურათმცოდნეები ცდილობენ დაძებნონ „ახალი რომანის“ ერთიანი კონცეფცია, ის ძირითადი ელემენტი, რითაც იგი განსხვავდება თავის წინამორბედთაგან, ანდა ევროპელი რომანისტებისაგან.

პირველი, რაც თვალში საცემია, ეს არის მწერლების მისწრაფება რომანის სამსახურში ჩააყენონ მითოსი. რასაკვირველია, მითიური აქ პირდაპირ, მზამზარეული სახით არ გადმოდის, ის ემორჩილება მწერლის მიზანდასახულობას. აქ მითიური არაა რაღაც სამკაული, ეგზოტიკური, მკითხველის დასაინტერესებლად მოგონილი. ასტურისას გმირი წყალში იხრჩობა და მერე კვლავ ბრუნდება ადამიანთა შორის; დაკრძალულთა თვალეები არ დაიხუჭება, სანამ შურისძიების აქტი არ შედგება; კარპენტერის გმირი სხვადასხვა ცხოველის სახეს ღებულობს, რათა ადამიანის ხვედრს გაექცეს, მაგრამ ბატებიც არ იღებენ თავის წრეში; ამადუს გმირ ქალს ორი მეუღლე ჰყავს, ერთი ცოცხალი, მეორე გარდაცვლილი, თანაც ეს უკანასკნელი მუდამ თავს ევლება და ესიყვარულება ყოფილ მეუღლეს; გარსია მარკესის გმირი ქალი ზენრით ხელში „ცად ამალღდება“ და ა. შ. ამიტომაც ზოგმა მკვლევარმა ამ ლიტერატურულ ფენომენს „მაგიური რომანი“ უწოდა. მართალია, მანამდეც არაერთი მწერალი იყენებდა მითოსს, თუნდაც თომს მანი, ვინაც „ფაშიზმს გამოსტაცა მითოსი“, მაგრამ ლათინური ამერიკის ახალ რომანში

მითოსი თვით გმირის თვალსაზრისია, ის ხშირად ნაწარმოების სტრუქტურას ქმნის, დაუნანვერებელია. ასტურისას რომანებში ავტორისეული პოზიცია თითქოს ინდიელის სულშია გარდატეხილი, ის სამყაროს ხედვას ისევე როგორც ინდიელი. შეიძლება სხვა მწერლებთან მთლიანად ასე არაა. კარპენტერთან ევროპელის თუ შავკანიანის ხედვა მონაცვლეობს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ვითარება. მაგრამ მითიური აქ არასოდეს არაა რაღაც ქრესტომათიული, გარეშე პირის მიერ მოყოლილი. კარპენტერის რომანში მოთხრობილია ზანგი მემამბოხის მაკანდალის დასჯის ამბავი. თეთრკანიანები დასჯას აღიქვამენ ისევე, როგორც ხედავენ. მაკანდალმა განწყვიტა ბანარი, ცდილობს გაიქცეს, იჭერენ და ცეცხლში აგდებენ. ისმის განწირული ადამიანის ღრიალი. შავკანიანები კი სხვანაირად ხედავენ. ეს მაკანდალი არაა. ის კარგა ხანია თეთრკანიანებს გაექცა; კოლოდ გადაიქცა და შეიძლება თავის დამსჯელებს ცხირზე დააჯდეს. შინ მიმავალი შავკანიანები გზაში ერთმანეთს უყვებიან, თუ როგორ გააცურა მაკანდალმა თეთრკანიანები... მაგრამ, როცა „ახალი რომანის“ მითოლოგიზირებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ეს პრინციპი არ ვრცელდება ყველა მწერალზე, თუნდაც ხულიო კორტასარზე. მის ფანტასტიკას არაფერი აქვს საერთო მითოსთან. საერთოდ ფანტასტიკის მომძლავრება არგენტინის ლიტერატურაში კამათის საგანი გახდა. კარგა ხანია მთავარი, გაბატონებული პოზიცია ამ ლიტერატურაში ეკუთვნის არა რეალიზმს, არამედ სულ სხვა ტიპის ლიტერატურას, რომლის მეტრია ხუან ბორხესი. არგენტინელ მწერლებს „ხელთ ეპყრათ“ სულიერი ჰალუცინაციები, ფსიქოლოგიური კომპლექსები, ქვეცნობიერის იმპულსები, მთელი ფროიდისტული არსენალი. ამაზე ლიტერატორი რობერტ იანი ამბობს: „არსებობს მრავალი ჰიპოთეზა არგენტინაში ფანტასტიკის ჟანრის უპირატესობის თაობაზე. ის, ვინც ამამი ხედვას მხოლოდ კოსმოპოლიტიზმის ნიშანს, ევროპულ ლიტერატურის წინაშე ქედის მოხრას, გვიტოვებს ჩვენ ერთადერთ როლს — კულტურული სატელიტისა“. ამის მიზეზს ერნესტო საბატო ხედავს იმაში, რომ „ჩვენ ვიმყოფებით რაღაც გარდამავალ ზონაში. ჩვენ არა ვართ ევროპა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და ჩვენ არა ვართ ლათინური ამერიკა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“. ყველაფერი ზემოთქმული

მთლიანად არ ეხება კორტასარს, მაგრამ მისი შემოქმედება მაინც მკვეთრად განსხვავდება „ახალი რომანის“ სხვა მწერლებისაგან.

ლიტერატურათმცოდნეთა მეორე წყების თვალსაზრისით, „ახალი რომანის“ თავისთავადობა სულ სხვა სიბრტყეზეა საძებნი. ლათინურამერიკელებმა სხვაზე რადიკალურად შეძლეს აესახათ დასავლეთის ცივილიზაციის ღრმა სულიერი კრიზისი, ადამიანის მარტოობის შეგნება, ადამიანის არსებობა როგორც მარცხი, უიმედობა. ტყუილად კი არ ჰქვია მარკესის რომანს „მარტოობის ასინელი“.

ამერიკელი ლიტერატორი ი. შულმანი შეეცადა ამ ორი შეხედულების შერწყმას, რაღაც საერთოს გამოეყვანას, მაგრამ განზრახვაზე ხელი აიღო, ამ რომანის ტებისათვის შეუძლებელია საერთო მხატვრული ფორმულის დაძებნაო. და მაინც „ახალ რომანს“ ალბათ მრავალი კუთხიდან უნდა შევხედოთ. როგორც ყოველი რთული მოვლენა, მისი არსი არ დაიყვანება ერთ ან თუნდაც რამდენიმე ფორმულამდე. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი სხვა პრობლემაც, რაც „ახალი რომანის“ ფუნდამენტის ნაწილია: კონტინენტის ერთიანობის პრობლემა; ლათინური ამერიკის მიმართება ევროპასთან და საერთოდ კაცობრიობასთან, რაც პირველად ასე ამკარად გამოვლინდა ალექსო კარპენტერის „ამქვეყნიურ საუფლოში“, როცა ყოფილი მონა ტი ნოელი თავის ბეჭებზე მთელ სამყაროს შეიგრძნობს; ძალადობის პრობლემა, ასე დამახასიათებელი ლათინური ამერიკისათვის, რაც წინა პერიოდის რომანის ტებმაც ფართოდ შეისწავლეს, მაგრამ აქ ახლებურადაა მოცემული; რენესანსული ტენდენციები და სხვ. უდიდეს ყურადღებას აქცევენ ეს მწერლები ნაწარმოების ენას, იგი ხშირად კომპოზიციის ნაწილია; რომანის სტრუქტურას, რომელიც ხშირად უჩვეულო, რთული და ხანდახან თვითმიზნურიც კია; ზოგჯერ ძნელია სიუჟეტურ კოლიზიებში გარკვევა, რადგან მკითხველმა ცალკეული, ერთი შეხედვით, შემთხვევითი ფრაგმენტი უნდა შეაერთოს თავის წარმოსახვაში, რათა მიიღოს მთლიანი რამ. ზოგიერთი მწერალი მიმართავს ციტატებს, გაზეთებიდან ამონაწერს, საჭიროებისდა მიხედვით უგულვებელყოფს დროის ფაქტორს, ანდა დროს ხდის რომანის ერთ-ერთ მამოძრავებელ კომპონენტად; შეიძლება, მაგალითად, დრო გაჩერდეს, ანდა სხვადასხვა ეპოქის ადამიანები ერთმანეთს შეხვდნენ და სხვ.

თვითონ მწერლები განზე არ დგანან ამ დისკუსიისაგან, თუმცა მათი განცხადებები ყოველთვის არაა ემოციისაგან თავისუფალი. ასტურიასი წერდა: „ჭეშმარიტ ლათინურამერიკულ რომანად შეიძლება ისეთი წიგნი მივიჩნიოთ, რომელმაც ერთგულემა შეჰფიცა ხალხს, მუშტომომარჯვებულ მუშას, ხელებნაჯაფარ გლეხს; წიგნის ფურცლებიდან ისევ და ისევ უნდა მოისმოდეს მონოდება, რომ შეაჩერონ სისხლისა და ოფლის ღვარი, ზღვისაკენ რომ მიეძინება მონოპოლიათა გასამდიდრებლად“. მარიო ვარგას ლიოსას აზრით, „ლათინურამერიკული რეალობის აღწერა, მისი სინამდვილისადმი მიმსგავსება ჯოჯოხეთურად ძნელია... ამისათვის საჭიროა დაიძებნოს ძალიან რთული ფორმები, უფრო ბაროკოსი და მისი გამოყენების დროს არ გადავვარდეთ სქემატიზმში ან ფორმალიზმში“.

ასტურიასის სიტყვებს ყოველი ამ მწერალთაგანი მოაწერდა ხელს, რადგან ისინი მთლიანად ხალხისა და დემოკრატიის მხარეზე დგანან. რაც შეეხება ბაროკოს ფორმებს, რასაც ლიოსა აღნიშნავს, მისი მოხსენიება შემთხვევითი არ არის. კარპენტერი, მაგალითად, ფიქრობს, რომ ბაროკოს სტილი აუცილებელია „ახალი რომანისათვის“; მათ მხოლოდ ახლახან დაიწყეს ასეთი მდიდარი და ნაირფერი სამყაროს ასახვა და საჭიროა სათანადო ფაქტურა. გაბრიელ გარსია მარკესი კი პოლემიკურად აცხადებს: „თუ რამეა ბაროკოული, ესაა თვით ამერიკული სინამდვილე, ლიტერატურა კი მხოლოდ მისი ანარეკლია“.

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, „ახალი რომანის“ ისტორია ორ ათეულ წელს მოითვლის. დამთავრდა მისი განვითარების პირველი პერიოდი. დადგა დრო მისი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისა. მწერლები ახალ გზებსა და გამომსახველობით საშუალებებს ეძებენ. განვლილი პერიოდი მხოლოდ გზის დასაწყისია და მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან ნაწარმოებს უნდა მოველოდეთ. ხულიო კორტასარი ამბობს: „ხანდახან გვიან ღამეს გამომეღვიძება იმის ნათელი შეგრძნებით, რომ რომანი — ესაა რაღაც უსასრულო, როგორც მათემატიკისა თუ წარმოდგენების მიღმა არსებული ვარსკვლავეთის მოძრაობა, და რომ უკვე შექმნილი არის მხოლოდ და მხოლოდ რომანის წინაისტორია, პირველი მისადგომი მის კარიბჭესთან. ჩემთვის რომანი არის რაღაც ცვალებადი,

ადამიანის გზის გამკვლევი, რომელიც არეკლავს ყველაზე მიუწვდომელ და თავბრუსმხვევ პერიპეტეებს“.

* * *

გვატემალაში, გენერალ ორელიანოს დიქტატურის პერიოდში, მოკლეს არმიის გენერალური შტაბის უფროსი. მკვლელობა დააბრალეს უდანაშაულო ოფიცერს, ვისაც იცავდა ახალგაზრდა იურისტი მიგელ ანხელ ასტურიასი (დ. 1899). ამ უკანასკნელის მამაც იურისტი იყო (დედა მასწავლებელი), მაგრამ დიქტატორ მანუელ კაბრერას დროს უარი თქვა დაესაჯა უდანაშაულო სტუდენტები და მოსამართლის თანამდებობა დაკარგა. მიგელის საადვოკატო კარიერაც მოკლე აღმოჩნდა. ოფიცერი დახვრიტეს. მაშინ ახალბედა ადვოკატმა ხელისუფალთა ამ ბოროტებაზე სტატიების სერია გამოაქვეყნა ყოველკვირეულ „ახალ დროებაში“, რამაც მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. მიგელი სამშობლოდან გაიქცა. ლონდონში ყოფნის დროს მან შემთხვევით დაათვალიერა მაიას სკულპტურის გამოფენა, ხოლო პარიზში, სორბონაში მოისმინა პროფესორ ჟ. რეინოს ლექციები მაია-კიჩეს ლიტერატურის პრობლემებზე. ახალგაზრდა გვატემალელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საკუთარი ხალხის შორეულმა კულტურის ძეგლებმა, რომელსაც ასე საფუძვლიანად მანამდე არ იცნობდა. მექსიკელ გონსალეს დე მენდოსასთან ერთად ასტურიასი ხელახლა თარგმნის „პოპოლ-ვუხს“. ამიერიდან მიგელ ანხელმა მწერლის ეკლიანი გზა აირჩია. 1925 წ. პარიზში გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული „ვარსკვლავის სხივი“. მასში იგრძნობა სიურეალისტებთან ავტორის ახლო კავშირი. მართლაც პოეტი მაშინ მეგობრობდა არაგონთან, დესნოსთან, ელიუართან, დადიოდა კაფე „როტონდაში“. შემდგომ, როცა მას შეახსენებდნენ სიურეალისტებთან ურთიერთობას, პოეტი პასუხობდა: „ექვბეთ ჩემი სიურეალიზმი „პოპოლ-ვუხში““.

1930 წელს ასტურიასმა გამოსცა „გვატემალური ლეგენდები“. აღტაცებული პოლ ვალერი ამ წიგნზე წერდა: „ტროპიკული ბუნების, უსისტემო ბოტანიკის, ინდიელთა მაგისა და სალამაკის თეოლოგიის ეს რა უჩვეულო ნაზავია, სადაც ვულკანი, ბერები, თვალმარგალიტით მოვაჭრე, „დომინიკურ თუთიყუშთა გუნდი“, ჯადო-

ქარი მასწავლებლები, სოფელში რომ მიდიან, რათა ქსოვა და ნულის ღირებულება ასწავლონ, შეერთებულია რაღაც გიჟურ სიზმარში!“ ამ წიგნში, მართლაც, საოცრადაა შერწყმული მითოლოგია, ძველი გადმოცემები, ბუნების ხატოვანი სურათები, ბავშვობის მოგონებები. სახეთა მდიდარი სისტემა და ინდიელთა მეტყველებისნაირად სტილიზებული ესპანური უჩვეულო ენობრივ ეფექტს ქმნის.

1933 წ. ასტურიასი სამშობლოში დაბრუნდა. მას თან მოჰქონდა „სენიორ პრეზიდენტის“ ხელნაწერი. გვატემალაში ამ დროს დიქტატორი იყო გენერალი უბიკო, მორიგი „სენიორ პრეზიდენტი“ და ასეთი რომანი ვერ გამოქვეყნდებოდა. ის ხელნაწერი გზით ვრცელდებოდა. მხოლოდ 13 წლის შემდეგ მოხერხდა რომანის გამოცემა. ეს არის წიგნი ყოვლისმომცველ შიშზე, რასაც შეუპყრია მთელი საზოგადოება. ერთხელ ავტორს ჰკითხეს, რომანს ხელმეორედ ისევე დაწერდი თუ არაო. მან უარით უპასუხა: „სენიორ პრეზიდენტში“ შიშის შეუვალე ბატონობაა. შეგახსენებთ, რომ მე ის დავიწყე 1923 წელს, მთლიანად მანუელ კაბრერას დიქტატურაზე მოგონებებით შეპყრობილმა. ამ რომანში აზრი ადგილს უთმობს გრძნობას, გრძნობა კი თავზარდამცემ შიშს დიქტატურის წინაშე“. საოცარი ისაა, რომ თვით სენიორ პრეზიდენტი რომანში სულ რამდენიმეჯერ გამოჩნდება: სათვალე, შავი სამოსი, ორდენების ლენტე, ჭაღარა ულვაში, ყვითელი თითები... მაგრამ ულმობელი შიში მის წინაშე მსჭვალავს რომანის ყოველ სტრიქონს. უკვე ამ ნაწარმოებში შემოვიდა ინდიელთა მითოლოგიის პლასტი. მაგალითად, რომანის ერთ-ერთ გმირს კარა დე ანხელს გამოეცხადება ღვთაება ტოილი, რომელიც ადამიანის მსხვერპლს მოითხოვს. ამაზე ასტურიასი წერდა: „ინდიელთა თხრობა ორი მიმართულებით ვითარდება: სიზმარი და ცხადი. ინდიელთა ტექსტები გრძნობათა ორგანოების მიერ აღქმულ ყოველდღიურ სინამდვილეს არეკლავენ, მაგრამ ამავე დროს აღადგენენ ზღაპრულ წარმოდგენათა სინამდვილესაც, თანაც ისევე დეტალურად როგორც პირველს“.

ყოველივე ეს უფრო ღრმად გაიშალა მომდევნო წიგნში „სიმინდის ადამიანები“ (1949). „პოპოლ-ვუხის“ თანახმად, ღმერთებმა ადამიანები სამჯერ შექმნეს, ამასთან მესამეჯერ მაისისაგან (სიმინდისაგან). ამიტომაც მაიას ტომის ადამიანები სიმინდს პატივსაცემენ და მომჭირნეობით ხმარობენ. გასაყიდად სიმინდის დათეს-

ვა ბოროტებად ითვლება. და აი, სოფლის განაპირას უცხო ადამიანებმა გადაწვეს ტყე, რათა საექსპორტოდ დათესონ სიმინდი. ინდიელთა ბელადი გასპარ ილამი ამის წინააღმდეგ აჯანყდა. ბელადი წყალში იხრჩობა. მისი თანამემამულეები ვერ უძლებენ ცივილიზაციის შემოტევას. მკვდრებით აღმდგარი გასპარ ილამი შურს იძიებს არამარტო მომხდურთა წინააღმდეგ, არამედ უპრინციპო ახლობლებზეც. საოცარია რომანის ენობრივი სტრუქტურა. მაიაკიჩეს ტომის ადამიანთა აზრით, ენა (მეტყველება) ღმერთების საკვებია. ამიტომაც შექმნეს ღმერთებმა ადამიანები. რომანში მოქმედებას ხშირად სიტყვის თამაში ცვლის; აქ ესპანურს ინდიელთა ენების კონსტრუქციები უსესხებია და სხვ. თვით ასტურიასი ამტკიცებს, რომ „სიმინდის ადამიანებში“ ის არაფერს უთმობს მკითხველს... „მნიშვნელობა არა აქვს, გასაგებია მოვლენა თუ არა — ის უბრალოდ მოცემულია“.

1950 წელს ასტურიასმა გამოსცა ტრილოგიის პირველი წიგნი „ქარიშხალი“, 1954 წელს — „მწვანე პაპი“, დაბოლოს, 1960 წელს — „დაკრძალულთა თვალები“. ამ ციკლის მთავარი პერსონაჟები რომანიდან რომანში გადადიან, მაგრამ ყოველი რომანი ამავე დროს დამოუკიდებელი ნაწარმოებია. მათში ჩნდებიან ახალი პერსონაჟები, ისმება ახალი პრობლემები, იცვლება მწერლის თვალთახედვა. ტრილოგიის ცენტრალური ფიგურაა ჯო მეიკერ ტომსონი, კონტრაბანდისტი და მეკობრე. ის აქ ჩამოდის მონოპოლისტური კომპანიის „ტროპიკალ პლატანერას“ დასამკვიდრებლად. მისტერ ჯო საქმიანი ადამიანია. მისი ერთადერთი მიზანია გახდეს „მწვანე პაპი“: „მწვანე პაპი, თქვენ რომ იცოდეთ, — ესაა სენიორი, რომელიც ზის კანტორაში და თავის განკარგულებაში მილიონობით დოლარი აქვს. სენიორი გააქნევს თითს და გემი გაუდგება გზას, ანდა ადგილზე გაიყინება. იტყვის სიტყვას და — მთელ რესპუბლიკას იყიდის. ცხვირს დააცემინებს და — აღარ არის პრეზიდენტი, მინისტრი ან ლიცენციისტი... გაეხახუნება სავარძლის ზურგს და — ატყდება ამბოხება. აი, ამ სენიორის წინააღმდეგ მოგინევთ ბრძოლა. იქნებ ვერც მოესწოთ გამარჯვებას, იქნებ მთელი სიცოცხლეც არ გვეყოს მწვანე პაპის დასამარცხებლად, მაგრამ ისინი, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, მოესწრებიან ამას, თუ ჩვენსავით იბრძობლებენ, ვითარცა ძლიერი ქარიშხალი, რომელიც დაიქროლებს, გზაზე ყვე-

ლაფერს გადახვეტავს და თუ რამეს დატოვებს — მხოლოდ მკვდრებს“. მისტერ ჯო საბოლოოდ ახერხებს კიდევ „მწვანე პაპად“ გახდომას, მაგრამ ეს მას ძვირად უჯდება, მისი ცხოვრების გზა სრული დეგრადაციით მთავრდება. ამ იმპერიალისტური მტაცებლის გვერდით სულ სხვა ადამიანად ჩანს ჯონ პაილი, იგივე ლესტერ მიდი, გადაცმული ამერიკელი მილიონერი. იგი კაპიტალიზმის განვითარების ადრეული პერიოდის ბურჟუის ტიპია, რითაც აიხსნება მისი ლიბერალური ილუზიები. ეს სიმპათიური ადამიანი უფრო მკვდრებით აღმდგარია, რადგან კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე შეუძლებელია მისი იდეების განხორციელება. ლოგიკის თანახმად, მისი საქმიანობაც იმავე შედეგს იძლევა, რასაც მისტერ ჯოს საქმიანობა, თანაც ლესტერ მიდის გზა უფრო ფარულია. ის ცდილობს შექმნას მგლისა და ცხვრის დამეგობრების ილუზია. ლესტერ მიდი თავის მილიონებს უტოვებს ინდიელებს. ამ მეფურმა საჩუქარმა ისინი თითქმის განაიარაღა. ინდიელთა ინტერესების ყველაზე შეგნებული დამცველი ადელაიდო ლუსეროც კი სუსტია ასეთი სიმდიდრის წინაშე და ერთ მომენტში ისიც მეიკერ ტომსონის იარაღი ხდება. ტრილოგიაში ჩვენს თვალწინ გაივლის მთელი გალერეა ხალხის ჭეშმარიტი შვილებისა. ესენი არიან: მისტერ ჯოს პირველი მიჯნური მაიარა, ვისაც თვალი აეხილა ამერიკელის ნამდვილ ბუნებაზე და წყლის ნაკადის მეუღლე გახდა; ინდიელი ჩიპო ჩიპო, — მაირას გადაჰყვა წყალში; ერმენეხილო, — მან სიცოცხლე მისცა ჯადოქარს, რათა ამ გზით ქარიშხალი გამოენვია. ამ ქარიშხალმა კი „ტროპიკალ პლატანერა“ გაანადგურა.

ტრილოგიის ბოლო რომანის სახელიც ინდიელთა მითოსიდან ამოდის. დაკრძალულნი მანამ არ დახუჭავენ თვალებს, სანამ არ შედგება შურისგების აქტი. რომანის მთავარი გმირები არიან: ოქტავიო სანსურა, პროფესიონალი რევოლუციონერი, ვინც საყოველთაო გაფიცვას ამზადებს, და მისი სატრფო, სოფლის მასწავლებელი მალვინა ტაბაი. ოქტავიო სანსურა ხალხის შვილია, ცხოვრების რთული გზა ხალხის წიაღში გაიარა, ამიტომაც იგი ხალხის ფსიქოლოგიის მატარებელია.

სიცოცხლის ბოლო წლებში მწერალმა კიდევ რამდენიმე რომანი დაწერა („ჩვეულებრივი მულატი ქალი“, „მალადრონი“, „ვენების პარასკევი“...). მათში ავტორმა ფართოდ გაშალა იგივე თემები, მა-

გრამ „ახალი რომანის“ სპეციფიკის თვალსაზრისით, წინა მიღწევები გაიმეორა.

მიგელ ანხელ ასტურიასი ლენინისა და ნობელის პრემიების ლაურეატი. გარდაიცვალა 1974 წ.

* * *

ალეხო კარპენტერის (დ. 1904) მამა იყო ფრანგი არქიტექტორი და მუსიკოსი (პაბლო კაზალის მოწაფე), დედა კი რუსი სტუდენტ-მედიკოსი. მათ ერთმანეთი შვეიცარიაში გაიცნეს და ქორწინების შემდეგ ჰავანაში გადასახლდნენ. ოჯახში მუდამ იგრძნობოდა ამ ორი სამყაროს — ევროპისა და ახალგაზრდა ლათინური ამერიკის კულტი. მწერალმა ბავშვობაში ბრწყინვალე მუსიკალური განათლება მიიღო. მაგრამ იგი ადრევე მიხვდა, რომ მისი მოწოდება ლიტერატურა იყო. 18 წლის ყმანვილი გაზეთ „დისკუსიონში“ იბეჭდება რუბრიკით — „სახელგანთქმული წიგნები“, ინყებს ლექსების წერას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „აფრო-კუბელი“ პოეტი ხდება.

მაჩადოს დიქტატურის პერიოდში ალეხო კარპენტერი განზევრ გადაგებოდა. 1927 წ. მან ხელი მოაწერა დიქტატორის წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტს და ციხეში ჩაამწყვდიეს. აქ დაიწყო ახალგაზრდა მწერალმა პირველი რომანი „ეკუე-იამბა-ო“. მომდევნო წელს ის გაათავისუფლეს, მაგრამ კუბაში დარჩენა საშიში იყო. დიქტატორი მოწინააღმდეგეებს ჩუმად უსწორდებოდა. ფრანგმა პოეტმა რობერტ დესნოსმა მას თავისი პასპორტი ათხოვა და ალ-ეხო პარიზში ჩავიდა.

ასტურიასის მსგავსად, ისიც დაუახლოვდა სიურეალისტებს, მაგრამ მერე არაგონთან, დესნოსთან და ელიუართან ერთად 1930 წელს ხელი მოაწერა სიურეალიზმის წინააღმდეგ მიმართულ პამ-ფლეტს.

1933 წ. მადრიდში გამოდის კარპენტერის „ეკუე-იამბა-ო“. ეს იყო ე. წ. რეგიონალური რომანი. ამ დროისათვის მწერალი საკმარისად არ თვლიდა ამ მიმართულების პრინციპებს და საკუთარი ნაშრომით უკმაყოფილო დარჩა.

ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს კარპენტერი რესპუბლიკის მხარეზე იბრძოდა, დამარცხების შემდეგ კი კუბაში დაბრუნდა. კუნძულის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შემოქმედებისათვის არ იყო ხელსაყრელი. კარპენტერი წერს გამოკვლევას — „კუბის მუსიკა“ (1946).

1943 წ. ფრანგმა მსახიობმა ჟუვემ კარპენტერი ჰაიტიზე მიიწვია... „მე ვნახე პოეზიით აღსავსე სან-სუსის ნანგრევები... ვნახე ლა-ფერიერის მრისხანე ციტადელი...“ ამ მოგზაურობამ მწერალს მისცა რომანის „ამქვეყნიური საუფლოს“ ჩანაფიქრი. შემდგომ კარპენტერი გადავიდა ვენესუელაში, რომელიც მას მიაჩნდა „კონტინენტის ქვემარტივ კვინტენსეციად, რადგან აქ იყო უდიდესი მდინარეები, უკიდვანო ვაკეები, გიგანტური მთები, სელვა...“ მწერალმა ორინოკოს სათავეებშიც კი იმოგზაურა, სადაც ერთი თვე დაჰყო ქვის ხანის ინდიელთა შორის. ყოველივე ეს აისახა რომანში „ნაშლილი ნაკვალევი“ (1953). ვენესუელაშივე დაწერა კარპენტერმა „განათლების საუკუნე“ (ფრანგულად გამოიცა 1953 წ., ესპანურად — 1963 წ.).

რევოლუციის შემდეგ ალეხო კარპენტერი ბრუნდება კუბაში, სადაც ის ხდება კუბის ეროვნული ასამბლეის დეპუტატი, მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და საფრანგეთში კუბის საელჩოს მრჩეველი.

„ამქვეყნიური საუფლოს“ სახელწოდება თითქოს ეპაექრება სახარების ცნობილ ფრაზას „მეუფეები ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს“ (ი. 18,36). რომანის მოქმედება იშლება XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში. ავტორი ჰაიტელთა რევოლუციის ცნობილ პიროვნებებს როდი წარმოგვიდგენს (მაგალითად, ტუსენ ლუვერტურსა და დესალონს). რომანის ცენტრალური ფიგურაა მონა ტინოელი, რომლის პიროვნებაში შერწყმულია ინდიელისა და ზანგის კულტურულ-პიროვნული სანყისები. ტინოელს ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი რამ გადახდა: იგი მონაწილეობდა მაკანდალას შეთქმულებაში და ესწრებოდა მის დასჯას; მონაწილეობდა ბუკმანის აჯანყებაში და დაღუპვას შემთხვევით გადაურჩა, პატრონმა კუბაში წაიყვანა; ოცდახუთი წლის შემდეგ ბრუნდება ჰაიტიზე, სადაც „სამუდამოდ“ მოსპობილია მონობა და კვლავ მონა ხდება, ამჯერად შავკანიანი უზურპატორის ანრი კრისტოფისა,

ვისი ნებით გორო-დე-ობისპოს მწვერვალზე ციტადელს აგებენ, მონები სიზიფესავით დღედაღამ ხელით ეზიდებიან აგურს; ჩვენი გმირი მოესწრო აჯანყებას ანრი კრისტოფის წინააღმდეგ და მონაწილეობს მისი სასახლის დარბევაში. ტი ნოელი სიბერეში თვითონაც ხდება მონარქი, მართალია ციცქნა სამეფოსი, მაგრამ ანრი კრისტოფის სასახლიდან წამოღებულ სამეფო ხალათს იცვამს და ამით ლაღატობს ჭეშმარიტ მონოდებას. შემდგომი ცოდვა მან მაშინ ჩაიდინა, როცა გაურბოდა რა ადამიანურ ხვედრს, ხან ფრინველად გადაიქცა, ხან ცხოველად, ხან მწერად. ამიტომ იგი ისჯება. აი, მაკანდალი მრავალი წელია მხეცად გადაიქცა, რათა ემსახუროს ადამიანებს და არა იმისათვის, რომ გაიქცეს მათი წრიდან. მაგრამ დადგება დრო და ტი ნოელი იგრძნობს პასუხისმგებლობას არამარტო საკუთარი ხალხის წინაშე, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე: „ტი ნოელმა მხარზე იგრძნო ქვით დატვირთული, მონების ოფლით მორწყული, აჯანყებათა სისხლით შეღებილი, საუკუნო ჭაღარით შემოსილი პლანეტის კოსმოსური დაღლილობა“. აქ ტი ნოელი კარგავს ინდივიდუალურ თვისებებს და გადაიქცევა მთელი კაცობრიობის სიმბოლურ განსახიერებად. „ამქვეყნიურ საუფლოში“ სხვაზე უკეთაა განსახიერებული „მაგიური რომანის“ თვისებები. თვით ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თხრობა ისე მიმდინარეობს, რომ „ჯადოსნური“ თავისთავად გამოდის სინამდვილიდან, სკრუპულოზურად აისახება დეტალებში“.

რომანში „განათლების საუკუნე“ კვლავ ის ეპოქა აღებული. თემაც თითქოს იგივეა, — ევროპა და ლათინური ამერიკა. 1789 წ. ფრანგი ვიქტორ იუგი ჰავანაში ჩამოდის და ცხოვრობს ან გარდაცვლილი ვაჭრის ოჯახში, სადაც მას მასპინძლობენ კარლოსი, სოფია და ბიძაშვილი ესტებანი. ახალგაზრდები აღფრთოვანებულნი არიან ვიქტორის მოწინავე, რევოლუციური იდეებით. ვიქტორი ბრუნდება ჰაიტზე. აქ გაიგებს, რომ აჯანყებულ ზანგებს დაუნვიათ მისი სავაჭრო და სახლ-კარი. მაშინ ის მიემგზავრება ევროპაში, ხდება იაკობინელი და მკაცრი მსაჯული. შემდგომ უკვე კომისრის თანამდებობით ბრუნდება გვადელუპაში. აქ რევოლუციური დეკრეტით მონობა გაუქმებულია, ვიქტორ იუგი კი იმავე „რევოლუციის სახელით“ კვლავ ამონებს ხალხს და ბორკილებს ადებს. ასეთია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ტრანსფორმაცია. იუგი თა-

ვისუფლების იდეებს მანამდე ქადაგებდა, სანამ სჭირდებოდა. ამ კაცს თან დაჰყვება ესტებანი. ის იდეურად უპირისპირდება ვიქტორ იუგს, მაგრამ მისი წინააღმდეგობა პასიურია. ესტებანი საყრდენს სულიერ სამყაროში ეძებს. ვიქტორ იუგზე შეყვარებული სოფია ჰავანიდან მოიჩქარის, რათა გმირს შეეუღლოს, მაგრამ სულ მალე გმირის მაგივრად დაინახავს პატივმოყვარე ეგოისტს და ტოვებს მას, ევროპაში მიემგზავრება.

რომანში „ნაშლილი ნაკვალევი“ მოქმედება ჩვენს საუკუნეშია გადმოტანილი. მთავარი გმირია კომპოზიტორი. მისი სახელი რომანში არცაა ნახსენები. ევროპოცენტრიზმის იდეებით შეპყრობილი ყმანვილი ჩამოდის ძველ კონტინენტზე, რათა ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონია“ მოისმინოს. გმირი მას მოისმენს, მაგრამ იქ არა, სადაც მოელოდა. მან დაინახა ფაშიზმის მთელი სისაზიზღრე, იბრძვის მის წინააღმდეგ. ერთხელ საკონცერტრაციო ბანაკის ჯალათები ნასადილეზე მღერიან ქორალს „მეცხრე სიმფონიიდან“: „ასე, ბოლოს და ბოლოს მე შევხვდი მეცხრე სიმფონიას... შილერის სტროფები თავისი სარკაზმით მახვილივით მხვდება გულში... აი, ის კულმინაცია, ის მწვერვალი, სადაც მივალნით მას შემდეგ, რაც მრავალი საუკუნე შეუჩერებელი მოვდიოდით მოთმინებისაკენ, სიკეთისაკენ, ურთიერთგაგებისაკენ“. სულიერად განადგურებული გმირი ეწევა უღიმღამო ცხოვრებას და მხოლოდ ფულისათვის თუ დაწერს კინომუსიკასა და სხვა ერზაცს. ერთხელ მას დაავალბენ გაემგზავროს სამხრეთ ამერიკაში, რათა ველურ ტომებში დაძებნოს ძველი მუსიკალური ინსტრუმენტები. თავისი საყვარლის თანხლებით გმირი მიემგზავრება ექსპედიციაში. მოგზაურობის დროს გაივლის ცივილიზაციის განვითარების თითქმის ყველა საფეხურს, თანამედროვე ქალაქიდან, ფეოდალური პროვინციის გავლით, ქვის ხანის ადამიანებამდე და ბოლოს ველურ და პირველყოფილ სელვამდე. აქ ხდება გმირის სულიერი გარდაქმნა. მას შემოქმედების სურვილი უჩნდება, მაგრამ აქვეა მისი გაორებაც: თუ ორატორიას დაწერს, ველურ სამყაროში ვის სჭირდება მისი მუსიკა? თუ აქ დარჩება, მაშინ უნდა უარყოს თავისი ადამიანური მონოდება. საბოლოოდ გმირი კვლავ ქალაქში გარბის.

ალეხო კარპენტერმა მომდევნო წლებშიც არაერთი წიგნი გამოაქვეყნა. საინტერესოა რომანი „ბაროკოს კონცერტი“ (1974).

მასში ავტორი მოგვითხრობს მექსიკელი მდიდრისა და მისი ზანგი მსახურის მოგზაურობის ამბავს XVIII საუკუნის ევროპაში. იტალიაში ყოფნის დროს ისინი მოხვდებიან კონცერტზე, სადაც სხვადასხვა ეპოქის მუსიკოსები ერთად უკრავენ. მათთან ერთად კონცერტზე გამოდის ზანგი მსახურიც, რომელიც ჯაზს ასრულებს. აქ დასმულია ხალხებისა და მუსიკალური კულტურების ურთიერთობათა პრობლემა, ამერიკისა და ევროპის კულტურათა დაპირისპირებისა და ერთიანობის საკითხი. მთავარი გმირი იტალიაში კარეტიტ მიემგზავრება უკან კი მატარებლით ბრუნდება. დროის ასეთი გადანაცვლება დამახასიათებელია „ახალი რომანისათვის“.

1978 წ. ითარგმნა და რუსულად გამოიცა მწერლის ახალი რომანი „მეთოდის ცვალებადობა“. ესაა ანტიდიქტატორული ნაწარმოები. თვით ავტორის განცხადებით, განთავისუფლების შემდეგ ლათინურ ამერიკაში 535 სამხედრო გადატრიალების შედეგად 222 დიქტატურა დამყარდა... ნაწარმოები „ახალი რომანის“ სტილურ ჩარჩოებში „ჯდება“. თუნდაც ასეთი დეტალი: თხრობა იწყება პირველი პირით. დიქტატორი ყვება თავის ამბავს. უცებ მას აცნობეს, რომ სამშობლოში სამხედრო ამბოხებაა. „არამზადა! — წამოიძახა ერის მამამ“, ე. ი. თხრობა ძალდაუტანებლად გადავიდა მესამე პირში. უკვე მომდევნო გვერდებზე მთხრობელის ესტაფეტა შეიძლება აილოს სხვა რომელიმე ნაკლებმნიშვნელოვანმა პერსონაჟმა.

ბოლო დროს გამოქვეყნდა ა. კარპენტერის კიდევ ორი რომანი: „არფა და ჩრდილი“ (ქრისტიანული კოლუმბზე) და „წმინდა გაზაფხული“ (რუსი ბალერინას ვერასა და კუბელი ინტერნაციონალისტის ენრიკეს თავგადასავლები).

მექსიკელები ხუან რულფო და კარლოს ფუენტესი თითქმის ერთად შემოვიდნენ ლიტერატურაში, თუმცა პირველი მათგანი ათი წლით უფროსია მეორეზე.

ხუან რულფომ 1953 წ. გამოაქვეყნა მოთხრობების კრებული „ცეცხლმოდებული ველი“, 1955 წ. კი მცირე მოცულობის რომანი „პედრო პარამო“. მას შემდეგ მწერალს არაფერი გამოუცია, მაგრამ ამ წიგნების, განსაკუთრებით რომანის, მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება.

ხუან რულფო დაიბადა ხალისკოს შტატის სოფელ სან-გაბრიელში. მშობლები ადრე დაეხოცა. მწერლის ბავშვობა და ყრმობა რევოლუციის შემდგომ პერიოდს დაემთხვა. რევოლუციამ გლეხებს ვერაფერი მოუტანა. კრისტეროსების რეაქციული აჯანყება, მიწის მუშაკთა სილატაკე, მემამულეთა მიერ მათი დაკაბალება, კასიკიზმის დამღუპველი ზეგავლენა, ძალადობის კულტი — ყოველივე ეს აღიბეჭდა მწერლის შეგნებაში. გვადალახარაში დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ხუან რულფო გადმოვიდა მეხიკოში, სადაც ძლივს იშოვა პატარა ადგილი ემიგრაციის საქმეთა დეპარტამენტში. აქ ის 12 წელი მუშაობდა, თან ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა.

ხუან რულფომ კატეგორიულად უარყო მექსიკის რევოლუციის რომანის გზა (თუმცა ის, ბუნებრივია, დიდად აფასებდა მარინო ასუელას რომანს „ისინი, ვინც ქვევით არიან“). მწერალი ეძებდა ახალ საშუალებებს, ცდილობდა დაახლოებოდა ხალხურ მეტყველებას და ეწერა მარტივად. გზა უბრალოებისაკენ არც ისე იოლი აღმოჩნდა. რულფო დიდხანს ხვეწდა თავის პატარა მოთხრობებს. მათი ენა ჭეშმარიტად ხალხური და მეტყველია. იგი ხშირად დიალოგზე ან მონოლოგზე აგებული. სამაგალითოდ დავასახელებ ერთ მოთხრობას: „ყური დაუგდე, როგორ ყეფენ ძაღლები“. ეს პანია მოთხრობა კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა შესწავლის საგანი გახდა. მოქმედება ხდება ღამით, მთის ბილიკზე, სადაც გლეხი ზურგით მიათრევს თავის სასიკვდილოდ დაჭრილ ბანდიტ შვილს. მამის სულიერი სამყარო გაორებულია. ერთი მხრივ, ბანდიტი კიდევ ეჯავრება, მეორე მხრივ, შვილი ებრალება და ცდილობს მიიყვანოს ტონაიემდე, სადაც მას გადაარჩინენ. მძიმე ტვირთის ქვეშ ის ხედავს მხოლოდ ბილიკს და არ იცის კიდევ რამდენი გზა უდევს წინ. მხოლოდ სამჯერ მოკრავს მთვარეს თვალს და მნათობის ამ გადანაცვლებით მკითხველი გებულობს, თუ რამდენი დრო გასულა. ამ შინაგან პაექრობაში მოხუცი მიაღწევს ტონაიეს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ცოცხალი მიიყვანა თავისი იგნასიო თუ მკვდარი. ამას მწერლისათვის არცა აქვს მნიშვნელობა. მან გვიჩვენა ორი თაობის გადაულახავი კონფლიქტი.

თითქოს ამ მოთხრობიდან ამოიზარდა რომანი „პედრო პარამო“. ვინმე ხუან პრესიადოს დედამ სიკვდილის წინ დაუბარა, წადი

სოფელ კომალაში და მამაშენი პედრო პარამო მონახეო. გზაში ხუანს შემოეყრება ჩალანდარი აბუნდიო. თურმე ესეც პედრო პარამოს ნაბუშარია. მერე აღმოჩნდება, რომ პედრო პარამო უკვე ცოცხალი არ არის, არც ეს აბუნდიოა ცოცხალი და საერთოდ, სოფელში ცოცხალი არავინაა. ეს გარდაცვლილთა სულები საუბრობენ ერთმანეთთან. ამ საუბრებიდან ჩვენს წინაშე წარმოდგება პედრო პარამოს მთელი ცხოვრება და უბედური სოფლის ხვედრი. რომანი პირველი პირით იწყება, შემდეგ ავტორისეული თხრობა თანდათან იჭრება ტექსტში და ბოლოს მთლად გაბატონდება.

ქორწილში კლავენ ლუკას პარამოს და მედეა ლუნას მამულის მფლობელი ხდება მისი შვილი პედრო. იგი საკმაოდ ნიჭიერი ბავშვი იყო, იმთავითვე ალლო აულო საზოგადოებრივ ვითარებას. არსებობდა მხოლოდ ორი გზა: ან მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, ან სასტიკი მტაცებელი. ის მეორე გზას ირჩევს და არაფრის წინაშე არ ჩერდება. უპირველეს ყოვლისა, ამოხოცავს ყველას, ვინც კი იმ ქორწილში იყო. შემდეგ მეზობლებზე გადადის და მალე მთელი მხარე მის ხელში აღმოჩნდება. ოდნავ თუ ვინმე მოეწონა, მისი კერძი ხდება. სოფელი სავსეა მისი ნაბუშრებით. ბავშვობიდან მოსწონდა სუსანა სან-ხუანი. მოუკლა ქმარი, შემდეგ მამა და ნადილი აღისრულა, ოღონდ ესაა, მისი სიყვარული ვერ მოიპოვა. მთავარი აქ ის კი არაა, რომ ერთ კაცს შეუძლია ამდენი ბოროტება ჩაიდინოს, არამედ ის, რომ პედრო პარამოს წინააღმდეგობას არავინ უწევს, პირიქით, მისი მოქმედება ვაჟკაცობის ეტალონად ითვლება.

გადის დრო. მოხდა რევოლუცია, შემდეგ თავი წამოყო კონტრ-რევოლუციამ, აქ კი არაფერი იცვლება. პედრო პარამომ შეადგინა რაზმი, რომელიც მუდამ ძლიერისა და გამარჯვებულის მხარეზე იბრძვის. ოღონდაც, არც ბოროტების ძალაა უსაზღვრო. პედრო პარამო თანდათან განიცდის შინაგან რღვევას. უაზროდ იღუპება მისი რჩეული შვილი მიგელი. სუსანა უკურნებელი სენითაა შეპყრობილი. დაბოლოს, მის თვალწინ აბუნდიო კლავს პედროს ერთგულ მსახურს. მკვლელს იჭერენ, მაგრამ თვით პედროს სულში თითქოს სინდისის მაგვარი რაღაც იღვიძებს. ის უსაზღვრო მარტოობის გრძნობითაა შეპყრობილი: „მასში თითქოს ყველაფერმა იკივლა, მისი ყოველი იოგი ითხოვდა შველას, მაგრამ ხმამაღლა ერთი ბგერაც არ წა-

ლელად რაცის, ხოლო „პედრო პარამოს ძეგლისკის საუკეთესო რომანად მიიჩნევა. ფუნქციონირებს დაიბადა 1928 წელს მეხიკოში და აქვე გაიზარდა. მისი დაბადების წელს მოკლეს გენერალი ობრეგონი, რაც რევოლუციის ერთ-ერთი ბოლო აკორდი აღმოჩნდა. ამიერიდან ხელისუფლებას დაეუფლებიან ადამიანები, რომლებმაც გაყიდეს რევოლუცია და დემაგოგიურად თავიანთ თავს რევოლუციური ტრადიციების გამგრძელებლებად, რევოლუციის გმირების თანამებრძოლებად ასალებდნენ. ამ ოფიციალური მითოსის მხილებას მიუძღვნა ფუნქციონირმა თავისი ნაწარმოებები. „იმთავითვე ორი თემა მიპყრობდა, — ამბობს მწერალი, — ქალაქი მეხიკო — იდუმალი და უკარება — და ქვეყნის სოციალური სინამდვილე. ორივე თემა ეჯახება წარსულის გადმონაშთებს“.

„ახალი რომანი“ სხვა მწერლებისაგან განსხვავებით, რომლებმაც მითოსის დადებითი, რევოლუციური მხარე გამოიყენეს, ფუნქციონირს, პირიქით, წარმოაჩენს მის რეაქციულ, დამღუპველ თვისებებს. ეს ამკარად გამოვლინდა პირველსავე მოთხრობების კრებულში — „შენიღბული დღეები“* (1954). მაგალითად, მოთხრობა „ჩაკ-მოლი“. უბრალო ჩინოვნიკი შეიძენს ინდიელთა ღვთაების ქანდაკებას, ღვთაება გაცოცხლდება და ლუპავს თავის პატრონს...

1958 წ. კარლოს ფუნქციონირმა გამოაქვეყნა რომანი „უგამჭვირვალესი ჰაერის მხარე“. სახელწოდება მოდის ყველასათვის მოყიჩებული ოფიციალური ფრაზიდან, რადიოში წამდაუნუმ რომ ის-მოდა. რომანის ცენტრშია თვით ქალაქი მეხიკო. მასში გამოყვანილია მილიონერები, ქუჩის ქალები, ინტელიგენტები, პოლიტიკოსები, არისტოკრატები და ა. შ. ყველაფერი ეს მოცემულია ხან ეპიკური, ხან ლირიკული, ხან დოკუმენტური სტილით... რომანის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ფედერიკო რობლესი, მილიონერი, „ახალი ადამიანი“, ვინაც აღზევდა რევოლუციის ტალღაზე თავისი დაუნდობელი, მტაცებლური თვისებების წყალობით. „ვინც გაიმარჯვა, ის მართალია“, — ესაა რობლესის ლოზუნგი.

რომანი „მშვიდი სინდისი“ მომდევნო წელს გამოქვეყნდა. მასში გამოყვანილია პირველი რომანის ეპიზოდური პერსონაჟი — ადვოკატი ხაიმე სებალიოსი. მოქმედება იწყება ქალაქ გუანახუტოში, სადაც ხაიმე იზრდება. მან კარგად შეამჩნია ცხოვრების უკულმართობანი, მაგრამ ბრძოლის გზას „ქრისტეს გზა“ არჩია. ამ გზამ კი ის მიიყვანა იმ სამყაროში, რომელსაც გაურბოდა. ხაიმე ეპიზო-

* ძველ აცტეკურ კალენდარში წლის ბოლო ხუთი დღე უთარილო, გარდამავალი იყო.

დურად გამოჩნდება მწერლის მესამე რომანშიც. არტემიო კრუსი მას ეუბნება: „ნამდვილ ძალას მემამბოხე სული აღვიძებს... თქვენში კი, ახალგაზრდავ, უკვე არ არის ის, რაც საჭიროა... თქვენ, მეგობარო, ბანკეტის ბოლოს მოხვედით. იჩქარეთ, ნამცეცები მაინც აკრიფეთ“.

კარლოს ფუენტესის მთავარი რომანი „არტემიო კრუსის სიკვდილი“ გამოქვეყნდა 1962 წ. ნანარმოების გმირს არტემიო კრუსს ჩვენ ვხვდებით სიცოცხლის ბოლოს, ის მძიმე ავადმყოფია და კვდება. აქამდე არტემიო მოქმედებდა, ფიქრისათვის არ სცალოდა, ახლა კი შინაგანი სამსჯავროს წინაშე წარსდგა.

რომანის სტრუქტურა რთულია, ის წარმოადგენს გმირის შინაგან მონოლოგს და თითქოს სამ ნაწილადაა დაყოფილი — მე, შენ, ის.

პირველი პირით დახატულია არსებული სინამდვილე, ოთახი, სადაც ავადმყოფი წევს, მომვლენები, ტკივილი, გონების დაკარგვა... ამ ფონზე წარმოჩნდება მეორე პლასტი, სინდისი. იგი გმირს შენობით მიმართავს და უხსნის, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, არტემიო კრუსს რომ სხვა გზა აერჩია. აქედან ამოიზრდება ცალკეული ფრაგმენტები. ისინი მესამე პირითაა მოთხრობილი, ქრონოლოგიურად უწესრიგოდაა განლაგებული, მაგრამ შინაგანი ლოგიკის ძალით მკაცრად ორგანიზებული, რითაც ავტორი უდიდეს ეფექტს აღწევს.

არსებობს ოფიციალური მითოსი რევოლუციაზე, მაგრამ როგორია სინამდვილე? საკუთარ სინდისს ვერაფერს დაუმაღავ და აღმოჩნდება, რომ კრუსის ცხოვრება ეს არის ლალატის უწყვეტი ჯაჭვი. ჯერ კიდევ რევოლუციური არმიის ჯარისკაცმა ტყეში დააგდო დაჭრილი ამხანაგი, მერე მტერს რომ ჩაუვარდა, სიკვდილმისჯილმა თავი დაიძვრინა, ამით კი თანამებრძოლების დასჯა დააჩქარა... რევოლუციის შემდეგ ის მიხვდა, რომ „ყოველი ადამიანი შენი პოტენციური მტერია, რადგან ყოველი მათგანი წინააღმდეგობაა შენი სურვილების გზაზე...“ „შენ ისა ხარ, ვინცა ხარ, რადგან შესძელი ლაფში ჩაგეხრჩო სხვები და სხვებს არ ახრჩობინებდი თავს; შენ ისა ხარ, ვინცა ხარ, რადგან ვერ შესძელი ლაფში ჩაგეხრჩო სხვები და შენ თვითონ ჩაგახრჩვეს სიბინძურეში...“ მიუხედავად ამისა, სიკვდილის წინ არტემიო კრუსი ხედავს, თუ რა მდიდარი სულიერი, ადამიანური შესაძლებლობები გაუშვა ხელიდან. ამიტომაც, როცა მისი შვილი

ლორენსო ესპანეთის რესპუბლიკის დასაცავად მიდის („განა შენც ამას არ იზამდი მამა? შენც ხომ არ დარჩენილხარ სახლში?“), კრუსი გრძნობს, რომ შვილი სწორი გზით წავიდა. ლორენსო იღუპება. ის „ერთადერთია, ვისაც შენ გაიხსენებ რაღაცის გულისთვის... თერთრი ვერხვის დღეს, არტემიო — შენი შვილისა და შენს დღეს...“

„არტემიო კრუსის სიკვდილი“ ახალი ლათინურამერიკული რომანის ერთ-ერთ მწვერვალად ითვლება. მას შემდეგ მწერალმა კიდევ რამდენიმე რომანი დაწერა, მაგრამ ჯერჯერობით ისინი წინა მიღწევებს იმეორებენ.

* * *

„მე გავიზარდე არაკატეკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, სანტა-მარტის ახლოს მდებარე სოფლის დიდ სახლში... პაპაჩემი, კოლუმბიის სამოქალაქო ომის ჯრისკაცი, უჩვეულო კაცი იყო, ყველაზე უჩვეულო იმათთაგან, ვისაც კი ვიცნობდი. მე მხოლოდ რვა წლისა ვიყავი, როცა ის გარდაიცვალა. ბებიაც უჩვეულო ქალი იყო. მუდამ შავები ეცვა და აუარებელი ფანტასტიკური ამბავი იცოდა...“ გაბრიელ გარსია მარკესმა (დ. 1928) მხოლოდ რვა წელი გაატარა ამ სახლში და ცხოვრების ამ მონაკვეთმა ისეთი ზემოქმედება მოახდინა მის შემოქმედებაზე, რომ არაკატეკა და აქ მცხოვრები ადამიანები ყველა მის ნანარმოებში აღიბეჭდა. გაბრიელის დედა ქალაქის პირველი კაცის პოლკოვნიკ ნიკოლას მარკესის ქალიშვილი იყო, ხოლო მამა, გაბრიელ გარსია — უბრალო ტელეგრაფისტი. პაპის გარდაცვალების შემდეგ გაბრიელი მშობლებმა წაიყვანეს პატარა ქალაქ სიპაკირში და იქ ინტერნატში მიაბარეს. „მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში საინტერესო არაფერი მომხდარა“, — განაცხადა მწერალმა მოგვიანებით. 1946 წ. გაბრიელი შედის ბოგოტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ ლიბერალური პარტიის ლიდერის გაეტანას მკვლელობას მოჰყვა სამოქალაქო ომი, რამაც ასევე ათასობით სიცოცხლე იმსხვერპლა. გაბრიელი იძულებული გახდა კარტახენის უნივერსიტეტში გადასულიყო, მაგრამ მალე სწავლაზე გული აიცრუა. ის უკვე რამდენიმე მოთხრობის ავტორი იყო. 1950 — 1954 წწ. გარსია მარკესი ბარანკილიაში გაზეთის რეპორტიორად მუშაობს და ყოველდღიურ ქრონიკას აქვეყნებს. პირველად აქ გაბედა ბავშვო-

ბის შთაბეჭდილებების ვრცელ მოთხრობაში აღბეჭდვა. 1951 წ. მწერალმა დაამთავრა „ნემომპალა“. მოთხრობის მოქმედება ხდება პატარა ქალაქ მაკონდოში, ასე რომ ჰგავს არაკატეკას. ამბავი სულ ერთ საათს გრძელდება. პატარა ქალაქის ექიმმა თავი ჩამოიხრჩო და ახლა მის კუბოსთან შეკრებილან გადამდგარი პოლკოვნიკი, ქალიშვილი ისაბელი და პატარა შვილიშვილი. ამ პირთა განცდები შეადგენენ მოთხრობის სიუჟეტურ ჩარჩოს. ეს არის მარტოსული ადამიანების ამბავი. მომდევნო რომანებში მარტოობის ეს განცდა გლობალურ ფორმას მიიღებს.

1954 წ. გარსია მარკესი გადასახლდა ბოგოტაში და თანამშრომლობდა გაზეთ „ელ ესპექტადორში“. კოლუმბიაში ტერორი მძვინვარებს. ვიოლენსიამ (ასე უწოდებენ იმ პერიოდის მასობრივ ძალადობას) მოიცვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება. პარტიზანული რაზმები ებრძვიან მთავრობის ჯარებს. ამ სიტუაციაში გარსია მარკესმა პოპულარობა მოიხვეჭა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მის ერთ რეპორტაჟს, რომელიც შემდგომ ცალკე წიგნადაც გამოიცა: „მოთხრობა მეზღვაურზე, ვინაც გემის დაღუპვის შემდეგ უჭმელ-უსმელი ათი დღე ბალსის ხეზე ოკეანეში დაცურავდა, სამშობლოს ეროვნულ გმირად გამოაცხადეს, მზეთუნახავებმა კოცნით აავსეს, პაბლისიტის წყალობით გამდიდრდა, შემდეგ კი ყელში ამოუვიდა მთავრობას და უგზოუკვლოდ გაქრა“.

1955 წ. „ნემომპალა“ ცალკე წიგნად გამოიცა, მაგრამ მას წარმატება არ ჰქონია. იმავე წელს გარსია მარკესი „ელ ესპექტადორის“ კორესპონდენტად მიემგზავრება ევროპაში. საუბედუროდ, გაზეთი მალე დახურეს. გარსია მარკესი მცირე თანხით დარჩა პარიზში. დაიქირავა იაფფასიანი ბინა, ჩაიკეტა და შეუდგა რომანის წერას. ეს უნდა ყოფილიყო „უკეთური დროება“. მუშაობის პროცესში რომანი გადადო და დაწერა თავისი ერთ-ერთი შედეგრი — მოთხრობა „პოლკოვნიკს არავინ არ სწერს“. ავტორმა იგი თერთმეტჯერ გადაათეთრა და მაქსიმალურად შეამცირა. მოქმედება უსახელო ქალაქში ვითარდება. იგიც ძალიან ჩამოჰგავს მაკონდოს. მოქმედების დროა 1956 წ. ოქტომბერ-დეკემბერი. სამოქალაქო ომის გმირი პოლკოვნიკი უკვე ორმოცდაათი წელია ელის პენსიას და შიმშილით სული ძვრება. მისი ერთადერთი შვილი აგუსტინი პარტიზანებთან კავშირის გამო დახვრიტეს. პოლკოვნიკს ჰყავს

მოჩხუბარი მამალი, რომელიც შეუძლია ძვირად გაყიდოს. იგი დაძლევს წუთიერ ცდუნებას და უარს ეუბნება მდიდარ დონ საბასს, დაე, მამალმა იჩხუბოს. მისი გამარჯვება დაღუპული შვილის თუნდაც პატარა გამარჯვება იქნება.

1961 წლიდან გარსია მარკესი ცხოვრობდა მექსიკაში. აქ მან 1966 წ. გამოსცა „უკეთური დროება“. რომანში გადმოცემულია უხეში ძალადობისა და სისხლიანი ტერორის ატმოსფერო. თითო-ოროლა პატიოსანი, მაგრამ პასიური გმირი, აგერ ათი წელია მკვლელს ელის, მკვლელი კი არ მოდის. ამ დროს კი ტირანებს ხელები ხსნილი აქვთ და ერთ საშინელ სისასტიკეს მეორე მოსდევს. ეს საყოველთაო ბოროტება არამარტო ჩაგრავეს ქალაქს, არამედ შინაგანად ხრწნის, ალპობს. ცოტა უფრო ადრე, 1962 წ. გამოცემული მოთხრობების კრებული „მამა გრანდეს* დაკრძალვა“ თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. თვით მოთხრობაში „მამა გრანდეს დაკრძალვა“ ფანტასტიკურისა და რეალურის ის შეხამება გვაქვს, რაც შემდგომ აგრე გაიშალა მწერლის მთავარ რომანში. ყოვლადძლიერი მამა გრანდეს დაკრძალვაზე რომის პაპიც კი ჩამოდის... საარსებო წყაროს საშოვნელად მწერალი კინოსცენარსაც წერს, მაგრამ მისი სცენარით გადაღებულ ფილმს (ხუან რულფოს „პედრო პარამოს“ მიხედვით) მარცხი ელოდა.

1965 წ. იანვარში გარსია მარკესმა თავი მომზადებულად ჩათვალა ახალი რომანის დასაწერად: „რომანი იმდენად დასრულებულად წარმომიდგა, რომ მზად ვიყავი აქვე მეკარნახა პირველი თავი სიტყვასიტყვით“. მწერალმა უარი თქვა ყველა ხლშეკრულებასა და კონტრაქტზე, ოჯახის ამბები მთლიანად მეუღლეს მერსედესს გადააბარა და თერთმეტი თვით კაბინეტში ჩაიკეტა.

1967 წელს ბუენოს-აირესში გამოვიდა „მარტოობის ასი წელი“, რომელსაც მთელ მსოფლიოში უდიდესი წარმატება ხვდა წილად. პაბლო ნერუდას აზრით, ეს არის საუკეთესო რომანი, რაც კი დაწერილა ესპანურ ენაზე „დონ კიხოტის“ შემდეგ. რამდენად ჭეშმარიტია ეს განცხადება, ამას დრო გაარკვევს, მაგრამ ახლაც ცხადია, რომ „მარტოობის ასი წელი“ ახალი ლათინურამერიკული რომა-

* მამა გრანდე (ესპ.) — დიდი დედა.

ნის უდიდესი მიღწევაა. იგი უკვე ახდენს პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას მომდევნო თაობის მწერლებზე. გარსია მარკესის შემდგომი რომანია „პატრიარქის შემოდგომა“. მისი მთავარი პერსონაჟია დიქტატორი, ვინაც 168 წელი იცოცხლა და უკანასკნელი 50 წელი ხელისუფლების სათავეში იდგა. დიქტატორის საყვარელი საქმიანობაა თავდაცვის მინისტრების შებრანვა.

გარსია მარკესი აღფრთოვანებით შეხვდა კუბის რევოლუციას. რამდენიმე წელიწადი მუშაობდა „პრენსა ლატინას“ სააგენტოში. მან დიდი საქმიანობა გაშალა პინოჩეტის რეჟიმის წინააღმდეგ. ისიც კი განაცხადა, რომ სანამ ჩილეში ფაშისტური რეჟიმი არ გადავარდება, რომანს არ დავწერო. ბოლო დროს წერდა ნიგნს „კუბის ბლოკადის დღეები“.

გამოქვეყნების დღიდანვე „მარტოობის ასი წელის“ ირგვლივ დისკუსია არ შეწყვეტილა. ჟურნალ „ლატინსკაია ამერიკის“ მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაზე ა. გრიბანოვმა განაცხადა: „რომანის ჟანრის განახლება გამოიხატა იმაში, რომ გარსია მარკესი განთავისუფლდა იმ კანონებისაგან, რაც ახასიათებს ევროპულ რომანსა და შეერთებული შტატების რომანს, გავიდა მათი თემატური და პრობლემური ჩარჩოებიდან, უფრო მაღალ საფეხურზე აიწია ლათინური ამერიკის რომანისა და საზოგადოდ რომანის ხელოვნებაში“.

ძნელია ამ რომანის შინაარსის მოკლედ გადმოცემა. აქ ოცამდე მთავარი პერსონაჟია და აურაცხელი მეორეხარისხოვანი, რომელთაც თავის მხრივ არც თუ უმნიშვნელო ფუნქცია აკისრიათ. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ამ უზარმაზარ რომანში თითქმის შეუძლებელია ორი ერთნაირი პერსონაჟის აღმოჩენა. აქ არ არის არც ერთი სქემატური ტიპი, თუ არ ჩავთვლით მელქიადესს, ვინც კლასიკური ლიტერატურიდან გადმოსახლებულსა ჰგავს.

ტექსტის შინაარსი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მთავარი ღერძია თვით მაკონდო, მისი დაარსება იზოლირებულ, დროის გარეშე არსებულ სამყაროში, მისი განვითარება და დაღუპვა... შეიძლება სხვანაირადაც: ყველაფერი იწყება ურსულადან. მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ორ ძირითად შტოდ იყოფა, ისინი, ვისაც არქმევენ აურელიანოს და ისინი, ვისაც არქმევენ ხოსე არკადიოს; ანდა ასეც: ძირითადი კომპოზიციური ღერძი არის

ბუენდიების გვარის ექვსი თაობის მონაცვლეობა. ეს სქემები ოდნავადაც ვერ გადმოსცემენ რომანის არსს. მასში სხვადასხვა რაკურსით სხვადასხვანაირ განზომილებას აღმოვაჩინებთ. რუსი მკვლევარები ვ. კუტიევიკოვა და ლ. ოსპოვატი გამოყოფენ სამ განზომილებას: პირველი, მაკონდოს ასწლოვანი ისტორია პროვინციული კოლუმბიის განზოგადებული ისტორიაა; მეორე, მაკონდოს ბედში აისახა მთელი ლათინური ამერიკის ბედი; მესამე, ბუენდიების ოჯახის ისტორია ინდივიდუალისტური შეგნების მატარებელი ეპოქის ასახვაა, რომლის დასაწყისში დგას რენესანსის საქმიანი და ცნობისმოყვარე ადამიანი, ბოლოს კი XX საუკუნის შუა წლების განკერძოებული ინდივიდი. რომანიდან შეიძლება სამი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული ხაზი გამოვყოთ: ადამიანებისა და ბუნების ბრძოლა. ადამიანებმა აჯობეს ბუნებას. მერე მათი შთამომავლობა დასუსტდა და თანდათან დაეცა. ბუნებამ რევანში აიღო. ბუენდიების ბოლო შთამომავალს ჭიანჭველები შეჭამენ; სოციალური ენთროპია თანდათან ძლიერდება დახურულ, იზოლირებულ საზოგადოებაში, მიჰყავს ის სრულ დეზორგანიზებამდე, დაშლამდე და, საბოლოოდ, სიკვდილამდე; მესამე, მნიშვნელოვანი ხაზია მაკონდოს სპეციფიკური დრო, ის ხან ჩერდება, ხან აჩქარდება. ყველა ეს ნერტილი ნიგნის ბოლოს ერთიანდება.

მწერლის მთავარი იარაღია გროტესკი, სიცილი. ზემოდასახელებული მკვლევარები წერენ: „სიცილი ისმის ნიგნში თავიდან ბოლომდე და ყველა მის რეგისტრში — ქუჩური ხარხარიდან ელეგიურ ჩალიმებამდე. ბალაგანური მხიარულება, მრისხანე სარკაზმი, მსუბუქი იუმორი ძალდაუტანებლად თანაარსებობენ ერთმანეთის გვერდით... მაგრამ რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო სასაცილო გადაიზრდება ტრაგიკულში, ახირებულობასა და უგუნურობას თან მოსდევს მარტოობა, სიგიჟე, სიკვდილი. ერთმანეთის მიყოლებით იღუპებიან რომანის გმირები, მათი რიგი თანდათან მცირდება, დაბოლოს, აპოკალიფსური ქარიშხალი ალგვის პირისაგან მიწისა მათ მიერ შექმნილ სამყაროს“. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების ენას. თვით გარსია მარკესი აცხადებს, რომ მხოლოდ ამ რომანის წერის დროს მიხვდა, როგორი ენით უნდა ეწერა. „გაივლის მრავალი წელი და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გაიხსენებს...“

— ესაა პირველი ფრაზა, მაგრამ სხვა არაერთი თავიც ამგვარად ინწყება, ან კიდევ სიტყვებით: „Segun cuenta“ — „როგორც ამბობენ...“ მოყოლის ეს მანერა საშუალებას იძლევა ორგანულად შევურწყოთ ერთმანეთს ფანტასტიკური და რეალური და ორივე თანაბრად დამაჯერებელი გავხადოთ.

„მარტოობის ასი წელი“ „ახალი რომანის“ მწვერვალია. მასში აისახა მთელი ის მიღწევა, რაც გაბრიელ გარსია მარკესის თანამოკალმეებმა გამოიმუშავეს. თვით რომანში არაერთი ისეთი ადგილია, სადაც მწერალი საგანგებოდ მიგვანიშნებს ამ მწერლებთან თავის ნათესაობას. „მისთვის დამახასიათებელი მხიარული ეშმაკობით მან გამოსხატა მადლიერება თავისი მასწავლებლებისა და თანამებრძოლების მიმართ. მის რომანში ხოსე არკადიო ზღვებზე თავისი მოგზაურობის დროს შეხვდება ვიქტორ იუგის მეკობრული ხომალდის აჩრდილს (კარპენტერის „განათლების საუკუნის“ გმირია), ბანანის პლანტაციებზე გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელია მექსიკელი ლორენსო გავილანი, რომელიც ამტკიცებდა, თვით არტემიო კრუსის გმირობის მომსწრე ვარო (ორივენი ფუენტესის „არტემიო კრუსის სიკვდილის“ პერსონაჟია). თხრობის მანძილზე რამდენიმეჯერ გვხვდება ფრაზა, რომელიც ეკუთვნის ხუან რულფოს, ხოლო გაბრიელ მარკესი (რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია, ბუნდებისაგან მარტო ის გადარჩება) პარიზში ცხოვრობს ოთახში, სადაც მოკვდა როკამადური (კორტასარის „კლასობანას თამაშიდან“) (ვ. კუტიეშიკოვა, ლ. ოსპოვატი).

* * *

„რომანის შეთხზვა — ეს არის ამბოხება არსებული სინამდვილის წინააღმდეგ, ღმერთის წინააღმდეგ, ღმერთის ქმნილების წინააღმდეგ, როგორადაც თვლიან ამ სინამდვილეს. ეს არის გასწორების, შეცვლის, სინამდვილის გადალახვის ცდა, რომანისტის მიერ მოგონილი სინამდვილით მისი შეცვლის ცდა. მწერალი შეამბოხება: ის ქმნის არარსებულ ცხოვრებას, ქმნის სიტყვიერ სამყაროს ზუსტად იმიტომ, რომ უარს ამბობს არსებულზე... მისი მონოდების საფუძველია ცხოვრებით უკმაყოფილება; ყოველი რომანი ფა-

რული ღვთისმკვლელობაა...“ „ლიტერატურა შეიძლება მოკვდეს, მაგრამ ის არასოდეს იქნება კონფორმისტული“. ეს სიტყვები ეკუთვნის მარიო ვარგას ლიოსას და ითქვა მაშინ, როცა ოცდათერთმეტი წლის მწერალი 1967 წელს კარაკასში რომულო გალიეგოსის სახელობის პრემიას იღებდა.

მარიო ვარგას ლიოსა დაიბადა 1936 წელს ქალაქ არეკიპოში. მამამ ოჯახი მიატოვა და პატარა მარიო დედამ წაიყვანა ბოლივიაში, სადაც ცხრა წელი იცხოვრეს. შემდეგ ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე პატარა ქალაქ პიურეში. ამ ლატაკ ქალაქში ცხოვრებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მომავალ მწერალზე. მალე დედა შეურიგდა მამას და ყველანი ლიმაში დასახლდნენ. 1950 წ. ყმანვილი ლეონსიო პრადოს სასწავლებელში ჩარიცხეს.

1958 წ. ახალგაზრდა მწერალმა გამოსცა მოთხრობების კრებული „მეთაური“. იმავე წელს გაემგზავრა მადრიდის უნივერსიტეტში, სადაც დაიცვა დისერტაცია რუბენ დარიოს შემოქმედებაზე. მონაწილეობდა პერუს ტროპიკულ ექსპედიციაში. ჯერ კიდევ მადრიდში დაიწყო „ქალაქი და ძაღლები“, გადავიდა პარიზში და იქ მშიერ-მწყურვალმა ბოლომდე მიიყვანა. რომანი გამოიცა ორი წლის შემდეგ, 1963 წელს. საინტერესოა, ესპანეთში პრემირებული წიგნი პერუში ლეონსიო პრადოს პლაცზე დაწვეს, ხოლო სიტყვით გამოსულმა ორმა გენერალმა ავტორი პერუს მტრად გამოაცხადა.

რომანში აღწერილია ლეონსიო პრადოს სამხედრო სასწავლებლის სასტიკი სისტემა, სადაც დისციპლინას ყოველივე ადამიანური ეწირება. აქ ერთადერთი კანონი ძალის კანონია. ახლად მოყვანილ კადეტებს უფროსკლასელები სასტიკად სცემენ, აფურთხებენ, იატაკს ენით ალოკინებენ და სხვ. ასეთი მიღების შემდეგ კადეტებს, ე. ი. „ძაღლებს სერიოზული და დარბაისლური შესახედაობაც კი ჰქონდათ“. მათ წინაშეა დილემა: მორჩილება ან წინააღმდეგობა. ჯერ მეორე გზას დაადგებიან. ფეხებში ჩაიგდებენ უფროსკლასელებს. ოღონდაც, ძალადობის კულტი ყოვლისმომცველია. ძლიერი იმორჩილებს სუსტს, ერთადერთი მბრძანებელია მუშტი. სუსტის იარაღი კი ღალატი და დასმენაა. ასე ვითარდება ეს კომმარული ამბავი, რომლის დროსაც „ან შენ შეგსანსლავენ, ან შენ შესანსლავ“. ამის შედეგია მსხვერპლი, — რიკარდოს დაღუპ-

ვა... რომანის ბოლოს კადეტები საზოგადოების წევრები ხდებიან. მათი მოთხოვნები პირადულისა და მეშჩანურის მიღმა ვერ მიდის, მათ არ გააჩნიათ ილუზია.

1966 წ. გამოქვეყნდა რომანი „მწვანე სახლი“, სადაც უფრო გამოიკვეთა ვარგას ლიოსას შემოქმედებითი მეთოდი. რომანის შინაარსის გადმოცემა თითქმის შეუძლებელია. სხვადასხვა ამბავი ერთმანეთზე დაფენილი, ერთმანეთს კვეთენ, ხან თითქოს სრულიად შემთხვევითი ვითარებები წამოიწევა წინ და სხვ. ოთხი ჯარისკაცი ზემდეგითურთ და ორი მონაზონი ქალაქსანტა მარია დე ნიევას კათოლიკური მისიიდან სელვაში მიდიან, რათა ინდიელებს წაართვან გოგოები და ქრისტიანული სულისკვეთებით აღზარდონ. რასაკვირველია, მონაზვნები ცდილობენ სიკეთის დათესვას, მაგრამ თუ როგორ შებრუნდება ეს „სიკეთე“, ამისი ილუსტრაციაა ინდიელი ქალის ბონიფაციის თავგადასავალი. მისიიდან გაგდებული ბონიფაცია სერჟანტ ლიტუმის ცოლი ხდება, მერე კი ხელიდან ხელში გადადის და ბოლოს მოხვდება „მწვანე სახლში“, ე. ი. საროსკიპოში. იქვე ვითარდება პარალელური ხაზი — ბანდიტი ფურია თანდათან იმორჩილებს სელვას... თვით რომანის სახელწოდება მოდის შემდეგი გარემოებიდან: ლათინურ ამერიკაში ფართოდაა გავრცელებული რომანები სელვაზე, რომელსაც ხან „მწვანე ჯოჯოხეთს“ უწოდებენ, ხან „მწვანე ციხეს“ და ა. შ. „არა „ჯოჯოხეთი“ — ყველაფერი ბევრად უფრო ჩვეულებრივია. არა „ბანგი“ — პერსონაჟები მოვლენებს ფხიზელი თვალით უყურებენ. არა „ციხე“ — იქიდან ბოლოს და ბოლოს შეიძლება გამოსვლა. „სახლი!“ — მასში ადამიანები ცხოვრობენ, უბრალოდ ცხოვრობენ და ეს, შესაძლებელია, ყველაზე საშინელია“ (ვ. კუტიეშიკოვა, ლ. ოსპოვატი).

ვარგას ლიოსას მომდევნო რომანია „საუბარი „კათედრალში“ (1969). „კათედრალი“ ჩვეულებრივი სასაუზმეა, სადაც ორი ძველი ნაცნობი — ახალგაზრდა რეპორტიორი სანტიაგო სავალა და მამის ყოფილი შოფერი, ახლა სასაფლაოს მუშა სამბორ ამბროსიო, სხედან და იხსენებენ წარსულს. მთელი რომანი შედგება ამ ორი პიროვნების დიალოგისაგან. იგი ოთხი საათი გრძელდება, მაგრამ მოიცავს ქვეყნის განვითარების რვა წელს (1948 — 1956). წიგნში ოსტატურადაა ასახული პერუს საზოგადოება. მკითხველის თვალ-

წინ გაივლის სხვადასხვა მდგომარეობისა და ხასიათის პერსონაჟთა მთელი წყება. ფრაგმენტები, დაქუცმაცებული სტრუქტურა ერთ მთლიანობას ქმნის.

პოპულარობა მოიპოვა რომანმა „პანტელეონე და სტუმარი ქალები“. ყოჩაღი კაპიტანი პანტელეონე პანტოხა ლებულობს ბრძანებას, რომ სელვაში დაბანაკებული ჯარებისათვის საროსკიპო მოაწყოს. წიგნის გმირი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. რომანის მეორე პლანში ვინმე მესიამოციქულის ამბავია. იგი ჯერ ცხოველებს სწირავს ღმერთს მსხვერპლად, მერე ადამიანებსაც. საბოლოოს თვითონ მოციქულს აცვაშენ ჯვარს. პანტოხა კი ზედმეტი გულმოდგინებისათვის სასჯელს მიიღებს.

უნდა ითქვას, რომ „ახალი რომანის“ ავტორთაგან ყველაზე უმცროსი მარიო ვარგას ლიოსა ჯერაც აღმავალ გზაზეა.*

* * *

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე პარაგვაიმ ნათელი დღე ვერ იხილა. კოლონიალიზმის პერიოდში იგი იეზუიტების ხელში ჩავარდა. XIX საუკუნეში არგენტინისგან უნდა დაეცვა თავი. შემდეგ აქ გაბატონდა ხოსე გასპარ ფრანსია, ვინაც რიგი პროგრესული რეფორმა გაატარა, მაგრამ ქვეყანა სრულ იზოლაციაში მოაქცია და კულტურული ცხოვრება ჩაკვდა. ამას მოჰყვა „დიდი ომი“ (1864 — 1870), როცა არგენტინის, ურუგვაისა და ბრაზილიის გაერთიანებულმა ძალებმა თითქმის მთელი მოსახლეობა განყვიტეს. XX საუკუნეში იყო ომი გრან-ჩაკოში ბოლივიასთან. დაბოლოს, ერთიმეორეზე უსასტიკესი დიქტატურები ცვლიან ერთმანეთს და მათი წყალობით რესპუბლიკა ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა დედამიწაზე.

* ახლახან ქართულად გამოიცა „დეიდა ხულია და მჯღაბნელი“.

აუგუსტო როა ბასტოსი 1918 წ. დაიბადა და მისი ახალგაზრდობა გრან-ჩაკოს ომს დაემთხვა. ყმანვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. დემობილიზაციის შემდეგ ხელი მოჰკიდა ლიტერატურას, მაგრამ პარაგვაიში ბეჭდვა თითქმის შეუძლებელი იყო და რადიოში დაიწყო ლექციების კითხვა. გაზეთმა „ელ პაისმა“ ახალგაზრდა ლიტერატორი ევროპაში მიაგვლინა. სამშობლოში იგი მხოლოდ 1947 წ. დაბრუნდა. მწერლის ჩამოსვლას დაემთხვა დიქტატორ მორინიგოს წინააღმდეგ სახალხო აჯანყება, რომელიც დამარცხდა და ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედი იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო. ამ დღიდან როა ბასტოსიც არგენტინაში დამკვიდრდა.

1940 წელს 22 წლის როა ბასტოსმა გამოაქვეყნა პირველი წიგნი — „გარიჟრაჟის ბუღბუღი და სხვა ლექსები“. შემდგომ მან გამოაქვეყნა ლექსებისა და მოკლე მოთხრობების არაერთი კრებული. 1959 წ. მწერალმა გამოსცა თავისი საუკეთესო რომანი „დე კაცისა“. ამ წიგნმა ავტორს სახელი გაუთქვა არამარტო კონტინენტზე. პერუელმა კრიტიკოსმა მიგელ ოვიედომ რომანი ასე დაახასიათა: „ესაა მშვენიერი სიმღერა პარაგვაის სასტიკ და წამებულ ცხოვრებაზე. მასში ავტორი იყენებს რეალისტურ საშუალებებს, ქრონიკას, სამხედრო დღიურს, ხალხურ გადმოცემებს“.

რომანის მოქმედება ხდება ძირითადად ორ სოფელში — იტაპესა და საპუკაეში, ჩვენი საუკუნის 20 — 40-იან წლებში. კომპოზიციურად რომანი აგებულია ორი პირის დიალოგზე. ამასთან, კენტრიცხვით აღნიშნულ თავებში პირველი პირით ყველა იტაპეს ყოფილი მცხოვრები მიგელ ბერა, ხოლო წყვილი რიცხვით აღნიშნულ თავებში ანონიმური მოთხრობელი, ვინაც ეტყობა ძალიან ახლოსაა ხალხთან. აქედან პირველი ამბის პასიური მაცურებელია, მეორე — აქტიური მონაწილე, ერთის თხრობა ლირიკულია, მეორის — ეპიკური...

იტაპეს მცხოვრებმა მოხუცმა მაკარიომ თანასოფლელები დაარწმუნა, რომ ქრისტე მათ სოფელში ეწამა. ესაა მაკარიოს

ძმისწული, გიტარისტი გასპარ მორა, კეთროვანი ახალგაზრდა. ავადმყოფი სოფლიდან ტყეში წავა და იქ კვდება. თანასოფლელები პოულობენ მის მიერ გამოთლილ ფიგურას, სოფელში მოიტანენ, გორაკზე აღმართავენ და ამიერიდან მასზე ლოცულობენ. სოფელში ჩამოდის პადრე მასიასი. ის ცდილობს ორთოდოქსული დოგმები შეარიგოს სოფელთა ერეტიკულ წარმოდგენებთან და კერპს არქმევს „ტუპა-რაპეს“ („ღვთის გზა“). მაკარიო არ ეთანხმება, ქრისტეს ამ მალლობს „კუომბაე-რაპე“ („ადამიანის გზა“) უნდა ერქვასო.

გადის დრო. ახლა უკვე სხვა სიმბოლოა საჭირო. ესაა ვაგონი, რომელიც სიპუკაეში საშინელი აფეთქების დროს გადარჩა და მარტო, რელსისა და მატარებლის გარეშე, სადღაც გაგორდა. ამ ვაგონში შემდგომ ცხოვრობენ კასიანო ხარა და მისი ცოლი ნატივიდადი. აქ იზრდება მათი შვილი კრისტობალი, გუარანების ენაზე კირიტო (ქრისტე). ის გადაიქცევა სახალხო გმირად. ჩაკოს ომის დროს კირიტოს წყლის ცისტერნა მიაქვს მწყურვალე ჯარისკაცებისათვის და გმირულად იღუპება. სამწუხაროდ, მისი მკვლეელია ბერა, ვისაც წყურვილისაგან ჰალუცინაციები უჩნდება და ცისტერნიანი მანქანა მტრისა ჰგონია.

როა ბასტოსის ეს რომანი მრავალპლანია და როგორც „ახალი რომანის“ სხვა ნაწარმოებებში, აქაც მთავარია მარტოობის თემა, არა მარტო ინდივიდის მარტოობისა, არამედ მთელი ქვეყნისაც, რომელიც ისტორიულად იზოლაციაში მოექცა.

1975 წ. როა ბასტოსმა გამოაქვეყნა რომანი „მე — უმალლესი“. მისი მთავარი და ერთადერთი გმირია დიქტატორი ფრანსია, ვინაც თავის მდივანს პოლიკარპიო პატიოს კარნახობს პარაგვაის კანონიზებულ ისტორიას. „მე, რესპუბლიკის უმალლესი დიქტატორი ვბრძანებ: ჩემი გარდაცვალების შემდეგ თავი მოჰკვეთეთ ჩემს გვამს... ხოლო ჩემი მსახურები ჩამოახრჩვეთ“. კანონიზებულ ისტორიაში ყველაფერი ისეა, როგორც დიქტატორს უნდა რომ იყოს, მაგრამ პარალელურად ინერება მეორე, არაოფიციალური „პრივატული რვეულები“, სადაც დიქტატორის ქვეშეშეხილი ფიქსირებული... ფრანსია აქ წინასწარმეტყველებს მრავალ უბედურებას, რაც პარაგვაის მომავალში გადახდება...

* * *

„ახალი რომანის“ მწერლებს, როგორც ითქვა, ბევრი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან და სხვაობაც მათ შორის დიდია. ყველასაგან გამორჩეულად დგას არგენტინელი ხულიო კორტასარი. „თუ ასტურიასმა და კარპენტერმა, რულფომ და როა ბასტოსმა ეროვნული სინამდვილე გაიხადეს შესწავლის საგნად, აღმოაჩინეს მასში ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, კორტასარმა პირდაპირ ამ პრობლემებიდან დაიწყო და მხოლოდ შემდგომ მოსინჯა კონტინენტის თანამედროვეობაში მათი გადანყვევების გზები. თუ ყველაზე ცნობილი თანამედროვე ლათინურამერიკელი პროზაიკოსები, მიუხედავად ერთმანეთს შორის განსხვავებისა, ამოდიოდნენ ხალხური ყოფის ძირებიდან, კორტასარი მოდიოდა, ასე ვთქვათ, სანინაალმდეგო კურსით, მოპირდაპირე ნაპირიდან“ (ვ. კუტიეშიკოვა, ლ. ოსპოვატი). „თუ ლათინურამერიკული რომანის სხვა ოსტატების, მაგალითად, მარიო ვარგას ლიოსას თემა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „ლათინური ამერიკის გუშინდელი დღე დღევანდელობაში“, მაშინ კორტასარის თემა იქნება „ხვალინდელი დღე დღევანდელობაში“ (ი. ტერტერიანი).

ხულიო კორტასარი დაიბადა 1914 წ. ბრიუსელში არგენტინის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახში. ოთხი წლის ხულიო სამშობლოში ჩამოიყვანეს. „ბავშვობის წლები გავატარე ბანფიელდში, ბუენოს-აირესის გარეუბანში, — სახლში, სადაც უამრავი კატა, ძაღლი, კუ და შაშვი ჰყავდათ, — ერთი სიტყვით, ნამდვილ სამოთხეში. მაგრამ მე უკვე ადამი ვიყავი ამ სამოთხეში, რადგან ბავშვობიდან არ შემრჩა თუნდაც ერთი ნათელი მოგონება. უფროსების თავგასულობა, მწვავე მგრძობიარობა, სევდის ხშირი შემოტევა, ასთმა, ხელის მოტეხა, პირველი უბედური სიყვარული...“ საბედნიეროდ, ჩუმსა და მარტოსულ ბიჭუნას სკოლაში რამდენიმე კარგი მეგობარი გაუჩნდა. სკოლის შემდეგ ხულიო შედის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, მაგრამ ერთი წლის შემდეგ იძულებულია სწავლას თავი მიანებოს და სოფლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, რათა ოჯახს მატერიალურად დაეხმაროს. მრავალი წლის შემდეგ მას სთავაზობენ მასწავლებლის ადგილს მენდოსის უნივერსიტეტში. აქ ახალგაზრდა პედ-

აგოგი ანტიპერონისტულ მოძრაობაში იღებს მონაწილეობას, თანამდებობაზე უარს ამბობს და ბრუნდება დედაქალაქში, სადაც ძლივძლივობით შოულობს პატარა ადგილს წიგნის პალატაში. ოცდახუთი წლის ხულიო სცემს ლექსების წიგნს, რომელსაც ყურადღება არავინ მიაქცია. ამ მარცხმა მწერალს გული ვერ გაუტეხა. იგი წლების მანძილზე მუშაობს, დაბეჭდვას კი არ ჩქარობს. მხოლოდ 1946 წელს გაბედა პირველი ფანტასტიკური მოთხრობის გამოქვეყნება, ხუთი წლის შემდეგ კი მან გამოსცა კრებული „ბესტიარები“.

1951 წ. კორტასარი გადადის პარიზში და თარჯიმნად იწყებს მუშაობას იუნესკოში. მრავალი წლის შემდეგ მას შეეკითხნენ, შინ რატომ არ ბრუნდებიო. მწერალმა უპასუხა: „არგენტინაში პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეჯახებებს რომ ძლიერი რევოლუციური მოძრაობა მოჰყვეს, რომელიც ოლიგარქიისა და გორილების წინააღმდეგ გამოვა, მაშინ ჩემს იქ არყოფნას ვერაფერი გაამართლებდა. მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში იმ მცირედს, რაც შემიძლია გავაკეთო ასეთი მოძრაობისათვის, ვაკეთებ აქ, საფრანგეთში, ისევე როგორც საფრანგეთშივე ვმუშაობ კუბის რევოლუციის სასარგებლოდ“. მართლაცდა ხულიო კორტასარი ბევრს აკეთებს კუბის რევოლუციის მხარდასაჭერად. 1964 წ. მწერალმა გამოაქვეყნა მოთხრობა „შეერთება“. მისი მთავარი გმირის პროტოტიპია ერნესტო ჩე გევარა. მოთხრობა ეხება ცნობილ ეპიზოდს, როცა ფიდელ კასტროს რაზმი „გრანმიდან“ ნაპირზე გადმოვიდა. მაშინ თითქმის ცხრა ათეული კაციდან თორმეტი გადარჩა. ამ ბრძოლაში თვით ჩე გევარაც დაიჭრა. მოგვიანებით რევოლუციონერმა ეს ამბავი ასახა დოკუმენტურ წიგნში „რევოლუციური ომის ეპიზოდები“ (1963). კორტასარის მოთხრობას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ფრაზა ამ წიგნიდან: „მე გამახსენდა ჯეკ ლონდონის ძველი მოთხრობა...“

პარიზში ხულიო კორტასარი ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. ის უკვე ათეული წიგნის ავტორია და ერთნაირი ენერგიით მუშაობს პროზის, პოეზიის, ესეს ჟანრში. უკრაინელი ლიტერატორი ი. პოკალჩუკი პირობითად ორ ნაწილად ყოფს მწერლის პროზაულ ნაწარმოებებს: პროზა, სადაც აქტიურადაა გამოყე-

ნებული ფანტასტიკა, რეალური მოვლენები პირობითად აღინიშნება, და რეალისტურ-ფილოსოფიური პროზა, სადაც პოეტიკის სისტემაში პრინციპული როლი აკისრია კომპოზიციას.

ფანტასტიკური მოთხრობის ნიმუშად გამოგვადგებოდა, მაგალითად, „ყვითელი ყვავილი“. გმირს გააცნობენ ცამეტი წლის ბიჭუნას. ეს უკანასკნელი ავად ხდება და კვდება. გმირი ამ ბიჭუნაში საკუთარ თავს შეიცნობს; აღმოაჩენს, რომ თურმე ნამდვილი სიცოცხლით მხოლოდ ცამეტი წელი უცხოვრია... „ემმაკის ნერწყვი“ (კრებულიდან „საიდუმლო იარაღი“, 1959) გმირი რაღაც იდუმალ სცენას სურათს გადაუღებს, გაადიდებს და თავის გონებაში ალადგენს მომხდარის რეალურ არსს. საინტერესოა კორტასარის „ხრონოპებისა და ფამების ცხოვრება“. იგი ათიოდე წელი იბეჭდებოდა ჟურნალებში, 1962 წ. კი ცალკე წიგნად გამოიცა. ამ თანამედროვე ზღაპრებში მოქმედებენ უცნაური არსებები, მათი გარეგნული ნიშნები არცაა მოცემული: ხრონოპები (მეოცნებენი, ფანტაზიორები, პოეტები, შინაგანად თავისუფალნი, ეზიზღებათ პირობითობები), ფამები (ქველმოქმედნიც კი არიან, მაგრამ თუ ვინმე მათ ინტერესებს შეეხება, სასტიკნი ხდებიან) და ნადეიკები (გულუბრყვილონი, უსუსურნი, უბედურნი, ამავე დროს გულგრილნი ყველაფრის მიმართ, რაც მათ არ ეხება).

მწერლის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ვრცელი მოთხრობა „მდევარი“ (1959), რომლის გმირია ამერიკელი ჯაზისტი ჯონ კარტერი (მისი პროტოტიპია რეალური პიროვნება — საქსაფონისტი ჩარლი პარკერი), ვინაც ისეთ მუსიკალურ ინტერპრეტაციებს ქმნის, მისი ბადალი ქვეყანაზე არ არსებობს. ეს არის მომავლის მუსიკა. მაგრამ ჯონი მუდამ უკმაყოფილოა, ის სტიქიურად ცდილობს თავისი მუსიკით კაცობრიობის მომავალი დააჩქაროს. ჯონი იღუპება. საზოგადოებას კი რეალური ჯონის ნაცვლად სჭირდება ნილაბი, მუსიკალური კრიტიკოსის ბრუნოს მიერ შეთხზული. თვით ბრუნო ქველმოქმედია, თითქოს მხარში ედგა ჯონის, მაგრამ ის სალიერის კომპლექსითაა დაავადებული. ეს არის პარაზიტი, ვინც სხვისი გენიის ხარჯზე ცხოვრობს და ჯონი კარტერის დაღუპვის შემდეგ მის არსებობასაც აზრი არა აქვს.

1960 წ. გამოიცა კორტასარის პირველი რომანი „მოგებანი“. 60-იანი წლების არგენტინული საზოგადოების წარმომადგენლები

შემთხვევის წყალობით (მათ ლატარიით მოიგეს საგზურები) რამდენიმე დღე გემზე მოგზაურობენ. აქ არიან მილიონერი, კბილის ექიმი, მუშა, არისტოკრატი ქალი და სხვ. მათ შორის კი მარტოხელა კლაუდია პატარა შვილით ხორხეთი. მოგზაურობა ბედნიერად იწყება. მგზავრებს რიგიანად ემსახურებიან. ესაა, რომ მათ აკრძალული აქვთ კაპიტნის გემბანზე გასვლა და ეკიპაჟთან ურთიერთობა. არავინ იცის, თუ რას ნიშნავს ეს აკრძალვა, მაგრამ თავდაპირველად ამას ყურადღებას არ აქცევენ. მერე და მერე ეს შეზღუდვა მგზავრებს აღიზიანებს. ვრცელდება ხმა, კაპიტანს ტიფი შეყრიო. ამ დროს ავად გახდება პატარა ხორხე. მგზავრები ფიქრობენ, რომ ბავშვსაც ტიფი დაემართა. ხდება სტიქიური აჯანყება. საზოგადოება დაპირისპირებულ ჯგუფებად დაიშალა. სამი მამაკაცი იარაღს აიღებს ხელში, მათ შეუერთდება მუშა ატილიო. სხვები კი აჯანყების წინააღმდეგნი არიან. მეამბოხენი შეიჭრებიან კაპიტნის გემბანზე. სროლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრება ერთ-ერთი მეამბოხე მედრანო... წიგნში არაფერია ნათქვამი, თუ რატომ აიკრძალა გემბანზე გასვლა. ეს არც არის მთავარი. არც პატარა ხორხეს დამართნია ტიფი, ბავშვი გამოკეთდა. მთავარი ის არის, რომ ამ პატარა გემზე თითქოს მთელი არგენტინული საზოგადოება თავმოყრილი.

მეორე რომანი „კლასობანას თამაში“ (1963) თავისი ორიგინალობით დაუპირისპირდა მთელ საზოგადოებას — მის მორალს, ხელოვნებას, ენასაც კი. რომანის სახელწოდება ამოდის ბავშვების თამაშიდან. კლასობანას თამაშის დროს ბავშვი ზიგზაგებით მოძრაობს. ასევე მოძრაობს მთავარი გმირი ორასიო ოლივეირა. ეს ორმოცი წლის არგენტინელი ცხოვრობს პარიზში. ჰყავს მეგობრები. ისინი იკრიბებიან ბოჰემურ „გველის კლუბში“, უსმენენ ჯაზის ფირფიტებს, კამათობენ. შემთხვევით მათ ხელში ჩაუვარდებათ მწერალ მორელის არქივი, რაც დისკუსიის საბაზი ხდება. პარიზში ჩამოდის მაგა ავადმყოფი შვილით როკამადურით. მაგა ოლივეირას შეყვარებულია. ბავშვი ფაქტობრივად მიტოვებულია დედისაგან და იღუპება კიდევ. ოლივეირა სულმოკლეობას იჩენს და მეგობრები ზურგს აქცევენ. იგი ბუენოს-აირესში ბრუნდება. აქაურ მეგობრებთან ტრაველერთან და ტალიტასთან ერთად ხან ცირკში მუშაობს, ხან საგიჟეთში, ხან სად... ოლივეირა თანდათან კარგავს გარემოსთან ყოველნაირი კონტაქ-

ტის შეგრძნებას და გაუგებარია, საბოლოოდ ფანჯრიდან ვარდება თუ გიჟდება. ავტორის თქმით, მანაც არ იცის რა დაემართა ოლივერ-რას. ეს მოკლე შინაარსი ეხება ნიგნის „ამ მხარეს“, რაც ნებისმიერი მკითხველისათვის მისანვდომია. ვისაც მარტო „ამბავი“ აინტერესებს, მისთვის ეს საკმარისია. სხვებს კი შეუძლიათ იგივე ამბავი წაიკითხონ „იმ მხრიდანაც“. არის ერთი ნაწილიც „სხვადასხვა მხრიდან“, მას აქვს ქვეთავი „თავები, რომელთა გამოტოვება შეიძლება“. ეს ნაწილი ვითომდა მწერალ მორელის ციტატებისაგან და ოლივერას ცხოვრების ცალკეული ეპიზოდებისაგან შედგება. ნიგნის წინასიტყვაობაში მოცემულია ცხრილი. მკითხველს მასზე დაყრდნობით შეუძლია თავები სხვა თანმიმდევრობით წაიკითხოს და მაშინ იგივე რომანი სულ სხვანაირი ასპექტით წარმოუდგება.

მომდევნო რომანის — „62-ე მოდელი ასანყობად“ (1968) სახელწოდება მიღებულია „კლასობანას თამაშის“ 62-ე თავიდან, სადაც მორელი ყვება ახალი ტიპის რომანის შესახებ. ეს რომანი უნდა შედგებოდეს ცალკეული ფრაგმენტებისაგან. მათ მკითხველი თავის ნებაზე დაალაგებს, ერთნი — ერთნაირად, სხვები — სხვანაირად... ასერიგად შეგვიძლია მივიღოთ სხვადასხვა ლოგიკური კომბინაცია. სიუჟეტურად რომანი წარმოადგენს „ზონისა“ და „ქალაქის“ დაპირისპირებას. „ზონა“ პარიზელთა წრეა (ექიმი-ანესთეზიოლოგი, თარჯიმანი, მხატვარი ქალი, სკულპტორი, სტუდენტი გოგონა და სხვ.). ისინი საღამოობით იკრიბებიან კაფეში და ერთობიან სიცილ-თამაშითა და პარადოქსებით. „ქალაქი“ კი გმირების მიერ მოგონილი იდეალია.

1973 წ. გამოვიდა რომანი „ნიგნი მანუელისათვის“. ახალგაზრდა მემარცხენე ორგანიზაციის წევრები — არგენტინელი მარკოსი და ოსკარი, ცოლ-ქმარი შუშანა და პატრისიო, ბრაზილიელი ერედია, პანამელი გომესი, ფრანგები როლანი, ლიუსენი და მონიკა არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ჯანყდებიან. მათი რევოლუციონერობა თავდაპირველად სკანდალური გამოსტომებით შემოიფარგლება. მერე გადანყვეტენ სერიოზულ საქმეს მოჰკიდონ ხელი. ჩადიან პარიზში, სადაც მათ უნდა მოიტაცონ მაღალი თანამდებობის ლათინურამერიკელი დიპლომატი, რათა გამოსასყიდად მოითხოვონ პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება. ოპერაციამდე რამდენიმე საათი რჩება. რევოლუციონერები შეყრილან ერთ ოთახში და

იმით ერთობიან, რომ გაზეთებიდან ჭრიან სხვადასხვა ციტატებს და აწებებენ ალბომში. ამ ალბომს პატარა მანუელს უტოვებენ, რათა მან იგი სახელმძღვანელოდ გამოიყენოს. ნიგნი ერთგვარად „კლასობანას თამაშს“ ჰგავს, მაგრამ იგი საგრძნობლად წინ გადადგმული ნაბიჯია. ერთ-ერთი პერსონაჟი — ანდრეს ფავო, რომელიც ოლივერას ალიკვალაია, საბოლოოდ დაძლევეს ინდივიდუალიზმსა და ბარიკადებზე საბრძოლველად მიდის...

* * *

ბოლო ოცი წლის ბრაზილიური ლიტერატურა მეტად ხვავრიელი და მრავალფეროვანია. აქ ყოველწლიურად სხვადასხვა მიმართულების მრავალი ათეული რომანი იბეჭდება. „ახალი რომანის“ თვალსაზრისით საინტერესოა ორი სახელი: ჟორჟი ამადუ და ჟოან გიმარაენს როზა.

ჟორჟი ამადუს (დ. 1912) შემოქმედება თავდაპირველად არ სცილდებოდა რეგიონალური რომანის სპეციფიკურ ფარგლებს. თავის რომანებში ის ცდილობდა მხატვრულად აესახა მშობლიური შტატის ბაიას ყოველდღიური ცხოვრების სურათები. ომამდელი პერიოდის ექვსი რომანი ხალხის არსებობის სხვადასხვა ასპექტს წარმოგვიდგენს: „კარნავალის ქვეყანა“ (1931) ინტელიგენტთა ცხოვრებას გვიხატავს, „კაკაო“ (1933) შტატის სამხრეთ ნაწილის პლანტაციითა მცხოვრებლებს გვაცნობს; „ოფლი“ (1934) ქალაქის გარეუბნების მცხოვრებთა შესახებ გვიყვება; „ჟუბიაბა“ (1935) ზანგთა ცხოვრებას ეხება; „მკვდარი ზღვა“ (1936) და „ქვიშის კარიერის კაპიტნები“ (1937) მანანალა ბავშვების უსიხარულო არსებობას გვიჩვენებს.

ომის წლებში ჟორჟი ამადუმ გამოსცა დილოგია: „უკიდევანო მინები“ (1943) და „ქალაქი ილეუსი“ (1944, თარგმნილია ქართულად). ამ ორ ნიგნში აისახა „კაკაოს მხარის“ ისტორიული ბედი. ამათ გარდა მწერალი ამავე პერიოდში აქვეყნებს მხატვრულ-პუბლიცისტურ ნიგნებს „კასტრო ალვესი“ (1941) და „ცხოვრება ლუის კარლოს პრესტესისა, იმედის რაინდისა“ (1942). ამ დროს მწერალი ემიგრაციაში იმყოფება (1937 წლიდან). 1942 წ. ბრაზილია ანტი-ჰიტლერული კოალიციის მხარეზე ებმება ომში. ამადუ შინ ბრუნ-

დება, მაგრამ მას აპატიმრებენ და ბაიაში ასახლებენ. აქ 1946 წ. აქვეყნებს ახალ რომანს „წითელი ჯეჯილი“, სადაც მოთხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთის ერთი გლეხური ოჯახის ბედზე, გვალვამ რომ აყარა და უდაბური სერტანების გზაზე დააყენა.

1947 წ. ჟორჟი ამაღუ იძულებულია კვლავ ემიგრაციაში წავიდეს. 1952 წ. მან გამოაქვეყნა სქელტანიანი რომანი „თავისუფლების იატაკქვეშეთი“. იგი მიეძღვნა ბრაზილიელი კომუნისტების ბრძოლას. რომანი უნდა ყოფილიყო დილოგიის პირველი ნაწილი, მაგრამ მწერალი მომდევნო წლებში ღრმა კრიზისის განიცდიდა. მან გადაახალისა მთელი თავისი სამწერლო ლაბორატორია და ახალი გზების ძიებას შეუდგა, რისი შედეგი იყო ის მრავალრიცხოვანი რომანები, რომლებმაც ამაღუს მტკიცე ადგილი დაუმკვიდრეს „ახალი რომანის“ ლიდერებს შორის.

1958 წ. გამოცემულმა რომანმა „გაბრიელა“ მკითხველთა აჟიოტაჟი გამოიწვია. ესაა რომანტიკული ნაწარმოები სერტანებიდან მოსულ მშვენიერ გაბრიელაზე, ვინაც თავისი ბატონის ცოლი ხდება, მერე კი ტოვებს მას, სიმდიდრესა და ფუფუნებაში ცხოვრებას ურჩევნია საკუთარ ადამიანურ სანწყის აჰყვეს (თარგმნილია ქართულად). სამი წლის შემდეგ გამოიცა „ძველი მეზღვაურები“. იგი შედგება ორი მოთხრობისაგან. პირველ მათგანში ვინმე კინკასს, ყოფილ მოხელეს ყელში ამოუვიდა ჩინოვნიკურ-მეშჩანური ცხოვრება, მიატოვა ოჯახი და გალოთდა, ლოთობაში მოკვდა. მის მანანალა მეგობრებს არ სჯერათ კინკასის სიკვდილი და ცოცხალივით დაატარებენ ქალაქში. ხანდახან ზღვარიც კი იშლება სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, მკითხველს ეჩვენება, რომ კინკასს ჯერ კიდევ შეუძლია არჩევანის გაკეთება. როგორც ძველ მეზღვაურს შეეფერება, ის ზღვაში დაკრძალვას ირჩევს. მეორე მოთხრობაში გადმოცემულია არანაკლებ მხიარული ამბავი შორეული ზღვაოსნობის კაპიტანზე, ვინაც გემზე არასოდეს ყოფილა. „ღამის მეხრები“ (1964) ასახავს ბაიას მატა-გატოს უბნის მცხოვრებთა არსებობას. აქ არის, ერთი მხრივ, შეტაკება პოლიციასა და ქალაქის ხელისუფლებთან; მეორე მხრივ კი ფანტასტიკური ელემენტები, მაგალითად, ღმერთი ოგუნი მიდის ღარიბი გლეხის ნათლობაზე. „დონა ფლორი და მისი ორი ქმარი“ (1966) — ესაა ამბავი მშვენიერი ქალისა, რომლის პირველი, ლოთი და ვიგ-

ინდარა, ქმარი გარდაცვლილია, მეორე კი დარბაისელი და კეთილი, მაგრამ მოსაწყენი მეაფთიაქეა. დონა ფლორი ორივესთან ცხოვრობს, უფრო სწორად, პირველი ქმარი-მოჩვენება თავს ევლება, ეფერება, კუდში დასდევს. ეს არის დონა ფლორის საიდუმლო. მომდევნო რომანს — „საოცრებათა დუქანი“ უდიდესი წარმატება ხვდანილად. იგი ბრაზილიის საზოგადოებაში რასიზმის თემას ეხება. დიდი ინტერესი გამოიწვია რომანმა „ბრძოლისაგან დაღლილი ტერეზა ბატისტა“. ნაწარმოები ხუთი დამუკიდებელი ნაწილისაგან შედგება. ხუთივეს ცენტრალური პერსონაჟია თვით ტერეზა. პირველში „სელვის ველურ გოგონას“ მონად ყიდიან, მის მხრებზე სამყაროს მთელი უბედურება გადაივლის, მაგრამ ის მაინც არ ტყდება. დაბოლოს, ტერეზას ქორწილზე მოდიან ავტორის ძმა და ავტორის მეუღლე დონა ზელია, რომლებმაც ტერეზას საჩუქარი მიართვეს თვით ლალუსაგან, ე. ი. ავტორის დედისაგან. ამ რომანებში ფართოდ გაიშალა ჟორჟი ამაღუს დიდი ნიჭიერება. ნიგნიდან ნიგნი სულ უფრო ღრმად და თამამადაა შემოტანილი ჭეშმარიტი ხალხური სანწყისი, ეხება მითოსს, ფოლკლორს, ენას თუ ფსიქოლოგიას... თვით ავტორი ამაზე შენიშნავს: „მე უნდა გითხრათ, რომ არც ერთ ჩემს ნაწარმოებში ხალხი არ წარმოგვიდგება დამარცხებულად, მოტეხილად, განადგურებულად, როგორი ტრაგიკულიც არ უნდა ყოფილიყო ვითარება, რომელშიც ჩავარდნილია ჩვენი ქვეყანა...“

„ახალი რომანის“ სპეციფიკის თვალსაზრისით აღსანიშნავია ჟოან გიმარაენს როზას შემოქმედება. მწერალი დაიბადა 1908 წ. მინას-ჟერაისის შტატში, ხოლო გარდაიცვალა 1968 წ. რიო-დე-ჟანეიროში. განათლებით ექიმი იყო. გამოსცა ნოველების რამდენიმე კრებული: „საგარინა“ (1946), „კორდებალეტი“ (1956) „პირველი ისტორიები“ (1962). მათში აისახა ბრაზილიელი ხალხის ფსიქოლოგია და ენის თავისებურებანი. 1956 წ. მწერალმა გამოაქვეყნა რომანი „დიდი სერტანების ბილიკები“. ეს არის გლეხის მონოლოგი. ნიგნის გმირი გვიყვება თავის ცხოვრებაზე, სიმართლის ძიებაზე... რომანი ქმნის სერტანების ფართო პანორამას, აღადგენს სერტანეჟოს მეტყველებას, მის რეალურ სამყაროს. გასაოცარია მისი სტილური დახვეწილობა. ბრაზილიაში რომანმა დიდი პოპულრობა მოიპოვა.

„მაგიური რეალიზმის“ ანუ „ჭალუცინაციური რეალიზმის“ პრინციპები ფართოდ შეიჭრა ბრაზილიურ დრამაშიც. არიანო სუასონის დრამაში „წარმოდგენა თანამგრძობელზე“ ასახულია მეორედ მოსვლა, როცა „შავკანიანი ქრისტი“ მანუელი, ეყრდნობა რა იდეალურად გაგებულ ქრისტიანულ მორალს, მსაჯულის როლში გამოდის. „განა მე ამერიკელი ვარ, რასობრივი ცრურწმენა მქონდეს“, — ამბობს იგი. მას უპირისპირდება ეშმაკი — ბოროტი ფარისეველი პლანტატორის ტანსაცმელში. მაგრამ ჟოანა გრილო (ხალხი) უარყოფს ასეთ სამსჯავროს, გამოსწორების იმედით ათავისუფლებს ცოდვილებს და ბრუნდება მინაზე, რადგან მას არ სჭირდება არც სამოთხე, არც განსანმენდელი, მას მხოლოდ მინიერი ცხოვრება უნდა. ვინისიუს დე მორაისის დრამაში „ორფეოსი აღმზევებული“ ტრამვაის ვაგმანს ისეთი მუსიკალური ნიჭიერება აქვს, რომ მის სიმღერებს მზის ამოყვანა შეუძლია. ალფრედო დიას გომესის პიესაში — „ალთქმის აღმსრულებელი“, გლეხი ზე (მეტსახელად ზევირი), წმინდა ბარბარას ალთქმას დაუდებს, რომ მიართმევს შესანიშნავს, თუ იგი სახედარს მოარჩენს. ოლონდაც, ზე ალთქმას დებს ზანგთა ზეიმზე „კანდომბლეზე“, რითაც უპირისპირდება ეკლესიას, ამით კი მთელ სახელმწიფო იერარქიასაც. დრამატურგის სხვა პიესის — „ოდორიკო, ვინაც ყველას უყვარს“ პერსონაჟია პატარა ქალაქის პრეფექტი. მან დიდი შრომით და რუდუნებით ქალაქის სასაფლაო მოაწყო და სურს საზეიმოდ გახსნას, მაგრამ არავინ კვდება. პრეფექტი წვრილი ინტრიგებით ცდილობს მოვლენის დაჩქარებას, მაგრამ ამასობაში თვითონ მოკვდება. უნდა ითქვას, რომ ალფრედო დიას გომესი ამავე დროს ბრწყინვალე ტელე-ნოველისტია. ბრაზილიური ტელე-ნოველები, როგორც ნესი, აურაცხელი სერიისაგან შედგება. მაგალითად, დიას გომესის ტელე-ნოველა „მინაზე როგორც ცაზე“ ეკრანებზე გადიოდა ყოველ საღამოს მთელი ორი წლის მანძილზე.

ბრაზილიურ ლიტერატურასა და კულტურაში სრულიად უნიკალური მოვლენაა სერჟიო პორტო. იგი დაძაბულმა შრომამ, გულის სენმა და მტრების სიძულვილმა ორმოცდახუთი წლის ასაკში მოკლა. მისი სატირით სავსე ქრონიკა სტანისლავ პონტე პრეტოზე გაზეთში ყოველდღიურად იბეჭდებოდა 1955 წლის 22 ნოემბრიდან 1968 წლის 30 სექტემბრამდე, ე. ი. სიკვდილამდე. ამ გამირზე ჟორჟი

ამადუმ თქვა: „სტანისლავის ფიგურის შექმნა — ესაა ლიტერატურული გამირობა... ეს პერსონაჟი ერთსა და იმავე დროს თეზაც არის და ანტითეზაც, ის ჩვენი ეპოქისა და რიო-დე-ჟანეიროს დონ-კიხოტია, დონ-კიხოტი, რომელსაც რალაცა აქვს რაბლედან და ძალიან ბევრი მარკ ტვენიდან“. ის იყო არამარტო მწერალი, ყოველ საღამოს მას მიჰყავდა საკუთარი პროგრამა ტელესტუდიაში, მერე მიდიოდა თეატრში, სადაც დგამდა წარმოდგენებს, წერდა მუსიკას. მისი მოგონილია ათასობით ახალი სიტყვა და იდიომა, მათ შორის „ბოსა-ნოვა“. მისი აფორიზმები უმაღვე მთელ ბრაზილიას მოედებოდა. მაგალითად, „ბრაზილია ისეთი სისწრაფით იხევს უკან, რომ, ვინც ვერ მოასწრებს კაბრალის კარაველაში ჩაჯდომას, შეიძლება ინდიელად გადაიქცეს“, ანდა „მდინარეში, სადაც ბევრია პირანია, ნიანგიც კი იძულებულია ზურგზე იცუროს“.

* * *

ახალი ლათინურამერიკული რომანის აღზევებამ ერთგვარი აჟიოტაჟი გამოიწვია. გაჩნდნენ ავტორები, რომლებმაც ისარგებლეს ამ ინტერესით და ხელი მოითბეს. საბედნიეროდ, „ახალი რომანის“ ლიდერები არ აჰყვნენ ამ ცდუნებას. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ „ახალმა რომანმა“ გაიარა გარკვეული ეტაპი და აქ გამოიკვეთა ორი საშიშროება. ერთი „ახალ რომანს“ უბიძგებენ ნეო-ვანგარდიზმისაკენ, სადაც, როგორც ვ. კუტიეშიკოვა და ლ. ოსპოვატი წერენ, „ერთგულება ეროვნული სპეციფიკისადმი პროვინცილობად ცხადდებოდა, ხოლო რევოლუციონერობას ცვლიდნენ „ენის რევოლუციური განადგურებით“. ამ მიმართულების დამცველი გახდა კარლოს ფუენტესი. მისი რომანი „კანის შეცვლა“ (1967) მკითხველისათვის ძნელად გასაგებია. ერთგვარი ხარკი მას გადაუხადა აგრეთვე ხულიო კორტასარმა. მეორე საშიშროება მოდიოდა დოგმატიკოსთაგან, რომლებიც უარყოფდნენ ყოველწიარ ექსპერიმენტს. ამ დისკუსიების მიუხედავად, კვლავ იწერება ახალი წიგნები. მათ შორის საინტერესოა პერუელი მანუელ სკორსას რომანები „სამგლოვიარო მარში სოფელ რანკანის გამო“ (1970) და „უჩინარი გარაბამბოს თავგადასავალი“ (1972). პირველი მათგანი ერთგვარი პოლემიკაა ხუან რულფოს „პედრო პარამოსთან“. აქაც სოფელ რანკანის დაბოცილი მცხოვრებლები საფლავებიდან სა-

უბრობენ, ოღონდ მათ აინტერესებთ ამქვეყნიური, მიწიერი ამბები. მეორე რომანში გარაბამბო ინდიელთა მეამბოხე ბელადია, ვისაც გაუჩინარების უნარი აქვს.

ლათინურ ამერიკაში „ახალი რომანის“ წარმოშობით არ შეწყვეტილა სხვა მიმდინარეობების არსებობა. პირიქით, ფართოდ ვითარდებოდა კლასიკური ფორმის რომანები, რომელთაც ღრმა ფესვი აქვთ გადგმული. კვლავ ინერება ინდიხენისტური რომანები, რეგიონალური რომანები...

ლათინური ამერიკის ლიტერატურული მომავალი კიდევ უფრო ბრწყინვალედ გვესახება.

ჟურნ. „ნიანგი“, 23, დეკემბერი, 1990.

„ნიანგის“ ორი გვერდი

ბევრი იფიქრა გორბაჩოვმა

პირდაპირ მხიბლავს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მჭევრმეტყველება! ამდენს და ამნაირად ლენინიც არ ლაპარაკობდა. სტალინი ხომ სიტყვას ტყვიასავით ისროდა, მომჭირნედ, მაგრამ სასიკვდილოდ. ხრუშჩოვს ინტელექტის სიღარიბე ხელს სულაც არ უშლიდა, რომ მრავალსაათიან ქადაგად დავარდნილიყო. ბრეჟნევი სხვის ტექსტს ძლივს ლოლნიდა და, მგონი, თვითონაც არ ესმოდა, რითი გვმოძღვრავდა. საბედნიეროდ, ძლივს გვეღირსა ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც არა მარტო დემოკრატიისაკენ მიგვიძღვება, დემოკრატიულად გვმოძღვრავს. იგი დემოკრატიულად ჩვენს მაგივრადაც ფიქრობს...

ამაწლის 21 ნოემბერს მის პრესკონფერენციას ვუსმენდი. მიხეილ სერგის ძემ ჟურნალისტებს გაანდო: ბევრი ვიფიქრე, ავწონდავწონე და დავასკვენი, რომ ჩვენ, ე. ი. რესპუბლიკები, უერთმანეთოდ ვერ გავძლებთო! მართალია, კონსტიტუციაში გვინერია, რომ რესპუბლიკებს უფლება აქვთ გავიდნენ კავშირიდან, მაგრამ მე იმდენი ვიფიქრე („რაზმიშლიალო“), რომ მივხვდი, ეს შეუძლებელიაო! შეუძლებელი კი იმიტომ არისო, რომ შეუძლებელიაო და ა. შ.

მოკლედ, რაკი პრეზიდენტმა იფიქრა, მასთან კამათი მართლაც შეუძლებელია! იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე დღეში პოლიტიკურ დამარცხებას დაგვპირდა, ჩვენ მიერ არჩეულ ლიდერებს აგდებით მოიხსენიებდა, ეჭვი შემეპარა, რომ იმავე დემოკრატიული წესით ხომ არ გვიპირებს ძმურ კავშირში დატოვებას, რა მეთოდითაც ცხრა აპრილს გვტოვებდნენ-მეთქი! საოცარია, მაგრამ ამოდენა იმპერიის პრეზიდენტს მისი ინფორმატორები ან უსინდისოდ ატყუებენ, ან იგი ჩემზე ნაკლებ ინფორმირებულია, ანდა, ენას მოვიკვნეტ, მაგრამ მაინც ვიტყვი, ალბათ, განგებ, გვატყუებს-მეთქი! საქმე ის გახლავთ, რომ მიხეილ სერგის ძეს ბალტიისპირეთიდან მხოლოდ საკუთარი ეროვნების მოქალაქეთა

ხმები ესმის (ისიც „გუმინდელთა“ დიქციაზე დაყენებული!), საკუთარი ჯარისკაცების ღირსებების გარდა სხვათა ღირსებებს არ ცნობს, ლანდბერგისა და პრუნსკენეს ისე მოიხსენიებს, თითქოს ისინი ხალხის არჩეულნი კი არა, სადამ ჰუსეინივით და ჩაუშეს კუსავით (ადრინდელი მეგობრები, ახლანდელი მტრები) სამხედრო გადატრიალების გზით, ანდა ხელისუფლების უზურპაციით მოხვდნენ თავიანთ თანამდებობებზე!.. საქართველოზე მსჯელობის დროს კი სულაც არ არსებობს ხმები ესმის, ირონიით მოიხსენიებს „ახალ დემოკრატებს“ და ხალხს შევეკითხოთო, იმეორებს!.. თან ვითომ არ იცის, რომ მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები სწორედ ხალხის ერთიანი ნების გამოხატულება რომ არის!.. ვილოცოთ უფალზე, რომ ბატონმა პრეზიდენტმა ნაკლებად იფიქროს, თორემ, ვინ იცის, ხვალ-ზეგ, იქნებ, ერთი-ორი კაცუნა მაინც „გამოძერწოს“, ვინც ოცდაათი ვერცხლისათვის კრემლში ეწვევა და მის სამოკავშირეო ხაფანგში (უკაცრავად, ხელშეკრულებაში) „ნებაყოფლობით“ გაებმება!

პოლიტიკური ანეკდოტები

პოეტი ზ. მ. ზღვაზე ისვენებდა. რუსი ოფიცერი გაიცნო, კაი კაცი იყო და ერთმანეთი მოეწონათ.

— ეჰ! — ამოიოხრა რუსმა, — რა იქნებოდა, ყველა რომ რუსულად ვლაპარაკობდეთ?

— რატომ რუსულად?! — ეწყინა პოეტს. — უმჯობესია, ყველამ ქართულად ვილაპარაკოთ, ერთმანეთს მაშინაც კარგად გავუგებთ!

— რას ამბობ? — გაოცდა რუსი, თან ქედმაღლურად დაამატა: — ჩვენ ხომ რუსები ვართ!

მწერალმა ჯ. ქ-მ ზღვაზე რუსი მაიორი გაიცნო. იმ მაიორს კახა ცოლი ჰყავდა. პლაჟის კოსტიუმში გამონწყობილი, მავან შავგვრემანს გამოსდებდა მკლავს და დაუყვებოდა ნაპირს მოფარებულ ადგილამდე. ქმარი კი თავჩაქინდრული იჯდა ქვიშაში და ბოლმით ამბობდა:

— დედას ვუტირებთ მაგ რუმინელებს, არ ვუნდივართ, ხომ?!
ეს ის დრო იყო, როცა რუმინეთმა რუსების სამხედრო მრჩეველები გააძევა. ამ სანყალ მაიორს საკუთარი ცოლი ვერ დაემორჩილებინა და მთელი ქვეყნიერების დამორჩილებასა და დასჯას ლამობდა.

არაფორმალებმა დაიჟინეს, არ გვინდა ეს კაცი რაიკომის მდივნადო! ერთმა კი, სხვაზე მეტად რომ აქტიურობდა, ზედ დაამატა: — გავიდეს, ბატონო, პარტიიდან და, თუ უნდათ, მერე აირჩიონ მდივნადო!

ერთმა ფუნქციონერმა აჩივმა: რას შვრებით, ამა და ამ კაცს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რომ ირჩევთ, საქმისა არა გაეგება რა, კოლმეურნეობას საბოლოოდ დალუპავს და დაშლისო!

მავანმა უთხრა:

— იმიტომაც ვირჩევთ, მალე დალუპოს და დაშალოს, იქნებ გლებებსაც გვეშველოს რამეო!

სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს რომ გადაეკიდა, მიხეილ გორბაჩოვმა განაცხადა:

— არა და არა! დადგენილი საზღვრების შეცვლა არ შეიძლება, ყველაფერი აირევა და დავილუპებითო!

ლიტვამ კავშირიდან გასვლა რომ მოინდომა, იმავე გორბაჩოვმა განაცხადა:

— თუ გახვედით, ვილნოს გუბერნია და კლაიპედა უნდა ჩამოგაჭრათ, რუსეთ-ბელორუსიის ინტერესები ილახებაო!

ერთმა დამწყებმა პოეტმა იფიქრა, ლენინზე ლექსს დავწერ, „ცისკარში“ მივიტან, მატარებელივით გამომადგება, ის ლექსი სხვა ლექსებს გაიყოლებს, ჟურნალის ფურცლებზე მატარებელს მიბმული ვაგონებივით შეაგრიანებსო. „ცისკარმა“ აილო და ის ერთად-

ერთი ლექსი დაუბეჭდა. პოეტი ჩიოდა: — ეს რა მიქნეს, მაგისი დაბეჭდვა არ მინდოდა და ძალათი დამიბეჭდესო!

პოეტმა მ. ჯ-მ უთხრა:

— ძამა, ლენინზე ლექსი არასოდეს დამინერია და ძალათი ვერავინ დამიბეჭდავსო!

ტროლეიბუსის მძღოლმა გმირთა მოედანზე გამოაცხადა:

— გაჩერება — „მცირე მინა“!

მოვიდნენ ვიღაც ტიპები და ჩამოიყვანეს.

მწერალმა გ. ბ-მ შვილს უჩვენა ნახატი, რომელზეც გამოსახული იყო ლენინი და ბავშვები.

— აი, შვილო, უყურე, ლენინი ბავშვებსჭამს!

იმ შვილისაგან დისიდენტი გაიზარდა.

პატარა სამსონმა ფილარმონიასთან ბრეჟნევის უზარმაზარი პორტრეტი რომ ვერ დაინახა, ხმამაღლა იკითხა:

— ვა, სად წავიდა ეს კაცი?!

— „ზასტოიში“! — ჩასჩურჩულა ვიღაც მგზავრმა.

ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირს 18 მილიონი ფუნქციონერი მართავსო. მთავრობა, თურმე, ახორციელებს შტატების ტოტალურ შემცირებას, რის შედეგადაც მალე 36 მილიონი ფუნქციონერი გვეყოლება.

რეცენზია არშემდგარ სპექტაკლზე

ამას წინათ ზ-ს სახელმწიფო თეატრში არ შეედა არდადგმული პიესის სპექტაკლი. შესანიშნავი იყო არარეჟისორის, არამხატვრის ნამუშევარი. აღსანიშნავია, რომ არამსახიობთა დასმა

ითამაშა არაშესანიშნავი არაპიესის არასპექტაკლში, რის გამოც, მიუხედავად დარბაზის სიცარიელისა, თეატრის არანარმატებამ უდიდეს დონეს მიაღწია!.. ხელფასი დროულად რიგდება, გეგმები სრულდება!

ნეკროლოგი

გარდაიცვალა რუსეთის სახალხო კონტროლის კომიტეტი. ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ საქართველოს სახალხო კონტროლი ცოცხალია!

განცხადება

მატარებელი, რომელსაც აწერია „ლიტვა“, „ლატვია“, „ესტონეთი“ თავისი გზით მიდის. ჩამორჩენილი რუსულენოვანი მგზავრები წარსულის სადგურზე შეკრებილან და საპროტესტო მიტინგებს ატარებენ... მატარებელი „საქართველო“ გაუგებარია, მიდის თუ დგას!

ამოცანა

სამოცდაათი წლის მანძილზე ცენტრს მიჰქონდა ჩვენი შემოსავლის 90%, უკან ჩაგვასესხებდა 10—15%-ს.

გამოიცანით, კიდე რამდენი გვმართებს ცენტრისა და რამდენ ხანს ვინადოთ, თუ ასივე პროცენტს დავუთმობთ, თვითონ კი ტიტლიკანანი ვირბენთ?

სამი დეპუტა სამ ლიდერს

I

ძვირფასო ეგორ კუზმიჩ! აღფრთოვანებული ვარ თქვენი სიმტკიცით! როცა გიყურებთ, მახსენდება შესანიშნავი რუსული სიტყვა „ტვერდოლობი“. ასე უნდა! კონსერვანტიზმის ბულდოზერით უნდა ვხნათ და ვთესოთ! თქვენი მოხსენებიდან მშვენივრად გავიგე, რომ რასაც ხელი მოჰკიდეთ, ყველაფერი გააფუჭეთ და თუ ასე გაგრძელდა, ისევ იქ აღმოვჩნდებით, საიდანაც დავინწყეთ! ტაკ დერჟატი! პარტია-მონოპოლისტის ბილეთი გულში ჩაიხუტეთ! ოდესმე, როცა მოკვდებით, ბრეჟნევი და ჩერნენკო ჩაგიხუტებენ!

ისე, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, გუშინდელთა პანოპტიკუმი-სათვის გამოგვადგებით. ბავშვებს ავუხსნით ხოლმე: „აი, ბავშვე-ბო! შეხედეთ ამ ძიას! ასეთების პოლიტიკურად ისე აგვაშენა, საბოლოოდ ნანგრევებში აღმოვჩნდით!“ (სამწუხაროდ, ან პირიქით, საბედნიეროდ, დეპეშის გაგზავნა შემავიანდა).

II

პატივცემულო მიხეილ სერგის ძე! ვარ თქვენი მომხრე და მიმდევარი. ცოტათი ეგორ კუზმიჩი მომწონს, ცოტათი — ბორის ნიკოლაიჩი. მაგრამ, რაკი თქვენ ამათი ნაჯვარი მგონიხართ, თქვენ უფრო მომწონხართ! თქვენს მომხიბლავ პროგრამაში ერთი მხარე ლიგაჩოვისა მგონია, მეორე — ელცინისა. მათი სკამები ერთმანეთს რომ მიადგათ და თქვენ შუაში ჩაჯდეთ, სრული პოლიტიკური სპექტრი აღმოჩნდება. ამ დროს მკლავებს თუ გაშლით, თქვენი მეტოქეები მარჯვნიდან და მარცხნიდან ჩამოცვივდებიან და ორივე სკამი თქვენ დაგრჩებათ! კარგია ორი სკამი, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, რომ ის სკამები არავინ გასწიოს აქეთ-იქით!

III

საყვარელო ბორის ნიკოლაიჩ! მიდი, რუსეთს უშველე და ჩვენ ჩვენს თავს როგორმე ვუშველით!

ფელეტონები

„დილის გაზეთი“, 24 მაისი, 1996.

საგაზაფხულო ბედნიერებანი

მოგილოცავთ, მოგილოცავთ!.. დადგა თბილისური ზეიმების დღეები! გული სიხარულს ვერ იტევს. უამრავი ღონისძიება ტარდება. რაც მთავარია, ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მაღალ ჩინოსნებს ისე კარგად აცვიათ, როგორც ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩინოსნებს შეეფერებათ... ისეთი მანქანებით მიდი-მოდიან, რუსული შეფერილობის ავტოები სირცხვილისაგან ჩვენს მინგრეულ-მონგრეულ ვიწრო უბნებში იმალებიან. არა, რამდენი სასიხარულო რამ ხდება, აღფრთოვანებისაგან თავბრუ მესხმის. გუშინწინ ოდნავ შეუძლოდ გახლდით, ვიფიქრე, ფულიან კაცს გავითამაშებ და ვაზისუბნიდან (პარდონ, მე აქ ვცხოვრობ!) სამსახურში სამარშრუტო ტაქსით წავალ-მეთქი. სასიხარულო ელდა მაშინ მეცა, როცა ორმოცის მაგიერ (აღმასვლა 35 თეთრიდან დაიწყო!) 50 თეთრი გადამახდევინეს. თავის ტკივილმა უმალ გამიარა, რადგან იმაზე უფრო ამაღლებული და სასიხარულო არაფერია, თავს შეძლებულ კაცად რომ იგრძნობ... ამ დილით მორიგი შესანიშნავი სიურპრიზი გამიმზადეს. მსგავსი სიურპრიზები ბოლო დროს ისე მოგვიმრავლდა, მგონი ჩემი ჯანმრთელობა კაჟანდევისას გაუთანაბრდა. ავდივარ ჩვეულებრივ, მონგრეულ 25-ე ავტობუსში, რომელიც მეტრომდე ლიტრ სანვავსაც ვერა ნვავს და საფასური წინააღმდეგ თუ 10 თეთრი იყო, დღეს 15 გამხდარა... მანქანის მძღოლმა ამის თაობაზე გაგვანათლა, აქამდე ხალხზე ვზრუნავდით და იმიტომ გატარებდით ეგრე იაფადო... ამაზე მაღლობის მეტი რა გვეთქმის! რაკი აქამდე მძღოლები ხალხზე ზრუნავდნენ, დროა ხალხმა იზრუნოს მძღოლებზე და, რაც მთავარია, მათ გენერალიტეტზე, რომლის მადა, ეტყობა, უსაზღვროა. ადრე, მასხოვს, მძღოლები „ასტრას“ აბოლებდნენ, ახლა „მალობროს“ ეწევიან. დაძაბეთ ფანტაზია და წარმოიდგინეთ, რას აბოლებს მათი მთავარი გენერალი? მეგობრებო, მათ გაფრთხილება უნდათ, კარაქი და ნაღული

არ მოვაკლოთ და მე თუ მკითხავთ, ნუ ვიძუნებთ, საფასურად თითო ლარი დავუწესოთ. მაშინ ჩვენზე მზრუნველ მძღოლებს თავისუფლად შეეძლება ცოლ-შვილითურთ დაისვენონ ანტალიასა და კოპაკა-ბანაში (ერთი ლირიკული გადახვევა: მეტროს ფასმაც ხომ აინიაო, ნიშნის მოგებით მითხრა ერთმა მძღოლმა. განსხვავება აქ ერთი ციციქნაა: მეტრო მართლაც ათასჯერ ძვირად ღირებული რამაა და მეორე, იგი იმ ათი თეთრით დაუხანებლად ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე ჩაგაგრიალებს!).

ისე, ჩვენი ეკონომიკის დიდ რეფორმატორებს მინდა შევეკითხო: ეს საბაზრო ეკონომიკა ერთ კარში თამაშსა ჰგავს? მუდამდლე ჩვენი, რიგითი მოქალაქეების კარში უნდა გვირტყან პენალტი, თვითონ კი მავანნი და მავანნი, რომელთა სახელების ჩამოთვლა საჭირო არცაა, საქონლის ტვიპასავით ჩვენი სისხლით იტიკნებიან. კარგად ჩაცმულ-დახურულ და მაძღარ მთავრობას მინდა მეხსიერება გავუცოცხლო: რას აკეთებს თქვენი ანტიმონოპოლისტური კანონი, ამ უზარმაზარი ქალაქის მთელი ტრანსპორტი ერთ ძიას რომ შეასანსლეთ? რანაირად იქნება კონკურენცია და ფასების თავისუფალი თამაში? როდემდე უნდა წავუსვათ პურზე უცხი-მო სიტყვები, გულუბრყვილობა გასასულელებლად მოგონილნი?

მოგილოცავთ, მალე პურის ფასიც მოიმატებს!

გაზ. „მოქალაქე“, 17 აპრილი, 1997.

წერილი მივიწყებული კუნძულიდან

თავის დროზე კომუნისტური პრესისა და ტელევიზიის უსაყვარლესი თემა იყო წერილები და რეპორტაჟები ეგრეთ წოდებული კაპიტალისტური „ტრუმზობებიდან“. ქართულად ამ სიტყვას ჯურღმულებად თარგმნიან. საბჭოთა ელიტარულ ჟურნალისტიკას კალამი ისე უჭრიდა, რომ ამ ამბების მომსმენს და წამკითხველს თვალზე ცრემლი მოადგებოდა. ამიტომაც ჩვენ უფრო მეტი ვიცოდით ნიუ-იორკის ჯურღმულებისა და რიო-დე-ჟანეიროს ფაველების თაობაზე, ვიდრე აგერ ჩვენს ნაძალადევზე, ელიასა და სხვა უბნებზე, რომელნიც, გაუგებარია, რითი სჯობდა იმ უცხოურ სტერეოტიპს. სიტყვა „ჯურღმული“ მთლად ვერ მიესადაგება

ჩვენს უბანს, თუ მხედველობაში გვექნება მისი გარეგნული ხატი და არა შინაარსი. მართლაც ვაზისუბნის (გინდათ გლდანის, თემქის და ასე შემდეგ) ხალვათად ჩარიგებული თეთრი კორპუსები, რომელთა შორის სივრცეს გამჭვირვალე ჰაერი ავსებს, ჯურღმულად ვერ მოინათლება. ბოდიშს ვიხდი სიტყვა „თეთრზე“. თხუთმეტი წლის წინ ეს კორპუსები მართლაც თეთრად ქათქათებდა, მაგრამ დრომ, ამინდმა და უყურადღებობამ გაურკვეველი რუხი ტალახისფერი შესძინა, თეთრისაკენ გარდამავალი ვარიაციებით. ამას ემატება შავ-შავი ლაქები, რაც დაუტოვებია ყინვიანი ზამთრის ძლევის ერთადერთ საშუალებას — თუნუქის ლუმელს. ასი წელი ამ ლაქების ჩამომრეცხავ-გამთეთრებელი, ალბათ, არსაიდან გამოჩნდება. სხვათა შორის, ამ ლუმელებში ჩანაცრდა ყოფილი ვარკეთილის მეურნეობის მიწებზე შერჩენილი ხეხილი, ქარსაცავი ზოლის ფიჭვნარი და კაკლის ხეებიც, რომლებიც, ალბათ, აქ ერეკლეს დროს დაირგო. ახლა ირგვლივ იდეალური უდაბნო გვაკრავს და ქარაშოტიც კარგად გვიბერავს. ამ ორი წლის წინ, როცა მოურიდელები კაკა-კუკისაგან სმენა არ იყო, ვხედავ, სკოლის ეზოსთან უზარმაზარი ფიჭვი წამოუქცევიათ, ზედ ქართული და არაქართული ყიყინით დასევანი ჩვენი შავგვრემანი მოქალაქენი. გალიზიანებულმა ვკითხე, თქვენ რა, საქართველოს მოქალაქეებად არ გრძნობთ თავს? სირცხვილისაგან მიწაში არავინ ჩამძვრალა, ხელში კარგად ალესილი ნაჯახები ეჭირათ და უკვე ნაქციული ფიჭვის ბედს ხომ არ შევეწირებოდი.

თხუთმეტი-ოცი წლის წინ, ეს კვარტალები რომ შენდებოდა, სანერვიულო და საპრეტენზიო ბევრი გვექონდა. მშენებლები ცოტაცოტას ყველაფერს ნააგლეჯდნენ ხოლმე და ხარისხს არაფრად დაგიდევდნენ. მახსოვს, გაზეთ „თბილისში“ წერილი გამოვაქვეყნე — „ვაზისუბნელის მონოლოგი“. არიქა, გვაკრიტიკებენო და დატრიადნენ რაიონის მასშტაბის ჩინოსნები. აქ ტროტუარი მოაწყვეს, იქ ასფალტი დააკერეს, ბიბლიოთეკა გახსნეს, კინოთეატრი... მოკლედ, რალაც ხელი დაამჩნიეს. მაშინ კრიტიკული სიტყვა ასეთ საკითხებში მაინც ჭრიდა. ახლა ხუთასი გაზეთი გამოდის და რაც ენის წვერზე მოგადგება, ყველაფრის წერა შეიძლება, ოღონდაც ყურს არავინ შეიბერტყავს, წერე და იკითხეო, ნიშნისმოგებით გეტყვიან. ამიტომ გულის მოსაოხებლად ვწერ, თორემ ვიცი, ჩვენი

„ტრუმპობი“, ჩვენი „ფაველა“ არავის ედარდება და ჩვენცენ ხელისუფლების გამჭრიახი თვალი თუ მოიხედავს, მხოლოდ მაშინ, როცა ფიქრობს, რაიმე „სოციალური აფეთქება“ ხომ არ არის მოსალოდნელიო.

ჩვენი სატკივარი მთელი ქალაქის სატკივარია, ოღონდ ამას ემატება ყველასაგან მივიწყებული, მიგდებული კუნძულის სინდრომი. ვერ გაიგებ, საერთოდ არსებობს რაიმე ხელისუფლება თუ არა. აი, ჩვენი კორპუსის გვერდით, საკმაოდ ძვირადღირებული კაფე-ბარი იყო. ერთ თვეში ისე გაიძარცვა, სამარცხვინო სანახავია. ასე ტანკებით და ზარბაზნებით ვერ მოანგრევდნენ. პოლიციის განყოფილების ფანჯრიდან ჭოგრიტით რომ გამოეხედათ, მძარცველებს სათითაოდ აღრიცხავდნენ, მაგრამ ვის რაში ენაღვლება, ვისი ქონება ვის უნიავდება... კიდეც უარესი! საბავშვო ბაღი... გასაგებია, რომ ამდენ საბავშვო ბაღს ვერ ვინახავთ. განათლების სამინისტრომ, ეტყობა, ყველაზე იოლი გამოსავალი იპოვა, უბრალოდ, ხელი დაიბანა. მე რომ მკითხო, სიმბოლურად ერთ ლარად დავუთმობდი ვინმე ჭკვიან კაცს, ანდა ბინებზე გადავაკეთებდი, ერთი ათი ოჯახი მაინც მოთავსდებოდა მის ვრცელ და ნათელ ოთახებში... ახლა? ერთ კვირაში ისე გაიძარცვა და განადგურდა, ასანთის საღირალი აღარ დარჩა და ეს ხდება ყველას თვალწინ, არავინ არაფერზეა პასუხისმგებელი... დგას ახლა ჩემი რუხ-თეთრი კორპუსის ერთსა და მეორე მხარეს ორი გატიალებული, ნაგვისა და ნანგრევების გროვა და იმისი მოსურნეც არავინაა, ბულდოზერი მიაყენოს და გადახვეტოს, რათა ადამიანს თვალში არ ეჩხირებოდეს.

ყბადალებული ელექტროენერგიის დეფიციტზე ლაპარაკს მგონი აზრი დაეკარგა. ძალიან კარგადაც მოგვეხსენება, რომ დენი არ არის, რომ უნდა გადავიხადოთ და იქნება... მაგრამ რომ ვიხდით და მაინც არ არის! (ერთადერთი, მგონი, წყალია, რომლის საფასურსაც ბევრი არ იხდის და მაინც არის!). როცა მთელი ქალაქი წყვდიადშია, სანყალ „ჯურლმულს“ რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს, მაგრამ პრესტიჟულ უბნებში რომ ორი საათით გამოირთვება და ვაი-უშველებელი ატყდება, ჩვენ რა, ამ ქალაქის შვილები არა ვართ? იქნებ თელასის, ჩვენი მოძულე დედინაცვლის, გერები ვართ!.. როცა ცენტრში დენი ითიშება, ვილაცა ბოდიშობს მაინც, ამის და ამის გამო დენს ვერ განვდითო. ჩვენი უბანი კი შეიძლება

მთელი კვირით ჩაბნელდეს და არც არავის გაახსენდება (გამოსავალი ალბათ ერთია: რომელიმე დეპუტატი მაინც გადმოვასახლოთ ჩვენს უბანში, ბინას სიამოვნებით გავუცვლი!).

ზაფხული კარს მოგვადგა, მალე დაცხება. ბუნკერები ნაგვითაა გაჭედილი, უბანი საშინლადაა დანაგვიანებული. ამას ვერავითარი კომუნისტური შაბათობები უშველის. შესაბამისი სამსახურები გრაფას ავსებენ — „კომუნალური მომსახურება“, მაგრამ უკვე რამდენი წელია რამენაირ სამსახურს ამ სფეროში არავინ ენევა. თვითონ მოსახლენი წელიწადში ერთხელ როგორღაც დაიქირავებენ „ლევნი“ მენაგვეს, ესაა და ეს! ალბათ, ღმერთი გვმფარველობს, თორემ ბუზის, ჭიანჭველისა და ვირთხის შემოსევას რა გაუძლებს! ძაღლები მომრავლდაო, ატყდა ყიჟინა. კიდეც კარგი! ღამლამობით მათი ყეფა-გნიასისგან ძილი გვიფრთხება, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ჩვენმა ოთხფეხა მეგობრებმა ვირთხებს მუსრი გაავლეს და ისინი ეზოში მაინც ძველებური რიხით ვერ დათარეშობენ.

აი, ტრანსპორტზე საჩივარს ვერ ვიტყვი! ავტობუსი გინდა, თუ სამარშრუტო, აქეთ გეხვეწებებიან. ესაა, გზები ისეა დანგრეული, სანამ მეტრომდე ჩააღწევ, შეიძლება კისერიც მოიტეხო. გამიგონია, მძღოლებს გზის ფულს ახდევინებენო. ნეტავი სად მიდის მერე ეს ფული? ჩემი ჰიპოთეზით, რაკი იგი ასფალტად ვერ გადაიქცევა, ვიგულისხმობ, რომ კეთილი ძიას ჯიბეში მოყურდება.

საერთოდ, ფულის აკრეფის უამრავი ხერხი ვიცით. აი, ვზივარ ფანჯარასთან და ველოდები გადასახადების ამკრეფს, რომელმაც უნდა გადამახდევინოს ისეთი სამსახურის საფასური, რა სამსახურიც ჩემთვის არავის გაუნეცია. ჯანდაბას, მე მორჩილი მოქალაქე ვარ და, რასაც დამავალდებულებენ, იმას გადავიხდი... აგერ ბატონმა ნოდარ ჯავახიშვილმა, რომელსაც მე უაღრესად პატივსაცემ, ამაყად განაცხადა, ჩაიყავით ჯიბეში ხელი და იქ მტკიცე ლარს იპოვითო. ჰოდა, მეც ჩავიყავი ჯიბეში ხელი, მაგრამ... რას ეძებ, რაც არ ჩაგიდვია!

ერთი დოლარის თავგადასავალი

ეს ამერიკული ფილმი მე არ მინახავს, სხვისი მონაცემი დამამახსოვრდა. ამერიკელმა ბიჭუნამ გადაიხადა ერთი დოლარი საშემოსავლო გადასახადი და მოისურვა გაეგო, სად წავიდოდა, რისთვის მოიხმარდა სახელმწიფო ამ ფულს. ფილმის მთელი შინაარსი ესაა — ბიჭუნა და ერთი დოლარი. ყველაზე ფანტასტიკურ ვითარებაშიც კი ვერ წარმომიდგენია, რომ ჩემ მიერ გადახდილი ერთი ლარის გზას თვალი მივადევნო. ალბათ ძალიან არ შევცდები, თუ ვიტყვი: ხუთიდან სამ-ოთხ შემთხვევაში ის ლარი რომელიმე „ძია ჩინოვნიკის“ ჯიბეში აღმოჩნდება.

ამას წინათ ერთ შეკრებაზე მოვხვდი. ბატონი ფინანსთა მინისტრი ხვდებოდა მწერლებს. პირადად მე არავითარი პრეტენზია არა მაქვს ამ პიროვნების მიმართ. ვიცი მხოლოდ მისი სახელი და გვარი. არც მის საქმიანობაში ვარ გათვითცნობიერებული, ამიტომაც არც იმპიჩმენტის მოწყობას ვაპირებ და არც ხოტბის აღვლენას. ისე, გაგინარიათ, ჩვენს მინისტრებს ენა ლაქარდევით უჭრით, მწერლებს კი, მიუხედავად მაღალი განათლებისა და ნიჭიერებისა, ნუ მინყენენ და ერთგვარი ბავშვური გულუბრყვილობა ახასიათებთ. მათს აღტაცებას ინვევს კარგად მოუბარი სტუმარი, თუმცა იმის შემონძება, კარგი საუბრის უკან რანაირი საქმეები ტრიალებს, ჩვენ არ ძალგვიძს.

მე ერთი კონკრეტული კითხვა დავსვი და იმისი პასუხი მაინტერესებდა. იმ ავადმოსაგონარ წლებში, გორბაჩოვის გარდაქმნის პერიოდში, როცა ჯერ კიდევ ფული ფულობდა, ამოვიფხიკე ჯიბე, დავყიდე, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა და მოგროვილი თანხა საბინაო ამხანაგობაში შევიტანე, რა თქმა უნდა, ჩემს კოლეგებთან ერთად. მაშინ მოქალაქე სახელმწიფოს ენდობოდა და არ ფიქრობდა, რომ ეს სახელმწიფო „ბოროტების იმპერია“ იყო. დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ, ცხადია, ეს ნდობა უფრო განმტკიცდა, რადგან ასე ვიყავით გაზრდილნი, სახელმწიფო ჩვენი ქონების გარანტიად გვეჩვენებოდა... ამ სევდიანი ისტორიის დასასრული

იმდენად ბანალურია, რომ სიტყვის გაგრძელებად არ ღირს, ეს ფულები გაქრა შარშანწინდელი თოვლივით.

თურმე ჩვენს პატივცემულ მინისტრსაც (მაშინ ის ჯერ კიდევ მინისტრი კი არა, ჩვეულებრივი მოკვდავი იყო!) იმ დროს ანაბარზე ათი ათასი რუბლი ჰქონია. კარგად გამოადგა ფინანსების ცოდნა, დროზე მიხვდა, რომ ფინანსური შენობა თავზე გვენგრეოდა (ბუნებრივია, ბიძაშვილები არ ვიყავით და ჩვენთვის არაფერი ჩაუჩურჩულებია!) და სასწრაფოდ გადარიცხა ლიტვაში, სადაც ის ლიტად გადაიქცა და ახლა ბატონ მინისტრს დაახლოებით ათას ექვსასი დოლარი აქვს იქ ანგარიშზე (მეტი ალბათ არც ექნება სხვა ანგარიშებზე!.. ეჰ, ლატაკი ქვეყნის ლატაკი მინისტრები!).

ეს ისე, ლირიკული გადახვევაა! ჩემს კითხვაზე კი ასეთი პასუხი მივიღე: ის ჩვენი ფულები მოუხვევითა და მთლიანად ჩაუყრიათ რაჭა-ლეჩხუმისა და სამაჩაბლოში მინისძვრით დაზარალებულთათვის. მესიამოვნა კიდევ! თუ ჩემი ფული დაზარალებულთა მოძმეებს მოხმარდათ, ღმერთს მადლობა უნდა შევნირო. არც იმ შემთხვევაში დავინყებ პირის ხოკვას, თუ ეს ფული ბანკში ჩარჩა და საკუპონო ფათერაკებმა შეინირეს, ესე იგი ელემენტარულად გაბონდა... მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენადაც ვაგიგე, იმ ფულით ერთი აგურიც არ დადებულა და ერთი სახლიც არ გადახურულა. როგორც ადრე ხდებოდა და ახლაც ხდება, „დოკლავიანთა“ ფული მოხერხებულ „ძიათა“ ჯიბეებში გაქრა! ბატონმა მინისტრმა ამას მომხიბლავი კომენტარი დაურთო: უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს!

ღიას, მე მზადა ვარ ვაპატიო სახელმწიფოს, თუ მან ჩემი ფულით გაჭირვებულს აუშენა სახლი, უმკურნალა დაჭრილს, აღაშენა ეკლესია და ასე შემდეგ. იმასაც ვაპატიებ, რომ ნგრევისა და კრიზისის შედეგად ფინანსური სისტემა მოიშალა და ფული გაბონდა... მაგრამ ვერა და არც უნდა ვაპატიო, თუ ეს ფული ხელთ იგდეს ხელმრუდეთა კლანებმა და მაფიოზურმა სტრუქტურებმა, რომელთაც დრო იხელთეს და მთელი ქვეყანა გაძარცვეს და დააქციეს.

მინდა შევეკითხო კორუფციასთან მებრძოლ საპარლამენტო კომისიას: თქვენთვის საინტერესოა თუ არა, სად წავიდა ამხანაგობებისა და კოოპერატივების ფული, სანამ კუპონი გამოჩნდებოდა ქვეყანაზე.

კასანდრამ ნერვები ამინენა

სიტყვის თავისუფლებამ უამრავ სიკეთეს გვაზიარა, გამორჩეულად კი სამ რამეს: სექსს, რეკლამას და ტელესერიალებს. აქამდე ხომ პროვინციულად ჩამორჩენილები ვიყავით, სექსის საქმეში კი ისეთი უბირნი, მამალი დედალს რომ შეაფრინებოდა, სირცხვილისაგან ვნითლდებოდით. მაშინდელ კინოებში ნამდვილი კოცნა სად იყო! ბავშვური „პაჩი“, ან კაბის კალთიდან მუხლისთავის უბინო გამონათება მაყურებლის ექსტაზს იწვევდა. ახლა ისე გავნათლდით, ჰორიზონტი ისე გაგვიფართოვდა, ორი წლის ბავშვსაც ვერ დააჯერებ, რომ კომბოსტოში დაიბადა. რაც შეეხება რეკლამას, თავი რომ გრდემლზე დაგადებინონ და ზევიდან ურო გირახუნონ, ალბათ მეტად ვერ გაგაბრუებენ... გახსოვთ, ალბათ, ამერიკული ფილმი „დიდი“. იქ დიდად ქცეული ბიჭი ტრაბახობს, ბეისბოლის თამაშის რეკლამამოჭრილ ფირს მაყურებნიებენო, ესე იგი უკვე მდიდარი ვარო. მდიდარმა ამერიკელმა არ იცის ფული სად წაიღოს და იმაზე ხარჯავს, რეკლამამ არ შემანუხოსო, მე კი პირიქით, ჯიბეში არაფერი მიჭყავა და რეკლამისაგან თავი იმიტომაც ამტკიებია...

სულ სხვაა სერიალები. პირდაპირ თითებს დაიკოცნი! ძველ, ჩამორჩენილ ეპოქაში, ინდური კინოების ჩვენებისას სალაროებს შტურმით იღებდნენ და კინოდარბაზები გულაჩუყებულთა ცრემლისაგან ნესტიანდებოდა. ახლა წარმოიდგინეთ იგივე ინდური კინო, ოლონდ თვეების მანძილზე გაჭიმული. რამდენი ცრემლის ღვრა და სიხარულის რამდენი სტენოკარდიული შეტევა გადავიტანეთ. გვექონია ინფარქტიც, როგორც ექიმები იტყვიან, ლეტალური დასასრულით, მაგრამ ასეთი დასასრული მაინც ბედნიერებაა, რაკი სიხარულის აპოთეოზს ემთხვევა.

უარესია, როცა არც გკლავენ და არც გაცოცხლებენ!

რამდენი წელია გაგვიშინაურდნენ იზაურები და როზაურები, ასეთი მარიები და ისეთი მარიები, მონიკები და ვიქტორიები. მოსახლეობის დიდ ნაწილს არც სმენია მარკესი და კორტასარი, ლიოსა და ასტურიასი, ბორხესი და რულფო, მაგრამ ესპანურ-პორ-

ტუგალიური სახელები ისე ტრიალებს, თითქოს ესენი აგერ ჩვენს ორლობეში მიმოდიან ანდა მეზობელ კორპუსში ერთმანეთს ნერვებს აგლეჯენ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაგვინათესავდნენ და დაგვიმეგობრდნენ დედამინის მეორე მხარეს მცხოვრები ლამაზმანები. ძნელი დასათვლელია, რამდენ ბერბიჭას მოუნდა მონიკას გულის დაპყრობა, რამდენი შინაბერა სიამოვნებით გათხოვდებოდა ხუანზე ან, უარეს შემთხვევაში, ანდრესზე...

ახლა კიდევ ახალი სერიალები... კასანდრამ ხომ სიყვარულით გადარია ტარიელი. ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, კასანდრა ფარშევანგს მაგონებს, ქრელია, მაგრამ ხმა და ფეხები არ უფარგა. ფეხებს არ ვიცი, მაგრამ ხმას ეშვებება, თუ ჩვენ, ქართველები, გულითადადობას გამოვიჩინოთ და წავეხმარებით. საკმარისია, თეა გვასალიამ ტექსტი ქართულიდან კვლავ ესპანურად თარგმნოს, მარი ჯანაშიამ კი თავისი ნაზი ხმით ესპანურად გაახმოვანოს, მაშინ ნახეთ, როგორი წარმატება ექნება საკუთარ ქვეყანაში... ჩვენთან?.. ჩვენთან ტელესერიალი რახანია რადიოსერიალად გადაგვექცა. თელასი, მგონი, განგებ გვითიშავს დენს იმ დროს, როცა „მომამბე“ და „კასანდრა“ გადის. მართალია, არც სხვა დროს გვანებივრებს, მაგრამ თუ შუქი მოგვცა, მხოლოდ მაშინ, როცა ღრმა ძილით გვძინავს. ამიტომ იყო, რომ კასანდრის ტებმა ამას წინათ ქუჩა გადაკეტეს გულისშემძვრელი ლოზუნგით — „მოგვეცით შუქი „კასანდრას“ საყურებლად!“ (ყური მოვკარი, „მომამბის ტებიც“ თურმე აპირებენ მაგისტრალების გადაკეტვას!). ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ორი კვირის უნახაობის შემდეგ კვლავ ვიხილე კასანდრას მშვენიერი თვალები, პაჭუა ცხვირი და გავიგონე მისი ისტერიულ-ჭყვიპინა ესპანური... მთელი მგზნებარებით ჩავერთე რომანტიკულ-სასიყვარულო ინტრიგაში და უცებ „ნკაპ!“ ჩამობნელდა. სასწრაფოდ ჩავრთე რადიომიმლები, იქ მხოლოდ მუსიკა და სუნთქვის ხმებია... ვმარჩიელობ, კლავს თუ კოცნის!.. აბა, იმ ღამეს რა დამაძინებდა!.. სანამ ნაცნობ-მეგობრებთან დავრეკავდი, ვერაფრით გავიგე, მოკლეს მშვენიერი კასანდრა თუ მხოლოდ „პაჩი“ უქნეს...

ჯერ ეს ამბები ვერ მომინელებია, აქეთ კი, მოსკოვის პირველ არხზე სხვა სერიალია. გადასარევი ამბები ხდება, ყველა პერსონაჟი, მამაკაცთა გარდა, ფეხმძიმედაა და უნდა ველოდოთ ბავშვების გრიალს. მერე ისინი დაიზრდებიან, დაფეხმძიმდებიან და ყველაფერი თავიდან დაიწყება...

გაიგეთ ახალი ამბავი? „სანტა-ბარბარა“ ჯერაც არ დამთავრებულა!

მოკლედ, ნერვები ამენენა!

პირადად მე მადლობელი ვარ თელასისა, შუქს რომ არ გვაძლევს. ამით ჩვენი ნერვები და დრო დაცული იქნება სექსის, რეკლამისა და სერიალებისაგან.

პატარა რომ ვიყავი და ბებოსთან ვცხოვრობდი, ქრაქითაც იოლად გავდიოდი და „ნაცარქექიას“ ზღაპარიც მყოფნიდა. ვერავითარი კასანდრა ნერვებს ვერ ამინენავდა... ნეტავი იმ დროს!

გაზ. „მსგეფსი“, 7, 18—25 ივნისი, 1997.

ნგრევის სინდრომი

ადამიანის სული უფლისაკენ ისწრაფვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ბიოლოგიური არსი დიდად არ გასცილებია თავის ცხოველურ სანყისს. ყველაზე სტაბილურ საზოგადოებაშიც არსებობენ ჰომო საპიენსები, რომელთა ერთადერთი გატაცებაა, რაიმე გააფუჭონ. თავის დროზე, საბჭოთა სინამდვილეშიც კი, მაშინდელი პრესის აღშფოთებას იწვევდა, რომ მავანი ქუჩის ლამპიონებს ქვას ესროდა, პარკში ხეს ტოტს ჩამოამტვრევდა, სკვერში ყვავილებს დაგლეჯდა, ბალის სკამზე საკუთარ ინიციალებს ამოჭრიდა, ტელეფონის ყურმილს ჩამოგლეჯდა, მეტროსა და ავტობუსის სავარძელს ამოშინავდა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს უხამსი წარწერებით აბინძურებდა და ა. შ. მერე გადაგვიარა ტოტალური ნგრევისა და ძარცვა-გლეჯის პერიოდმა, ისეთი რამ ვიხილეთ, ზემოჩამოთვლილი შეცოდებანი სათვალავში ჩასაგდებიც არაა. ალბათ კარგა ხანი გავა იმ დრომდე, როცა ასეთი „წვრილმანები“ ალგვაშფოთებს და წამოგვაძახინებს — „სად არის ჩვენი მილიცია!“ ოჰ, უკაცრავად, შემეშალა — „სად არის ჩვენი პოლი-

ცია!“ არც მაშინდელი მილიცია აკლავდა თავს ამგვარ ამბებს, დღევანდელ პოლიციას კი ამაზე მნიშვნელოვანი დანაშაულის ყურებისასაც კი ქუთუთოები უმძიმდება და ძილბურანი ეუფლება.

აი, ამასწინათ, პარლამენტის სხდომაზე ჩვენი განათლების მინისტრი წარსდგა. ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს მთელი ჩვენი საზოგადოება იცნობს და არც მე წამცდება კალამი სააუგოდ. მხოლოდ ერთი რამ მინდა მკითხველს შევახსენო. ბატონმა მინისტრმა ბრძანა, ამდენი და ამდენი დაუმთავრებელი მშენებლობა გვაქვსო და ამას ამდენი და ამდენი ლარი სჭირდებაო. აღშფოთება გამოთქვა იმის თაობაზეც, რომ თურმე საბავშვო ბალის ეზოში ბენზინგასამართი სადგური გაიხსნა, სხვაგან კი სახინკლე და ა. შ. გავბედავ და ვიტყვი — კიდევ კაი, რომ რაღაც გაიხსნა... ანდა საჭიროა დაუმთავრებელი შენობების დამთავრება? ეს ისე, რიტორიკული კითხვაა! ერთი შეხედვით, ამ მკრეხელურ სიტყვებს ის მათქმევენებს, რომ, რაცა გვაქვს, იმას პატრონი არა ჰყავს. ბატონ მინისტრს ვთხოვ, თავისი მაღალი რანგის ჩინოვნიკების თანხლებით ამობრძანდეს ვაზისუბნის მიკრორაიონში. აქ სულ ორიოდე თვის წინ იდგა ჩვენს თვალწინ აშენებული საბავშვო ბალის საკმაოდ შთამბეჭდავი შენობა. მას არც აწვიმდა, არც ათოვდა, არც რამ შეკეთება სჭირდებოდა, ეზოც შემოღობილი ჰქონდა და ა. შ. მე არ ვიცი, ვინ გაიმეტა იგი, მაგრამ ბავშვობიდან გამიგონია, მიტოვებულ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო... პირწმინდად გაიძარცვა და მოსახლეობა ახლა აგურსაც ეზიდება ცოტცოტაობით. სად არის პოლიციაო, იკითხავთ. მაპატიეთ და პოლიციას სულაც ფეხებზე ჰკიდია, აქედან ხომ კაპიკის საღირაღს ვერ გამორჩები... განათლების სამინისტრო?.. იმასაც სძინავს, ბატონო! თქვე ბედნიერებო, მოვლის თავი თუ არა გქონდათ, გაგეყიდათ მაინც და იმ თანხით სხვა საბავშვო ბალს ან სკოლას შეაკეთებდით... მე ერთი საბავშვო ბალის ამბავი ვიცი, მაგრამ რაც არ ვიცი?! სკოლებიც ხომ იძარცვება... ამბობენ, ამდენი სკოლა არ გვინდაო და ალბათ სულ მალე ვიხილავთ გატიალებულ სასკოლო შენობებსაც.

ახლა განათლებიდან აქვე, მეზობლად, კულტურაზე გადავიწაცვლოთ! ბიბლიოთეკა და წიგნი დღეს არავის სჭირდება, მით უფრო ადგილობრივ ხელისუფლებასა და პოლიციას. ამაზე დავაც არ ღირს. ბიბლიოთეკამ რა შემოსავალი უნდა მისცეს ან ერთს, ან

მეორეს, მშვიერი ბიბლიოთეკარი ხომ ქრთამს ვერავის შეაძლებს. ბიბლიოთეკებში ჯერ კიდევ თავგანწირული და გულუბრყვილო ხალხი მუშაობს, რომელთაც სჯერათ, რომ თავიანთი არსებობით ეროვნული სულის აღმშენებლობას ემსახურებიან. მაგრამ იმათთვის, ვინც მხოლოდ საკუთარი ჯიბის ჭოგრიტიდან უცქერენ მოვლენებს, წიგნი და ბიბლიოთეკა უბრალოდ თავის ტკივილის წყაროა. ამაზე მაღაპარაკებს ის, რომ ამ ჩვენს ბიბლიოთეკას ბოლო დროს ეშმაკები შეუჩნდნენ და ლამისაა დაახურვინონ. ხან ერთი მხრიდან შეუღენავენ ძვირადღირებულ სავიტრინე მინას, ხან მეორე მხარეს. ისედაც გაღატებული უწყება იძულებული გახდა ერთი კედელი ამოეშენებინა, რის გამოც დარბაზს სინათლე მოაკლდა. მაგრამ ამას ვინ დარდობს. ახლა ფასადის მტვრევა გრძელდება. ბიბლიოთეკარები ხან წიგნის კარადებს ააფარებენ, ხან საიდანღაც ნაშრომს თუნუქს მიაჭედავენ... მოკლედ, ვიღაცა უტევს, ბიბლიოთეკა გადასულია ყრუ თავდაცვაზე. პოლიცია? გაგიგონია? მეტი დარდი არა აქვს პოლიციას, სულაც ამოხრუკულან წიგნიან-ბიბლიოთეკარიანად, არა მგონია, ამაზე ვინმეს ნერვი შეუტოკდეს, ვინმე სინდისმა შეაწუხოს.

კი მაგრამ, შვილები არა ჰყავთ? იმათ მომავალზე არ ფიქრობენ?

არ ფიქრობენ, ბატონო! არ სჭირდებათ ეს თქვენი საბავშვო ბაღი, სკოლა, ბიბლიოთეკა, ოღონდ მუცელი ამოიყორონ და გინდა წყალსაც წაუღია და გინდა ქვის სეტყვას ჩაუქოლავს...

ჯერ კიდევ შორია, მეგობრებო, იმ საზოგადოებამდე, როდესაც სულის მონოდება დათრგუნავს ნგრევის სინდრომს.

გაზ. „თბილისი“, 19 აპრილი, 1989.

ეს რამდენი ყვავილი გქონია, საქართველოვ!

არასოდეს მიფიქრია, რომ ყვავილთა სიუხვე ასეთი თავზარდამცემია. ვდგავარ მოედანზე, ჩემი შვილების მიერ მოკრძალებით მოტანილი წითელი ტიტები ემატება ზღვა ყვავილს, მთელ თბილისს, მთელ საქართველოს აქ რომ მოაქვს. ვდგავარ გაოგნებული და ვცდილობ, ცრემლი შევიკავო, ბოლმას მოვერიო, აზრი მოვიკრიბო. რისთვის გაგწირეს ასე დაუნდობლად, რის გამო გაგვიმეტეს, ისეთი რა დავაშავეთ, ასე ბარბაროსულად რომ გაგვისწორდნენ. სიტყვისათვის?.. მერედა, სიტყვის თავისუფლება განა ჩვენი უპირველესი კონსტიტუციური უფლება არაა?.. ხომ ნათელია, რომ ყველაზე მეტად ილუზიების ტყვეობაში მყოფის რადიკალური ლოზუნგი მხოლოდ და მხოლოდ გამოძახილია ხელისუფლების უნიათობისა, უუნარობისა, დიალოგი გამართოს საკუთარ ხალხთან, ალლო აუღლოს თანამედროვე ტენდენციებს!.. ასე რამ დააშინა ის ძალები, რომლებმაც ასეთ გადამჭრელ, ანტიჰუმანურ და ანტიეროვნულ ღონისძიებებს მიმართეს!.. ან რა სურდათ ამ ძალებს?.. ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ ყოველგვარ ოპონენტს? ჩანასახშივე ჩაეხშოთ ყოველგვარი წინააღმდეგობა? აკვანშივე ჩაეკლათ თავისუფალი სული? დაეშინებინათ ყველანი, ვისაც სხვა აზრი შეიძლება ჰქონდეს?.. ეს თუ ასეა, მათ სანადელს ვერ მიაღწიეს, უფრო მეტიც, თვითონ განიცადეს სასტიკი მარცხი...

იქნებ ამიერიდან მაინც მოხერხდეს, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. საქართველოში ჯერჯერობით არც ჭეშმარიტი გარდაქმნა მომხდარა, არც ჭეშმარიტი საჯაროობის დრო დამდგარა... პირუთენელი ადამიანისათვის ადრევე ცხადი გახდა, რომ რესპუბლიკის მოთავეები ვერ ჩასწვდნენ დროის მოთხოვნილებას. სიტყვით ისინი იძულებული იყვნენ მხარი აეხებთ გორბაჩოვის რეფორმებისათვის, მაგრამ ამ დროს ილახებოდა კასტური ინტერესები და ამიტომაც ვერ შეძლეს დაეძლიათ ის ინერტულობა, რაც დამახასიათებელი იყო ე. წ. უძრაობის პერიოდისათვის. საყოველთაო კონფორმიზმის ეპოქაში აღზევებულთ უნარი არ აღმოაჩნ-

დათ აღლო აელოთ ახალი ვითარებისათვის. ამის გამოხატულება იყო ის მძაფრი წინააღმდეგობა, რასაც კონსერვატიული ძალები უწევდნენ ერის ნება-სურვილს (ეხებოდა ეს დავით-გარეჯს, რკინიგზას თუ სხვა პრობლემებს). ამიტომაც გარდაქმნა შეანაცვლეს კოსმეტიკით, საჯაროობა — ნახევარსიმართლით... ერი კი სიახლეს ესწრაფვოდა, მას ჭეშმარიტი ცვლილებები ენადა, სიმართლეს იოლად არჩევდა ცრუსიმართლისაგან... ერის ლექსიკონში დამკვიდრდა და უკვე ვერავინ ამოშლის ცნებებს — სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ეროვნული ღირსება... ამიტომ თანდათან გაღრმავდა უფსკრული გარდაქმნისნილიან ანტიგარდამქმნელ ძალებსა და ქართველ ერს შორის, რამაც სისხლიან კატასტროფამდე მიგვიყვანა...

დიას! ქართველი ხალხი მუდამ მიმტევებელი და დიდსულოვანი იყო, ეს ჩვენი ეროვნული თვისებაა. ქვებსა და ტალახს გვესროდნენ, ჩვენ კი ყვავილებით ვუპასუხებდით. ახლაც, როცა ტოქსიკური გაზებითა და სასანგრე ბარებით გაგვიმასპინძლდნენ, ჩვენი პასუხია თავშეკავება, ღირსების გრძნობა და ნაყოფი ჩვენი მშვენიერი მიწისა — ყვავილები... ვიღაცა სიკვდილის მსახურია, ჩვენ სიცოცხლისა! იქნებ ამიტომაც იღვრება ჩვენი უმანკო სისხლი. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, რადგან ქართველი ერი მუდამ იყო და არის სიკეთის, კაცთმოყვარეობის, მშვენიერების სამსახურში...

დავიტიროთ ჩვენი დაღუპული შვილები, ვილოცოთ მათი წმინდა, უმანკო სულებისათვის, ნუ გაგვიქრება მომავლის იმედი... 1956 წელმა ჩვენ დაგვაშინა და დაგვაკნინა, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ჩვენ უფრო ძლიერნი, გაბედულნი და ერთსულოვანნი ვართ... ჩვენი გზა აღმავალი გზაა, ვიაროთ წინ!

გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 27 ნოემბერი, 1990.

დავმარცხდი, მაგრამ გავიმარჯვე!

ბავშვობისდროინდელი არჩევნები დამამახსოვრდა. დიდი ბელადი ჯერაც ცოცხალი იყო და არჩევნებიც მის მიერ გამოჭრილ თარგზე ტარდებოდა. უთენია ჩამოივლიდნენ კარდაკარ, კაცს ძილს არ აცლიდნენ. მიზანი ის იყო, საყოველთაო ერთუზიაზმი ეჩვენებინათ, ხედავთ, ხალხი რაოდენ გახარებული და ბედნიერიაო. ხშირად კანდიდატს არც არავინ იცნობდა, მაგრამ ერთგულება და აღფრთოვანება მაინც უნდა გამოეხატა. თუ არ გამოხატავდა და მის ბედს მტერი არ ინატრებდა. ბავშვი ვიყავი და ეს ერთუზიაზმი გულწრფელი მეგონა... მოგვიანებით, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქებში სიცრუის ეს მანქანა ისე მუშაობდა, ერთს არ დაიჭრაჭუნებდა. მახსოვს, პირველად ვლადივოსტოკში მივიღე არჩევნებში მონაწილეობა. მომცეს ორი ბიულეტენი. ერთში ეწერა კომუნისტი ფუნქციონერის გვარი, მეორეში ვიღაც კონტრადმირალისა. ვიფიქრე, ორიდან ერთი უნდა ავირჩიო-მეთქი და ფუნქციონერის გვარი გადავხაზე. ახლა მეცინება ჩემს გულუბრყვილობაზე. როდის იყო, ვინმე შემოგთავაზეს და არ აირჩიეს, ანდა ერთუზიასტ ამომრჩეველთა პროცენტმა 99,9 დაბლა დაინია. მერე და მერე როგორც უმრავლესობა, არც მე დავდიოდი არჩევნებზე. ჩვენს მაგივრად თვითონ კომისიის წევრები ყრიდნენ ურნაში ბიულეტენებს ბათმანობით და თვითონვე გამოთვლიდნენ ამ ყბადაღებულ პროცენტს.

ბოლოს დადგა გორბაჩოვისეული ალტერნატიული არჩევნების დრო. მაშინ, გახსოვთ, ალტერნატივა ორიოდ საარჩევნო უბანში მოხერხდა, თორემ აპარატული თამაშობანი მთელი სიცხადით წარმოჩნდა. მოვედი ამომრჩეველებთან შეხვედრაზე და ვხედავ, პრეზიდენტი გამოჭიმულან რესპუბლიკის დეპუტატი და საქალაქო დეპუტატი. თურმე არჩევანი ამათ შორის უნდა მოგვეხდინა. გამოდიან ორატორები და კანდიდატებს თხოვენ ათასნაირ წვრილმანებს, მოკლედ, დგება ტრადიციული განანესი, რომელსაც შემდგომ დეპუტატი ან შეასრულებს ან არა... მოვითხოვე სიტყვა, იფიქრეს, მწერალი კაცია, ჭკვიანურს რამეს შეგვანესო. მე

კი ვთქვი: რაში ეკითხება საკავშირო დეპუტატს ეს წვრილმანები, მაშინ ადგილობრივმა დეპუტატებმა რა უნდა აკეთონ-მეთქი. მერე კანდიდატებს მივუბრუნდი: ხალხნო, თქვენ ხომ უკვე იყავით დეპუტატები, ხელების მალლა ანევის მეტი ფრჩხილისოდენა არაფერი გიკეთებიათ და ახლა რა სინდისით მიბრძანდებით მოსკოვს-მეთქი... დაახლოებით ამ სულისკვეთებით ვილაპარაკე. პარტიულმა ფუნქციონერმა, რომელიც, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო ადგილზე, პრეზიდენტში იჯდა, ბოლმით მომაცხა, ახლა ყველანი გათამამდით, ადრე სად იყავითო. ამაზე მაშინ ვთქვი, ადრე ყველანი „იქ“ ვიყავით, მაგრამ ახლა, როცა ამის საშუალება მოგვეცა, რატომ თქვენც არ თამამდებით-მეთქი. ალბათ ფიქრობთ, ყველფერი უკუღმა შეტრიალდება და ჩემისთანა სიმართლისმადიებლებს ეტაპებით მიაბრძანებენ, სადაც ჯერარს-მეთქი... ასე რომ, სიმართლის თქმას ყველა დროს სჭირდება კაცობა და ზნეობრიობა. იმ კანდიდატებიდან ერთი, რა თქმა უნდა, კრემლში ნაბრძანდა და ალბათ კრემლის სასახლის ბუფეტში მიირთმევს ხიზილალას, ანდა სარგებლობს გაკრიალებული კლოზეტით. ყოველ შემთხვევაში, მისი სადეპუტატო საქმიანობის შესახებ არაფერი მსმენია.

წლებადღელ გაზაფხულს დანიშნულ არჩევნებზე ბევრს არაფერს ვიტყვი. მაშინ მეგონა, რომ არსებულზე უკეთეს პარლამენტს მაინც ავირჩევდით. ახლა ვფიქრობ, რომ ის სარგებელი, რასაც რამდენიმე ათეული ოპოზიციონერის არჩევა მოგვცემდა, გაქარწყლდებოდა იმით, რომ კომპარტია საგაზაფხულო არჩევნებში შეძლებდა პოზიციების შენარჩუნებას და პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების საშუალება უპირატესად მას ექნებოდა. ამიტომაც იმ არჩევნების ბოიკოტი მართებული იყო. თუმცა ზოგიერთი ამბობს, ამით დრო დაეკარგეთო, მაგრამ ეს არ არის სწორი. მოჩქარეს მოუგვიანდესო, ხომ ამბობენ. იქნებ რამდენიმე თვე დავკარგეთ, მაგრამ შედეგად მივიღეთ სულ სხვა პოლიტიკური ვითარება, როცა ოპოზიციამ გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწია.

თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანია. მე გახლდით ბლოკ „თავისუფლების“ კანდიდატი სამეგრელოს ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში (როგორც უპარტიო). ეს იყო ჩემი ცხოვრების მეტად ამაღელვებელი თვე. არა იმიტომ, რომ

მე გამეხსნა დეპუტატობის შანსი, არამედ იმიტომ, რომ მე დავინახე შანსი საქართველოსათვის.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების ქეშმარიტება მისი რეალიზაციით შემონმდება. ყველაზე ბრწყინვალე იდეა, თუ ის ხალხის ფართო მასამ არ აღიქვამს, მარცხისთვისაა განწირული.

ამ საარჩევნო კამპანიას დადებითი ბევრი ჰქონდა, იყო უარყოფითი მომენტებიც. მინუსი ალბათ ჩვენი გამოუცდელობისა და ჩვენი „ქართველობის“ შედეგი იყო. ჩვენთან ხომ ჯერჯერობით „მსოფლმხედველობის“, „იდეის“ პარტიაზე მეტია ლიდერთა პარტიები, ე. ი. პარტია, რომელიც გარკვეული პიროვნების ირგვლივ იკრიბება. რა თქმა უნდა, პიროვნებას არავინ გამოირიცხავს, მაგრამ ის პარტიები, რომელთა შორის მსოფლმხედველობრივი სხვაობა ფრაქციულზე მეტი არაა, ერთ ბლოკში უნდა მოქცეულიყვნენ. გასაგებია, რომ ნეოკომუნისტური დაჯგუფებები ცდილობდნენ თავიანთი განსხვავებული იმიჯის შექმნას, რათა გამიჯნოდნენ კომუნისტურ გემს, რომლის ფსკერში უკვე წყალი ჟონავდა. ეს მათ ვერ შეძლეს. ვერც იმ დაჯგუფებამ მიაღწია მიზანს, რომელიც სახელდახელოდ შეკონინდა და პრესტიჟული სახელების იმედი ჰქონდა. ყველა სახელმძღვანელო ქართველმა სიმართლეს უნდა გაუსწოროს თვალი: ვინც კომუნისტური ეპოქის ნებიერა იყო, თუნდაც ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეული, მაინც არსებული სტრუქტურის შვილია. ქართველი ხალხი პატივს მიაგებს ყოველ ნიჭიერ კაცს, მაგრამ უარს ეუბნება ძალაუფლებაზე იმათ, ვისაც მანამდეც ჰქონდა ძალაუფლება და სასიკეთოდ ვერ გამოიყენა. ეს ამკარად გამოვლინდა არჩევნების პროცესში, როცა მავან პარტიას ბუფერულ ორგანიზაციად მიიჩნევდნენ. ამასთან, იყო ორგანიზაციები, რომელნიც ლოგიკით „მრგვალ მაგიდაში“ უნდა ყოფილიყვნენ. მათ ჰქონდათ ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკაც. მხედველობაში მაქვს უპირატესად „თავისუფლებაში“ თავმოყრილი პარტიები.

ასე იყო თუ ისე, ჩემს საარჩევნო ოლქში შვიდმა კანდიდატმა ვიბრძოლეთ ბოლომდე. ის, რაც პარტიათა ლიდერებმა ვერ შეძლეს, ჩვენ შევძელით, რაკი ექვსი ერთ მხარეს იდგა, მეორე მხარეს კი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი რჩებოდა. რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენთაგანს გვინდოდა დეპუტატობა, მაგრამ მთე-

ლი საარჩევნო კამპანიის მანძილზე არ ყოფილა თუნდაც მცირედი მცდელობა ერთმანეთის ხარჯზე ქულების მოპოვებისა. დავდიოდით სოფლიდან სოფელში, დღეში ორჯერ და სამჯერაც ვხვდებოდით ამომრჩევლებს. თითო შეხვედრა ოთხ-ხუთ საათს გრძელდებოდა... ალბათ საქართველოს ისტორიის მანძილზე არ ყოფილა ასეთი მასობრივი ერთუზიანობა... ჩვენთვის მთავარი იყო ოპოზიციის გამარჯვება და ეს მოხდა...

იმ დღეს საარჩევნო უბნებთან უზარმაზარი რიგები დადგა. ის ადამიანები, ვისაც არასოდეს მიუღიათ არჩევნებში მონაწილეობა, ახლა კარებს აწყდებოდნენ. საინტერესოა, რომ ამომრჩეველთა ძირითადმა ნაწილმა დილითვე, ათ საათამდე მოიხადა ვალი. ყველა კანდიდატს ჩვენ-ჩვენი წარმომადგენლები გვყავდა აბსოლუტურად ყველა უბანში და სხვებიც დამემომეზიან, რომ არჩევნები ჩატარდა მაქსიმალურად დემოკრატიულ და პატიოსან ვითარებაში.

გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“... თანაც დიდი უპირატესობით!

მინდა მივულოცო ჩემს ოპონენტს „მრგვალი მაგიდიდან“ ბატონ ზაურ ქობალიას და აქვე დავძენ: ეს გამარჯვება სავსებით კანონზომიერი და ღვთიურ სამართლიანი იყო. ზაურ ქობალია ის კაცია, ვინაც ცხოვრების გზა აქამდე განვლო სისტემასთან ბრძოლაში, რისთვისაც ციხე და გაჭირვება არ დაკლებია. ის გონიერი და განათლებული ადამიანია და ახალ პარლამენტს ნამდვილად რომ გამოადგება.

კონკრეტული კანდიდატების ძალისხმევას ალბათ არ დავამცირებ, თუ ვიტყვი, რომ უპირატესად გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“, მისმა პოლიტიკურმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ.

პიროვნულად გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ! ეს იყო ლოგიკური შედეგი იმ მრავალწლიანი მოღვაწეობისა, რაც ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენმა ლიდერმა გაიღო.

მინდა პირუთვნელი ვიყო. პირადად მე აქამდე ბატონ ზვიადთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია. მისი ოპონენტები მის ბიოგრაფიასა და ხასიათში ეძებენ ნაკლს. ამაზე არ მინდა ტრადიციული ფრაზა მოვიხმო, აქაოდა უნაკლო ადამიანი არ არსებობსო. ალბათ ასეთებიც არსებობენ. ოღონდ უნაკლო ადამიანსაც

ცივა და ცხელა, უშიშარ გმირსაც ეშინია სიკვდილისა და ა. შ. საქმე აქ ზვიად გამსახურდიას ნაკლსა და ღირსებებზე კი არ არის, ლიდერი, რომელიც ყველას უსწრებს და წინ აღმოჩნდება, საყოველთაო ყურადღების ცენტრშია და მისი ყოველი სიტყვა და ქმედება სააფთიაქო სასწორზე აინონება, თორემ გულზე ხელი დაიდონ იმ ადამიანებმა, რომელნიც ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციით ცდილობენ პოლიტიკური კაპიტალის შექმნას, ჩაიხედონ საკუთარ სულში და გაანალიზონ საკუთარი ქმედებანი... ვაითუ იქ ელემენტარული შური აღმოაჩინონ!.. ზვიად გამსახურდიას მაღალ რეიტინგს ქართველი საზოგადოებრიობის თვალში ვერაფერი დააკლო მისი სახელის დისკრედიტაციის მცდელობით, პირიქით მოხდა, მის მხარეს დააყენა საზოგადოების ის ნაწილიც, ვინაც მანამდე განზე იდგა, ანდა სხვა დაჯგუფებების მხარეს იხრებოდა. ელცინი წერს, რომ თავის გამარჯვებას ნაწილობრივ კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტს უნდა უმადლოდეს, რაკი ეს უკანასკნელი ცდილობდა გზა გადაეკეტა მისთვის და ინსინუაციებსაც არ ერიდებდა... ტროას ცხენი, პატარა ცახესი, სუკის აგენტი და ამგვარი, ყველა ნორმალური ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი, პოლიტიკური ბოღმით გამოწვეულმა ზედწოდებებმა უმცირესი ზიანიც ვერ მიაყენა ერის ლიდერის სახელს, ბუმერანგის ძალა შეიძინა და ქართული საზოგადოების თვალში ავტორთა ავტორიტეტი დასცა... უკიდურესად უარყოფითად შეფასდა არჩევნების წინა საათებში ზვიად გამსახურდიას კიდევ ერთი დისკრედიტაციის მცდელობა... დაბოლოს, „იზვესტიის“ ყბადაღებული პუბლიკაცია, რომლის ავტორმა ვითომდა ობიექტურობის ნიღაბი მოირგო და საქართველო ისე წარმოადგინა, თითქოს აქ უკვე სამოქალაქო ომი მიდიოდეს, ტერორი მეფობდეს, შეფარვით კი შეეცადა ყველაფერი ეს ზვიად გამსახურდიას კისერზე ჩამოეკიდებინა.

მინდა შევეკითხო ზვიად გამსახურდიას ოპონენტებს: ვისთან დგახართ? მოგწონთ თუ არ მოგწონთ ბატონი ზვიად გამსახურდია, ხომ უნდა ხედავდეთ, რომ იმპერიულ ძალებს დღეს ყველაზე მეტად მისი დამარცხება და დისკრედიტაცია სწადია, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ჩვენივე ხელებით... ნუთუ თქვენი ხმები უნდა შეუერთდეს იმათ ხმებს!

არჩევნებში მე *დავმარცხდი*, ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოვაგროვე, მაგრამ ჩემს გულს შური და ნყენა არ გაკარებია, რადგან ამავდროულად მე *გავიმარჯვე*, რაკი გაიმარჯვა პოლიტიკურმა ძალამ, რომლის ნაწილადაც ვთვლი ჩემს თავს... გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ. საქართველოს პირველად ორი საუკუნის მანძილზე მიეცა შანსი, გამოჩნდა ჭეშმარიტი პერსპექტივა განთავისუფლებისა.

კეკლუცობაში ნურავინ ჩამომართმევს, ჩემს ნაწერებში არასოდეს ერთი სიტყვითაც პანეგირიკული ფრაზა არ დამცდენია რომელიმე ჩემს თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეზე, რადგან ყველაზე ნიჭიერნიც კი, ვინაც პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებას აღწევდა, ყოველთვის დანიშნული იყო უზნეო ძალების მიერ უზნეო მცდელობების შედეგად. პირველად ჩემი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე, ზნეობრივმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. ზვიად გამსახურდია დიდი კონსტანტინეს შვილია! მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ღირსეული შვილია მამისა და მთელი ქართველი ერისა. მისი ცხოვრება არის ცხოვრება პიროვნებისა, რომელმაც იმთავითვე აირჩია გზა განმათავისუფლებლისა! ცხადია, ეს მძიმე გზა უშეცდომო და ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენი არსებობის ლოგიკა ასეთია: ტანჯვით, ცდომილებებით, ჭეშმარიტების უწყვეტი ძიებით უნდა მიხვიდე დასახულ მიზანამდე... ზვიად გამსახურდიამ გაიარა ყოველივე ეს და მიაღწია მიზანს — ნილად ერგო უფრო მძიმე, უფრო საშიში, თავდადების ზღვარზე მისული საქმე — ერის თავკაცობა ამ არეულ, განუკითხავ ჟამს, როცა ტაშის გრიალში ტყვიის ზუზუნიც არაა გამორიცხული.

ბატონო ზვიად! დაე, ქართველ ხალხს გამართლებოდეს თავისი არჩევანი! მზად იყავით თავდადებისათვის და ჩვენც, ყოველი ჭეშმარიტი ქართველი, საქართველოს ერთგული ყველა მკვიდრი, თქვენთან ერთად მზად ვიქნებით, რათა ან გავიმარჯვოთ, ან თავი დავდოთ სამსხვერპლოზე!

ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
4 ოქტომბერი, 1991.

მწერლის ადგილი

ამ დღეებში ხშირად გაისმის მოთხოვნა — დავდგეთ იქ, სადაც ჩვენი სინდისი გვიკარნახებს. მძიმე ჟამი დაუდგა საქართველოს და მართლაც არავის ეპატიება „სპილოს ძვლის კოშკში“ განმარტოება, მაყურებლის როლში ყოფნა, სერიოზული ტკბობა. მავანის პირით დღეს თვით სიტყვა ინტელიგენტი დისკრედიტირებულია. პირადად მე თავს ინტელიგენტად ვთვლი და ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, გადარბენები მოვანყო იმისდა მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური ძალა იმარჯვებს.

მოხდა საშინელება! თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდა კაცმა გაია აბესაძემ ბენზინი გადაისხა და თავი საჯაროდ დაინვა. ჩვენ არა გვაქვს უფლება თავგანწირვის ეს აქტი არ შევაფასოთ როგორც უმაღლესი ზნეობრივი გაკვეთილი, წმინდა სულის შეწირვა სამშობლოს საკურთხეველზე. ეს ისეთი ცოტნეობაა, რომლის წინაშე ყველამ უნდა დავხაროთ თავი. ამის შემდეგ ჭეშმარიტმა პატრიოტმა თოფის სასხლეტიდან თითი უნდა აიღოს და გონიერებას მოუხმოს. ყველამ უნდა იცოდეს, უკომპრომისო პოლიტიკა განწირული პოლიტიკაა. პოლიტიკური ლიდერი ის კაპიტანია, რომელსაც ხომალდი ხიფათიან რიფებზე გაჰყავს და აქ სწორხაზოვანი მოძრაობა დამლუპველია. პოლიტიკოსს სიფხიზლე მართებს და არა ემოციების აყოლა. პოლიტიკური თამაშის დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ცხოვრების საჭადრაკო დაფაზე ფიგურებად ადამიანები გამოგვყავს.

ოქტომბრის არჩევნებზე და შემდგომაც ზვიად გამსახურდიას გამარჯვება მიმანჩნდა და მიმანჩნია სავსებით სამართლიან აქტად. პრეზიდენტმა სამჯერ სცადა ბედი და სამივეჯერ გაიმარჯვა. ამ ათი თვის მანძილზე ბევრი რამ მოხდა პოზიტიური, საქართველომ სახე იცვალა. იმასაც ვერ დავმაღავ, რომ გარკვეულწილად უკმაყოფილება მეუფლება. მიმანჩნია, რომ ხელისუფლება უშვებს შეცდომებს, რომელთა ნაწილი ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეუ-

ლი, რადგან ქვეყნის მართვა ხდება უწყვეტი სტრესის პირობებში, მეორე ნაწილის თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში ოპოზიციურად განწყობილ ძალებს აქვთ პოლიტიკური, კონსტიტუციური და ზნეობრივი უფლება გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი, ნამოყვინონ ალტერნატიული წინადადებები და იბრძოლონ მის განსახორციელებლად. ძლიერი ოპოზიცია საჭიროცაა, თუ გვინდა ჩვენი პოლიტიკური სისტემა ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი გახდეს. მაგრამ ზოგი რამ გამკვირვებია. ჯერ ერთი, ოპოზიციის დროში ქვეშ გაერთიანებულან იმდენად განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების პოლიტიკური ძალები, რომ მეექვსეა ოპოზიციის მტკიცე ერთიანობისა. ეს ალბათ მაშინდა მოხერხდება, როცა ზომიერი, ლიბერალური ოპოზიცია გადაინაცვლებს რადიკალურისაკენ, იქიდან, ვშიშობ, ერთი ნაბიჯია ექსტრემიზმამდე. მეორე და ამ ეტაპზე მთავარი ისაა, რომ დაუშვებელია შეიარაღებული დაუმორჩილებლობა კანონიერი ხელისუფლებისა. მიტინგი, მანიფესტაცია, შეხლა-შემოხლა პარლამენტის კედლებში, აზრთა დაპირისპირება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ამ დროს ყოველთვის ვერ ხერხდება კორექტული ქცევა, მაქსიმალისტური მოთხოვნისაგან თავის შეკავება. მაგრამ სამხედრო მუქარა, „ბეტეერებითა“ და ტყვიამფრქვევებით ქალაქის ქუჩებში გამოსვლა ცალსახად უნდა შეფასდეს როგორც სამხედრო გადატრიალების მცდელობა. პოლიტიკური ბრძოლის ასეთ გზას მხარს ვერ დავუჭერ თუნდაც ერთი მიზეზით. დავუშვათ, მისმა მოწინააღმდეგებმა შეძლეს პრეზიდენტის გადაყენება. ხომ ნათელია, რომ პრეზიდენტის მომხრეები ფარხმალს არ დაყრიან და სულ მცირე დროში ჩვენ მოწმენი გავხდებით ახალი კრიზისისა, როცა დაპირისპირებული მხარეები უბრალოდ ადგილებს გადაინაცვლებენ. ხელისუფლებათა ასეთი მონაცვლეობა შექმნის დაუსრულებელი კონფლიქტების ვითარებას და ჩვენ გადავიქცევით ჩვეულებრივ „ბანანის რესპუბლიკად“, სადაც ყოველ პოლკოვნიკს შეუძლია პრეზიდენტი გახდეს, სისხლისმღვრელი დაპირისპირებები კი არასოდეს წყდება. ასე რომ, პუტჩის თუნდაც ერთი პრეცედენტი დამლუპველია. ამ გზით მოსული ნებისმიერი ხელისუფლება ვერაფერს მოიგებს, პირიქით, იმ დღიდან დაიწყება სისხლიანი გზა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომებისა... თავს ნუ

დავიმშვიდებთ იმით, რომ ჩვენ ქართველები ვართ და სხვებისაგან კეთილგონიერებით გამოვირჩევით. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ იოლად ვაღწევთ კლასიკური სამოქალაქო ომის ზღურბლამდე, სამოქალაქო ომი კი ყველაზე დაუნდობელი და სისხლიანია.

სწორედ ამიტომ, საქართველოს უმაღლესი ინტერესებიდან გამომდინარე, ოპოზიციამ უარი უნდა თქვას სამხედრო მუქარაზე, გაემიჯნოს ძალის პოლიტიკას. განცხადება იმის თაობაზე, რომ სამხედრო ძალა იცავს ხალხს და არა პრეზიდენტს, არაკორექტულია. ბოლოს და ბოლოს ეროვნულმა გვარდიამ ფიცი რაღაც აბსტრაქტული ხალხის წინაშე კი არა, ამ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის წინაშე დადო.

მინდა მივმართო ხელისუფლებასაც! შეცდომისაგან დაზღვეული არავინაა. ჩვენ ისეთ რთულ ვითარებაში გვიხდება ცხოვრება, რომ კიდევ არაერთხელ შევცდებით. ტაქტიკური შეცდომების გასწორება იოლია, სტრატეგიული ამოცანის დასახვის დროს არ უნდა შევცდეთ. მიზანი უნდა იყოს ცალსახად გარკვეული. თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყველას გვინდა, მაგრამ ეტყობა ამ ცნებებში სხვადასხვა შინაარსსა ვდებთ. ხომ ნათელია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც დაღლილია მრავალწლოვანი ავტორიტარული რეჟიმების პირობებში ცხოვრებით, ეჭვით უყურებს ხელისუფლების ზოგიერთ მოქმედებას, მას ანტიდემოკრატიულობის კვალიფიკაციას აძლევს. ამ ვითარებაში ხელისუფლებამ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც საზოგადოებას ამ შიშს განუქარწყლებს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია თავისუფლებისა და დემოკრატიის ცნებათა დაპირისპირების მცდელობა. საკითხის ასე დასმა, ჯერ თავისუფლება მოვიპოვოთ, დემოკრატიაზე მერე ვიზრუნოთ, ჯერ ერთი, სახელს უტეხს ხელისუფლებას, მეორეც, არასწორია. არ არსებობს თავისუფლება დემოკრატიის გარეშე, არც ჭეშმარიტი დემოკრატია არსებობს თავისუფლების გარეშე. აქ ლაპარაკი არ არის აბსოლუტურ თავისუფლებაზე, ან აბსოლუტურ დემოკრატიაზე. რომელიმე იდეის აბსოლუტიზაცია, როგორც წესი, ამ იდეის კრახს იწვევს... ზოგიერთი გამომსვლელი ისე მსჯელობს, თითქოს დემოკრატიის იდეა ხელს უშლიდეს საქართველოს წინსვლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. არადა, ხელისუფლებამ, პირიქით, დემოკრატიის იდეა უნდა

სატელევიზიო მიმართვა თანაქალაქეებს!

გაიხადოს იარაღად და მისი დროშის ქვეშ უნდა იბრძოლოს... მაშინ მის ოპონენტებს ხელიდან გამოეცლება ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი იარაღი. ერთი კონკრეტული მაგალითი ავიღოთ, თუნდაც ტელევიზიისა. მიმაჩნია, რომ ტელევიზიის ერთი არხი მთლიანად უნდა ეკუთვნოდეს ოფიციალურ ხელისუფლებას და მის პოზიციას გამოხატავდეს. მეორე არხი კი მთლიანად უნდა გახდეს ალტერნატიული, თავისუფალი... ამ არხებს დირექტორიც სხვადასხვა უნდა ჰყავდეთ. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ჯანსაღი კონკურენცია, იდეებისაც და ჟურნალისტური ოსტატობისაც.

ყოველად დაუშვებლად მიმაჩნია ინფორმაციის შეზღუდვა. შიში იმისა, რომ ჩვენს ნაკლსა და შეცდომებს უცხო თვალი შეამჩნევს, უსაფუძვლოა, რადგან რაც ჩვენთან ხდება კანონზომიერი ისტორიული მოვლენაა. ყოველივე ეს ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს და ხდება კიდევც. სიმართლე კი როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან ღირსების მაჩვენებელია. ნუ დავტოვებთ ჩვენს ხალხს უმეცრებაში, როცა ადამიანი რეალობის ნაცვლად მხოლოდ მის ანარეკლს ხედავს. ყველაზე დიდი ძალმომრეობა განგებ ორგანიზებული ინფორმაციული შიმშილია.

მოდით, ხელი ავიღოთ ერთმანეთის დისკრედიტაციის მცდელობაზე და გადავიდეთ ბრძოლის ცივილიზებულ მეთოდებზე. საქართველო ამიერიდან მართლაც არ იქნება დამდგარი ჭაობი, იგი იდეებისა და შეხედულებების საბრძოლო ასპარეზად გადაიქცევა, მაგრამ ამ ბრძოლაში იარაღად ნუ გამოვიყენებთ ტყვიასა და ინსინუაციას! მივბაძოთ წინაპრებს რაინდობაში, მართლისთქმაში, ღირსების გრძნობაში!

გია აბესაძის წმინდა ფერფლმა უნდა გამოგვაფხიზლოს! შევწყვიტოთ იარაღის ყლარუნი, იგი არავის მოუტანს დიდებას, საქართველოს კი უბედურებას დაატეხს თავზე!

გონს მოვიდეთ!

ძვირფასო ზუგდიდელებო!

მინდოდა ეს სიტყვები იქ, მიტინგზე მეთქვა. სამწუხაროდ ისეთი დრო დაგვიდგა, განსხვავებული აზრი მტრობად აღიქმება, სალი თვალებით დანახული რეალობა ბევრს არ ეჭაშნიკება. მოხდა ტრაგედია, დაიღვარა სისხლი, დაინგრა ჩვენი სატახტო ქალაქის ყველაზე მშვენიერი პროსპექტი და მოედანი... იმ დღეებში აქ ვიყავი, დავდიოდი ბრძოლის ასპარეზის ირგვლივ, მესმოდა ტყვიის ზუზუნი, ზარბაზნების ქუხილი და გული მიკვდებოდა, რომ უძლური ვიყავი, რამე მელონა... ვინ უნდა დამედანაშაულებინა, ვის წინააღმდეგ უნდა ამელო იარაღი?.. ყველანი დამნაშავენი ვართ, ვინც ვერ შევძელით საქართველოს გამთლიანება, გახლეჩილის კვლავ შეერთება.

ზუგდიდში ჩასულს კვლავ ულონობის შეგრძნება დამეუფლა. მთელი ქალაქი აღგზნებულია, მოედანზე უამრავი ხალხი იყრის თავს. ბუტაფორული რკინის ურჩხულები გაგიკეთებიათ, ჩემო ზუგდიდელებო, საომრად ემზადებით... კაცი სანამ ტყვიას გაისვრის, უნდა დაფიქრდეს, ემოციები დაიოკოს, მტყუან-მართალი განსაჯოს, თორემ დიდი ცოდვა დატრიალდება და მოხდენილს ვერაფერი გამოასწორებს.

რაც მოხდა, იმაზე უარესი რა უნდა მოხდესო, იკითხავთ ალბათ.

ყველაფერზე უარესი, ნგრევასა და მსხვერპლზე უარესი საქართველოს დაქუცმაცება, მის კუთხეებს შორის ურთიერთდაპირისპირებაა! ომის დაწყება ადვილია, მისი მომთავრება ძნელი. მთავრობები იცვლება, საქართველო კი უნდა დარჩეს ერთიანი და სწორედ ამ ერთიანობით ძლიერი!

მე მინდა მივმართო ჩემს მეგობრებს, რომლებიც მარნმუნებდნენ, რომ მზად არიან პრეზიდენტისათვის თავი დადონ! მე პატივისცემ ვცემ კეთილშობილურ თავდადებას, მაგრამ როცა ახალგაზრდებს აიყოლიებ და სამსხვერპლოდ წაიყვან, მაშინ ღვთისა და ისტორიის წინაშე დარწმუნებული უნდა იყო, რომ ესაა ერთადერთი გზა საქართველოს გადარჩენისა. ჭეშმარიტმა მამულიშვილმა უნდა უკუ-

აგდოს პირადი ამბიციები, ჩაიხშოს წყენა და შეეცადოს საქართველოს მოუტანოს სიმშვიდე.

ნუ გავაიგივებთ პრეზიდენტს საქართველოსთან, ისევე როგორც არც ახალი მთავრობაა საქართველო!

საქართველო უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პიროვნება, მაგრამ საქართველო საქართველო ვერ იქნება, რომელიმე კუთხეს თუ გამოვაკლებთ. უფალმა ჭეშმარიტ კოლხებს უკარნახა საქართველოსათვის თავდადება და არა მისი დაღუპვა, მისი გამთლიანება და არა დაშლა.

ესაა გზა ცოტნესი!

როცა ქვეყანაში ღრმა კრიზისია, მატულობს ურთიერთდაპირისპირებულობა, მაგრამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა პოლიტიკურ ძალთა თამაშის მსხვერპლნი არ შევიქნეთ. ამ ჭიდილში ვიღაცა პატივმოყვარეობას დაიკმაყოფილებს, ვიღაცა თანამდებობას შეინარჩუნებს, ვიღაცა სარფიან საქმეს გაკრავს ხელს, მაგრამ უბრალო, პატარა ბიჭები, იდეალის ძიებითა და რომანტიკული გზნებით შეპყრობილნი, მინაში მიდიან.

ნუ, ნუ ვიზამთ ამას!

ხომ ნათელია, რომ ქვეყანა ჩიხში მოექცა, უფსკრულის პირამდე მივიდა და არ არსებობს საშუალება, გარდა ახალი გზის ძიებისა!

მოვითმინოთ, დავშოშმინდეთ და თუ ახალი ხელისუფლება არ შეასრულებს დანაპირებს, თუ ის არ დაადგება ჭეშმარიტი დემოკრატიის გზას, მაშინ მეც იმ უკანასკნელ საშუალებას მივმართავ, რაზეც წერს ერთი ჩემი კოლეგა: „მე თვითონ ავიღებ იარაღს ხელში!“

ყრილობაზე სათქმელი

დეკემბერ-იანვრის ამბების შემდეგ ზუგდიდიდან რომ ჩამოვედი, ერთი ჩემი კოლეგა შემხვდა და მკითხა, ზუგდიდში რა ამბები-აო. პრეზიდენტის მომხრეების მიტინგი ტარდება-მეთქი, ვუპასუხე. რატომ, კაცოო, გაიკვირვა, რა არ მოსწონთო. ამ, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო შეკითხვაში ჩანს მარტივი ფორმულა, რომლის დედააზრი ის არის, რომ მე მართალი ვარ, იმიტომ რომ ვარ მართალი, ოპონენტი კი მტყუანია, იმიტომ რომ ის მართალი არ არის. ჩვენი გახლეჩილი ერი დამგვანებია ყრუ-მუნჯთ და უსინათლოთ, ბნელ ლაბირინთში რომ ერთმანეთს ეხლებიან, გამოსავალი მხოლოდ თანხმობაა, მაგრამ არც სურთ და არც ძალუძთ ერთმანეთის მოსმენა. პოლიტიკური ოპონენტისადმი ზიზღმა და სიძულვილმა მოიცვა ჩვენი საზოგადოება, სიტყვით ქრისტიანულ მიმტევებლობას ვქადაგებთ, ცხადად კი ავტომატის ჩახმახზე გვიდევს თითი... ამ რამდენიმე წლის წინ თავად დასწრელებული ერის შვილმა დაავადებული ერი გვიწოდა და ამან ჩვენი აღშფოთება გამოიწვია. მას არა ჰქონდა ზნეობრივი უფლება ყოფილიყო ჩვენი მსაჯული, რაკი ჩვენს უბედურებაში ლომის წილი მის იმპერიალისტურ სამშობლოს ედო. მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ნუთუ სიძულვილის ეს ტალღა დღეს ატორტმანდა? ჩვენს თვალწინ ხდებოდა სასტიკი ბოროტებანი და ჩვენ ხმას არ ვიღებდით: კაცთა ტყვევანა და ტაცება, მიცვალებულთა საფლავებზე დამნაშავის, ზოგჯერ კი უდანაშაულოს სასტიკი დაკვლა, ერთმანეთის სახლების გადაწვა და სხვა მსგავსი ვანდალური ქმედებანი ჩვენი არსებობის რიგით მოვლენებად იქცა... 9 აპრილამდე გაცილებით ადრე მეამბოხურად განწყობილმა ახალგაზრდებმა მითხრეს, მთავარია გავიმარჯვოთ, ზნეობაზე მერე ვილაპარაკოთო... მაშინა ვთქვი, რომ უზნეო მეთოდებით მოპოვებული თავისუფლება არ იქნება ჭეშმარიტი თავისუფლება და მე ვერ შევიყვარებ საქართველოს, სადაც უზნეობა გამეფებულა-მეთქი... კონფრონტაციის ქია იმთავითვე გაუჩნდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას. პოლიტიკური აზროვნების დაბალმა დონემ, ამბიციურობამ, ურთიერთგაუტანლობამ, პირადი ინტერესების ერის ინტერესებზე მაღლა დაყენებამ

თავისი ბოროტი საქმე მოიმოქმედა... ბრძოლის პროცესში ორი ტენდენცია გამოიკვეთა, ორი საზრისი საქართველოს მომავალზე. ერთმა მხარემ მიზნის მისაღწევად არჩია ავტორიტარული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება, მეორე პირველს დემოკრატიული ალამით დაუპირისპირდა... რაკი ჩვენთან არ არსებობს დიალოგის ელემენტარული კულტურა, ურთიერთკომპრომისის ძნელი მეცნიერება, კონფრონტაცია უფრო და უფრო გაღრმავდა, რამაც საშინელ ტრაგედიამდე მიგვიყვანა... ლიბანის ტრაგედია სხვა მეტი არაფერია! იქ 100 ათასი დაღუპულის შემდეგ მეთათსედ ნულიდან იწყებენ დიალოგს, რაკი სხვა უკეთესი გამოსავალი კაცის გონებას ვერ მოუაზრებია... ამ ვითარებაში ჩვენ, მწერლებს სულიერი მკურნალის როლი გვეკისრება. სამწუხაროდ, მწერლისა და საზოგადოდ ინტელიგენტის სახელი იმდენადაა დისკრედიტირებული, რომ ჩვენი პროფესია საშიშიც გახდა. ტელევიზიით ჩემმა გამოსვლამ, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშერიგებისაკენ მოვუწოდებდი, ვამბობდი, რომ სისხლი არ უნდა დავღვართ, ახალგაზრდების სიცოცხლეს გავუფრთხილდეთ-მეთქი, მძაფრი უკურეაქცია გამოიწვია. ქართველები აქამდე ჯერ არ დაგვებულვართ, რომ საჯაროდ წიგნი დაგვეწვა, ჩვენ კი ამასაც მოვესწარით... ნუ დაგვაგინებდა, კამბოჯაში სათვალისანსაც ხვრეტდნენ... ჩემდა თავად, ქრისტიანულად მიმიტევებია ყველასათვის, ვინაც ასე გამიმეტა, რადგან ვფიქრობ, არა უწყიან, რასაც შვრებიან... მე უფრო ისა მწყინს, სენი სიძულვილისა და ურთიერთქიშპობისა მწერლობას, ერის სულიერ მკურნალს შეჰპარვია, აქაც მძლავრობს ეშმა. ჩავიხედოთ ჩვენს გულებში, მეგობრებო, და განვსაჯოთ საკუთარი ქმედებანი და ზრახვანი. ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში კი არა, წიგნებით უნდა გავიმარჯვოთ... ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მწერალთა კავშირი როგორც ჩვენი საერთო სახლი, ოღონდ არა იმ სახით, როგორც აქამდე იყო, სახელმწიფოს პირისფარეში, ჩინოსანთა გამომზრდელი, იერარქიულად და არა ნიჭით ელიტარული. მწერლობა საერთოდ ელიტარულია, მაგრამ მისი ელიტარულობა წიგნებში უნდა გამოჩნდეს, დემოკრატიულ ორგანიზაციაში კი ყველა მისი წევრი უნდა იყოს ერთნაირად პრივილეგირებული და დაცული. მწერალთა მომავალი სათათბირო არ უნდა გახდეს რაღაც უკვდავთა აკადემია, იქ მორიგეობით უნდა იმოლ-

ვანოს ყველა მწერალმა, ვისაც შეუძლია საკუთარ მაგიდას დროებით მოწყდეს და საერთო-სამწერლობო საქმე აკეთოს!

რაკი ზუგდიდელი ვარ და ჯერჯერობით ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების პასუხიმგებელი მდივანიც მქვია, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ხელისუფლებას. შეუმცდარი არავინაა! სამწუხაროდ, რაც გინდ დემოკრატიები გვერქვას, ეტყობა ავტორიტარიზმის სენი მაინც ზის ჩვენს სულებში და იგი იოლი ამოსაძირკვი არაა. ჩვენ ვერ გავექცევით ძველებურ აზროვნებას, თუკი თავი ვერ დავაღწიეთ ძალისმიერ მეთოდებს. სიტყვის მაგიერობას ტყვია ვერ გასწევს. წინასწარვე უნდა გვცოდნოდა, ამდენ სისხლსა და ნგრევას ხანგრძლივი კრიზისი რომ მოჰყვებოდა... დიახ, ჩვენს რეგიონში მიზეზთა და მიზეზთა გამო, პრეზიდენტს უფრო ძლიერი მხარდაჭერა აღმოაჩნდა. მე, იქნებ არ ვიზიარებ ამ ადამიანების პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ მგონი ვოლტერს უთქვამს სიტყვები, რომელსაც ბოლო დროს ხშირად იყენებენ: „მე არ ვიზიარებ თქვენს შეხედულებებს, მაგრამ თავს დავთმობ იმისათვის, რომ თქვენ გქონდეთ მისი გამოთქმის უფლებაო!“ ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ იყო ამონურული დიალოგის ყველა შესაძლებლობა, როცა იქ ჯარი გაიგზავნა. საქმე გაამწვავა იმანაც, თუ რანაირი ინფორმაცია ახლდა ამ მსვლელობას, თითქოს ლაპარაკი იყო უცხო ქვეყნის დაპყრობაზე... მე არ ვაპირებ იმ მხარის გამართლებას, მაგრამ არც ეს მხარე იქცეოდა როგორც საჭირო იყო. ჩვენ მივეჩვიეთ ლაპარაკს ცალკეულ გამონაკლისზე, არადა სწორედ ეს გამონაკლისები ქმნიან ამინდს. დღეს იარაღი ათასი ჯუარის ადამიანს უჭირავს. ისიც გასაგებია, ვინც ციხიდან გამოვა, ყველა ჟან ვალჟანი არ იქნება. ავტომატიანი კაცი, თუ მალალი ზნეობრივი შეგნება არ აკონტროლებს, საშიში ხდება. ამიტომაც რეგიონის მოსახლეობა აღმოჩნდა ორგვარი პრესის ქვეშ — მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, შეურაცხყოფამ მოიცვა მთელი მხარე, თანაც ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, როცა ერთადერთი საზრდო ტენდენციური ჭორია... ამას მოჰყვა მოსახლეობის მკვეთრად ნეგატიური რეაქცია. იმ მორალური ზარალის გაქარწყლება, რაც მოსახლეობის თვალში მთავრობას მიადგა, დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ზოგიერთ მომენტში კი შეუძლებლადაც მიმაჩნია... დაილუპნენ საქართველოს შვილები, იმათ ვერავინ გაა-

ცოცხლებს, იმ ქრილობებს ვერავინ მოაშუშებს... უნდა ვიცოდეთ, რომ მთავრობას უფრო მოეკითხება, ვიდრე იმათ, ვისაც ნაკლები პასუხისმგებლობა აკისრია... მთავრობამ მკაცრად უნდა დასაჯოს დამნაშავენი, პირველ რიგში საკუთარ მომხრეთა შორის, რათა სამართლიანობამ იზეიმოს, სხვანაირად საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა ვერ დამყარდება...

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 29
ოქტომბერი, 1993.

ჩვენ, საქართველოს ბერბიჭაშვილები...

ამ რამდენიმე წლის წინ, ზუგდიდში, სასტუმრო „ოდიშთან“ ნაცნობმა მეამბოხემ მითხრა: „ჯერ გავიმარჯვებთ და ზნეობაზე მერე ვილაპარაკოთ!“ მზადდებოდა რალაც აქცია, რომლის საბაზი აშკარად თითიდან იყო გამოწოვილი და ახალგაზრდას მივმართე — ამას რატომ აკეთებთ, ეს ხომ უზნეობაა-მეთქი. მისი პასუხი არ მესიამოვნა და მე ჩემი ვუთხარი: „უზნეო გზებით მოპოვებული თავისუფლების შედეგი უზნეო საქართველო იქნება! მე არ მინდა ასეთი საქართველო!“

მამარდაშვილს უთქვამს, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო. ამ სიტყვებს უგუნურთა ისტერია მოჰყვა, ავტორი კინალამ ჯვარს აცვეს. ახლახან ერთმა ჩემმა ნათესავმა გაიოცა — „გონიერი კაცი როგორ უნდა იყო მშობლიური კუთხის წინააღმდეგი!“ მას უნდოდა ეთქვა, „მოლაღატეო“, მაგრამ შეარბილა. მეორემ კი მითხრა: „ვართ თუ არა მართლები, შენ შენი ახლობლების მხარეს უნდა დადგე!“ შარშან, მშობლიურ ქალაქში ჩასულს, ჩემთვის სრულიად უცნობი ადამიანები ისეთ აბსურდულ ბრალდებებს მიყენებდნენ, რაზეც წარმოდგენითაც ვერ წარმოვიდგენდი. ერთი მოცუცქნული, ჭალარა მანდილოსანი დამამახსოვრდა, ხელზე მეფერებოდა და თვალაცრემლებული მიმეორებდა — „დედიკო, მე შენ არჩევნებში ხმა მოგეცი, შენ კი თურმე ერის მოლაღატე ყოფილხარ?“ რა უნდა მეპასუხნა? შემეძლო მეყვირა, ქალბატონო, არა ვარ მე არავისი მოლაღატე, მით უფრო ჩემი ერისა და კუთხისა! საკუთარი აზრის ქონა არ შეიძლება ვინმეს ღალატად ჩაეთვალოს. სამწუხაროდ, თითქოს ყრუ ბარიერს ვაწყდებოდი. ამათთვის კერპის სახელი სამშობლოსთან იყო გაიგივებული და მზად იყვნენ მის კვარცხლბეკთან მსხვერპლად მიეტანათ ერის კულტურა, მეობა, წარსული და მომავალი. ყველაზე განათლებულ და წიგნიერ ერად მოგვექონდა თავი, განთავისუფლების გარიჟრაჟზე კი ისეთი ბნელეთი ჩამონვა, საჭირო გახდა საყრდენის მოძიება, ბენჯის ხიდზე გავ-

ლა. ეს საყრდენი კი ისევ და ისევ დუტუ მეგრელის ქრესტომათიული სიტყვებია — „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო!“ სწორედ ეს მარტივი ქეშმარიტება, მრავალწინაგოვანის ერთიანობის გრძნობაა ის ლაკმუსის ქალაქი, ის საზომი, რომლითაც ჩვენი ერისკაცობა და ქართველობა გაიზომება, რამეთუ სანინალმდეგო რამ ისტორიულად განწირული და ზნეობრივად მიუღებელია.

ჩვენ ლეგენდებისა და სტერეოტიპების სამყაროში ვცხოვრობთ. ადამიანებს თითქოს გონებიდან ამოერეცხათ სამყაროს რეალური ხატი. მასობრივი შეგნება ამ სტერეოტიპებით საზრდოობს და ჯიუტად ამბობს უარს სინამდვილის გააზრებაზე. მოარული ლეგენდა: „ზვიად გამსახურდიამ მონამებრივი ცხოვრებით იცხოვრა, იგი ათეულობით წლები, ბავშვობიდანვე სუკის დილეგებში იტანჯებოდა!“ „მან თავისი პირდაპირობით გადაიმტერა მასონები!“ „შევარდნაძემ გაყიდა საქართველო, იგი გენოციდის მოსაწყობად ჩამოვიდა, იგი მასონია!“ ვინც ამგვარ ინსინუაციებს იჯერებს, იმას წარმოდგენაც არა აქვს, ვინაა ზვიად გამსახურდია, ან ედუარდ შევარდნაძე და საერთოდ ვინ არიან მასონები და კარგია თუ ცუდი მასონობა? კომუნისტურმა აზროვნებამ გარკვეულ შტამებს შეგვაჩვია, ჩვენს ტვინს ელასტიურობა აკლია და ნააზრევიც რეალობის ადეკვატური ვერ იქნება. ასეთი ადამიანები რეალურ ფაქტებს იდეა-ფიქსის პროკრუსტეს სარეცელზე ათავსებენ და რაც ამ საზომით არ იზომება, უბრალოდ უკუაგდებათ. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს იოლად შეუძლიათ თავის ნებაზე მართონ სოციალური და ეთნიკური ჯგუფები, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ცრუ წარმოდგენებზე დაფუძნებული კუთხური ინტერესები (ერთმა მახვილგონიერმა ზუგდიდელმა მითხრა, საქართველოს პრეზიდენტი ქიბრონაშვილი რომ ყოფილიყო, ჩვენთან მის დასაცავად არავინ გაფაჩუნდებოდაო!). ამ სივრცეში უზარმაზარი ასპარეზია ინტრიგისათვის. მიტინგური აზროვნების დონე სრულიად საკმარისია გულშეჭირვებული ბრბოს სამართავად და მისი მღელვარების საჭირო კალაპოტში მოსაქცევად. მოხერხებული პოლიტიკანები ამნუთიერი, ტაქტიკური წარმატების მისაღწევად ფართოდ იყენებენ მასის დამანგრეველ ძალას. ზნეობრივი ადამიანი, ცხადია, ამ იარაღს ხელს არ ჩაავ-

ლებს. უზნეოს კი ეფემერული და უსაფუძვლო ამბიციების დასაკმაყოფილებლად თავისუფლად შეუძლია სამშობლოს ბედ-იღბალი და მომავალი სასწორზე შეაგდოს, ააფეთქოს მისი ერთიანობა...

* * *

როდის იყო საქართველო თავისუფალი? ალბათ, თამარისა და ლამას ეპოქაში. თითქმის რვა საუკუნეა ჩვენ ვებრძვით გარეშე და შიდა მტერს, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარ თავს, რადგან საკუთარი სულიერი სწეულებანი ყველაზე ძნელი განსაკურნია. იყო, რა თქმა უნდა, გამონათებებიც, თუნდაც გიორგი ბრწყინვალის ეპოქა, მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, ეს გამონათება გარეშე მტრის გარკვეულ „კეთილ ნებას“ და ინტერესებს ეფუძნებოდა... ბოლო ორი საუკუნე რუსულ საპყრობილეში ვიარსებეთ. ჰქონდა ამას თავისი დადებითი მხარეც, ჩვენს მაგივრად სხვისი ტვინი მუშაობდა! თუ ჩვენი მეამბოხური სული გამოიღვიძებდა, სახრეს გადმოგვკრავდნენ (ბოლოს და ბოლოს, მაგ სახრით შეგვეყარეს ერთ ქერქვეშ!), არადა, ორცხობილას გვაჭმევდნენ (მომეჭადი და მოგიფინჩხავ პანას პრინციპით, ცხადია) და ამ ორცხობილამ დაგვაცვითა საომარი კბილები... გახსოვთ, ალბათ, „დათა თუთაშხიაში“ აღწერილი ორთაჭალის ციხის ამბოხების ამბავი. მეფის საზიზღარმა მთავრობამ მის წინააღმდეგ აჯანყებულ პატიმრებს უპირველეს ყოვლისა სამი დღის სურსათი შეუეზავნა, არიქა, სანამ ჩვენი გინებით გულს იჯერებთ, მანდ შიმშილით არ დაწყდეთო... ასე იყო მთელი ჩვენი ქვეყანაც. საპყრობილეში ვისხედით, მაგრამ რიგიანი მონათმფლობელი თავის მონას შიმშილით არ მოკლავს. მის უდიდებულესობას იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს ჩაის პლანტაციების თაობაზე უბრძანებია, ჩემი ლამაზი ქვეშევრდომები ამ მონოკულტურით ხომ არ უნდა გადავაშენოო. ჯიშის წახდენა დაენანა! ისევე როგორც ორლოვის ჯიშის ცხენებს უვლიდნენ.

მსოფლიო კატაკლიზმებში არაერთხელ მოვეყვით, იმპერიულმა კრიზისებმა ჩვენს ზურგზე გადაიარა, მსხვერპლი აურაცხელი გავიღეთ, ოღონდ მონგოლთა მსახურების დარად, რუსთა მსახურებაში ვილეოდით, თუმცა ჩვენი ნიჭისა და ამპარტავნობის წყალობით, კეთილმოსურნე ბუნებისა და კვაჭური ეშმაკობის გამოისობით, ჩვენ, კოლონიის აბორიგენები, უკეთ ვცხოვრობდით, ვი-

დრე მეტროპოლიის სრულუფლებიანი მოქალაქეები და ჩვენს ბატონ-პატრონებს შურით გულზე ვხეთქავდით. შანსს ხელიდან არ ვუშვებდით და დაბდურა რუსებზე მეტი ფანატიური გატაცებით ვემსახურეთ რუსულ საქმეს. ამით ჩვენი საქმეებიც ვაკეთეთ, ოღონდ უფრო პიროვნული, ვიდრე ეროვნული... იმათაც ხან საკუთარი შვილებივით ვუყვარდით, ხან ვძულდით, როგორც ზღაპრის დედინაცვალს შეიძლება სძულდეს ურჩი გერი. ამიტომ ზოგჯერ გაგვლახავდნენ ხოლმე, მაგრამ საკმარისადაც გვეფერებოდნენ. იმპერიული იავნანის გამოისობით ეროვნული სული ნებიერად თვლემდა. დაბეჩავებული და გონებადახშული ერი მცონარეთა ყოფით არსებობდა. გადაიკითხეთ რევოლუციამდელი პროზა და სოციალური სიდუხჭირის გარდა თითქმის ვერაფერს ამოიკითხავთ... რაც გვჭირდა, ძირითადად მაინც ჩვენივე შვილების გამოისობით გვჭირდა! ჩვენი ორჯონიკიძეები და სტალინები ვნებითა და გახელებით ემსახურებოდნენ იმპერიის საძირკვლის განმტკიცების საქმეს. ჩვენი ბერბიჭაშვილები გულწრფელად და დაუნანებლად, ბედნიერი მომავლის იმედით, ტყვიას არ იშურებდნენ ერის სულის მოსაკლავად.

საბედნიეროდ, არ გამოლეულან ილია ჭავჭავაძეები. ყველა ერსა ჰყავს წმინდანთა და ხალხისათვის თავდადებულთა მცირერიცხოვანი ელიტა, რომლის მისიაა ერის სულიერების ზიდვა საუკუნიდან საუკუნეში, რათა მარადისობის გზაზე არ განყდეს ოქროს ძაფი. ერის სულიერება მის კულტურაში გამოიხატება. ერი კულტურამ გადაარჩინა!

* * *

ამ წერილზე მუშაობას დაემთხვა აფხაზური ტრაგედიის კიდევ ერთი სამინელი ფურცელი — არძინბამ, უკვე მერამდენედ, დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება... სოხუმში მძიმე ბრძოლებია!

* * *

ორმოცდათექვსმეტის მარტის თბილისში ცხრამეტი წლის ბიჭები რომ ილუპებოდნენ, ისინი სამშობლოს ღირსების საქმეს შეეწირნენ. მათი ბრალი არ იყო, რომ ჟამმა და მოვლენების ლოგიკამ, იდეოლოგიურმა პრესმა, უფლის სალოცავის მაგიერ თაობებს

ცრუსალოცავი შეაჩეჩა. მერამდენედ ვტყუვდებოდით! მოსკოვში, ამ სლავურ-მონგოლურ ოქროს ურდოში ვეძებდით სამართალს და კუთვნილი ცხელი ტყვია მივიღეთ. მორჩილის თვინიერებით მოვითმინეთ ეს სილაქი. ახლაც მახსოვს ძველი კადრი. მატარებლიდან ჩამოსულ ხრუშჩოვს გადაეხვევა ტიპური შავქოჩოროა და კოსტაპრუნა ქართველი ახალგაზრდა, რომელსაც ალბათ არაფერი სმენია მის თანატოლთა ხოცვა-ჟლეტის შესახებ. კულტურა უფრო ფხიზელია! იქნებ უცბად არა, მაგრამ იგი თანდათან თავისუფლდება კონფორმისტული ძილ-ბურანიდან და იმ იარაღით აღიჭურვება, რაიც მისანვდომია — კალმით, ფუნჯით, საჭრეთლით. მიზანი ერთია — ეროვნული სულის გამოღვიძება. ტოტალური ცენზურის პირობებში ჭეშმარიტი ქართული ბუნების წარმოჩენა, თამამი აზრი, ქვეტექსტი, თითო სანთელია წყვდიადის გასაფანტავად. მაშინ, როცა ქართული პოლიტიკური ნება მოდუნებული იყო, კულტურა ზეობდა, ძირითადად ის კისრულობდა ერის წინამძღოლის როლს. ამიტომაც, ერის ცნობიერებაში მწერალი ვალდებული იყო გარკვეულწილად ილიაობა ეკისრა, რაც წმინდა მწერლური საქმიანობისათვის უჩვეულო ტვირთია. ცხრა აპრილს, უნივერსიტეტის წინ, დაბნეულ ხალხში ვილაცა ქალი ტირილით იმეორებდა — „სად არიან მწერლები? სად წავიდნენ მწერლები?“ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მოახედა, აგერაა მწერალიო. ქალმა უმწეოდ გაშალა ხელები — „რა ვქნათ, დედა, ანი?“ ის ჩემგან, მწერლისაგან მოითხოვდა პოლიტიკურ პასუხს, თუმცა ამ დროისათვის ასპარეზზე პოლიტიკოსებიც გამოჩნდნენ. რა დასამალია და, სწორედ ცხრა აპრილის შემდეგ, სამწუხაროდ, მწერლობამ ვერ ზიდა პასუხისმგებლობის ტვირთი და ინიციატივა უმთავრესად კინომოღვაწეებმა აიღეს ხელში. მწერალთა აქამდე სახელგანთქმულმა ორგანიზაციამ, რომლის წიაღშიც ადრე წინააღმდეგობის სული ტრიალებდა, თავი მოიკვდარუნა. ცხადია, ეს არ ეხება ყველა მწერალს, მაგრამ ჩინოვნიკურმა სულმა სძლია მემამოხურს რბილი სავარძლის ტრფიალთა შორის. აქ იმას ვერ დავივიწყებთ, რომ მწერალთა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა იმავე დღეს პარტიული თემა დაყარა და კომუნისტურ წარსულთან კავშირი განყვიტა, მაგრამ სახელგანთქმულმა ელიტამ მოცდა და ქოჭმანი ამჯობინა...

* * *

სოხუმში მძიმე ბრძოლებია...

* * *

მანც ვინ დაანგრია იმპერია? ყველაზე იოლია მოვლენის პერსონიფიცირება. ზოგი ამბობს, იმპერია გორბაჩოვმა დაანგრიაო, ზოგს გულუბრყვილოდ ჰგონია — ზვიად გამსახურდიამო... იმპერია, უპირველესად, საკუთარმა სიმძიმემ დაანგრია. იმპერიებს, საზოგადოდ, ანგრევს შეუსაბამობა შესაძლებელსა და სურვილს შორის. რუსეთის იმპერია მსოფლიო ბატონობას ესწრაფვოდა, მაგრამ ამ მძიმე ტვირთის აწევა ვერ შეძლო. როცა ფიქრობდა, მწვერვალამდე ნაბიჯი დამრჩაო, ხერხემაღმა ჭახანი გაადინა და ამდენი სისხლით აშენებული ხუხულა ერთბაშად ჩამოინგრა. ამ საქმეში მას, რა თქმა უნდა, წახემარნენ სხვადასხვა ძალები, გარეშენი — მსოფლიო შეჯიბრების ათლეტები დასავლეთიდან, შიგნით კი, ერთი მხრივ, რეფორმატორთა თაობა, მეორე მხრივ — დისიდენტთა ტალღა. რაც შეეხება კულტურას, მას ორივე ნაკადში შეჰქონდა თავისი წვლილი, რამეთუ კულტურა საერთოდ და ძირითადად იმ მატარებელზე ზის, რომელიც პროგრესის მიმართულებით მიეშურება... აქედან გამომდინარე, ედუარდ შევარდნაძესაც თავისი წვლილი აქვს იმპერიის რღვევის საქმეში და ზვიად გამსახურდიასაც. უფრო მეტიც, ყოველი ჩვენგანი მონაწილეობდა ამ ნგრევაში, ზოგი გააზრებულად, ზოგი ინსტინქტურად. ისტორია გაარკვევს, ვისი წილი რამდენს აიწონის. რომელიმე კონკრეტული პიროვნების პრეტენზია, არიქა, ისეთი ბეჭები მქონია, იმპერია ჩემი დანგრეულიაო, ღიმილის მომგვრელია...

მსოფლიო-ისტორიული მოვლენების გარიჟრაჟზე თვით ჰაერი იმუხტება მეამბოხური სულისკვეთებით. ადამიანებს თითქოს ავინყდებათ, რომ ისინი უპირატესად აღმშენებლები არიან და ნგრევის სინდრომი ეუფლებათ. სამწუხაროდ, რაც ინგრევა, ყოველივე დასანგრევი არ არის და მის აღდგენას დიდი ძალისხმევა დასჭირდება. მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგზე, ანდა სახელმწიფო და პოლიტიკურ სტრუქტურათა რღვევაზე უფრო დასანანია სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების იავარქმნა. პოლიტიკა ჭუჭყიანი საქ-

მეაო, ამას ის ამტკიცებს, ვინც ჭუჭყს არ ერიდება და მიზნის მისაღწევად მზადაა ქრისტეს მცნებებს ცხრაჯერ გადააბიჯოს.

ცხრა აპრილსა და მის მომდევნო თვეებში ჩვენ ყველას ერთმანეთი გვიყვარდა, გამორჩეულად კი ისინი, ვისაც ეყო გამბედაობა, ჩვენი უბედურება მსოფლიოსთვის ემცნოთ. იმდროინდელ მიტინგებსა და დემონსტრაციებს ერთიანობისა და ზეიმის სულისკვეთება დაჰკრავდა, იმ სამზერიდან რეალურად გამოჩნდა დამოუკიდებლობის შესაძლებლობა და ყველანი, ვინც ქუჩაში გამოვიდა და ტრიბუნაზე ავიდა, გმირად გვესახებოდა. ინტელექტუალური ელიტიდან დაწყებული ქუჩის ბაცაცებით დამთავრებული ერთიანობის გრძნობით აღვივსენით, რაც განთავისუფლების ნამდვილ შანსს გვაძლევდა. სწორედ ამ დროს არ უნდა დაგვიწყებოდა ზნეობრივი კოდექსის უმთავრესი მუხლი — „გვიყვარდეს მტერი შენი!“ სულიერი ზესწრაფვის ამ მოკლე დროში შემოგვიგდეს განხეთქილების ვაშლი და საყოველთაო ურთიერთსიყვარული საყოველთაო ურთიერთსიძულვილით შეგვეცვალა... ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს გამანონასწორებელი ცენტრი, ჩვენ კი უკიდურესობების ხალხი ვართ. ორთოდოქსული კომუნისტური აზროვნებიდან ერთ დღეში უკიდურეს ანტიკომუნიზმში გადავვარდით. უარყოფა ყოველთვის არაა პოზიტიური! როცა კომუნისტურ იდეოლოგიას უარვყოფთ, სულაც არაა აუცილებელი ისე რადიკალურად შორს წავიდეთ, მეორე უკიდურესობაში გადავვარდეთ, რადგან ის უკიდურესობა ნაყოფია უკვე ნაცნობი კომუნისტური სინდრომისა, რომელსაც წუთის წინ გავურბოდით. არაიდეოლოგიზირებულ საზოგადოებაში უკიდურესობანი დამლუპველია. რადიკალური იდეოლოგიები დიქტატურის საყრდენია და არა დემოკრატიისა.

მოხდა განხეთქილება! მხარეები ერთმანეთს კრემლისა და სუკის აგენტობას აბრალებდა. იოლი გახდა იარლიყების მინებება და ამის გამო დუელზე არავინ გამოუწვევიათ. ზოგიერთებმა პრესაში გამოაქვეყნეს სუკის არქივიდან ამოღებული საბუთები, ოღონდ იქიდან ადამიანთა მხოლოდ წუთიერი სისუსტის დამადასტურებელი ფაქტები ამოიკითხებოდა და არა აგენტობა. ასეთი პუბლიკაციების ავტორებს ელემენტარული იურიდიული წესიერება უნდა კარნახობდეს, რომ არ შეიძლება მოწინააღმდეგის დამა-

რცხება უზნეო ხერხებით. ცხადია, სუკს აგენტებიც ეყოლებოდა და საკმარისი ბერკეტებიც ექნებოდა მოვლენების სამართავად, მაგრამ ლოგიკური ჰიპოთეზებიც ვერ გამოდგება მსჯავრის გამოსატანად... განხეთქილების მიზეზები ისედაც ზედაპირზე დევს. უმთავრესი ისაა, რომ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საზოგადოების სხვადასხვა ნაწილმა, თავიანთი რუპორების მეშვეობით, მომავლის სტრატეგიისა და ტაქტიკის სხვადასხვანაირი გეგმა შეიმუშავა და ერთადერთ სწორ გზად საკუთარი არჩევანი მიიჩნია. ჩვენს პირობებში ამან ჰიპერტროფირებული ფორმები მიიღო, რადგან ადამიანთა უმრავლესობას ზოგადი იდეები კი არ ამოძრავებთ, არამედ ანგარება. ძალაუფლების იოლი მოპოვების პერსპექტივამ ისე იმოქმედა, როგორც წითელი ნაჭრის ფრიალი მოქმედებს ხარზე. სანამ მიზანი შორს იყო, ეროვნული ძალები ერთ მაგიდას უსხდნენ და საძულველ მტერსაც კარგად ხედავდნენ. მოულოდნელად მიზანი ცხვირწინ აღმოჩნდა, ხელს გაიწვდი და ოქროს ვაშლი გაგიგორდება, ოღონდ რეალურად ეს ვაშლი განხეთქილებისა აღმოჩნდა. ჩვენ ხომ ქართველები ვართ! ჩვენ მოთმინება არა გვყოფნის, ნაყოფს დამნიფებას არ ვაცლით. გუშინ საბჭოთა კონსტიტუციას ვაძაგებდით, დღეს კი დამოუკიდებლობას მასზე ვამყნობთ. პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი პოლიტიკური ინტრიგების სარბიელად გადავაქციეთ. გახსოვთ, ავტომატების პირველი გასროლა იმელის შენობასთან, ფორუმიდან ზვიად გამსახურდიას წასვლა. მანამდე ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორად გაიხლიჩა. გამსახურდიას მომხრეებმა გადანყვეტეს საბჭოთა კონსტიტუციის ულაყზე ხელისუფლების სათავეში აჯირითება, მათი ოპონენტები კი ამ კონსტიტუციას არ ცნობდნენ. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს მრავალპარტიულ არჩევნებს (სხვათა შორის, პირველი არჩევნები იმიტომ ჩაიშალა, რომ იმ დროს სხვაზე მეტი შანსი სახალხო ფრონტს ჰქონდა) და კონგრესის იდეა წამოაყენეს. პირადად მე ამისი წინააღმდეგი ვიყავი, რადგან მეჩვენებოდა, რომ ეს იდეა დაპირისპირებას აღრმავებდა. ჩატარდა კიდევ ასეთი არჩევნები, მაგრამ მას დიდი რეზონანსი არ ჰქონია. იმ დროს „კონგრესმენებს“ არც შეიძლებოდა ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის იმედი ჰქონოდათ, რადგან უკვე იწყებოდა ზვიად გამსახურდიას ფენომენის გაძლიერების პერიოდი.

ოპოზიციონერთა უმრავლესობამ იცნოსა ხელისუფლების სუნი და ზოგმა იდეური, უფრო კი პრაგმატული მოსაზრებებით „მრგვალი მაგიდას“ კარი შეაღო. ამ მაგიდას ირგვლივ აღმოჩნდა შეუთავსებელთა ჯამი, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი — კომუნისტური მმართველობის დამხობა აერთიანებდათ. ინტერესთა უფრო ღრმა შეთანხმება კი შეუძლებელი იყო, რადგან ნგრევა ვერ იქნება დიდი ხნის მაკავშირებელი სხვადასხვა ძალებს შორის. ამიტომაც ძირითადად შიგნიდან აფეთქდა „მრგვალი მაგიდა“, საკმაოდ მალე მას შემდეგ, რაც კომუნისტური საფრთხობელა ჩამოიშორეს. კონგრესს შეურიგებელი ოპოზიციის სათათბიროს როლი დაეკისრა და მოსახლეობის დიდ ნაწილს ნაკლებ აინტერესებდა, რაც მის კედლებში ხდებოდა. შეურიგებლებს მომავალში, ალბათ, მარადი ოპოზიციის როლი შერჩებოდათ, რომ არა „მრგვალი მაგიდას“ კონფრონტაციული და აგრესიული პოლიტიკა, რამაც მასვე გამოუთხარა ძირი.

ასე იყო თუ ისე, „მრგვალმა მაგიდამ“ არჩევნებში გაიმარჯვა და მისი ლიდერი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა. საკითხავია, ჩატარდა თუ არა არჩევნები წესიერად, დარღვევების გარეშე და ჩაითვლება თუ არა იგი ლეგიტიმურად? იმ დროს მოწვეულმა უცხოელმა დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ ეს იყო ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები. ეჭვს ისლა ინვეს, რომ მათ ასეთივე დასკვნები გამოიტანეს ყველა სხვა არჩევნების თაობაზე, რაც ჩვენთან და მეზობელ რესპუბლიკებში ჩატარდა... დღევანელ საქართველოში შეუძლებელია ვინმე გამოვიდეს არჩევნების სინმინდის ასპროცენტთან გარანტიად. რაც შეეხება ლეგიტიმურობას, გამარჯვებულს არ სჯიან და უზენაეს საბჭოს რომ ბოლომდე სწორი გზით ევლო, მისი ლეგიტიმურობა არავის დააეჭვებდა.

არჩევნებში მეც ვმონაწილეობდი, „მრგვალი მაგიდას“ კანდიდატმა დამამარცხა, მაგრამ ისე ვიყავი ეროვნული მოძრაობის შთამბეჭდავი გამარჯვებით გახარებული, რომ მეორე დღესვე დავწერე წერილი — „დავმარცხდი, მაგრამ გავიმარჯვე!“, სადაც ვლაპარაკობდი ისტორიულ სამართლიანობაზე, რომ დიდი კონსტანტინეს შვილი ხდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მეთაური... ისტორიამ ზვიად გამსახურდიას აჩუქა ისეთი შანსი, როგორიც დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოში არავის რგუნებია, და საჭირო იყო ხელიდან არ გაეშვა ეს შანსი...

* * *

სოხუმში კვლავ მძიმე ბრძოლები გრძელდება...

* * *

თავდაპირველად ტაშის გრიალსა და მონონების შეძახილებში ვცხოვრობდით. ზეიმი თითქოს არასოდეს დამთავრდებოდა. ერთი სენი დასჩემდა ახალ ხელისუფლებას — წარმატებისაგან თავბრუდახვეულებს რეალობის გრძნობა დაეკარგათ. შთამბეჭდავი მხარდაჭერის მეოხებით ზვიად გამსახურდიას თავისუფლად შეეძლო გამხდარიყო სრულიად საქართველოს ლიდერი, ის კი მხოლოდ „მრგვალი მაგიდის“ ნაწილის ლიდერად რჩებოდა და მიზანმიმართულად ყოფდა ქვეყანას „ჩემიანებად“ და „მოღალატეებად“. ეს არის მმართველობის ყველაზე საშიში და მანკიერი ფორმა. მხოლოდ სუსტნი ეძებენ ყოველ კუთხეში მტერს. იმაზე საშიში ქვეყნისათვის არაფერია, როცა მის ხელმძღვანელებს არ ყოფნით პოლიტიკური სიმამაცე, ეს კი კონფრონტაციაში კი არა, თანხმობაში ვლინდება. მხოლოდ ურთიერთთანხმობა, ერთიანობის გრძნობა, ურთიერთდათმობა გააძლიერებდა ხელისუფლებას, მან კი კონფრონტაცია ირჩია. წარმატებული პოლიტიკა წარუმატებლისაგან იმით გამოირჩევა, რომ პირველი იმრავლებს მეგობრებს, მეორე კი — მტრებს. ახალი ხელისუფლება ცდილობდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები, მაგრამ მან ამისათვის არასწორი გზა აირჩია — იგი დაადგა კანონების უგულვებლყოფის გზას. ეს კი დამღუპველია! პირველი პირი როცა კანონს არღვევს, დანარჩენ მოქალაქეებს მორალური უფლება ეძლევათ თვითონაც დაარღვიონ კანონები, რაც სახელმწიფოებრიობის რღვევის ტოლფასია. ეს დარღვევები ვლინდება უამრავ წვრილმანში: პრეზიდენტის მეუღლე ხელს აწერს დამოუკიდებლობის დეკლარაციას; შემოღებულია პრეფექტობის ანტიდემოკრატიული ინსტიტუტი (ნუ შევადარებთ ფრანგულ პრეფექტურას!); რექტორების პირდაპირი დანიშვნა; დაპირისპირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მათი დამორჩილების მიზნით: ფინანსების ხარჯვისადმი სრული უკონტროლობა და უამრავი სხვა.

ყველაზე დიდი უკანონობა უკანონობათა ამ რიგში პრეზიდენტის არჩევნებია!

არსებულ კონსტიტუციაში სიტყვაც არსად იყო ნათქვამი პრეზიდენტობაზე. როცა უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარემ დაინახა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მისი სრული მორჩილია, ერთ დღეში მიაღებინა კანონი პრეზიდენტობის შესახებ, თავი აარჩევინა პრეზიდენტად და მერე დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნები... აქ ყველაფერი ყირაზეა! უნდა შექმნილიყო საკონსტიტუციო კომისია, რეფერენდუმის გზით უნდა მიგველო ახალი კონსტიტუცია და მხოლოდ მის საფუძველზე დაგვენიშნა არჩევნები. ხელისუფლებამ კი დროის მოგება არჩია. ეს სულსწრაფობა მით უფრო გაუგებარია, იმ პერიოდში ლიდერს ხომ პრაქტიკულად ალტერნატივა არ გააჩნდა. მოკლედ, მოხდა კონსტიტუციური გადატრიალება, რაც სამხედროსაგან იმით განსხვავდება, რომ სისხლი არ დაღვრილა... ასეთი ქმედებანი ხელისუფლებას კი არ განამტკიცებს, პირიქით, ძირს უთხრის, საზოგადოებაში იზრდება ოპოზიციური განწყობილებები.

რაკი ხელისუფლებამ თავი კანონზე მაღლა დაიყენა, ბუნებრივია, იგი ისე იქცეოდა, როგორც თვითმპყრობელი, სურდა აპატიებდა, სურდა — დასჯიდა. პრეზიდენტს დივიდენდები ვერ მოუტანეს ოპოზიციონერთა დაპატიმრებამ, უსასრულო, ისტერიულმა მიტინგებმა, კუდიანთა დევნამ, სხვაგვარად მოაზროვნეთა შეურაცხყოფამ... ეს აურზაური ფონს ქმნიდა ისეთი უკანონო ქმედებისათვის, როგორც იყო პარლამენტის მოზრდილი ნაწილის გაძევება იმ საბაბით, რომ ისინი კომუნისტური სიით იყვნენ არჩეულნი და ეს მაშინ, როცა გკპ-ს პუტჩის დღეებში ხელისუფლებამ სიმხდალე გამოავლინა. კანონიერად არჩეულ დეპუტატთა ასეთი გაძევება სხვა არაფერია, თუ არა საპარლამენტო გადატრიალება. ამ ვითარებაში უმჯობესი იქნებოდა პარლამენტის მთლიანად დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა.

ცხადია, ასეთი მმართველობა კრიზისს წარმოშობდა. იგი საკუთრივ „მრგვალი მაგიდის“ წიაღში დაიბადა და ქუჩებში გადაინაცვლა...

* * *

სოხუმი იწვის და ინგრევა. აურაცხელი ადამიანი, ჩვენი სისხლი და ხორცი, იღუპება... ქუჩები სავსეა დახოცილებით, ზღვის ტალღებზე ტივტივებენ უდანაშაულო ადამიანთა გვამები. ეს ეროვნული კატასტროფა ფესვებს იღებს სწორედ განხეთქილების იმ დღეებიდან... ჩვენ თუ სოხუმის ამბებმა ც ვერ გამოგვალვია, ღირსნი არ ვყოფილვართ თავისუფლებისა...

* * *

დეკემბრის იმ დღეს, როცა ტელეეკრანზე პირველად გამოჩნდა წარწერა, მთავრობის სასახლეს თავს ესხმიან, არიქა, გვიშველეთო, უმალ იქითკენ გავეშურე. გულწრფელად მწამდა, რომ კანონიერება უნდა დამეცვა. სამწუხაროდ, თავი მოტყუებულად ვიგრძენი. სასახლეზე თავდასხმას არავინ აპირებდა. ედუ-ს ბიჭები ასფალტზე ისხდნენ და გაჰყვიროდნენ — „გრცხვენოდეთ!“ ბრბოკი იმათ ლანძღავდა, აგინებდა... ვილაც ტიპები ჟურნალისტებს დასდევდნენ, ფირებს უფუჭებდნენ. ნორვეგიელი ჟურნალისტებიც იყვნენ, ამათ ამდენს ვერ უბედავდნენ, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდნენ გადაღებაში ხელი შეეშალათ. მივხვდი, ფარსი თამაშდებოდა და გავეცალე... წახდენა მცირედით იწყება. ჯერ კიდევ არ იყო სისხლი დაღვრილი, მაგრამ ორივე მხრიდან უკვე გამოჩნდნენ ავტომატიანი ბიჭები. ვეკითხებოდი, რისთვის გჭირდებათ-მეთქი, თავის დასაცავად, თორემ ქართველს ტყვიას ხომ არ ვესვრითო... ხანდახან კითხულობენ, თუ ვინ გაისროლა პირველად? ამის ძიება ფუჭია, რადგან სამხედრო გადატრიალების დროს დამნაშავედ ყოველთვის დამარცხებული მხარე ცხადდება. რაკი თანხმობა არ იყო, დაპირისპირებათა ეს კალაცია თავისთავად მივიდოდა იმ პირველ გასროლამდე... თანხმობა არავის ეწადა! მთავრობა თავის მომხრეებს ინვევდა პროვინციებიდან, ქმნიდა ისტერიულ-პროპაგანდისტულ ფონს, ცდილობდა ბრმა ინსტინქტებზე ზემოქმედებას. მეორე მხრივ, თენგიზ კიტოვანის განცხადება, რომ იგი დაიცავს ხალხს მთავრობის ძალმომრეობისაგან, არაკორექტული იყო, რაკი იმ დროს ხალხი უკვე გაიხლიჩა, ერთიანი ინტერესი არ არსებობდა და ნებისმიერი მიტინგის დარბევის პროვოცირებაც

კმაროდა საბაზად... მოკლედ, ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე ისევ და ისევ „მრგვალი მაგიდის“ პარტიებმა და ლიდერებმა მიიყვანეს. თავიდანვე მის წიაღში ჩადებული ურთიერთშეუთავსებლობა ჰიპერტროფულად გაიბერა, ამას ერთვოდა გაზვიადებული ამბიციურობა, პატივმოყვარეობა, ფსიქოლოგიური კომპლექსები, პოლიტიკური ნების უქონლობა, არაპროფესიონალიზმი, სრული დილეთანტიზმი ქვეყნის მართვის საქმეში, საკუთარი კლანური, ოჯახური და პიროვნული ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენება... ეროვნულობის ნიღაბაფარებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ თავის ქვედა ფენებიდან ამოისროლა და ქვეყნის სათავეში მოაქცია ისეთი ადამიანები, რომელთა ავადმყოფურმა წარმოდგენებმა საკუთარ პოლიტიკურ ნიჭიერებაზე ქვეყანა დალუპვის კარამდე მიიყვანა.

არსებობდა თუ არა დეკემბერ-იანვრის მოვლენების ალტერნატიული გზა? თეორიულად, ცხადია, არსებობდა! გამსახურდიას მმართველობამ ქვეყანა ისეთ კრიზისულ ფაზაში შეიყვანა, იგი შესაძლებელია ზარბაზნების გარეშეც წასულიყო ასპარეზიდან. ეს დროის საკითხი გახლდათ. მაგრამ ისტორიულ მოვლენებს პირუკუ ვერავინ შეაბრუნებს. ორივე მხარეს მოეჩვენა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება თბილისში საბოლოოდ გადაწყვეტდა ქვეყნის ბედს... წილი ნაყარი იყო და დედაქალაქი დავანგრიეთ! სამწუხაროდ, მან სიძულვილისა და კონფრონტაციის ახალ სპირალს დაუდო საფუძველი...

* * *

დღეს სოხუმი დაეცა... სიტყვები აღარ მყოფნის...

* * *

ხელისუფლების ხელში ჩაგდება უფრო იოლია, ვიდრე მზარდი კრიზისის ფაზაში შესული ქვეყნის მართვა. თბილისის ნგრევისა და ძმათა შორის სისხლის მნახველებს თავზარი უნდა დაგვცემოდა, პოლიტიკური სიფხიზლისათვის უნდა მოგვეხმო. ოღონდაც, ტრიუმფირატს არ აღმოაჩნდა საკმარისი პოლიტიკური წინდახედულება და სიღინჯე, რათა რეალური ვითარების ადეკვატური პო-

ლიტიკა გაეტარებინა. დემოკრატიის დროშა ავაფრიალეთ და მოგვეჩვენა, რომ ეს საკმარისია ერის გამთლიანებისათვის. სამხედრო გადატრიალება ვერავის ჩაეთვლება გამირობად და მის ორგანიზატორებს თავი ტრიუმფატორად არ უნდა ეგრძნოთ. არაფერი ისეთი დამლუპველი არ არის პოლიტიკოსისათვის, როგორც ილუზია. მავანს ეგონა, რომ პირველი მიტინგების დარბევა, ანდა ყბადაღებული ლაშქრობები დასავლეთისაკენ დაანყნარებდა ქვეყანას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მით უფრო, რომ წინა ხელისუფლების მომხრეები მოხერხებულად იყენებდნენ ახალი ხელისუფლების ყოველ მარცხსა და შეცდომას. მავრი რომ თავის საქმეს მორჩება, სცენიდან უნდა გავიდეს. გადატრიალების ორგანიზატორებმა თავიანთი პირვანდელი განცხადების მიუხედავად, არ ისურვეს დაბრუნებოდნენ ადრინდელ პროფესიას — მეცნიერებას, კერამიკას, დრამატურგიას... მძიმეა მონომახის გვირგვინი, მაგრამ უფრო მძიმეა მისი დათმობა... მოყვარული პოლიტიკოსი პარლამენტის დეპუტატად მოსათმენია, მაგრამ მას ქვეყნის მართვის ფუნქცია არ უნდა დავაკისროთ. ბატონი პრემიერი თანამდებობიდან რომ გადადგა, მან თავისი წარმატებების ნუსხაში ბინების პრივატიზაციის მეტი ხელშესახები ვერაფერი ჩაიწერა. ბატონი თავდაცვის მინისტრის გადადგომის მომენტისათვის ქართული არმია არც არსებობდა და ჯერაც არ არსებობს. ტრიუმვირატის მესამე წევრის მხედრულ შემართებასა და ვაჟკაცობაში ეჭვი მის მტრებსაც არ ეპარება, მაგრამ მისი პოლიტიკური განცხადებები და იმპულსური ქმედებები ხშირად აზარალებენ იმ საქმეს, რომელსაც ემსახურება... რაც შეეხება პოლიტიკურ ინტრიგებსა და შეთქმულებებს, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში რომ გათამაშდა, ამისი მხატვრული ასახვა მხოლოდ შექსპირის გენიას ძალუძს.

სწორედ პოლიტიკურმა არაკომპეტენტურობამ, რეალური სურათის ვერგანჭვრეტამ გამოიწვია ქვეყნის დაქანება უფრო ღრმა უფსკრულისაკენ.

ზვიადისტური ოპოზიცია, ცხადია, მარცხს ვერ შეურიგდებოდა და რევანშისათვის გულმოდგინედ შეემზადა. მან გამოაცხადა „მშვიდობიანი“ დაუმორჩილებლობა და მეთოდურად დაუნყო მონაალმდეგეს საფლავის თხრა. ცხადია, არავის ადარდებდა, რომ საფლავი მონაალმდეგეს კი არა, მთლიანად საქართველოს ეთბ-

რებოდა. ის ადამიანები, რომლებიც მანამდე საზოგადოებრივი ცხოვრების ფსკერზე იმყოფებოდნენ და მოკლე დროით მწვერვალზე აღმოჩნდნენ, ვერაფრით შეურიგდებოდნენ კვლავ ფსკერზე დაშვებას. „მშვიდობიანი დაუმორჩილებლობას“ არაფერი ჰქონდა საერთო განდისტურ დაუმორჩილებლობასთან, რის დეკლარირებასაც დასაწყისში ზოგიერთები ცდილობდნენ. ეს „მშვიდობიანობა“ იმთავითვე ავტომატს დაეყრდნო. ძალადობის ესკალაციას წინ რეალური ძალა ვერ დაუდგა, ხოლო ყბადაღებულმა ლაშქრობებმა ბატკო მახნოს სტილში უფრო გააღრმავა კონფრონტაცია და სიძულვილი. საყოველთაო ძარცვა-გლეჯაში ანგელოზი არავინ იყო, ორივე მონაწილე მხარემ მოითხო ხელი. ვინც სახლი გაყიდა და ავტომატი იყიდა, სამაგიეროდ ხუთი სახლის საფასური შეიძინა. არავის შეუსწავლია, ვინ რამდენი გაძარცვა, ვინ რა წაიღო, ვინ რა ააფეთქა და გადაწვა. მაზოხისტური ვნებებით ვინადგურებდით საკუთარ თავს. ბოროტ ქმედებათა აღსაკვეთად საჭირო იყო ძლიერი პოლიტიკური ნება, მაგრამ იგი არავის აღმოაჩნდა... ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, გრუშე ვაჩნაძე რომ გამოჩნდებოდა, იმასთან დავდგებოდიო. სამწუხაროდ, საქართველოს პატრონებს შორის გრუშე ვაჩნაძე არავინ გახლდათ და კავკასიის ცარცის წრეში ჩამდგარი საქართველო ლამისაა ნაწილებად დაგლიჯონ...

დღეს გალი ჩავაბარეთ...

„ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს... დიდიკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაეკორტინოთ, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“, — ასე უწერია კონსტანტინე გამსახურდიას. ედუარდ შევარდნაძე რომ დიდი მასშტაბის პოლიტიკოსი და გამოჩენილი პიროვნებაა, ამაში ეჭვი მის მონინალმდეგეებსაც არ ეპარებათ. სწორედ შევარდნაძის პოლიტიკური წონისა ეშინოდა მის მტრებს და ცდილობდნენ მის დისკრედიტაციას. მართალია, ვერ დაამარცხეს, მაგრამ ამ ლანძღვამ ნაწილობრივ შედეგი გამოიღო. შევარდნაძის ფანატიკოს მტერთა უმრავლესობას სძულს არა რეალური პიროვნება, არამედ პროპაგანდისტული მანქანის მიერ დახატული ლეგ-

ენდა. არადა, შევარდნაძეს მართლაც აქვს ერთი გამოუსწორებელი ნაკლი, რომ იგი ქართველია. პოლიტიკოსი, ვისაც რეალობის გრძნობა და კარგული არა აქვს, არ ჩაჯდება იმ მატარებელში, რომელიც უკვე უფსკრულისაკენ მიექანება. ხომ ცხადი იყო, რომ იმ მატარებლის დამუხრუჭებას და სხვა რელსზე გადაყვანას ტიტანური ძალა დასჭირდებოდა, ნებისმიერი მარცხი კი ამ პოლიტიკური ლიდერის კისერზე ჩამოეკიდებოდა. ჭკვიანი პოლიტიკოსი მოიცდის და როცა ქვეყანა აღმართს შეუდგება, მაშინ შეეცდება საჭეს დაეუფლოს. ამ შემთხვევაში ყველა წარმატება მას მიენერება. ორდინარული პოლიტიკოსისათვის ეს დღესავით ნათელია, მაგრამ შევარდნაძე არაორდინალური პიროვნებაა და, როგორც ვთქვი, იგი ქართველია. ამიტომ გადმოეშვა ქართულ პოლიტიკურ მორევში, თუმცა ალბათ სხვაზე უკეთ ახსოვდა ქრისტეს სიტყვები, რომ „წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატივოდ, გარდა თავისი სამშობლოსი...“

რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ედუარდ შევარდნაძე ტრაგიკული პიროვნებაა და მისი ტრაგიზმის საფუძველი მის წარმატებებშია. კარგად გაგებულ კარიერისთვის გამოორჩეული ნიჭიერება მას საშუალებას აძლევს ნებისმიერ სისტემაში მაქსიმუმს მიაღწიოს. ის საკმაო ხანს იყო უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე და ყველგან სხვებისგან გამოირჩეოდა. კომუნისტურ სისტემას კეთილსინდისიერად ემსახურა, რამაც მის სახელს ლაქებიც შეატოვა, მაგრამ არც ერთ კომუნისტურ ლიდერს არ გაუკეთებია იმდენი ეროვნული საქმე, რაც მან იმ პერიოდში მოაგვარა. მსოფლიო პოლიტიკოსის სახელი მან მაშინ მოიხვეჭა, როცა იმპერიის საგარეო უწყებას ჩაუდგა სათავეში და მანამდე კომუნისტური დოგმის თოშით ხელფეხგაკრულ ამ უწყებას ადამიანური ხიბლი შესძინა... ერთხელ, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მან აუდიტორიას შესჩივლა, ერთადერთი ლიდერი ვარ სახელმწიფოსი, რომელიც ქუჩა-ქუჩა დადის დიალოგის მოსურნეთა საძებრადო. დიახ, ის დიალოგის კაცია და არა ზარბაზნისა. მას შეუძლია მართოს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც თავის ხელმძღვანელს მოუსმენს. სამწუხაროდ, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც წინასწარმეტყველსაც არ მოუსმენენ, რადგან ნებისმიერ დეპუტატს და ხუთკაციანი პარტიის ლიდერს თავი უფრო დიდი მასშტაბის პოლიტიკოსი ჰგონია. წარსული, რომელმაც ის ასე მალა აიყვანა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ

ხუნდებად გადაექცა. გახსოვთ, ალბათ, ტელეფილმი იმის თაობაზე, თუ როგორ მიფრინავს საგარეო საქმეთა მინისტრი ნამიბიაში... ჟურნალისტები, ექიმი, მზარეული, დაცვა, კომუნიკაციის სუპერ-საშუალებები... ეს იყო მართვის სხვა სისტემა, როცა ბერკეტები მტკიცე ხელს ეპყრა... საქართველოში კი მას დახვდა დანგრეული სახელმწიფო, სადაც სრული ანარქია სუფევდა. ტრიუმფირატთან ურთიერთობაშიც მას იმედგაცრუება ელოდა. სახელმწიფო საბჭოს მეთაურობა ფიქცია იყო, რადგან რეალური ძალაუფლება გადატრიალების ორგანიზატორთა ხელში იყო და ხელისუფლების თავის წილს არავინ თმობდა. ხდებოდა უცნაური პარადოქსები, ყოველი პოლიტიკური მარცხი პირველ კაცს მიენერებოდა, დივიდენდებს სხვები იხვეჭდნენ. შევარდნაძემ სხვა საქართველო დატოვა და სხვა საქართველოს მოუბრუნდა, უკვე დაავადებულ, დახლეჩილ, სიძულვილის სინდრომით შეპყრობილ ქვეყანას, სადაც ბრძოლის ერთადერთი მეთოდი სიცრუე და ორპირობაა, ის კი შეეცადა დიალოგით, დათმობებით, შეთანხმებებით მიეღწია წარმატებისათვის. ამ მცდელობას გარკვეული შედეგი მოჰყვა, სახელმწიფო ხელისუფლება მეტ-ნაკლებად გაფორმდა და ჩამოყალიბდა, მაგრამ ნგრევის ტენდენციები უფრო სწრაფი აღმოჩნდა... ელცინის მაგალითიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში კონსესუსი ყოველთვის ვერ მიიღწევა და პოლიტიკური ლიდერი მკაცრ კურსსაც არ უნდა მოერიდოს. ჩვენ დროს ვკარგავდით ლაპარაკში იქ, სადაც აუცილებელი და სწრაფი გადაწყვეტილება იყო მისაღები. ასე მოხდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში, ასეა სამეგრელოში...

* * *

წუხელ ტელეეკრანზე შემზარავი სურათი ვნახე, ლტოლვილებს სვლა უღელტეხილზე. ვერც ერთი რეჟისორი ვერ გაათამაშებს უფრო მართალ და უფრო ტრაგიკულ სცენას: მამა დასტირის ოცი წლის ქალიშვილის ცხედარს. მისი უსასოო, სასონარკვეთილი ძახილი ცასა სწვდება... „შვილო, არავინ მოდის!“ — ამ სიტყვების გახსენებაზე მეტირება და სიცოცხლეს სიკვდილი მიჩვევია... ეს ერთადერთი უბედურებაც ხომ საკმარისია, რომ შეძრას ადამიანთა გულები. ჩვენ კი, ცივ და უგულო სტატისტიკას დანდობილნი, ვი-

თვლით მსხვერპლს და ცხოვრებას ისე ვაგრძელებთ, თითქოს რეალური ამბების მოწმენი კი არ ვიყოთ, საშინელებათა ფილმის სიუჟეტს ვუყურებდეთ.

დაცემის რა ზღვარს მივალნიეთ? ნუთუ ყველანი ბერბიჭაშვილები გავხდით? ბოროტებას ჩავდივართ და სამშობლოს სახელით ვნათლავთ. საიდან გაჩნდა ამდენი „სამშობლოზე მოჭირნახულე“, ზარბაზნებით რომ ცდილობენ ჩვენს გაბედნიერებას? ერთმა ოპოზიციონერმა მითხრა, ხელახლა ჩავატაროთ არჩევნებიო. ვკითხე, თუ იმ არჩევნებში თქვენ დამარცხდით, მაშინ როგორღა მოვიქცეთ-მეთქი. ო, ასეთი არჩევნები მართებული არ იქნებაო... აი, ლოგიკა! ოჩამჩირედან ზუგდიდში გამოქცეულ ლტოლვილებს ადგილობრივი (ცხადია, თბილისელი!) ტელეჟურნალისტი ეკითხება, ხომ შევარდნაძის ბრალია, იქიდან რომ გამოგრეკესო. ლტოლვილს, გულშეჭირვებულ მანდილოსანს, არ სურს კვერი დაუკრას, მე უბრალო ადამიანი ვარ, გლეხი ქალი, და ვინც მშვიდობას მომიტანს, იმის მომხრე ვარო. ჟურნალისტი მაინც თავისას ერეკება, ღიზიანდება და თვითონაც სასონარკვეთილი ნამოიძახებს, რა ვქნა, ამათ ტვინში არაფერი ჩადისო... საბრალო გოგონა! თავის ფანატიურ დაბნეულობაში ჰგონია, რომ საქართველოს საქმეს აკეთებს, ეხმარება კი იმათ, ვინაც ქვეყნის გასახლეჩად იღვნიან.

ნუთუ მართლა ვინმეს სჯერა, რომ ეს სისხლისმღვრელი ომი მხოლოდ იმიტომაა პროვოცირებული, რომ ერთი კაცი წავიდეს და მეორე მოვიდეს? დაპირისპირებული ელიტებისათვის სკამების ჩამოსარიგებლად უნდა ვანგრიოთ საქართველო? აფხაზეთის ტრაგედიამ ბრმასაც აუხილა თვალი და მიახვედრა ვინ ვინ არის!.. ბევრნი თავდაუზოგავად იღვნიდნენ, რათა ერთმანეთი დაეღუპათ და ამისათვის მზად იყვნენ, ნახევარი ქვეყანა სასაკლაოდ გაენირათ... გასწირეს კიდეც! აფხაზეთში საქართველოს დამარცხების მიზეზი უამრავია, მაგრამ ყველაზე დიდი როლი აქ სწორედ სტრატეგიული რეგიონის განდგომამ ითამაშა. ცენტრალური მთავრობა იქნებ გულზე არც გეხატებოდეს, მაგრამ იმას ხომ მაინც უნდა ხვდებოდე, რომ მთავრობას კი არა, სამშობლოს ღუპავ, და უპირველესად, საკუთარ კუთხეს გააჩანაგებ! აფხაზეთის საშინელებებმა ბევრს იმიტომაც ვერაფერი გვასწავლა, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა ამბიციურობა წრესაა გადასული,

და ისინი მზად არიან სამშობლო ქვესკნელში ჩამარხონ, ოღონდ თავისი გაინაღდონ.

სამწუხაროდ, ჩვენში ბერბიჭაშვილობა უფრო ძლიერი და ორგანიზებულია, ვიდრე საზოგადოების ის ნაწილი, ვინც თავის თავს ილიას შთამომავლობას მიაკუთვნებს. იქნებ მისხალ-მისხალ, მაგრამ ბერბიჭაშვილობა ყოველ ჩვენთაგანშია და იგი ვლინდება სხვადასხვანაირად. ჩვენი გულგრილობა, განდგომა, შიში და კონფორმისტული შემრიგებლობა ძალადობასთან, ყოველივე ეს ღონეს მატებს სამშობლოს მკვლელებს... საქართველოს თავზე ჯალათის ხელი შემართულა და დროზე თუ არ გამოვფხიზლდით, გვიანი იქნება თითზე კბენანი... ბოლო წლების მანძილზე ყოველ სისხლისღვრას უფრო ძლიერი სისხლისღვრა მოჰყვა... ომებს შორის ყველაზე საშინელი და დაუნდობელი სამოქალაქო ომია! ერთი დღის ომს ერთი წლის დიალოგი სჯობია, მაგრამ სადაც დიალოგი არა ქრის, იქ სახელმწიფოს უზენაესმა ნებამ უნდა გაჭრას!

მეგობართაგან მოძღვნილი

მურმან ჯგუბურია

ოთხშაბათ საღამოს ვეწვიე ჩემს
მეგობარს
ჯემალ ქირიას

სარკმლიდან შუქი გადის გარეთ,
ფოთლებს გვის ქალი,
კაცი ოთახში წიგნს უკირკიტებს,
მცირე ხანია შეღამდა, ძლივს
ბჟუტავს მთვარე,
და უფრო გრილა ქვეყნად დღითი-დღე.

და მაქვს გუნება, ვით ნასმურევს,
მეორე დილას, –
და ვით ბალახის ჩრდილია წყნარი,
არ იცი მაშინ, ოთხშაბათი არის
თუ კვირა,
და მეგობრისას ღიაა კარი.

1976

მურმან ჯგუბურია

* * *

ჩვენ ვაშენებდით ოდესღაც ჰესებს,
შენ წერდი პროზას, მე ვწერდი ლექსებს,
მე მაშინ მერქვა შოფერი, ჯემი,
და შენ მტვირთავი იყავი ჩემი.

პროზა ტვირთია, ვატარებთ რომელს,
დიდი სჭირდება რომელსაც ღონე,
და ჩვენ ბეტონის საძირკველს ვყრიდით,
რათა კაშხალი აგვეგო დიდი.

ლექსი რა არის, თუ არა დენი,
თუ არა კარგი სტრიქონი ჩემი,
უერთმანეთოდ ვვარგევართ ველარ,
რაც შენ ხარ – მე ვარ, რაც მე ვარ –
შენ ხარ.

1987

ზაურ მოლაშხია

ხილვა

მინაწერი ჯ. ქირიას რომანზე –
„მარადი მხედარი“

I

მზე მიიმალა სხივაკრეფილი,
როგორც ზეფირი, სუნთქავს საღამო...
ღროვ, კეთილთათვის იყავ კეთილი,
რომ ეს საწუთრო არ გვებალღამოს,
რომ ქველთა ზედა უკეთურებმა
არ იზეიმონ დღე აღზევების,
რომ სიყვარულით სავსე გულები
ენტონ მიწაზე – ციცქნა მზეები,
რომ დაითრგუნონ „ხუთნი მეფენი“ –
ცოდვით წყარონი – ყოვლის წინარე...
მზე, ჩვენს ველებზე სხივაკრეფილი,
ისევ იდინებს, როგორც მდინარე.

II

მიდინარ... ფიქრები რიალებენ,
გესმის ზრახვანი ძეხორციელთა.
ეგერ...
ერთმანეთს ატიალებენ...
აგერ...
ციერი შემოციერდა.
ფიქრები...
ფიქრებში დაგება მახეთა,
ბაგეთა ღიმილში შური დამალული...
ამპარტავნობა – ძირი სიგლახეთა...
პოეტის გულმკერდი – წითლად დანამული...

რობერტ რაფაგა

ჯემალ ქირია

ჩემთან შემოდის ჯემალ ქირია,
შემოაქვს ტოტი ნაყოფით წყავის.
პალიტრა ჩემი გადაირია –
მწვანე ფერებიც ვარდივით ყვავის.

ღიმილი ამკობს სიცოცხლის ტრფიალს,
მეხვევა, მკოცნის, როგორც თაღია;
თვალეებში ცრემლის წვეთების ციალს,
ვგრძნობ, მოსაწყენად სულს არ სცალია.

სიტყვიერ მხატვარს შვენის ოცნება,
ვით ფიქრებისგან ქმნილი წიგნები.
შენი ხელწერა მგერის გაოცებას
და, ძმაო, მჯერა – მარად იქნები.

6.X.97

რაულ ჩილაჩავა

ჯემალ ქირია

დღემდე არ დამვიწყებია
ვაკეში შენი ხუსხულა,
რომლის ჭერქვეშაც არაყი
ძრავალგზის გადახუსხულა.

ზედ სასთუმალთან გეკიდა
პორტრეტი ჩე-გეგვარასი
და ბოლივიის ჯუნგლებად
გესახებოდა ვარაზი.

სხვები რომ წერდნენ „დანოსებს“
მაშინ რომანებს ჩალხავდი.
(რით სულდგმულობდა მწერლობა,
როცა შენ გვერდით არ ჰყავდი?..)

მოვლე ჩინეთიც, შტატებიც,
და გული მაინც მხნედ არი,
უთავო მხედრებს დასცინის
შენი „მარადი მხედარი“.

30.12.2007, რიგა.

მარსიანი

ჯემალ ქირიას ატომეული

ჯემალ ქირია 70-იანი წლების პროზაიკოსთა თაობას ეკუთვნის. იგი ერთ-ერთი იმათგან, ვინც ინტენსიურად გამოიყენა მითოსი და ფანტასტიკა თავის შემოქმედებაში და იმხანად ჯერ კიდევ ინერციით სავალდებულო რეალისტური (თუ სოცრეალისტური) ასახვის პრინციპებიდან მკვეთრად გადაუხვია. საბჭოური ლიტერატურული ცნობიერება მსგავს გადახვევებს ადვილად როდი ეგუებოდა: დღეს უკვე ცოცხალ კლასიკოსებად აღიარებულ ოთარ ჭილაძესა და გურამ დოჩანაშვილს იმხანად არაერთი მწერალი თუ კრიტიკოსი ეჭვის თვალით უყურებდა და მათი რომანების მითოსურ-ფანტასტიკურ რეალიებს რადიკალურად „არაკანონიკურობად“, ახირებულ, არასერიოზულ „გადახრებად“ აღიქვამდა, თუმცა არც ო. ჭილაძის პოეზიას და არც გ. დოჩანაშვილის პროზას (მოთხრობებს) მომწონებელი და დამფასებელი არ აკლდა; ისინი საკმაოდ ცნობილი, პოპულარული ავტორები იყვნენ საიმდროოდაც. ჯემალ ქირია კი ხსენებულ მწერლებზე გაცილებით უმცროსიც გახლავთ და, მათგან განსხვავებით, მცირეოდენი პოპულარობაც არ ჰქონდა მოპოვებული, როცა თავისი პირველი რომანები დაწერა და გამოქვეყნება დააპირა. ამიტომაც წლების განმავლობაში ბრკოლდებოდა მკითხველის წინაშე მისი ნაღვაწის წარდგენის საქმე. ფაქტობრივად 70-იანელი ჯ. ქირია 80-იანი წლების რომანისტთა რიგებში აღმოჩნდა ამ დაბრკოლებათა გამო. მართალია, საიმდროოდ „მითოლოგიური რომანის“ ბუმმა თავის ზენიტს მიაღწია, ამ ტიპის არაერთი რომანი ინტელექტუალმა ელიტამ აღიარა და მათი ავტორთა სახელებიც ფართოდ გახმაურდა, მაგრამ „პოპულარობის ლიმიტი“ მეტად შეზღუდული აღმოჩნდა: ვგულისხმობ იმას, რომ ამ ახალი ნაკადის წარმომადგენელთაგან მხოლოდ რამდენიმეს ერგო აღიარება, მოგვიანებით გამოჩენილი ავტორები კი უკვე ვეღარ მოექცნენ ლიტერატურული საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ასე რომ, ოთხმოციანი წლები ქართული „მითოლოგიური რომანისათვის“ არამხოლოდ ზენიტის, არამედ კრიზისის ხანაც გამოდგა; მავანთა გემოვნებას კვლავ „ბელეტრისტიკა მოენატრა“, კვლავ რეალიზმზე მოთხოვნილებამ იმძლავრა საბჭოურ ცნობიერებაში და კვლავ ეჭვქვეშ დადგა ეს ახირებული და მრავალთავის გაუგებარი ლიტერატურული მითისქმნალობა. შემდეგ კი, 80-იანი წლების დასასრულს პოლიტიკურმა ვნებათაღელვე-

ბმა ლიტერატურა და საერთოდ კულტურა გვერდზე მისწია, თვით ყველაზე აღიარებული მწერლები, ხელოვანი რადიკალიზაციის გავლენით და გაფერ-მკრთალდნენ საზოგადოების თვალში და იქნებ ამ მიზეზითაც იყო (სხვა მიზეზებთან ერთად), რომ არაერთმა ხელოვანმა თუ კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელმა გადაინაცვლა პოლიტიკურ არენაზე...

დღეს იმ პერიოდის ცნობილ მწერლებს ნაწილობრივ მაინც უბრუნდებათ ის პატივი და ყურადღება საზოგადოებისაგან, რაც ერთხანს დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ ვინც საბჭოთა პერიოდში ვერ გახდა ცნობილი და პოპულარული, ისინი დღესაც ჩრდილში არიან, რადგან ამასობაში ახალი თაობა მოვიდა და ახალი მოდური კონიუნქტურა გაბატონდა: დღეს პოსტმოდერნულობის ნიღაბს ამოფარებული კიჩი უფროა მოწონებაში, ვიდრე „მოდელური“ მითოპოეტის თუ მითოსქმნალობა... ჯემალ ქირიაც, 80-იან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული არაერთი მწერლის მსგავსად დღემდე ჩრდილშია დარჩენილი, თუმცა კი მისი რომანი „მარადი მხედარი“ ერთ-ერთი საუკეთესო ქართულ მითოლოგიურ რომანთა და, საერთოდ, ქართულ რომანთა შორის (ქართული რომანები კი, შეიძლება თამამად ითქვას, სწორ შემთხვევაში აკმაყოფილებენ მაღალ ევროპულ სტანდარტებს)... მე პირადად ერთი კრიტიკული წერილიც არ მინახავს ჯ. ქირიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი, თუმცა, როგორც ავტობიოგრაფიულ რომანში „მე, როსინანტი“ აღნიშნავს მწერალი, რამდენიმე სარედაქციო რეცენზია კი დაწერილა მის ნაწარმოებებზე, როცა მათი დაბეჭდვა-არდაბეჭდვის საკითხი წყდებოდა; და ახლა ერთი კითხვა მიჩნდება: ვთქვათ, ამგვარმა, კრიტიკისაგან უსამართლოდ იგნორირებულმა მწერალმა რომ განაცხადოს, ქართული კრიტიკა არ არსებობსო, გაემტყუნება? ეს ისე, სიტყვას მოჰყვა, რადგან თვით ჯ. ქირიას, რამდენადაც ვიცო, კრიტიკის მიმართ მსგავსი რამ არასოდეს დასცდენია, მაგრამ არიან სხვა მწერლები, რომელთაც არაერთხელ პირდაპირ და უბოდიშოდ თქვეს, რომ ქართული კრიტიკა არ არსებობს. კრიტიკოსებმა, რა თქმა უნდა, რეაქცია არ დააყოვნეს და ამის მთქმელნი „განაწყენებულ მწერლებად“ მონათლეს. კი ბატონო, ვთქვათ, განაწყენებულნი იყვნენ, მაგრამ ვითომ ამ განაწყენების საფუძველი არ არსებობდა? განა მართლა არ დარჩა კრიტიკისაგან შეუმჩნეველი თუ უგულვებელყოფილი არაერთი პირველხარისხოვანი ტალანტი? კონკრეტულად, რასაკვირველია, უფლება არა გვაქვს, ამა თუ იმ კრიტიკოსს ბრალი დავდოთ, ესა და ეს მწერალი რატომ არ მოიწონე და მისი შემოქმედების წარმოსაჩენად რატომ არ იღვაწიო, მაგრამ ზოგადად კრიტიკის მიმართ დიასხაც ხამს საყვედურის გამოთქმა, როცა საუკეთესო ავტორები რჩება შეუფასებელი და დაუნახავი,

რადგან ამით ლიტერატურული პროცესის ჭეშმარიტი სახე მახინჯდება, მასზე ბევრი თეთრი ლაქა რჩება. ჯერჯერობით ქირიას ხომ ლიტერატურულ წრეებში ალბათ ყველა იცნობს, ხომ იციან, რომ მოთხრობებსა და რომანებს წერს და იგულისხმება, რომ მისი ნაწარმოებები არცთუ ცოტა მწერალსა თუ კრიტიკოსს ექნება წაკითხული; პოდა, ნუთუ ასე ძნელი იყო მისი ნიჭის შემჩნევა? რატომ აქამდე არავინ იღო თავს მისი შემოქმედების გაანალიზება, შეფასება, პოპულარიზება? შორს რომ არ წავიდე, ჩემსავთვით თავზე მოგახსენებთ: ხომ შემეძლო წლების წინათ დამეწერა კრიტიკული წერილი ჯ. ქირიას პროზაზე, მითუმეტეს, რომ ზემოთ „მარად მხედარზე“ რაც მოგახსენეთ (იგი ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანია-მეთქი), ეს აზრი დღეს ან გუშინ კი არ გამჩენია, არამედ ორ ათეულზე მეტი წლის წინათ, როცა „მარადი მხედარი“ პირველად წავიკითხე... თუმცა ნაწილობრივ იმით შემიძლია ვიმართლო თავი, რომ ამ ნაწარმოების მიმართ მოწონებასთან ერთად საკმაოდ ბევრი კრიტიკული შენიშვნაც მქონდა, ეს შენიშვნები თავის დროზე დაწერილი სახით გადაეცემა პირადად ავტორს და ველოდებოდი რომანის მეორე გამოცემას, რათა, თუ მწერალი ჩემს შენიშვნებს გაითვალისწინებდა და ტექსტში ცვლილებებს შეიტანდა, შემდეგა დამეწერა ამ რომანზე წერილი. მაგრამ ლოდინი დიდხანს მომიხდა, მხოლოდ ახლა, წინამდებარე ათლომეულში დაიბეჭდა „მარადი მხედარი“ განმეორებით: მწერალს ზოგი ჩემი შენიშვნა მართლა გაუთვალისწინებია, გარდა ამისა, ახალი, საინტერესო ეპიზოდებითა და პასაჟებით შეუვსია ნაწარმოები. რასაკვირველია, შემეძლო მის სხვა რომანებსა და მოთხრობებზე დამეწერა წერილი, მაგრამ „მარადი მხედარი“ გამორჩეულად მიყვარს, მისი გვერდის ავლა არ მინდოდა და აქამდე გაუმართლებლად ვითრე ფეხი. იმასაც ვიმედოვნებდი, ჩემზე უფრო ავტორიტეტული, პროფესიონალი კრიტიკოსები ბოლოსდაბოლოს დაარღვედნენ დუმბილს. ეს იმედი არ გამართლდა და ახლა ვნანობ, აქამდე რომ არ მოვკიდე კალამს ხელი...

ჯერჯერობით ქირია საკმაოდ პროდუქტიული მწერალია, რასაც წინამდებარე ათლომეულის მოცულობაც მოწმობს. ჟანრობრივადაც მრავალმხრივია მისი შემოქმედება – მოთხრობები, ზღაპრები, პიესები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები თუ ესეები და, რაც მთავარია, რომანები. ამ წერილშიც მინდა კონკრეტულ ნაწარმოებებზე საუბარი რომანებით დავიწყო.

„მე, როსინანტი“ ავტობიოგრაფიული რომანია და მასში ავტორი არა გამოგონილი, არამედ რეალურ ამბებს აღწერს თავისი ბავშვობიდან მოყოლებული რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. ეს ნაწარმოები სხვებზე გვიან დაიწერა, მაგრამ ავტორმა პირველ ტომში შეიტანა. წიგნი დაუსრულებელია

და მასში ალბათ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ შევიდა მწერლის ამერიკაში ცხოვრების ეპიზოდების აღწერა: ეს ნაწილი, სათაურით „წიგნი არაფერზე“, ბოლო ტომში შეიტანა ავტორმა. „მე, როსინანტი“ ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა ლიტერატურულ პრესაში, წიგნადაც იყო გამოსული არასრული სახით და როგორც მისი ამ ათლომეულში შეტანილი უფრო სრული ვარიანტიდან ვიგებთ, ზოგ მწერალს ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მოწონების გამოხატავსთან ერთად გაუქმლავნებია თავისი არცთუ დადებითი დამოკიდებულება ჯ. ქირიას იმ ნაწარმოებთან მიმართ, რომლებშიც წამყვანი როლი მხატვრულ გამონაგონს, მით უმეტეს მითოსსა და ფანტასტიკას მიეკუთვნება: თითქოს ჯ. ქირია „გზას იყო აცდენილი“ და როგორც იქნა, გონს მოგებულა. ვერაფერს იტყვი, ყოველგვარ ლიტერატურას თავისი მკითხველი გამოუჩნდება ხოლმე, გემოვნება ათასნაირია. მე პირადად ჯერჯერობით ქირიას შემოქმედება მთლიანობაში მაინტერესებს. ცალკეულ ნაწარმოებთან თავისებურებანი, მათი თუნდაც მკვეთრად გამოხატული ურთიერთგანსხვავებულობა თემატიკისა თუ სტილის თვალსაზრისით დაბრკოლებას არ მიქმნის, პირიქით, უფრო საინტერესოს ხდის ამ პროზას ჩემს თვალში.

„მე, როსინანტი“ შეუნელებელი ინტერესით იკითხება. ჯერჯერობით ქირიას, არაერთი მისი კოლეგისგან (მაგალითად, ჩემგან) განსხვავებით მართლაც მეტად საინტერესო, მდიდარი ბიოგრაფია აქვს: რამდენი უმოგზაურია, რა ფათერაკები და გაჭირვება არ უნახავს... ამ სრულიად რეალურ მონათხრობშიც კი ზოგი რამ პირადად ჩემთვის ფანტასტიკურობამდე შეუძლებელი ჩანს: აი თუნდაც მატარებლის ქვეშ ამოკრული, რაღაც სამუხრუჭეზე გადაწოლილი რომ მიჰქროდა და ფინეთში გადაპარვას აპირებდა. ასეთი რამ სათავგადასავლო წიგნებში თუ წამიკითხავს, ან კინოში თუ მინახავს (ისიც უფრო პოლიციულ ფილმებში)... ფინეთში გადასვლა ვერ მოახერხა, მაგრამ აი, ჩინეთში კი მართაც გააღწია დიდი რისკის ფასად და იქიდან, უკვე ჩინელებთან დამეგობრებული, ასევე რისკიანი გზით დაბრუნდა საბჭოთა კავშირში... ლათინურ ამერიკაში წასვლაზე და იქ კომუნიზმის იდეების გასამარჯვებლად ბრძოლაზე უოცნებია და რეალური მცდელობებიც ჰქონია იქ მოხვედრისა (ესპანურსაც ამიტომ სწავლობდა); უფრო მეტიც, თავისი რევოლუციური გმირობით გათავისუფლებული რომელიმე განვითარებადი ქვეყნის პრეზიდენტობაც კი სურდა თურმე... ეს, რაც ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მისი რეალური თავგადასავლებიც როდია შთამბეჭდაობას მოკლებული: საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უზარმაზარი სივრცეები დაულახავს. თავი რომ დავანებოთ მოსკოვ-ლენინგრად-ბაქოს და მისთანებს, შემოუვლელი არ დარჩენია

არც რუსეთისა და ყაზახეთის ტრამალები და არც ციმბირის ტაიგა თუ შორეული აღმოსავლეთის ზღვები... საბოლოოდ უძღვები შვილი მშობლიურ წიადს, საქართველოს დაუბრუნდა, ცოტათი მივიწყებულ ქართულ ენას ჩაუღრმავდა და მწერლობას მოჰკიდა ხელი. ამ ახალ ასპარეზზეც ია-ვარდები არავის დაუფენია მისთვის, წლების განმავლობაში იღო მისი რომანები ჟურნალებსა თუ გამომცემლობებში და არავინ ჩქარობდა მათ დაბეჭდვას. მოკრძალებულსა და კარიერისტული ფხის არმქონე მწერალს იმდროინდელმა ლიტერატურულმა კონიუნქტურამ, მანკიერმა სისტემამ და კოლეგების გულგრილობამ წლები დააკარგინა. ოპერატიულად, რედაქცია-გამომცემლობებში წარდგენისთანავე რომ დასტამბულიყო ეს ნაწარმოებები, „სანამ თონე ცხელი იყო, პური მანამ რომ ჩაეკრათ“, ანუ სანამ ამ ტიპის პროზა სიახლედ ითვლებოდა, მანამ რომ წარედგინათ ლიტერატურული საზოგადოებისათვის, ვფიქრობ, რეზულტატიც სხვაგვარი იქნებოდა – კრიტიკა (თუნდაც უარყოფითი) ალბათ ამ ნაწარმოებებსაც შეეხებოდა და საბოლოოდ, მათ განმაურებას შეუწყობდა ხელს. მწერლისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ისაა, მასზე არც კარგს რომ არ წერენ და არც ცუდს, ისე რომ უვლიან გვერდს, თითქოს საერთოდ არ არსებობდეს!

„მე, როსინანტი“ ქართული ლიტერატურული ცხოვრების მრავალ საინტერესო, დამაინტრიგებელ წერილმან-მსხვილმანს ეხება ავტორი, მრავალ კოლეგას მოიხსენიებს პირდაპირ თუ მინიშნებით, ტაქტიანად გამოხატავს მათდამი თავის დამოკიდებულებას – მაღლიერებასა თუ საყვედურს, სიმპათიასა თუ ირონიას; ოღონდ არსად მის ნაწერს გულღვარდლიანობა, ბოღმა და ვინმეს გამეტების სურვილი არ ეტყობა, იგი მეტ-ნაკლებად შემწყნარებელია თვით ყველაზე არაკეთილსინდისიერთა მიმართაც კი. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მსგავსი რამ ცოტა იშვიათი გახდა, ყველა მწერალს როდი ახასიათებს მიმტეველობა და სულგრძელობა, ზოგს მცირე წყენის მონელებაც არ შეუძლია და მანამ ვერ მოისვენებს, სანამ შურისძიების ჟინს არ დაიცხრობს...

„მე, როსინანტი“ ავტორი ეროვნული მოძრაობის აზვირთებისა და შემდეგ პოლიტიკური კატაკლიზმების დროინდელ ამბებსაც ჰყვება. აქ თვალში-საცემდაა წინ წამოწეული მწვავე მარტოობის განცდა იმის გამო, რომ ორად გახლენილ, უკიდურესად პოლიტიზირებულ საზოგადოებაში თუ გადაჭრით არ დადექი ერთ-ერთი ბანაკის მხარეზე, შეიძლება ორივე ბანაკმა „მოლაღატის“ იარლიყი მოგაწებოს...

„მე, როსინანტი“ ორნაწილიანი ნაწარმოებია. პირველ ნაწილს „მირაჟი“ ჰქვია და ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნაწყვეტი „დონ-კიხოტის“ შესავლიდან, რომელშიც ავტორი სარაინდო წიგნების კითხვის შედეგად თავისი გმირის ჭკუიდან გადაცდენაზე გვესაუბრება. ჯ. ქირიას ნაწარმოებში „სარაინდო წიგნების“ როლს მარქსისტული ლიტერატურა ასრულებს. ამ ლიტერატურის კითხვამ სიყმაწვილის ხანაში მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციასზე მეოცნებე დონ-კიხოტად აქცია მომავალი მწერალი. ოღონდ იგი თავისთავს „როსინანტს“ რომ უწოდებს (და არა დონ-კიხოტს), ჩანს, ამით იმის თქმა სურს, რომ თავისი დონ-კიხოტური, მეოცნებე სულის მატარებელ საკუთარ პიროვნებას როსინანტის მსგავს „მოუქნელ ჯაგლაგად“ მიიჩნევს, ანუ ოცნებასა და სინამდვილეს შორის გადაულახავი ბარიერის არსებობას, სურვილისა და შესაძლებლობების არათანაფარდობას უსვამს ხაზს. წიგნის მეორე ნაწილს „ჩემი ბარატარია“ ჰქვია, ეპიგრაფად კი სანჩო პანსას სიტყვები უძღვის, ცოლს რომ თავის მომავალ გუბერნატორობაზე ესაუბრება. „ბარატარია“ იმ კუნძულის სახელია, სადაც სანჩო უნდა გამწესებულყო გუბერნატორად. ჯ. ქირია თავის „ბარატარიად“ წარმოგვიდგენს მშობლიურ ქალაქს, ზუგდიდს, სადაც მას ჩინოვნიკური მოვალეობის შესრულება – მწერალთა კავშირის მდევნობა დაეკისრა. ასე რომ, არამარტო რომანის სათაურია თვითირონიული, არამედ ეპიგრაფებიც ამავე მიზნითაა მოხმობილი და საერთოდაც მთელი ამ თავგადასავლების თხრობისას ავტორის სევდანარევი თვითირონია გვეკვლინება ძირითად ტონალობად...

ჯ. ქირიას პირველი რომანის „ესხირის“ მოქმედება მეოცე საუკუნის დასაწყისის მშფოთვარე პერიოდს ეხება, რევოლუციათა ეპოქას. ეს ნაწარმოები გარკვეულწილად რომანტიკულობის ელფერს დაიკრავს, თუმცა მასში იმდროინდელი სამეგრელოს ყოფა, იქაური საზოგადოება საკმაოდ რეალისტურად, კოლორიტულ ფერებში არის ნაჩვენები. რომანს არც მითოსური დ მისტიკური პასაჟები აკლია, რომელთაგან ზოგი ძირითადი სიუჟეტური ხაზისაგან დამოუკიდებლად არის ჩართული ნაწარმოებში, ზოგიც უშუალოდ ნარატივის ნაწილია. რომანში ცენტრალური ადგილი უჭირავს სამეგრელოს თავადების, ჩიჩუების ერთი ოჯახის წევრთა – გენერალ არვამანგ ჩიჩუასა და მისი ორი გარდაცვლილი ძმის ვაჟების – მახუტისა და ბადუს თავგადასავალს. არვამანგი იმპერიის ერთგული მსახურია, მისი გაზრდილი მახუტი კი რევოლუციონერის გზას ირჩევს. მათ შორის შეთანხმება შეუძლებელია და საბოლოოდ ბიძა იძულებული ხდება გასწიროს საყვარელი ძმისწული. რაც შეეხება ბადუს, იგი ბუნებით კონფორმისტია და ოჯახურ დრამაში მისი მონაწილეობა ერთგვარად

შემთხვევით ხასიათს ატარებს: ვგულისხმობ არვაშანგის ოჯახში გაზრდილი თეკოს უიმედო სიყვარულს მასუტისადმი, შემდეგ ბაღუს მიერ თეკოს შეცდენას და ბოლოს არვაშანგის მიერ თეკოს ცოლად შერთვას. მასუტის, როგორც საზოგადოების გარდასაქმნელად მებრძოლი გმირის არქექტიპად მოაზრებულია მითიური არამხუტუ (ამირანის მეგრული ვარიანტი). როგორც არამხუტუ ისჯება თავისი მეამბოხე ბუნების გამო უზენაესი მსაჯულის მიერ, ასევე ისჯება მასუტიც: მან ტერორისტული აქტი განახორციელა – რევოლუციონერთა ორგანიზაციის გამცემი სიცოცხლეს გამოასალმა და ამის გამო ციხეში მოხვდა. ციხეში იგი თავის ვინაობას არ ამხელს და „კეტსალს“ ირქმევს. კეტსალი სამხრეთაშერიკული ფრინველია, რომელიც ტყვეობას ვერ უძლებს და კვდება. საკუთარი ბიძის მიერ მიგზავნილი მოღალატე, პოდპორუჩიკი კოსტა კაკუნავა (რომელიც მითოსურ პლანში ეშმას განასახიერებს), ჯერ თითქოს ციხიდან დაიხსნის მასუტის, შემდეგ კი ბნელ გამოქვაბულში ჰკლავს.

„მარადი მხედარიც“ ამირანის მითის თავისებურად ინტერპრეტირებულ, სახეცვლილ ვარიანტს, როგორც არქექტიპულ მოდელს, ეყრდნობა. რომანის მთავარი გმირებია სამი ძმა ბედია, რომელნიც ადამიანური ბუნების სამი სხვადასხვა მხარის პერსონიფიკაციებად წარმოგვიდგებიან: უფროსი – ჯუმა დიდებისმოყვარეობას განასახიერებს, საშუალო – კახაბერ (კაჭუჭია) – ვერცხლისმოყვარეობას, ხოლო უმცროსი – მზეჭაბუკი სიკეთისათვის მებრძოლ რაინდობას. თუ ჯუმა და კაჭუჭია თავიანთი მშობლების, ბოდლოს და თათუშას ნამდვილი (ბიოლოგიური) შვილები არიან, მზეჭაბუკი მითიური ტყაში მაფასაგან იშვა (ისევე, როგორც ამირანი იშვა ქალღმერთ დალისაგან). ამგვარად, უფროსი და საშუალო ძმა ადამიანური ბუნების მიწიერ მხარეს წარმოადგენენ, როგორც მიწიერი მშობლების შვილები, მზეჭაბუკი კი არამიწიერთან, ღვთაებრივთან წილნაყარია. სხვათა შორის აქ ერთი განსხვავებაც უნდა აღვნიშნოთ ამირანსა და მზეჭაბუკს შორის წარმომავლობის მხრივ: ტყაში მაფა და დალი დაახლოებით ერთი და იმავე ტიპის (ნადირთფარველი) ქალღვთაებანი არიან, მაგრამ ამირანის მითში დალი მიწიერი მონადირისაგან ფეხმძიმდება, ჯ. ქირიას რომანში კი გუჯმახანი (სატანა) სამ ვაშლს ჩუქნის ბოდლო ბედიას, რათა თავის ბერწ ცოლს აჭამოს დასაფეხმძიმებლად. ბოდლოს ერთი ვაშლი ტყეში დაეკარგება, დანარჩენ ორს კი ცოლს შეაჭმევს და ასე ევლინება ქვეყანას ჯუმა და კაჭუჭია. იმ დაკარგულ ვაშლს ტყაში მაფა იპოვის, შეჭამს და მზეჭაბუკზე ფეხმძიმდება უბიწოდ (როგორც ჩანს, ბოდლოს მიერ ვაშლის დაკარგვა და ტყაში მაფას მიერ ამ ვაშლის პოვნა გუჯმახანის გრძნეულებით დაგებული მახეა; პირისპირ მებრძოლებით რომ ვერ დაიმორჩილა მშვენიერი

ტყაში მაფა, ვაშლის მიგლებით აცდუნა). შემდეგ ფეხმძიმე ტყაში მაფა ბოდლოს დედის ჩათუს და ნადიკენარის ცოლყოფილის მსხვერპლი ხდება (ეს ორი ჯადოქარი გუჯმახანის საყვარლები არიან, მშვენიერი ტყაში მაფა მეტოქედ ჩათვალეს და დაუნდობლად გაუსწორდნენ). მომაკვდავი ტყაში მაფა ბოდლო ბედიას მოუხმობს და უდროოდ დაბადებულ ჩვილ მზეჭაბუკს გასაზრდელად ჩააბარებს. ასე რომ ამირანის მითთან აქ ბიბლიური შესაქმის მითიც არის გადახლართული – გუჯმახანის სახეში პერსონიფიცირებულია ბიბლიური გველი, სატანა გახლავთ მიზეზი სამივე ძმის ამქვეყნად მოვლინებისა, რაკი მისგან მიწოდებული ვაშლები (ცნობადის ხის ნაყოფი!) ახდენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოდგმის გამრავლების პროვოცირებას“: გუჯმახანს სჭირდება როგორც თავისი მორჩილი (ჯუმა და კაჭუჭია), ასევე მოწინააღმდეგეც (მზეჭაბუკი). ეს ადამიანის ნიღაბში შემალული ეშმა სოფლის ბოდლოს სახლდება, რათა თვალი ადევნოს ძმების ცხოვრებას, შემდეგ კი თბილისში სასწავლებლად წასულთაც უჩუმრად გაჰყვება, მუდამ მათ ახლოსა და ცდილობს თავისი მიზნების შესაბამისად წარმართოს მათი ბედი. გვარი „ბედია“ სიმბოლურად ჟღერს, ძმები ბედიები გუჯმახანისაგან ნაწყალობევი ბედის შესაბამისად ცხოვრობენ და მოქმედებენ: უნიჭო, მაგრამ ამბიციური ჯუმა ცნობილი მწერალი და პრესტიჟული ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი ხდება, ოღონდ სულის გაყიდვისა და მომაკვინებელი ცოდვის ჩადენის ფასად – გუჯმახანის პირობაა, მისმა რჩეულმა „ბემ“ ჯუმა ბედიამ უმანკო მსხვერპლი შესწიროს ბოროტ ღვთაება ჯაგერნაუტს, რომელსაც თვითომ გუჯმახანი „ჩემს ღმერთს“ უწოდებს ჯუმასთან საუბარში. ჯუმა მსხვერპლად ირჩევს ტატოს, ნიჭიერ პოეტს, რომელიც, გარდა იმისა, რომ ჯუმას უნიჭობის მამხილებელია, ამავე დროს მისი მეტოქეცაა მშვენიერი მზიასადმი სიყვარულში. ტატო თავისი სულიერი სიწმინდით, თავისი იდეალებით არის მზეჭაბუკის თავისებური წინასახე, მათი ერთადერთხელ შემდგარი საუბარი თითქოს ეს-ტაფეტის გადაცემაა. ასე რომ ტატოს მოკვლა ჯუმას მიერ ხაზგასმულად ასოცირდება კანის ცოდვასთან. რაც შეეხება კაჭუჭიას და მზეჭაბუკს, მათ უშუალო ურთიერთობა არ ჰქონიათ გუჯმახანთან, მაგრამ რაკი ჯუმა თავისი ძმებისათვისაც ითხოვს წყალობას, ისინიც თავიანთი სულიერი მიდრეკილებების შესატყვისად ჯილდოვდებიან გუჯმახანისაგან (ისე, რომ არც კი იციან, საიდან მოდის ეს წყალობა): კაჭუჭიას სიმდიდრეზე მისდის სული, ამიტომ სასწაულის ძალით მისი შარვლის ჯიბეში ფული დახარჯვისთანავე ორმაგდება, ხოლო მეოცნებე მზეჭაბუკი ფრენისა და ადამიანთა ფიქრების წაკითხვის უნარს იძენს.

მზეჭაბუკის, როგორც უბიწოდ ჩასახული ძის მხატვრული სახე სიმბოლურად ქრისტეს არქეტიპსაც ითავსებს. აქედან გამომდინარე, რომანისეული ტყაში მაფაც ღვთისმშობელთან ასოცირდება. ეშმაკეული ჩათუბები ერთგან „მზისა და ტყაში მაფას შვილად“ მოიხსენიებს მზეჭაბუკს. ასე რომ, მზეჭაბუკთან, როგორც „ძე“-სთან მიმართებაში ქრისტიანული „მამალმერთი“ (თავისთავად ძველალთქმისეული ღმერთის ანალოგი) თანხვდება წარმართული „მზის ღმერთის“ მამრობით ასპექტს (ბერძნული ჰელიოსი, ინდური ვიშნუ, ეგვიპტური რა და ა.შ.). ეს ზეციური მამრი ღვთაება რამდენადმე ხტონური ტიპის „მიწიერ“ მღვდლ ღვთაებასთან კავშირით ჩასახავს გმირს. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ მეტისმეტად პედანტური დაზუსტებანი არ გამოვკვადგება, რადგან მწერალი ერთ რომელიმე კონკრეტულ არქეტიპზე კი არ მიგვანიშნებს, არამედ ერთგვარად თავისუფალ შერწყმას ახდენს სხვადასხვა მოდელებისა, ზოგად ფონს, კონოტაციურ ველს ქმნის, სადაც იმის შესაძლებლობა გვეძლევა, თუნდაც ჩვენი სურვილისამებრ ვიგულისხმით სხვადასხვა არქეტიპი.

გუგმახანის ანტიპოდად რომანში გამოყვანილია „გრძნეული ბერი“ ჯგრაგ (სვანური ნაირსახეობა წმ. გიორგისა). იგი მფარველობს მზეჭაბუკს და მისი სახელია ამოტვიფრული მზეჭაბუკის მიერ ნაპოვნ გრძნეულ ხმაღზე, რომლითაც გმირმა ბოროტება უნდა დათრგუნოს. აქაც მამისა და ძის მოდელები იჩენს თავს: მოხუცი ბერი ჯგრაგ არის „გამოუვლენელი“ საწყისი, გნებავთ, ზენა ინსპირატორი, ხოლო მზეჭაბუკი მოქმედი, აღმასრულებელი ძალაა, მიწიერ პლანში „გამოვლენილი“ თუ განკაცებული.

ერთმანეთისაგან განსხვავებული ბედის ძახილს მისდევენ ძმები ბედიები: ჯუმა და კაჭუჭია მიწიერ მოსახვეჭელს იხვეჭენ – დიდებას (ჯუმა) და ქონებას (კაჭუჭია). მზეჭაბუკს მიწიერი ასპარეზი არსებითად არც გააჩნია, ყოველ შემთხვევაში – აქტიური ქმედების ასპარეზი. იგი ერთი კეთილი, მეოცნებე ყმაწვილია და თავიდან არც იცის, რა სურს, რა უნდა აკეთოს. მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ თავისი მშობლების ბიოლოგიური შვილი არ არის, იწყება მზეჭაბუკის სულიერი მეტამორფოზა: იგი ტოვებს ადამიანთა საუფლოს, მთაში განმარტოვდება და ცდილობს შეიცნოს საკუთარი თავი, სიცოცხლის აზრი, სიკეთე და ბოროტება. ერთ გამოქვაბულში იგი ძველ, მიწით ამოვსებულ ხვრელს წააწყდება და რაღაც იდუმალი ძალით შთაგონებული იწყებს ამ ხვრელის ხელახლა გათხრას. აქ აღმოაჩენს იგი იმ ოქროსტარიან უწრთობ ხმაღს, რომელსაც იდუმალი სახელი „ჯგრაგ“ აწერია. ხვრელი სიმბოლურად წინაპართა მივიწყებულ გზას განასახიერებს, მზეჭაბუკი მისი ხელმეორედ გათხრითა და ხმლის პოვნით გმირ წინაპართა მემკვიდრე, მათი საგმირო

საქმეთა გამგრძელებელი ხდება. მთაში ხანგრძლივი, ნებაყოფლობითი მარტვილობით მზეჭაბუკი დიადი მისიის აღმასრულებლად ყალიბდება; და ამ თვითწრთობის კულმინაციურ ფაზაში შედგება მისი შეხვედრა ჯგრაგთან, რომლისგანაც ხელდასხმა უნდა მიიღოს. გენიალურად აქვს მწერალს დახატული ეს მისტიკური სცენა: ქარბუქში მოხვედრილი, გონებადაბინდული ყრმა იხილავს ყინულის ტახტზე მჯდომ გრძნეულ ბერს და შეევედრება, ამცნოს დაფარული. აჩვენოს გზა ჭეშმარიტი. ჯგრაგ აუხსნის, რომ საჭიროა ეს უწრთობი ხმაღი ცხრა ძმა ქართლოსიანის სისხლით იწრთოს, რათა გრძნეული ძალა შეიძინოს ბნელეთის დასათრგუნად.

რომანში არის რამდენიმე ქალი-პერსონაჟი, რომლებიც ძმები ბედიები-სათვის „ანიმა“-ს როლის შემსრულებლად წარმოგვიდგებიან. მაცაცუნა (იგივე ესმა) ერთი ქარაფშუტა გოგოა, ჯუმა ბედია მისი „მწერლობის“ გამო მოსწონს და ცდილობს ხელში ჩაიგდოს იგი, რასაც მიაღწევს კიდევ. ოღონდ მათი ურთიერთობა რთული და კონფლიქტურია და მაცაცუნას, სანამ ჯუმას ცოლი გახდებოდა, კაჭუჭია შეაცდენს, რაც ძმებს შორის შუღლის ჩამოგდების მიზეზი გახდება, თუმცა ამ შუღლს უფრო არსებითი მიზეზიც აქვს: სინამდვილეში ორივე ძმას არა მაცაცუნა, არამედ მზია უყვარს, რომელიც სილამაზისა და სიწმინდის განსახიერებაა. რაც შეეხება როგონდა ერისთავს, ეს არის ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან გამოუსვლელი გოგონა, რომელსაც სათანადო სულიერი სიფაქიზე არ გააჩნია საიმისოდ, რომ მგძნობარე და მეოცნებე მზეჭაბუკს გაუგოს: მათ შორის ჩასახული გრძნობა მყარი ვერ გამოდგა და როგონდა, რაკი მზეჭაბუკი მოულოდნელად გაეცალა, კაჭუჭიას ირჩევს, მის წინადადებას თანხმდება ისე, რომ ვერც კი არკვევს, აქვს თუ არა რაიმე გრძნობა ამ პრიმიტიული არსების მიმართ. ჯუმა და კაჭუჭია ერთ დღეს ქორწინდებიან, მაგრამ ორივე წყვილისათვის უიღბლო გამოდგება პირველი დამე: ჯუმა შეიტყობს, რომ მისი პატარძალი მისივე ძმისაგან შეცდენილი ყოფილა და ძმები დაუნდობლად იჩხუბებენ, როგონდა კი, რომელიც თავისი ახლადშეძენილი მეუღლის მიერ დიდი სიამაყით ნაჩვენებ ფულის დასტებზე, ძვირფას სამკაულებსა და ოქროს ზოდებზე სისხლის წვეთებს აღმოაჩენს (ეს ხომ „მამონას განძია“), ერთბაშად ზიზღს იგრძნობს, გონს მოეგება და სარეცლის გაუზიარებლად გაეცლება კაჭუჭიას. მზეჭაბუკი მასთან შეზრდილ მეზობლის გოგოს ფაცის უყვარს და მისდამი იმდენად დიდ ლტოლვას შეუპყრია, რომ თავისივე ინიციატივით ნებდება ვაჟს, მაგრამ მზეჭაბუკი ვერ შეძლებს მის შეყვარებას, რადგან ამ ურთიერთობაში მანინც ხორციელი საწყისი ჩრდილავს სულიერს; და მზეჭაბუკი აღმოაჩენს, რომ თავისი ძმებივით

თვითონაც მზია უყვარს თურმე, მზია, რომელიც დაღუპულ სატრფოს, ტატოს გლოვობს და ლოგინად არის ჩავარდნილი. შემთხვევითი არ არის, რომ სამივე ძმა ჭეშმარიტ სიყვარულს მხოლოდ მზიასადმი განიცდის; მზია იდეალია, სხვები კი ამ იდეალის ერთგვარი სუროგატები. ისიც არაა შემთხვევითი, რომ საშუალო ძმა კაჭუჭკია უფროსი და უმცროსი ძმების „სუროგატ-ანიმებსაც“ ეპოტინება – ერთი მხრივ მაცაცუნას, მეორე მხრივ როგენდას. კაჭუჭკია საშუალოა არამარტო ასაკობრივად, არამედ არსობრივადაც: ჯუმა ეშმაკს მიჰყვება სული, მზეჭაბუკი ღვთის რჩეულია, ხოლო კაჭუჭკია იმდენად უბირი გახლავთ, არათუ ღვთის, არამედ ეშმაკისთვისაც არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ღირებულებას; ის გაუცნობიერებლად არის ეშმაკის ნების მორჩილი და ამდენად, ნაკლებიც მოეკითხება. ოღონდაც, რასაკვირველია, მზია მხოლოდ მზეჭაბუკის წილხვედრი შეიძლება იყოს; ტატოსაგან მზეჭაბუკს თითქოს ესტაფეტად გადმოეცა არა მარტო მაღალი იდეალისადმი ლტოლვა და სიკეთისათვის ბრძოლის სურვილი, არამედ მზიას სიყვარულიც, რადგან მზია სწორედ იდეალის, უმაღლესი მიზნის სიმბოლური განსხეულებაა. თვით სახელები „მზეჭაბუკი“ და „მზია“ აშკარად მიმანიშნებელია მათი ერთარსობისა.

მეტად საინტერესო მხატვრული სახეა გუჯმახანი. იგი ზოგიერთი ნიშნით რამდენადმე ენათესავება მითოსურ ოჩოკოჩს (ბერძნული პანის ანალოგი), განსაკუთრებით მდებრთა მიმართ დაუოკებელი ლტოლვა აახლოებს მასთან, მაგრამ ამ არსებითად უწყინარი ხტონური ღვთაებისაგან მას პრინციპულად განასხვავებს თავისი ცალსახად ბოროტი ბუნება; გუჯმახანი ნაწილობრივ გაადამიანებული სატანაა, ისევე, როგორც მისი ანტიპოდი ჯგრაგ არის ნაწილობრივ გაადამიანებული ღმერთი.

რაც შეეხება ბოროტ ღვთაება ჯაგერნაუტს, რომელსაც გუჯმახანი „ჩემს ღმერთს“ უწოდებს, ეს განსაკუთრებით სატანის გამოვლინება თავის „დიდებასა და ბრწყინვალეობაში“: ქაჯთა უთვალავი ლაშქრით მოისწრაფვის ეს მზისგვირგვინიანი და ვარსკვლავთვალეებიანი, ბუმბერაზ ცხენებმუხებულ ოქროს ეტლზე მდგარი კერპი, რათა მზეჭაბუკის სამშობლო შემუსროს. მის ლაშქარს მზეჭაბუკი თავისი გრძნეული ხმლით თიხის გორებად აქცევს და როცა პირისპირ შეეყრება ჯაგერნაუტს, აღმოაჩენს, რომ ეს არის უსიცოცხლო თიხის კერპი, შიგნიდან ღრუ, რომელსაც თურმე გუჯმახანი ნილბად იყენებს. კერპს მის შიგნით მდგარი ქურა გუჯმახანის სულისშებრვით აძლევდა უზარმაზარ, ყოვლისშემუმუსვრელ ცეცხლოვან ძალას, მაგრამ მზეჭაბუკის ღვთიურმა ხმა-ლმა ეს ბოროტი ცეცხლი დაშრიტა. კერპი ინგრევა და ბოლოს თავის განუყრელ მგელზე ამხედრებულ გუჯმახანს დაედევნება მზეჭაბუკი: ხმლით

მგლის ორად გაკვეთა, გუჯმახანის ორბად ქცევა და მის მიერ კლანჭებით მზეჭაბუკისთვის სისხლის დადენა, ხმლით ფრთებდასხეპილი ორბის ძირს დაშვება და გველად ქცევა, ხმლით გველისთვის წელის მოწყვეტა, გველის თავის გაქცევა და ხვრელში დამალვა – ეს ზღაპრულ-ბატალური სცენა უჩვეულო დინამიკითა და მაღალი პოეტურობით გამოირჩევა. კულწაჭრილი გველის გადარჩენა და მიმალვა, რა თქმა უნდა, ბოროტების მარადიულობაზე მიმანიშნებელია: ბოროტება შეიძლება დათრგუნო, მაგრამ საბოლოოდ ვერ მოსპობ. ფინალური სცენაც სიმბოლურია, ბრძოლით დაღლილ გმირს წმინდა ჩქერალში მდგარი მზია პეშვით წყალს გამოუწოდებს – ეს ღვთიური ჰარმონიის მოახლოების ნიშანია...

რომანში მითოსურ-ფანტასტიკური ელემენტი ისე ძალდაუტანებლადაა ჩაწულ-ჩახლართული ყოფით ეპიპირასთან, რომ სრულიად ბუნებრივად, დამაჯერებლად გვეჩვენება სრულიად დაუჯერებელი, ზებუნებრივი ამბები. მხოლოდ აქა-იქ ზოგიერთ დეტალს დაზუსტება-დახვეწა ჭირდება, რათა მხატვრულ გამონაგონში ყველგვარი ლოგიკურად გამოიყურებოდეს (ამაზე იქნებ სხვა დროს უფრო კონკრეტულად მივუთითოთ). ჩემი აზრით, ჯუმა ბედიას მოგზაურობას გუჯმახანის საუფლოში არაფერს მატებს ჩართული ზღაპარი ხუთი მეფის შესახებ – ეს, უბრალოდ, სხვა ნაწარმოებია, თავისთავად საინტერესო, მაგრამ რომანის სტილისტიკასთან შეუთავსებელი, სიუჟეტურ-შინაარსობრივად ზედმეტი და უფუნქციო... მთლიანობაში „მარადი მხედარი“ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი მაღალმხატვრული განსახიერებით, იდეის მასშტაბურობით, ფორმის მონუმენტურობით. ვფიქრობ, ეს რომანი ჯე-მალ ქირიას შემოქმედების შედეგია, მასში ავტორმა მაქსიმალურად გამოავლინა თავისი დიდი მწერლური პოტენციალი. ოღონდ „შედევი“ სრულყოფილებასაც უთუოდ გულისხმობს და, ჩემი აზრით, კარგი იქნება, ავტორმა რომანი ერთხელ კიდევ კრიტიკულად გადაამუშაოს, რათა ნაწარმოები მთლიანად გაიწმინდოს ყოველივე არაზუსტისაგან, საეჭვოსაგან, არაარსებითისაგან. „მარადი მხედარი“, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული კლასიკის კუთვნილება გახდება და სასურველია, იგი ამ დიდი ასპარეზისათვის ყოველმხრივ განმზავებული, მაქსიმალურ კონდიციამდე მიყვანილი იყოს.

„მკვდარი სახლი“ კიდევ უფრო მისტიკური, ფანტასტიკური ნაწარმოებია, მასში ორფეოსის ქვესკნელად ჩასვლის მითია გამოყენებული მთავარ არქეტიპულ მოდელად. რომანის მოქმედების უმეტესი ნაწილი საიქიოს ამბების თხრობას ეთმობა, შიგადაშიგ კი ჩართულია პროტაგონისტის, მწერალ პაპუნა ჭყონიას სააქაოში, ამქვეყნად გატარებული ცხოვრების რეტროსპექტუ-

ლი სურათები და აგრეთვე მისი მცირე ნაწარმოებები თუ ნაწარმოებთა ფრაგმენტები და ესკიზები. საკმაოდ აშკარაა ერთგვარი ანალოგია დანტეს „ღვთაებრივ კომედიასთანაც“, თუმცა ორფეოსის მითზე მინიშნება უფრო არსებითია.

ორმოცი წლის მწერალი პაპუნა ჭყონია თავის მოკვლას გადაწყვეტს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაბედავს (თავისი მშინარა და ამქვეყნიურობით ტკობას დახარბებული ორეული არ მისცემს ამის ნებას), სამაგიეროდ საგზურით გაემგზავრება იდუმალებით მოცულ პანსიონატ „პლუტონში“, რომელიც, როგორც სახელწოდება ვეჩვენებს, იგივე საიქიოა, ქვესკნელია. იქ გამგზავრება სიკვდილის საუფლოს მოხილვას გულისხმობს, ოღონდ გმირი ცოცხალი უნდა იყოს ამ მოგზაურობისას, ისევე, როგორც ორფეოსი ან ოდისევსი. მითიური რეალიები და მითოსის პერსონაჟები ადვილად საცნობია, ზოგი რამ, მაგალითად მდინარეები ლეტა და სტიქსი პირდაპირ, შეუფარავად არის ნახსენები, ზოგი პერსონაჟის სახელი კი მსგავსი ჟღერადობის სახელითაა ჩანაცვლებული – ხარონს ხარიტონა ჰქვია, ჰადესს – ადიკო, პერსეფონეს – პარასკევა, ევრიდიკეს – ვერონიკა. თვით გმირის გვარს („ჭყონია“) სიმბოლური დატვირთვა აქვს – ჭყონი მეგრულად მუხას ნიშნავს. როგორც ვიცით, წარმართულ სამყაროში მუხა საკულტო ხე იყო. ჭყონიების გვარის ეპონიმი კონი ჭყონია (კაცი მუხა) წარმართული სამყაროს წარმომადგენელია. მისი სოფელი ეშმაკის მაცდურ ნებას დაჰყვა, მის მიერ ღვინოდ ქცეული წყალი იგემა და ჟამისგან (შავი ჭირისგან) მოისრა. აქ წარმართულისა და ქრისტიანულის ურთიერთალრევაც საჩინოა, ეშმაკი ქრისტეს „მიბაძვით“, ქრისტესეული სასწაულის ჩადენით (ოღონდ გაუკუღმართებული სახით) იმორჩილებს ადამიანთა სულს. კონი ჭყონია, როგორც რჩეული, გადაურჩება ამ განსაცდელს, იგი ლაკადას მთაზე წაიყვანს გზად რომელიღაც სოფელში შესვედრილ ობოლ გოგონას თინანოს და მათი შეუღლებით თითქოს ხელახლა იწყება ადამის ტომის აღორძინება (ბიბლიური წარღვნის შემდგომი დროის რემინისცენცია). ჭყონიების გვარი გამრავლდება, გაფართოვდება მათი საცხოვრისი, ხოლო ასწლოვანი პატრიარქი კონი ჭყონია ერთ ადგილას ზის, თაობათა მონაცვლეობას გაჰყურებს და თანდათან მიწაში იდგამს ფესვებს, თანდათან იქცევა მუხად.

რომანში შთაბეჭდავი ხატოვანებით არის გადმოცემული გმირის თავგადასავალი მკვდართა საუფლოში. ეს იგივე საკუთარ სულში, ხსოვნაში, ქვეცნობიერში ჩაძირვაა, თვითშემეცნების აქტია. თავისი წინაპრები ეცხადებიან გმირს ხორცშესხმულად და მხნეობას მატებენ, სიკეთის მარადიულობაში არწმუნებენ

გულგატეხილსა და ეჭვებით შეპყრობილს. მას განუყრელად თან ახლავს თავისი ორეული, რომელიც მისი მდაბალი მიდრეკილებების, სურვილებისა თუ ინსტინქტის ხატია. პანსიონატის დირექტორი ადიკო (ქვესკნელის მეუფე ჰადესი) ცდილობს სულიერად გატეხოს და დაიმორჩილოს პაპუნა, მაგრამ, როგორც ნინუცა ბებია შთააგონებს მას, ადიკო (სიკვდილი) ვერ მეუფობს სიცოცხლეზე, ის ვერ დაგძლევს, თუ სიცოცხლე გეყვარება. ბოლოს ამბონებული გმირი გადამწყვეტ ბრძოლას მართავს ადიკოსთან. საშინელ ურჩხულად, დინოზავრად გარდასახულ ადიკოს რომ შეებმება, თვითონაც დროებით მის მსგავს დინოზავრად იქცევა და ამგვარად ამარცხებს მოწინააღმდეგეს. შემდეგ ვერონიკასთან ერთად კვლავ სიცოცხლის საუფლოსაკენ, სააქაოსაკენ გამოემართება. ქვესკნელსა და სააქაოს შორის ზღვარზე, უდაბურ ადგილას პაპუნა წააწყდება თავის მუხადქცეულ წინაპარს კონი ჭყონიას, რომელიც აფრთხილებს, სანამ ზეკარს გადაივლიდე, უკან არ მიიხელო, თორემ შენს თანამგზავრს დაკარგავო. და მიუხედავად იმისა, რომ პაპუნამ მშვენივრად იცის, ამგვარი გაფრთხილების უგულვებლყოფით რომ დაკარგა ორფეოსმა თავისი მეუღლე ევრიდიკე, მაინც ვერ შეძლებს მითიური ბედისწერის დაძლევას, ვერ ახდენს, ასე ვთქვათ, გარღვევას რაღაც ახალ განზომილებაში და დაეჭვებული იმაში, რომ მოატყუეს, რომ კონი ჭყონია საერთოდ არ არსებობს და რომ ვერონიკა მასთან აღარ არის, უკან მოიხედავს: მის უკან მომავალი ვერონიკა გაიცრიცება, გაქრება და დამწუხრებული, მაგრამ სიკვდილზე გამარჯვებული გმირი სამზეოს უბრუნდება...

„კიბე იაკობისი“ ვრცელი რომანი-ეპოპეაა, მასში რეალისტურადაა ნაჩვენები თითქმის საუკუნოვანი პერიოდი – მოქმედება იწყება მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან და მთავრდება 90-იან წლებში. ეს არის რთული, კატაკლიზმებით სავსე ეპოქის მხატვრული მატთანე, რომელშიც რამდენიმე თაობის ადამიანები მონაცვლეობენ. პირველი თაობის სახელოვან რევოლუციონერებად არიან შერაცხული გერა კვარაცხელია, ნესტორ თოდუა და ძღვიბი თოლორაია. მათ ერთად მოიხსენიებენ ოფიციალურად, თუმცა რეალური ისტორია რამდენადმე სხვაგვარია: გერა კვარაცხელია, რომელიც ქალაქ მერთში მაცხოვრისგორაზე აღმართული ეკლესიისაკენ ამავე კიბეს აშენებს (უფრო ზუსტად, სხვათა მიერ დაწყებული კიბის შენებას აგრძელებს), მორწმუნე კაცია, თუმცა სოციალ-დემოკრატიკა იდეალებს იზიარებს იმავდროულად. იგი ამ კიბის შენებას ეწირება. ნესტორ თოდუა ბოლშევიკური რწმენისა გახლავთ და მისი ინიციატივით ანგრევს ხალხი მაცხოვრისგორის ეკლესიას. ძღვიბი თოლორაიაც ბოლშევიკია, მაგრამ ამაყი და ვაჟკაცური ბუნების ნესტორისაგან განსხვავებით

დაუნდობელი, სისხლისმსმელი ურჩხულია, გაბოროტებული მანიაკი კაცისმკვლელი, რომელიც თვით ნესტორ თოდუასაც მოლაღატედ გამოაცხადებს, მის წინააღმდეგ აამხედრებს ხალხს და ჯერ ოჯახს აუწიოკებს, ბოლოს კი საკუთარი ხელით ჰკლავს კიდევ: ამის მიზეზი ძალაუფლების ერთპიროვნულად საკუთარ ხელში მოქცევის სურვილი, შური და მზარდი მიზანთრობია.

მწიგნობარი, ისტორიკოსი ბერი ზაქარაია რევოლუციური ეპოქის დაუნდობელი, ბობოქარი ტალღების მსხვერპლია. ეს უხერხემლო ინტელიგენტი, შინაგანად კეთილი და ჰუმანური, იძულებულია დაჰყვეს ძღვიბი თოლორაიას და ძმათა მისთა ნებას, თავისი მრწამსის წინააღმდეგ წავიდეს, შიშის გამო საკუთარ თავს უღალატოს; თუმცა საბოლოოდ მასში მაინც კეთილი ნება იმარჯვებს და მრავალი ტანჯვა-წვალების, ხანგრძლივი რეპრესიის გადამტანი ცდილობს საზოგადოებისათვის სასიკეთოდ იღვაწოს, შთამომავლობას ისტორიული სიმართლის რაღაც ნაწილი მაინც შემოუნახოს.

მეორე თაობას წარმოადგენენ გერა კვარაცხელიას ქალიშვილი მართა, ნესტორ თოდუას ვაჟი ტატანი და ძღვიბი თოლორაიას ვაჟი ბიკენტი. აქ ტრადიციული სიყვარულის სამკუთხედი თამაშობს გარკვეულ როლს გმირთა ბედ-იღბალში: მართა ტატანის ირჩევს, მისი მეუღლე ხდება, უარყოფილი ბიკენტი კი ყოფილი მეგობრიდან საშიშ მტრად იქცევა. ბიკენტი მამის გზას მისდევს, იგი მეორე თაობის ჩეკისტია თოლორაიების ოჯახში. ტატანი თოდუა კომუნისტების მიერ დევნილი ხდება, წლების განმავლობაში გადაკარგულსა და ჩრდილოურ ჯოჯოხეთგამოვლილს საკუთარ ეზოში ჰკლავენ ბიკენტის მიერ მოგზავნილი კანონის დამცველნი. მანამდე კი მისი მეუღლე მართაც ემსხვერპლება დევნასა და განუკითხაობას და პატარა მართალი ობლად რჩება.

მართალი თოდუა, ბიკენტის ვაჟი ლესტმბე თოლორაია უკვე მესამე თაობაა. მართალი თოდუა პირდაპირი შთამომავალია მეცხრამეტე საუკუნის სამეგრელოში გლენთა აჯანყების ერთ-ერთი ბელადის, „მართალია“-დ წოდებული უტუ თოდუასი. მართალი თავის მეგობრებთან – დურუ გეგასა და არიქა ძაძუასთან ერთად მოწინავე კომკავშირლებად ითვლებიან, თუმცა მოგვიანებით მათი გზებიც იყოფა. ხოლო ლესტამბე თოლორაია უკვე მესამე თაობის ჩეკისტია თავის ოჯახში და თავისი ქვებუდანობით არათუ დახვეწილ, რესპექტაბელურ მამას, არამედ სისხლით გაუმაძღარ პაპასაც კინალამ აჭარბებს. დავაკვირდეთ მის სახელს და ამ სახელის მეტამორფოზას დროთა განმავლობაში პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად: „ლესტამბე“ ანუ შემოკლებული „ლენინ-სტალინ-ბერია“; მოგვიანებით, როცა ბერია მოჰკლეს და მოლ-

ალატედ შერაცხეს, ლესტამბე „ლესტანი“ („ლენინ-სტალინი“) გახდა: შემდეგ, სტალინის განკითხვის ჟამიც რომ დადგა, ლესტამბემ „ვილენი“ („ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“) დაირქვა; ბოლოს, როცა ლენინიც ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდა, ლესტამბემ უბრალო სახელი „ვალიკო“ ირჩია. ეს გახლავთ პოლიტიკური ქამელეონობის კლასიკური მაგალითი.

მართალი თოდუა და ლესტამბე თოლორაია ერთმანეთის ანტიპოდები არიან. მართალის სახელიც „მეტყველი სახელია“ და მიგვანიშნებს, რომ იგი მართალი ადამიანია, სიმართლის მსახური, ჭეშმარიტების მაძიებელი. თავისი ცხოვრების გზაზე მას არაერთი საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობის გადაფასება უხდება. კომუნისტური იდეალები თავისი განთქმული ბელადებითურთ, თავიდან რომ საყოველთაო პროგრესისა და ადამიანური ბედნიერების გარანტად იყო მიჩნეული, დროთა განმავლობაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რაკი რეალობა სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა და არა ისეთი, როგორაც გვისახავდნენ. განსაკუთრებით კომუნისტური კერპების მსხვერვამ დაბადა სრულიად ბუნებრივი კითხვები: თუ სტალინის გზა მცდარი იყო, როგორღა უნდა ყოფილიყო სწორი ლენინის გზა, სტალინი ხომ თავისი ხანგრძლივი (ოცდაათწლიანი) მმართველობის განმავლობაში ითვლებოდა ლენინის იდეების განმამხრციელებლად, კომუნიზმის დიად მესაჭედ, ლამის ხორცშესხმულ ღმერთად?

რომანის სათაური „კიბე იაკობისი“ აშკარა, გამჭვირვალე სიმბოლიკას შეიცავს: მაცხოვრის გორაზე, სადაც კიბე ათწლეულების განმავლობაში შენდება, ჯერ ეკლესია დგას, შემდეგ მას ანგრევენ და მოგვიანებით იმ ადგილას სტალინის ძეგლს აღმართავენ. შემდეგ მასაც ანგრევენ და ერთ მშვენიერ დღეს ლენინის ძეგლი ჩნდება მის ნაცვლად, რაც აშკარა აბსურდი და ანაქრონიზმია. მომდევნო ეტაპზე ვერც ლენინის ძეგლი გადაურჩება დანგრევას. მაგრამ კიბე ყოველ ეტაპზე შენდება და საბოლოოდ მაცხოვრისგორის მწვერვალსაც აღწევს. ბოლოს კი მაცხოვრისგორაზე აღარაფერი დგას და მხოლოდ ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი, იქ თავისი თხოვნით ასაფლავებენ ასი წლის ეფროს – იმ ეკლესიის დამანგრეველი ნესტორ თოდუას მეუღლესა და მართალი თოდუას ბებიას: ეფროს კომუნისტების მოწინააღმდეგე და მათგანვე რეპრესირებული, მორწმუნე ქალი იყო. თითქოს ერთგვარი წრე შეიკრა ამით, დარღვეული სამართლიანობა აღდგა და ტაძრის ნანგრევებთან მორწმუნე პიროვნების საფლავი გაჩნდა; არადა კიბეს სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა მიზნით აშენებდნენ. კიბე საბოლოოდ მაინც „იაკობის კიბედ“ რჩება, როგორც ეს მართალი თოდუას სიმბოლოურ თუ წინასწარმეტყველურ სიზმარში და მის მიერ დახატულ

პანორამაშიც ჩანს (სამწუხაროდ ამ მშვენიერ პანორამას ხანძარი შთანთქავს). ღვთისაკენ საჯალი გზა ძნელზე ძნელია, უამრავი დაბრკოლებითაა დახერგილი, მაგრამ ის მაინც არსებობს, მაინც არის შესაძლებლობა, რომ ეს გზა განვლოს ღირსეულმა ადამიანმა. გულმართალი, შეუპოვარი და სიბერეში ლამის ნათელმხილველურ ცნობიერებამდე მიღწეული ეფროს საფლავი მაცხოვრისგორაზე პირველი ნიშანსვეტია, ხილული სამყაროს ბოლო, უმადლესი წერტილია თითქოს, რომელიც მართალი თოდუასათვის (და საერთოდ ჭეშმარიტების მაძიებელთათვის) ორიენტირად იქცევა სულის უხილავი საუფლოსაკენ მიმავალ გზაზე.

რომანში უამრავი პერსონაჟი და მათი უმეტესობა მკვეთრი ინდივიდუალობით გვამახსოვრებს თავს, რაც მწერლის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ხასიათთა ამ გაღრევაში მთავარისა და არამთავარის გამიჯვნა ცოტათი ძნელიცაა, ცენტრალურ პერსონაჟად ერთი რომელიმეს გამოყოფა იქნებ არც მოხერხდეს, თუმცა ალბათ მაინც მართალი თოდუას სახე სხვებზე მეტად უახლოვდება ამგვარ განსაზღვრას. სხვა ყველას რომ თავი დაეკანებოთ, თვით ავტორიც ეპოპეის დაახლოებით ერთი მესამედის ჩამთავრების შემდეგ პერსონაჟად შემოდის ნარატივეში და ბოლომდე აქტიურად ფიგურირებს. ჩვენ „მთვარის მოტაცებიდან“ გვახსოვს, როგორი მაღალმხატვრული ეფექტურობით განახორციელა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი, როგორც ავტორის ჩართვა რომანის მოქმედებაში, გვახსოვს, რომ მან, პერსონაჟად ქცეულმა ავტორმა, თოფიც კი ესროლა ნადირობის დროს წესის დამრღვევ მთავარ გმირს თარაშ ემხვარს, რომელიც მისი „ალტერ ეგო“ გახლავთ (ამით თითქოს ავტორმა თავის ჭაბუკობისდროინდელ იდეალიზმს გამოუტანა განაჩენი)... ოღონდ „მთვარის მოტაცებაში“ ამგვარი ხერხის გამოყენება ეპიზოდურია. ჯემალ ქირია ამ მხრივ უფრო შორს მიდის: თავისი შეხვედრა საკუთარ პერსონაჟებთან, მათთან ერთად მოქმედებაში მონაწილეობა მხოლოდ ერთი ეპიზოდის ფარგლებში კი არა აქვს ნაჩვენები, არამედ მათთან პირველი შეხვედრიდან იწყებს ამ პერსონაჟების წარსული ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდთა რეტროსპექტულ ჩართვას აწმყო დროში მიმდინარე მოქმედებაში, ბოლოს კი, როცა ამოწურავს ამ უვრცეს რეტროსპექტივას, უკვე მთლიანად აწმყო დროის ამბავთა თხრობაზე გადადის, რომელთა უშუალო მონაწილედ თავისი თავიც გამოჰყავს და ამით ერთგვარ დოკუმენტური ნამდვილობის იერს ანიჭებს ნარატივს. გარდა ამისა, თხრობაში ჩართულია მეტად ორიგინალური მხატვრული სახე მკითხველისა, რომელიც რომანის ერთ-ერთ პერსონაჟადაა ქცეული ავტორის მსგავსად. ეს მკითხველი (სახელად იესე) საკმაოდ კრიტიკულადაა განწყობილი ავ-

ტორის მიმართ, ეკამათება, ტუქსავს, ხან რას უწუნებს, ხან რას, რჩევებსაც არ იშურებს და მოთხოვნებსაც უყენებს: „ვინაა ეს ინტრიგანი!“ – წამოიძახებს ერთგან მოთმინებადაკარგული ავტორი-პერსონაჟი. „მამაჩემი გახლავთ“. – თავაზიანად შეასვენებს ერთ-ერთი პერსონაჟი... ამ ახირებული და ჯიუტი მკითხველის მოთხოვნით მწერალი ზოგჯერ რაღაცებს ცვლის თხრობაში, რამდენიმე სავარაუდო ვარიანტს წარმოგვიდგენს ერთიადიამვე სიუჟეტური მონაკვეთისა. ამგვარი ცვლილებები ზოგიერთი სხვა, ჩვეულებრივი პერსონაჟის (მაგალითად ლესტამბეს) პრეტენზიების გათვალისწინებითაც შეაქვს ავტორს თხრობაში. ასე რომ, ეს რეალისტური ეპოპეა ზოგი ნიშნით პოსტმოდერნულიც გახლავთ, რადგან ზემოხსენებული მანიპულაციები თხრობას ე.წ. კლასიკურ უტყუარობას, გნებავთ, სერიოზულობას „უკარგავს“, წინა პლანზე თამამის ესთეტიკა გადმოდის, თხრობა ზოგჯერ თხრობის პაროდიადაც აღიქმება... აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯემალ ქირიას, როგორც მითოგრაფოსისა თუ ფანტასტ-მისტიკოსის წარსული გამოცდილება შიგადაშიგ ამ რომან-ეპოპეაშიც იჩენს თავს: მაგალითად, დევნილი ტატაჩის ჩრდილოური თავგადასავალი რელიზმის ფარგლებს სცდება და მისტიკურ, ფანტასმაგორიულ იერს იღებს; ასეთივე ძღვიბი თოლორაიას დასამარხად გამზადებული ცხედრიდან სულის გადასახლება ბიკენტის ტყვიით გაგორებული საფლავის ვირთხის სხეულში, რომელიც ამ მისტიკური აქტის შედეგად ცოცხლდება და ბარდებში შეხვანსვალდება; ასევე უცნაური მოვლენაა ნატამას სხეულში ლესტამბესგან არაადამიანური, ვირთხის მსგავსი არსების ჩასახვა (ამ არსებას შეეძლო ბასრი კბილებით გამოეღრღნა დედის მუცელი, ექიმებს რომ დროზე არ ეშველათ)... ვირთხა სიმბოლურად ძღვიბის, ლესტამბესა და მათი მსგავსი არაკაცების ჰიპოსტასია.

„კიბე იაკობისი“ ჯემალ ქირიას ყველაზე დიდტანიანი ნაწარმოებია (დაახლოებით 1000 გვერდი) და, რასაკვირველია, ასეთი მოცულობაც განაპირობებს მის მონუმენტურობას, რომ არაფერი ვთქვათ თემის მნიშვნელობაზე, სათქმელის გლობალურობასა და მხატვრული განსახიერების დონეზე. ზემოთ უკვე განვაცხადე, რომ ჯ. ქირიას შედეგად „მარადი მხედარი“ მიმჩნია, მაგრამ „კიბე იაკობისი“ თავისი მნიშვნელობით თუ არ ჭარბობს, არც ჩამოუვარდება მას. ჩემი შთაბეჭდილებით ბალანსი ამ ორ ნაწარმოებს შორის ამგვარია: „კიბე იაკობისი“ რეალურობის ხარისხით გაცილებით წინ დგას, ამ ნაწარმოების კითხვისას თითქოს უშუალოდ ვეხებით ჩვენს გარემომცველ სინამდვილეს, მაგრამ წმინდა პოეტურობის, გნებავთ, ესთეტიურობის ხარისხით „მარადი მხედარი“ გახლავთ აღმატებული. „კიბე იაკობისი“ უფრო „მღვრიე“

მასალით არის ნაგები, ეს მისი სპეციფიკაა, როგორც ვრცელი დროითი მონაკვეთის მხატვრული მატანისა; თანაც, აქ ზომ XX საუკუნის ყველაზე მძიმე, ქაოტური, კრიზისული პერიოდებია მხატვრულად ხორცშესხმული. „კიბე იაკობისი“ უფრო პანორამულად, ფართოდ ასახავს სინამდვილეს, „მარადი მხედარი“ კი უწინარეს ყოვლისა თავისი იგავური სიღრმით არის მნიშვნელოვანი. საბოლოო ჯამში ეს ორი ნაწარმოები ჯ. ქირიას პროზის უმთავრეს ნიშანსვეტებად წარმოგვიდგება.

„დიდობანას თამაში“ ზემოთ განხილულ რომანებთან შედარებით ნაკლებ მასშტაბური, მაგრამ უდავოდ საინტერესო, ცოცხლად საკითხავი ნაწარმოებია. თხრობა მასში ძირითადად რეალისტური გახლავთ, მხოლოდ მთავარი გმირის, მოზარდ ნიკანორ ბჟალავას ოცნებით წარმოსახული ზღვაოსანი მამის, დიდი ნიკანორის დროადადრო შემოყვანა თხრობაში ცოტაოდენ მისტიკურ შეფერილობას აძლევს ნაწარმოებს. წიგნში აღწერილია საბავშვო სახლის ბინადართა ცხოვრება. კარგადაა ნაჩვენები მოზარდის ფსიქოლოგია, ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, უფროსებისა და მოზარდების ურთიერთობაში როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტები და ამის შედეგად მოზარდთა სულში მომხდარი სასიკეთო თუ არასასიკეთო ძვრები. ეს წიგნი კრიტიკული განხილვისათვის იქნებ რაიმე განსაკუთრებულს არ იძლევა, მაგრამ მოუწყვინრად იკითხება და ამდენად საყურადღებოცაა მკითხველისათვის.

„სამი პრინცესა და სოფელი გოგო“ ახალგაზრდა კაცის სამიჯნურო თავგადასავლების ისტორია გახლავთ. უნას აქვს მისტიკური ხილვა, რომ ოდესღაც, წინა ცხოვრებაში ის უფლისწული უჯუში იყო, რომელმაც სამი პრინცესა (აღმოსავლელი, დასავლელი და ჩრდილოელი) უარყო, რადგან მის მზერას ისინი მიხრწნილ ჩონჩხებად წარმოუდგა. შემდეგ უფლისწული ულამაზეს სოფელ გოგოს, თებრონეს შეხვდება და ძალადობით დაიმორჩილებს. როცა გონს მოვა, ინანებს ამ საქციელს და მზადაა შეიყვაროს შეურაცხყოფილი გოგონა, მაგრამ გვიანდაა, თებრონემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა... უნას ცხოვრებაშიც ამ ხილვის ერთგვარი ანალოგიით სხვადასხვა დროს ჩნდება სამი „პრინცესა“, რომელთაც არა შემთხვევით ჰქვიათ უცხოური სახელები – მირაბელა, რენატა, ანა-მარია; სამივესთან სამიჯნურო ურთიერთობა უმომავლო აღმოჩნდება. ამავე დროს უნა უყვარს სოფელ გოგონას, გვანცას, რომელსაც ასევე არა შემთხვევით ჰქვია ქართული სახელი... მაგრამ გვანცას დიდი ხნის განმავლობაში უფროს ძმასავით ექცეოდა უნა, ბოლოს კი, როცა მას შეხვდავს, როგორც ქალს, შეიყვარებს და ცოლად შერთვასაც დააპირებს, ხდება კატასტროფა – გვანცა უბედური შემთხვევის

შედეგად იღუპება. მკითხველი ამგვარ ტრაგიკულ დასასრულს წინასწარ გრძნობს, რადგან, გარდა უნას მისტიკური ხილვისა (სადაც თებრონე, გვანცას არქეტიპი, ასევე იღუპება), რომანში სხვა ავბედითი მინიშნებებიც არის აქა-იქ მიმოხეული... ერთგვარი პროტესტის გრძნობაც გვიპყრობს, რომ ავტორმა ასე ფატალურად ტრაგიკული ხვედრი არგუნა ამ მეტად საყვარელ პერსონაჟს, მაგრამ მძიმე განცდას რამდენადმე გვინელებს ნაწარმოების ფინალურ ნაწილში მოცემული კიდევ ერთი მისტიკური ვიზიონი: გვანცა ხელახლა იბადება და თავის სახლ-კარს, მშობლიურ სანახებს სცნობს, ამბობს, რომ აქ ოდესღაც უკვე ცხოვრობდა. დასასრულ, უნა ხვდება გვანცას და ეუბნება, ჩვენ დროში ავცდით ერთმანეთსო...

ჯემალ ქირიას სტიქია ვრცელი, რომანული თხრობაა და ამდენად, მის შემოქმედებაში რომანებს წამყვანი ადგილი უჭირავს, თუმცა მან არაერთი საყურადღებო მოთხრობაც დაწერა. ზოგი მათგანი საკმაოდ ვრცელია და დიდად არც ჩამოუვარდება მისსავე მომცროტანიან რომანებს, მაგალითად, იმავე „სამ პრინცესას და სოფელ გოგოს“ თუ „დიდობანას თამაშს“. ამ წერილის მოცულობა საშუალებას არ იძლევა ყველა საინტერესო ნაწარმოებს ცალცალკე შევეხოთ, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაზე შევაჩერებ ყურადღებას.

„სამი მოთხრობა ერთი მკვლელის შესახებ“ ორიგინალური ფორმით გამოირჩევა – როგორც სათაური მოგვითხრობს, აქ ერთი ამბავი სამ სხვადასხვა რაკურსშია დანახული. პირველ თავში „მთელი დღე წვიმდა“ თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს: მოსწავლე ზაზა ჩიმაკაძემ მოკლა თანაკლასელი და მეგობარი მამუკა ლეჟავა. მკვლელის მიზეზი სიყვარულის სამკუთხედი – ორივეს უყვარს მათი თანატოლი და მეგობარი თინიკო კელაპტრიშვილი. პირველ თავში ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ როგორ „იძიებს“ ამ საქმეს ახალგაზრდა გამომძიებელი დიმიტრი ფარცვანია, თუმცა გამოსაძიებელი მაინცდამაინც არაფერია. მეორე თავს „მამუკა ლეჟავა“ ჰქვია: აქ ავტორი ცოტაოდენ „მისტიკურ“ პირობითობას უშვებს და თვით მოკლულ მამუკა ლეჟავას აამბობინებს მთელ ამ ისტორიას; ყველაფერს თავისი ახსნა ეძლევა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ღებინდება ფაქტებს შორის. მესამე თავში, რომელსაც „დაბადება მეორე“ ჰქვია, მკვლელი ზაზა ჩიმაკაძე ყველა თავის თავგადასავალს, ძირითადად ციხეში ყოფნის და ბოლოს იქიდან გამოსვლისა და სოფელში მობრუნების ამბებს. თუ პირველი თავი მომხდარ ფაქტს „გარედან“ გვაჩვენებს, მეორე და მესამე თავში უკვე „შიგნიდან“ ნათდება მთელი ისტორია და ფსიქოლოგიური მოტივირებანი გადმოღის წინა პლანზე.

საინტერესოა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით როგორც მკვლელის, ასევე მოკლულის პიროვნული კომპლექსების როლი ტრაგედიის მოხდენაში, კონფლიქტის ობიექტის, გოგონას დამოკიდებულება ორ „თავყვანისმცემელთან“, მისი თავნებობა და საბედისწერო თამაში ბიჭების გრძნობებზე, მათ თავმოყვარეობაზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკვლელის სულიერი მეტამორფოზა, ხანგრძლივი და მტანჯველი კათარზისი: იგი ცდილობს თავის თავში მოჰკლას მკვლელი ზაზა ჩიმაკაძე და გარდაისახოს მოკლულ მამუკა ლეჟავად, რაც თითქოს მამუკას გაცოცხლების ცდაა, მაგრამ როგორც თანაკლასელებთან სამსჯავროზე ირკვევა, ეს მანც ილუზიაა, თავის მოტყუებაა: “შენ რა, გინდა მეორედ მოჰკლა?”-ეკითხება კლასის დამრიგებელი ზაირა მჟავია.

მოთხრობა „კუნძულიც“ ერთი ადამიანის მეორე ადამიანის სულში გადასახლების მისტიკურ აქტზე მოგვითხრობს. თაზო-თუთაცირა-უტუტის სასიყვარულო სამკუთხედში უტუტი უარყოფილი მიჯნურია, თაზო კი ქალის რჩეული. უტუტი ბანჯგვლიანი, გოლიათი, ტყის კაცია, რომელსაც სხვა შიშისმოგვრელი ჰიპოსტასებიც გააჩნია — დათვი და დიდი შავი ნავაზი. უტუტი რაღაც მაგიური ძალით თაზოს სულში გადასახლება, თვითონ კი დროებით კვდება. უტუტის ხტონური არსებით აღვსილ-გამსჭვალული თაზო ეუფლება თავის დად წოდებულ თუთაცირას, ხოლო როცა უტუტი კვლავ გაცოცხლდება, ანუ თაზოში გადასახლებული მისი სული კვლავ მის სხეულში ბრუნდება, მისი ჯადოსგან თავდახსნილი თაზო თუთაცირასთან ამურული თავგადასავლის შეწყვეტას მოისურვებს, რის გამოც თუთაცირა თავს იწამლავს და კვდება (მითოსური წარმოდგენით, ნინფები, რომელთაც პანი ეუფლება, ილუპებან).

მოთხრობებიც, ისევე როგორც რომანები, თემატურად და სტილურად ურთიერთ-განსხვავებულია: „მეხამრიდში“ ნაჩვენებია პატარა ცამეტი წლის გოგონას ლტოლვა მოზრდილი მამაკაცისადმი, რომელიც ავარიაში სიკვდილს გადაარჩინა და რამდენიმე დღით მისი საპატრონო გახდა. გადარჩენილი მამაკაცი ცოლიანი აღმოჩნდება და პატარა გოგონაში ეს ფაქტი იმპულსური პროტესტის განცდას იწვევს, თუმცა თავისი ასაკისათვის დამახასიათებელი სიადვილით მოინებებს ამ ფსიქოლოგიურ ტრავმას. მოთხრობას „ბატონი პრეზიდენტი ჩამობრძანდა“ ქვესათაურად აქვს „პოლიტიკური ფანტასტიკა“. მასში მოთხრობილია, რუსეთის იმპერიული უღლისაგან სავსებით გათავისუფლებულ საქართველოში როგორ ჩამობრძანდება რუსეთის პრეზიდენტი მეგობრულ ვიზიტად და მას საქართველოს პრეზიდენტი ორიგინალურ სიურპრიზს დაახვედრებს — საქართველოში შემთხვევით ჩარჩენილ უკანასკნელ რუს

ჯარისკაცს. „თეთრი ევროპა“ მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობაა. მასში ავტორი გვიამბობს იუპიტერის თანამგზავრ ევროპაზე გაქცეული შეყვარებული წყვილის დრამატულ ისტორიას. ეს მოთხრობა უფრო დაუწერელი ფანტასტიკური რომანის შესავალს ჰგავს...

მოთხრობებთან ერთად ორი პიესაც არის შეტანილი მესამე ტომში: რადიოპიესა “პური ჩვენი არსობისა” შესანიშნავად გვაჩვენებს ჩვენი ქვეყნის დუხჭირ მდგომარეობას 90-იანი წლების დასაწყისში გაჩაღებული შინაომების შემდეგ. აქ ერთმანეთს უპირისპირდება მეორე მსოფლიო ომის დროინდელი და ზემოხსენებული შინაომების დროინდელი თაობები. მათ შორის ღრმა უფსკრულია და ერთმანეთის გაგება არ შეუძლიათ. დარო და ლადიკო სტალინური წრთობის ადამიანები არიან (დარო ყოფილი მფრინავი-მეომარია, ბერლინს რომ ბომბავდა, ლადიკო კი — მზვერავი, მტრის ზურგში რომ „მუშაობდა“). თექვსმეტი წლის გიგა პურის რიგში მდგომ ამ ჰომო სოვიეტ-იუსებს ბრალად სდებს — თქვენმა თაობამ, თქვენმა ცრუ გმირობებმა გვაქცია ამ ახალ ომში ახალგაზრდები კაცის მკვლელებადო (გიგას ომში მძაკაცი მოუკლეს და შურისძიებით გაბოროტებულმა უდანაშაულო ახალგაზრდა ტყვე ოსი მოკლა). ჩვიდმეტი წლის თამუნა წარმოგვიდგება, როგორც ერთგვარი სიმბოლო ამ ჯოჯოხეთურ ყოფაში გადარჩენილი სულიერი სიწმინდისა: მას ებრალება გიგა და ცდილობს გააგებინოს ლადიკოს და დაროს, რომ გიგას ჩადენილი ცოდვა ტანჯავს, მაგრამ ამათ ცოდვის ცნობიერება საერთოდ არ გააჩნიათ. ფინალური სცენა აშკარად სიმბოლურია: ძველი მფრინავი დარო თავის „იმენის“ (გმირობისთვის უფროსობისგან ნაჩუქარ წარწერიან რევილვერს) დაახლის გიგას. დაროს ეგონა ამ დაჟანგულ ძველ რევილვერში ტყვია არ იყო და ახალგაზრდა „ხულიგნის“ დასაშინებლად გამოჰკრა თითი ჩახმახს, საბედისწეროდ ჩარჩენილი ტყვია კი გავარდა და თითქოს სტალინურ-საბჭოური ეპოქიდან მოსწვდა მსხვერპლს - უახლესი თაობის წარმომადგენელს, სიმბოლურად ქვეყნის მომავალს. ქართული ანდაზა — „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვთა კბილი“ — კიდევ ერთხელ გამართლდა...

ამ რეალისტური ტრაგედიისაგან სრულიად განსხვავებულია „ლომთა ტაროსი“, რომელსაც ავტორი ფარსს უწოდებს. აქ ჩვენს ქვეყანას „წკიპურტარია“ ჰქვია, ხოლო პერსონაჟთა კომიკურ სახე-ნიღბთა თუ სახელთა მიღმა რეალურ პიროვნებებსაც ვცნობთ, მათ, ვინც 90-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკურ არენაზე ჩანდა. კარგადაა ნაჩვენები მაშინდელი ეიფორია, რეალობის გრძნობის დევიციტი, სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის კონფრონტაცია. მსგავსი შარჟული შტრიხებითაა იგივე პერიოდი დასურათებული ზღაპარში

დიდებისათვის „ჭიანჭველების ხელმწიფე ანდუყაფრი“. აქ ქვეყნის სახელია „ფორმიკალენდი“ (ჭიანჭველების ქვეყანა): ჭიანჭველები, რწყილები, ხოჭოები, ობობები განასახიერებენ ჩვენს მაშინდელ პოლიტიზირებულ საზოგადოებას და ამ გროტესკულ ნიღბებშიც არაერთი ჩვენი თანამედროვის ამოცნობა შეიძლება.

ათტომეულში შეტანილია ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები. ზოგი მათგანი სადღეისოდ აღარ არის აქტუალური, მაგრამ მწერლის მაშინდელ შეხედულებებს ასახავს, როცა დაიწერა. შეიძლება ზოგ რამეზე მწერალს არ დავეთანხმობთ და იქნებ ახლა თვითონაც მაშინდელისაგან განსხვავებული შეხედულება აქვს ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ამ პუბლიცისტურ ნაწერებში ჩვენი უახლოესი წარსულის სუნთქვაა შემონახული და ისინი ავტორის მწერლური ბიოგრაფიის ნაწილია. წმინდად ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა თუ ესეებში ავტორის პროფესიონალიზმი, გულწრფელობა და კეთილგანწყობა გვხვდება თვალში.

აქ ვამთავრებ ამ ბოლოთქმას და იმედს გამოვთქვამ, რომ ჯ. ქირიას ზოგიერთ, ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებო ნაწარმოებზე იქნებ სხვა დროს უფრო ვრცლად და სიღმისეულად გამოვთქვა ჩემი შეხედულება. ვიმედოვნებ აგრეთვე, რომ იქნება ამ ათ- ტომეულის გამოსვლამ ახლებურად მიიქციოს მკითხველთა და კრიტიკოსთა ყურადღება და ჯემალ ქირიას, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწერლის შემოქმედებას თუნდაც ასე დაგვიანებით წილად ხვდეს საკადრისი აღიარება და დაფასება.

10.1.2009

სარჩევი

ნიგნი არაფერზე	3
სამი პრინცესა და სოფლელი გოგო	81
კონფორმისტული და მეამბოხური	217
სიმართლის მახვილი	218
როცა მატარებელი უკვე დაძრულია	229
ალო, „გლასნოსტ“!	237
კონფორმისტული და მეამბოხური	246
ჩვენს სიმდიდრეს ჩვენვე მიეხედოთ	261
„გიცნობთ, თქვენ, ქართველებს!..“	265
ადრე დანერგილი რეცენზია	268
ფანტასტიკა, ფანტასტიკა... ..	278
ღვინია გადაიჩეხა?	289
სინანული	303
აღმანახ „განთიადის“ 1977 წლის პროზა	309
კედელში ჩაშენებული ქვა	325
ინსცენირება	335
„დღეს ჩვენი სახლი ფიქრმა დაღალა...“	350
ნაცნობი უცნობი	353
ნიკოლოზ ავალიშვილი	359
„ვალიარებ, რომ ვცხოვრობდი...“	390
არტურო ტორეს-რიოსეკო და მისი ნიგნი	403
იბერიული ამერიკის თანამედროვე ლიტერატურა და	
„ახალი რომანი“	418
„ნიანგის“ ორი გვერდი	469
ფელეტონები	475
ეს რამდენი ყვაავილი გქონია, საქართველოვ!	487
დავმარცხდი, მაგრამ გავიმარჯვე!	489
მწერლის ადგილი	495
სატელევიზიო მიმართვა თანაქალაქელებს!	499
ყრილობაზე სათქმელი	502
ჩვენ, საქართველოს ბერბიჭაშვილები!	505
მეგობართაგან მოძღვნილი	525
მარსიანი.	
ჯემალ ქირიას ათტომეული	532

